

თამარ ალფაიძე

მედია სამართალი

თბილისი
2008

UDC (უკ) 342.727 (075.8)
ა-534

რედაქტორები:

**მარიამ ცაქანაშვილი,
კახი ყურაშვილი,**

**იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი
სამართლის დოქტორი**

ISBN 978-99940-68-10-4

**© თამარ აღუაიძე. მედია სამართალი. 2008.
www.medialaw.ge**

შინაარსი

წინასიტყვაობა	5
შესავალი	7
ნაწილი I. მედია სამართალი რეგორც სამართლის დამფუძვლებელი დარბი	17
თავი 1. მედია სამართლის საგანი, მეთოდი და პრინციპები	18
თავი 2. მედია სამართლის ნორმები და მათი შეფარდება	26
თავი 3. მედია სამართლის წყაროები	31
თავი 4. მედია სამართლებრივი ურთიერთობა	36
თავი 5. მედიის ფუნქციები	40
თავი 6. მედიის ტიპები	44
ნაწილი II. მედია და საზოგადოების პოლიტიკური სისტემა	51
თავი 1. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში	52
თავი 2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლი სახელმწიფო ორგანოთა ფორმირებაში	63
თავი 3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ხელისუფლების ურთიერთობის პრობლემა	73
თავი 4. სასამართლო ხელისუფლება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი	82
ნაწილი III. მედია და სამართლებრივი სივრცე	97
თავი 1. ინფორმაციის თავისუფლება როგორც სამართლებრივი კატეგორია	98
თავი 2. ინფორმაციული საზოგადოება და სამართალი	115
თავი 3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაფუძნების ინსტიტუტი	131
თავი 4. ინტერნეტის სამართლებრივი რეგულირება	149
თავი 5. რეკლამის სამართლებრივი რეგულირება	173

ნაწილი IV. სამართლებრივი დაცვის მექანიზმი მედიის სფეროში	179
თავი 1. ჟურნალისტიკის სამართლებრივი სტატუსი	180
თავი 2. ინტელექტუალური საკუთრების დაცვა მედიის სფეროში	195
თავი 3. პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა მედიის სფეროში	213
 დასკვნა	 235
 დანართი	 245
ნორმატიული აქტები	246
საქართველოს კონსტიტუცია	247
საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლების შესახებ“	283
საქართველოს კანონი „მასშტაბის შესახებ“	291
საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“	333
საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“	383
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რეგლამენტი „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“	399
კომენტარი საქართველოს კანონზე „სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლების შესახებ“	423
 PE3IOME	 443
 SUMMARY	 447
 სარეკომენდაციო ლიტერატურა	 449

წინასიტყვაობა

„ტექნოლოგიური პროცესების განვითარებამ, ადამიანის ცნობიერებისა და ცხოვრების წესის განსაზღვრის ყველაზე მძლავრ ბერკეტად მასმედია აქცია, ამიტომაც აუცილებელია, რომ მანაც იტვირთოს აღმზრდელობითი ფუნქცია.“

ილია II

აღდგომა ქრისტესი, 2007 წ.

თანამედროვე მსოფლიოში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარების დინამიურმა პროცესმა და ინფორმაციული სივრცის გლობალიზაციამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია. მედია სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თითოეული ადამიანისა და მთლიანად საზოგადოების ცხოვრებაში, აქტიურ ზეგავლენას ახდენს სოციალურ პროცესებზე და სახელმწიფო სისტემის დემოკრატიზაციაზე. მასმედიის მიზანდასახულმა განვითარებამ ახალი უნიკალური შესაძლებლობები შექმნა ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების, ადამიანთა განათლების და ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბების სფეროში.

მედია საშუალებების მოღვაწეობის პროცესში წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობათა არსი და თავისებურებანი აუცილებლად მოითხოვენ სამართლებრივ რეგულირებას, რამაც განაპირობა სამართლის ახალი კომპლექსური დარგის — მედია სამართლის წარმოშობა. მედია სამართალში იურისპრუდენცია და ჟურნალისტიკა მჭიდროდ გადაეჯაჭვა ერთმანეთს, შეავსეს ერთმანეთი და შექმნეს სამართლებრივ ნორმათა მწყობრი სისტემა.

მედია სამართალი შეიძლება დავახასიათოთ როგორც კანონმდებლობის და სამართლის დარგი, როგორც მეცნიერება და სასწავლო დისციპლინა.

მედია სამართლის პერსპექტიული განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება არის სასწავლო სახელმძღვანელოების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს სპეციალისტების ხარისხიან მომზადებას. ჩვენ მიერ წარმოდგენილი სახელმძღვანელო ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში პირველი ცდაა, ამდენად მას არა აქვს სრულყოფილების პრეტენზია. სახელმძღვანელო განკუთვნილია იურიდიული, ურნალისტიკის, საერთაშორისო სამართლის, ინფორმატიკის სპეციალობებისა და ფაკულტეტების სტუდენტებისა და დოქტორანტებისათვის, აგრეთვე ყველა დაინტერესებული პირებისათვის.

ვსარგებლობ შემთხვევით და დიდ მადლობას ვუხდით ჩემი სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერ ხელმძღვანელს პროფესორ პაატა ცნობილაძეს, ოფიციალურ ოპონენტებს — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორ მარიამ ცაცანაშვილს და სამართლის დოქტორ კახი ყურაშვილს.

ავტორი მადლიერების გრძნობით მიიღებს ყველა დასაბუთებულ შენიშვნას და გაითვალისწინებს შემდგომ მეცნიერულ კვლევაში.

თამარ ალფაიძე
სამართლის დოქტორი

შესავალი

„პირველთაგან იყო სიტყუა და სიტყუა იგი იყო ლეთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუა იგი.“

იოანე

„ჟურნალიტიკა უნდა აღიქმებოდეს როგორც გარკვეული თვალსაზრისით წმინდა მისია, რომელიც იმის შეგნებით უნდა ზორციელდებოდეს, რომ კომუნიკაციის მძლავრი საშუალებები ჟურნალისტებს მთელი საზოგადოების კეთილდღეობის დაცვის მიზნით ანდეს.“

იოანე პავლე II

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების – პრესის, რადიოს, ტელევიზიის მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოში თითქმის შეუფასებელია. ამ მძლავრად მოქმედმა ინსტიტუტებმა თავიანთ გავლენას დაუმორჩილეს ისტორიაში ადამიანთა უპრეცედენტო რიცხვი. დღითი დღე იზრდება მასმედიის ეფექტურობა, მისი როლის ამაღლება საზოგადოების ცხოვრებაში, მისი ზემოქმედება თითოეულ ადამიანზე და მთლიანად სოციუმზე.

ჟურნალისტიკა დაკავშირებულია კომუნიკაციის სხვადასხვა ტექნიკურ საშუალებასთან. პრესა ინფორმაციას ავრცელებს ტექსტისა და გამოსახულების ბეჭდვითი წარმოებით, რადიო ინფორმაციას გადასცემს ელექტრომაგნიტური ტალღების მეშვეობით, ტელევიზია კი – ხმოვან და ვიდეო ინფორმაციას ელექტრომაგნიტური ტალღების მეშვეობით; ეს კომუნიკაციური საოცრებანი ქმნიან ჟურნალისტიკის სამ ქვესისტემას: პრესას, რადიოსა და ტელევიზიას, რომელთაგან თითოეული შედგება უამრავი არხისაგან. გრანდიოზული სისტემა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა მოიცავს ცალკეულ გაზეთებს, ჟურნალებს, აღმანახებს, წიგნებს, ბუკლეტებს, ტელე-რადიო პროგრამებს, რომლებიც ვრცელდება როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე მცირე

რეგიონებში. თითოეული ქვესისტემა ასრულებს თავის ფუნქციას: კომუნიკაციურ კავშირს ამყარებს თავის მაყურებელთან, მსმენელთან და მკითხველთან; ინფორმაცია გადააქვს პლანეტის ერთი ნაწილიდან მეორეზე; ხსნის სივრცისა და დროის პრობლემას; აახლოვებს უზარმაზარი გლობალური სამყაროს მცხოვრებლებს. მისი მეშვეობით ხდება ერთნაირი ინფორმაციის გადამუშავება, ადამიანთა ერთობლივი საქმიანობა და დაახლოვება, ფსიქოლოგიური ზემოქმედება მილიონობით ადამიანის შეგნებაზე.

პრესა, რადიო და ტელევიზია მასმედიის „ტრიუმვირატს“ წარმოადგენს, რომელთა თავისებურებანი უპირატესად ვლინდება ინფორმაციის ფიქსაციისა და აუდიტორიამდე მისი მიტანის ხასიათსა და საშუალებებში. ამ „ტრიუმვირატს“ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე შეუერთდა და აქტიურად ვითარდება ინფორმაციული არხის მეოთხე ტიპი – მსოფლიო კომპიუტერული ქსელი – ინტერნეტი. მასობრივი აუდიტორიისათვის გლობალური კომპიუტერული ქსელით, ინტერნეტით მიღებული ინფორმაციის მნიშვნელობა ბოლომდე გაცნობიერებული არ არის.

მასმედიის სტრუქტურაში პრესის ქვესისტემა ყველაზე მეტად განვითარებულია და მოიცავს მრავალრიცხოვან გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს. ეს მრავალფეროვნება შეესაბამება სხვადასხვა ცხოვრებისეულ ციკლს, გამოცემულს მილიონობით ტირაჟითა და ეგზემპლიარით – ყოველდღიურს, ყოველკვირეულს, ყოველწლიურსა და უფრო ხანგრძლივს.

მასობრივი კომუნიკაციის მეორე საშუალებას წარმოადგენს რადიომაუწყებლობა. მისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია ის, რომ ინფორმაციის გადაცემა ასეთ შემთხვევაში ხდება მხოლოდ ხმით. რადიოკავშირი საშუალებას იძლევა ინფორმაცია გადაცემულ იქნეს შეუზღუდავ სივრცეში, ამასთანავე სიგნალის მიღება ხდება გადაცემის მომენტში. აქედან გამომდინარეობს რადიომაუწყებლობის ოპერატიულობა, როცა ინფორმაცია ვრცელდება პრაქტიკულად მოვლენის განვითარების მომენტში, რისი მიღებაც შეუძლებელია პრესის საშუალებით: თუ პრესა იძლევა უძრავ გამოსახულებას,

ტელევიზია კი მოძრავს, რადიო მაქსიმალური ხარისხით უზრუნველყოფს შესაძლებლობას, რეალიზებულ იქნეს „სუფთა ბგერა“. ტელევიზიამ მასმედიის „ტრიუმფირატში“ თავისი ადგილი XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიმკვიდრა, განვითარდა სწრაფი ტემპით და წამოიწია პირველ ადგილზე. ტელევიზიას საშუალება აქვს ორგანიზაცია გაუკეთოს გადაცემებს როგორც სტუდიიდან, ასევე მოვლენის ადგილიდან. ასეთი „ცოცხალი“ გადაცემით ტელევიზიის ოპერატიულობა გაცილებით დიდია, ვიდრე რადიოსი, რაც უზრუნველყოფს აუდიტორიასთან უფრო მჭიდრო კავშირის დამყარებას.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი განკუთვნილია ფართო აუდიტორიისათვის. აუდიტორიას წარმოადგენს ადამიანთა მასა, სხვადასხვა სოციალური ჯგუფები, ინდივიდები, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი ინფორმაციის მიღების პროცესში, აქვთ კონტაქტი ინფორმაციის წყაროსთან. აუდიტორიას ახასიათებს მასმედიასთან მრავალფეროვანი კავშირი, რომელიც აღინიშნება ფრაზით – „აუდიტორიის ურთიერთობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან“. მასობრივი ინფორმაცია გამიზნულია რიცხობრივად დიდი აუდიტორიისათვის, მისი გავრცელება ადამიანთა სულიერი ურთიერთობის განუყოფელი ნაწილია. ამიტომ არის, რომ კაცობრიობის განვითარების ფართო სპექტრში ინფორმაცია ადამიანთა მოთხოვნილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი ელემენტია. იგი გამომდინარეობს სოციალური სისტემის, როგორც ინფორმაციული სისტემის არსიდან. ინფორმაციის მიღების მოთხოვნილება გამოხატავს სუბიექტში საზოგადოებრივ აუცილებლობას – ინფორმირებული იყოს ადამიანური საქმიანობის ყველა სფეროში. ინფორმაცია უზრუნველყოფს აზროვნების პროცესს, საზოგადოებრივი ცნობიერების შემოქმედებით ბუნებას. ცხოვრებისეული ინტერესები და მათგან წარმოშობილი ინფორმაციული ინტერესები რეალიზდება სოციალური ინფორმაციის სხვადასხვა სისტემაში.

მასობრივი აუდიტორია, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდები და პიროვნებებია და არა სულიერი პროდუქციის მომხმარებელი პასიური მასა. თითოეული ადამიანი დამოუკიდებლად ახდენს მიღე-

ბული ინფორმაციის ინტერპრეტაციას, ფილტრავს და აფასებს მას თავისი მსოფლმხედველობის, სოციალური მდგომარეობის, კულტურული განვითარების, რწმენის, ასაკის, სქესისა და სხვა ფაქტორის შესაბამისად. პიროვნებას ინფორმაციის მიმართ აქვს ადეკვატური პოზიცია: იგი ეთანხმება ან ეწინააღმდეგება მას, აფასებს ინფორმაციას, აანალიზებს მოტივებს და ა. შ. ინფორმაციის კოლექტიურ აღქმას აქვს გარკვეული ეფექტი და შეიძლება შეიძინოს პრინციპულად ახალი მნიშვნელობა. თუ ჯგუფში არის აზრის ლიდერი, მისი შეხედულება იქნება დომინირებული და მოდიფიცირებულ ზეგავლენას მოახდენს დანარჩენებზე.

სამყარო, როგორცაც მას ხედავენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ბევრი ადამიანისათვის გადაიქცევა რეალობად, ვიდრე თვით ცხოვრება. უკანასკნელი 60 წლის განმავლობაში ძირეულად შეიცვალა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ბუნება. ტელევიზიამ გარდაქმნა ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება უფრო მეტად, ვიდრე სხვა რაიმე გამოსახულებამ კაცობრიობის ისტორიაში, შეცვალა ადამიანთა აზროვნება და მსოფლმხედველობა, გაამდიდრა მათი ცოდნა სამყაროზე. ტელევიზიის ზეგავლენით ბევრად შეიცვალა პრესა და რადიო, თუმცა ტელევიზიას ისინი არ გაუძევებია მასობრივი ინფორმაციის გავრცელების სამყაროდან.

როგორც ბეჭდვითი, ისე ელექტრონული მასმედია ნაციონალური და კულტურული სოციალიზაციის მნიშვნელოვანი წყაროა. იგი საზოგადოებისათვის ქმნის რეალობას სხვადასხვა სფეროში, ემყარება რა სხვადასხვა ფსიქოლოგიურ პროცესს.

მართებულად მიუთითებს რ. ჰარისი, რომ მასმედია – ეს არა მარტო „მაგიური ფანჯარაა“, რომლის მეშვეობითაც ჩვენ ვუყურებთ სამყაროს, არამედ „კარები“, რომლის მეშვეობითაც იდეები აღწევენ ჩვენს აზროვნებაში“.¹

ინფორმაცია თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე ღირებული პროდუქციაა, რომელზედაც კოლოსალური მოთხოვნილებაა. ამიტომაც, რომ ყოველდღიურად მილიონობით გაზეთი და ჟურნალი ხვდება

1. Ричард Харрис, «Психология массовых коммуникаций» М. 2002 г. С. 19

მკითხველის ხელში, ათასობით რადიოსადგურის ტალღები კვეთენ ეთერს, ათასობით ტელეანძა და კოსმოსური თანამგზავრი აწვდის ადამიანებს ცნობებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. დაბადებიდან სიკვდილამდე ადამიანი ინფორმაციულ გარემოში ცხოვრობს. იგი ერთდროულად ინფორმაციის შემქმნელიცაა, მომხმარებელიც, მატარებელიც და გარდამქმნელიც. არ არსებობს საზოგადოებრივი ყოფიერების რაიმე სფერო, რომლებზედაც ინფორმაციული პროცესები არ ახდენდნენ გავლენას. ინფორმაცია და მისი გაცვლა ყველა ადამიანური ურთიერთობის საფუძველია. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის გავრცელებას თანამედროვე საზოგადოების განვითარებისათვის, რამდენადაც მისი ბაზაა პლანეტის კომუნიკაციების მრავალმხრივი და მრავალფეროვანი სისტემა.

მსოფლიოში არსებული უზარმაზარი ინფორმაციული ნაკადის რეგულირებას, მის გადამუშავებასა და გავრცელებას უზრუნველყოფს მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი. მათი არსებობის მიზანია საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილება – იცოდნენ ყველაფერი სამყაროში მიმდინარე ყოველდღიურ მოვლენებზე, ჰქონდეთ ადამიანებს სოციალურად მნიშვნელოვანი ინფორმაცია მასობრივი მასშტაბით. სოციალური ინფორმაცია აზროვნებითი ინფორმაციაა, რომელიც გადამუშავდება ადამიანთა შეგნებაში და რეალიზდება ხალხის საქმიანობაში. იგი ცირკულირდება საზოგადოებაში, როგორც ცოდნის, ცნობების, იდეების ერთობლიობა გარემომცველი სამყაროს შესახებ, ემსახურება საზოგადოებრივი პროცესების მართვას, ჭეშმარიტი და სრული ინფორმაციის გავრცელებას. მასმედია აშუქებს ისეთ პრობლემებს, როგორცაა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, სახელმწიფოს შიდაპოლიტიკური პროცესები, საერთაშორისო ურთიერთობის პრინციპები და ა. შ. ამიტომ ურთიერთობა მასმედიასა და საზოგადოებას შორის მრავალმხრივი და მრავალფეროვანია.

აღსანიშნავია, რომ მასმედია არამარტო ართობს და ანათლებს ადამიანებს. იგი ასრულებს მუნიციპალურ-მმართველობით ფუნქციას, ზეგავლენას ახდენს ადამიანთა კულტურულ და სოციალურ ღირებულებებზე, ცვლის პიროვნების ქცევის მოდელს და სინამდვილის აღქმას.

იყენებენ რა მასმედიას, როგორც მსოფლიო დიქტატურის საშუალებას, „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ პასიურ უმრავლესობას თავს ახვევენ თავიანთ პრინციპებსა და ეტალონებს, ქმნიან ახალ, ილუზიურ სინამდვილეს, მითებს მასმედიის ყოვლისშემძლეობისა და განუსაზღვრელი შესაძლებლობების შესახებ. მთელ მსოფლიოში წამყვანი ტელეკომპანიები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ მთავრობის პოლიტიკის შესაბამისად და ხელს უწყობენ ამ პოლიტიკის განმტკიცებას.

უბრალო ადამიანებს დღემდე არ შეუძლიათ ერთმნიშვნელოვნად თქვან – რა უფრო ძლევა მოსილია ამ ქვეყანაზე: პოლიტიკა, ფული, იდეოლოგია, რელიგია, მეცნიერება თუ მასმედია.

ჟურნალისტიკა თავისუფალი პროფესიაა, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში განუყრელად არის დაკავშირებული მედია-ბიზნესთან. მეწარმენი ქმნიან გამომცემლობებს და ტელეკომპანიებს, უზარმაზარ სახსრებს ხარჯავენ გაზეთების, ჟურნალების, ტელერადიო პროგრამების შექმნისათვის. მაგრამ სწორედ ჟურნალისტები ქმნიან იმ ინტელექტუალურ პროდუქტს, რასაც მეწარმე ყიდის მომხმარებელზე.

თანამედროვე გლობალურ ინფორმაციულ სივრცეში მასმედიის ფუნქციონირება შეუძლებელია სამართლისა და სამართლებრივი რეგულირების გარეშე. ინფორმაციულ საზოგადოებაში მკვეთრად იზრდება სამართლის როლი, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირების მთავარი მექანიზმისა. ამასთანავე ინფორმაციული საზოგადოება ვითარდება ისეთი მიზანდასახული ტემპებით, რომ სამართალი არსებითად ჩამორჩება მის მოთხოვნებს. ამიტომ ბევრი საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც ამჟამად არსებობს ინფორმაციულ სფეროში, რჩება რეგულირების გარეშე. ეს კი მნიშვნელოვნად აფერხებს ჟურნალისტურ საქმიანობას, მასმედიის ორგანიზაციასა და ფუნქციონირებას, კონსტრუქციულ ურთიერთობას მფლობელს, დამფუძნებელსა და რედაქციას შორის, მასმედიის პროდუქციის გაერცვლებას, სიახლეების დანერგვას ინფორმაციულ ინფრასტრუქტურებში.

სამართლებრივი რეგულირება მასმედიის სფეროში, უპირველეს ყოვლისა, მიმართული უნდა იყოს, ერთი მხრივ მასმედიის, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტის ფუნქციონირებისათვის კეთილმყოფელი პირობების შექმნისაკენ, მეორე მხრივ – პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვისაკენ.

სამართალი უნდა შეეხოს მასმედიის სფეროში ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობას, მაგრამ არა მათი უშუალო რეგულირების თვალსაზრისით, არამედ იმ აზრით, რომ ორიენტირებული იყოს ისეთ სოციალურ ღირებულებებზე, როგორიცაა აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება, პოლიტიკური და იდეოლოგიური მრავალფეროვნება, პიროვნების პატივი და ღირსება, კრიტიკის თავისუფლება, ინფორმაციის მისაწვდომობის უფლება და ა. შ.

უნდა აღინიშნოს, რომ მიზანშეწონილი არ არის მასმედიის სფეროში ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეტალური სამართლებრივი რეგლამენტაცია. პირიქით, საზოგადოებრივ ურთიერთობათა მეტისმეტი რეგლამენტაცია არანაკლებ საზიანოა, ვიდრე ხარვეზი კანონმდებლობაში. პრინციპი: „ნებადართულია ყველაფერი, რაც აკრძალული არ არის კანონით“, საშუალებას იძლევა მასობრივი ინფორმაციის სფეროში არა მარტო გაფართოვდეს საზოგადოების დემოკრატიული განვითარების გარანტიები, არამედ შეიქმნას მასმედიის ორგანიზაციისა და საქმიანობის სისტემაში განსაზღვრული „არასამართლებრივი“ ზონა, სადაც სრული ზომით იქნება გამოვლენილი ჟურნალისტური საქმიანობის პროფესიონალური წესები და სხვა კორპორაციული ნორმები.

თუმცა, და ეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, სამართლებრივი რეგულირების დახვეწა და სრულყოფა მასობრივი ინფორმაციის სფეროში ობიექტურად განპირობებული პროცესია და ამ მხრივ ბევრი რამ არის გასაკეთებელი ჩვენს ქვეყანაში. კანონმდებლობა მასმედიის შესახებ, თუ ის ღროის მოთხოვნებს პასუხობს, მისი შეფარდების მექანიზმი ჟურნალისტულ კადასტრში, მისი თავისებურებანი, ტენდენციები, უფლებებისა და მოვალეობების გააზრება მნიშვნელოვნად ამსუბუქებს მასმედიის მოღვაწეთა პროფესიულ საქმიანობას, ხელს

უშლის სამართალდარღვევებს, რომელიც ზიანს აყენებს როგორც ჟურნალისტის, ასევე რედაქციის საქმიანობას, სტატიებისა და რეპორტაჟების პერსონაჟებს, მილიონობით მკითხველსა და მაყურებელს.

ინფორმაციული საზოგადოების მოთხოვნილებამ წარმოშვა სამართლის ახალი კომპლექსური დარგი – *მედია სამართალი*, რომელიც საქართველოში ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა. მისი აღორძინება მომავლის საქმეა. საკანონმდებლო ბაზა, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს მედია სამართალს, ჩამოყალიბების პროცესშია. საქართველო ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანაა. ამიტომ მისი კანონმდებლობა უნდა შეესაბამებოდეს ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ნორმატიული აქტების მოთხოვნებს. ის დიდი გამოცდილება, რაც დაგროვდა დემოკრატიულ, ცივილიზებულ ქვეყნებში მასმედიის საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების სფეროში, გადმოტანილი უნდა იქნეს ეროვნულ ნიადაგზე და გამდიდრდეს ეროვნული თვითმყოფადობითა და ტრადიციებით.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მასობრივი ინფორმაციის საკითხებისადმი მეცნიერული ინტერესი ახალი არ არის. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია პროფ. ო. მელქაძის ნაშრომი „ინფორმაცია, კონტროლი, სტატისტიკა და ტაქტიკა“ (1981 წ.), რომელშიც გამოკვეთილია ინფორმაციისა და საჯაროობის როლი კონტროლის სფეროში, კომპლექსურად არის გამოკვლეული კონტროლის პროცესში კოორდინაციისა და ეფექტურობის თეორიული და პრაქტიკული საკითხები. დოც. ზ. ლუჭაშვილის სადისერტაციო ნაშრომში „სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფლების იურიდიული და ზნეობრივი საფუძვლები“ ყურადღება გამახვილებულია მასობრივი ინფორმაციის გამოყენების პროცესში სუბიექტთა უფლებების დაცვაზე.

პროფ. მ. ცაცანაშვილის სადისერტაციო ნაშრომმა და მონოგრაფიამ „ინფორმაციული საზოგადოება და ინფორმაციის სამართლებრივი რეგულირება“ ახალი იმპულსი მისცა მასობრივი ინფორმაციისა და მასთან დაკავშირებული საკითხების მეცნიერულ კვლევას. ნაშრომში ფართოდაა გაშუქებული ინფორმაციის არსი, მისი გავრცელების საშუალებანი, ინფორმაციის სახეები, ინფორმაციის როლი სამართლებ-

რივ ურთიერთობათა სისტემაში, საინფორმაციო სამართლის დარგის ძირითადი პრობლემები საქართველოში და ა. შ.

პროფ. მ. ცაცანაშვილის დამსახურებაა ისიც, რომ პირველად საქართველოში შეიქმნა მნიშვნელოვანი მონოგრაფია „ინფორმაციული სამართალი“ (2004 წ.), რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სამართლის ახალ, კომპლექსურ დარგს და გაკაფა გზა შემდგომი მეცნიერული კვლევისათვის.

თანამედროვე დემოკრატიული, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება, სახალხო ხელისუფლებიანობის დამკვიდრება, პიროვნების თვითრეალიზაცია, მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა შეუძლებელია პრესის, რადიოს, ტელევიზიისა და მასობრივი კომუნიკაციის სხვა საშუალებების აქტიური საქმიანობის გარეშე. ეს საქმიანობა კი განსაზღვრულ სამართლებრივ ჩარჩოებში უნდა განხორციელდეს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების სამართლებრივ ასპექტებს შეისწავლის სამართლის ასევე ახალი, დამოუკიდებელი დარგი – მედია სამართალი, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ინფორმაციულ სამართალთან. მედია სამართლის მიზანია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა მათი როლისა და მნიშვნელობის წარმოჩენა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ეს მიზანი განსაზღვრავს საკითხთა ფართო სპექტრს, რომელიც განხილულია წარმოდგენილ ნაშრომში.

რამდენადაც ინფორმაცია და მისი გადაცემა გლობალური ხასიათის მოვლენაა, მისი სამართლებრივი რეგულირება არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობით. ამიტომ არის, რომ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი და საერთაშორისო ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ მასმედიის საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების საკითხებისადმი. მსოფლიო პროცესების გლობალიზაციამ განაპირობა უნივერსალური საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მიღება მედია სფეროში. ეს განსაზღვრავს იმ გარემოებას, რომ სახელმძღვანელოს ნორმატიულ ბაზას შეადგენს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო ნორმატიული აქტები:

საერთაშორისო დეკლარაციები, პაქტები, კონვენციები, სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციები და კანონები, ადამიანთა უფლებების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებანი, საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“, საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და სხვ.

ნაშრომის ინფორმაციულ ბაზას შეადგენს იურიდიული და სპეციალური ლიტერატურა, ენციკლოპედიური ლექსიკონები, საჟურნალო და საგაზეთო პუბლიკაციები, გამოჩენილ მეცნიერთა გამოკვლევები, ინტერნეტ-საიტებზე მოპოვებული მეცნიერული მასალები და სხვ.

მსოფლიოში არსებული განსხვავებული სამართლებრივი სისტემები გარკვეულ სიძნელეებს ქმნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ფუნქციონირებისათვის გლობალური ინფორმაციული სივრცის პირობებში. მიუხედავად იმისა, რომ მედიას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში აქვს საერთო ტენდენციები, თითოეულ ქვეყანაში არსებობს განსაზღვრული სპეციფიკა, რაც არამცთუ ამცირებს ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის აქტუალობას, არამედ ხაზს უსვამს მის აუცილებლობას. შევეცადეთ სახელმძღვანელოში გამოგვეკეთა ის თავისებურებანი, რაც ახასიათებს ქართულ მედია სამართალს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში.

ნაწილი I

მედია სამართალი
როგორც სამართლის დამოუკიდებელი
დარგი

*„სამართალი არის სამართლიანობის კრიტერიუმი.“
არისტოტელე*

*„სამართალი არის სიკეთის, თანასწორობისა და
სამართლიანობის ხელოვნება.“*

ულპიანე

თავი 1. მედია სამართლის საბანი, მეთოდი და პრინციპები

საბაზნე, მედია სამართალი – სამართლის და კანონმდებლობის შედარებით ახალი დარგი, მეცნიერული და სასწავლო დისციპლინაა.

თუ რამდენიმე წლის წინ საერთოდ არ არსებობდა კანონმდებლობა მედიის შესახებ, ამჟამად მედია სამართალს აქვს არა მარტო არსებობის უფლება, არამედ განვითარების დიდი პერსპექტივებიც, რამდენადაც მედია-კანონმდებლობა იხვეწება და ვითარდება თანამედროვე სოციალ-ეკონომიკური მოთხოვნების შესაბამისად. მასობრივი ინფორმაციის შეგროვებისა და გავრცელების ურთიერთობების სოციალური მნიშვნელობის ამაღლებამ, საზოგადოების ცხოვრებაში მედიასაშუალებების როლის გაძლიერებამ ობიექტურად მოითხოვა ამ სფეროს სამართლებრივი რეგულირება.

კომუნიკაციური სისტემის ჩარჩოებში, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს მედია, არსებობენ ორგანიზაციულ-ინსტიტუციონალური, რეგულატორული, ფუნქციონალური და სხვა სისტემები. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კომუნიკაციური და რეგულატორული ქვესისტემების ურთიერთობა, კონკრეტულად კი მასმედიის ასახვა რეგულატორულ სისტემაში, როგორც დემოკრატიის ინსტრუმენტისა. ეს გულისხმობს უპირველეს ყოვლისა, იმ სოციალური ნორმების ანალიზს, რომლებიც არეგულირებენ მასმედიის ორგანიზაციასა და საქმიანობას.

სოციალური ნორმები, რომლებიც შედიან რეგულატორულ სისტემაში და უშუალოდ არიან დაკავშირებული მასმედიის ორგანიზაციასა და საქმიანობასთან, მოიცავენ პოლიტიკურ, სამართლებრივ, კორპო-

რაციულ ნორმებს, აგრეთვე ჩვეულებებს, ტრადიციებს, მორალურ-ეთიკურ იმპერატივებს და ა.შ. თავიანთი ბუნებით განსხვავებული სოციალური ნორმები ზემოქმედებას ახდენენ ერთმანეთზე, როგორც სხვადასხვა ნორმატიული სისტემის ელემენტები.

მედია სამართალს როგორც სამართლის დამოუკიდებელ დარგს, აქვს თავისი რეგულირების საგანი, რეგულირების მეთოდი, პრინციპები და წყაროები.

ტერმინი „მედია სამართალი“ მოიაზრება სამი მნიშვნელობით:

- როგორც სამართლის დარგი;
- როგორც მეცნიერული დისციპლინა;
- როგორც სასწავლო დისციპლინა.

მედია სამართალში არის თვისობრივად ერთგვაროვანი, განზოგადებული ჯგუფი საზოგადოებრივი ურთიერთობისა, რომლებისთვისაც მნიშვნელოვანია სამართლებრივი რეგულირება და სამართალიც არ არის მათ მიმართ ინდეფერენტული. მედია სამართლის რეგულირების საგანს წარმოადგენს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ორგანიზაციისა და საქმიანობის ძირითადი ასპექტები.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკის როლის ამაღლებამ, ერთიანი ინფორმაციული სივრცისა და რესურსების შექმნამ გამოიწვია არა მარტო მრავალი სამართლებრივი ნორმის, არსისა და მიმართულების შეცვლა, არამედ ახალი სამართლებრივი ურთიერთობის – მედიასამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა. ამან განაპირობა სამართლის ახალი დარგის – მედია სამართლის ფორმირება.

თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში ჟურნალისტი მუდმივად მონაწილეობს სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობაში, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის მიღებასა და გავრცელებასთან, ასევე ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან. თავისი უფლებებისა და მოვალეობების უცოდინარობა ჟურნალისტს დაბრკოლებას შეუქმნის პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში. ამიტომ არის ჟურნალისტისათვის მნიშვნელოვანი მედია სამართლის საფუძვლების ღრმად ცოდნა.

მასობრივი ინფორმაციის სფეროში სამართლებრივი რეგულირება მიმართული უნდა იყოს ერთი მხრივ მედიის, როგორც დემოკრატიის ინსტიტუტის ფუნქციონირებისათვის სათანადო პირობების შექმნისაკენ, მეორე მხრივ კი პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვისაკენ.

ჟურნალისტიკის სამართლებრივი საფუძვლები მჭიდროდ არის დაკავშირებული მასმედიის შესახებ კანონმდებლობასთან. სამართალი ამ სფეროში უნდა შეეხოს ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობას, მაგრამ არა აუცილებლად მათი უშუალო რეგულირების თვალსაზრისით, არამედ იმ აზრით, რომ როგორც მინიმუმში ორიენტირებული იყოს ისეთ სოციალურ ღირებულებებზე, როგორცაა აზრის თავისუფლად გამოხატვა, ინფორმაციის თავისუფლება, პოლიტიკური და იდეოლოგიური პლურალიზმი, პიროვნების ჰატივი და ღირსება, კრიტიკის თავისუფლება და ა.შ. ამ თვალსაზრისით უდიდეს როლს თამაშობენ ნორმა-პრინციპები, რომლებსაც შეიცავს ქვეყნის ძირითადი კანონი – საქართველოს კონსტიტუცია.

ამჟამად არსებობს საკმაო რიცხვი სამართლებრივი ნორმებისა, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მედიის ორგანიზაციასა და საქმიანობასთან. მათ ბირთვისა და საფუძველს წარმოადგენს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლების პრინციპი. ამ ნორმათა ერთობლიობა ქმნის კომპლექსურ სამართლებრივ დარგს, რომელიც დაფუძნებულია ამავე დასახელების კანონმდებლობის დარგზე. ნორმები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მასმედიის ორგანიზაციასა და საქმიანობასთან არსებობს არა მარტო სხვადასხვა ნორმატიულ სამართლებრივ აქტებში, არამედ სამართლის სხვადასხვა დარგებში.

აერთიანებს რა რეგულირების საგანს - საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მასმედიის ორგანიზაციასა და საქმიანობასთან, ნორმები ქმნიან კომპლექსურ სამართლებრივ დარგს – მედია სამართალს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მედია სამართალი არ ხელყოფს ძირითადი დარგების არქიტექტონიკას და არ გამოდის მათი სტრუქტურრიდან. მედია

სამართალი კომპლექსურად ითვლება იმ აზრით, რომ მათში შემავალი ნორმები დაკავშირებულნი არიან რეგულირების ერთიანი მექნიზმითა და მეთოდით.

სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ მასმედიის ორგანიზაციასა და საქმიანობას, შესაბამისად აყალიბებენ მედია-სამართალს, როგორც კანონმდებლობის დარგს.

მედია სამართლის კურსის საგანი მოიცავს როგორც ჟურნალისტიკის, ასევე მასმედიის შესახებ კანონმდებლობის იურიდიულ ასპექტებს; კერძოდ, ჟურნალისტიკური საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების, მასმედიის ორგანიზაციისა და ფუნქციონირების საკითხებს.

მედია სამართალი, როგორც კანონმდებლობის დარგი უფრო ფართოა მედია სამართალზე, როგორც სამართლის დარგზე, რამდენადაც მასში ჩართულია ნორმატიული აქტები, რომლებსაც შეიცავენ სამართლის სხვა დარგები. ამიტომ კანონმდებლობა მედიის შესახებ უნდა განვიხილოთ, როგორც კანონმდებლობის შედარებით დამოუკიდებელი კომპლექსური დარგი. მედიასამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების რიცხვი სულ უფრო და უფრო მეტად იზრდება იმის კვალდაკვალ, რომ ჩნდებიან მასმედიის სისტემის ახალი კომპონენტები. ამასთანავე, სამართლებრივი რეგულირების გარეშეა მასმედიის ორგანიზაციისა და საქმიანობის მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები.

მეცნიერული და პრაქტიკული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს მედია სამართალსა და ინფორმაციულ სამართალს შორის ზღვარის გავლებას. ინფორმაციული სამართალი ასევე სამართლის სრულიად ახალგაზრდა დარგია. იურიდიულ მეცნიერებაში სწავლული სამართალმცოდნეების წარმოდგენა მასზე სხვადასხვაგვარია.

ინფორმაციული სამართალი არის იმ ნორმების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის ბრუნვის პროცესში წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, კერძოდ, ინფორმაციული რესურსებისა და ტექნოლოგიების შექმნისა და სარგებლობის საკითხებს, საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით ინფორმაციული რესურსების

ფორმირების, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელებასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ასეთი ურთიერთობები მრავალფეროვანია და ორიენტირებულია რამდენიმე კომპლექსზე. ესენია:

- ინფორმაციულ რესურსებთან დაკავშირებული ყველა სახის საქმიანობა (ინტელექტუალური, საწარმო და სხვა სოციალური საქმიანობის პროდუქტი);
- სოციალურ რესურსებთან და ინფორმაციული საქმიანობის ცალკეულ სახეებთან წარმოშობილი ურთიერთობების მართვა;
- ინფორმაციის ახალი ტექნოლოგიების გამოყენება;
- ინფორმაციის სფეროში უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ინფორმაციის სფეროში იურიდიული პასუხისმგებლობის რეალიზაცია.

შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაციული სამართლის ჩარჩოებში არსებობს თვისობრივად ერთგვაროვანი, განზოგადებული ჯგუფი საზოგადოებრივი ურთიერთობებისა.¹

ის ფაქტორი, რომ მედია სამართალი ყველაზე მჭიდროდ ინფორმაციულ სამართალთან არის დაკავშირებული, ხომ არ გულისხმობს იმას, რომ მედია სამართალი არის ინფორმაციული სამართლის ქვედარგი? რა თქმა უნდა, არა. მედია სამართალი წარმოადგენს სამართლის დამოუკიდებელ კომპლექსურ დარგს. მას გააჩნია თავისი რეგულირების დამოუკიდებელი სფერო და საგანი – მასმედიის ორგანიზაციისა და საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები.

მასობრივი ინფორმაციის გამოცალკევება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისაგან ფიქსირებულია ქვეყნის ძირითად კანონში. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებებით“, მე-2 პუნქტი ადგენს,

1. მ. ცაჯანაშვილი, ინფორმაციული სამართალი, თბ., 2004, გვ. 35.

რომ „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია.“

ამრიგად, ინფორმაციის თავისუფლება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება სხვადასხვა კატეგორიებია და შესაბამისად განსხვავებულია მათი რეგულირების ობიექტებიც.

მედია სამართალი, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული მეცნიერება არის განსაზღვრული ცოდნის სისტემა მასმედიის ორგანიზაციისა და საქმიანობის პროცესში წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, რომელთაც გარკვეული სოციალ-სამართლებრივი შინაარსი აქვთ. მედია სამართალს, გარდა ინფორმაციული სამართლისა, მჭიდრო კავშირი აქვს სხვა დარგობრივ იურიდიულ მეცნიერებებთან და მათთან ერთიანობაში ქმნის ქვეყნის მთლიან სამართლებრივ სისტემას. მედია სამართალი სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ორგანული ნაწილია, რამდენადაც თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმატება შეუძლებელია.

მეთოდი. ტერმინ „მეთოდში“ მოიაზრება ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა შემეცნების ხერხები და საშუალებები, რომლებიც მიმართულია ჭეშმარიტი დასაბუთებული ცოდნის მიღებისაკენ. როგორც სამართლის სხვა დარგებში, მედია სამართალშიც, სამართლებრივი რეგულირების საგანი და მეთოდი ერთმანეთის ადეკვატური უნდა იყოს.

მეცნიერებაში განასხვავებენ ზოგად და კერძო მეთოდებს. ზოგად მეთოდებს მიეკუთვნება: ისტორიული, სისტემური, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

ისტორიული მეთოდი ხასიათდება მედია სამართლის მრავალასპექტიანი პრობლემებისადმი კონკრეტულ-ისტორიული და ისტორიულ-ემპირიული მიდგომით. სამართალი შეიძლება გავიგოთ მხოლოდ ისტორიული განვითარებიდან გამომდინარე. მედიასამართლებრივი მოვლენები უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ დღევანდელი მდგომარეობის, არამედ მათი წარსულისა და მომავლის პოზიციებიდან. ისტორიული მეთოდი გულისხმობს ასევე მედია სამართლის პრობლემების

განსაზღვრულ ლოგიკურ ანალიზსაც, რომელიც საშუალებას იძლევა გამოვლენილი იქნას სამართლებრივი რეგულირების უფრო მნიშვნელოვანი მომენტები. სამართალი და კერძოდ, მედია სამართალი ისტორიული განვითარების პროდუქტია. *სისტემური* მიდგომა მედია სამართლის სფეროში გულისხმობს თეორიული პრინციპებისა და დებულებების ერთობლიობას, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ მედია სამართლის ყველა ნორმა როგორც სისტემა, როგორც ერთიანი მთელი სხვა სამართლებრივ ნორმებთან და ინსტიტუტებთან მჭიდრო კავშირში, გავაკეთოთ განზოგადებული დასკვნები სამართლებრივი რეგულირების მთელი მექანიზმის განვითარების კანონზომიერებათა შესახებ.

სინთეზი როგორც მეთოდი უზრუნველყოფს გარკვეული კომპონენტების თვისებების ერთ მთლიანობაში წარმოჩენას. სინთეზი ავსებს სისტემურ ანალიზს და წარმოადგენს მედიასამართლებრივი მოვლენების და პროცესების კვლევის მნიშვნელოვან საშუალებას.¹

ყველა მეთოდი, გამოყენებული მედია სამართალში შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: იმპერატიულ და დისპოზიციურ მეთოდებად.

იმპერატიული მეთოდი სამართლებრივ რეგულირებაში გულისხმობს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების ქცევის მკაცრ მოდელს. მედია სამართალში გამოიყენება შემდეგი იმპერატიული მეთოდები:

- დაეალება, რომლის არსი მდგომარეობს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებზე მოვალეობის დაკისრებაში – შეასრულონ რაიმე მოქმედება;
- აკრძალვა, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს აკისრებს ვალდებულებას, თავი შეიკავონ სამართალდარღვევისაგან;

დისპოზიციური მეთოდი დაფუძნებულია სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების თანასწორუფლებიანობაზე და მათ შესაძლებლობაზე დამოუკიდებლად აირჩიონ დასაშვები ქცევის მოდელი. მედია სამართალში გამოიყენება შემდეგი დისპოზიციური მეთოდები:

1. М. Рассолов. Информационное право. М. 2001. С. 21.

- ნების დამრთავი მეთოდი, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს შესაძლებლობას აძლევს თავიანთი სურვილით შეასრულონ რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავონ რაიმე მოქმედების შესრულებისაგან;
- შეთანხმება გულისხმობს სამართლებრივი ურთიერთობის თანასწორუფლებიან მონაწილეებს შორის რაიმე თანხმობის მიღწევას;
- რეკომენდაცია – კანონმდებლის მითითებაა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების სასურველი (და არა სავალდებულო) ქცევის მოდელზე;
- წახალისება მჭიდროდ არის დაკავშირებული რეკომენდაციის მოდელთან. განსხვავება იმაშია, რომ კანონმდებელი არა მარტო რეკომენდაციას აძლევს ქცევის რაიმე მოდელს, არამედ აწესებს რაღაც შეღავათს ან სხვაგვარ სიკეთეს ამ მოდელის არჩევის შემთხვევაში.

მეთოდოლოგიურ არსენალში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კერძო მეცნიერული მეთოდები. მედია სამართალში გამოიყენება ისეთი კერძო მეთოდები, როგორცაა კონკრეტულ-სოციალოგიური, ფსიქოლოგიის, ლოგიკის, კიბერნეტიკის, შედარებითი მეთოდი და ა.შ. თითოეული მათგანი თავისებური მიდგომაა მედიასამართლებრივ მოვლენათა ერთი რომელიმე მხარის ან მომენტის კვლევაში.

პრინციპები. მედიასამართლებრივი ნორმებისა და ინსტიტუტების შემეცნებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პრინციპები. მეცნიერული პრინციპები ძირითადი ამოსავალი დებულებებია მედია სფეროში ობიექტური კანონზომიერებით წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობათა არსისა და განვითარების შესახებ. ძირითადი პრინციპების არსი იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებრივი მოვლენები შესწავლილ იქნეს სხვა მოვლენებთან მჭიდრო კავშირში, არა რომელიმე კონკრეტულ ასპექტში, არამედ ყველა ასპექტში, რომლებშიც იგი ელინდება.

მედია სამართლის ძირითადი პრინციპებია:

- მასობრივი ინფორმაციის თავისუფლება, ინფორმაციის საჯაროობა;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება, ცენზურის დაუშვებლობა;
- კანონის უზენაესობა, კანონიერების რეჟიმის დაცვა;
- მოქალაქეთა თანასწორობა კანონის წინაშე;
- ადამიანის და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;
- პასუხისმგებლობა სამართალდარღვევისათვის.

მედია სამართლის განვითარება დროის მოთხოვნაა. მან ღირსეული ადგილი უნდა დაიკავოს ქართული სამართლის სისტემაში, ხელი შეუწყოს საზოგადოებაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მისიის შესრულებას.

თავი 2. მედია სამართლის ნორმები და მათი შეფარდება

მედია სამართლის ნორმა ეწოდება ზოგადი ხასიათის ქცევის წესს, რომელშიც განსაზღვრულია მედია სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების უფლება-მოვალეობანი. მედია სამართლის ნორმების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ისინი არეგულირებენ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განზოგადოებულ ჯგუფს მედია სფეროს თავისებურებათა შესაბამისად.

მედია სამართლებრივი ნორმებისათვის დამახასიათებელია ყველა ძირითადი ნიშანი ნორმებისა, რომლებიც ქმნიან სამართლის სისტემას: ისინი შეიცავენ სახელმწიფოს მიერ დადგენილ ქცევის წესს, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია ნებაყოფლობით ან იძულებით. მედია სამართლებრივი ნორმების განსხვავება სამართლის სხვა დარგების ნორმებისაგან მდგომარეობს იმაში, რომ ისინი არეგულირებენ ურთიერთობას, რომელიც წარმოიშობა მედია სფეროში ინფორმაციული უფლებებისა და თავისუფლების რეალიზაციასთან დაკავშირებით.

მედია სამართლებრივი ნორმები შეიძლება დაიყოს იმპერატიულ და დისპოზიციურ ნორმებად. მედია სამართლებრივი ნორმების გარკვეული ჯგუფი ყალიბდება კონსტიტუციური ნორმების საფუძველზე. ასეთებია ნორმები, რომლებიც ითვალისწინებენ კანონიერი წესით ინფორმაციის შეგროვების, გავრცელების, მიღებისა და მოძიების უფლებას, შემოქმედების თავისუფლებას და კანონით დაცულ სხვა საქმიანობას. კონსტიტუციაზე დამყარებულ ნორმათა უმეტესობა იმპერატიულია (ე.ი. სამართლებრივი მოთხოვნები მოცემულია მბრძანებლურ ფორმაში), თუმცა გვხვდება დისპოზიციური ნორმებიც (რომლებიც მხარეებს ანიჭებს ნორმის ფარგლებში დამოუკიდებელი მოქმედების უფლებას).

შინაარსის შესაბამისად მედია-სამართლებრივი ნორმები შეიძლება იყოს მატერიალური და პროცესუალური.

მატერიალური მედია-სამართლებრივი ნორმები ადგენენ მედია სფეროში არსებული ელემენტების სტრუქტურას. ისინი განსაზღვრავენ სახელმწიფო პოლიტიკას მედია სფეროში, მედია პროცესების მონაწილეების უფლება-მოვალეობებს და პასუხისმგებლობას. ასეთი ნორმები ადგენენ მედია-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების უფლებრივ სტატუსს, უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიმოქცევის პროცესის მიმდინარეობას, ინფორმაციული რესურსების ფორმირებას და მათი სარგებლობის წესსა და პირობებს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

პროცესუალური მედია სამართლებრივი ნორმები არეგულირებენ მატერიალური ნორმების მიერ მედია სამართლებრივი ურთიერთობის ჩარჩოებში სუბიექტების უფლება-მოვალეობებს და პასუხისმგებლობის რეალიზაციის პროცედურას. მაგალითად, ასეთი ნორმებით დადგენილი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ლიცენზირებისა და სერტიფიკაციის წესები, ინფორმაციული რესურსების ფორმირების და მისი მიმოქცევის პროცედურა.

ისევე როგორც სამართლის სხვა დარგების ნორმებს, მედია სამართლის ნორმებსაც აქვთ თავიანთი შინაგანი სტრუქტურა, შემადგენელი ელემენტების ლოგიკური წყობა. ისინი შედგებიან ჰიპოტეზის, დისპოზიციისა და სანქციისაგან.

ჰიპოტეზა განსაზღვრავს პირობებს, გარემოებებს, რომელთა არსებობისას შეიძლება წარმოიშვას მედია-სამართლებრივი ურთიერთობა და მიუთითებს სუბიექტთა წრეზე – სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებზე. მაგალითად, სახელმწიფო სტრუქტურებისაგან, ინფორმაციის მიღების წესის დადგენისას განსაზღვრულია მომხმარებლის მიმართვის პირობები და სახელმწიფო ორგანოს მიერ ინფორმაციის გაცემის პირობები.

მედია სამართლებრივი ნორმის საფუძველს წარმოადგენს დისპოზიცია, რომელიც შეიცავს დანაწესს იმის შესახებ, როგორ უნდა იმოქმედონ სუბიექტებმა სამართლებრივ ურთიერთობაში, დადგენილია მათი უფლებები და მოვალეობანი. მაგალითად, კანონი განსაზღვრავს მკითხველისა და ბიბლიოთეკარის უფლება-მოვალეობებს ინფორმაციული მომსახურების დროს.

უფლებათა დაცვა და უზრუნველყოფა ხდება სანქციის მეშვეობით. მედია სამართლებრივი ნორმის სანქცია გამოიხატება იძულებით ღონისძიებებში, რაც შედეგად მოსდევს ნორმის შეუსრულებლობას. ასეთი სანქციები მრავალფეროვანია. შესაბამისად იმისა როგორი სახისაა ინფორმაცია, მიყენებული ზარალი, სამართალდარღვევის პირობები, სანქცია შეიძლება გამოიხატოს სამოქალაქო სამართლებრივ, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში.

ნორმატიული სამართლებრივი აქტის კონკრეტულ მუხლში შეიძლება არ იყოს მედია სამართლებრივი ნორმის ყველა ელემენტი, მაგრამ მითითებული იყოს ამავე ან სხვა ნორმატიული აქტის შესაბამის მუხლზე.

* * *

მედია სამართლის ნორმები რეალიზდებიან მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების პროცესში. ამ ნორმებით ხელმძღვანელობს სამართლის ყველა სუბიექტი, მათ შეუსაბამებს თავიანთ მიზნებს და ამოცანებს.

კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირებას სათანადო ნორმის საფუძველზე სამართლის შეფარდება ეწოდება. მედია სამართლის ნორმების შეფარდება უპირველეს ყოვლისა, არის ნორმების რეალიზაციის ფორმა. მედია სამართლის ნორმების რეალიზაცია დაკავშირებულია მედია სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების მართლზომიერ მოქმედებასთან, ე.ი. ისეთ მოქმედებასთან, რომელიც არ ეწინააღმდეგება სამართლის ნორმებს.

მედია სამართლის სფეროში ხდება როგორც იმპერატიული, ასევე დისპოზიციური ნორმების შეფარდება.

იმპერატიული მედია სამართლებრივი ნორმები ადგენენ, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ორგანოთა ვალდებულებას ინფორმაციის წარმოების და გავრცელების სფეროში, უზრუნველყოფენ მოქალაქეთა და ორგანიზაციათა ინფორმაციული უფლებების დაცვას, ინფორმაციული რესურსების ფორმირებასა და უსაფრთხოებას; სახელმწიფო ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური სისტემის შექმნას, არეგულირებენ მედია სფეროში სამართალდარღვევებისათვის იურიდიული პასუხისმგებლობის საკითხს. ამ ჯგუფში შედიან აგრეთვე ნორმები, რომლებიც იცავენ პერსონალური მონაცემების სუბიექტების უფლებებს, მედია სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკას, მომხმარებლის ინფორმაციულ უფლებებს და სხვა ანალოგიური ნორმები, კერძოდ ნორმა-დეფინიციები (განსაზღვრებანი), ნორმა-პრინციპები, ნორმა-აკრძალვები, ნორმა-კომპეტენციები, ნორმა-სანქციები და ა.შ.

დისპოზიციური მედია სამართლებრივი ნორმები შეეფარდებიან არამატერიალური სიკეთის, ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის სფეროში. ეს არის პიროვნების პატივი და ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, პირადი და ოჯახური საიდუმლოება, ავტორობის უფლება და სხვა პირადი და ქონებრივი უფლებები, დაკავშირებულნი ინფორმაციასთან. დისპოზიციურ მედია ნორმებს აქვთ თავისი სპეციფიკა, რაც განპირობებულია ინფორმაციის და ინფორმაციული ობიექტების თავისებურებებით და რითაც ისინი განსხვავდებიან დისპოზიციური ხასიათის სამართლის სხვა ნორმებისაგან.

* * *

მედია სამართლის ნორმები, ისევე როგორც სხვა სამართლებრივი ნორმები შეეფარდებიან განსაზღვრულ სივრცეში, განსაზღვრული დროის განმავლობაში და გარკვეულ პირთა მიმართ.

მედია ნორმების სივრცეში მოქმედების პრობლემა წყდება ჩვეულებრივი წესით: საქართველოს კანონები მოქმედებენ მთელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. კანონში ან სხვა ნორმატიულ აქტში შეიძლება აღნიშნული იყოს რომ მისი შეფარდება უნდა მოხდეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ ტერიტორიაზე. ხელისუფლებისა და მმართველობის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ორგანოების ნორმატიული აქტები მოქმედებენ შესაბამის ტერიტორიაზე.

რაც შეეხება მედია ნორმების დროში მოქმედების საკითხს, ისინი ძალაში შედიან იმ თარიღიდან, რომელიც მითითებულია ნორმატიული აქტის ტექსტში. თუ ასეთი მითითება არ არის, მაშინ კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, კანონქვემდებარე აქტები – გამოქვეყნებისთანავე. შეიძლება ნორმატიული აქტი გამოქვეყნდეს რადიოთი, ტელევიზიით და დაუყოვნებლივ შევიდეს ძალაში (მაგალითად, ექსტრემალურ სიტუაციებში).

მედია სამართლებრივი აქტები ძალას კარგავენ შემდეგ შემთხვევებში: ა) თუ გავიდა ვადა, რომლის განმავლობაშიც აქტს ჰქონდა იურიდიული ძალა; ბ) თუ აქტი ოფიციალურად იქნება გაუქმებული; გ) თუ გამოიცემა ახალი აქტი, რომელიც ახლებურად არეგულირებს იმავე ურთიერთობებს (თუნდაც ძველი არ იყოს ოფიციალურად გაუქმებული); დ) აქტმა შეიძლება ძალა დაკარგოს მეტიმეტი სიძველის გამო.

მედია სამართლებრივი ნორმები ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე და საქართველოში მცხოვრებ უცხოელებზე გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

თავი 3. მედია სამართლის წყაროები

ტერმინი „სამართლის წყარო“ მომდინარეობს რომაული იურის-პრუდენციიდან. იგი აღნიშნავს იმ ძალას, იმ ფაქტორს, რომელიც ქმნის სამართალს. განასხვავებენ სამართლის სოციოლოგიური და იურიდიული წყაროს ცნებებს. სოციოლოგიური წყარო ეწოდება რეალური სინამდვილის იმ ფაქტებს, რომელთა გავლენით ყალიბდება სამართალი. სამართლის იურიდიული წყაროს ცნება მოიცავს პოზიტიურ კანონმდებლობას, იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურას („იურისტების სამართალი“), სასამართლო პრაქტიკას (Case Law - სამოსამართლო სამართალი) მართლშეგნებას, ჩვეულებით სამართალს. სამართლის იურიდიული წყარო ადგენს სავალდებულო მოთხოვნებს. ვიწრო გაგებით სამართლის წყარო ეწოდება იმ სპეციფიკურ ფორმებს, რომელშიც სახელმწიფო ხელისუფლება გამოხატავს სამართლის ნორმებს. ამ ასპექტით მედია სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენენ ნორმატიული აქტები, ე. ი. ისეთი სამართლებრივი აქტები, რომლებიც შეიცავენ მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.

სახელმწიფოს ძირითადი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დაადგინოს და დააკანონოს წესები მედია სამართლის სფეროში, შექმნას მასმედიის სამოქმედო მოდელი, განახორციელოს ტელეკომუნიკაციების მარეგულირებელი წესების ლიბერალიზაცია. სახელმწიფოს პრეროგატივაა უზრუნველყოს მედია სფეროში პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფო ინტერესების, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების, ზნეობისა და ეროვნული ტრადიციების დაცვა. ძველი რომაელი იურისტები ეყრდნობოდნენ პრინციპს *Jus est ars boni et aequi* „სამართალი არის სიკეთისა და სამართლიანობის ხელოვნება“. შესაბამისად, სამართალი მოიაზრება როგორც ნორმატიულად განმტკიცებული შეხედულება სამართლიანობაზე. ეს სრული ზომით ეხება ჟურნალისტიკას და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რომელთა საქმიანობის საფუძველია სიმართლის ხელოვნება. ჟურნალისტიკა მოკლებული იქნება „სიმართლის ხელოვნებას“, ზნეობრივ და სამართ-

ლებრივ საფუძვლებს, თუ ვერ შეასრულებს იმ დიდ სოციალურ როლს, რაც მას აკისრია სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე.

ჯერ კიდევ XX საუკუნეში არსებობდა პრესაში საზოგადოებრივი მოვლენების განმსაზღვრელი წესები, განმტკიცებულნი სხვადასხვა დოკუმენტებში. 1990-იან წლებში მიღებული იქნა „ამერიკული საგაზეთო გილდიის ეთიკური წესები“, 1935 წელს მიღებული იქნა ფრანგული „სინდისის კანონი“.

თანამედროვე პერიოდში არსებობს საკმაო ერთობლიობა სამართლებრივი ნორმებისა, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მასმედიის ორგანიზაციასა და საქმიანობასთან. მასმედიის ფუნქციონირება მიმდინარეობს სრულიად განსაზღვრულ სამართლებრივ სივრცეში. მედიის საქმიანობას არეგულირებს არა მარტო ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა, არამედ ბევრი საერთაშორისო სამართლებრივი აქტიც.

საერთაშორისო სამართლებრივი აქტების პირდაპირი ინტერპრეტაცია მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის თანახმად, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი, ითვლებიან საქართველოს სამართლებრივი სისტემის შემადგენელ ნაწილად. მათ უპირატესი იურიდიული ძალა აქვთ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატული აქტების მიმართ, თუ არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციასა და კონსტიტუციურ შეთანხმებას. აქედან გამომდინარე საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებენ ისეთი საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, როგორცაა „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ ევროპის კონვენციის მე-10 მუხლი, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2000 წლის 8 მარტის რეკომენდაცია სახელწოდებით – ჟურნალისტიკის უფლება არ გაამჟღავნოს ინფორმაციის წყაროები და სხვა.

საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებს შორის, რომლებიც ეხებიან მედიის საქმიანობას, უპირველესი მნიშვნელობა აქვს ნორმებს

ინფორმაციის თავისუფლების შესახებ. ეს ფუძემდებლური პრინციპი განმტკიცებულია ისეთ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში, როგორცაა „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ (1948წ.) ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შესახებ (1966წ.), მე-4 ევროპული კონვენციის ჩარჩოებში მიღებული რეზოლუცია „ჟურნალისტური თავისუფლება და ადამიანის უფლებები“ (1994წ.), ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 748-ე რეზოლუცია „ეროვნული მაუწყებლობის როლისა და მისი მართვის შესახებ“ (1975წ.), № 820 რეზოლუცია „სახელმწიფოთა პარლამენტების მასმედიასთან ურთიერთობების შესახებ“ (1984წ.), იუნესკოს რეგიონალურ სემინარებზე მიღებული დეკლარაციები ვინდჰუკში (ნამიბია, 1991წ.), ალმა-ატაში (1992წ.), სანტიაგოში (1994წ.) სოფიაში (1997წ.), ჰელსინკის დასკვნითი აქტი (1975წ.), მადრიდის (1983წ.), ვენის (1989წ.) ლონდონის ინფორმაციული ფორუმის (1989წ.) რეკომენდაციები ევროპის საბჭოს 1982 წლის 22 აპრილის დეკლარაცია, რომელსაც „ინფორმაციის საშუალებების ევროპულ ქარტიას“ უწოდებენ და ა. შ.

ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან ნორმატიულ ბაზას, რომლის საფუძველზე უნდა განვითარდეს ეროვნული კანონმდებლობა მედიის შესახებ.

საქართველოს კანონმდებლობა მედიის შესახებ ეყრდნობა ქვეყნის ძირითად კანონს, კონსტიტუციას; კონსტიტუციაშია განმტკიცებული ისეთი ფუძემდებლური პრინციპები, როგორცაა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის თავისუფლება. ინფორმაციის თავისუფლება და ხელმისაწვდომობა, ცენზურის დაშვებულობა და სხვა.

მედია სამართლის წყაროებს შორის უმნიშვნელოვანესი ნორმატიული აქტებია კონსტიტუციის საფუძველზე მიღებული კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ (ამ კანონმა გააუქმა კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“), საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რეგლამენტი „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“¹, „მედიის პროფესიული სტანდარტი“, საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს საარჩევნო კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს კანონი „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“, საქართველოს კანონი „საავტორო და მიჯნავე უფლებების შესახებ“ და ა. შ.

მედიის საქმიანობის ნორმატიულ რეგულირებაში განსაზღვრულ როლს თამაშობენ კორპორაციული ნორმები. მათ შორის უნდა გამოვყოთ ლოკალური ნორმები, რომლებსაც შეიცავენ შიდა ორგანიზაციული დოკუმენტები. მაგალითად, რედაქციის წესდებები ან დებულებები. ასეთი ნორმები მიზანშეწონილია იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირებისათვის, რომლებიც არ ექვემდებარებიან პოლიტიკურ ან სამართლებრივ რეგულირებას. რა თქმა უნდა, არ შეიძლება ზედმეტად შევაფასოთ მათი მნიშვნელობა, რამდენადაც ასეთი ნორმების იმპერატიულობა ვრცელდება მხოლოდ მოცემული ტელეკომპანიების რედაქციის თანამშრომლებზე.

ჩვეულებებსა და ტრადიციებს გარკვეული მნიშვნელობა აქვთ მასმედიის საქმიანობის რეგულირებაში. ამ საქმიანობაზე კეთილმყოფელ გავლენას ახდენს ტრადიციები და ჩვეულებანი, რომლებიც სასარგებლოა საზოგადოებისათვის.

1. ამ რეგლამენტმა სამართლებრივად მოაწესრიგა მომხმარებლისათვის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების წესები და პირობები, განსაზღვრა მომხმარებელთა უფლებები და კანონიერი ინტერესები. რეგლამენტში განმარტებულია ტერმინები, რომლებიც გამოიყენება ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურების სფეროში. რეგულირებულია ისეთი საკითხებიც, როგორცაა საინფორმაციო და საანგარიშსწორებო უსრუენელებოფა, ძირითადი და გაფართოებული საკომუნიკაციო მომსახურების სახეები, კერძოდ, ადგილობრივი ქსელებითა და საშუალებებით, ინტერნეტით, ტელეფონებით (საკაბელო და საერთაშორისო, მობილური ტელეფონებით) მომსახურება, მომსახურების ხარისხი, მიმწოდებელსა და მომსმარებელს შორის სახელშეკრულები ურთიერთობა, მომსახურების შესწავლის წესი და პირობები, მომსახურების შეწყობა და შეწყობა, მომხმარებელთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვა და ა.შ.

მასმედიის საქმიანობის რეგულირებაში მნიშვნელოვანია დეონტოლოგიური ნორმები. დეონტოლოგია არის მეცნიერული წარმოდგენების სისტემა პროფესიონალის აუცილებელი, მიზანშეწონილი ქცევის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტის პროფესიის მარეგულირებელი ნორმები არცთუ იშვიათად ითვალისწინებენ დეონტოლოგიურ იმპერატივებს, ასეთ დეონტოლოგიურ ნორმებს შეიცავს „მედიის პროფესიული სტანდარტი“, რომელსაც ხელი მოაწერეს ქართველმა ჟურნალისტებმა ევროპის საბჭოს ეგიდით ჩატარებულ სემინარზე. ამ დოკუმენტის მიზანია ქვეყანაში მაღალპროფესიული ჟურნალისტის განვითარება და მედიის თვითრეგულირების მექანიზმის ამოქმედება.

უნდა აღინიშნოს, რომ გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოში, როცა სამოქალაქო საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თვითრეგულირების მექანიზმი საკმაოდ სუსტია რომ უზრუნველყოს დეონტოლოგიური ნორმების ეფექტურობა. ასეთ სიტუაციაში კანონმდებელი იძულებულია ჩართოს სამართლებრივ აქტში პროფესიული ქცევის წესები, მიანიჭოს მათ სავალდებულო ძალა. თუმცა ასეთი რეგულირების დროს ჟურნალისტებს არ უნდა მოახვიონ თავს ქცევის ისეთი წესები, რომლებიც ეწინააღმდეგება მათ სოციალურ როლს. ამას ითვალისწინებს იუნესკოს 1997 წლის სოფიის დეკლარაცია, ადგენს რა, რომ ჟურნალისტური საქმიანობის პროფესიულად სწორი მეთოდები წარმოადგენენ ეფექტურ გარანტიებს სამთავრობო შეზღუდვებისა და დაინტერესებული ჯგუფების მხრიდან ზემოქმედების თავის დასაღწევად. ნორმებისა და სახელმძღვანელო პრინციპების დადგენის ყოველი ცდა უნდა გამომდინარეობდეს თვით ჟურნალისტებისაგან.

ამრიგად, მასმედიის ორგანიზაცია და საქმიანობა რეგულირდება როგორც სამართლის, ასევე სხვა სოციალური ნორმებით, რათა უზრუნველყოფილი იქნას ჰარმონიულობა და პლურალიზმი საზოგადოებრივი ცხოვრების ამ მეტად მნიშვნელოვან სფეროში.

თავი 4. მედია სამართლებრივი ურთიერთობა

მედია სამართლებრივი ნორმების საფუძველზე და იურიდიული ფაქტების არსებობისას წარმოიშობა მედია სამართლებრივი ურთიერთობა. მედია სამართლებრივი ურთიერთობა არის მოქალაქეებს, პრესის რედაქციებს, ტელესტუდიებს და მედია სამართლის სხვა სუბიექტებს შორის წარმოშობილი კავშირი, რომლის მონაწილეებს გააჩნიათ მედია სამართლებრივი ნორმებით დადგენილი უფლება-მოვალეობანი.

მედია სამართლის თითოეული ნორმა რეალიზდება მედია სამართლებრივი ურთიერთობის მეშვეობით. მედია სამართლებრივ ურთიერთობას მიეკუთვნება საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც ასახულია მედია სამართლებრივ ნორმებში და რეგულირებულია ამ ნორმების მიერ. მედია სამართლებრივი ურთიერთობა წარმოადგენს მედია სამართლებრივ სფეროში წარმოშობილი ამოცანების გადაჭრის, ჟურნალისტებისა და მასმედიის უფლებების დაცვის, ინფორმაციის გაცვლის, ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებას.

მედია სამართლებრივ ურთიერთობას აქვს თავისი განსაზღვრული სოციალურ-სამართლებრივი სტრუქტურა და შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი, სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი – უფლება-მოვალეობათა ერთობლიობა.

მედია სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენენ კონკრეტული პირები – მოქალაქეები, რომლებსაც სურთ და შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მედია სამართლებრივ ურთიერთობებში (პროგრამის ავტორები, გაზეთების რედაქტორები, ჟურნალისტები, ტელეწამყვანები, მკითხველები, მსმენელები და ა.შ.). მედია სამართლებრივი ურთიერთობის სირთულისა და ხასიათის შესაბამისად სუბიექტთა რიცხვი შეიძლება იყოს სხვადასხვა, მაგრამ არანაკლებ ორისა, რამდენადაც ყოველგვარი სამართ-

ლებრივი ურთიერთობა არის მხარეებს შორის ურთიერთობა, ე.ი. კავშირი პირთა შორის, რომლებიც ახორციელებენ თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს მედია სფეროში. ამ სუბიექტების უფლებრივი მდგომარეობა შეიძლება არ იყოს იდენტური: ზოგიერთი შეიძლება იყოს მასმედიის ხელმძღვანელი, ზოგიერთი ავტორი და რედაქტორი, ზოგს სურდეს რეკლამის განთავსება და ა.შ.

მედია სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს წარმოადგენენ საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები. მათი უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობის საზღვრები და შინაარსი განისაზღვრება მედია კანონმდებლობით, რომლის საფუძველზე იურიდიული პირი ახორციელებს ინფორმაციულ-სამართლებრივ საქმიანობას. ამასთანავე, იურიდიული პირის ქმედუნარიანობა სპეციფიკურია და გამოიხატება იმაში, რომ მედია სფეროში იურიდიული პირი მონაწილეობს თავისი ხელმძღვანელის ან მმართველობის კოლექტივალური ორგანოს მეშვეობით.

მედია სამართლებრივი ურთიერთობის მნიშვნელოვან სუბიექტს წარმოადგენს თვით სახელმწიფო. სახელმწიფო წარმოადგენს ძირითადი ინფორმაციული რესურსების და ტექნოლოგიების მესაკუთრეს, აყალიბებს ქვეყნის ინფორმაციულ პოლიტიკას, უზრუნველყოფს ერთიანი ინფორმაციული სივრცის შექმნას, წყვეტს საერთაშორისო ინფორმაციული ბრუნვის ბევრ პრობლემას. მედია სამართლებრივი ურთიერთობაში სახელმწიფო გამოდის ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების სახით. მედია სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები შეიძლება იყვნენ საწარმოები, დაწესებულებანი, ორგანიზაციები, ბანკები და ა.შ., რომლებიც ახორციელებენ თავიანთ უფლებებსა და ინტერესებს სხვა სუბიექტებთან ერთად.

მედია სამართლებრივი ურთიერთობის ყველა სუბიექტი მოქმედებს მედია კანონმდებლობის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, როცა სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს ახორციელებენ მოქალაქეების, ჟურნალისტების, ნაწარმოების, კინოფილმების ავტორების და სხვათა მიმართ, ისინი წარმოადგენენ მედია სამართლებრივი ზემოქმედების სუბიექტებს.

მედია სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტებს წარმოადგენენ ყველა ის მატერიალური, სულიერი და სხვა სოციალური სიკეთე, მოვლენები და პროცესები, რომელთა გამოც სუბიექტები ამყარებენ ურთიერთშორის მედია სამართლებრივ ურთიერთობას და რომლებიც წარმოადგენენ მათი უფლება-მოვალეობების საგანს.

უპირველეს ყოვლისა, მედია სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტს წარმოადგენს სხვადასხვაგვარი ინფორმაციული რესურსები და ინფორმაცია, მონაცემთა ბაზები, პროგრამები, ბეჭდვითი ნაწარმოებები, წიგნები, გაზეთები და ჟურნალები, აუდიოვიზუალური მასალები, სარეკლამო პროდუქტი, კომპიუტერული, ინფორმაციული სისტემები, კავშირგაბმულობის საშუალებანი და ა.შ. სწორედ სამართლის ეს ობიექტები ხშირად ხდება ინფორმაციული დავის, გარიგებების, ხელშეკრულებების, შეთანხმებების და სხვათა საგანი.

მედია სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტს წარმოადგენს სამართლის სუბიექტების გარკვეული ქცევა. მაგალითად, მოქალაქეების და მათი კოლექტივების შემოქმედებითი საქმიანობა. ობიექტი შეიძლება იყოს გარკვეული მოქმედებისაგან თავის შეკავებაც. ამას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა მედია სამართლებრივი ნორმა, რომელიც არეგულირებს მედია სამართლებრივ ურთიერთობას, კრძალავს ამა თუ იმ მოქმედებას, რომელიც ზიანს აყენებს ბიბლიოთეკებს და ამ ბიბლიოთეკებით მოსარგებლე პირებს.

მედია სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი განისაზღვრება მისი სუბიექტების უფლება-მოვალეობათა ერთობლიობით. ეს უფლება-მოვალეობანი კი საკმაოდ მრავალფეროვანი და ტევადია. მათ შორის უმნიშვნელოვანესია აზრის, რწმენისა და მრწამსის თავისუფლება, რომელიც აღიარა და საკანონმდებლო წესით განამტკიცა ადამიანის უფლებათა 1948 წლის 10 დეკემბრის დეკლარაციამ.¹ შემდგომში ეს დებულება აისახა სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტებში და მრავალი ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაში.

1. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებულ ამ დოკუმენტს საქართველო შეუერთდა 1991 წლის 19 სექტემბერს.

ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის (1950 წლის 4 ნოემბერი) მე-10 მუხლი ადგენს, რომ ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლება რეალიზდება სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან რაიმე ჩარევის გარეშე.¹

აღნიშნული უფლებები და თავისუფლებები განმტკიცებულია საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციითაც. კონსტიტუცია ადგენს: ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება (მე-19 მუხლი).

ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინება ხელშეუხებელია (მე-20 მუხლი).

ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას ან გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია (24-ე მუხლი).

კონსტიტუციის მუხლები ადგენენ მოქალაქის უფლებას – კანონით დადგენილი წესით გაეცნოს მასზე არსებულ ინფორმაციას, ოფიციალურ დოკუმენტებს, ინფორმაციას სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ, აღიარებულია ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება, განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება, კულტურულ ცხოვრებაში შეუზღუდავი მონაწილეობის უფლება და ა.შ.

მედია სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს უფლებებთან ერთად გააჩნიათ მოვალეობანიც. მოვალეობა, როგორც მედია სამართლებრივი ურთიერთობის კომპონენტი გამოიხატება იმაში, რომ მედია სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი მოწოდებულია და ვალდებულიც კანონის შესაბამისად შეასრულოს განსაზღვრული მოქმედება და თავი შეიკავოს მოქმედებისაგან. ეს არის არა მარტო იურიდიული, არამედ სოციალური მოვალეობაც.

1. აღნიშნულ კონვენციის საქართველო შეუერთდა 1995 წლის 23 ნოემბერს.

დამოუკიდებლად ახდენს მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტაციას, ფილტრავს და აფასებს მას თავისი მსოფლმხედველობის, სოციალური მდგომარეობის, კულტურული განვითარების, რწმენის, ასაკის, სქესისა და სხვა ფაქტორების შესაბამისად.

მედიის ძირითადი ფუნქცია – მიაწოდოს მასობრივი ინფორმაცია ფართო აუდიტორიას, გამოიხატება შემდეგ ცალკეულ ფუნქციებში:

□ მეთვალყურეობა. თანამედროვე საზოგადოებაში მხოლოდ მედიას შეუძლია მიაწოდოს მოქალაქეებს დროული და სრული ინფორმაცია შიდაპოლიტიკურ პროცესებზე, საერთაშორისო ურთიერთობის პრინციპებზე და საერთაშორისო ცხოვრებაზე. მედია არა მარტო ართობს და ანათლებს ადამიანებს, იგი ასრულებს მუნიციპალურ – მმართველობით ფუნქციას, ზეგავლენას ახდენს პოლიტიკურ პროცესებზე, თვალყურს ადევნებს ხელისუფლების სამი შტოს – საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების საქმიანობას. იყენებენ რა მასმედიას, როგორც მსოფლიო დიქტატურის საშუალებას, „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ პასიურ უმრავლესობას თავს ახვევენ თავიანთ პრინციპებს და ეტალონებს, ქმნიან ახალ, ილუზიურ სინამდვილეს, მითებს მასმედიის ყოვლისშემძლეობისა და განუსაზღვრელი შესაძლებლობების შესახებ. მთელ მსოფლიოში წამყვანი ტელეკომპანიები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ მთავრობის პოლიტიკის შესაბამისად და ხელს უწყობენ ამ პოლიტიკის განმტკიცებას. ადამიანებს არ შეუძლით ერთმნიშვნელოვნად თქვან: რა უფრო ძლევა მოსილია ამ ქვეყანაზე – პოლიტიკა, ფული, იდეოლოგია, რელიგია, მეცნიერება თუ მედია.

□ საზოგადოებრივი კომუნიკაციის უზრუნველყოფა. დემოკრატიულ საზოგადოებაში, საზოგადოების წევრთა კონსენსუსის (თანხმობის) მისაღწევად, რომლის გარეშე მშვიდობიანი თანაარსებობა შეუძლებელია, აუცილებელია საჯარო დისკუსია. მასიურად დასახლებულ ქალაქებში საჯარო ფორუმს სწორედ მედია წარმოადგენს.

მედია ცალკეულ ინდივიდს გარკვეულ ჯგუფს მიაკუთვნებს, ჯგუფებს ერის სახეს აძლევს, წვლილი შეაქვს საერთაშორისო

თანამშრომლობაში. გარდა ამისა მედია უზრუნველყოფს კომუნიკაციას ერთი და იმავე ეთნიკური წარმოშობის, პროფესიის, და მისწრაფების მქონე ადამიანებს შორის, რომლებიც ხშირად გაფანტულნი არიან საზოგადოებაში. მედია ადამიანთა შორის თანხმობის, მათი ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრის ეფექტური კომუნიკაბელური საშუალებაა. ამ მხრივ მას ანალოგი არ გააჩნია.

□ მსოფლიოს ახალი ამბებით უზრუნველყოფა. მთელი სამყაროს შესახებ პირდაპირ და უშუალო ინფორმაციას არავინ ფლობს. პირადი გამოცდილების გარდა, ადამიანი ცოდნას მსოფლიო მოვლენების შესახებ იღებს სკოლიდან, საუბრებიდან, უმაღლესი სასწავლებლიდან, სამუშაო ადგილიდან, თუმცა მთავარ წყაროს მაინც მედია წარმოადგენს. ადამიანები მედიის საშუალებით სამყაროს ნებისმიერ კუთხეში იღებენ ინფორმაციას მსოფლიოში მიმდინარე ამბების შესახებ, აღიქვამენ და აანალიზებენ მათ. ჩვეულებრივი პიროვნებისათვის ის არეალი, ადამიანები და საკითხები, რომლებიც მედიის ფოკუსში არ ხვდება, უბრალოდ არ არსებობენ.

□ კულტურის გავრცელება. ყველა ერის კულტურული მემკვიდრეობა თაობიდან თაობას გადაეცემა. ეს არის წარსულის გარკვეული ხედა, მსოფლიოს დღევანდელი დღე და მისი მომავალი, ფასეულობათა და ტრადიციათა ის ერთობა, რომელიც ინდივიდის ეთნიკურ იდენტურობას განსაზღვრავს. მედია უაღრესად დიდ როლს თამაშობს თითოეული ერის და მთლიანად მსოფლიოს კულტურული ფასეულობების განვითარებასა და გავრცელებაში: ამ მიზანს ემსახურება სხვადასხვა სახის პროგრამები: ლიტერატურული, მხატვრული თუ დოკუმენტური კინო ჩვენებები, ინტელექტუალურ-შემეცნებითი გადაცემები, თეატრალური წარმოდგენები და სხვადასხვა ღონისძიებანი. ადამიანები სწორედ მედიის მეშვეობით იმაღლებენ თავიანთ ინტელექტუალურ დონეს, თვალყურს ადევნებენ საზოგადოების კულტურულ ცხოვრებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ინდივიდებისა და მთლიანად საზოგადოების განვითარებისათვის.

□ გართობა. თანამედროვე საზოგადოებას გართობა დღეს უფრო მეტად ესაჭიროება, ვიდრე არასდროს. ცხოვრების დაძაბული და სწრაფი ტემპი, ტექნიკისა და კომუნიკაციური საშუალებების არნახული განვითარება, ეკონომიკური, ეკოლოგიური თუ სოციალური პრობლემები საფრთხეს უქმნის ადამიანთა ცხოვრებას, იწვევს ფიზიკურ და მენტალურ დაავადებებს. ყოველდღიური დაძაბულობისაგან განტვირთვას ადამიანები მედიის მეშვეობით აღწევენ. მედიის ფუნქცია – გაართოს საზოგადოება მეტად მნიშვნელოვანია სხვა ფუნქციათა შორის. ფართო აუდიტორია ყოველდღიურად მოელის მედიისაგან გართობას, რომელსაც ემსახურებიან მრავალრიცხოვანი გასართობი ღონისძიებანი, თვალსაჩინო სანახაობანი, გართობაზე სპეციალიზებული გამოცემანი (მაგ; კროსვორდის ჟურნალები). გასართობი მედია წარმოადგენს უზარმაზარ ინდუსტრიას, რომელსაც თითქოს პოლიტიკური ფუნქცია არ აკისრია. ხანგრძლივი დროის განმავლობაში დამკვიდრებული იყო ტენდენცია, რომ ამ სფეროში ეთიკური ნორმები საკმარისი იყო ურთიერთობათა რეგულირებისათვის. თუმცა, მოგვიანებით ბევრმა ურთიერთობამ საკანონმდებლო რეგლამენტაცია მოითხოვა (მაგ; პორნოგრაფიული გადაცემების, ძალადობის ან სექსუალური სცენების გამო).

მედია და გართობა ყოველთვის მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. მათ შორის ზღვარი სულ უფრო ბუნდოვანი ხდება. პოპულარული პრესა ყოველთვის იხრებოდა გართობისაკენ. ამჟამად კომერციული მედიის უმეტესობა „შოუ-ბიზნესად“ აქცევს თავისი პროდუქციის დიდ ნაწილს. გართობა მედიის საქმიანობის ისეთი მხარეა, რომელიც როგორც ცალკეული ინდივიდების, ასევე მთელი საზოგადოების ინტერესებს ემსახურება.

□ მედია რეკლამის გავრცელების მთავარი საშუალებაა. მედიის საშუალებების მესაკუთრეთა უმთავრესი მიზანი ძალიან ხშირად არის საზოგადოების ცდუნება და შემდეგ რეკლამის განმთავსებლებისათვის დროის (ფართის) მიყიდვა. ჟურნალისტიკა თავისუფალი პროფესიაა, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში განუყრელად არის დაკავშირებული ბიზნესთან. მეწარმენი ქმნიან გამოცემლო-

ბებს და ტელეკომპანიებს, უზარმაზარ სახსრებს ხარჯავენ გაზეთების, ჟურნალების, ტელე-რადიო პროგრამების შექმნისათვის. მედია ქმნის იმ ინტელექტუალურ პროდუქტს, რასაც მეწარმე ყიდის მომხმარებელზე. თანამედროვე გლობალურ ინფორმაციულ სივრცეში მედიის ყველაზე მნიშვნელოვანი მომხმარებლები არიან რეკლამის დამკვეთნი. ისინი დაინტერესებულნი არიან რეკლამის შინაარსის ხარისხით, რამდენადაც ეფექტური რეკლამირება ყოველთვის მოგებასთან არის დაკავშირებული. ზოგიერთმა სარეკლამო „გზავნილმა“ შეიძლება სასურველი აუდიტორიის ყურადღება მიიპყროს.

ბევრ მაყურებელს რეკლამა პოზიტიურ სამსახურს უწევს, უზრუნველყოფს ინფორმაციით, მოხმარებისა და კონკურენციის სტიმულირების გზით იწვევს ფასების (მედიის ფასების ჩათვლით) ვარდნას. კრიტიკოსები კი პირიქით თვლიან, რომ რეკლამირება იწვევს ადამიანთა მანიპულირებას, გარემოს დაბინძურებას და სახსრების ფლანგვას.

წარმოადგენს თუ არა რეკლამა მასობრივი ინფორმაციის გავრცელების ფორმას? რა თქმა უნდა, რეკლამა ამ მიზანს ემსახურება და ამ აზრით იგი უნდა სარგებლობდეს ინფორმაციის თავისუფლების კონსტიტუციური დაცვით, უნდა ჰქონდეს ყველა ძირითადი გარანტია, როგორც აქვს ინფორმაციას და გართობას.

თავი 6. მედიის ტიპები

მედია თანამედროვე საზოგადოების მეტად რთული სოციალური სისტემის და მისი ქვესისტემების ნაწილია. მთლიანობაში ის უზარმაზარი ცოცხალი ორგანიზმის მსგავსად მოქმედებს. მედია ერთდროულად წარმოადგენს წარმოებას, საზოგადოებრივ სამსახურს და პოლიტიკურ ინსტიტუტს, რაც მას ორაზროვან სტატუსს ანიჭებს.

მასმედიის სამართლებრივი კატეგორია განმსაზღვრელია მედია სამართლის საერთო სისტემაში; მასმედია წარმოადგენს ინფორმაციის პერიოდული გავრცელების ფორმას, თავისი სამართლებრივი ბუნებით კი იგი ინტელექტუალური საქმიანობის რეზულტატია.

მრავალი წელია სამეცნიერო ლიტერატურაში მიმდინარეობს ტერმინოლოგიური დავა ორ ცნებას შორის: „მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი“ და „მასობრივი კომუნიკაციის საშუალებანი“. დავა მიმდინარეობს უპირველეს ყოვლისა იმის შესახებ, რომელი ცნებაა უფრო ფართო? რა იგულისხმება „მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში“? და რა იგულისხმება „მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებში“? უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობაში არ არის განსხვავებული ამ ორი ტერმინის შინაარსობრივი მხარე და დამახასიათებელი ნიშნები. მეცნიერთა შეხედულებანი კი არაერთგვაროვანია. არის მოსაზრება, რომ „მასობრივი კომუნიკაციების საშუალებანი“ უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე „მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი“¹ და პირიქით, რომ „მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი“ უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე „მასობრივი კომუნიკაციის საშუალებანი“.² ბევრი მკვლევარი კი ამ ორ ტერმინს განიხილავს როგორც სინონიმებს.³

მასმედია სპეციალური ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი სუბიექტია, რომელიც ერთი და იგივე გზავნილს ერთდროულად გადასცემს სხვადასხვა ინდივიდთა ფართო ჯგუფს. „მედიის“ დეფინიციაში არ შედის ტელეფონი, საზოგადოებრივი აზრის კვლევა, ფოსტა და ბილბორდები, რადგან მათი გზავნილი იშვიათად თუ ატარებს არაკომერციულ ხასიათს.

მეტად მრავალფეროვანია მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. მათ მიეკუთვნება: გაზეთები, ჟურნალები, ტელერადიო მაუწყებლობები, ტელერადიო პროგრამები, კინო დოკუმენტალისტიკა, ინფორმაციული სააგენტოები, საჯარო ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები. მასმედიის კლასიფიკაცია შესაძლებელია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. გამოხატვის ფორმის შესაბამისად მასმედია იყოფა: ბეჭდვით და

1. Вангеров А. Б. Право и информация в условиях автоматизации управления. М 1978. С. 23
2. Гавра Д. П. Эффективность коммуникационных источников. Век информации. СПб. 2000. С. 15.
3. Фельдкин И. А. Общественное сознание и массовая коммуникация в буржуазном обществе. М 1978. С. 214.

ელექტრონულ მასმედიად. ბეჭდვით მასმედის მიეკუთვნება პრესა-გაზეთები, ჟურნალები, ბიულეტენები, პროგრამები და ა.შ. ელექტრონულ მასმედის მიეკუთვნება: ტელევიზია, რადიო, კომპიუტერი. მასმედიის საერთო სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ინტერნეტს.

მასმედიის ეს კატეგორიზაცია იმდენად განსხვავებულ სახეობებს მოიცავს, რომ სამართლებრივი და ეთიკური ნორმები ყოველი მათგანი-სათვის ერთნაირი ვერ იქნება. საკუთრების ფორმების შესაბამისად მასმედია შეიძლება იყოს:

- სახელმწიფოებრივი;
- კერძო (კომერციული);
- საზოგადოებრივი;
- საქველმოქმედო;
- შერეული ტიპის.

ბეჭდვითი მასმედია – პრესა, მასობრივი ინფორმაციის ყველაზე ხელმისაწვდომი საშუალებაა. ერთმანეთისაგან ფუნდამენტურად უნდა გაემიჯნოს პრესა, რომელიც ინფორმაციაზეა ორიენტირებული და პრესა, რომელიც საზოგადოებრივი აზრის ფორმულირებაზე აკეთებს ფოკუსირებას. სამართლებრივი და ეთნიკური ნორმები პირველ რიგში მიესადაგება ინფორმაციულ პრესას, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მედიის მიუკერძოებლობას. ინფორმაციულ პრესაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ეთნიკურმა, რელიგიურმა და პოლიტიკურმა იდეოლოგიამ – დამახინჯებულად წარმოაჩინოს რეალობა, ბუნდოვნად გადმოსცეს იდეები, იყოს უსამართლო და შეურაცხყოფელიც კი.

სპეციალიზებული პრესის მარეგულირებელი სტანდარტები განსხვავებულია. პრესა, რომლის ტირაჟი კონტროლირებადია, რეალურად წარმოადგენს სუფთა რეკლამას და საშინაო მიმოხილევებს, რომელთაც აქვეყნებენ კომერციული და საჯარო ინსტიტუტების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები.

უეჭველია, რომ საკუთრების ფორმა არსებით გავლენას ახდენს გამომცემლობის შინაარსსა და საქმიანობაზე. სახელმწიფო მასმედია

ხშირად გამოხატავს ოფიციალური ხელისუფლების თვალსაზრისს და ბუნებრივია, სწორედ ამ მიზნით იქმნებიან ისინი. ასეთი მასშედი არსებობს ბიუჯეტის დაფინანსების საფუძველზე.

კერძო გამომცემლობები დოტაციას იშვიათად ღებულობენ და იძულებულნი არიან თვითონ მოიპოვონ არსებობისათვის საჭირო სახსრები. საზღვარგარეთ კერძო გამომცემლობებს შორის ყველაზე მომგებიანია უფასო გაზეთები დიდი ტირაჟით, რამდენადაც ისინი უფრო მიმზიდველნი არიან რეკლამის მკეთებლებისათვის, რა თქმა უნდა, უფასო გაზეთს გარანტირებული აქვს ტირაჟის გავრცელება.

პარტიული გაზეთებისა და ჟურნალების დაფინანსება ხდება ამა თუ იმ საზოგადოებრივი გაერთიანებების შესაძლებლობების შესაბამისად. ისინი ეწევიან ყოველდღიურ პროპაგანდას თავიანთი მიზნებისა და ტრადიციების სასარგებლოდ.

საქველმოქმედო გამომცემლობები მსოფლიო მასშტაბით ამჟამად იშვიათად გვხვდება. ჩვეულებრივად მისი მფლობელია ესა თუ ის საქველმოქმედო ფონდი, რომელიც დაფუძნებულია მდიდარი მეცენატის მიერ.

მასშედიის საერთო სისტემაში ბეჭდვით მედიასთან ერთად საზოგადოებრივ ცხოვრებაზე სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენს ელექტრონული მასშედი – ტელე-რადიო მაუწყებლობები, რომლებიც ძირითადად ორი სახისაა: საზოგადოებრივი და კერძო. რუსეთში ტელე-რადიო მაუწყებლობა ორი სტრუქტურისაგან ედგება: სახელმწიფო მაუწყებლობა და კერძო. მათ შორის განხვავება მდგომარეობს შემდეგში: სახელმწიფო სამაუწყებლო ორგანიზაციებს მართავს მთავრობა ან ქვეყნის პრეზიდენტი. მის ხელმძღვანელობას ნიშნავს ან თანამდებობიდან ათავისუფლებს სახელმწიფოს ან აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი. სახელმწიფო მაუწყებლობა თავის პროგრამას გეგმავს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით. ასეთი მაუწყებლობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ხელისუფლების პოლიტიკისათვის მხარდაჭერა. ოპოზიცია აქ ან თითქმის არ არის წარმოდგენილი ან უმცირესობაა და მის ხმას მინიმალური წონა აქვს.

რაც შეეხება საზოგადოებრივ მაუწყებლობას, მას მართავს სპეციალური საზოგადოებრივი ორგანო, რომელიც ასრულებს ბუფერის როლს სახელმწიფო ხელისუფლებასა და პროგრამის რედაქტორებს შორის. ეს სპეციალური ორგანო შეიძლება ჩამოყალიბებული იქნეს საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების ან პარლამენტის მიერ იმ პირობებში, რომლებიც სარგებლობენ მოსახლეობის ფართო სპექტრის პატივისცემით. საზოგადოებრივი ორგანო აყალიბებს სამაუწყებლო პოლიტიკის პრინციპებს. საზოგადოებრივი მაუწყებლობის მიზანია დააკმაყოფილოს მოსახლეობის ყველა ფენის მოთხოვნილება. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ისეთი პროგრამის გავრცელებას, რომელთაც არა აქვთ კომერციული ინტერესი. საზოგადოებრივმა მაუწყებლობამ არ უნდა დაუშვას ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის ან კომერციული ორგანიზაციების წინასწარგანზრახული პროგრამების გაშუქება. ამიტომ საზოგადოებრივ არხებზე ტრადიციულად აკრძალულია ან შეზღუდულია რეკლამა.

საზოგადოებრივი მაუწყებლობის საყოველთაოდ მიღებული მოდელები არ არსებობს. თითოეული ქვეყანა საზოგადოებრივი მაუწყებლობის რეგულირებას ახდენს ეროვნული თავისებურებებისა და ჩამოყალიბებული ტრადიციების გათვალისწინებით.

კერძო მაუწყებლობა არ წარმოადგენს არც სახელმწიფო, არც საზოგადოებრივ მაუწყებლობას. მას ახორციელებს კერძო სამართლის კომერციული და არაკომერციული პირი კანონით დადგენილი წესით.

თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ღრმად შეიჭრა ახალი ტიპის ტელეკომუნიკაციური ქსელი, რომელიც კაცობრიობის ცივილიზაციის სრულიად ახალი სფეროა. ტელეკომუნიკაციურმა ქსელმა და კომპიუტერულმა ინფორმაციამ ახალი ეტაპი დაიწყო ინფორმაციული ურთიერთობების ორგანიზაციაში. განსაკუთრებული გავლენა საზოგადოებრივ ურთიერთობებზე მოიპოვა კომპიუტერული ინფორმაციის საერთაშორისო გადაცემის ისეთმა საშუალებამ, როგორცაა ინტერნეტი. ინტერნეტი არის ინფორმაციის წარმოებისა და გავრცე-

ლების ერთიანი ტექნოლოგიის ტელეკომუნიკაციების ქსელების ერთობლიობა. იგი ცოდნის მსოფლიო ბაზის განაწილებაა, რომელიც მოიცავს მრავალრიცხოვან სხვადასხვა ინფორმაციულ მასივებს (ინფორმაციულ რესურსებს, მონაცემებსა და ცოდნის ბაზებს), შედგება დოკუმენტებისა და ტექსტებისაგან, რომლებიც გაერთიანებულია ტრანსსასაზღვრო ტექნოლოგიური ინფორმაციული ქსელით. იგი დაფუძნებულია სხვადასხვა ტიპის და დანიშნულების კომპიუტერზე, საპროგრამო ინფორმაციულ რესურსებზე, კავშირისა და ტელეკომუნიკაციების საშუალებებზე, რომელთა მეშვეობით ხდება ინფორმაციის გადამუშავება და მიღება.

ინტერნეტი წარმოადგენს კაცობრიობის ყოფიერების ახალ სივრცეს, პიროვნების, საზოგადოების, სახელმწიფოს საქმიანობის ახალ გარემოს. ამ სივრცეს არცთუ იშვიათად უწოდებენ ვირტუალურს, მხედველობაში აქვთ ის ფაქტი, რომ ინფორმაცია – ამ სივრცის ძირითადი ობიექტია.

მეცნიერული და პრაქტიკული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია იმ საკითხის გარკვევა – არის თუ არა ინტერნეტი მასობრივი ინფორმაციის საშუალება?

თუ მივმართავთ ანალოგიას, ინტერნეტი შეიძლება შევადაროთ ტელეგადაცემებს, სარელეო სადგურს ან ტელევიზორს ტექნიკური თვალსაზრისით, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ტელეპროგრამას. თუ ვილაპარაკებთ ინტერნეტზე, როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებაზე, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ამ ქსელის მიერ გავრცელებული განსაკუთრებული ცნობები.

მაგრამ ინტერნეტი არ შეიძლება გავაიგივოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, რადგან იმ ინფორმაციის თვისებები, რომლებიც გავრცელებულია ტელეკომუნიკაციური ქსელით, არ ემთხვევა ტრადიციული მასობრივი ინფორმაციის ნიშნებს. მთავარი კი ის არის, რომ ინტერნეტს არა აქვს პერიოდულობის თვისება. პერიოდულობა ახასიათებს ყველა ტრადიციულ მასმედიას – გაზეთებს, ჟურნალებს, ტელე-რადიო პროგრამებს. რთულია ასევე იმის მტკიცება,

რომ ინტერნეტ-გვერდების (საიტების) მეშვეობით ზდება მასობრივი ინფორმაციის გავრცელება. საიტი არ შეიძლება ჩაითვალოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებად: მაგრამ თუ ინტერნეტში რეგისტრირებული იქნება მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რეგისტრირებული ინტერნეტ-გამომცემლობის ავტორები მოიპოვებენ ჟურნალისტის სტატუსს და შესაბამისად ინტერნეტ-საიტებიც ითვლებიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებად.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის ინტერნეტს არ მიიჩნევენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებად, თავისი არსით იგი უფრო დემოკრატიულია, ვიდრე ტექნოლოგიების ძველი ფორმები, რამდენადაც მისი მეშვეობით შესაძლებელია კონტაქტის დამყარება მსოფლიო თანამეგობრობასთან.

ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურების განვითარებისათვის აუცილებელია მსოფლიო სტანდარტების დონეზე მომუშავე მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალების რეორგანიზაცია თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე.

ნაწილი II

მედია და
საზოგადოების პოლიტიკური
სისტემა

„ეურნალისტიკის უპირველესი მიზანი სიმართლის თქმაა, იმისათვის, რომ ხალხს კქონდეს სრული ინფორმაცია, რომელიც თავისუფლებისთვის სჭირდება.“

ჯეკ ფულერი

თავი I. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში

ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციიდან მეორეზე გარდამავალი პერიოდი ხასიათდება საკმაო სირთულით და ეს ეხება თანამედროვე საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებასაც. ტოტალიტარული რეჟიმიდან დემოკრატიულ რეჟიმზე გადასვლის პირობებში ცვლილებებს განიცდის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო, განსაკუთრებით კი საზოგადოების პოლიტიკური სისტემა.

მეცნიერული და პრაქტიკული თვალსაზრისით საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში მოიაზრება კომპლექსი ინსტიტუტებისა და ნორმებისა, რომელთა ჩარჩოებშიც მიმდინარეობს საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრება და ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლება. სხვა ინსტიტუტებთან (სახელმწიფო სტრუქტურები, პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ეკლესია და ა. შ.) ერთად საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში უაღრესად დიდ როლს თამაშობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი (პრესა, რადიო, ტელევიზია, კომპიუტერი და ა. შ.), რომლებიც უზრუნველყოფენ მასობრივი მასშტაბით ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებასა და გავრცელებას.

საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლისა და დანიშნულების საკითხი საკმაოდ გაცნობიერებულა, რადგან იგი, როგორც ხელისუფლების, ისე მთელი საზოგადოების, პოლიტიკური პარტიებისა და მოქალაქეების განსა-

კუთრებული დაინტერესებისა და ყურადღების საგანია. მასმედის დანიშნულებაა, დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნილება სოციალურად ღირებულ ინფორმაციაზე.

ცივილიზაციის განვითარების ისტორიაში ინფორმაცია ყოველთვის ასრულებდა განსაზღვრულ როლს და იყო სახელმწიფოსა და საზოგადოების გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი. კაცობრიობის არსებობა, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფორმირება მჭიდროდ არის დაკავშირებული ინფორმაციასთან.

„ინფორმაცია“ ლათინური სიტყვაა და „გაცნობას“, „გადაცემას“ ნიშნავს. XX საუკუნის შუა პერიოდამდე ინფორმაციაში იგულისხმებოდა ადამიანის მიერ ზეპირად, წერილობით ან სხვა ხერხით გავრცელებული „ცნობა“, „შეტყობინება“, თუმცა საკუთრივ ინფორმაციის ცნება განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი არ გამხდარა. XX საუკუნის II ნახევრიდან კი ინფორმაცია სულ უფრო თვალსაჩინო ადგილს იკავებს საზოგადოების ცხოვრებაში, თანდათანობით ყალიბდება ინფორმაციული საზოგადოება.

სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული ინფორმაციის ცნების შესახებ, თუმცა ერთიანი აზრი ინფორმაციის ფენომენისადმი დღემდე არ არსებობს.

აანალიზებს რა მრავალრიცხოვან მოსაზრებებს ინფორმაციის არსისა და ზოგადი ცნების შესახებ, პროფ. მ. ცაცანაშვილი ასკვნის, რომ „ინფორმაცია ობიექტური რეალობაა, ოღონდ ფარდობითი რეალობა, რომელიც გამოხატვის ფორმის მიუხედავად, ცნობის, მონაცემების სახით არსებობს და გარკვეული სარგებლიანობის მიზნით სუბიექტის შემეცნებასთანაა დაკავშირებული“. რაც შეეხება ინფორმაციის სამართლებრივ ცნებას, მისი აზრით „ინფორმაცია არის ცნობა, მონაცემი, რომელიც შეტყობინების პროცესში (მიღება, დამუშავება, შენახვა, გადაცემა და სხვ.) სამართლებრივი ურთიერთობის საგანს წარმოადგენს და შეიძლება გახდეს რაიმე ვალდებულების წარმოშობის ან შეწყვეტის საფუძველი“.¹

1. მ. ცაცანაშვილი, ინფორმაციული საზოგადოება და ინფორმაციის სამართლებრივი რეგულირება, თბ. 1999, გვ. 24-26

ინფორმაცია ადამიანთა სულიერი ერთობის განუყოფელი ნაწილია. იგი გამიზნულია რიცხობრივად დიდი აუდიტორიისათვის, გამოირჩევა გავრცელების სისწრაფით და წარმოადგენს მასობრივ აუდიტორიაზე ზემოქმედების მძლავრ მექანიზმს. სოციალურად მნიშვნელოვანი ინფორმაცია, აზრობრივი ინფორმაციის ფართო დიპაზონი და ღირებული ინფორმაციის გადაცემის შესაძლებლობა მასმედიას მიმზიდველს ხდის მასობრივი აუდიტორიისათვის.

ინფორმაციის პრობლემებს იკვლევენ მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები: პოლიტოლოგები, სოციოლოგები, ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, ისტორიკოსები, იურისტები. ცნობილი ამერიკელი თეორეტიკოსები და პრესის ისტორიკოსები, პროფესორები: ფ. სიბერტი, თ. პიტერსონი და უ. შრამი წიგნში „პრესის ოთხი თეორია“, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა კლასიკურ ნაშრომად, აყალიბებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ფუნქციონირების სოციალურ-პოლიტიკურ ჩარჩოებს. მათი აზრით, პირველი – ე.წ. ავტორიტარული კონცეფცია ადგენს მასმედიის პასუხისმგებლობას მეფის, იმპერატორის, ფიურერის, სახელმწიფოს წინაშე; პრესის თავისუფლების თეორია დამყარებულია ნების თავისუფლებაზე. ე. წ. ლიბერალური თეორია ასაბუთებს, რომ პრესა თავისუფალი უნდა იყოს მთავრობის კონტროლისაგან, გამოვიდეს „მეოთხე ხელისუფლების“ როლში, დამოუკიდებელი უნდა იყოს სახელმწიფო ხელისუფლების პირველი სამი (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) განშტოებისაგან. პრესის სოციალური პასუხისმგებლობის თეორია მხარს უჭერს მასმედიის განსაზღვრული ავტონომიის იდეას, რაც საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა.¹

რუსი მკვლევარი ი. ზასურსკი აყალიბებს პრესისადმი მეხუთე სახის მიდგომას და აყენებს მისი პასუხისმგებლობის პრობლემას, რაც გამოიხატება პასუხისმგებლობაში საზოგადოების, მოქალაქეების, სახელმწიფოს, პროფესიის, კოლეგების, აუდიტორიის წინაშე.²

1. Сиберт Ф., Шрам У., Питерсон Т. Четыре теории прессы, М. 1998, С. 9-10.

2. На службе монополии. Информационно-пропагандистский комплекс стран капитала. Под ред. Я. Засурского. М. 1977, С. 119.

გარდა აღნიშნულისა, მეცნიერებაში არსებობს მთელი რიგი სხვა თეორიები და კონცეფციები მასმედიის, პოლიტიკური ინსტიტუტებისა და პროცესების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია კონცეფცია, რომელიც გამოყოფს პრესის მმართველობით, მანიპულატორულ ფუნქციას. ამ მიმართულების აღიარებული ავტორიტეტია უ. ლიპმანი, რომლის წიგნი „საზოგადოებრივი აზრი“ დიდი პოპულარობით სარგებლობს პრესის მკვლევართა და პრაქტიკოსთა წრეში.¹ აღნიშნულ კონცეფციას მხარს უჭერენ გ. შილერი, გ. გლაისბერგი, ტ. სორენსონი და სხვ.

მკვლევართა მეორე ჯგუფი (ე. მენიო და სხვ.) პირველ ადგილზე აყენებს პრესის კომუნიკაციურ ფუნქციას, ასაბუთებს, რომ პრესა არის მასობრივი ურთიერთობის ენა. ისეთი სწავლულები, როგორებიც არიან უ. როსტოუ, დ. ბელი, გ. ბეგერსტამი მხარს უჭერენ „მეოთხე ხელისუფლების“ კონცეფციას, თვლიან, რომ საზოგადოება პრესის მეშვეობით გავლენას ახდენს ხელისუფლების ყველა შტოზე.² ამ კონცეფციასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ჟ. მერმეს „დემოკრატიურის“ კონცეფცია: პრესა წარმოდგენილია როგორც ფენომენი, რომელიც იყენებს დემოკრატიულ პროცესებს საკუთარი დიქტატურის დამყარების მიზნით.³ მასთან ახლოა „მედოკრატიის“ კონცეფცია, რომელიც წამოაყენა ფ. დევირიემ.⁴ მხედველობაშია მისაღები ფართოდ გავრცელებული მარქსისტული თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც კლასობრივ საზოგადოებაში მასმედია წარმოდგენს კლასობრივი ბრძოლის იარაღს, კოლექტიურ პროპაგანდისტს და ორგანიზატორს. მეხუთე მიმართულება მასმედიას თვლის დამოუკიდებელ მოვლენად, რომელიც განსაკუთრებულ როლს თამაშობს სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში (პ. ლაზარფელდი, პ. გოდე).⁵

მეცნიერული და პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია საკითხი მასმედიისა და ხელისუფლების ურთიერთობის შესახებ.

1. Lippman W. Public Opinion – N Y. 1965. - p. 119.

2. Доль Р. Введение в теорию демократии, М 1992.

3. Virieu F.-H. (de) La mediocratie. – Paris. 1990. – p 25.

4. Пую А. Политический плюрализм. Автореферат дисс. СПб. 1993.

5. Гуревич П. Буржуазная пропаганда в поисках теоретического обоснования. М. 1978, С. 84.

მრავალ მეცნიერულ დოკტრინასა და კონცეფციას შორის, რომელიც აღნიშნულ პრობლემას ეხება, სამართლებრივი თვალსაზრისით საყურადღებოა „მეოთხე ხელისუფლების“ კონცეფცია, რომელშიც ზოგი რამ სადავო და გასარკვევია. უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია საკითხი იმის შესახებ, რა მოიაზრება „ხელისუფლებაში“ – „სახელმწიფო ხელისუფლება“ თუ საერთოდ „ხელისუფლება“.

ტერმინი „ხელისუფლება“ მრავალაზრობრივი მნიშვნელობისაა. იგი ნიშნავს უნარს და შესაძლებლობას – განსაზღვრული ზემოქმედება მოახდინოს ადამიანთა ქცევებზე რაიმე საშუალებით – ნებით, ავტორიტეტით, სამართლით, ძალით. „ხელისუფლება“ რთული, მრავალმხრივი მოვლენაა, რომელიც განსხვავებულ ორგანიზაციულ ფორმებში, მეთოდებში, ურთიერთობების სისტემასა და მიზნებში ელინდება. ამიტომ პოლიტიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში არ არის „ხელისუფლების“ ერთგვაროვანი გაგება. საზოგადოებაში არსებობს პირადი და სოციალური ხელისუფლების სხვადასხვა სახე. სოციალური ხელისუფლების სახესხვაობას წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლება, რომლის ქვეშაც იგულისხმება პოლიტიკური ბატონობა და სახელმწიფო ორგანოთა სისტემა. სახელმწიფო ხელისუფლება განსახიერებულა სახელმწიფო-სამართლებრივ ინსტიტუტებში, წმინდა პოლიტიკური მოვლენაა, ემყარება სახელმწიფო ნებას და კონცენტრირებულ ძალას, უნარი აქვს განახორციელოს იძულებითი ღონისძიებანი მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსასრულებლად. იძულება სახელმწიფო ხელისუფლებისათვის დამახასიათებელი აბსტრაქტული და ტიპიური თვისებაა, რომელსაც ლეგიტიმურ ხასიათს აძლევს ქვეყანაში მოქმედი სამართლებრივი სისტემა.¹

სახელმწიფო ხელისუფლება ერთიანი და განუყოფელია, ამასთანავე ფუნქციონალური დანიშნულების შესაბამისად დანაწილებულია სამ განშტოებად: საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად. ხელისუფლების დანაწილების იდეა, რასაც ჯერ კიდევ

1. Проблемы общей теории права и государства, Под. ред. В. Пересянича, М. 2001. С. 517-525.

ანტიკური პერიოდისა და შუა საუკუნეების სწავლულები ასაბუთებდნენ ბურჟუაზიული კონსტიტუციონალიზმის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად გამოცხადდა. პირველად იგი საფრანგეთის დიდი რევოლუციის კონსტიტუციაში აისახა და მას შემდეგ სახელმწიფოსამართლებრივი დოქტრინის ქვაკუთხედად იქცა.

ხელისუფლების დანაწილება სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი ბუნებისა და საჯარო-სახელისუფლო საქმიანობის სამართლებრივი ფორმების გამოვლენაა. სწორედ ხელისუფლების ეს სამი განშტოება ამოწურავს სახელმწიფოს დანიშნულებას.

მასმედიის მიჩნევა „მეოთხე ხელისუფლებად“ გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების სამ განშტოებასთან მის გათანაბრებას, რაც ჩვენი აზრით, არასწორი შეხედულებაა და მას არც თეორიული და არც პრაქტიკული საფუძველი არ გააჩნია. რა თქმა უნდა, მასმედიის როლი საზოგადოების ცხოვრებასა და პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობაში უაღრესად დიდი და თვალსაჩინოა. მასმედია ყოველთვის გამოიყენებოდა და გამოიყენება პოლიტიკური ხელისუფლების მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად. ინფორმაციის გადაცემის, ინფორმაციის გაცვლის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების პოლიტიკური სისტემის, მისი ინსტიტუტების, მთლიანად სოციუმის არსებობა. მაგრამ მასმედია არ არის და არც შეიძლება იყოს „მეოთხე ხელისუფლება“, სახელმწიფო ხელისუფლების მეოთხე განშტოება. სადავო არ არის ის გარემოება, რომ მასმედიის ზემოქმედება სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე არაიმპერატიული, არასავალდებულო ხასიათისაა. მასმედიის მიერ გავრცელებული მასალა უპირატესად ინფორმაციულ-პროპაგანდისტულია, თუმცა ზოგ შემთხვევაში მასმედია აკონტროლებს კიდევ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს. სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობა, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი კი იმპერატიული, სავალდებულო ძალისაა. მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსასრულებლად სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტოს გააჩნია სათანადო მექანიზმი – სამართლებრივ საშუალებათა ფართო სპექტრი და კონცენტრირებული ძალა, რაც მიუწევდომელია მასმედიისათვის.

არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებასაც, რომ სახელმწიფო ხელისუფლება არ შეიძლება იყოს თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის ობიექტი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. კაცობრიობის ისტორია არ იცნობს საკანონმდებლო, აღმასრულებელი თუ სასამართლო ორგანოების თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის არც ერთ შემთხვევას. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ყიდვა-გაყიდვამ, რაც ასე აშკარად და ხშირად ხდება თანამედროვე პერიოდში, დაამსხვრია მითი „მეოთხე ხელისუფლების“ შესახებ. ამ პროცესს დასაბამი მიეცა აშშ-ში, როდესაც პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა მიიღო გადაწყვეტილება მასმედიის ყიდვა-გაყიდვის ლიბერალიზაციის შესახებ. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე დაიწყო ტელეარხების გაყიდვის „აუქციონები“, უმსხვილეს კორპორაციებს „თავისუფალი მოქმედების“ შესაძლებლობა მიეცათ საგაზეთო ქსელების, საკაბელო ტელევიზიის, რადიოსიხშირეების შეძენის საქმეში, რის შემდეგაც რადიოსადგურებისა და ტელეარხების უმეტესი ნაწილი ერთი მუჭა მედიამაგნატების ხელში აღმოჩნდა, რომლებიც თვითონ წყვეტენ, რას უნდა უცქიროს, მოუსმინოს და რა უნდა იცოდეს საზოგადოებამ. ანალოგიური პროცესი მიმდინარეობს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. ასეთ ფონზე საზოგადოება ვეღარ იღებს სწორ ინფორმაციას და მიუკერძოებელ აზრს მასმედიისაგან, რომელიც თავის თავს „თავისუფალს“ უწოდებს.¹

ცხადია, რომ მასმედია ვერ გახდა და არც შეიძლება გამხდარიყო „მეოთხე ხელისუფლება“ საქართველოში, სადაც სამოქალაქო საზოგადოება ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია.

თუ მასმედიას მივიჩნევთ „მეოთხე ხელისუფლებად“, გარდაუვალი გახდება ბრძოლა მასზე ზეგავლენისათვის მათივე მეშვეობით. ამასთანავე, „მასმედია არ არის ხელისუფლების მოპოვების, განხორციელებისა და შენარჩუნების პროცესის უშუალო მონაწილე, ანუ პოლიტიკური სუბიექტი, მაგალითად, ისეთი, როგორიცაა პოლიტიკური პარტია“.²

1. Дж. Кунца, «Миф о четвертой власти», «Литературная газета», 2003. № 17.
 2. А. Цхинвадзе, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ტ. I. თბ., 2004, გვ. 206.

თუ მასმედია მისი განსაკუთრებული როლისა და დანიშნულების გამო უნდა ჩაითვალოს ხელისუფლებად, ეს იქნება სოციალური ხელისუფლების სახესხვაობა და არა სახელმწიფოებრივი ხელისუფლება.

თანამედროვე მასმედიის განვითარების დინამიური პროცესი და საინფორმაციო სივრცის გლობალიზაცია შეეხო მსოფლიოს ყველა ქვეყანას, როგორც განვითარებულს, ისე იმათ, ვინც დღას ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნების მწვავე პრობლემების წინაშე. პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ, მულტიმედია და კომპიუტერულმა ქსელმა დაახლოვა ქვეყნები და კონტინენტები. მასმედიის განვითარების ტენდენცია ცხადყოფს, რომ მისი როლი როგორც საერთაშორისო, ისე შიდასახელმწიფოებრივ ურთიერთობებში მუდმივად მალდება. მასმედიის განვითარების თანამედროვე დონე წარმოადგენს მნიშვნელოვან ტექნიკურ-ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ პროცესთა კომპლექსს, რომელიც არსებითი სოციალურ-პოლიტიკური შინაარსითაა გაჯერებული. ასახავს რა თანამედროვე მსოფლიოს რეალობას, მასმედია მნიშვნელოვან როლს თამაშობს გეოპოლიტიკური ცხოვრების განვითარებაში. მასობრივი ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებანი ბევრ ქვეყანაში შეგნებულად გამოიყენება მმართველი წრეების სასარგებლოდ სახელმწიფოს საგარეო და შიდა პოლიტიკის განხორციელებისათვის. პრესა არა მარტო აშუქებს ყველა პოლიტიკური ინსტიტუტის საქმიანობას, არამედ აქტიურად მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესებში.

არსებულ პოლიტიკურ სისტემაში მასმედიის ფუნქციონირება, მისი ურთიერთობა დემოკრატიასთან სულ უფრო მეტად იპყრობს მთელი საზოგადოების, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა ყურადღებას.

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მსოფლიო საზოგადოებრიობის, მათ შორის იუნესკოს ძალისხმევა მიმართული იყო იქითკენ, რომ ზემოქმედება მოეხდინა მასმედიის დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და პლურალიზმის დამკვიდრებაზე.¹

1. Панарин И. Информационная война и власть. М. 2001. С. 25-30.

საზოგადოების დემოკრატიული გარდაქმნების პროცესში მასმედიის მონაწილეობა მრავალასპექტიანია. კერძოდ, მასმედია აქტიურ მონაწილეობას იღებს პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებაში, პოლიტიკურ-მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებასა და აღსრულებაში, პოლიტიკური სისტემის ინსტიტუტების ფუნქციონირებასა და განვითარებაზე კონტროლში. მასმედიას არა აქვს უფლება, გვერდი აუაროს არც ერთ დასახელებულ სტადიას. თავის მხრივ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თვალნათლივ განიცდის პოლიტიკური პროცესების ზემოქმედებას. თანამედროვე საზოგადოება არის მოწმე იმისა, თუ რაოდენ ამაღლდა ინფორმაციის როლი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში. ინფორმაცია დღეს წარმოადგენს მძლავრ, რეალურად ხელშესახებ რესურსს, რომელსაც აქვს უფრო მეტი ღირებულება, ვიდრე ფინანსურ, შრომით და სხვა სახის რესურსს. ინფორმაცია გახდა საქონელი, რომელიც იყიდება და ყიდულობენ, იგი წარმოშობს და წყვეტს ინფორმაციულ ომს.¹

ინფორმაცია სახელმწიფოს და საზოგადოების ნებისმიერი სფეროს სიცოცხლისუნარიანობის წყარო გახდა. იგი სამოქალაქო საზოგადოებისა და მისი ინსტიტუტების სტრუქტურის საფუძველია. ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემის შეცვლა დემოკრატიული პოლიტიკური სისტემით გულისხმობს საინფორმაციო სივრცის ყოვლისმომცველობის პირობებში ღია ტიპის საზოგადოების ჩამოყალიბებას. მასობრივმა საინფორმაციო სივრცემ სერიოზულად შეცვალა პიროვნების, საზოგადოების, სახელმწიფოს საქმიანობა. ჩამოყალიბდა ახალი ტიპის საზოგადოება – ინფორმაციული საზოგადოება, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შეცნობილი. ინფორმაციული საზოგადოება პოსტინდუსტრიული საზოგადოების სახესხვაობაა, განსაკუთრებული, ისტორიისათვის აქამდე უცნობი საზოგადოება. სწორედ ასეთი საზოგადოება არის ღია სახის, სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც უნდა გახდეს სამართლებრივი სახელმწიფოს სოციალური საფუძველი. სამართლებრივად ვერ ჩაითვლება სახელმწიფო, რომელსაც არ გააჩნია თავისუფალი, დამოუკიდებელი მასმედია.

1. Федотов М. Право массовой информации в Российской Федерации, М. 2002. С. 56-59.

„თანამედროვე საზოგადოებაში მასშედია დემოკრატიული იდეალის, მისი ღირებულებითი საფუძვლების, მთლიანად დემოკრატიის ფუნქციონირების მექანიზმის მნიშვნელოვანი ნაწილია“.¹

დემოკრატიის წარმატება, როგორც ამას ბევრი მკვლევარი აღნიშნავს, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამართლიან და ობიექტურ ინფორმაციაზე. დემოკრატია პოლიტიკური წყობილების ფორმაა, დაფუძნებული სახალხო ხელისუფლებიანობის, მოქალაქეთა თანასწორობისა და თავისუფლების პრინციპების აღიარებაზე. იგი გულისხმობს უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილების, სახელმწიფო ორგანოთა არჩევითობის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მათი რეალიზაციის პირობების დამკვიდრებას. ნამდვილი სახალხო ხელისუფლებიანობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია დემოკრატიული პრინციპების კომპლექსური განხორციელება, რომელთა შორის არცთუ მცირე მნიშვნელობა აქვს პრესის თავისუფლებას. დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროში ქვეყნის დამოუკიდებლობისა და საზოგადოების დემოკრატიზაციის ძირითად განმსაზღვრელ კრიტერიუმად მიჩნეულია პრესის თავისუფლება, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში: აზრის საჯაროდ გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციის წყაროების მისაწვდომობის თავისუფლება. თავისუფალი პრესის, რადიოსა და ტელევიზიის გარეშე წარმოუდგენელია დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება. ვერც პიროვნება იქნება თავისუფალი, თუ მას საკუთარი აზრის გამოთქმა არ შეუძლია, უწინარესად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. დამოუკიდებელი, თავისუფალი მასშედია დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების მთავარი ორიენტირია.

დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაში მასშედია წარმოადგენს არა მხოლოდ დემოკრატიული პროცესების მონაწილეს, არამედ მის ობიექტსაც. იყენებს რა დემოკრატიით მინიჭებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, პრესა თვითონ ადგენს თავის დიქტატურას. ასე აფასებს ე. მერმე პრესის ყოვლისშემძლეობას და მის უნარს – მოახდინოს საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება.²

1. ა. კუპრაშვილი, საინფორმაციო პოლიტიკა პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესში, დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2003, გვ. 24.

2. Merme J. The Process and Effects of Mass Communication. - Chicago, 1974. - p. 40.

საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლი და მნიშვნელობა ნათლად ვლინდება სახელმწიფო ორგანოების ფორმირებაში, იმ მჭიდრო ურთიერთობაში, რაც არსებობს მასმედიასა და ხელისუფლებას შორის.

თავი 2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლი სახელმწიფო ორგანოთა ფორმირებაში

სახელმწიფო ორგანოთა ფორმირებაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობა მოიცავს ფართო სპექტრის საკითხებს, რომელთა აქტუალობა დღითი დღე იზრდება. წარმომადგენლობითი და სხვა არჩევითი ორგანოების ფორმირებაში მასმედიის მონაწილეობა მისი ფუნქციონირების სპეციფიკური სფეროა. საარჩევნო კამპანიის პერიოდში სახელმწიფო მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მასმედიის საქმიანობაზე. ყველაზე ლიბერალურ საზოგადოებაშიც კი, სადაც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება პრაქტიკულად არ ერევა მასმედიის საქმიანობის რეგულირებაში (მაგალითად, აშშ-ში) საარჩევნო კამპანიის დროს დადგენილია მკაცრი წესები, რომელთა დაცვა სავალდებულოა პრესის, რადიოს, ტელემაუწყებლობის წარმომადგენლებისათვის.¹ ეს განპირობებულია იმით, რომ არჩევნები წარმოადგენს დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის აუცილებელ ატრიბუტს, დემოკრატიის თავისებურ აპოთეოზს. იგი თითქმის ერთადერთი საშუალებაა, რომლითაც ხალხი უშუალოდ გამოხატავს პოლიტიკურ ნებას და თავისი წარმომადგენლების არჩევით მონაწილეობს სახელმწიფო მმართველობაში. არჩევნების საფუძველზე ხდება წარმომადგენლობითი ორგანოების ჩამოყალიბება, რეფერენდუმისა და საყოველთაო-სახალხო განხილვის ჩატარება. ინფორმაციულ-კომუნიკაბელური საზოგადოების პირობებში მასმედიამ აქტიური

1. YUDOF, MARK G., 'When Governments Speak: Politics, Law, and Government Expression in America (Berkeley and Los Angeles)'. University of California Press, 1983);
Мирош Пифис. Современное право Средств Массовой Информации в США, М. 1998.

მონაწილეობა უნდა მიიღოს სამართლიანი, ობიექტური და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარებაში.

მასმედიის როლი საარჩევნო კამპანიაში დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე, რომელთა შორის გასათვალისწინებელია ქვეყნის ეროვნული ტრადიციები, ისტორიული განვითარების გზა, სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურული დონე, დომინირებული ეთიკური წარმოდგენები და ა. შ. მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკანონმდებლო ბაზას, რომელსაც ემყარება ქვეყანაში მიმდინარე არჩევნები. რამდენადაც თითოეული ქვეყნის საარჩევნო სისტემა თავისებურებით ხასიათდება, სპეციფიკური საარჩევნო სამართლებრივი ნორმები საშუალებას აძლევს მასმედიას, დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე მიიღოს მონაწილეობა საარჩევნო პროცესში და შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა – დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნილება საიმედო, ობიექტურ ინფორმაციაზე.

საქართველოში არჩევნების ჩატარების სამართლებრივი საფუძველია: საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, საქართველოს საარჩევნო კოდექსი, საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტები და სხვა ნორმატიული აქტები.

მასმედიის საქმიანობის მარეგულირებელი კანონები საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში ეფუძნება ისეთ პრინციპებს, როგორიცაა ობიექტურობა, ნეიტრალიტეტი, დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობა. რა თქმა უნდა, მასმედიის საქმიანობის რეალურ პრაქტიკას განვითარებულ ქვეყნებში თავისი სპეციფიკა აქვს, მაგრამ ყველა შემთხვევაში ეს საქმიანობა არ უნდა გასცდეს სამართლებრივ ჩარჩოებს და ეთიკურ ნორმებს. სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფლების ღირებულება უნდა დაექვემდებაროს მოქალაქეთა უფლებას – მიიღოს უტყუარი და სრული ცნობები საარჩევნო კამპანიისა და დეპუტატობის კანდიდატების შესახებ. როცა იწყება საარჩევნო კამპანია და მიმდინარეობს აშკარა ბრძოლა არჩევითი თანამდებობისათვის, ყველა მონაწილეს უჩნდება პრობლემა ხელი მიუწვდებოდეს მედიაზე. მასმედიით სარგებლობენ საარჩევნო კომისიები, ადგილობრივი თვითმმართვე-

ლობის ორგანოები, დეპუტატობის კანდიდატები. ბევრ ქვეყანაში დეპუტატისათვის მასმედიის მისაწვდომობა ლიმიტირებულია კანონებითა და კანონქვემდებარე აქტებით. მათ საფუძველზე მასმედიას ევალება გააცნოს საზოგადოებას დეპუტატობის კანდიდატების იდეები და პლატფორმები, აუხსნან ხმის მიცემის პროცედურის წესი და ა.შ., რადგან მასმედიის მისაწვდომობის თანასწორობის უზრუნველყოფა პატიოსანი და სამართლიანი არჩევნების ჩატარების აუცილებელი პირობაა.

სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირება ხდება ისეთი პრინციპების საფუძველზე, როგორცაა არჩევნების საყოველთაობა, თანასწორობა, პირდაპირობა, ფარული კენჭისყრა. ძირითად პრინციპებს მიეკუთვნება აგრეთვე საარჩევნო კომისიების საქმიანობის საჯაროობა. საქართველოს საარჩევნო კოდექსი ადგენს, რომ საქართველოში არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პროცესი საჯაროა.

მასმედიის საქმიანობა და ჟურნალისტთა მონაწილეობა საარჩევნო კამპანიებში სხვადასხვა ფორმისაა. ისინი წარმოადგენენ ამომრჩეველთა ინფორმირების არხებს, წინასაარჩევნო აგიტაციის საშუალებებს და არჩევნებზე სამოქალაქო კონტროლის ინსტრუმენტებს.

არჩევნების ყველა პრინციპის რეალიზაციაში თვალსაჩინოა მასმედიის როლი. განსაკუთრებით ნათლად ვლინდება იგი არჩევნების საჯაროობის უზრუნველყოფაში. რა თქმა უნდა, საჯაროობა საარჩევნო კომისიების მუშაობაში რეალიზდება არამარტო მასმედიის მეშვეობით, თუმცა თანამედროვე მსოფლიოში მილიონობით მოქალაქეს სწორედ მასმედიის საშუალებით შეუძლია, რეალურად მიიღოს მრავალფეროვანი ინფორმაცია, რომელიც ცირკულირებს საარჩევნო კომისიებში.

სწორედ ინფორმაციული უზრუნველყოფა უწყობს ხელს მოქალაქეთა შეგნებული ნების გამოვლინებას, არჩევნების საჯაროობას. მასმედიის როლი მდგომარეობს იმაში, რომ დაეხმაროს მოქალაქეებს, ჩაერთონ ხელისუფლების ორგანოების ფორმირებაში, გამოიმუშაონ ღია პოლიტიკური ბრძოლის ჩვევები. საარჩევნო კამპანიის ტელევიზიით გაშუქება მასებს პოლიტიკასთან აახლოებს.

საარჩევნო კამპანია მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს უშუალო დემოკრატიის მთელი სისტემისა და მისი ცალკეული ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე, მიტინგების, დემონსტრაციების, ხელმოწერათა შეგროვების ჩატარებით და სხვა ფორმებით. თავის მხრივ, უშუალო დემოკრატიის ინსტიტუტების თვითრეალიზაცია არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პერიოდში საარჩევნო კამპანიის მიზნის მიღწევის მნიშვნელოვანი საშუალებაა.

მასმედიის მიერ საარჩევნო კამპანიისათვის გაწეული მასობრივ-ინფორმაციული მომსახურება ფასდაუდებელია. ამასთანავე, მასმედია საარჩევნო კამპანიაში გამოდის როგორც დემოკრატიის დამოუკიდებელი ინსტიტუტი, როგორც პოლიტიკური ურთიერთობის სუბიექტი, რომელიც უზრუნველყოფს ბეჭდვითი და ელექტრონული პრესის მიზიდვას.

საქართველოს კანონმდებლობა მოქალაქეებს და პოლიტიკურ გაერთიანებებს აძლევს წინასაარჩევნო აგიტაციის ჩატარების გარანტიას კანონით დაშვებულ ფორმებსა და მეთოდებში. მეორე მხრივ, რეგისტრირებულ კანდიდატებს გარანტირებული აქვთ, თანაბარი პირობებით ხელი მიუწვდებოდეთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე წინასაარჩევნო აგიტაციის ჩასატარებლად. მასმედიის გამოყენების ფორმა არის ინფორმირება და ბეჭდვითი და საეთერო სივრცის დათმობა აგიტაციისათვის.

ამა თუ იმ მასალის გამოქვეყნება ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია განსაზღვრულ იურიდიულ შედეგთან. ზოგჯერ იგი გამოიყენება, როგორც ლეგიტიმაციის დასკვნითი სტადია. მაგალითად, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქართველოს ცენტრალური კომისია საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციიდან არა უგვიანეს მე-ნ დღისა პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს ცნობას საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაციის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა შემთხვევაში, როცა კანონმდებლობაში ნათქვამია ოფიციალური გამოქვეყნების შესახებ, გამოქვეყნების ვალდებულება აკისრია არა მასმედიის რედაქციას, არამედ სახელი-

სუფლებო სტრუქტურას. ამის დასტურია საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-9 მუხლის მე-13 პუნქტი, რომლის თანახმად „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია და შესაბამისი საარჩევნო კომისიები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოფენ ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.“

საარჩევნო კანონმდებლობა სრულად არ განსაზღვრავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წრეს, რომელთა მომსახურებით შეიძლება ისარგებლონ რეგისტრირებულმა კანდიდატებმა წინასაარჩევნო აგიტაციის ჩატარების პროცესში. საარჩევნო კოდექსის 85-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატები საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის მომენტიდან მონაწილეობენ წინასაარჩევნო კამპანიაში. მათ პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით სარგებლობის თანაბარი უფლებები აქვთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. იგულისხმება, რომ რეგისტრირებულ კანდიდატებს უფლება აქვთ, ისარგებლონ ტელერადიოკორპორაციებისა და პერიოდული ბეჭდვითი გამოცემლობების მომსახურებით. რედაქციებისადმი საერთო მოთხოვნას წარმოადგენს ის, რომ დაუშვებელია ისეთი ინფორმაციის გამოქვეყნება, რომელიც ზიანს მიაყენებს რეგისტრირებული კანდიდატის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას.

მასმედიას მჭიდრო კავშირი აქვს საარჩევნო კომისიებთან, რომლებიც ყალიბდებიან კანონით დადგენილი წესით არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარების უზრუნველსაყოფად.

საარჩევნო კანონმდებლობის დაცვას თვალყურს ადევნებს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია – საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც განსაზღვრულ ფარგლებში ახორციელებს საჯარო ხელისუფლებას. ეს არის საკმაოდ განსხვავებული ორგანო, რომელიც არ შედის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების სტრუქტურაში. იგი არსებობს ხელისუფლების ყველა განშტოებისაგან დამოუკიდებლად, ყალიბდება პარიტეტულ საფუძველ-

ზე და დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფო ორგანოებისაგან. საარჩევნო ადმინისტრაცია არის ცენტრალიზებული სისტემა, რომლის უმაღლესი ორგანოა ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცსკ).

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 72-ე მუხლის თანახმად, საარჩევნო კომისიების სსდომებზე დასწრებისა და კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობებში ყოფნის უფლება აქვთ შესაბამის საარჩევნო კომისიაში აკრედიტებულ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებს. კენჭისყრის დღეს მასმედიის ერთსა და იმავე ორგანიზაციას უფლება აქვს, საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არა უმეტეს სამი წარმომადგენლისა. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენელს, რომლის განცხადება აკრედიტაციის შესახებ არ დააკმაყოფილა საარჩევნო კომისიამ, უფლება აქვს, სარჩელი შეიტანოს სასამართლოში.¹

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა უზრუნველყოს:

- საეთერო დროის განაწილება რეგისტრირებულ კანდიდატთა შორის წინასაარჩევნო აგიტაციის ჩასატარებლად;
- ამომრჩეველთა ინფორმირება საარჩევნო დროისა და საარჩევნო კამპანიის ჩატარების წესის შესახებ, აგრეთვე რეგისტრირებული კანდიდატების შესახებ;
- იმ ინფორმაციის ოპერატიული ხელმისაწვდომობა, რომელიც შეიცავს ცნობებს რეგისტრირებული კანდიდატების შესახებ.

წინასაარჩევნო აგიტაციის ნორმალურ ჩატარებაში აქტიურ მონაწილეობას იღებს მასმედია მასობრივი ღონისძიებების გატარებით, ბეჭდვითი, აუდიო-ვიზუალური და სხვა აგიტაციური მასალის გამოშვებისა და გამრავლების გზით. წინასაარჩევნო აგიტაციის ჩატარება მასმედიის მეშვეობით შეუძლიათ მხოლოდ რეგისტრირებულ კანდიდატებს.

მასობრივი ინფორმაციის ორგანიზაციები ვალდებული არიან, დროულად გამოაკვეყნონ ცნობები საეთერო დროის ხანგრძლივობისა

1. საქართველოს საარჩევნო კოდექსი, თბ. 2004 წ., მუხლი 7.

და გაზეთის ფართობის მოცულობის შესახებ, რაც განკუთვნილია წინასაარჩევნო აგიტაციისათვის. აღნიშნული პირობები ერთნაირი უნდა იყოს ყველა სუბიექტისათვის, რომელთაც უფლება აქვთ, ჩაატარონ წინასაარჩევნო აგიტაცია, მასმედიის მეშვეობით. მასმედია ვალდებულია, არ დაუშვას წინასაარჩევნო სააგიტაციო გამოსვლა და პოლიტიკური რეკლამის განთავსება სხვა დროს, გარდა ამ მიზნით გამოყოფილი დროის შუალედისა.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი ადგენს, რომ ტელერადიომაუწყებლობები ვალდებული არიან, წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამის განთავსების მიზნით ყოველდღიურად, არჩევნების დღემდე სულ ცოტა 15 დღის განმავლობაში, უსასყიდლოდ გამოყონ ტელევიზიისა და რადიოს საეთერო დროის ორ-ორ საათი, რომელიც თანაბრად განაწილდება საარჩევნო სუბიექტებს შორის.

არჩევნებამდე 50 დღით ადრე ცსკ-ის მიერ არჩევნებში საბოლოო შედეგების დამტკიცებამდე, ტელერადიომაუწყებლობები ვალდებული არიან, დაიცვან შემდეგი პირობები:

- მაუწყებლობის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის საეთერო დროის გამოყოფის შემთხვევაში საჯაროდ გამოაცხადონ და ცსკ-ს გადასცენ ინფორმაცია, რა რიცხვიდან რა რიცხვამდე და რა პერიოდულობითაა გამოყოფილი საეთერო დრო, ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა და გრაფიკი, საეთერო დროის ტარიფი;
- ტელე ან რადიოკომპანიის მიერ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15%-ს არ უნდა აღემატებოდეს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს ამ დროის ერთ მესამედზე მეტი არ უნდა დაეთმოს.
- დღიური ფასიანი საეთერო დრო თანაბრად უნდა განაწილდეს საარჩევნო სუბიექტებს შორის;
- დროის ტარიფი ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის ერთნაირი უნდა იყოს;

- დროის ტარიფი, ყველა საარჩევნო სააგიტაციო გამოსვლა და პოლიტიკური რეკლამის განთავსება სხვა დროს, გარდა ამ მიზნით გამოყოფილი დროის შუალედისა;¹

ამასთანავე, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების საარჩევნო რეგისტრაციის ვადის ამოწურვის დღიდან გაზეთები, გარდა პოლიტიკური გაზეთისა, ვალდებული არიან, დაიცვან შემდეგი პირობები: გაზეთის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის გაზეთის ფართობის გამოყოფის შემთხვევაში იმავე გაზეთში გამოაქვეყნონ და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გადასცენ შემდეგი ინფორმაცია: რა რიცხვიდან, რა პერიოდულობით და როდემდეა გამოყოფილი გაზეთის ფართობი; გაზეთის ერთ ნომერში გამოყოფილი ფართობის სიდიდე; არის თუ არა გამოყოფილი უფასო ფართობი ან მთლიანად გამოყოფილი ფართობის რა ნაწილია უფასო; აგრეთვე, ფართობის ტარიფი. არც ერთ საარჩევნო სუბიექტს გაზეთის ერთ ნომერში ან ერთი კვირის განმავლობაში გამოყოფილი ფართობის ერთ მესამედზე მეტი არ უნდა დაეთმოს. გაზეთის ერთ ნომერში ან ერთი კვირის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი ფართობი თანაბრად უნდა განაწილდეს სუბიექტებს შორის, ასევე ფართობის ტარიფი ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის თანაბარი უნდა იყოს. თუ რომელიმე საარჩევნო სუბიექტმა არ გამოიყენა მისი წილი საეთერო დრო ან გაზეთის ფართობი, ტელერადიომაუწყებლობასა და გაზეთს უფლება აქვს ეს დრო თანაბრად გადაუნაწილოს დანარჩენ საარჩევნო სუბიექტებს.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად, მასმედიაში წინასაარჩევნო აგიტაცია იწყება არჩევნების დანიშვნის მომენტიდან და წყდება კენჭისყრის წინა დღის 24 საათის შემდეგ. კანონში მითითებულია, რომ ამ პერიოდიდან მასმედით იკრძალება წინასაარჩევნო აგიტაცია. თუ დაინიშნება არჩევნების მეორე ტური, განმეორებითი კენჭისყრა, შუალედური ან ხელახალი არჩევნები, აგიტაცია განაზღვრება არჩევნების დანიშვნის დღიდან.

1. საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 73. პუნქტი 14.

საარჩევნო კანონმდებლობა კრძალავს წინასაარჩევნო აგიტაციის ჩატარების უფლების ბოროტად გამოყენებას. აქ მასმედიისათვის არის ორი ძალზე მნიშვნელოვანი მომენტი: პირველი, დაუსვებელია შეკრებისა და მანიფესტაციების აკრძალვა და შეწყვეტა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადგილი აქვს მოწოდებებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისა და დარღვევისაკენ, ეროვნული, ეთნიკური, კუთხური, რელიგიური და სოციალური შუღლის გაღვივებისაკენ, კონსტიტუციური წყობილების დამხობისა და ძალადობით შეცვლისაკენ, აგრეთვე ომისა და ძალადობის პროპაგანდა. მეორე, - წინასაარჩევნო აგიტაციის პერიოდში მასმედიას პრაქტიკულად ეკრძალება ისეთი მასალების გამოქვეყნება, რომელიც ხელყოფს ადამიანის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას.¹

მასმედია, როგორც საარჩევნო კამპანიის მსვლელობაზე სამოქალაქო კონტროლის ინსტიტუტი, სრულად იყენებს კანონმდებლობით მინიჭებულ ისეთ უფლებებს, როგორცაა - მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, თავისი მოვალეობის შესრულებისას შევიდეს ნებისმიერ დაწესებულებაში და ორგანიზაციაში, შეხვდეს თანამდებობის პირებს, დაესწროს და აქტიურად გააშუქოს მასობრივი ღონისძიებები და ა. შ. საარჩევნო სისტემის ჩარჩოებში ეს უფლებანი რამდენადმე სახეშეცვლილი და დაკონკრეტებულია, მაგრამ არა შეზღუდული ან გაუქმებული.

იმისთვის, რომ არჩევნები იყოს ობიექტური, სამართლიანი და შევნებული, იგი უნდა ეფუძნებოდეს რაც შეიძლება სრულ ინფორმაციას საარჩევნო კამპანიის მსვლელობაზე და ასარჩევად დასახელებულ კანდიდატებზე. ეს მიზანი უპირატესად რეალიზდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. მასმედიის უფლება – მიაწოდოს ფართო საზოგადოებას სრული ინფორმაცია, მჭიდროდ არის დაკავშირებული მის ვალდებულებასთან – მოსახლეობამდე მიიტანოს ეს ინფორმაცია; ამასთანავე არ გადააცილოს ზღვარს, რომელიც ობიექტურ ინფორმაციას განასხვავებს აგიტაციისაგან.

1. საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 2004 წ. მუხლი 74.

საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში აუცილებლად უნდა იქნეს დაცული ზღვარი მასმედიის თავისუფლებასა და დეპუტატობის კანდიდატების სიტყვის თავისუფლებას შორის. მასმედიის მოვალეობას წარმოადგენს, უზრუნველყოს დეპუტატობის კანდიდატებისათვის თანაბარი უფლება – ურთიერთობა იქონიონ ამომრჩევლებთან, ისარგებლონ თანაბარი საეთერო დროით, როცა აგიტაციური მასალა გადის ეთერში, ჰქონდეთ პრესის ფურცლებზე პუბლიკაციის თანაბარი შესაძლებლობა.

დასაუვლეთის ქვეყნებში წინასაარჩევნო პერიოდში ფართოდ არის გავრცელებული ე. წ. „კომპრომატების ომი“. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: თითოეული კანდიდატი სწავლობს მისი მოწინააღმდეგის ძლიერ და სუსტ თვისებებს და პრესის ან სხვა საინფორმაციო საშუალებებით (ტელეეთერით, ტელედებატებით) ავრცელებს მოწინააღმდეგის შესახებ კომპრომატებს. ტელეეთერში დეპუტატობის კანდიდატების მონაწილეობის ძირითადი სახე არის ტელედებატები. ამომრჩევლები დებატებს მიიჩნევენ, როგორც ჭეშმარიტების კრიტიკურიუმს, რომელიც საშუალებას აძლევს მათ, ყოველმხრივ გაიცნონ კანდიდატი. ამასთანავე, კანდიდატები უშუალოდ მიმართავენ ამომრჩევლებს, რაც ყველაზე ეფექტურ შედეგს იძლევა. ამდენად, ტელედებატები ამომრჩეველთა ინფორმაციის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად წყდება საკითხი იმის შესახებ, უნდა დაეკისროს თუ არა პასუხისმგებლობა პრესას და ტელევიზიას იმისთვის, თუ რას ილაპარაკებენ დეპუტატობის კანდიდატები მათი მეშვეობით. უმეტესი ქვეყნის კანონმდებლობით კანდიდატებს უფლება აქვთ, ილაპარაკონ ყველაფერი ის, რაც მათთვის არის ხელსაყრელი და ამისათვის მასმედიას არ ეკისრება პასუხისმგებლობა.¹

არასასურველი რეალობაა, რომ ზოგჯერ ინფორმაცია, რომელიც ტელეეკრანით გადაიცემა, არასწორია. ასეთ შემთხვევაში ამომრჩევლის სიმპათია იქნება იმის მხარეს, ვისი სახეც მისთვის ნათელი და მოსაწონი აღმოჩნდება. პოლიტიკური რეკლამის პრაქტიკა ზოგჯერ

1. A. Stone. The Birth of Judicial Politics in France. Oxford. Oxford University Press. 1992. pp 176-177.

გადადის პოლიტიკური პროვოკაციის ჟანრში. საარჩევნო კამპანიის პერიოდში მასმედია ხდება პოლიტიკური ფინანსური კლანების დატაცების ობიექტი. ინფორმაციული ომი მიმდინარეობს პროპაგანდის ფონზე. საარჩევნო მართონის მსვლელობაში დეპუტატობის კანდიდატები ცდილობენ მოიპოვონ პრესის მხარდაჭერა, ზოგიერთ შემთხვევაში, იყილონ კიდევ ან დაუქვემდებარონ ცენზურას. მთავარი პრობლემა, რომელიც საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში წამოიჭრება, არის ის, რომ დეპუტატობის კანდიდატებმა უზრუნველყონ ამომრჩეველთა გამოცხადება საარჩევნო პროცედურაზე, რისთვისაც ცდილობენ, ხელოვნურად მიიპყრონ ამომრჩეველთა ყურადღება საკუთარი პერსონისადმი. საამისოდ ისინი ფართოდ იყენებენ პრესას, ტელე და რადიო გადაცემებს.¹

საარჩევნო კამპანიაში მასმედიის აქტიური მონაწილეობის შედეგად შესაძლებელია, თავიდან იქნეს აცილებული არჩევნების გაყალბების ისეთი შემთხვევები, როგორიცაა „კანდიდატთა კლონირება“ – ერთ საარჩევნო ოლქში ერთი გვარის რამდენიმე კანდიდატის რეგისტრაცია, ყალბი ბიულეტენების გამოშვება და გავრცელება, ამომრჩეველთა პირდაპირი მოსყიდვა, „ვადამდე ადრე ხმის მიცემის“ ორგანიზება ერთ-ერთი კანდიდატის სასარგებლოდ, რამდენიმე ბიულეტენის ერთდროულად ჩაგდება და ა. შ.

გარდა იმისა, რომ მასმედია მონაწილეობს წინასაარჩევნო პროცესში, იგი ასრულებს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას: მასმედიის წარმომადგენლებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ საარჩევნო კომისიების მუშაობაში (რა თქმა უნდა, როგორც დამკვირვებლებმა), დაესწრონ ხმების დათვლისა და ოქმებზე ხელის მოწერის პროცესს, აგრეთვე მიიღონ შესაბამისი დოკუმენტების ასლები. ხმის მიცემის დასკვნით ეტაპზე ჟურნალისტები პრაქტიკულად გამოდიან, როგორც ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები – მაკონტროლებელი პირები. საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, მასმედიის წარმომადგენლებს უფლება აქვთ, თვალყური ადევნონ არჩევნების

1. J. Keane. The Media and Democracy, Oxford, Polity Press, 1991, p.97.

მთელ პროცესს, რაც მეტად მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ არჩევნები ჩაითვალოს სამართლიანად.

მასმედიის რეალური როლი ხელისუფლების არჩევითი ორგანოების ფორმირებაში მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად ავსებს ერთმანეთს საკანონმდებლო აქტები არჩევნებისა და მასმედიის შესახებ, რამდენად მინიმალურია განსხვავება მათ შორის და რამდენად შევსებულია ხარვეზები სამართლებრივ რეგულირებაში.

დემოკრატიული, სამართლიანი არჩევნების ჩატარების პროცესზე მასმედიის ეფექტური ზემოქმედება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი პოლიტიკურ საკითხებს გააშუქებს საზოგადოების და არა პოლიტიკოსების ან პრესის ინტერესების პოზიციებიდან.

თავი 3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ხელისუფლების ურთიერთობის პრობლემა

მასმედიისა და ხელისუფლების ურთიერთობის პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია მეცნიერული და პრაქტიკული თვალსაზრისით. მრავალი მეცნიერული დოქტრინისა და კონცეფციისაგან, რომლებიც მასმედიისა და ხელისუფლების ურთიერთობას ეხება, სამართლებრივი თვალსაზრისით საყურადღებოა „მეოთხე ხელისუფლების“ კონცეფცია, რომელსაც ჩვენ არ ვიზიარებთ.

ცნება „ხელისუფლება“ მიეკუთვნება პოლიტიკური თეორიის ფუძემდებლურ ცნებათა რიცხვს და ასახავს მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოს ფუნქციონირების არსს. ხელისუფლების ფუნქციონალური დანიშნულებაა მართვა, საზოგადოებისადმი სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა მთლიანად და მის ცალკეულ სფეროებში.

მას შემდეგ, რაც პოსტსაბჭოურ პერიოდში პრესა გათავისუფლდა პარტიულ-სახელმწიფო ზეწოლისა და ცენზურისაგან, დაისვა საკითხი – როგორი უნდა იყოს ურთიერთობა ხელისუფლებასა და მასმედიას შორის – დაძაბული და მტრული, თუ შემრიგებლური და მეგობრული.

საზოგადოებაში ფიგურირებს ფრაზა, რომ „ხელისუფლება და პრესა ერთმანეთისთვის არ არიან შექმნილნი“.

ხელისუფლებისა და მასმედიის კავშირის მომხრეების თეორიული არგუმენტები ჩვეულებრივად არის ის, რომ ხელისუფლებასა და მასმედიას აერთიანებს დემოკრატიული ღირებულებანი და შეხედულებანი.

ოპოზიციის მომხრეები მიიჩნევენ, რომ მასმედია ხელისუფლებასთან ურთიერთობაში სწორედ ეკონომიკური და პოლიტიკური სიძნელეების პერიოდში უნდა ეწინააღმდეგებოდეს ინფორმაციის მანიპულაციას მთავრობის მხრიდან, დააბალანსოს იგი კრიტიკული ცნობებით ობიექტური და თავისუფალი ინფორმაციული ნაკადის უზრუნველყოფის მიზნით. კრიტიკულად განწყობილი პრესა შეესაბამება მთელი საზოგადოების ინტერესებს.¹

ხელისუფლების ვალდებულებაა, მუდმივ დიალოგს აწარმოებდეს თავის მოქალაქეებთან ანუ ძალაუფლების განხორციელება კომუნიკაციურ პრინციპებს დაეფუძნოს. ეს კი ბუნებრივად წარმოშობს ასეთ კომუნიკაციებზე პასუხისმგებელ სტრუქტურათა შექმნის აუცილებლობას.

დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ღიაობა და საჯაროობა.

სახელმწიფო ორგანოების ქვეშ იგულისხმება: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, ადგილობრივი ხელისუფლებისა და თვითმმართველობის ორგანოები.

ინფორმაციულ პროგრამებში იგულისხმება ყოველდღიური ტელე და რადიომაუწყებლობის უახლესი ინფორმაციები, გარდა საავტორო ინფორმაციულ-ანალიტიკური პროგრამებისა.

ინფორმაციული ნაკადის ძირითადი მასა ჟურნალისტიკაზე მოდის და პრაქტიკულად ჟურნალისტიკისა და პრესმოხელის ურთიერთობის

1. Рихтер А.Г. Государственная политика в области СМИ, в кн: Правовые основы журналистики. М.2002. С 63.

დინამიკას განსაზღვრავს. კომუნიკაციურ სტრუქტურებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს უწყებრივ სპეცსამსახურებს. იმისთვის, რომ განახორციელონ თავისი პროფესიული საქმიანობა სახელმწიფო ორგანოებში, ჟურნალისტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს გავლილი აკრედიტაცია.

სახელმწიფო ორგანოს პრესსამსახური მნიშვნელოვან დახმარებას უწევს საკუთარ უწყებას და მთლიანად სახელისუფლებო ვერტიკალს, რამდენადაც მედია ბევრად განსაზღვრავს ხელისუფლების იმიჯსა და ავტორიტეტს. იგი ხელს უწყობს დიალოგს საზოგადოებასა და იმ უწყებას შორის, რომელსაც თავად წარმოადგენს.

სახელმწიფო ორგანოებთან არსებული პრესსამსახურები უზრუნველყოფენ ყველა ოფიციალური ღონისძიების აუდიო და ვიდეო ჩაწერას. ასეთი ჩანაწერებისათვის დადგენილია შენახვის უვადო რეჟიმი. რაც შეეხება დახურული ღონისძიებების ჩაწერისა და შენახვის წესს, იგი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

მასმედიის ჟურნალისტებს უფლება აქვთ, გაეცნონ ჩანაწერებს და გააკეთონ მათი ასლები, გარდა დახურული (საიდუმლო) ღონისძიების ჩანაწერებისა. სახელმწიფო ორგანოებში აკრედიტებულ ჟურნალისტებს არ ეზღუდებათ უფლება, გააკეთონ საკუთარი აუდიო და ვიდეო ჩანაწერები სხდომებზე, თათბირებზე და სხვა ღია ოფიციალურ ღონისძიებებზე.

მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო აუდიო-ვიზუალური საშუალებანი ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ რადიო და ტელეარხებით უახლესი სრული ინფორმაციის გადაცემა მსმენელებისათვის განსაზღვრულ დროს, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა შესაბამისი მოვლენის მოხდენის მომენტიდან. ისინი ვალდებულნი არიან, ახალი ცნობები გადასცენ იმავე დღეს, როცა მოხდა შესაბამისი მოვლენა.

მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო აუდიო-ვიზუალური საშუალებანი ინფორმაციულ პროგრამაში ჩართავენ ცნობას:

- საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებების შესახებ, მის მიერ გაკეთებული განცხადებებისა და მიმართვების, სახელმწიფოს მეთაურის ოფიციალური ვიზიტების შესახებ;

- საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებების, დადგენილებების, მიმართებებისა და განცხადებების შესახებ;
- საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებების, განცხადებებისა და მიმართებების შესახებ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების შესახებ;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს ან სხვა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებების შესახებ;
- პრესკონფერენციების, უცხოეთის დელეგაციების ვიზიტებისა და სხვა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.

გარდა ამისა, სახელმწიფო ორგანოების პრესსამსახურებმა ყოველკვირეულად უნდა გაუშვან ეთერში მიმოხილვითი ინფორმაციულ-საგანმანათლებლო პროგრამები პარლამენტის, მისი კომიტეტების, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობის შესახებ. ასეთი ინფორმაციები მუშავდება სახელმწიფო ორგანოების პრესსამსახურების მიერ.

სამართლებრივი ბაზა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო ორგანოებსა და მასმედიას შორის ურთიერთობის პარმონიზაცია, საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს. შემუშავებული უნდა იქნეს ჟურნალისტებისა და სახელმწიფო მოხელეთა თანამშრომლობის ოპტიმალური მექანიზმი შემდეგი პრინციპების საფუძველზე: სავალდებულოდ უნდა იქნეს მიჩნეული მოქალაქეთა ინფორმირება სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტებისა და გადაწყვეტილებების ძირითად დებულებათა შესახებ მათი მიღების დღესვე; შეიქმნას გადაცემათა ციკლი, რომელშიც გაშუქებული იქნება ხელისუფლების ორგანოების საქმიანობა და მიღებულ გადაწყვეტილებათა არსი; ხელისუფლების ორგანოებისაგან დროულად იქნეს მიღებული თანხმობა მათი სხდომების ტრანსლაციის შესახებ; დამოუკიდებლად განისაზღვროს გადაცემის დრო, მოცულობა და ფორმა;

ეს პრინციპები უნდა ჩამოყალიბდეს სპეციალურ ნორმატიულ აქტში, რომლითაც იხელმძღვანელებენ როგორც ჟურნალისტები, ასევე სახელმწიფო ორგანოები. შესაბამისი ნორმატიული აქტები

არსებობს მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში, მათ შორის რუსეთში. რფ-ში ურთიერთობა მასმედიასა და სახელმწიფო ორგანოებს შორის მოწესრიგებულია კანონით „მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის გაშუქების წესის შესახებ“.

საქართველოს ჟურნალისტიკებს არა აქვთ ანალოგიური კანონი. თავიანთ მუშაობაში ისინი ხელმძღვანელობენ ისეთი ნორმატიული აქტებით, როგორცაა: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს ინფორმაციის დეპარტამენტის დებულება და სხვა, რაც აძნელებს მასმედიის საქმიანობას. ერთიანი ნორმატიული აქტი, რომელიც სრულყოფილად განსაზღვრავს ჟურნალისტიკებისა და სახელმწიფო ორგანოების უფლება-მოვალეობებს, ბევრად გააუმჯობესებს მათი ურთიერთობის სამართლებრივ ასპექტებს.

ტელერადიოკომპანიებმა „თანაბარი მოცულობით“ უნდა გააშუქონ ხელისუფლების ყველა განშტოების საქმიანობა. დეპუტატების დებატები კანონპროექტებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ცნობილი უნდა გახდეს საზოგადოებისათვის მასმედიის საშუალებით.

მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო აუდიო-ვიზუალური საშუალებანი საპროგრამო პოლიტიკის ფორმირებისას ვალდებულნი არიან, სხვა პუბლიცისტურ-ინფორმაციულ და ინფორმაციულ-ანალიტიკურ პროგრამებში გაითვალისწინონ ტელემეყურებლებისა და რადიომსმენელების ყოველმხრივი და ობიექტური ინფორმირება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მუშაობის, სახელმწიფო წყობილების ძირითადი პრინციპებისა და თავისებურებების, სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ. ტელე და რადიო პროგრამები სახელმწიფო ორგანოების მუშაობის შესახებ არ უნდა იყოს გადატვირთული რეკლამური მასალებითა და ცნობებით.

სახელმწიფო ორგანოების მხრიდან სახელმწიფო აუდიო-ვიზუალური საშუალებების კონტროლი ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.

პრესაში გამოთქმულ კრიტიკაზე ხელისუფლება რეაგირებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ნაკარნახევია მისი ინტერესებით, მაგრამ უნდა რეაგირებდეს ყოველთვის. აღმასრულებელი ხელისუფლება ვალდებულია, განიხილოს მასმედიაში გამოქვეყნებული მასალები თანამდებობის პირებისა და სახელმწიფო სტრუქტურების ორგანოების საქმიანობის შესახებ, ობიექტურად შეაფასოს ისინი და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება. თავის მხრივ, ჟურნალისტებს უფლება აქვთ და მოვალენიც არიან მიაღწიონ იმას, რომ სახელმწიფო ორგანოები ასრულებდნენ თავიანთ გადაწყვეტილებებს.

მასმედია აქტიურად არის ჩართული არა მარტო შინასახელმწიფოებრივ პოლიტიკურ პროცესებში, არამედ საგარეო პოლიტიკურ მოვლენებში, როცა უშუალოდ წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებს შორის დამაკავშირებელ არხს.

ზოგიერთ კრიზისულ სიტუაციაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლიათ იცოდნენ უფრო მეტი, ვიდრე მთავრობას და შეუძლიათ, თვითონ მიაწოდონ ინფორმაციული ნაკადი პოლიტიკოსებს. უფრო მეტიც, ჟურნალისტებს შეუძლიათ ქვეყანაში პოლიტიკური პრობლემების შექმნა და მათი გამწვავებაც კი.

პოლიტიკა და მასმედია ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ჟურნალისტიკა არ უნდა ქმნიდეს პოლიტიკას, მაგრამ შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს მასზე. პრესისა და ტელევიზიის პროგრამებში პოლიტიკა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემაა. უმრავლეს ქვეყანაში პოლიტიკური ინფორმაცია, პოლიტიკური კამპანიები და დებატები არაჩვეულებრივი საკითხებია, რომლებიც დაწვრილებით შექდება პრესასა და ტელევიზიაში. ამიტომ საინფორმაციო ინსტრუმენტების მეშვეობით მიმდინარეობს ბრძოლა ხელისუფლებისათვის. ჟურნალისტს, რომელიც პოლიტიკურ პროცესებს აშუქებს, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი ცოდნა და სამართლებრივი კულტურა.

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოს მთელ რიგ სახელმწიფოებში შეიმჩნევა მასობრივი შეგნების პოლიტიზაცია, რაზეც გავლენას ახდენს მოსახლეობის დამოკიდებულება საზოგადოების სოციალურ-ეკონომი-

კური წყობილებისა და სხვადასხვა სამთავრობო ორგანოსადმი, დიდი ბიზნესისა და სოციალური პრობლემებისადმი. დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პრესის კონკრეტულ-სოციალური ფუნქციების შესწავლას. ეს ინტერესი ერთი მხრივ გამოწვეულია ჟურნალისტიკის სოციალური სტატუსის კრიტიკული გააზრებით, მეორე მხრივ – სხვადასხვა სოციალურ სტრუქტურაზე მასმედიის ზემოქმედებით.

ამერიკელი თეორეტიკოსი ნორმ გოლდშტეინი წერს: „ხარისხიანი გაზეთები იზიდავენ ფართო წრის მკითხველებს და აქვთ ტენდენცია, დაიკავონ მთავრობისადმი დამოუკიდებელი და კრიტიკული პოზიცია. კი. მათ პოლიტიკას ვერ უწევს კონტროლს ვერც ერთი ცენტრალური ხელისუფლება და ისინი თავიანთი მთავრობის მეთვალყურენი და კრიტიკოსები არიან“.¹

სერიოზული ჟურნალისტიკა დანტერესებულია ხელისუფლებისა და მისი გამოყენების პრაქტიკის საკითხებით. ს. ბრენდის აზრით, ინფორმაციული პროცესებისადმი კონტროლს ქმნის „მედიოკრატია“. იგი აღნიშნავს, რომ „მედიოკრატიის პირობებში ხალხი ხდება სუვერენული, მაგრამ მისი როლი იცვლება. წონადი ხდება არა მისი ხმა საარჩევნო კამპანიაში, არამედ მისი აზრი საზოგადოებაში. იქმნება სამკუთხედი: მთავრობა – მასმედია – საზოგადოება“.²

ურთიერთობა ხელისუფლებასა და მასმედიას შორის მრავალასპექტიანია. ამით არის განპირობებული ის, რომ ბევრ ქვეყანაში მიმდინარეობს ახალი ინფორმაციული პოლიტიკის ფორმირების პროცესი, რომელიც მიმართულია ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარებისაკენ, სოციალურში მისი როლისა და ადგილის განსაზღვრისაკენ. ამ პროცესში აქტიურად უნდა ჩაერთოს საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებიც. ჩვენი აზრით, სახელმწიფო ინფორმაციული პოლიტიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა საქართველოში უნდა განვითარდეს შემდეგი მიმართულებით:

1. Goldstem Norm. The Associated Press Style Book and Briefing on Mass Law – New York, 2002.
2. Brand S. The Media Lab inventing the future at MIT. – N.Y.: Penguin, 1988.
Virieu F.-H. (de). La mediocratie. – Paris, 1990 – p. 36.

- ახალი კანონების შემუშავება, რომლებიც შეავსებენ და განავითარებენ მოქმედ კანონმდებლობას ინფორმაციულ სფეროში;
- მოქმედი საკანონმდებლო აქტების სრულყოფა, მათი ნორმების ეფექტურობის ამაღლება;
- ინფორმაციული კანონმდებლობის სისტემატიზაცია;
- ინფორმაციულ სფეროში მოქმედი და ახლადშემუშავებული ნორმატიული აქტების შეთანხმებულობა დარგობრივი კანონმდებლობის სხვა აქტებთან;
- ინფორმაციულ სფეროში საერთაშორისო კანონმდებლობის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა;
- ინფორმაციულ კანონმდებლობაში ხარვეზების გამოვლენა და აღმოფხვრა;
- ინფორმაციული სამართლისა და მისი წყაროების ფორმირებისა და განვითარების კონცეფციის შემუშავება;
- საზოგადოების ინფორმაციულ-სამართლებრივი კულტურის ამაღლება.

მასმედიისადმი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა საზღვარგარეთის ქვეყნებში დაკავშირებულია ისეთ პრინციპთან, როგორცაა მასობრივი ინფორმაციული ბიზნესი. ეს არის არა უბრალო ბიზნესი, არამედ საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმაციულ და კულტურულ გამდიდრებას. მასმედიისადმი მხარდაჭერის ასეთი სისტემა არსებობს ევროპის უმეტეს ქვეყნებში, თუმცა მათ აქვთ განსხვავებული მოდელები.

აშშ და ევროპის თანამეგობრობის ქვეყნები ცდილობენ, სახელმწიფო ორგანოების კონტროლს დაუქვემდებარონ გლობალური ქსელი, ქვეყანაში შექმნან ერთიანი სამართლებრივი სივრცე, უზრუნველყონ ინფორმაციული უსაფრთხოება, ინფორმაციის გავრცელებისა და გამოყენების სამართლებრივი რეგულირების გაფართოვება.

აშშ-ის საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტი იმ პრინციპებს შორის, რომლებიც გათვალისწინებულია სახელმწიფო ორგანოებისა და მასმედიის ურთიერთობისათვის, გამოყოფს 4 პრინციპს: პირველი პრინციპის თანახმად აუცილებელია, რომ ხელისუფლებამ

უზრუნველყოს ჟურნალისტების მიერ ინფორმაციის შეგროვება და გავრცელება; მეორე ასპექტი დაკავშირებულია იმის ანალიზთან, რას აკეთებს ხელისუფლება და პრესა არჩევნების ნორმალურად ჩატარებისათვის; მესამე ასპექტი გულისხმობს ხელისუფლებისა და პრესის თანამშრომლობას, ახალი ამბების პროგრამებსა და რუბრიკებში წარმოაჩინონ სახელმწიფო ორგანოების პოლიტიკა. მეოთხე ასპექტი ორიენტირებულია მთავრობისა და მასმედიის ურთიერთკოორდინირებულ საქმიანობაზე.¹

რფ-ში პრეზიდენტთან შექმნილი იყო ინფორმაციული დავების სასამართლო პალატა, რომლის მანდატი გაფართოვდა 1993 წლის 12 დეკემბრის არჩევნების შემდეგ და მასში ჩართულ იქნა არა მარტო საარჩევნო საკითხები, არამედ ყოველგვარი კონფლიქტი, რომლებიც დაკავშირებულია მასმედიასთან. სასამართლო პალატის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი ქვეყნდებოდა სამთავრობო გაზეთში, რაც ხელს უწყობდა მათ აღსრულებას.²

2000 წლის ზაფხულიდან პალატა ფაქტობრივად გაუქმებულია, მაგრამ სასურველი იქნებოდა ასეთი ორგანოს არსებობა ყველა ქვეყანაში და მათ შორის ჩვენთანაც.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის ურთიერთობაში ბევრი გადაუჭრელი პრობლემაა. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ არ არსებობს სათანადო საკანონმდებლო ბაზა, სპეციალური ნორმატიული აქტი, რომელშიც ნათლად იქნება გამოკვეთილი მასობრივი ინფორმაციის გავრცელების პროცესში როგორც სახელმწიფო ორგანოების, ასევე მასმედიის ჟურნალისტების უფლება-მოვალეობანი. რაც უფრო ადრე იქნება შევსებული ინფორმაციული კანონმდებლობის ეს ხარევი, მით უფრო სრულყოფილი გახდება სახელმწიფოებრივი პოლიტიკა და ჟურნალისტური საქმიანობა საზოგადოების განვითარებისათვის ესოდენ მნიშვნელოვან სფეროში.

1. Modern Constitutional Theory: A Reader/Ed. by J.H. Garvey, Minn, 1994.

2. Рихтер А.Г. Государственная политика в области СМИ в кн: Правовые основы журналистики. М 2002. С.71-72.

თავი 4. სასამართლო ხელისუფლება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი

ჟურნალისტების მიერ ინფორმაციის მოძიების, მიღებისა და გავრცელების ზოგადი წესი, რამდენადმე სახეშეცვლილია ზოგიერთ სფეროში. ერთ-ერთ ასეთ სპეციფიკურ სფეროს წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლება.

მასმედიის წარმომადგენლების მიერ სასამართლო საქმიანობის გაცნობა, სასამართლო პროცესების გაშუქება, რა თქმა უნდა, სპეციფიკურია იმ თვალსაზრისით, რომ არ დაირღვეს ისეთი კონსტიტუციური პრინციპები, როგორცაა მოსამართლეებისა და მთლიანად სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა, სამართლის უზენაესობა და კანონის წინაშე ყველას თანასწორობა, სამართალწარმოების დემოკრატიულობა და საჯაროობა, უდანაშაულობის პრეზუმფცია, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

სამართალწარმოების საჯაროობის კონსტიტუციური პრინციპი იმის გარანტიაა, რომ ზუსტად იქნეს დაცული მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმები საქმის გამოძიების დროს, შემცირებული იქნეს სასამართლო შეცდომები.

ამასთანავე, სასამართლო ორგანოების მუშაობაზე სამოქალაქო კონტროლი დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს აუცილებელი ატრიბუტია. ასეთი კონტროლი ხორციელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერაც, რამდენადაც პლურალისტურ საზოგადოებაში ჟურნალისტებმა უნდა გააშუქონ ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა.

მართლმსაჯულება სამართლებრივ სახელმწიფოში ძირითადი ფასეულობების დაცვის საშუალებაა. ამიტომ ის უნდა სარგებლობდეს საზოგადოებრივი ნდობით, რათა თავისი მოვალეობა წარმატებით შეასრულოს. შესაბამისად, აუცილებელია ნდობის დაცვა უსაფუძვლო თავდასხმებისაგან, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მოსამართლეებს შეზღუდული აქვთ უფლება, კომენტარი გააკეთონ

მართლმსაჯულების საკითხებზე და შესაბამისად სათანადოდ უპასუხონ კრიტიკას.

„სამართლებრივ სახელმწიფოში პრესის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, მოიცავს იდეებისა და ინფორმაციის გავრცელებას მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების შესახებ, იმ სახელმწიფო ინსტიტუტის შესახებ, რომლის არსებობა სასიცოცხლოდ აუცილებელია ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოებისათვის. პრესა ერთ-ერთი ის ინსტრუმენტია, რომლის მეშვეობითაც პოლიტიკოსებსა და საზოგადოებას შეუძლიათ დარწმუნდნენ, რომ მოსამართლეები ასრულებენ საკუთარ მოვალეობებს თავიანთი უფლებამოსილების პროცესსა და ფარგლებში.“¹

მართლმსაჯულების ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს ის, რომ „არავის არა აქვს უფლება, ჩაერიოს მართლმსაჯულების განხორციელებაში და ზეგავლენა მოახდინოს მოსამართლეზე ან მსაჯულზე.“² ეს არა მარტო ფუნდამენტური, არამედ იმპერატიული პრინციპიცაა, რომლის დარღვევა არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება.

იქმნება პრობლემა: ხომ არ ეწინააღმდეგება მასმედიის უფლება თავისუფლად გააშუქონ სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და შედეგები, – სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას?

აღნიშნული პრობლემა სერიოზულ დავას იწვევს სამეცნიერო ლიტერატურაში და პრაქტიკაში. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ სფეროში არსებულ წინააღმდეგობრივი საკითხების გადაჭრას ბევრად აბრკოლებს იმ ნორმატიული აქტის არარსებობა, რომელიც დეტალურად მოაწესრიგებს მასმედიის წარმომადგენლების უფლება-მოვალეობებს. ეს ხარვეზი სამართლებრივ რეგულირებაში ივსება ძირითადად პრაქტიკით.³

ხშირად მოსამართლეებსა და მასმედიის წარმომადგენლებს სერიოზულად არა აქვთ გაცნობიერებული ერთმანეთის სოციალური როლი.

1. გამოსატყვის თავისუფლება, თავისუფლების ინსტიტუტი. ტ. I, თბ. 2005. გვ. 143.
 2. საქართველოს ხისხლის სამართლის სამოქცესო კოდექსი, თბ. 2004. მუხლი 8, პუნქტი 8.
 3. Федотова М.А., Лычкин Л.В. Судьи о журналистах, (Социологические исследования). 1998г С 102.

განსაკუთრებით პრობლემურია საკითხი ჟურნალისტური გამოკვლევების შესახებ, რასაც მასმედიის წარმომადგენლები „ჟურნალისტურ გამოძიებას“ უწოდებენ და აწარმოებენ წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვისაგან დამოუკიდებლად. მართლმსაჯულების პრინციპებიდან გამომდინარე, ასეთი უფლების მინიჭება ჟურნალისტისათვის იწვევს იმ ფუნქციების აღრევას, რაც საზოგადოებაში სასამართლო ხელისუფლებასა და მასმედიას აკისრია.

აქვს თუ არა ჟურნალისტს უფლება, შეასრულოს გამოძიებლის ან მოსამართლის ფუნქციები? სწორია თუ არა ფრაზა „ჟურნალისტური გამოძიება“, რომელიც თანდათან მკვიდრდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მაუწყებლობის საშუალებებში? მართებულად მიუთითებდა პროფ. გ. ინწკირველი, რომ „გამოძიება“ სპეციალური იურიდიულ-პროცესუალური ტერმინია და ამ საქმეს აწარმოებს გამოძიებელი, რომელსაც სათანადო იურიდიული ცოდნა და კვალიფიკაცია აქვს. ხოლო ჟურნალისტურ საქმიანობას, რომლის შედეგადაც მრავალი უარყოფითი მოვლენა და დარღვევა მქადვენდება, უნდა ვუწოდოთ ჟურნალისტური გამოკვლევა და არა ჟურნალისტური გამოძიება.¹

ზოგიერთი მკვლევარი ჟურნალისტურ გამოძიებას ორიგინალურს უწოდებს. „ორიგინალური ჟურნალისტური გამოძიება გულისხმობს რეპორტიორებს, რომლებიც თავად იძიებენ, ააშკარავენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც მანამდე უცნობი იყო საზოგადოებისათვის.“²

გვევს არ იწვევს ის გარემოება, რომ ჟურნალისტებისა და იურისტების ერთობლივი თანამშრომლობა მართლმსაჯულების განხორციელების სფეროში ეფექტური და შედეგიანია, თუმცა მათი პროფესიული კომპეტენციის უგულებელყოფა და ერთმანეთში აღრევა არამართებულა. გამოძიება და დამნაშავეის დასჯა სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების კომპეტენციაა და არა მასმედიის.

სად არის ზღვარი პროფესიონალი იურისტისა და ჟურნალისტის საქმიანობას შორის? რა მოაქვს მათი ფუნქციების აღრევას –

1. გ. ინწკირველი, კანონის მიღების დაკონკრეტება თვით წვენი ცხოვრების შეფერვაზე, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 24.01.2001, № 19.

2. ბილკოვსკი, რომ რუსენსტილი, „ჟურნალისტის უღმრთეობები“, თბილისი, 2006.

სიკეთე თუ ზიანი? როცა ჟურნალისტი ტელეეკრანიდან ან პრესის ფურცლებზე წინასწარ, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე აცხადებს პირს დამნაშავედ, ირღვევა კონსტიტუციური ნორმა უდანაშაულობის პრეზუმფციის შესახებ და ამით ირღვევა ადამიანის უფლებებიც.

ჟურნალისტებს ბევრჯერ ფასდაუდებელი სამსახური გაუწევიათ მართლმსაჯულებისათვის, თუმცა, მომხდარა პირიქითაც: სიტყვის თავისუფლების პრინციპის უპასუნისმგებლოდ გამოყენებას მნიშვნელოვანი ზიანი მოუტანია როგორც სახელმწიფოს, ასევე ცალკეული მოქალაქეებისათვის.

გამოსავალი აქ საკითხის სამართლებრივ რეგულირებაშია. მიღებული უნდა იქნეს სპეციალური კანონი, რომელშიც დეტალურად იქნება განსაზღვრული წინასწარი გამოძიებისა და სამართალწარმოების პროცესში ჟურნალისტის მონაწილეობის ხასიათი, მისი უფლებები და შესაძლებლობები, რათა თავიდან ავიცილოთ სერიოზული კონფლიქტები, ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვის უამრავი ფაქტი.

ჟურნალისტური გამოკვლევების აუცილებლობა, არგუმენტირებული და ობიექტური კრიტიკა სასამართლო ორგანოების მისამართით არაერთგზის გამხდარა სასამართლო შეცდომების გამოსწორების მაგალითი, რაც დადასტურებულია სოციალური პრაქტიკით. ამის მაგალითია მსოფლიოში განხორციელებული ფაქტი: გაერთიანებულ სამეფოში ბრალდებულს გამოუტანეს განაჩენი მკვლელობისათვის, რომელიც მას არ ჩაუდენია. მოქალაქემ 27 წელი დაჰყო ციხეში. მისი განაჩენი გადაისინჯა მხოლოდ 2002 წლის მარტში, ადგილობრივი გაზეთის რედაქტორის მიერ წარმოებული დაულალავი მცდელობის შედეგად.¹

შეცდომების ძიება და მასზე რეაგირება სიფხიზლეს მატებს და სტიმულს აძლევს ჟურნალისტს, საჯარო ზედამხედველობა განახორციელოს, საზოგადოებრივი ინტერესებისათვის. შეცდომები არც სასა-

1. Rhonda Baker. Media Law. London, UK, 1995. pp 123-125.

მართლო საქმიანობაშია გამორიცხული, მით უმეტეს ჟურნალისტების მიერ ამ საქმიანობის გაშუქებისას. ჟურნალისტის მოვალეობაა, თავის პუბლიკაციებში მინიმუმამდე შეამციროს შეცდომების დაშვების შესაძლებლობა. ობიექტური და კომპეტენტური ინფორმაცია სასამართლოს საქმიანობის შესახებ საიმედო წყაროს უნდა ემყარებოდეს.

სასამართლო საქმეების განხილვისას ყოველთვის დაცული უნდა იქნეს მხარეთა პარიტეტი. ჟურნალისტი არ უნდა შეუშინდეს ბრალდებას იმ მიზეზით, რომ მისი პუბლიკაცია არაკომპენტენტური იქნება. აღსანიშნავია, რომ განვითარებულ ქვეყნებში მედიის ყველა საშუალებას სპეციალური იურისტი ჰყავს იმ მიზნით, რომ ჟურნალისტის სტატიის გამოქვეყნებამდე გადაამოწმოს იურიდიული ნიუანსები. ეს განპირობებულია იმით, რომ ჟურნალისტურ გამოკვლევას გარდა წმინდა იურიდიული მხარისა, მკაფიოდ გამოხატული საზოგადოებრივი დატვირთვა და მოტივაცია აქვს.

მოსამართლეთა კორპუსი ზოგჯერ უკიდურესად მტკივნეულად რეაგირებს მასმედიის მხრიდან კრიტიკაზე. ჟურნალისტების დაუსაბუთებელი, ტენდენციური მსჯელობა მოსამართლეებში იწვევს არა უბრალო, არამედ არაადეკვატურ რეაქციას, ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

ზოგიერთი ჟურნალისტი, რომელთაც არა აქვთ სათანადო სამართლებრივი ცოდნა, თავიანთ გამოსვლებში დამახინჯებულად წარმოაჩენენ სასამართლოების საქმიანობას, გამოთქვამენ იურიდიულად არაკომპეტენტურ აზრებსა და შეფასებებს, რითაც უარყოფით ზეგავლენას ახდენენ მოქალაქეთა მართლშეგნებაზე, ამცირებენ სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს. მეორე მხრივ, ზოგიერთი მოსამართლე ყოველგვარი საბაბით ცდილობს თავი აარიდოს ჟურნალისტისა და მასმედიის რედაქციის შეკითხვებს. არის შემთხვევები, როცა კრიტიკული შენიშვნები სასამართლოების მიმართ ან პრესაში გამოთქმული მოსაზრება ამა თუ იმ განაჩენის ან გადაწყვეტილების სამართლიანობის შესახებ, მოსამართლეთა მიერ აღიქმება, როგორც სასამართლო საქმიანობაში ჩარევა, სასამართლო ხელისუფლების შეურაცხყოფა, მოსამართლის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვა.

პრესის მიერ დანაშაულის, სხვა სამართალდარღვევისა და სამართლის სისტემის სათანადო გაშუქება ხელს უწყობს მართლმსაჯულების აღსრულებას. სასამართლოსა და ადვოკატურის წარმომადგენლებმა სასამართლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია მაქსიმალურად ხელმისაწვდომი უნდა გახადონ საზოგადოებისათვის.

იურისტებმა და ჟურნალისტებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი ისე, რომ ამან ხელი არ შეუშალოს სასამართლო პროცესის მსვლელობას. ჟურნალისტურმა რეპორტაჟმა არ უნდა მოახდინოს გადაჭარბებული გავლენა საქმის მსვლელობაზე. გათვალისწინებული უნდა იქნეს რეპორტაჟის ხასიათი და დრო. ახალმა ამბებმა არ უნდა წარმოშვას არასწორი აზრი სამართლიან სასამართლო პროცესზე. მასმედიას უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მოსამართლის მოვალეობა – დაიცვას ეტიკეტი სასამართლო დარბაზში და უზრუნველყოს მართლმსაჯულების აღსრულება.

თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოება საჭიროებს ისეთ სასამართლო სისტემას, რომელიც მისაღები უნდა იყოს საზოგადოებისათვის, როგორც გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემა. ჟურნალისტებს შეუძლიათ სწორედ ამგვარი სისტემის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებას შეუწყონ ხელი სასამართლო და საკანონმდებლო საქმიანობის სისტემატური გაშუქებით, კვალიფიციური და საინტერესო სიუჟეტების შექმნით, რითაც უდიდეს დახმარებას გაუწევენ მოქალაქეებს, რწმენას ჩაუნერგავენ ადამიანებს, პატივი სცენ კანონმდებლობას, იბრძოლონ სამართლიანობის დამკვიდრებისათვის. ჰარმონიული ურთიერთობა სასამართლო სისტემასა და მასმედიას შორის გულისხმობს სამართლიანი სასამართლოს პირობებში სიტყვისა და პრესის თავისუფლებას, ხალხისათვის სასამართლო პროცესებისა და სასამართლო სისტემის გამჭვირვალეობას.

ამ პრობლემის გადაჭრა მრავალ სიძნელესთან არის დაკავშირებული. უპირველეს ყოვლისა, სასამართლოებში უნდა გატარდეს ეფექტური ინფორმაციული პოლიტიკა, ვინაიდან სასამართლო ხელისუფლებას არ აქვს საკუთარი ინფორმაციული უზრუნველყოფა.

საქმე ეხება კიდევ ერთ სახელმწიფო მასმედის სისტემას, რომელიც ორიენტირებული იქნება მხოლოდ მართლმსაჯულების საკითხებზე.

მოქმედი კანონმდებლობით სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას მასმედიას უფლება ჰქონდა სხდომათა დარბაზში გამოეყენებია ფოტო-ვიდეო კამერები, გადაეღო და ჩაეწერა პროცესის მიმდინარეობა, რაც არაერთგვაროვნადაა შეფასებული იურიდიულ ლიტერატურაში.

ბარბარა სვანი, ამერიკის იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი საქართველოში, გამართლებულად მიიჩნევს ტელევიზიის დაშვებას სასამართლო სხდომათა დარბაზში. საწინააღმდეგო მოსაზრება აქვს დოც. ა. კახიაშვილს, რომელიც თვლის, რომ დაუშვებელია სისხლის სამართლის საქმეებისა და სხვა სახის სამართალდარღვევათა განხილვის ერთნაირ რეჟიმში მოქცევა, ვინაიდან სისხლის სამართლის პროცესი მეტად სპეციფიკურ ურთიერთობებს არეგულირებს. ამიტომ, თუ სამოქალაქო, სამეწარმეო და ადმინისტრაციული საქმეების სასამართლოში განხილვისას სხდომათა დარბაზში ტელევიზიის დაშვება შეიძლება სადავო არ იყოს, სისხლის სამართალწარმოების დროს იგი მნიშვნელოვნად ლახავს სისხლის სამართლებრივ დევნაში მოყოლილი პიროვნების (განსასჯელის) უფლებებს და უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს.

„სისხლის სამართალწარმოებაში „საქვეყნობის“ უზრუნველსაყოფად აუცილებლობას არ წარმოადგენს უშუალოდ სხდომათა დარბაზიდან, როგორც თეატრალური წარმოდგენიდან პირდაპირი ტელეტრანსლაციების მოწყობა... რაც, ფაქტობრივად მთელ საზოგადოებას გვაძლევს საშუალებას, უკითხავად ჩავერიოთ ადამიანის პირად ცხოვრებაში, გავხდეთ მისი ტრაგედიის მყურებლები და რაც ყველაზე აღმამფოთებელია, ადამიანი, რომელსაც კონსტიტუცია და კანონი ერთმნიშვნელოვანდ უდანაშაულოდ მიიჩნევს, ხოლო სასამართლოს მიერ მისი გამართლებაც არაა გამორიცხული, შეგვიძლია გალიაში ჩასმულიც კი ვიხილოთ. ეს კი ყოველი ნორმალური ადამიანისთვის თავისთავად წარმოადგენს კანონით გაუთვალისწინე-

ბელი სასჯელის განსაკუთრებულ სახეობას, რაც შეიძლება სიკვდილის ტოლფასიც იყოს.“¹

2007 წლის 11 ივლისს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად სასამართლოს შენობაში, ასევე სისხლის სამართლის საქმის განხილვის ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღება, სტენოგრაფირება და აუდიოჩაწერა ხორციელდება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით. აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „სასამართლოს შენობაში, ასევე სასამართლოს სხდომის დარბაზში საქმის განხილვის ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღება და ტრანსლაცია დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას ახორციელებს სასამართლო ან სასამართლოს უფლებამოსილი პირი. სასამართლოს შეუძლია გაავრცელოს თავის ხელთ არსებული სასამართლო პროცესის ფოტო-, კინო- და ვიდეოგადაღების მასალები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს. სასამართლო სხდომის სტენოგრაფირება და აუდიოჩაწერა დაიშვება სასამართლოს (მოსამართლის) მიერ დადგენილი წესით. ეს უფლება შეიძლება განხორციელდეს სასამართლოს (მოსამართლის) მოტივირებული გადაწყვეტილებით.“

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1 ნაწილში აღნიშნულია: „სასამართლო გადაწყვეტილება ქვეყნდება საჯაროდ, მაგრამ პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაუშვან სასამართლო სხდომაზე მთელი პროცესის განმავლობაში ან რომელიმე ნაწილში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან სახელმწიფო უშიშროების თვალსაზრისით. აგრეთვე მაშინ, თუ ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა; ან თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო სასამართლოს თვალსაზრისით ეს მკაცრად აუცილებელია, როცა საჯაროობას შეუძლია ზიანი მიაყენოს მართლმსაჯულებას.“²

1. ა. კახიანიშვილი, „კოდექსშია სასამართლო პროცესზე და უდანაშაულობის პრეზუმპცია“, კურს. „მართლმსაჯულების მაცნე“, 1998, №4, გვ. 40-41.

2. ქ. კორკელია, ი. ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მხედვეთ, თბ., 2004, გვ. 223.

ამასთანავე, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლო სხდომებზე არ უნდა დაუშვან მასმედიის წარმომადგენლები, თუ განიხილება საქმე, რომელიც ეხება სახელმწიფო საიდუმლოებას, თუმცა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასამართლო გადაწყვეტილების გაცნობის შესაძლებლობა მასმედიის მეშვეობით.

ჟურნალისტი თავისი ინიციატივით აკეთებს საქმეს, რომელიც წესით სამართალდამცავი სტრუქტურების გასაკეთებელია: აგროვებს მათ მაგივრად მტკიცებულებებს, რაც დისკომფორტს უქმნის სამართალდამცავ ორგანოს. ამით ჟურნალისტები ააშკარავენ იმ დანაშაულებრივ კავშირს, რაც სამართალდამცავ ორგანოსა და დამნაშავეებს შორის არსებობს. იწყება სქოლასტიკური არგუმენტების მოშველიება, რომ ჟურნალისტის მიერ შეგროვილი მტკიცებულებანი არ არის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გამაგრებული და მათი მოპოვება კანონსაწინააღმდეგო მეთოდებით ხორციელდება.

კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არ აქვს.“ ასევე საპროცესო კანონმდებლობა გარკვევით მიუთითებს, რომ „კანონით გაუთვალისწინებელი წყაროებიდან მოპოვებული მტკიცებულება ითვლება დაუშვებელ მტკიცებულებად,“ ე. ი. კანონით გაუთვალისწინებელი წყაროდან მიღებული მტკიცებულება უკანონოა.

საზოგადოებაში, იურიდიულ ლიტერატურასა და მასმედიაში მწვავე დისკუსიას იწვევს ფარული ჩაწერის საკითხი. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ „სისხლის სამართლის პროცესში პირის ჩვენების სარწმუნოების შესაფასებლად დასაშვებია ფარული აუდიო ან ვიდეო ჩანაწერი, თუ იგი დაფიქსირებულია:

- ფარულად იმ პირის მიერ, რომლის წინააღმდეგაც იყო მიმართული დანაშაული და რომელიც არის საუბრის ან ქმედების მონაწილე;
- ტექნიკური საშუალებით შემთხვევით, რაც ასახავს განხორციელებულ ქმედებას.

ამასთანავე, ფარული ჩანაწერის დასაშვებობის საკითხის განხილვა და გადაწყვეტა ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით, ე. ი. სასამართლოზეა დამოკიდებული ცნობს თუ არა ფარულ ჩანაწერს კანონიერ მტკიცებულებად.

კანონის ინტერპრეტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ყველა მოქალაქეს, მათ შორის ჟურნალისტსაც აქვს უფლება, გააკეთოს ფარული ჩანაწერი და წარუდგინოს სასამართლოს, როგორც მტკიცებულება.

მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის აშშ-ში, კანონმდებლობა იძლევა შესაძლებლობას, განხორციელდეს ფარული ჩაწერა და გამოყენებული იქნეს როგორც მტკიცებულება.

90-იანი წლების დასაწყისში კალიფორნიაში აფრო-ამერიკელი როდნი კინგი სასტიკად სცემეს პოლიციელებმა. ეს ფაქტი რომელიღაც მოყვარულის მიერ იქნა კამერით გადაღებული და შემდეგ გაშუქებული ტელევიზიით; ამ ფაქტს სერიოზული რეზონანსი მოჰყვა და პოლიციელებს სასამართლომ შესაბამისი პასუხისმგებლობა დააკისრა.¹ აშშ-ში ძალიან ბევრი შემთხვევა არსებობს, როცა მოყვარულის ან ჟურნალისტის მიერ გადაღებული მასალის საფუძველზე ხდება საკმაოდ სერიოზული რეაგირება.

საქართველოს კანონმდებლობაში მნიშვნელოვან ნოვაციას წარმოადგენს საპროცესო ნორმა, რომელიც უფლებას აძლევს ჟურნალისტს, უარი განაცხადოს სასამართლო ორგანოებისათვის ჩვენების მიცემაზე, თუ იგი მის პროფესიულ საქმიანობას შეეხება.

ჟურნალისტი ახორციელებს საზოგადოების უფლებას – იცოდეს სიმართლე და აწვდის მას ზუსტ და ობიექტურ ინფორმაციას, რომლის საფუძველზეც მოქალაქე იღებს გაცნობიერებულ გადაწყვეტილებას. ამდენად, ჟურნალისტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივი უფლებების განმტკიცებაში. მაგრამ ჟურნალისტმა ეს უნდა გააკეთოს პროფესიონალის მსგავსად, ზომიერად გამოიყენოს თავისი შემოქმედებითი მიდგომა და წარმოსახვის უნარი. სარგებლობს რა სიტყვის თავისუფლების კონსტიტუციური უფლებით, ჟურნალისტმა არც საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა დაივიწყოს და შეეცადოს, ყველას მიმართ სამართლიანი და ობიექტური იყოს. ჟურნალისტი მოსამართლესავით დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი უნდა იყოს, არ დაარღვიოს ადამიანის უფლებები და მათ შორის უდანაშაულობის პრეზუმფცია.

1. Jones R.W. Journalism in the United States – New York.. 1991.

საქართველოს სამართლებრივი სისტემა კონტინენტური სამართლის პრინციპზეა აგებული. მიუხედავად ამისა, კანონის განმარტებისა და ტრადიციის ჩამოყალიბებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ პრეცედენტული მნიშვნელობა და განაპირობოს მართლმსაჯულების მომდევნო წლების პრაქტიკა. ამგვარი პროცესები მედიის მუდმივი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. იმ შემთხვევაში, როცა მასმედია ცალკეული ფაქტების ანალიზიდან გადადის განზოგადებაზე, ეს სტიმულს აძლევს კანონმდებლობის განახლებას.

აუდიტორიის დასაინტერესებლად ეფექტურ ჟურნალისტურ ხერხს წარმოადგენს სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებულ ახალ ამბებში პიროვნული ელემენტის შემოტანა, მნიშვნელოვან სასამართლო საქმეებში ჩართული კვალიფიციური იურისტების გამოცდილების წარმოჩენა, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის აქტუალური და საინტერესო დეტალების გაშუქება, საკანონმდებლო ცვლილებებზე ყურადღების გამახვილება. აუდიტორიის დაინტერესებას გამოიწვევს იმის განმარტება, თუ რა სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებს გამოიწვევს საკანონმდებლო ნოვაცია, რა სიკეთეს მოუტანს იგი ადამიანებს. დებატები საზოგადოებისათვის საჭირო როგორც საკითხებზე ხელს უწყობს დემოკრატიზაციის პროცესს და მოსახლეობის სამართლებრივ განათლებას.

კანონი არ ავალებს მოსამართლეს, განმარტოს საკუთარი გადაწყვეტილება, თუმცა ეს მეტად მნიშვნელოვანი იქნება როგორც ჟურნალისტის, ასევე საზოგადოებისათვის.

დიდ ეფექტს გამოიწვევს ჟურნალისტური პუბლიკაციები იმ ადამიანებზე, რომელთაც წარმატებით შეძლეს თავიანთი შელახული უფლებების დაცვა, იპოვეს „სამართლიანი სამართალი“. ასეთი პუბლიკაციების გამოქვეყნება დაეხმარება საზოგადოებას, დაძლიოს სამართლებრივი ნიჰილიზმი, პატივი სცეს კანონს და მისი უზენაესობის დამკვიდრებას. სასამართლო ჟურნალისტიკა განსაკუთრებით რთულია, თუმცა საქმის სიყვარულითა და პროფესიონალიზმით ამ სირთულეების დაძლევა შესაძლებელია.

სასამართლოსა და მედიის ურთიერთობა დემოკრატიულ საზოგადოებაში ცდება უწყებრივ და კორპორაციულ ჩარჩოებს, რადგან სასამართლოში იქმნება საზოგადოებრივი განვითარების პრეცედენტული პრაქტიკა და ხშირად ეს პრაქტიკა მედიის განვითარების პირდაპირპროპორციულია.¹

დასავლეთ ვეროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში კანონი აწესრიგებს საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ ასპექტს – ბიზნესს, დაზღვევას, განათლებას, მედიცინას, საოჯახო ურთიერთობებს, სპორტს და ა. შ. შესაბამისად, სამართლებრივი საკითხები ახალი ამბების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს. გაზეთების უმრავლესობა ყოველდღიურად 10-12 სტატიას აქვეყნებს სამართლებრივ თემაზე, თუ არ ჩავთვლით სპეციალურ თემატურ გვერდებსა და დამატებებს.²

ქართულ საზოგადოებაში თანდათან ძლიერდება მსგავსი ტენდენციები. თუ ქართველ ჟურნალისტებს ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების ასახვის სურვილი აქვთ, მათ სამართლებრივი პუბლიკაციების მომზადების უნარიც უნდა ჰქონდეთ.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ კონკრეტული წვლილი შეიტანა სასამართლო ხელისუფლებასა და ჟურნალისტთა შორის გაუცხოებაში, რეკომენდაცია მისცა, დაეშვათ ჟურნალისტები საკვალიფიკაციო კოლეგიის სხდომებზე, აუცილებლობის შემთხვევაში მოეწვიათ და გადაეცათ მათთვის საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ინფორმაცია თავიანთი მუშაობის შესახებ, წარმოებაში მიეღოთ ჟურნალისტთა საჩივრები და განცხადებები მოსამართლეთა მიერ მათი უფლებების დარღვევის შესახებ.

საქართველოში სასამართლო ხელისუფლებასა და მასმედიას შორის ურთიერთობის ჰარმონიზაციისათვის მიზანშეწონილი იქნება:

- შეიქმნას სამართლებრივი ბაზა სამართალწარმოების საჯაროობასა და მასმედიასთან სასამართლო ხელისუფლების ურთიერთობის შესახებ;

1. Комаров В.А. Информационное право. М. 2003г. С. 105

2. Panici, D.A. New Media and the introductory mass communication course. *Journalism & Mass Communication Educator*. 53, 1998 (Spring);

G Marshall. 'Press Freedom and Free Speech Theory'. N.Y. 1992

- შეიქმნას სპეციალური სტრუქტურები, რომლებიც ხელს შეუწყობს ორივე მხარის ურთიერთინფორმირებას და მათი ინტერსების გათვალისწინებას.¹
- იმის გათვალისწინებით, რომ სამართალწარმოების საჯაროობა უეჭველად გაძლიერდება, საჭიროა მოსამართლეებისა და ჟურნალისტების ურთიერთობის ახალი ფორმების დანერგვა. სასურველია, ასეთი ფორმები და მეთოდები ისწავლებოდეს იურიდიულ ფაკულტეტზე. ეს უნდა შეეხოს ჟურნალისტებსაც, რომლებიც სპეციალიზებულნი არიან სასამართლოს საქმიანობის გაშუქებაზე;
- აუცილებლად უნდა იქნეს რეგულირებული სასამართლო პროცესებზე მასმედიის წარმომადგენელთა აკრედიტაციის სტიქიურად მიმდინარე პროცედურა;
- სასურველია, მოეწყოს საზოგადოებრივი მონიტორინგი სასამართლოში ჟურნალისტების უფლებების დარღვევის შესახებ; ჩატარდეს ჟურნალისტებისა და სასამართლოს წარმომადგენლების ერთობლივი სემინარები.

საქართველოში სასამართლო ჟურნალისტიკის სფეროში მომუშავე ჟურნალისტებს შემდეგი პრობლემების დაძლევა უხდებათ: პირველი პრობლემა მდგომარეობს კანონის ფორმალურ-იურიდიულ ასპექტში. კანონები ხშირად გადატვირთულია იურიდიული ტერმინოლოგიით და რთული გასაგები ენით არის გადმოცემული. ჟურნალისტების დიდ ნაწილს არ აქვს სპეციალური იურიდიული განათლება (ეს მათთვის არც არის აუცილებელი), რაც ზოგჯერ აბრკოლებს ინფორმაციის სწორად გადმოცემას.

მეორე პრობლემა არის ის, რომ მოქალაქეებს მწირი ინფორმაცია აქვთ თავიანთი იურიდიული უფლებებისა და მოვალეობების შესახებ და მათთვის კანონი პრობლემის გადაწყვეტის გარანტს არ წარმოადგენს. ამ პრობლემის დაძლევაში მედიას უმნიშვნელოვანესი ფუნქციის შესრულება შეუძლია. რაც უფრო ხშირად გაშუქდება სამართლებრივი

1. აღსანიშნავია, რომ რფ-ში არის ასეთი სტრუქტურა – რეპორტიორების გაილდია, რომელიც ემონიტორება საკუთარ პროფესიულ-ეთიკურ ქარტას.

საკითხები და ახალი ამბების გადმოცემისას გამოიკვეთება სამართლებრივი ასპექტები, მით უფრო გაიზრდება საზოგადოებაში კანონის მიმართ ნდობა. ჟურნალისტების მიერ სათანადოდ მიწოდებული ობიექტური ინფორმაცია მოქალაქეებს სტიმულს მისცემს, თავიანთი პრობლემები სასამართლოს გზით მოაგვარონ და ხელს შეუწყობს კანონის უზენაესობის დამკვიდრებას.

განვითარებად საზოგადოებაში მოქალაქეების მიერ კანონის უგულვლელყოფა და ინფორმაციის დეფიციტი უკიდურესად უარყოფითი მოვლენაა. ჟურნალისტს აკისრია თვითგანათლებისა და თავისი ცოდნის მუდმივად სრულყოფის ფუნქცია, რათა მის მიერ გადაცემული ინფორმაცია საზოგადოების განათლებას უწყობდეს ხელს.

მესამე პრობლემა – საზოგადოებისთვის ჟურნალისტური მასალების საინტერესო ფორმით მიწოდება ჟურნალისტური პროფესიონალიზმისა და უნარის საკითხია.¹

პუბლიკაციის მომზადებისას ჟურნალისტს შეიძლება შეექმნას სამართლებრივი ხასიათის სხვადასხვა დაბრკოლება. მაგალითად, ინფორმაციის მოპოვების სტადიაზე ჟურნალისტს შეიძლება აეკრძალოს საქმის ოფიციალურ წარმოებაზე დასწრება ან დოკუმენტების დათვალიერება, ზოგ შემთხვევაში ოფიციალური ჩანაწერები შეიძლება დაილუქოს და ა. შ.

ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების კონსტიტუციით გარანტირებული უფლება შესაძლებელია შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, როცა ეს გამომდინარეობს დემოკრატიული საზოგადოების ინტერესებიდან. ასეთ შემთხვევებში ჟურნალისტმა უნდა დაიცვას გონიერული ბალანსი პროფესიულ ინტერესსა და სახელმწიფო ინტერესებს შორის.

ჟურნალისტის ამოცანაა, კარგად გაეცნოს სასამართლოს მუშაობის სპეციფიკას, კვალიფიციური, გამოცდილი მოსამართლეების პრაქტიკას. სასამართლო კორპუსთან კონტაქტის დამყარება ჟურნალისტური საქმიანობის წარმატების საწინდარია, ვინაიდან ურთიერთობა იმ ადამიანებთან, რომლებიც პუბლიკაციების მომზადებაში დაეხმარე-

1. პრესმედიატორი (მედიასთან ურთიერთობის პრაქტიკა). გამომცემელი სამართლებრივი განათლების ასოციაცია. 2002. გვ. 28.

ბიან. იმის გარანტიას, რომ თავიდან იქნეს აცილებული შესაძლო შეცდომები და გაუგებრობები.

იურისტები მედიისადმი უფრო ლოიალურები და გახსნილნი უნდა გახდნენ. საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსში მითითებულია, რომ მოსამართლე პატივისცემით, ყურადღებით და კორექტულად უნდა მოეკიდოს მედიის წარმომადგენელთა ინტერესებს, საშუალება მისცეს მათ, მოიპოვონ და გაავრცელონ ინფორმაცია მართლმსაჯულების განხორციელების, სასამართლოს საქმიანობის ან კონკრეტული საქმის შესახებ, მაგრამ ამ მოვალეობის შესრულებისას მოსამართლემ სიფრთხილე და წინდახედულობა უნდა გამოიჩინოს, რათა კონკრეტული საქმის გადაწყვეტამდე მასმედიას არ გაუმჟღავნოს თავისი პროფესიული აზრი და დამოკიდებულება საქმის შედეგების მიმართ. მოსამართლის ურთიერთობა მედიასთან ყოველთვის შებოჭილი უნდა იყოს სასამართლოს დამოუკიდებლობის, მოსამართლის მიერ საქმის გადაწყვეტამდე აზრის წინასწარი გამოთქმის დაუშვებლობის პრინციპით (მუხლი 18).

1999 წლის აპრილში საქართველო გაერთიანდა ევროპის საბჭოში. იმავე წლის ივნისში ქართველი მოსამართლე დაინიშნა ადამიანის უფლებათა სასამართლოში, როგორც საბჭოს წევრი ქვეყნის წარმომადგენელი. ამდენად, საქართველოშიც ადამიანთა უფლებების ევროპის და საერთაშორისო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებაა უზენაესი. ეს პოტენციურად ძლიერი გზაა, რაც შესაძლებელს ხდის თავიდან ავიცილოთ შიდა წინააღმდეგობები და საერთაშორისო ზეწოლა, დამოუკიდებლად მივიღოთ ლეგალური ინფორმაცია.

ამრიგად, საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში სასამართლო ხელისუფლებისა და მედიის ურთიერთობა რთული და პრობლემურია. ბევრი საკითხი მოითხოვს გააზრებულ სამართლებრივ მოწესრიგებას თეორიული არგუმენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით. რაც უფრო სრულყოფილი იქნება ურთიერთობა სასამართლო ხელისუფლებასა და მასმედიას შორის, მით უფრო ჰარმონიულად განვითარდება საზოგადოების პოლიტიკური სისტემა, დემოკრატიულ პრინციპებზე განხორციელდება მართლმსაჯულება.

ნანილი III

გედია
და სამართლებრივი
სივრცე

*„მეცით ხალხს შესაძლებლობა იცოდეს ფაქტები
და ქვეყანა უსაფრთხო იქნება.“*

აბრაამ ლინკოლნი

თავი I. ინფორმაციის თავისუფლება, როგორც სამართლებრივი კატეგორია

დემოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც ხელისუფლება შექმნილია მოქალაქეთა თავისუფალი და შეგნებული ნების გამოვლენის საფუძველზე, პრესის, რადიოს, ტელევიზიის ფუნქციონირების მთავარ პრინციპად მიჩნეულია მასობრივი ინფორმაციის თავისუფლება. იგი დემოკრატიული რეჟიმის საეკონომიკურ ელემენტი, პოლიტიკური პლურალიზმისა და კულტურული განვითარების აუცილებელი პირობაა. მასობრივი ინფორმაციის თავისუფლება შესაძლებლობას აძლევს საზოგადოებას, თავისუფლად ჩამოაყალიბოს, განსაჯოს და აირჩიოს ალტერნატიული ქცევა. სამოქალაქო საზოგადოება უნდა იყოს მაქსიმალურად ღია და პლურალისტური, სადაც უზრუნველყოფილი იქნება აზრის გამოხატვის თავისუფლება – ადამიანის თვითრეალიზაციის აუცილებელი პირობა.

„ყოველი მოქალაქის, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი პიროვნების განვითარებისა და დემოკრატიული წესწყობილების შენარჩუნება-განმტკიცებისათვის ინფორმაციის თავისუფლება არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე თვით აზრისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება. ეს ცხადი ხდება თუნდაც იმ გარემოებიდან, რომ ინფორმაციის თავისუფლება ფაქტობრივად აზრის თავისუფლების წინაპირობაა, რადგან აზრის თავისუფლების გონივრული და პასუხისმგებლობით სავსე გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ ადამიანთა მიერ, რომლებსაც შეუძლიათ წინასწარ, შეუფერხებლად მოიპოვონ ინფორმაცია. გარდა ამისა, ინფორმაციის ფლობას დიდი მნიშვნელობა აქვს მოქალაქეთა პროფესიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის“.¹

1. ქ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბ. 2003, გვ. 246.

ინფორმაციის თავისუფლების ცნება მჭიდროდ არის დაკავშირებული მასმედიის პლურალიზმის კატეგორიასთან, რომელიც გულისხმობს ერთი მხრივ, დამოუკიდებელი და ავტონომიური მასმედიის მრავალრიცხოვნებას, მეორე მხრივ მათ მიერ მრავალფეროვანი პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური და კულტურული შეხედულებების ასახვას.

მასობრივი ინფორმაციის თავისუფლება პიროვნების თავისუფლების განუყოფელი ნაწილია. პიროვნების თავისუფლება კი ცივილიზებული, დემოკრატიული საზოგადოების არსებობის ქვაკუთხედი. პიროვნება თავისუფალი ვერ იქნება, თუ მას არა აქვს სიტყვის, აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა. საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის მიხედვით სიტყვის თავისუფლება და აზრის გამოხატვის უფლება უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა, რომელიც განსაზღვრული ზომით უზრუნველყოფს სხვა დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციას.

„სიტყვისა და აზრის თავისუფლება, ისევე როგორც საჯარო დისკუსიების თავისუფლება სამოქალაქო მნიშვნელობის პრობლემებზე, არის დემოკრატიული, ტოლერანტული საზოგადოების არსებობის ფორმა. ასეთი საზოგადოება გამოდის იქიდან, რომ ნებისმიერ აზრს არ შეიძლება ჩამოერთვას უფლება, განაცხადოს თავისი თავის შესახებ.“¹

მასობრივი ინფორმაციის თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივი კატეგორიაა, იურიდიულად განმტკიცებული როგორც საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, ასევე ეროვნული კანონმდებლობით. მასმედიის ფუნქციონირება მიმდინარეობს სრულიად განსაზღვრულ სამართლებრივ სივრცეში, რაც განაპირობებს სახელმწიფოს, სამართალსა და ინფორმაციას შორის მჭიდრო კავშირს.

ინფორმაციის თავისუფლება სამართლებრივი რეგულირების გარეშე შინაარსს მოკლებული, ცარიელი ფრაზაა. იგი საზოგადოებრივი ცხოვრების რეალური მოვლენა მხოლოდ სამართლებრივი გარანტიების საფუძველზე ხდება. ამითაა განპირობებული ის გარემოება, რომ

1. ვ. ცნობილადე, სიტყვის თავისუფლება - დემოკრატიული პოლიტიკური პროცესის განუყოფელი ელემენტი, ეურნ. ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სასწრაფოში, თბ. 2002 წ. გვ. 247

ინფორმაციის თავისუფლება, როგორც ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის პრინციპი განმტკიცებულია ბევრ საერთაშორისო სამართლებრივ აქტში. საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ადგენენ ინფორმაციის თავისუფლებისა და პრესის საქმიანობის სტანდარტებს, მთელ რივ შემთხვევებში ან ტექსტუალურად არიან ინტეგრირებული მასმედიის შესახებ ეროვნულ კანონმდებლობაში ან სხვაგვარად ტოვებენ თავიანთ კვალს შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ აქტებზე და მათი რეალიზაციის პრაქტიკაზე.

საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების პირდაპირი იმპლემენტაცია მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის თანახმად საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი ითვლება საქართველოს სამართლებრივი სისტემის შემადგენელ ნაწილად. მათ უპირატესი იურიდიული ძალა აქვთ შიდასახელმწიფოებრივი აქტების მიმართ, თუ არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ შეთანხმებას.

მასობრივი ინფორმაციის თავისუფლებასთან მიმართებაში ეს კონსტიტუციური ნორმა, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი საერთაშორისო აქტების მოქმედებას, რომლებიც შეესაბამებიან ეროვნულ კანონმდებლობას.

საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს შორის, რომლებიც ეხებიან მასმედიის საქმიანობას, უპირატესი მნიშვნელობა აქვთ ნორმებს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, რომლებიც შესაძლებლობას აძლევენ საერთაშორისო ორგანიზაციებს, გაერთიანდნენ ყველა ქვეყნისათვის მისაღები საერთო პრინციპებისა და წესების საფუძველზე.

ინფორმაციის თავისუფლების ნორმატიულმა ფორმულირებამ ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლოს პოვა საყოველთაო აღიარება. 1789 წ. საფრანგეთის დეკლარაციის მე-11 მუხლით დადგენილი იქნა, რომ „ყოველ ადამიანს შეუძლია თავისუფლად გამოთქვას, დაწეროს, დაბეჭდოს საკუთარი მოსაზრებანი და პასუხი აგოს მხოლოდ ამ თავისუფლების ბოროტად გამოყენებისათვის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.“ ეს პრინციპი გათვალისწინებულია

ამერიკის ბილშიც (1791 წ.), რომლის ქვაკუთხედია აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორება. მასში გათვალისწინებულია, რომ კონგრესი არ გამოსცემს ისეთ კანონებს, რომლებიც შეზღუდავს მოქალაქეთა ფუნდამენტურ, მათ შორის სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებას.

შემდგომ პერიოდში ინფორმაციის თავისუფლების სამართლებრივი კატეგორია განმტკიცებული იქნა მთელ რიგ საერთაშორისო დოკუმენტებში. მათ რიცხვშია ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტი, როგორცაა „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, რომელიც გამოკვეთილად აფიქსირებს ინფორმაციის თავისუფლების არსს. დეკლარაციის მე-19 მუხლში ნათქვამია: „ყოველ ადამიანს აქვს მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმის უფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ებიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებით და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.“

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966 წ.) აღიარებს თითოეული ადამიანის შესაძლებლობას, დამოუკიდებლად მიიღოს და გაავრცელოს ყოველგვარი სახის ინფორმაცია და იდეა ყოველგვარი ფორმით (ზეპირად, წერილობით და ა.შ.). პაქტი კრძალავს ინფორმაციის თავისუფლების თვითნებურ შეზღუდვას. თუ შეზღუდვა აუცილებელია, იგი უნდა დაწესდეს საჯაროდ განხილული და პარლამენტის მიერ მიღებული კანონით. ასეთი შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ ორ შემთხვევაში: როცა ინფორმაციის გავრცელება უკანონოდ ლახავს სხვა პირთა უფლებებს და როცა საქმე ეხება სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა ჯანმრთელობისა და ზნეობის დაცვას.

იუნესკოს გენერალური კონფერენციის (1978 წლის 28 ნოემბერი) დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ „აზრის, გამოთქმისა და ინფორმაციის თავისუფლების განხორციელება, რაც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შემადგენელ ნაწილად არის აღიარე-

ბული, მშვიდობისა და საერთაშორისო ურთიერთგაგების განმტკიცების არსებითი ფაქტორია“.

დეკლარაციის მე-10 მუხლში აღნიშნულია, რომ „თუ ჯეროვან პატივს მივაგებთ ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველსაყოფად მიმართულ საკონსტიტუციო დებულებებს, აუცილებელია შევქმნათ და მთელ მსოფლიოში დავიცვათ პირობები, რომლებიც საშუალებას მისცემს ორგანიზაციებსა და ადამიანებს, პროფესიულ დონეზე რომ ავრცელებენ ინფორმაციას, განახორციელონ ამ დეკლარაციის მიზნები“.¹

მასობრივი ინფორმაციის თავისუფლებას ახალი თვისობრიობა მიანიჭა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კონვენციამ.² იგი გახდა იმ სამართლებრივი დოკუმენტების შემადგენელი ნაწილი, რომლებიც ეხებიან თვითგამოხატვის, ინფორმაციისა და იდეების თავისუფალი გავრცელების საკითხს. ევროპის კონვენცია თვითგამოხატვის თავისუფლებას ახასიათებს, როგორც თითოეული ინდივიდის განვითარებისა და დემოკრატიული საზოგადოების პროგრესის ფუძემდებლურ პირობას.

კონვენციის მე-10 მუხლიდან გამომდინარეობს რამდენიმე მნიშვნელოვანი დებულება.

უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმულია ის გარემოება, რომ მასობრივი ინფორმაციის თავისუფლება მიჩნეულია აზრის თავისუფლების გამოხატვის ფორმად. ეს თავისუფლება ზოგადად წარმოადგენს წესს, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან მის რეალიზაციაში ჩარევა – გამო-ნაკლისს. ამასთანავე, ჩარევის შესაძლებლობა არ ნიშნავს ჩარევის აუცილებლობას. აზრის გამოხატვის თავისუფლების სფეროში სახელმწიფოს მართლზომიერი ჩარევისათვის აუცილებელია სათანადო საკანონმდებლო ბაზა და რაც უმთავრესია, ჩარევა უნდა იყოს დემოკ-

1. გაეროს ძირითადი დოკუმენტები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, ბათუმი, 1995, გვ. 265-267.

2. კონვენციას ხელი მოეწერა 1950 წლის 4 ნოემბერს, ქ. რომში, ევროპის საბჭოს (ქ. სტრასბურგი) ეგიდით. ევროპულ კონვენციას საქართველომ ხელი მოაწერა 1999 წლის 27 აპრილს, საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციის შემდეგ. კონვენცია ძალაში შევიდა 1999 წლის 20 მაისს.

რატიული საზოგადოების მოთხოვნის შესაბამისი, თანაზომიერი და გაწონასწორებული.

პრინციპულად მნიშვნელოვანი ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების სოციალურ როლს, მასმედისა და ჟურნალისტიკის ძირითად ფუნქციებს თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში, განმტკიცებულია რეზოლუციაში „ჟურნალისტიკური თავისუფლება და ადამიანის უფლებები“, რომელიც მიღებულია მე-4 ევროპული კონვენციის ჩარჩოებში.¹ რეზოლუციაში ფორმულირებულია რვა პრინციპი, რომლებიც მთლიანობაში შეიძლება განვიხილოთ, როგორც ურთიერთდეტერმინებული თეზისების სისტემა. თეზისებით ყალიბდება თანამედროვე ევროპაში მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების დოქტრინა.

მასმედის საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1970 წლის 23 იანვრის №428-ე რეზოლუციას, რომელშიც ჩამოყალიბებულია მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების ძირითადი პრინციპები: აზრის გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს ჟურნალისტთა შესაძლებლობას, მოიძიონ, მიიღონ, გადასცენ, გამოაქვეყნონ და გაავრცელონ ინფორმაცია და იდეები; ხელისუფლება ვალდებულია, გონივრულ ჩარჩოებში წარმოადგინოს ინფორმაცია იმ საკითხებზე, რომლებიც საინტერესოა საზოგადოებისათვის, ხოლო მასმედია ვალდებულია, გაავრცელოს სრული და ამომწურავი ინფორმაცია სახელმწიფოს საქმიანობაზე. მასმედის დამოუკიდებლობა სახელმწიფოებრივი კონტროლისაგან განმტკიცებული უნდა იქნეს საკანონმდებლო წესით და არა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ.

მასმედის საქმიანობის შესახებ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს შორის ასევე ღირსშესანიშნავია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1975 წლის №748-ე რეზოლუცია „ეროვნული მაუწყებლობის როლისა და მისი მართვის შესახებ“, რომელიც

1. კონვენცია ნატარდა პრედაში 1994წ. 7-8 დეკემბერს და მიესჯენა მინისტროა პოლიტიკას მასობრივი ინფორმაციის საქმიანობის სფეროში.

რეკომენდებულ იქნა, როგორც ნიმუში ყველა სახელმწიფო ტელე-რადიო კომპანიებისათვის, იუნესკოს რეგიონალურ სემინარებზე მიღებული დეკლარაციები და სხვა.

ევროპის საბჭოს 1982 წ. 22 აპრილის დეკლარაციას ჯერ კიდევ უწოდებენ „ინფორმაციის საშუალებების ევროპულ ქარტიას.“ დეკლარაცია ავალდებულებს სახელმწიფოებს, დაიცვან პრესისა და ინფორმაციის თავისუფლება, რაც საზოგადოების ყოველმხრივი განვითარების აუცილებელი ფაქტორია. „ინფორმაცია ევროპის ხალხების სულიერი და კულტურული ღირებულებების გავრცელების მნიშვნელოვანი ელემენტია“ – აცხადებს დეკლარაცია.

ევროპის საბჭოს და მისი ორგანოების მიერ შემუშავებულია 100-ზე მეტი დოკუმენტი, რომლებიც ეხება მასობრივი ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებებს, ჩამოყალიბებულია წინადადებანი, რომლებიც ეხება ინფორმაციის სფეროში თანამშრომლობის საკითხებს, პოლიტიკური დისკუსიების როლის ამაღლებას და ა. შ.

საერთო ევროპულ პროცესში და მის დოკუმენტებში ჩაქსოვილია ინფორმაციის სფეროში თანამშრომლობის კოლოსალური შესაძლებლობანი, რომლებმაც გააფართოვა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მთელ კონტინენტზე შექმნა პირობები მისი თავისუფალი ცირკულაციისათვის. მსოფლიო განვითარების ტენდენცია ადასტურებს, რომ მასშედის როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო მასშტაბით სულ უფრო მეტად გაიზრდება და განმტკიცდება.

საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტები ქმნიან ნორმატიულ ბაზას, რომლის საფუძველზეც უნდა განვითარდეს ეროვნული კანონმდებლობა მასშედის საქმიანობის შესახებ.

ინფორმაციის თავისუფლება, როგორც მნიშვნელოვანი სამართლებრივი კატეგორია, ფიქსირებულია სხვადასხვა ნორმატიულ აქტში. ინფორმაციის თავისუფლების უპირველესი გარანტი საქართველოს კონსტიტუცია და მის საფუძველზე მიღებული კანონებია. კერძოდ, კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავი („ინფორმაციის თავისუფლება“), კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“,

კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, ზოგიერთი კანონი ეკოლოგიისა და მედიცინის სფეროში.

ინფორმაციის თავისუფლება წარმოადგენს ცნებას, რომელიც მოიცავს უფლებათა და თავისუფლებათა ფართო სპექტრს: სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, მასმედიის თავისუფლებას, ინფორმაციის მიღებისა და ნებისმიერი კანონიერი საშუალებით მისი გავრცელების თავისუფლებას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მოკლე, მაგრამ ტევადი ფორმულა ადგენს: „ყველა ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. დაუშვებელია ადამიანის დევნა, სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.“ ეს ნორმა ლაკონურია, მაგრამ კონსტიტუციის საერთო კონტექსტში, სხვა ნორმების შინაარსთან ინტეგრირებაში, ის სათანადო კონკრეტულობას და სისტემურობას იძენს.

სიტყვისა და აზრის თავისუფლება ადამიანის ბუნებრივი უფლებაა. სახელმწიფოს არ შეუძლია ჩაერიოს ამ სფეროში განსაკუთრებული მიზეზის გარეშე, ვინაიდან მას არ უბოძებია ადამიანისთვის აღნიშნული უფლება და არც შეუძლია წაართვას. აზრის თავისუფლებაში იგულისხმება გარანტია – არავინ ჩაერიოს ადამიანის საკუთარი აზრის და რწმენის ფორმულირების პროცესში. ეს პროცესი დაფარული უნდა იყოს სხვებისაგან, თუმცა შეიძლება იყოს ღია, როცა წარმოიშობა იმის აუცილებლობა, რომ საკუთარი აზრი გადასცე სხვებს ზეპირად ან წერილობით. ეს დემოკრატიული უფლება იმის საფუძველია, რომ ყველა მოქალაქემ თანაბარი მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი პრობლემების განხილვასა და გადაწყვეტაში.

ადამიანის უფლება, თავისუფლად მოიძიოს და მიიღოს ინფორმაცია, გულისხმობს ინფორმაციის წყაროს საერთო მისაწვდომობასა და საჯაროობას. „თითოეულ ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ინფორმაციული და კომუნიკაციური ქსელის მისაწვდომობისა“ –

ნათქვამია გლობალური ინფორმაციული საზოგადოების ოკინავის ქარტიაში.

აღნიშნული დებულება განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციით, რომლის 24-ე მუხლი ადგენს: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.“

თანამედროვეობის ძიება თავისუფლებისა და საზოგადოების გონივრული ორგანიზაციისა წარმოდგენელია ინფორმაციის თავისუფლების გარეშე. „თანამედროვე რთულ საზოგადოებაში თავისუფლება უნდა იყოს ორგანიზებული და სწორედ სახელმწიფოა ვალდებული,“ ზემოქმედება მოახდინოს ინდივიდუალური თავისუფლების განხორციელებაზე შესაბამისი ინსტიტუციური სქემის შექმნით“ – აღნიშნავს უ. პრაისი.¹

ასეთ ინსტიტუციურ სქემაში ინფორმაციის თავისუფლების პრინციპის უზრუნველყოფა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ფუნქცია და უპირველესი მოვალეობაა.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტი, მოიცავს სამ კომპონენტს:

პირველი – მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება; მეორე – მოქალაქეთა სიტყვისა და აზრის თავისუფლება; მესამე – ცენზურის დაუშვებლობა. სამივე კომპონენტი იურიდიულად არის განმტკიცებული როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე მთელი რიგი სამართლებრივი აქტებით.

2004 წლის 24 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, რომლის მე-3 მუხლი ადგენს: „სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ხელისუფლების განხორციელებისას ზალხი და სახელ-

1. Мирно Прайс. Телевидение, телекоммуникации и переходный период. М. 2000, С. 162.

მწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.“

კანონის თანახმად, გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს:

- აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას;
- პოლიტიკური სიტყვისა და დებატების თავისუფლებას;
- ნებისმიერი ფორმის ინფორმაციის და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლებას;
- ცენზურის დაუშვებლობას, მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობას და პლურალიზმს. ჟურნალისტის უფლებას, დაიცვას ინფორმაციის წყაროს საიდუმლოება და საკუთარი სინდისის შესაბამისად მიიღოს სარედაქციო გადაწყვეტილება;
- სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიურ თავისუფლებას;
- ხელოვნების, შემოქმედებისა და გამოგონების თავისუფლებას;
- ნებისმიერ ენაზე მეტყველების, ნებისმიერი დამწერლობის გამოყენების უფლებას;
- ქველმოქმედების უფლებას;
- მხილების თავისუფლებას და მამხილებელთა დაცვას;
- თავისუფლებას იძულებით გამოთქვას თავისი შეხედულება რწმენის, აღმსარებლობის, სინდისისა და მსოფლმხედველობის, ეთნიკური, კულტურული და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, აგრეთვე ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება გახდეს მისი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის საფუძველი.

ამასთანავე მითითებულია, რომ კანონი არ უარყოფს გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რაც დაცულია საქართველოს კონსტიტუციით, მაგრამ გათვალისწინებული არ არის ამ კანონით.

კანონის მე-4 მუხლი ცალკე გამოყოფს აზრისა და მოწოდების თავისუფლებას, მიუთითებს, რომ აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, მოწოდება დაცულია კვალიფიციური პრივილეგიით. აბსოლუტური პრივილეგია კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებ-

ლობისაგან პირის სრული და უპირობო გათავისუფლება, ე. ი. არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრება პირს თავისი აზრის გამოთქმისათვის, როგორც შინაარსიც არ უნდა იყოს მასში ჩაქსოვილი.

რაც შეეხება მოწოდებას, იგი იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას მხოლოდ მაშინ, როცა პირი ჩაიდენს განზრახ ქმედებას, რომელიც ქმნის კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს. ამდენად, მოწოდების თავისუფლება არ არის უპირობო და შეუზღუდავი. იგი მხოლოდ იმ შემთხვევაშია დაცული კვალიფიციური პრივილეგიით, თუ არ ქმნის კანონსაწინააღმდეგო შედეგის საფრთხეს.

მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების საფუძველი ინფორმაციის მისაწვდომობაა. ადამიანის უფლება, მოიძიოს და მიიღოს ინფორმაცია, ახალი უფლებაა ისეთ ძველსა და წმინდა უფლებასთან შედარებით, როგორცაა სიცოცხლის უფლება. ინფორმაციის მისაწვდომობის უფლებაზე პირველად ალაპარაკდნენ მხოლოდ XX საუკუნის 40-50-იან წლებში. ეს უფლება ფორმულირებული იყო დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ფილოსოფოსებისა და პოლიტოლოგების მიერ, რომლებმაც ახსნეს მისი სამართლებრივი განმტკიცების აუცილებლობა.

ინფორმაციის მისაწვდომობის უფლება გამომდინარეობს თავისუფალი არჩევანის უფლებიდან, რაც დემოკრატიის საყრდენი პირობაა. იმისთვის, რომ არჩევანის უფლება თავისუფლად, შეგნებულად და დამოუკიდებლად განხორციელდეს, ადამიანს წინასწარ უნდა ჰქონდეს უტყუარი ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობის შესახებ. სწორედ ასეთი ინფორმაციის საფუძველზე უნდა შეძლოს მან გააზრებული, გაცნობიერებული არჩევანის გაკეთება.

გარდა ამისა, ცნობილია, რომ ხელისუფლების ორგანოების მიერ ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების წესი იწვევს მოქალაქეთა დაეჭვებას ხელისუფლების საქმიანობის მიმართ. საზოგადოების უნდობლობა კი აძნელებს გადაწყვეტილებათა რეალიზაციას.

ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც მისაწვდომი უნდა იყოს მოქალაქეებისათვის, არის სახელმწიფოებრივი ანუ საჯარო

ინფორმაცია, ე. ი. ინფორმაცია შეგროვილი სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს მიერ, რომელიც არ უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ ამ ორგანობისა და დაწესებულებების არქივებს. იგი მისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის, ვისაც აინტერესებს.

1960-იან წლებში ინფორმაციის მისაწვდომობის უფლება, მისი მოძიება და მიღება სახელმწიფო ორგანობისაგან, განმტკიცებულ იქნა აშშ-ის, კანადის, ახალი ზელანდიის, ავტრალიისა და სხვა ქვეყნების კანონმდებლობაში. შემდგომში უკვე 1990-იანი წლებიდან იგი გავრცელებული იქნა იმ ინფორმაციების მიმართ, რომლებიც დაცულია საერთაშორისო ორგანიზაციებში, მაგალითად ევროპის კავშირში.¹

იბადება კითხვა – ვალდებულია თუ არა სახელმწიფო, ინფორმაცია თავისი პოზიციების შესახებ საზოგადოებას გააცნოს? ვალდებულია, რადგან ეს არის სახელმწიფოს მოვალეობა და არა უფლება. მაგალითად, საფრანგეთში მთავრობის შემადგენლობაში აუცილებლად არის სპეციალური მინისტრი, რომელიც ითვლება მინისტრთა კაბინეტის ოფიციალურ „მოლაპარაკე ბაგედ“. იგი ხშირად ატარებს პრესკონფერენციებს საფრანგეთის მთავრობის საქმიანობის თუ საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალური პრობლემების შესახებ, რომელთაც ჟურნალისტები თავიანთ აუდიტორიას აცნობენ.

ინფორმაციის მისაწვდომობის უფლების ფორმულირებისას წარმოიშვა სერიოზული დილემა: თუ ხელისუფლება მზადაა მისაწვდომი გახადოს ინფორმაცია – ვის უნდა წარედგინოს ის – ყველა მსურველს თუ, უპირველეს ყოვლისა, ჟურნალისტებს, რომლებმაც თავის მხრივ, უნდა გაავრცელონ საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ინფორმაცია მასმედიის მეშვეობით? ეს დილემა რთულად და არაერთგვაროვნად გადაიჭრა სხვადასხვა ქვეყანაში.

მაგალითად, აშშ-ში მიაჩნიათ, რომ ინფორმაცია მისაწვდომი უნდა იყოს თითოეულისათვის, ჟურნალისტებს არა აქვთ მისი მიღების დამატებითი უფლება. ინფორმაციის მისაწვდომობის უფლება ყველა

1. Council of Europe, Human right today: European legal texts (Strasbourg: Council of Europe Publishing, 1999).

მოქალაქისათვის გარანტირებულია ავსტრიის, ჰოლანდიის და შვეიცარიის კონსტიტუციებით. ავსტრალიასა და შვეიცარიაში ყველა სახელმწიფო დოკუმენტი საზოგადოებისათვის მისაღებია, თუ არ არსებობს კანონი, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ითვალისწინებს ამ წესიდან გამონაკლისს. ავსტრალიაში დადგენილია, რომ თუ მოთხოვნა არის ისეთ დოკუმენტზე, რომელიც „გამონაკლისთა“ რიცხვშია, ხელისუფლება ვალდებულია, განახორციელოს ბალანსი სახელმწიფოს ინტერესებსა და ინფორმაციის მომთხოვნი პირის ინტერესებს შორის და მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება. ჰოლანდიაში ზუსტადაა განსაზღვრული სფეროები, რომელშიც სახელმწიფო უფლებამოსილია, დახუროს ინფორმაცია. ესენია ინფორმაციები, რომლებიც ეხება ქვეყნის მთლიანობის დაცვას, სახელმწიფო უშიშროებას, პერსონალურ მონაცემებს, რომლებსაც ფლობენ ხელისუფლების წარმომადგენლები მათი საიდუმლოდ შენახვის პირობით.

სხვა ქვეყნებში, პირიქით, ლაპარაკობენ ჟურნალისტებისა და მასმედიის რედაქციების პრივილეგირებული მდგომარეობის შესახებ. მასმედიის მეშვეობით ყველა მოქალაქე ახორცილებს თავის უფლებას – მოიძიოს და მოიპოვოს ინფორმაცია. ამის შესახებ მაგალითად, ჩაწერილია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-5 მუხლში და ესპანეთის კონსტიტუციაში. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ გერმანიასა და ესპანეთში ჟურნალისტები გათანაბრებულნი არიან ექიმებთან და ადვოკატებთან და უფლება აქვთ, შეინახონ პროფესიული საიდუმლოება.¹

ჟურნალისტებს ტრადიციულად აქვთ უფრო მეტი უფლება სახელმწიფო ინფორმაციის რესურსების მისაწვდომობისა, ვიდრე ჩვეულებრივ მოქალაქეებს. მაგრამ, რამდენადაც ინფორმაციის თავისუფლების უპირველესი გარანტი საქართველოს კონსტიტუციაა, მისი 24-ე მუხლი ადგენს ყოველი ადამიანის უფლებას, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებებით.

¹ <http://www.minhzhk.nl>. Conference on Fundamental Rights in a Pluralistic Society. The Hague, 20-21 November, 2003.

ასეთივე დებულება განმტკიცებული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითაც.

მიგვანია, რომ საქართველოს-სამართლებრივი დეფინიცია – „მასობრივი ინფორმაციის თავისუფლება“ სრული მოცულობით უნდა იყოს რეალიზებული მოქალაქეებთან მიმართებაში. თუ მოქალაქეს წავართვით იმის შესაძლებლობა, რომ უშუალოდ განახორციელოს კანონით მინიჭებული უფლება, ასეთი უფლება მას რეალურად არც აქვს.

მასმედიის წარმომადგენლებისათვის პრივილეგიების მიცემა მასობრივი ინფორმაციის მოძიებისა და გავრცელების სფეროში მოქალაქეთა ერთ ჯგუფს პრაქტიკულად გამოყოფს მეორისაგან და ამასთანავე უფრო მეტი უფლების მქონე ჟურნალისტს სხვებთან შედარებით მეტ პასუხისმგებლობასაც აკისრებს. მასმედიისათვის დამატებითი შესაძლებლობის მინიჭება ინფორმაციის მიღების სფეროში, ბუნებრივია, იწვევს მოთხოვნას, რომ ჟურნალისტმა ინფორმაცია დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს. პირისათვის უკანონოდ უარის თქმა მასზე არსებული ინფორმაციის ან ოფიციალური დოკუმენტის გაცნობაზე, ანდა იმ დოკუმენტის ან მასალის წარმოდგენაზე, რომელიც უშუალოდ შეეხება მის უფლებებსა და თავისუფლებებს, აგრეთვე ასეთი ინფორმაციის, დოკუმენტის ან მასალის არასრულად ან დამახინჯებულად წარდგენა ან მის გასაცნობად სხვაგვარად უკანონოდ ხელის შეშლა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ქმნის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 167-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას. დანაშაულად ასევე მიჩნეულია სიტყვის თავისუფლების, ინფორმაციის მიღების ან გავრცელების უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია ან ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. (საქ. სსკ 157-ე მუხლი.)

ინფორმაციული რესურსების მისაწვდომობასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: როგორი ინფორმაცია უნდა იყოს მისაწვდომი მოქალაქეებისათვის და როგორი – მხოლოდ ჟურნალისტებისათვის? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მთელი სახელმწიფოებრივი ინფორმაცია

უნდა წარედგინოს ყურნალისტებსაც და მოქალაქეებსაც? რა თქმა უნდა, არა. იმიტომ, რომ არსებობს ისეთი ზონები, რომელთა შესახებ სახელმწიფო ვერ გაამჟღავნებს ინფორმაციას და ვერ გადასცემს ყველა მსურველს კონფიდენციალურ ცნობებს, ე. ი. ისეთ ცნობებს, რომლის მისაწვდომობა შეზღუდულია ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესებისათვის. ასეთია, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო ცნობები, ცნობები სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური საქმიანობის შესახებ, სახელმწიფოს განვითარების ზოგიერთი ეკონომიკური, ფინანსური ან სხვაგვარი მაჩვენებლები.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი ნაწილი ღია მთავრობის პრინციპს ამკვიდრებს, ითვალისწინებს ყოველი მოქალაქის უფლებას, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

თანამედროვე საზოგადოებაში რამდენადმე გაწონასწორებული ცნება ინფორმაციის თავისუფლებისა არ შეიძლება განხორციელდეს სრული ზომით კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების გარეშე. ისევე როგორც ყოველგვარი თავისუფლება, არც ინფორმაციის თავისუფლებაა აბსოლუტური. ცნობილი სენტენცია „ჩემი თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი თავისუფლება“ გულისხმობს იმას, რომ არაფრით შეზღუდული თავისუფლება არ არსებობს.

სახელმწიფოს შეუძლია კანონის საფუძველზე ჩაერიოს ამ თავისუფლების განხორციელებაში, მაგრამ მხოლოდ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, რომლის შეფარდების პრაქტიკა უნიკალურია. იგი თვალნათლივ ადასტურებს, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმ უფლებათა შორის, რომელიც გარანტირებულია კონვენციით და მისი პროტოკოლებით. მოცემული უფლება მიჩნეულია დემოკრატიული საზოგადოების ძირითად შემადგენელ ელემენტად. იგი ვრცელდება არა მარტო ინფორმაციასა და იდეებზე, არამედ იმაზეც, რაც აწუხებს

სახელმწიფოს და მის მოსახლეობას. ეს დებულება მუდმივად ფიგურირებს სასამართლოს გადაწყვეტილებებში.¹

ევროპის სასამართლოს აზრით, პრესა უნდა თამაშობდეს „მოღარაჯე ძაღლის“ როლს საზოგადოებაში. ჟურნალისტებს ყოველგვარ პირობებში უნდა ჰქონდეთ აზრის თავისუფლად გამოთქმის, ხელისუფლების ზეწოლისაგან გათავისუფლების და დამოუკიდებლობის გარანტიები.

თავისი არსებობის 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფლების შესახებ თავისი პოზიცია, რომელიც უნდა განვითარდეს სამი მიმართულებით:

- უშუალოდ უნდა იქნეს დანერგილი შესაბამისი ნორმები მასმედიის შესახებ ეროვნულ კანონმდებლობაში;
- აღნიშნული ნორმები გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოში სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფლების შესახებ საჩივრების განხილვის დროს;
- სასამართლოებმა ისინი უნდა გამოიყენონ, როგორც იდეოლოგიური საფუძველი.

მასობრივი ინფორმაციის თავისუფლება მჭიდროდ არის დაკავშირებული მასმედიის პასუხისმგებლობასთან. პრესის პასუხისმგებლობის კატეგორია წარმოადგენს მასმედიასა და საზოგადოებას შორის, აუდიტორიასა და პროფესიულ გაერთიანებებს შორის ურთიერთობის საკმაოდ რთულ სისტემას.

მართებულად აღნიშნავს მ. ფედოტოვი, რომ „პრესის პასუხისმგებლობა, უპირველეს ყოვლისა, მისი ფუნქცია, მისი დამოუკიდებლობაა. თავის მხრივ დამოუკიდებლობის ფუნქცია წარმოადგენს საზოგადოების ჩამოყალიბების არსებით ასპექტს. თუ მასმედია დამოუკიდებელი არ არის, ექვემდებარება სახელმწიფოს ან კერძო ინტერესებს, ასეთი

1. Жан-Поль Коста Своёго выражения мысли. Обращение в Европейский Суд по правам человека. М. 2004.

ქ. კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში. თბ. 2003.

მასმედიის არავითარ პასუხისმგებლობაზე არ შეიძლება ლაპარაკი, რამდენადაც მისთვის არ არის გარანტირებული ნების თავისუფლება.¹

დაქვემდებარებული მასმედია ვერ ქმნის სივრცეს საზოგადოებრივი აზრის გამოვლენისა და დამკვიდრებისათვის. იგი ხდება ასეთი აზრის ფალსიფიკაციის ინსტრუმენტი და კონსტიტუციური რეჟიმის ძირ-გამომთხრელი. რაც უფრო მაღალია მასმედიის დამოუკიდებლობის დონე, მით უფრო სერიოზულია საზოგადოების მოთხოვნილება, გამჭვირვალე იყოს ამ დამოუკიდებლობის მექანიზმი.

ჩვენს ქვეყანაში რთულად, მაგრამ მაინც დამკვიდრდა სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფლება. იგი დემოკრატიული საზოგადოების მონაპოვარია და გაფრთხილება სჭირდება. ქართული მედიის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაზე საზოგადოებაში არაერთგვაროვანი აზრი არსებობს. არ შეიძლება ჟურნალისტიკა იყოს ტენდენციური, მოვლენები კი არაობიექტურად გაშუქებული. სიტყვის თავისუფლება არ უნდა ნიშნავდეს თვითნებობას, მიკერძოებას, სხვისი უფლებების შელახვას. სახელმწიფოებრივი აზროვნება, საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ ფაქტებზე დამყარებული ობიექტური აზრი არ უნდა შეიცვალოს ჭორით, სენსაციითა და პროვოკაციით, რადგან თუ ობიექტურ, თავისუფალ სიტყვას და აზრს დიდი სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისათვის, დამახინჯებული ინფორმაცია აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს საზოგადოებისა და მისი თითოეული წევრის ინტერესებს, იწვევს დაპირისპირებას, შუღლსა და სიძულვილს.

სიტყვის, აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება არა მარტო დეკლარირებული უნდა იყოს, არამედ პრაქტიკულად უზრუნველყოფილი მოქმედი სამართლებრივი სისტემით. საქართველოში უნდა დაინერგოს სიტყვის თავისუფლებისა და მასმედიის დამოუკიდებლობის სამართლებრივი უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტები. ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპული დემოკრატიული სახელმწიფოების გამოცდილების შესწავლასა და განზოგადებას.

1. Федотов М.А. Право массовой информации в Российской Федерации, М. 2002, С. 162.

საზოგადოებისათვის მიუკერძოებელი, ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება და ამ გზით საზოგადოების მხრიდან ნდობის გაღრმავება მასშედის წარმატებაა. მასშედის წარმატება კი საზოგადოების წარმატებაა, რომლის გარეშე ვერ იარსებებს დემოკრატიული სახელმწიფო.

თავი 2. ინფორმაციული საზოგადოება და სამართალი

ცივილიზაციის განვითარების ისტორიაში ინფორმაცია¹ ყოველთვის თამაშობდა განსაზღვრულ როლს და სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარებისთვის ყველა ეტაპზე იყო გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

ინფორმაციის განვითარების გზა კაცობრიობის განვითარების გზაა. პირველი ინფორმაციული რევოლუცია დაკავშირებულია დამწერლობის გაჩენასთან, რამაც გამოიწვია გიგანტური თვისობრივი და ხარისხობრივი ნახტომი საზოგადოების ინფორმაციულ განვითარებაში. მეორე ინფორმაციული რევოლუცია დაკავშირებულია წიგნის დაბეჭდვასთან. გაჩნდა ინფორმაციის აქტიური გავრცელების შესაძლებლობა, გაიზარდა კულტურულ ღირებულებათა ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა. მესამე ინფორმაციული რევოლუცია განპირობებულია ელექტრონობის გამოგონებით, რომლის მეშვეობითაც გაჩნდა ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიო, რომლებმაც შექმნა იმის შესაძლებლობა, რომ ოპერატიულად გადაემუშაებინათ და შეეგროვებინათ მნიშვნელოვანი მოცულობის ინფორმაცია. მეოთხე ინფორმაციული რევოლუცია დაკავშირებულია გამოთვლითი ტექნიკის გამოგონებასთან და ტელეკომუნიკაციების, კომპიუტერების, კავშირგაბმულობის ქსელის შექმნასთან. მეხუთე ინფორმაციული რევოლუცია კი დაკავშირებულია გლობალური ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციების ქსელის შექმნასთან, რომელმაც მოიცვა ყველა ქვეყანა და კონტიგენტი და რომელიც გავლენას

1. „ინფორმაცია“ ლათინური სიტყვაა და „გაცნობას“. „გადაცემას“ ნიშნავს.

ახდენს ადამიანთა უდიდეს მასაზე. ასეთი მოვლენების შედეგი არის ინტერნეტი, რომლის არსი მდგომარეობს ერთიანი ინფორმაციული სივრცის ინტეგრაციაში.¹

ინფორმაცია კაცობრიობის დაუშრეტელ გლობალურ რესურსად იქცა, დადგა ინფორმაციული მასალის ინტენსიურად ათვისების ეპოქა. ამჟამად ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობის არც ერთი ამოცანა არ შეიძლება გადაიჭრას ინფორმაციის გარეშე. ინფორმაცია გავლენას ახდენს საზოგადოების ორგანიზაციის მოქმედ ინსტიტუტებზე და ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას.

„XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ინფორმაცია სამეცნიერო ბრუნვაში შემოდის. მის მიმართ ინტერესს იურისტებიც იჩენენ. ინფორმაციის მიღება-გავრცელების პროცესი ინფორმაციულ საზოგადოებაში ამ ობიექტს სამართლებრივი ურთიერთობის სისტემაში უმკვიდრებს ადგილს, მაგრამ ინფორმაციის ფილოსოფიური გააზრების გარეშე მისი იურიდიული განმარტება შეუძლებელი ხდება“.²

მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია ყოველდღიური ცხოვრების რეალური ფაქტია და მისი გავლენა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე ასევე რეალური და თვალსაჩინოა, ინფორმაციის ზუსტი და სრულყოფილი ცნება ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული.

„ინფორმაცია ეს ინფორმაციაა და არა ენერგია და არა მატერია“ – ასე განმარტავს მას კიბერნეტიკის მამა ნობერტ ვინერი.³ ამ განსაზღვრებაში ინფორმაცია გამოდის როგორც მატერიისა და ენერგიის ფილოსოფიური კატეგორია. ცხადია, რომ ინფორმაციის ასეთი ფილოსოფიური ცნება მიუღებელია სამართლისა და სამართლებრივი რეგულირებისათვის. როგორც სამართლის ობიექტი, ინფორმაცია უნდა იყოს კონკრეტიზებული და სამართლის ნორმებით რეგულირებული.

1. Копылов В.А. Информационное право. М. 2003г С. 19-20

2. მ. ცაქაძისშვილი. ინფორმაციული საზოგადოება და ინფორმაციის სამართლებრივი რეგულირება. თბ. 1999. გვ II

3. Винер Н Кибернетика или управление и связь в животном и машинах. М 1968. С 92.

პრაქტიკული თვალსაზრისით ინფორმაციის ყველასათვის გასაგები განსაზღვრება მოგვცა ს. ი. ოუეგოვმა: „ინფორმაცია არის: 1) ცნობა გარემომცველ სამყაროზე და მასში მიმდინარე პროცესებზე; 2) შეტყობინება საქმის ვითარების შესახებ, რაიმეს მდგომარეობის შესახებ.“¹

ტერმინი „ინფორმაცია“ პოლისემიურია და მას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად: ინფორმაცია არის ცნობა, შეტყობინება ვინმესთვის რაიმე მომხდარი ამბის, ვისიმე მოღვაწეობის და სხვ. შესახებ. ასეთ განმარტებას ეხვდებით უცხო ენათა ლექსიკონშიც.

ტერმინი „ინფორმაცია“ და მასთან დაკავშირებული ტერმინები დღეს ფართოდ გამოიყენება კანონმდებლობაში. რუსეთის ფედერალური კანონი „ინფორმაციის, ინფორმატიზაციის და ინფორმაციის დაცვის შესახებ“ განსაზღვრავს ინფორმაციას, როგორც ცნობას პირების, საგნების, ფაქტების, მოვლენებისა და პროცესების შესახებ დამოუკიდებლად მათი წარდგენის ფორმებისა“.

პროფ. მ. ცაცანაშვილის აზრით „იურიდიული თვალსაზრისით ინფორმაცია არის ცნობა, მონაცემი, რომელიც შეტყობინების პროცესში (მიღება, დამუშავება, შენახვა, გადაცემა და სხვა) სამართლებრივი ურთიერთობის საგანს წარმოადგენს და შეიძლება გახდეს რაიმე ვალდებულების წარმოშობის ან შეწყვეტის საფუძველი.“²

ინფორმაციის როლისა და მნიშვნელობის კოლოსალურმა ზრდამ განაპირობა ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბება და შესაბამისად ტერმინმა „ინფორმაციული საზოგადოება“ მყარი ადგილი დაიკავა მეცნიერულ ბრუნვაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სწორედ ასეთ საზოგადოებასთან არის დაკავშირებული კაცობრიობის განვითარების მომავალი. ინფორმაციული საზოგადოების წევრების საქმიანობის საფუძველია ინფორმაცია, ინფორმაციული რესურსები და ინფორმაციული პროდუქტი, ხოლო თვით ინფორმაციული საზოგადოების არსებობა დაფუძნებულია ინფორმაციის მიმოქცევაზე.

1. Ожегов С. И. Словарь русского языка. 12-е изд. М., 1978.

2. მ. ცაცანაშვილი, დასახ. ნაშრ. ვ.გ. 26.

მსხვილმასშტაბიანი გარდაქმნები, რაც დაკავშირებულია ინტერნეტის დანერგვასთან, პრაქტიკულად ცხოვრების ყველა სფეროში უნდა წარმართოს მთელი საზოგადოების ინტერესების შესაბამისად.

ინფორმაციული საზოგადოება განსხვავდება საზოგადოებისაგან, რომელშიც ღომინირებს ტრადიციული მრეწველობა და მომსახურების სფერო. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ინფორმაცია, ცოდნა, ინფორმაციული მომსახურება და ყველა დარგი, დაკავშირებულია მათი წარმოების სწრაფ ზრდასთან, ადამიანური ყოფიერების სახეცვლილებასთან. კომპიუტერის შექმნამ გამოიწვია საზოგადოების ყველა სფეროს ინფორმატიზაცია. ინფორმატიზაციის გლობალიზმი შეეხო ადამიანთა ცხოვრების მორალურ-ზნეობრივ, კულტურულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამხედრო, სამართლებრივ მხარეს, შეცვალა საერთაშორისო პოლიტიკური პროცესები.

ინფორმაციული საზოგადოება ფართო ცნებაა, რომელიც განვითარების მიხედვით შეიძლება სამ ეტაპად დაიყოს:

- მასმედიური ინფორმაციული საზოგადოება;
- კომპიუტერული ინფორმაციული საზოგადოება;
- ქსელური ინფორმაციული საზოგადოება.

ამასთანავე, „ინფორმაციული საზოგადოება“ უნდა განვიხილოთ დინამიკაში და არა როგორც საბოლოო, დასრულებული სისტემა.¹

ინფორმაციული საზოგადოების საფუძვლების ჩამოყალიბება შეუძლებელია სახელმწიფოს მიზანდასახული ზემოქმედების გარეშე. სახელმწიფოს ინფორმაციული პოლიტიკა გულისხმობს სახელმწიფო ორგანოების რეგულარულ საქმიანობას, მიმართულს საზოგადოების ინფორმაციული სფეროს განვითარებისაკენ, რომელიც მოიცავს არა მარტო ტელეკომუნიკაციურ ინფორმაციულ სისტემებს და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, არამედ წარმოებისა და ურთიერთობების მთელ ერთობლიობას, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ყველა სახის ინფორმაციის შექმნასთან, დამუშავებასთან, შენახვასთან, დემონსტრაციასა და გადაცემასთან.

1. მ. ცაკანაშვილი, ინფორმაციული სამართალი, თბ. 2004, გვ. 20.

ბევრი ქვეყანა ამჟამად იღებს ახალ კანონებს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის შესახებ, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური პოლიტიკის ფორმირებასა და გატარებაზე. ინფორმაციული პოლიტიკის ასეთი გაფართოებული განმარტება დღეს დასაბუთებულია, რამდენადაც უახლესი ტექნოლოგია ინტენსიურად ამსხვერვეს ბარიერს ინფორმაციული ინდუსტრიის სხვადასხვა სექტორს შორის.

იმ პროცესების კომპლექსური განხილვა, რაც მიმდინარეობს საზოგადოების ინფორმაციულ სფეროში, და მისი სახელმწიფოებრივი რეგულირების თანამედროვე მეთოდების შემუშავება მეტად აქტუალურია. ამჟამად საინფორმაციო სივრცე ყალიბდება არა იმდენად სახელმწიფოს, არამედ ბაზრისა და ახალი კომერციული სტრუქტურების მიერ.

ინფორმაციული ინდუსტრიისა და ახალი ინფორმაციული ურთიერთობების განვითარება ბევრად არის სტიმულირებული მსოფლიო პროცესებით. ამ სფეროში საზღვარგარეთ მიმდინარეობს მსოფლიოს მსხვილი ინფორმაციული კომპანიების შერწყმა მსხვილ გაერთიანებებთან, რომლებიც გააკონტროლებენ მასობრივი ინფორმაციის შექმნისა და გავრცელების ბაზარს. ეს გარდაქმნები წარმოადგენენ წამყვანი ინფორმაციული კომპანიების პასუხს იმ შესაძლებლობებზე, რაც შექმნეს ახალმა ტექნოლოგიებმა და განაპირობეს ცვლილებანი ინფორმაციული ინდუსტრიის რეგულირების სისტემაში.

ამ დინამიურ პროცესს ბევრად შეუწყო ხელი ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ევროპის თანამეგობრობის კონცეფციამ. ევროპის თანამეგობრობამ 1994 წლიდან დასვა ინფორმაციული საზოგადოების, როგორც უფრო მეტად პრიორიტეტული საზოგადოების აშენების ამოცანა. მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები იმ გეგმის განხორციელებაში, რომელმაც განსაზღვრა ევროპის მოძრაობის სტრატეგია ინფორმაციული საზოგადოებისაკენ.¹

1. Europe and the global information society, Recommendations to the European Council, May 1994

ინფორმაციის განვითარებისა და ინფორმატიზაციის საერთო პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა განხილულ იქნა ქ. სტრას-ბურგში 1997 წელს გამართულ ევროსაბჭოს მეორე სამიტში მონა-წილე ქვეყნების მიერ.

წარმატებით დაიწყო ტელეკომუნიკაციური სექტორის ლიბერალი-ზაცია, მიღებულია ღონისძიებები ინფორმაციული საზოგადოების სოციალური ორიენტაციის უზრუნველსაყოფად; ფორმულირებულია გეგმა ინფორმაციულ სფეროში განათლების განვითარებისათვის; დახმარება გაეწია ევროპული ინდუსტრიის განვითარებას, წარმატებით განხორციელდა მეცნიერული გამოკვლევების პროგრამები; ევროპულმა კომისიამ შეიმუშავა ის ზოგადი წესები, რომლებიც აუცილებელია გლობალურ ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასასვლელად.¹

დღეს ნათელია, რამდენად მნიშვნელოვანია გლობალური თანამშ-რომლობისა და ინფორმაციული საზოგადოების შექმნის წესების დადგენა. ეს წესები ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვას, ინფორმაციულ უსაფრთ-ხოებას და ა. შ. ასეთი ზოგადი წესების დადგენისათვის აუცილებელია მრავალმხრივი შეთანხმება მსოფლიო საეკონომიკური ორგანიზაციის ფარგ-ლებში.

ევროპის კომისიამ 1995 წლის თებერვალში შექმნა ფორუმში ინფორმაციული საზოგადოების დამკვიდრების საერთო პრობლემების განსჯისათვის. ფორუმის მუშაობის მიზანი ორიენტირებული იქნა ექვს სფეროში: 1. ეკონომიკის განვითარებაზე ზემოქმედება; 2. ძირითა-დი სოციალური და დემოკრატიული ფასეულობანი „ვირტუალურ თანაარსებობაში“; 3. ზემოქმედება საზოგადოებრივ და სახელმწიფო სამსახურებზე; 4. განათლება, კვალიფიკაციის ამაღლება და სწავლება ინფორმაციულ საზოგადოებაში; 5. მასობრივი ინფორმაციის საშუალე-ბების კულტურული განზომილება და მომავალი; 6. ტექნოლოგიებისა და ინფრასტრუქტურების მყარი განვითარება.²

1. Мелюхин И.С. Информационное общество и государство, М 2004. С 18.

2. Council of Europe, Digest of Strasbourg Case Law relating to the European Convention of Human Rights.

ეროვნული ინფრასტრუქტურების განვითარებას სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს შესაბამისი კანონების მიღებითა და ადმინისტრაციული რეგულირებით, ახალი ტექნოლოგიების დანერგვით და კერძო ინვესტიციების წახალისებით.

ოპტიმალურმა ადმინისტრაციულმა და საკანონმდებლო რეგულირებამ უნდა უზრუნველყოს იმ ამოცანებისა და მიზნების განსაზღვრა, რომლებიც უნდა მოწესრიგდეს კანონით; ასევე კანონმდებლობაში შეტანილი უნდა იქნეს შესწორებანი და დამატებანი ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და გამოყენებასთან დაკავშირებით; ფართო უფლებამოსილებანი უნდა მიენიჭოს იმ ორგანოებს, რომლებიც არეგულირებენ მასმედიის საქმიანობას.¹

სახელმწიფოს ძირითადი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დაადგინოს და დააკანონოს წესები ინფორმაციის მიმოქცევის სფეროში, შექმნას სამოქმედო მოდელი, განახორციელოს ტელეკომუნიკაციების რეგულირების წესების ლიბერალიზაცია, მოსპოს მოძველებული და დრომოჭმული ბარიერები, რომლებიც ხელს უშლიან ტელეკომუნიკაციური სისტემების განვითარებას. ამასთანავე, სახელმწიფო თვითონ უნდა იყოს ინიციატორი ახალი ელექტრონული და კომუნიკაციური სისტემების განვითარებისა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბალანსი კონკურენციასა და რეგულირებას შორის, დაიცვას როგორც ცალკეული პიროვნების, საზოგადოების ინტერესები, ასევე სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, საზოგადოებრივი ზნეობა და ეროვნული ტრადიციები. ასეთი ბალანსის დადგენა მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივაა, ვინაიდან საბაზრო ძალებს ამის გაკეთება არ შეუძლიათ.

ამასთანავე, სახელმწიფოს როლი უნდა განვიხილოთ კერძო სექტორის როლთან კონტექსტში. მათი ერთობლივი პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სამუშაო ადგილებისა და ეროვნული სიმდიდრის შექმნისაკენ, კონკურენციის სტიმულირებისაკენ, ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვისაკენ.

1. Каречина М. Проблемы информационного законодательства. Науч.-технич. инф. № 9, 1997. стр. 38.

თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში მასმედია უაღრესად დიდ როლს თამაშობს და იგი საზოგადოების საკეთილდღეოდ უნდა იქნეს გამოყენებული. ვერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში არსებობდა პრესაში საზოგადოებრივი მოვლენების განმსაზღვრელი წესები, განმტკიცებული სხვადასხვა დოკუმენტებში. 1920-იან წლებში მიღებული იქნა „ამერიკული საგაზეთო გილდიის ეთიკური წესები“, 1935 წელს მიღებული იქნა ფრანგული „სინდისის კანონი“. დღეისათვის უძრავლეს ქვეყანაში ამა თუ იმ ფორმით არსებობს ჟურნალისტის პროფესიული ეთიკის კოდექსები.¹

ინფორმაციული ნაკადის სამართლებრივი რეგულირება და თვითრეგულირება დღეს აქტიური პრობლემაა. მაგრამ, როგორც ბევრი მკვლევარი ამტკიცებს, სახელმწიფოს კონტროლისაგან განთავისუფლებული მასმედია ნაწილობრივ ვარდება ბიზნესის უფრო მკაცრი კონტროლის ქვეშ.²

მასმედიის ორგანიზაციისა და საქმიანობის რეგულირება და თვითრეგულირება ხდება სოციალური ნორმებით, რომლებიც მოიცავს პოლიტიკურ, სამართლებრივ, კორპორაციულ ნორმებს, აგრეთვე ჩვეულებებს, ტრადიციებს, მორალურ-ეთიკურ იმპერატივებს და ა. შ. ამ ნორმათა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამართლებრივ ნორმებს, ვინაიდან სამართლებრივი დანაწესების გარეშე მასმედიის საქმიანობა ორიენტაციას მოკლებული და ქაოსური იქნება. სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული სამართლებრივი სისტემები ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით ქმნიან მასმედიის ორგანიზაციისა და საქმიანობის რეგულაციურ გარსს.

სამართლებრივი რეგულირება მასმედიის სფეროში მიმართული უნდა იყოს ერთი მხრივ, მასმედიის, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტის ფუნქციონირებისთვის სათანადო პირობების შექმნისაკენ, მეორე მხრივ პიროვნების, სახელმწიფოს, საზოგადოების ინტერესების დაცვისაკენ. სამართალი უნდა შეეხოს მოცემულ სფეროში ყველა

1. B. Rigby and N. Hewitt. France and the Mass Media. 1991 (Basingstoke: Macmillan)

2. Михайлов, С.А Современная зарубежная журналистика. М. 2002. С. 62.

Paul Maret. Information Law in Practice, second edition, Aldershot. Ashgate: 2002

საზოგადოებრივ ურთიერთობებს, მაგრამ არა აუცილებლად მათი უშუალო რეგულირების თვალსაზრისით, არამედ იმ აზრით, რომ როგორც მინიმუმი, ორიენტირებული იყოს ისეთ სოციალურ ღირებულებებზე, როგორცაა აზრისა და სიტყვის გამოხატვის თავისუფლება, პოლიტიკური და იდეოლოგიური პლურალიზმი, პიროვნების პატივი და ღირსება, კრიტიკის თავისუფლება, ინფორმაციის მისაწვდომობა და ა. შ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ როლს თამაშობს ნორმები და პრინციპები, რომლებიც განმტკიცებულია კონსტიტუციებსა და კანონებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ.

ჯერ კიდევ ძველი რომაელი იურისტები ეყრდნობოდნენ პრინციპს – *jus est ars boni et aequi* – სამართალი არის სიკეთისა და სამართლიანობის ხელოვნება. შესაბამისად, სამართალი მოიაზრება, როგორც ნორმატიულად განმტკიცებული შეხედულება სამართლიანობაზე. ეს სრული ზომით ეხება ჟურნალისტიკას და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს, რომელთა საქმიანობის საფუძველია სიმართლის ხელოვნება. თუ ჟურნალისტიკა მოკლებული იქნება სიმართლის ხელოვნებას, ზნეობრივ და სამართლებრივ საფუძველებს, ის ვერ შეასრულებს იმ დიდ სოციალურ როლს, რაც მას აკისრია სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ მედიის სფეროში ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეტალური სამართლებრივი რეგლამენტაცია ობიექტურ სოციალურ სიკეთეს წარმოადგენს. პირიქით, მეტისმეტი რეგლამენტაცია არანაკლებ საზიანოა, ვიდრე ზარევი კანონმდებლობაში: სამართლებრივი პრინციპი „ნებადართულია ყველაფერი, რაც აკრძალული არ არის კანონით“, შესაძლებლობას იძლევა არა მარტო გაფართოებულ იქნეს საზოგადოების დემოკრატიული განვითარების გარანტიები, არამედ შეიქმნას განსაზღვრული ზონა, სადაც სრულად გამოვლინდება ჟურნალისტიკის პროფესიული საქმიანობა.

განსაზღვრულ როლს მასმედიის საქმიანობის ნორმატიულ რეგულირებაში თამაშობს კორპორაციული ნორმები. მათ შორის უნდა

გამოვყოთ ლოკალური ნორმები, რომლებსაც შეიცავს შინა დოკუმენტები, მაგალითად რედაქციის წესდებები ან ჟურნალისტის ეთიკის კოდექსები. ასეთი ნორმები უფრო მიზანშეწონილია იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირებისათვის, რომლებიც არ ექვემდებარებიან პოლიტიკურ ან სამართლებრივ რეგულირებას. რა თქმა უნდა, არ შეიძლება ზედმეტად შევაფასოთ მათი მნიშვნელობა, რამდენადაც ასეთი ნორმების იმპერატიულობა ვრცელდება მხოლოდ მოცემული რედაქციის ან ტელეკომპანიების თანამშრომლებზე.

ჩვეულებებსა და ტრადიციებს გარკვეული მნიშვნელობა აქვს მასმედიის საქმიანობის რეგულირებაში. ამ საქმიანობაზე კეთილმყოფელ გავლენას ახდენს ის ტრადიციები და ჩვეულებანი, რომლებიც სასარგებლოა საზოგადოებისათვის და – პირიქით.

მასმედიის საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს დეონტოლოგიური ნორმებიც. დეონტოლოგია არის მეცნიერული წარმოდგენების სისტემა პროფესიონალის აუცილებელი, მიზანშეწონილი ქცევების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტის პროფესიის მარეგულირებელი ნორმები არცთუ იშვიათად ითვალისწინებს დეონტოლოგიურ იმპერატივებს.

გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოში, როცა სამოქალაქო საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თვითრეგულირების მექანიზმი საკმაოდ სუსტია, რომ უზრუნველყოს დეონტოლოგიური ნორმების ეფექტურობა. ასეთ სიტუაციაში კანონმდებელი იძულებულია, სამართლებრივ აქტში ჩართოს პროფესიონალური ქცევის წესები, მიანიჭოს მათ სავალდებულო ძალა. რეგულირების ასეთი პრაქტიკა გარკვეულ საშიშროებას შეიცავს: კანონმდებელი არ უნდა შეეცადოს, თავს მოახვიოს ჟურნალისტს ქცევის წესი, რომელიც ეწინააღმდეგება ჟურნალისტის სოციალურ როლს. ამას ითვალისწინებს იუნესკოს 1997 წლის სოფიის დეკლარაცია, ადგენს რა, რომ „ჟურნალისტური საქმიანობის პროფესიულად სწორი მეთოდები წარმოადგენს ეფექტურ გარანტიას სამთავრობო შეზღუდვებისა და დანტერესებული ჯგუფების მხრიდან ზემოქმედების თავიდან დასაღწევად. ყოველი ცდა ნორმებისა და

სახელმძღვანელო პრინციპების დადგენისა უნდა გამომდინარეობდეს თვით ჟურნალისტებისაგან“.¹

ის ფაქტი, რომ მასმედიის ორგანიზაცია და საქმიანობა რეგულირდება სხვადასხვა სოციალური ნორმით, შეიძლება შევაფასოთ, როგორც სრულნორმატიულობის მოვლენა, რამდენადაც სამართალსა და სხვა ნორმატიულ სისტემებს შორის წარმოიშობა ურთიერთკავშირი, ურთიერთშეთანხმება და ასევე წინააღმდეგობა, კონფლიქტი. თუ ნორმატიული რეგულირების სისტემაში ჰარმონიულად იქნება შერწყმული ყველა ნორმა, მივიღებთ ჰარმონიულ სრულნორმატიულ პლურალიზმს, როგორც სრულნორმატიულობის ოპტიმალურ გამოხატულებას. თავის მხრივ, ნორმების ჰარმონიულობა დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ადეკვატურად არის მათში ასახული საზოგადოების მოთხოვნილებანი.

თანამედროვე პერიოდში არსებობს სამართლებრივი ნორმების საკმაო ერთობლიობა, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული მასმედიის ორგანიზაციასა და საქმიანობასთან. მის საფუძველს წარმოადგენს მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების პრინციპი, რომელიც თამაშობს სტრუქტურაწარმოქმნელი ელემენტის როლს, სხვადასხვა სამართლებრივი ნორმის ერთიან სისტემაში ინტეგრირების საშუალებას. ნომინალურად რომ განვსაზღვროთ მოცემული სისტემა, როგორც სამართლის თეორიის კატეგორია, იგი არის სამართლის კომპლექსური დარგი – მედია სამართალი, რომელიც ეყრდნობა იმავე დასახელების კანონმდებლობის დარგს – მედია კანონმდებლობას. ამ კანონმდებლობითაა მოწესრიგებული მასმედიის, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტის სამართლებრივი სტატუსი.

მედია სამართალი სამართლებრივი ლანდშაფტისათვის სამართლის ყველაზე ახალი დარგია, რომელსაც აქვს არსებობისა და განვითარების სრულიად განსაზღვრული არეალი. ცხოვრებამ დაამტკიცა მედიის სფეროში საქმიანობისა და ურთიერთობების რეგულირების სისტემური ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის აუცილებლობა.

1. გაეროს ძირითადი დოკუმენტები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ბათუმი, 1995.

ნორმები, რომლებიც დაკავშირებულია მასმედიის ორგანიზაციასა და საქმიანობასთან, არსებობს არა მარტო სხვადასხვა ნორმატიულ აქტში, არამედ სამართლის სხვადასხვა დარგშიც, გაერთიანებულია რა საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირების საგნის შესაბამისად. მედია კანონმდებლობაში ამჟამად არსებული ხარვეზები არცთუ იშვიათად ივსება იმ ნორმების დახმარებით, რომელთა მიკუთვნება სამართლის კლასიკური დარგებისადმი არ შეიძლება. მაგალითად, ნორმა ჟურნალისტის უფლების შესახებ, მოითხოვოს ინფორმაცია არ შეიძლება მივაკუთვნოთ სამართლის არც ერთ კლასიკურ დარგს. სწორედ ასეთი ნორმებისაგან ყალიბდება საკუთარი „სხეული“ მასობრივი ინფორმაციის სამართლისა, როგორც სამართლის კომპლექსური დარგისა. იმ ნორმატიული აქტებისაგან, რომლებიც არეგულირებენ მასმედიის ორგანიზაციასა და საქმიანობას, ყალიბდება მასობრივი ინფორმაციის კანონმდებლობა, როგორც კანონმდებლობის დარგი.¹

მასმედიის ორგანიზაციისა და საქმიანობის სამართლებრივ რეგულირებაში ჩართულია კონსტიტუციურ-სამართლებრივი, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, სისხლის, შრომის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ქმნიან მეორად იურიდიულ მთლიანობას სამართლის სისტემაში, ამასთანავე არ არღვევენ ძირითადი დარგების არქიტექტონიკას და არ გამოდიან მათი სტრუქტურიდან. ასეთი წარმონაქმნი წარმოადგენს კომპლექსურს იმ თვალსაზრისით, რომ მასში შემავალი ნორმები არ არის დაკავშირებული რეგულირების ერთიანი მეთოდით და მექანიზმით, არამედ მხოლოდ სამართლებრივი ზემოქმედების საგნით.

მედია კანონმდებლობა დიალექტიკურად ურთიერთდაკავშირებული ორი მიმართულებით ვითარდება. ერთი მხრივ, საერთაშორისო აქტები ითვალისწინებენ შეზღუდვების მოხსნას, კონკურენციისა და მედია ინდუსტრიის ზრდას. მეორე მხრივ კი აუცილებელია ეს თავისუფლება შეუთავსდეს საზოგადოებრივ ინტერესებს, რასაც ეროვნული კანონმდებ-

1. Федотов М.А. Право массовой информации в Российской Федерации, М. 2002, С. 39. Мелюхин И. С. Информационное общество и государство // [www. relcom ru/win/Internet/Computer Law/State.htm](http://www.relcom.ru/win/Internet/Computer Law/State.htm)

ლობები ინფორმაციის გადაცემის შეზღუდვაში, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვაში აღწევენ.¹

რამდენადაც ინფორმაციის გადაცემა გლობალური ხასიათის მოვლენაა, მისი სამართლებრივი რეგულირება არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობით. ამითაა განპირობებული ის ფაქტი, რომ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი და საერთაშორისო ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ მასობრივი ინფორმაციის სამართლებრივი რეგულირების საკითხებისადმი.

მედია გარემოში ახალი მოვლენებისა და პროცესების წარმოშობა იწვევს საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის შესაბამის რეაქციას. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ სამართალი პოლიტიკასთან ერთად უაღრესად მგრძობიარე სოციალური მექანიზმია, რომელმაც ადეკვატურად უნდა ასახოს საზოგადოებაში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენები. ამასთანავე, მჭიდრო კავშირი არსებობს ინფორმაციულ სფეროს, სახელმწიფოსა და სამართალს შორის. ერთი მხრივ, სამართალი, როგორც საზოგადოების თვითრეგულირების უძველესი მექანიზმი მოიცავს რეალურად ჩამოყალიბებულ ურთიერთობათა ყველა სისტემას, მეორე მხრივ სამართალი და მისი სისტემა თავის სფეროში მეცნიერული და ტექნიკური პროგრესის შესაძლებლობებს იყენებს. აქ ინფორმეტიკა სამართალს განსაზღვრულ პირობებს კარნახობს. ამასთანავე, სამართალი თვითონ წარმოადგენს უძლიერეს ინფორმაციულ სისტემას.

XX საუკუნეში მსოფლიო არენაზე მომხდარმა ცვლილებებმა სასიკეთო გავლენა მოახდინა ინფორმაციის სფეროში თანამშრომლობაზე, უფრო გააფართოვა ურთიერთობა მასმედიის ორგანოებს შორის, რადიომაუწყებლობებსა და სატელევიზიო არხებს შორის, მრავალფეროვანი და უფრო შინაარსიანი გახდა რადიო და ტელეპროგრამები.

მსოფლიოში არსებულ სამართლებრივ სისტემებს შორის პრინციპული განხვავება არსებობს საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირების ფორმებსა და მეთოდებში. ანგლოსაქსური სამართლებრივი

1. მ. ცაჭანაშვილი, დაახ. ნაშრომი, გვ. 8.

სისტემა ცნობს საერთო სამართლის იურისდიქციას და სამართლის წყაროდ აღიარებს სასამართლო პრეცედენტს. სწორედ საერთო სამართლის ქვეყნებში ჩამოყალიბდა აბსოლუტური და კვალიფიციური პრივილეგიების ცნება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო საქმეებისათვის იმ სარჩელებზე, რომლებიც აღძრულია პრესაში ცილისმწამებლური ცნობების გამოქვეყნების შესახებ. კვალიფიციური პრივილეგიების კატეგორია ნიშნავს ცილისწამების შესახებ სარჩელის წარდგენის დაუშვებლობას მასმედიისა და ჟურნალისტიკების მიმართ, რომლებმაც ზუსტად და დროულად გადასცეს ინფორმაცია, რომელიც იცავს აბსოლუტურ პრივილეგიას.

მსოფლიო პროცესების გლობალიზაციამ განაპირობა საერთაშორისო თანამშრომლობა მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტების შემუშავებაში; მიღებულია ბევრი დოკუმენტი, როგორც ევროპულ, ისე მსოფლიო დონეზე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის სფეროში, კერძოდ ადამიანის ისეთი ფუნდამენტური უფლებების შესახებ, როგორცაა სიტყვის, აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება, ინფორმაციის თავისუფლება, მოქალაქის პატივისა და ღირსების დაცვა და ა. შ.

ქრონოლოგიურად პირველი და ამასთანავე უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1948 წელს. დეკლარაციის მე-19 მუხლში მოცემულია ინფორმაციის თავისუფლების არსი.

1966 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ იქნა საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. მასში ასევე მე-19 მუხლი ეხება ინფორმაციის თავისუფლებას, მაგრამ გამოკვეთილია ახალი ელემენტები, რომლებიც უფრო სრულად ახასიათებს ინფორმაციის თავისუფლების შინაარსს.

უნაკალური სამართლებრივი აქტი, რომელიც ახალ თვისობრიობას ანიჭებს მასობრივი ინფორმაციის თავისუფლებას, არის ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ, რომლის მე-10 მუხლი მასმედიის შესახებ კანონმდებ-

ლობის ფუნდამენტია, როგორც ევროპაში, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. კონვენციას აქვს ძირითადი კანონის ძალა სასამართლო ორგანოსათვის, რომელსაც ეწოდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

1994 წლის 7-8 დეკემბერს პრალაში ჩატარდა კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა მინისტრთა პოლიტიკას მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის სფეროში. კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია „ჟურნალისტური თავისუფლება და ადამიანის უფლებები“, რომელშიც ფორმულირებული რვა პრინციპი ამკვიდრებს ევროპაში მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების დოქტრინას.¹

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სამართლებრივი რეგულირებისათვის ასევე დიდ მნიშვნელობა აქვს ისეთ დოკუმენტებს, როგორცაა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1970 წლის 23 იანვრის №428-ე რეზოლუცია, 1975 წლის №748-ე რეზოლუცია, იუნესკოს რეგიონალურ სემინარებზე მიღებული დეკლარაციები ვინდჰუკში (ნამიბია, 1991წ.), ალმა-ათაში (1992წ.), სანტ-იაგოში (1994წ.), სოფიაში (1997წ.), ჰელსინკის დასკვნითი აქტი (1975წ.), მადრიდის (1983წ.), ვენის (1989წ.), ლონდონის ინფორმაციული ფორუმის რეკომენდაციები (1989წ.) და ა. შ.

ამ დოკუმენტების ძირითადი მიზანი და დანიშნულება მდგომარეობს იმის უზრუნველყოფაში, რომ კანონმდებლობა მასმედიის შესახებ უნდა განვითარდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების საფუძველზე და მათ შესაბამისად.

მასობრივი ინფორმაციის გლობალიზაცია ზოგ შემთხვევაში იწვევს უარყოფით შედეგებს – ეროვნული კულტურის ბირთვის დანგრევას, სხვა შემთხვევაში პირიქით – დრომოჭმული ფორმების და მუშაობის მეთოდების კონსერვატიზაციას. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება, რომელიც შინაგანი ლოგიკის შესაბამისად მიმდინარეობს, სერიოზულ ზემოქმედებას ახდენს პრაქტიკულ ჟურნალისტიკაზე.

1. Wildhaber L., Speech delivered at Ministerial Conference on Human Rights to Commemorate the Fiftieth Anniversary of the Convention, in: The European Convention on Human Rights at 50, Human Rights Information Bulletin (special issue), №50, 2000.

პოლიტიკური რეალობა ხშირად ამუხრუჭებს ჟურნალისტიკის შემდგომ განვითარებას. ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ბევრი გადაუჭრელი პრობლემა თანამედროვე მასმედიის სფეროში. პრობლემები არსებობს ძირითადად ეროვნული კანონმდებლობის შემუშავებასა და რეალიზაციაში.

მართებულად მიუთითებს პროფ. მ. ცაცანაშვილი, რომ „მოწინავე ქვეყნებისაგან განსხვავებით საქართველოში ინფორმაციზაციის პროცესებს არა აქვს მოწესრიგებული სახე, რადგან ინფორმაციზაციის სფეროში საკანონმდებლო ვაკუუმია.“¹

ბევრი საკითხი, რომელიც ეხება მასმედიის ორგანიზაციასა და საქმიანობას, დღემდე საკანონმდებლო რეგულირების გარეშეა. ძირითადი ნორმატიული აქტი ამ სფეროში იყო საქართველოს 1991 წლის 10 აგვისტოს კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“, რომელიც ძალადაკარგულად ცნო საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონმა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ.“ როგორც ეს კანონმდებლებმაც აღნიშნეს 2004 წლის 24 ივნისის კანონი არ არის კლასიკური კანონი პრესის შესახებ.

2004 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, რომელმაც სამართლებრივი საფუძველი შეუქმნა საქართველოში მასმედიის დაფუძნების ინსტიტუტს. მიუხედავად ამისა, საქართველოს მედია კანონმდებლობაში ფართო ხარვეზია. კანონშემოქმედებითი პროცესი მასმედიის სფეროში არ დასრულებულა.² აუცილებელია ახალი კანონის (კანონების) მიღება, არსებულის შევსება და სრულყოფა, მათი ეფექტურობის ამაღლება. უპირველეს ყოვლისა, შემუშავებული და მიღებული უნდა იქნეს კლასიკური კანონი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ, რომელშიც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები შერწყმული იქნება ეროვნულ ტრადიციებთან და თავისე-

1. მ. ცაცანაშვილი, დასახ. ნაშრ. ვვ. 7.

2. გახათველისწინებულა, რომ რფ-ში არსებობს დაახლოებით 20 კანონი, ათეულგობო ბოსანებულეზა და დაღეკინიღეზა, რომელთაც კავშირი აქვთ ჟურნალისტიკურ საქმიანობასთან.

ბურებთან. ასევე მისაღებია კანონები ინფორმაციის მისაწვდომობის შესახებ, ინფორმაციაზე უფლების შესახებ, პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ, კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ, მასმედიისადმი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ, მედიის სფეროში ეკონომიკური ურთიერთობების საფუძვლების შესახებ, რომელმაც წერტილი უნდა დაუსვას მასმედიის მონოპოლიზაციას, უზრუნველყოს საკუთრებითი ურთიერთობების რეგულირება. აუცილებელია ისეთი საკანონმდებლო აქტების მიღება, რომლებიც მოაწესრიგებს პარლამენტის, მთავრობის, სამინისტროების და უწყებების პრესსამსახურების საქმიანობას.

ეროვნული კანონმდებლობის კარმონიზაცია, ახალი სამართლებრივი აქტების შემუშავება, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება და მასმედიის საქმიანობა საზოგადოების მორალური ინტერესების დაცვისათვის ისეთი პრობლემაა, რომელიც ამა თუ იმ ხარისხით ეხება ყველა ქვეყანას და მათ შორის საქართველოსაც.

საქართველოს მასმედია უნდა ჩაერთოს საერთო ევროპული ინფორმაციის სივრცეში. ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბება, ინფორმაციული პრობლემების გადაჭრა, ინფორმაციის გაცემა და თანამშრომლობა უნდა შეესაბამებოდეს იმ სტანდარტებსა და ღირებულებებს, რომლებიც ევროპის საბჭომ შეიმუშავა წვერი სახელმწიფოებისათვის.

თავი 3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაფუძნების ინსტიტუტი

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაფუძნების სამართლებრივი ინსტიტუტი განსაზღვრავს ახალი მასმედიის წარმოშობისა და მისთვის სამართლებრივი სტატუსის მინიჭების იურიდიულ ფაქტს. „მასობრივი ინფორმაციის საშუალებების“ სამართლებრივი კატეგორია განმსაზღვრელია მასობრივი ინფორმაციის სამართლის საერთო სისტემაში.

მრავალი წელია მიმდინარეობს ტერმინოლოგიური დავა ორ ცნებას შორის: „მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი“ და „მასობრივი კომუნიკაციის საშუალებანი“. დავა მიმდინარეობს, უპირველეს ყოვლისა, იმის შესახებ, რომელი ცნებაა უფრო ფართო? რა იგულისხმება „მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში“ და რა იგულისხმება „მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების“ ცნებაში.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „მასობრივი კომუნიკაციის საშუალებანი“ უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე „მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი“.¹

არის საწინააღმდეგო მოსაზრებაც. მაგალითად ვ. გ. აფანასიევი ხაზს უსვამს, რომ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებანი არ მოიცავს პროცესის შინაარსობრივ მხარეს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მასობრივი კომუნიკაციის საშუალებანი.²

დ. პ. გავრას აზრით კი მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ეფექტურობისათვის სავსებით არ არის მნიშვნელოვანი ამა თუ იმ ცნების შინაარსობრივი ასპექტი.³

ჯერ კიდევ 1975 წელს ფილადელფიის ტამპერეს უნივერსიტეტის პროფესორმა და ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტმა კარლ ნორდენსტრენგმა აღნიშნა, რომ დასავლეთ ევროპაში „კომუნიკაციების კვლევამ მიიღო გლობალური ხასიათი, შევიდა ახალ სტადიაში, გადავიდა უფრო ფართო კონცეფციაში, რომლის თანახმადაც კომუნიკაციის საშუალებანი განიხილება როგორც საზოგადოების გლობალური იდეოლოგიური მექანიზმის ელემენტები.“⁴

ვფიქრობთ, რომ ასეთი ტრადიციული ტერმინოლოგიური აბლაბუდა ვერ შეიტანს სიცხადეს საკითხის არსში. აუცილებელია კანონ-

1. Федякин И.А. Общественное сознание и массовая коммуникация в буржуазном обществе, М. 1978. С. 214.

Кашлев Ю. Массовая информация и международные отношения, М. 1991, С. 23.

Branscomb A. Law and Culture Information Society. 1986, N. Y., p. 279-280.

2. Афанасьев В.Г. Социальная информация и управление обществом, М. 1985, С. 408.

3. Гавра Д.П. Эффективность коммуникационных источников. Век информации, СПб, 2000. С. 15.

4. Nordenstreng K. Evolution actuelle de la theorie de la communication en Europe // Diogene. 1975. № 92. p. 126.

მდებლობაში განსხვავებული იქნეს ამ ორი ტერმინის შინაარსობრივი მხარე და დამახასიათებელი ნიშნები, ვინაიდან თანამედროვე წინააღმდეგობრივ და მრავალფეროვან საზოგადოებაში მათი ურთიერთკავშირის კომპლექსი არის სოციალური კომუნიკაციების რთული პროცესი.

სოციალური ინფორმაციის თეორიული გააზრება უკანასკნელ წლებში გახდა სულ უფრო ღრმა და კომპლექსური, მაგრამ თვითონ ტერმინი „სოციალური ინფორმაცია“ არ მოიცავს თვით ინფორმაციის გავრცელების პროცესს. იგი სოციალური კომუნიკაციის შინაარსობრივი ასპექტია. კომუნიკაციების დახლართულ პროცესში მას მჭიდრო კავშირი აქვს ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, გავრცელებისა და შენახვის საშუალებებთან.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებანი მთლიანი მასობრივი კომუნიკაციური პროცესის ელემენტებია, რომლებიც ინფორმაციასთან ერთად მოიცავს გამოხატვის ენობრივ-სიმბოლურ ფორმებს, ტექნიკურ არხებს, მოწყობილობებს, ინფორმაციის შეგროვების, გავრცელების, შენახვისა და დამუშავების საშუალებებს. მასობრივი კომუნიკაციები დაკავშირებულია საზოგადოებრივ ყოფიერებასთან და საზოგადოებრივ ცნობიერებასთან, აღწევს საზოგადოებრივი შეგნების ისეთ სფეროებში, როგორცაა იდეოლოგია, საზოგადოებრივი ფსიქოლოგია და მეცნიერება. იგი ბევრად განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმებს – პოლიტიკურს, სამართლებრივს, ეთიკურს, ესთეტიკურს, რელიგიურს და სხვა.

ბევრი მკვლევარი მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს განიხილავს როგორც სინონიმებს.¹

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებანი და მასმედია თავის შინაარსობრივ ასპექტში იყენებენ სოციალურ ინფორმაციას. ამ შინაარსობრივი მხარის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ მასობრივი

1. Юшквичюс Г. З. Этические, правовые и социальные аспекты развития новых информационных и коммуникационных технологий. М. 1999. С. 105.
Вайсеров А. Б. Право и информация в условиях автоматизации управления. М. 1978. С. 23.

კომუნიკაციის საშუალებანი წარმოადგენს უფრო ფართო ცნებას, ვიდრე მასშედია, მაგრამ არსებობს მათი დაახლოების ტენდენცია.

მასშედია ახდენს ცნობის, ფაქტის და მოვლენის ინტერპრეტაციას. „ფაქტი უდავოა, ხოლო კომენტარები თავისუფალი.“ მაგრამ თვითონ ფაქტის შერჩევა არის პოზიცია. ამიტომ იმის მტკიცება, რომ მასშედია და კომუნიკაცია წარმოადგენენ მხოლოდ სოციალური ინფორმაციის გადამცემ არხებს, არ იქნება კორექტული.¹

მასშედიის დაფუძნებისა და რეგისტრაციის წესი რამდენადმე განსხვავდება იმ წესებისაგან, რომლებიც ეხება იურიდიული პირის დაფუძნებას. როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელს არეგულირებს სამოქალაქო სამართალი.

მასშედიად მიიჩნევა მასობრივი ინფორმაციის პერიოდული გავრცელების ფორმა, რომელიც, ბუნებრივია, ვერ იქნება იურიდიული პირი. რაც შეეხება რედაქციას, იგი შეიძლება იყოს იურიდიული პირი, შეიძლება არ იყოს, თუ მაგალითად იგი წარმოადგენს რომელიმე ორგანიზაციის ან დაწესებულების შინაგან ქვედანაყოფს, ან ამ თვისებით გამოდის ფიზიკური პირი. თუ რედაქცია ორგანიზებული იქნება იურიდიული პირის ფორმით, იგი ექვემდებარება რეგისტრაციას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი წესების შესაბამისად, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი რეგისტრირებულია, როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალება.

მასშედიის სამართლებრივი სტატუსის კატეგორია მოწოდებულია, ასახოს მისი ფაქტიური მდგომარეობის იურიდიული იერსახე. მასშედიის სტრუქტურა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც შემდეგი ძირითადი ელემენტების კომპოზიცია: სამართლებრივი მდგომარეობა, სამართალსუბიექტობა, უფლება-მოვალეობანი, მათი რეალიზაციის გარანტია.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება მისი დაფუძნებისა და რეგისტრაციის სტადიის გავლის შემდეგ.

1. Михайлов С. А. Современная зарубежная журналистика. М. 2002. С. 67.

მასშტაბის დაფუძნება ხორციელდება ფიზიკური ან იურიდიული პირების ნების გამოვლენის შედეგად. დამფუძნებელი შეიძლება იყოს 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე, გარდა იმ პირებისა, რომლებიც სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე იმყოფებიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ან სასამართლოს მიერ აღიარებულნი არიან ქმედუნაროდ.

მასშტაბის დაფუძნების უფლება აქვს მოქალაქეთა გაერთიანებებს: საზოგადოებრივ, რელიგიურ, შრომით, ჟურნალისტთა კოლექტივებს და სხვა. სავალდებულო არ არის ისინი იყვნენ იურიდიული პირები. მასშტაბის დამფუძნებლები შეიძლება იყვნენ სახელმწიფო ორგანოები, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

მასშტაბი შეიძლება დააფუძნოს რამდენიმე პირმა. ასეთ შემთხვევაში თითოეული მათგანი ითვლება თანადამფუძნებლად და მხოლოდ ერთად შეუძლიათ განახორციელონ დამფუძნებლის უფლება-მოვალეობანი. თანადამფუძნებლებმა უნდა დადონ ხელშეკრულება, რომელშიც განსაზღვრული იქნება მასშტაბის სამართლებრივი სტატუსი. თუ ხდება არა მარტო მასშტაბის, არამედ რედაქციის დაფუძნებაც, რომელსაც აქვს იურიდიული პირის უფლებები, მაშინ დამფუძნებელი ხელშეკრულება უნდა შეესაბამებოდეს სამოქალაქო კანონმდებლობას.

მასშტაბის დაფუძნების უფლება მთლიანად არის დამოკიდებული სუბიექტის შეხედულებაზე. არაფერ არ არის ვალდებული, განახორციელოს ეს უფლებამოსილება.

დამფუძნებლის უფლება-მოვალეობანი წარმოიშობა მასშტაბის რეგისტრაციის მომენტიდან. რეგისტრაციის პროცესში სახელმწიფო ორგანო ამოწმებს მასშტაბის დაფუძნების კანონიერებას, როგორც მატერიალურ-სამართლებრივ, ასევე პროცესუალურ-სამართლებრივ ასპექტში.

რეგისტრაციის პროცედურა იწყება დამფუძნებლის ან მისი რწმუნებულის მიერ სარეგისტრაციო ორგანოში განცხადების შეტანით.

რეგისტრაცია არ არის აუცილებელი მასშტაბისათვის, რომელიც იქმნება ხელისუფლების ორგანოს მიერ ოფიციალური მასალების,

ნორმატიული და სხვა სამართლებრივი აქტების გამოცემისათვის. რა თქმა უნდა, რეგისტრაციისაგან განთავისუფლება არ ნიშნავს ასეთი მასშედის აკრძალვას.

საკუთრების ფორმის შესაბამისად მასშედია შეიძლება იყოს: სახელმწიფოებრივი, კერძო (კომერციული), საზოგადოებრივი, საქველმოქმედო, შერეული ტიპის.

უეჭველია, რომ საკუთრების ფორმა არსებით გავლენას ახდენს გამომცემლობის შინაარსსა და საქმიანობაზე. სახელმწიფო მასშედია ხშირად გამოხატავს ოფიციალური ხელისუფლების თვალსაზრისს და ბუნებრივია, სწორედ ამ მიზნით იქმნებიან კიდევც. ასეთი მასშედია არსებობს ბიუჯეტის დაფინანსების საფუძველზე.

კერძო გამომცემლობები დოტაციას იშვიათად ღებულობენ და იძულებულნი არიან, თვითონ მოიპოვონ არსებობისათვის საჭირო სახსრები. საზღვარგარეთ კერძო გამომცემლობებს შორის ყველაზე მომგებიანია უფასო გაზეთები დიდი ტირაჟით, რადგანაც ასეთი გაზეთები მეტად მიმზიდველია სარეკლამო კომპანიებისათვის. რა თქმა უნდა, უფასო გაზეთს გარანტირებული აქვს ტირაჟის გავრცელება. პარტიული გაზეთების და ჟურნალების დაფინანსება ხდება ამა თუ იმ საზოგადოებრივი გაერთიანებების შესაძლებლობების შესაბამისად. ისინი ეწევიან ყოველდღიურ პროპაგანდას თავიანთი მიზნებისა და ტრადიციების სასარგებლოდ. საქველმოქმედო გამოცემები მსოფლიო მასშტაბით ამჟამად იშვიათად გვხვდება. ჩვეულებრივად, მისი მფლობელია ესა თუ ის საქველმოქმედო ფონდი, რომელიც დაფუძნებულია მდიდარი მეცენატის მიერ.

ტელერადიომაუწყებლობისათვის არსებობს სპეციალური ტექნიკური შეზღუდვები. მათი პოტენციური რაოდენობა განისაზღვრება სიხშირეთა დიაპაზონით, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს, ვინ და რომელ სიხშირეზე გავა ეთერში. ეს კი განაპირობებს მაუწყებლობის სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობას. სახელმწიფომ კი არ უნდა შეზღუდოს, არამედ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრივი და კერძო სადგურების დამოუკიდებლობას. იმისათვის, რომ შეიქმნას ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი და დამოუკიდებელი მაუწყებლო-

ბის სისტემები, საზოგადოებრივ და კერძო სექტორებში აუცილებელია ტელე-რადიომაუწყებლობაზე სახელმწიფოს მონოპოლიის მოსპობა.

ევროპის განვითარებულ ქვეყნებში, ჩრდილოეთ ამერიკაში, აზიასა და ავსტრალიაში მაუწყებლობა ორი სახისაა: საზოგადოებრივი და კერძო. რუსეთში ტელე-რადიომაუწყებლობა ორი სტრუქტურისაგან შედგება: სახელმწიფო მაუწყებლობა და კერძო მაუწყებლობა. მათ შორის განსხვავება მდგომარეობს შემდეგში: სახელმწიფო სამაუწყებლო ორგანიზაციებს მართავს მთავრობა ან ქვეყნის პრეზიდენტი. ეს იმას ნიშნავს, რომ მის ხელმძღვანელებს ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სახელმწიფოს ან აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი. რაც შეეხება საზოგადოებრივ მაუწყებლობას, მას მართავს სპეციალური საზოგადოებრივი ორგანო, რომელიც ასრულებს ბუფერის როლს სახელმწიფო ხელისუფლებასა და პროგრამის რედაქტორებს შორის. ეს სპეციალური ორგანო შეიძლება ჩამოყალიბებული იქნეს საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების ან პარლამენტის მიერ იმ პირთა რიცხვიდან, რომლებიც სარგებლობენ მოსახლეობის ფართო სპექტრის პატივისცემით. საზოგადოებრივი ორგანო აყალიბებს სამაუწყებლო პოლიტიკის პრინციპებს, ნიშნავს და ათავისუფლებს მისდამი დაქვემდებარებული ტელე-რადიოკორპორაციების ხელმძღვანელებს, ანგარიშს აბარებს საზოგადოებას (როგორც წესი, ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს პარლამენტს) მაუწყებლობის მუშაობის შესახებ, არჩევს უფრო მეტად მნიშვნელოვან საჩივრებს, მაგალითად, პროგრამის არაობიექტურობის შესახებ.

სახელმწიფო მაუწყებლობა თავის პროგრამას სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით გეგმავს. ასეთი მაუწყებლობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ხელისუფლების პოლიტიკისათვის მხარდაჭერა. ოპოზიცია აქ ან თითქმის არ არის წარმოდგენილი ან უმცირესობაა და მის ხმას მინიმალური წონა აქვს.

საზოგადოებრივი მაუწყებლობის მიზანია, დააკმაყოფილოს მოსახლეობის ყველა ფენის მოთხოვნილება. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ისეთი პრობლემების გავრცელებას, რომელთაც არა

აქვს კომერციული ინტერესები. საზოგადოებრივმა მაუწყებლობამ არ უნდა დაუშვას ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის ან კომერციული ორგანიზაციების წინასწარ განზრახული პროგრამების გაშუქება. ამიტომ, საზოგადოებრივ არხებზე ტრადიციულად აკრძალული ან შეზღუდულია რეკლამა.

სახელმწიფო მაუწყებლობა ფინანსდება უშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან. საზოგადოებრივი მაუწყებლობა ჩვეულებრივად არსებობს სააბონენტო გადასახადის ანგარიშზე. ეს არის თავისებური გადასახადი, რომლის ოდენობა, როგორც წესი, დგინდება ქვეყნის პარლამენტის მიერ და მთლიანად ხმარდება საზოგადოებრივ მაუწყებლობას.

საზოგადოებრივი მაუწყებლობის მეორე წყარო შეიძლება იყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფიქსირებული გადასახადი. ევროპული თანამეგობრობა ასეთ სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას საზოგადოებრივი ტელევიზიისა და რადიოს მიმართ ახორციელებს ანტიმონოპოლიური რეგულირების პრინციპის საფუძველზე. ზოგიერთ ქვეყანაში საზოგადოებრივი არხების ბიუჯეტი ივსება რეკლამებისა და სპონსორების ანგარიშით.

საზოგადოებრივი მაუწყებლობის საყოველთაოდ მიღებული მოდელები არ არსებობს. თითოეული ქვეყანა საზოგადოებრივი მაუწყებლობის რეგულირებას ახდენს ეროვნული თავისებურებებისა და ჩამოყალიბებული ტრადიციების გათვალისწინებით.

ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურების განვითარებისათვის სხვა დარგებთან ერთად აუცილებელია მსოფლიო სტანდარტების დონეზე მომუშავე მრავალარხიანი ტელერადიომაუწყებლობა და ელექტროკავშირი. თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რეორგანიზაცია დროის მოთხოვნაა.

2004 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, რომელიც სიტყვისა და აზრის თავისუფლების, თავისუფალი მეწარმეობის პრინციპების საფუძველზე განსაზღვრავს მაუწყებლობის წესს.

კანონის მიზანია სახელმწიფო ჩარევისაგან დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მაუწყებლობის ფორმირება, მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის რეგულირება გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპის შესაბამისად, სიტყვისა და აზრის თავისუფლების, მაუწყებელთა შორის კონკურენტული გარემოს სტიმულირების, ლინცეზიის მფლობელთა თანასწორობისა და დამოუკიდებლობის, სიხშირული სპექტრის ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა.

კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ ერთმანეთისგან განასხვავებს საზოგადოებრივ მაუწყებლობას, სათემო მაუწყებლობას და კერძო მაუწყებლობას. საზოგადოებრივი მაუწყებლობა სახელმწიფო ქონების საფუძველზეა ტელე-რადიომაუწყებლობისათვის შექმნილი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარო დაფინანსებით მოქმედი, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც არ ექვემდებარება არცერთ სახელმწიფო უწყებას და რომლის მიზანია პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი მრავალფეროვანი პროგრამების მიწოდება საზოგადოებისათვის.

სათემო მაუწყებლობა არის კანონით დადგენილი წესით, კერძო სამართლის არაკომერციული ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ განხორციელებული მაუწყებლობა, რომელიც უზრუნველყოფს მაუწყებლობის პროცესში საზოგადოების იმ ნაწილის მონაწილეობას, რომელსაც ის ემსახურება და რომელიც მიზნად არ ისახავს მოგების მიღებას.

კერძო მაუწყებლობა არ წარმოადგენს არც საზოგადოებრივ და არც სათემო მაუწყებლობას და ხორციელდება კერძო სამართლის კომერციული და არაკომერციული პირის მიერ კანონით დადგენილი წესით.

როგორ ხდება საზოგადოებრივი მაუწყებლობის დაფუძნება და საქმიანობის რეგულირება?

კანონის თანახმად, მაუწყებლობის სფეროში საქმიანობას არეგულირებს კომისია – საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მუდმივ-

მოქმედი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, რომელიც არ ექვემდებარება არცერთ სახელმწიფო უწყებას. იგი არ არის სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან საჯარო სამართლის კორპორაცია.

მაუწყებლობის რეგულირების სფეროში კომისიას აქვს ფართო ფუნქციები, კერძოდ:

- სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ წინადადებების შემუშავება სამაუწყებლო ბაზრისა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით და მათ განხორციელებაზე ზედამხედველობა და კონტროლი;
- ლიცენზირების პირობების დადგენა, ლიცენზიების გაცემა, მოდიფიცირება, ლიცენზიების მოქმედების შეჩერება და განახლება, ლიცენზიების გაუქმება;
- სიხშირული სპექტრის დადგენა და განაწილება კანონით განსაზღვრული წესით, სიხშირეების მინიჭება;
- ლიცენზიის მფლობელის მიერ ლიცენზიის პირობების შესრულებაზე ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება და ლიცენზიის დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი სანქციების შეფარდება;
- კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი;
- სამართლებრივი აქტების, მათ შორის, ქცევის კოდექსის მიღება და სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით.

კომისია, კომისიის წევრი და კომისიის აპარატის თანამშრომელი საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. კომისიის წევრი სარგებლობს იმუნიტეტით.

კომისიის მუშაობა ხორციელდება საჯაროობის პრინციპის საფუძველზე: კომისიის სხდომები, მისი ყველა დადგენილება, გადაწყვე-

ტილება, ბრძანება, ჩანაწერი და სხვა დოკუმენტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჯარო განხილვისათვის, გარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა. ამ კოდექსის თანახმად, კომისიამ უნდა უზრუნველყოს გამჭვირვალობა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია კონფიდენციალურია, კომისიას უფლება აქვს, გამართოს დახურული სხდომა. კომისია გადაწყვეტილებას ღებულობს ხმების უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფისას გამამჭვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

თავისი უფლებამოსილების ფარგლებში კომისია გამოსცემს დადგენილებას, გადაწყვეტილებას და კომისიის თავმჯდომარის ბრძანებას.

კომისია შედგება ხუთი წევრისგან, რომლებიც ინიშნებიან 6 წლის ვადით. პირი არ შეიძლება დაინიშნოს კომისიის წევრად ზედიზედ ორზე მეტი ვადით. კანდიდატურის შერჩევა ხდება ღია კონკურსის გზით. განკარგულებას კონკურსის ჩატარების შესახებ გამოსცემს საქართველოს პრეზიდენტი კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 100 დღით ადრე ან მისი უფლებამოსილების შეწყვეტიდან 10 დღის განმავლობაში.

კანონის თანახმად, კომისიის წევრობის კანდიდატი უნდა იყოს საზოგადოებრივი აღიარების და ნდობის მქონე პირი უმაღლესი განათლებით, თუმცა არ არის მითითებული, როგორ უნდა შეფასდეს პირის საზოგადოებრივი აღიარება და ნდობა.

დასახელებული კანდიდატების სიის გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი კანონით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით იღებს მოტივირებულ გადაწყვეტილებას კანდიდატთა შერჩევის შესახებ და პარლამენტს წარუდგენს ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე არანაკლებ 3 კანდიდატურას. პარლამენტი ფარული კენჭისყრით აძლევს თანხმობას პრეზიდენტს კომისიის წევრის დანიშვნაზე და თანხმობა მიცემულად ჩაითვლება, თუ კანდიდატი მიიღებს სხვა კანდიდატზე მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევრისა. ამ მაჩვენებლის თანაბრობის შემთხვევაში ტარდება ხელახალი კენჭისყრა. საქართვე-

ლოს პარლამენტის მიერ თანხმობის მიცემის შემდეგ კანდიდატებს თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, რომელთაგან ერთ-ერთი ინიშნება თავმჯდომარედ. თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე, რომელსაც თავმჯდომარის წარდგინებით და მისი უფლებამოსილების ვადით ირჩევს კომისიის თავმჯდომარე.

კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ დეტალურად არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორცაა კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლება, კომისიის წევრთა და თანამშრომელთა ინტერესთა კონფლიქტი, კომისიის ბიუჯეტი, სალიცენზიო გადასახდელი და რეგულირების საფასური, ანგარიშის წარდგენა, საჩივრის შეტანისა და განხილვის მექანიზმი.

კანონის თანახმად, საქართველოში დაფუძნდა ერთი საზოგადოებრივი მაუწყებლობა სახელმწიფო ქონების საფუძველზე და იგი დაფინანსდება საჯარო საწყისებზე.

კანონში განსაზღვრულია საზოგადოებრივი მაუწყებლის უფლებამოვალეობანი, დამოუკიდებლობა, დადგენილია მათი დაცვის სამართლებრივი გარანტიები. საზოგადოებრივი მაუწყებლის სტრუქტურაში შედის სამეურვეო საბჭო და გენერალური დირექტორი. დემოკრატიული პრინციპების განხორციელებას ემსახურება საზოგადოებრივი საბჭოები, რომლებიც იქმნება იმ მიზნით, რომ მაუწყებლის ეთერში წარმოადგინონ საზოგადოებრივი ინტერესები და მოთხოვნილებანი. ისინი უფლებამოსილნი არიან, საზოგადოების უშუალო მონაწილეობით შეიმუშაონ რეკომენდაციები საზოგადოებრივი მაუწყებლობისათვის.

რამდენადაც მაუწყებლობა მასმედიის ისეთი სახეობაა, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის გადაცემისათვის, ამ სფეროში აუცილებელია ლიცენზირების სისტემა, რომელიც დემოკრატიულ საწყისებზე იქნება დაფუძნებული.

ლიცენზია ტელერადიომაუწყებლობის სფეროში ბევრად განსხვავდება სხვა სფეროებისაგან იმით, რომ იგი დაკავშირებულია სინშირეთა შეზღუდული რესურსების კონცეფციასთან, რომელიც ჩამოყალიბდა XX საუკუნის 20-იან წლებში. ამ კონცეფციის თანახმად, ეთერი

არ არის უსაზღვრო და დაუსრულებლად გაწელილი. ყველა მსურველს არ შეუძლია განახორციელოს მაუწყებლობა შეზღუდული სიხშირის ძალაში. ამიტომ, იმისთვის, რომ აუცილებელია დადგინდეს ერთიანი წესი ყველასათვის, ვინც გაღის ეთერში და იყენებს სიხშირეებს აუდიტორიის ინტერესებისათვის, შეიქმნა ლიცენზირების ინსტიტუტი რადიოსათვის, რომელიც შემდგომ გავრცელდა ტელევიზიაზე.¹

ეთერი ეკუთვნის მთელ საზოგადოებას. სიხშირეები, რომლებიც გამოყოფილია ტელემაუწყებლობისა და რადიომაუწყებლობისათვის, წარმოადგენს საზოგადოებრივ მონაპოვარს, რომელთა გამოყენებაზე კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ლიცენზიების გაცემის დროს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მაუწყებლობის პროგრამულ კონცეფციას, ე. ი. იმას, თუ რას მოუსმენს და უყურებს ეთერში ამ ქვეყნის აუდიტორია. შემთხვევითი არ არის, რომ ჯერ კიდევ XX საუკუნის 40-იან წლებში საუნივერსიტეტო და სხვა საზოგადოებრივ მაუწყებლობას მიეცა შესაძლებლობა, საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე მიეღოთ ეთერში გასვლის გარანტია.

რაში მდგომარეობს ლიცენზიის არსი? ეს არის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიცემული ნებართვა, განსაზღვრული პირებისა და ორგანიზაციებისათვის განახორციელონ ესა თუ ის საქმიანობა, რომელსაც კონტროლს გაუწევს შესაბამისი ორგანო.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ განსხვავება არსებობს ტელე-რადიომაუწყებლობის ლიცენზირებასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რეგისტრაციას შორის. რეგისტრაცია მასმედიისათვის აუცილებელია, მაგრამ მას აქვს უწყებრივი ხასიათი. რეგისტრაციის შემდეგ ტელე-რადიომაუწყებლობამ აუცილებლად უნდა გაიაროს ლიცენზირების პროცედურა.

ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი აერთიანებს რეგისტრაციასა და ლიცენზირებას მასმედიაში. თუ მასმედია არ არღვევს კანონს, ორივე მათგანი ეძლევა მუდმივად.

1. Рихтер А. Г. правовые основы журналистики. М. 2002. С. 147.

ბევრ ქვეყანაში მოქმედებს სისტემა, რომლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ მაუწყებლობა არ არღვევს კანონმდებლობას, მას შეუძლია ხანგრძლივად ისარგებლოს ლიცენზიით.

საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ დაწვრილებით არეგულირებს ლიცენზირების საკითხს. ლიცენზიის გაცემის უფლება აქვს კომისიას, რომელიც საჯაროობის პრინციპის დაცვით კანონით გათვალისწინებულ საქმიანობაზე გასცემს ლიცენზიებს და აწარმოებს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრს, აკონტროლებს ლიცენზიით განსაზღვრული პირობების დაცვას, ახდენს ლიცენზიის მოდიფიცირებას, აჩერებს და აახლებს ან აუქმებს ლიცენზიას.

მაუწყებლობის სფეროში საქმიანობა, რაც დაკავშირებულია აუცილებელ ტექნიკურ რეგულაციასთან და შეზღუდული რესურსების გამოყენებასთან, ხორციელდება მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე, რომლის გარეშე საქმიანობა მაუწყებლობის სფეროში ისჯება კანონით.

ლიცენზიის მფლობელი საქართველოში შეიძლება იყოს ნებისმიერი რეზიდენტი, ფიზიკური ან იურიდიული პირი, თუმცა ლიცენზიის ფლობა ეკრძალება ადმინისტრაციულ ორგანოს, მის თანამდებობის პირს ან თანამშრომელს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე იურიდიულ პირს, პოლიტიკურ პარტიას და პოლიტიკური პარტიის თანამდებობის პირს.

ლიცენზია ორი სახისაა: სათემო და კერძო მაუწყებლობის. კერძო მაუწყებლობის ლიცენზიები გაიცემა საერთო და სპეციალიზებული ტელერადიომაუწყებლობისათვის, რომელთა საქმიანობა ხორციელდება თანამგზავრული სისტემების მიწისზედა სადგურების, საკაბელო ქსელის ან სიხშირული სექტორის გამოყენებით.

კანონის თანახმად ლიცენზიის ვადა განსაზღვრულია და იგი მოიცავს 10 წელს. ამ ვადის ამოწურვამდე 6 თვით ადრე ლიცენზიის მფლობელი მიმართავს კომისიას კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებით; კომისია ლიცენზიის მისაღებად ატარებს კონკურსს ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

კომისიის გადაწყვეტილება ტელერადიოსამაუწყებლო თანამგზავრული მიწისზედა სადგურებისა და საკაბელო ქსელის გამოყენებით ტელე-რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის გაცემის შესახებ მიიღება კომისიისათვის განცხადების წარდგენიდან 45 სამუშაო დღის ვადაში.

კანონი სპეციალურად არეგულირებს სათემო მაუწყებლობის ლიცენზირების საკითხს, ხაზს უსვამს, რომ სათემო მაუწყებლის ლიცენზიის მფლობელი უნდა ემსახურობოდეს საზოგადოებრივ ინტერესებს, უზრუნველყოფდეს მაუწყებლობის პროცესში იმ საზოგადოების წევრების მონაწილეობას, რომელსაც იგი ემსახურება და მისი მომსახურების ზონაში მცხოვრები უმცირესობის შეხედულებათა გაშუქებას.

კანონის თანახმად, მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სატელევიზიო დროის დიდი ნაწილის ევროპული პროგრამებისათვის გამოყოფა მაყურებლის წინაშე საინფორმაციო, საგანმანათლებლო, გასართობი და კულტურული ვალდებულებების გათვალისწინებით, მიიღოს ყველა ზომა პროგრამებში მოყვანილი ფაქტების ჯეროვანი სიზუსტის უზრუნველსაყოფად და დროულად შეასწოროს შეცდომები.

მაუწყებლობის პროგრამებში ზუსტად და სამართლიანად უნდა იყოს გაშუქებული ფაქტები, ერთმანეთისაგან უნდა იქნეს გამიჯნული ფაქტი და კომენტარი, მოხდეს მოსაზრების ავტორის ინდენტიფიცირება. „ახალ ამბებში“ ფაქტებთან და მოვლენებთან დაკავშირებული ყველა საგულისხმო განსხვავებული მოსაზრება სათანადოდ უნდა იქნეს წარმოჩენილი, ნებისმიერი ჯგუფისა თუ თვალსაზრისის დისკრიმინაციის გარეშე.

მაუწყებლობას უფლება არა აქვს რაიმე სახით პროპაგანდა გაუწიოს ომს, ეკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც რაიმე ფორმით ხელს უწყობს რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივებას, დისკრიმინაციასა და ძალადობის წაქეზებას. აკრძალულია პორნოგრაფიის, აგრეთვე ადამიანის ღირსებისა და ძირითადი უფლებების შემლახავი ისეთი ტელე-რადიოპროგ-

რამის ან რეკლამის ეთერში განთავსება, რომელიც შეიცავს უხამსობას. აკრძალულია ბავშვებისა და მოზარდების ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე მავნე ზეგავლენის მომხდენი პროგრამების დროის იმ პერიოდში განთავსება, როცა მათ ამ პროგრამების ნახვის დიდი ალბათობა აქვთ.

მედია კანონმდებლობის სიახლედ უნდა ჩაითვალოს ნორმა იმის შესახებ, რომ „დაუშვებელია ლიცენზიის მფლობელმა გადასცეს ისეთი პროგრამა, რომელსაც ტექნიკური აუდიო ან ვიზუალური მონტაჟის საშუალებით შეუძლია გადასცეს ინფორმაცია, ანდა მსმენელის ან მაყურებლის ქვეცნობიერზე ზემოქმედებით შეუძლია გავლენა მოახდინოს მათ შეხედულებებზე ისე, რომ მათ ნაწილობრივ ან სრულად არ ჰქონდეთ გაცნობიერებული ზეგავლენა.

მნიშვნელოვან დანაწესს წარმოადგენს ის, რომ კომისია საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით განსაზღვრავს მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესის მქონე მთავარი მოვლენების ნუსხას და 5 წელიწადში ერთხელ აქვეყნებს მას. დაუშვებელია მთავარი მოვლენების ექსკლუზიური მაუწყებლობა, თუ იგი ხელმისაწვდომი არ არის საქართველოს მოსახლეობის სულ ცოტა 90%-სათვის.

კანონი განსაზღვრავს მაუწყებლობის საკუთრების სამართლებრივ რეჟიმს, მიუთითებს, რომ პირს დამოუკიდებლად ან ურთიერთდამოკიდებულ პირთან ერთად შეუძლია ფლობდეს არა უმეტეს ერთ საერთო საეთერო სატელევიზიო და ერთ საერთო საეთერო რადიო-მაუწყებლობის ლიცენზიას თითო მომსახურების ზონაში.

მართალია საქართველოში არსებობს კანონი „რეკლამის შესახებ“, რომელიც გამოიყენება რეკლამასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებისათვის, მაგრამ კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ ითვალისწინებს, რომ ეს წესები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს „მაუწყებლობის“ კანონით დადგენილ ნორმებს, რომლებიც კრძალავს ეთერში არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო, არაეთიკური და აშკარად ყალბი რეკლამის ან ტელეშოპინგის გადაცემას.

კანონით რეგულირებულია სპონსორობის საკითხიც. სპონსორის მიერ მთლიანად ან ნაწილობრივ დაფინანსებულ პროგრამებში სპონსორზე გარკვეულად უნდა იყოს მითითებული პროგრამის დასაწყისში ან დასასრულს. სპონსორს ან რეკლამის მიმწოდებელს არ შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მის მიერ დაფინანსებული პროგრამის შინაარსსა და დროზე. აკრძალულია ისეთი პროგრამების სპონსორობა, როგორცაა ახალი ამბები (გარდა სპორტისა და ამინდის პროგნოზისა), სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე გაკეთებული რეპორტაჟები, მომხმარებელთა უფლებების, საარჩევნო კამპანიასთან პირდაპირ დაკავშირებული პროგრამები.

ლიცენზიის მფლობელს კანონმდებლობა აკისრებს დიდ პასუხისმგებლობას. ტელერადიოსამაუწყებლო საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ქცევის კოდექსის მოთხოვნების დარღვევისათვის, ან კომისიის გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის კომისიას უფლება აქვს დამრღვევი გააფრთხილოს, დააჯარიმოს, შეაჩეროს ლიცენზიის მოქმედება ან გააუქმოს ლიცენზია.

ქართული საზოგადოებრიობა არაერთგვაროვნად შეხვდა კანონის „მაუწყებლობის შესახებ“. ნაწილი საზოგადოებისა თვლის, რომ კანონის ამოქმედების შემდეგ ხელისუფლებას ხელში ჩაუვარდება კერძო მედია საშუალებების კონტროლის სერიოზული ბერკეტები, რომ სპეციალური კომისიის მიერ საზოგადოებრივი, სათემო და კერძო მაუწყებლობის მიერ ლიცენზიის 10 წლის ვადით გაცემა და ვადის გასვლის შემდეგ ახალი კონკურსის ჩატარება კერძო კომპანიების გაკონტროლების საშუალებად იქცევა. და რაც მთავარია, ტელეკომუნიკაციების ქსელების ერთი კონკრეტული მაუწყებლობისათვის გადაცემა იმის საშიშროებას ქმნის, რომ ხელისუფლებამ კერძო მაუწყებლობაზე ტექნიკური საშუალებით სერიოზული ზეწოლა მოახდინოს.

კანონპროექტის ავტორების აზრით კი საზოგადოებრივი ტელევიზია მისი დამფუძნებლის – საზოგადოების ინტერესებს მოემსახურება; დემოკრატიულ საწყისებზე მოხდება ტელე-რადიომაუწყებლობის ხელმძღვანელის არჩევა სამეურვეო საბჭოს მიერ, რომელიც საზოგა-

დოებრივი ტელევიზიის პოლიტიკას სრულიად დამოუკიდებლად წარმართავს.

საზოგადოებრივი მაუწყებლობა ცივილიზაციის მიღწევაა. ამის ნათელი დადასტურებაა: BBC ბი-ბი-სი – კორპორაცია, რომელიც გახდა ერთდროულად როგორც გაერთიანებული სამეფოს სიმბოლო, ისე საზოგადოებრივი აზრის ამსახველი მასობრივი ინფორმაციის უკომპრომისო და მიუკერძოებელი საშუალების მოდელი. თავის მუშაობაში ბი-ბი-სი, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს საზოგადოების ინტერესებს და პასუხისმგებელია საზოგადოებისა და პარლამენტის წინაშე. ბი-ბი-სის დამოუკიდებლობა ხატოვნად შეაფასა სერ უინსტონ ჩერჩილმა, როცა განაცხადა: „ევროპაში სამი ნეიტრალური სახელმწიფოა: შვედეთი, შვეიცარია და BBC“.

საქართველოში შეიქმნა საზოგადოებრივი მაუწყებლობა, რომლის ავკარგიანობას მომავალი განსაზღვრავს. მისი წარმატება მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული იმაზე, რამდენად ეფექტურად წარმოაჩენს ქართული ერის კულტურას, ტრადიციებს და სულიერებას, რამდენად შეუწყობს ხელს სიტყვისა და აზრის თავისუფლების კონსტიტუციური პრინციპების განხორციელებას და გაიზიარებს ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილებას.

მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზია გახდა ევროპის მაუწყებელთა კავშირის წევრი.

2005 წლის 2 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“. კანონი ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით საქმიანობის სამართლებრივ და ეკონომიკურ საფუძვლებს, ამ სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებისა და რეგულირების პრინციპებს, დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის) ფუნქციებს, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და საშუალებების ფლობის, მათი გამოყენებისა და მომსახურების მიწოდების დროს ეკონომიკური და იურიდიული პირების უფლებებსა და მოვალეობებს.

კანონის თანახმად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის მიზანია ეროვნული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურებაზე ფიზიკური და იურიდიული პირების მოთხოვნილებათა უზრუნველყოფა და საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. კანონი არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორცაა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა, საერთაშორისო თანამშრომლობა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში, მარეგულირებელი კომისიის სტატუსი, მისი ფორმირებისა და საქმიანობის წესი, ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის კონტროლი და პასუხისმგებლობა, მონიტორინგი და შემოწმება, ლიცენზია, მისი მიღების საფუძვლები და სხვ.

კანონებმა „მუწყებლობის შესახებ“ და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ რამდენადმე შეავსეს ქართული მედიასამართლებრივი სივრცე, თუმცა კვლავ არის საკითხები, რომლებიც სათანადო სამართლებრივ რეგულირებას საჭიროებენ. კანონმდებლობამ ადეკვატურად უნდა ასახოს თანამედროვე დინამურად განვითარებადი ცხოვრების მიერ წამოჭრილი პრობლემები, უზრუნველყოს მედიის შესახებ სამართლებრივი და სხვა სოციალური ნორმების პარმონია, რათა მედიის ფუნქციონირება იყოს დროის მოთხოვნების შესაბამისი.

თავი 4. ინტერნეტის სამართლებრივი რეგულირება

ახალი ტიპის ტელეკომუნიკაციური ქსელი არის არა უბრალოდ კომუნიკაციების ახალი საშუალება, არამედ კაცობრიობის ცივილიზაციის ადამიანური აქტივობის სრულიად ახალი სფერო. ტელეკომუნიკაციური ქსელი და კომპიუტერული ინფორმაცია ღრმად შეიჭრა საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში, კომპიუტერულმა ინფორმაციამ ხარისხობრივად ახალი ეტაპი დაიწყო ინფორმაციული ურთიერთობების ორგანიზაციის სფეროში. განსაკუთრებული მნიშვნე-

ლობა და გავლენა საზოგადოებრივ ურთიერთობებზე მოიპოვა კომპიუტერული ინფორმაციის საერთაშორისო გადაცემის ისეთმა საშუალებამ, როგორცაა ინტერნეტი.

ინტერნეტი არის ტელეკომუნიკაციური ქსელის ერთობლიობა (ელექტროკავშირების ქსელი), რომელიც გაერთიანებულია ინფორმაციის წარმოებისა და გავრცელების ერთიანი ტექნოლოგიით.¹ იგი ცოდნის მსოფლიო ბაზის განაწილებაა, რომელიც მოიცავს მრავალრიცხოვან ინფორმაციულ მასივებს (ინფორმაციულ რესურსებს, მონაცემებსა და ცოდნის ბაზებს), შედგება დოკუმენტებისა და ტექსტებისაგან, რომლებიც გაერთიანებულია ტრანს-სასაზღვრო ტექნოლოგიური ინფორმაციული ქსელით.

რა არის ინტერნეტი მეცნიერული თვალსაზრისით? როგორც ცნობილია მას ჯერ კიდევ უწოდებენ “World Wide Web (www) – მსოფლიო ინფორმაციულ აბლაბუდას, არა უბრალო აბლაბუდას, არამედ აბლაბუდას, რომელიც შეიცავს მრავალრიცხოვან ბაზებსა და მონაცემებს.”² ეს მსოფლიო ინფორმაციული აბლაბუდა (ქსელი) დაფუძნებულია სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების კომპიუტერზე, საპროგრამო ინფორმაციულ რესურსებზე, კავშირისა და ტელეკომუნიკაციების საშუალებებზე, რომელთა მეშვეობითაც ხდება ინფორმაციის გადამუშავება და მიღება.

ინტერნეტის შემადგენლობაში შედის და მის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს მრავალრიცხოვანი პროვაიდერი (სუბიექტები, რომლებიც ინფორმაციულ მომსახურებას უწევენ ინტერნეტის მომხმარებლებს), სერვერების მფლობელები (სერვერ-კომპიუტერებზე განთავსებული ინფორმაციის ჩანაწერები), ინფორმაციის მომხმარებლები. ამრიგად, იქმნება ერთიანი მსოფლიო ელექტრონული ინფორმაციული სივრცე – ინტერნეტი.

ინტერნეტი არის ავტომატიზებული ინფორმაციული სისტემა, მაგრამ განსაკუთრებული სისტემა, რომელიც წარმოადგენს ინფორმა-

1. Ринтер А. Г. Правовые основы журналистики. 2002. С. 243.

2. Копылов В. А. Информационное право, М. 2003, С. 210.

Gerald R. Ferrera, et al. Cyberlaw: your rights in Cyberspace South-Western Pub. 1st edition Internet Law Books at Amazon. com. July 24, 2001.

ციული საზოგადოების ფორმირებისა და განვითარების საფუძველს, ინფორმაციულ ინფრასტრუქტურას. ინტერნეტის მეშვეობით აქტიურად ყალიბდება მსოფლიო ინფორმაციული სივრცე. მასში მოქმედებს მსხვილი ინფორმაციული კონგლომერატები, რომლებიც აერთიანებს ინფორმაციის შექმნის სისტემას და მისი გავრცელების ქსელს, ფუნქციონირებს გლობალური ინფორმაციული ტელეკომუნიკაციური ქსელები, რომლებიც მოიცავს მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნების ტერიტორიას. დღეისათვის ინტერნეტში თავმოყრილია საქმიანი, ინტელექტუალური ინფორმაცია, ელექტრონული გაზეთები და ჟურნალები, საბაზო მონაცემები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ელექტრონული ფოსტა, ბიბლიოთეკების, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების ინფორმაციული რესურსები. ინტერნეტში არ არსებობს სახელმწიფოთა გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური საზღვრები.¹

ამრიგად, ინტერნეტი წარმოადგენს კაცობრიობის ყოფიერების ახალ სივრცეს, პიროვნების, საზოგადოების, სახელმწიფოს საქმიანობის ახალ გარემოს. ამ სივრცეს არცთუ იშვიათად უწოდებენ ვირტუალურს, მხედველობაში აქვთ ის ფაქტი, რომ ინფორმაცია – ამ სივრცის ძირითადი ობიექტია.

ვირტუალურ სივრცეში, ისე როგორც რეალურში მოქმედებენ სუბიექტები, რომლებიც ერთმანეთთან იმყოფებიან განსაზღვრულ ურთიერთობაში, რასაც მოსდევს იურიდიული შედეგებიც. შესაბამისად ამისა მეცნიერების წინაშე დაისვა პრობლემა – მოითხოვს თუ არა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ეს განსაკუთრებული სფერო სამართლებრივ რეგულირებას?

ამჟამად მიმდინარეობს მეცნიერული დავა იმის შესახებ, რა არის ინტერნეტი სამართლებრივი თვალსაზრისით. შეიძლება გამოვყოთ ორი ჯგუფი სპეციალისტებისა, რომლებიც თავიანთ შეხედულებებს გამოთქვამენ აღნიშნული საკითხის ირგვლივ.

1. Rogers, E. M. Communication technology: The new media in society. New York: Free Press. 1986;

Антон Серго, «Интернет и Право», М., 2003, С. 69.

სპეციალისტთა ერთ ჯგუფს მიაჩნია, რომ ინტერნეტი ისეთი სივრცეა, რომელშიც სამართალი პრინციპულად არ გამოიყენება. მეორე ჯგუფი ასახულებს, რომ სამართალი ინტერნეტში დაიკავებს ღირსეულ ადგილს, საჭიროა მხოლოდ ობიექტის თავისებურებისა და იურიდიული თვისებების გათვალისწინება, რის გამოც ამ სივრცის სუბიექტები შედიან ურთიერთობაში, რომელსაც სამართლებრივ შედეგებამდე მივყავართ.

ვერც პირველი და ვერც მეორე ჯგუფი ავტორებისა ვერ გვაძლევენ ამ ვირტუალური სფეროს სათანადო სისტემურ ანალიზს, რაც შესაძლებლობას მოგვცემს გარკვეულ იქნეს – ექვემდებარება თუ არა ინტერნეტი სამართლებრივ რეგულირებას და თუ ექვემდებარება – როგორია ასეთი რეგულირების თავისებურებანი.¹

ამ საკითხზე მეცნიერული პასუხი გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, იმის გარკვევას წარმოადგენს თუ არა ინტერნეტი სამართლის ობიექტს ან სამართლის სუბიექტს. ინტერნეტი მთლიანობაში არ არის არც საერთაშორისო ორგანიზაცია, არც სახელმწიფოებრივი სტრუქტურა ან საზოგადოებრივი გაერთიანება და არც იურიდიული პირი, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობაში გამოვიდოდა როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი. ამასთანავე, – და ეს არსებითია, არ არის მეორე სუბიექტი მასთან ურთიერთკავშირისათვის. ამდენად, ინტერნეტი არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლის სუბიექტად.

არის თუ არა ინტერნეტი სამართლის ობიექტი, რომლის გამო წარმოიშობა სამართლებრივი ურთიერთობა? ფაქტია, რომ სხვადასხვა მოწყობილობების, ინფორმაციული სტრუქტურების, კავშირებისა და ტელეკომუნიკაციების საშუალებების მთელი კომპლექსი არანაირად არ არის განცალკევებული და მას არ ჰყავს კონკრეტული შესაკუთრე, მფლობელი. ინტერნეტი მთლიანობაში არავის არ ეკუთვნის და ამდენად არც სამართლის ობიექტს არ წარმოადგენს.

მაგრამ ცალკეული ობიექტები, რომლებიც შედიან ინტერნეტში და ეკუთვნიან კონკრეტულ პირებს საკუთრების ან მფლობელობის

1. Мелюхин И. С. Интернет и правовое регулирование
// www.internews.ras.ru/zip/28/melukhin.html

უფლებით, ძალზე ბევრია. არსებობს ასევე ბევრი სუბიექტი, რომლებიც ერთმანეთთან სამართლებრივ ურთიერთობაში შედიან ცალკეული ობიექტების გამო. ამრიგად, ინტერნეტი შეიძლება შევადაროთ ჩვეულებრივ მატერიალურ (რეალურ) სივრცეს, ე. ი. ჩვენს რეალურ ცხოვრებას. ადამიანები ინტერნეტში ასრულებენ იმავე მოქმედებებს და ამყარებენ იმავე ურთიერთობებს, რასაც რეალურ ცხოვრებაში. შესაბამისად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ინტერნეტი ჩვენი ყოფიერების ჩვეულებრივი სფეროა, მაგრამ ვირტუალური¹ და ის აუცილებლად საჭიროებს სამართლებრივ რეგულირებას. ასეთი რეგულირება დაკავშირებულია ისეთ პრობლემასთან, როგორცაა ქსელის გლობალური არსი და სამართლებრივი რეგულირების ეროვნული სისტემების არარსებობა. პრობლემა მდგომარეობს იმაში, როგორ უნდა იქნეს რეგულირებული ეს სფერო – საერთაშორისო კანონმდებლობით, ეროვნული კანონმდებლობით თუ ერთობლივად. რამდენადაც ინტერნეტი ტრანსნაციონალურია, მან გადალახა ეროვნული სამართლებრივი სისტემების საზღვრები, რაც მოითხოვს ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანას. არსებულმა კანონმდებლობამ ადეკვატურად უნდა მოახდინოს რეაგირება ახალი ტექნოლოგიების დანერგვის პროცესზე.

აღსანიშნავია, რომ ვირტუალურ სივრცეში იცვლება ინფორმაციის ფიზიკური თვისებები და ჩნდება ინფორმაციის, როგორც სამართლის ობიექტის ახალი იურიდიული თავისებურებანი და თვისებები. ინტერნეტში ინფორმაციულ ურთიერთობათა რეგულირების თავისებურებანი განისაზღვრება სწორედ ინფორმაციის შესახებ ფიზიკური წარმოდგენით, უპირველეს ყოვლისა, ელექტრონული ქსელის სახით.

ინფორმაციული რესურსების, ინფორმაციული პროდუქტებისა და ინფორმაციული მომსახურების მწარმოებლები – ინფორმაციული ურთიერთობის სუბიექტები, ინტერნეტში ასრულებენ შემდეგ მოქმედე-

1. Куприянов А. Интернет и право, М. 1999, С. 60.

Nie, N. H. & Bering, L. Internet and society: A preliminary report. Stanford, CA: Institute for the Quantitative Study of Society, 2000.

ბებს (უფლების რეალიზაციისა და მოვალეობების შესრულების სახით):

- ამუშავებენ და თავიანთ ინფორმაციას ქსელში განათავსებენ. ინფორმაციის განთავსება განხილულ უნდა იქნეს, როგორც გავრცელების წინადადება, არსებითად, როგორც ქსელის მეშვეობით ინფორმაციის გავრცელების ფუნქცია.

- ინფორმაციას ხელმისაწვდომს ხდიან პირთა განუსაზღვრელი წრისათვის (ან თუ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ფასიანია ან შეზღუდული – მკაცრად განსაზღვრული წრის პირებისათვის).

ძირითადი ურთიერთობა, რომელიც წარმოიშობა ინტერნეტის მომსახურების მწარმოებელსა და ასეთი მომსახურების მომხმარებლებს შორის, რეგულირდება სამოქალაქო ან საჯარო სამართლის ტრადიციული ნორმებით. ეს არის ტრადიციული სახელშეკრულებო ურთიერთობა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სახის ურთიერთობა. სახელშეკრულებო ურთიერთობა დაკავშირებულია სპეციალისტების ჯგუფებთან – დამკვეთთან, დამმუშავეებელთან, მწარმოებელთან და მომხმარებელთან. ასეთი ურთიერთობანი საკმაო სისრულით არის რეგულირებული სამოქალაქო სამართლით. მეორე ჯგუფი ურთიერთობებისა დაკავშირებულია იმ ობიექტების ექსპლუატაციასთან, რომლებიც ადგენენ ინფორმაციული რესურსების სამართლებრივ რეჟიმს, ინფორმაციულ სისტემებს, კავშირისა და ტელეკომუნიკაციურ საშუალებებს, ამ ობიექტების დამუშავების უზრუნველყოფისა და ინფორმაციული მომსახურების გაწევის წესს. ასეთი ურთიერთობანი, ჩვეულებრივად, მყარდება ადმინისტრაციული სამართლის შესაბამისი ნორმებით და დანაწესებით. სწორედ აქ უნდა იქნეს რეალიზებული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა საინფორმაციო ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიის შექმნისა და განვითარების სფეროში. სახელმწიფოს ვალდებულებაა, შექმნას სახელმწიფო-ინფორმაციული ტელეკომუნიკაციური სისტემები და უზრუნველყოს მათი ექსპლუატაცია სახელმწიფო-ინფორმაციული რესურსების ფორმირებისა და რეალიზაციის მიზნით, რაც დაფუძნებული იქნება თითოეული მოქალაქის უფლებაზე, მოიძიოს, მიიღოს და მოიხმაროს ინფორმაცია.

ინტერნეტში წარმოიშობა ელექტრონული დოკუმენტების გავრცელებასთან დაკავშირებული პრობლემები. კერძოდ, ელექტრონული დოკუმენტების განსაზღვრა და განმტკიცება, რაც ადასტურებს მათ იურიდიულ ძალას; ასეთი დოკუმენტების ინტერნეტში შეყვანის ფაქტის და თარიღის დადგენა; ელექტრონული დოკუმენტების შინაარსის იდენტიფიკაცია; კონტრაფაქტული ეგზემპლარების გამოვლენა და აღნიშნული ფაქტის დადასტურება; ინფორმაციის ავტორის უფლებების დადასტურება.

მეცნიერული და პრაქტიკული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია იმ საკითხის გარკვევა – არის თუ არა ინტერნეტი მასობრივი ინფორმაციის საშუალება.

თუ მივმართავთ ანალოგიას, ინტერნეტი შეიძლება შევადაროთ ტელეგადაცემებს, სარელეო სადგურს ან ტელევიზორს ტექნიკური თვალსაზრისით, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ტელეპროგრამას. ინტერნეტი კავშირშია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, რამდენადაც ეს ქსელი გამოიყენება როგორც ჟურნალისტების მიერ მოპოვებული, ასევე რედაქციების მიერ შექმნილი ცნობების გავრცელებისათვის. ამიტომ თუ ვილაპარაკებთ ინტერნეტზე, როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებაზე, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ამ ქსელის მიერ გავრცელებული განსაკუთრებული ცნობები.

მაგრამ ინტერნეტი არ შეიძლება გავაიგივოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, რადგან იმ ინფორმაციის თვისებები, რომლებიც გავრცელებულია ტელეკომუნიკაციური ქსელით, არ ემთხვევა ტრადიციული მასობრივი ინფორმაციის ნიშნებს. მართალია თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტერნეტით სარგებლობა ადამიანის მაღალ სოციალურ სტატუსზე მეტყველებს, მაგრამ ინტერნეტი არ არის ყველასთვის ხელმისაწვდომი საინფორმაციო საშუალება.

ინტერნეტის განვითარება ბევრ ქვეყანაში მიმდინარეობს მიზანმიმართულად იმ განსაკუთრებული თვისებების გამო, რაც მას ახასიათებს. უპირველეს ყოვლისა, ინტერნეტს აქვს ინფორმაციის ერთდროულად გავრცელების თვისება, რაც მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით. მოსახლეობის ნაწილი

ღებულობს იმავე ინფორმაციას და იმავე დროს, რასაც სხვები. ამგვარი სახით გეოგრაფიულად ერთმანეთისაგან დაშორებული გაზეთის მკითხველები ერთსა და იმავე დროს იღებენ ინფორმაციას, ხოლო ტელევიზიის და რადიოს აუდიტორია ერთდროულად უყურებს ან უსმენს პროგრამას, მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, ინტერნეტს არა აქვს პერიოდულობის თვისება. მაგალითად, თუ 2004 წლის 20 აპრილს მოქალაქემ მიიღო ინფორმაცია ქსელის მეშვეობით, რაც გამიზნულია მასობრივი მოხმარებისათვის, არ არის იმის გარანტია, რომ მის გაგრძელებას მოქალაქე მიიღებს მომდევნო დღეს (როგორც ეს ხდება გაზეთის მეშვეობით), ან ერთი თვის შემდეგ (როგორც ჟურნალის მეშვეობით), ან თუნდაც 2005 წლის 20 აპრილს (როგორც ყოველწლიური გამოცემის შემთხვევაში).

პერიოდულ მასმედიაში მასალის განახლება (კომპიუტერულ ენაზე, ე. წ. „აბდეთი“) უნდა მოხდეს მთლიანად, შენარჩუნებული უნდა იქნეს მხოლოდ მასმედიის ინდივიდუალიზაციის განმასხვავებელი ნიშნები (სახელწოდება, გაფორმების ძირითადი ელემენტები, ხმოვანი სიგნალები და ა. შ.). ამ თვალსაზრისით პერიოდულობა ახასიათებს ყველა ტრადიციულ მასმედიას – გაზეთებს, ჟურნალებს, ტელე-რადიო პროგრამებს. გამონაკლისს წარმოადგენს ტრადიციული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ელექტრონული ვერსიები, რომლებიც განთავსებულია ინტერნეტში, ასევე სპეციალურად შექმნილი და რეგისტრირებული ინტერნეტ-გამომცემლობები და სააგენტოები. მაგრამ პირველი მათგანი, არსებითად, მხოლოდ „ძველი“ მასმედიის სხვაგვარი ფორმა და არა ახალი მასმედია, რადგან გამოცემის ელექტრონული ვერსია რამდენადმე განსხვავდება ბეჭდვითი ვერსიისაგან.

კიდევ უფრო რთულია იმის მტკიცება, რომ ინტერნეტ-გვერდების (საიტების) მეშვეობით ხდება მასობრივი ინფორმაციის გავრცელება, რაც მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალების მნიშვნელოვანი თვისებაა. საიტები არ შეიძლება ჩაითვალოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დღევანდელი მდგომარეობით, ინტერნეტი ვერ ჩაითვლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებად,

თუმცა ბევრი სპეციალისტის აზრით კანონი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ შეიძლება გამოყენებული იქნეს ინტერნეტის საქმიანობის რეგულირებისათვის.¹

იმ შემთხვევაში თუ ინტერნეტში რეგისტრირებული იქნება მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ისინი ღებულობენ განსაზღვრულ ეკონომიკურ შედეგათებს – რეგისტრირებული ინტერნეტ-გამომცემლობის ავტორები მოიპოვებენ ჟურნალისტის სტატუსს, აქვთ იურიდიული უფლება-მოვალეობანი და შესაბამისად ინტერნეტ-საიტებიც ითვლება მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალებად. ინტერნეტში რეგისტრირებულმა გამომცემლობამ უნდა დაიცვას განსაზღვრული, ზოგჯერ მისთვის მოულოდნელი წესები, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ში 2001 წლის დეკემბერში შეიქმნა სასამართლო პრეცედენტი, რომელიც ინტერნეტ-ჟურნალისტზე ავრცელებს ბრალდებისაგან დაცვის ისეთივე იურიდიულ ზომებს, როგორც აქვს ტრადიციული მასმედიის ჟურნალისტს. ამერიკულმა ინტერნეტ ბიულეტენმა „ნარკონიუსმა“, რომელიც სპეციალიზებულია ანტინარკოტიკულ პროპაგანდაზე, გაავრცელა ცნობა, რომ მექსიკის ნაციონალური ბანკის პრეზიდენტი მონაწილეობდა ნარკოტიკებით ვაჭრობაში. ბანკმა საიტი – narconews.com დაადანაშაულა ცილისწამებაში. ნიუ-იორკის შტატის უმაღლესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც პირველად გაავრცელა ნორმა, დადგენილი „ნიუ-იორკ თაიმსი – სალივანის წინააღმდეგ“ საქმეზე.²

ვირტუალურ სფეროში საქმიანობა ემორჩილება იმ საერთაშორისო შეთანხმებებსა და მოვალეობებს, რომლებიც მიღწეულია სახელმწიფოთა შორის აზრისა და სიტყვის თავისუფლების სფეროში. ინტერნეტთან დაკავშირებული ყველა საკითხი შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

1. Рихтер А. Г. указ. произв С. 245.
Серго А. Г. Интернет. //http://www.internet-law.ru/articles/smi-gost.htm.
Oravec, J. A. Internet and computer technology hazards. Perspectives for family counseling. British Journal of Guidance and Counselling. 2000. p.324.
2. Оттавей Дж. Марке А. Законы об оскорблении высших должностных лиц государства – оскорбление своего лица прессы, М. 2002. С. 205.
„ნიუ-იორკ თაიმსი“ სალივანის წინააღმდეგ – 376 U.S. 254, 9 მარტი, 1964წ.
წიგნიდან: სიტყვის თავისუფლება. გამოცემული სათ. თბ. 2002.

ქსელის ხელმისაწვდომობის თავისუფლება და მოპოვებული ინფორმაციის შინაარსზე კონტროლი.

პირველი ჯგუფის პრობლემა დაკავშირებულია იმ საკითხთან, რომ სახელმწიფომ არ უნდა გაუწიოს წინააღმდეგობა მოქალაქეთა უფლებას – ისარგებლონ ინტერნეტით. მეორე ჯგუფის პრობლემა დაკავშირებულია იმასთან, რომ ინტერნეტი რადიკალურად ამარტივებს კონფიდენციალური ინფორმაციის გადაცემას დიდ მანძილზე, თანაც ეს ხდება მომენტალურად, ყოველგვარი საბაჟო დეკლარაციებისა და სასაზღვრო კონტროლის გარეშე. თუ ადრე, ჯამუშებს, იმისთვის, რომ გადაეცათ საიდუმლო დოკუმენტების ფოტოასლები, საზღვარზე გადასვლისას სჭირდებოდათ ფოტოფირების „დამალვა“, ამჟამად ასეთი ინფორმაციის „ცენტრში“ გადაცემისათვის საკმარისია გაგზავნონ იგი ინტერნეტის ქსელით. ეს ართულებს სახელმწიფოს ძალისხმევას, დაიცვას თავისი უსაფრთხოება და სახელმწიფო საიდუმლოება. ამიტომ იგი იძულებულია, აკონტროლოს ინტერნეტით გავრცელებული მასალა, კერძოდ, თხოვნით მიმართოს ინტერნეტ-მომსახურების პროვაიდერს, გადაიღოს ამა თუ იმ ცნობის ელექტრონული მიმოწერის ასლები. მართალია, ამ დროს ირღვევა მოქალაქის მიმოწერის საიდუმლოების უფლება, მაგრამ ცივილიზებულ ქვეყნებში, როგორც წესი, ეს ხდება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ისტორიულად ჩამოყალიბდა ისე, რომ ინტერნეტი თავისთავად არც აშშ-ში, არც დასავლეთ ევროპაში არ ექვემდებარებოდა სახელმწიფოებრივ კონტროლს. თუმცა შეუძლებელი არ არის ინტერნეტზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება. ზოგიერთ ქვეყანაში, უპირველეს ყოვლისა, ჩინეთში მიღებული იქნა ინტერნეტში ინფორმაციის შეზღუდვის ზომები.

ინტერნეტის ქსელის მეშვეობით გავრცელებული ინფორმაცია უნდა იყოს უსაფრთხო, რაც უზრუნველყოფილია სახელმწიფო სტრუქტურებისა და მოქმედი კანონმდებლობის მიერ. ინფორმაციის უსაფრთხოების სფეროში წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტები იგივეა, რაც სხვა ინფორმაციულ სფეროებში.

ინფორმაციული უსაფრთხოების მიზნით იქმნება ქსელის მიერ გადაცემული ცნობების კონტროლის სისტემა, რომელსაც მართავს სპეცსამსახური. სწორედ ასეთი სისტემაა „ეშელონი“, ორგანიზებული დასაველეთის ზუთი სახელმწიფოს მიერ აშშ-ის ხელმძღვანელობით. ეს სისტემა პრაქტიკულად უზრუნველყოფს გლობალურ საერთაშორისო კონტროლს. ზოგ შემთხვევაში კონტროლი ვრცელდება შიდასახელმწიფოებრივ საუბრებზე, ტელექსებზე, ფაქსებსა და ელექტრონულ ფოსტაზე. უნდა აღინიშნოს, რომ „ცივი ომის“ დროს შექმნილი ელექტრონული სისტემებისაგან განსხვავებით, სისტემა „ეშელონი“ ორიენტირებულია არა იმდენად საომარ მიზნებზე, რამდენადაც სამთავრობო და კომერციული ორგანიზაციებისა და კერძო პირების ინტერესების მომსახურებაზე.

ამერიკელებს აქვთ სისტემა „კორნივორი“, რომელიც აანალიზებს და აკონტროლებს მთელ შემავალ და გამავალ ელექტრონულ ფოსტას. ინფორმაციის დიდი რაოდენობიდან პროგრამა არჩევს ფაილებს, რომელიც მიეკუთვნება კონკრეტულ ადამიანს.¹

2002 წლის ივლისში ინგლისის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელმაც სამთავრობო ორგანიზაციებს მისცა უფლება, თვალ-ყური ადევნონ მოქალაქეთა ელექტრონულ ფოსტას, მოახდინონ დამიფრული ცნობების კოდირება. ელექტრონული ფოსტის გაცნობა მოქალაქეებს შეუძლიათ მხოლოდ შესაბამისი ორდერის საფუძველზე.²

რუსეთში არსებობს „ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებზე ზედამხედველობის ტექნიკური საშუალებების უზრუნველყოფის სისტემა“, რომელიც შესაძლებლობას აძლევს უშიშროების ფედერალურ სამსახურს თვალის ადევნოს მისთვის საინტერესო ინფორმაციებსა და არხებს. დაკვირვება წარმოებს, უპირველეს ყოვლისა, ელექტრო „ატეესებზე“, ფირმა-პროვაიდერებზე, ინტერნეტ-მომსახურებაზე, პეიჯერულ კომპანიებზე და მობილური სატელეფონო კავშირის კომპანიებზე. რუსეთში აღნიშნული სისტემის შექმნასა და დანერგვას

1. Bowles, J., 'The future Internet' faster, smarter, mobile, scarier. Newsweek, 1998, 16 November, p. 12.

2. Радченко М. Ю., Гордеев В. П. Цифровое право государства //http://www.conf/parkmedia.ru/any_r.asp? URL=go-r.asp.

ხსნიან ჯაშუშობასა და ტერორიზმთან ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობით.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც დასავლეთის ქვეყნებში, ასევე რუსეთში უკანონოდ მოპოვებული ცნობების ფასი არცთუ ისე მნიშვნელოვანია. რუსეთის ფედერაციის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1995 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების თანახმად, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც მტკიცებულებანი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ღონისძიებები ჩატარებულია სისხლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად.¹

ინფორმაციის უსაფრთხოების ნორმატიული რეგულირების მნიშვნელოვანი საშუალებაა ქსელში ცნობების დაშიფვრის ლიმიტირების შესაძლებლობა. ნებისმიერი სახელმწიფოს შეზღუდული რესურსები, რომელიც ცდილობს გააკონტროლოს გავრცელებული ინფორმაცია ქსელის მეშვეობით, მალე ამოიწურება თუ ინფორმაციის ინტერნეტით გადაცემის დროს გამოიყენება შიფრი, რომელიც სპეცსამსახურების მიერ ძნელად ამოსაცნობი ან სავსებით ამოუცნობია. ამიტომ მთელ მსოფლიოში ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლება ცდილობს შეზღუდოს ქსელის მეშვეობით გავრცელებული ცნობების დაშიფვრის შესაძლებლობა. ეს ხდება ორი გზით: არარეგისტრირებული შიფრის გამოყენების შეზღუდვით და იმ რთული შიფრების ამოცნობით, რომლებსაც იყენებენ კომპიუტერული პროგრამების შემდგენელები.

ინტერნეტი ხშირად გამოიყენება დანაშაულებრივი მიზნით. ასეთი დანაშაული შეიძლება დავეთ ორ ჯგუფად: პირველი, დანაშაული, მიმართული ინფორმაციის დამუშავების სისტემისა და ქსელის წინააღმდეგ. ამ ჯგუფში შედის კომპიუტერული დანაშაული, რაც დაკავშირებულია ინფორმაციული რესურსების არასანქციონირებულ მოპოვებასთან, მონაცემების შეცვლასთან ან განადგურებასთან, აგრეთვე ინტერნეტის, როგორც უკანონო საქმიანობის განხორციელების გამოყენებასთან.

1. Карелина М. М. Есть ли у Интернета правовые проблемы? М. 1999, С. 11-12.

მეორე ჯგუფი მოიცავს დანაშაულებს, რომლებშიც ქსელი გამოყენებულია, როგორც კავშირის არხი. ასეთი დანაშაული, უმთავრესად დაკავშირებულია აზრის გამოხატვასთან (expressions of opinion), კერძოდ:

- ძალადობის, რასობრივი დისკრიმინაციის, პორნოგრაფიის ჩვენება;
- ნაციონალური უსაფრთხოების, არასრულწლოვანთა ინტერესების დარღვევა, ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვა, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, საქმიანი რეპუტაციის, ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა.¹

დღეს ინტერნეტის კვლევის ძირითად მიმართულებას სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს ინფორმაციული უსაფრთხოება, რაც გულისხმობს ინტერნეტის დაცვას მავნე და უკანონო ინფორმაციისაგან. მიუხედავად უამრავი პრეცედენტისა, კომპიუტერული დანაშაულის ცნება მეცნიერებაში ჯერ კიდევ მკვეთრად არ არის ფორმულირებული. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ კომპიუტერული დანაშაული, როგორც დანაშაულთა განსაკუთრებული ჯგუფი, იურიდიული თვალსაზრისით არ არსებობს. შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ დანაშაულის კომპიუტერულ ასპექტებზე და არა კომპიუტერულ დანაშაულზე.²

მეორე თვალსაზრისით ავტორები კომპიუტერულ დანაშაულად მიიჩნევენ ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავების სფეროში ჩადენილ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს. ასეთი დანაშაულის ობიექტია ინფორმაცია, რომელიც კომპიუტერშია დამუშავებული, ხოლო კომპიუტერი ხელყოფის იარაღს წარმოადგენს.³

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს კომპიუტერულ დანაშაულთა შემადგენლობას. კოდექსის 284-ე, 285-ე

1. Телекоммуникации и право / Ред. Ю. Батурий, М. 2000. С. 102-109.

Волчинская Е. К. Информационные технологии и право
www.relcom.ru/Internet/ComputerLaw/InfLaw.htm

2. Батурий Ю М Проблемы компьютерного права. М. 1991. С. 129.

Терещенко Л К. Интернет и проблемы в праве. М., 1999. С. 19.

3. Вехов В. Б. Компьютерные преступления. способы совершения, методы расследования, М. 1996, С. 44-45.

აღუქსანდრე კაცხანი, კომპიუტერული დანაშაული, ავტორიუტერატი იმ კანდიდატის სამეცნიერო სარჩხის მოსახეებლად. თბ. 2004 წ.

და 286-ე მუხლების თანახმად დასჯადია კომპიუტერულ ინფორმაციაში (მანქანა-მატარებლებზე, ელექტრო-გამომთვლელ მანქანაზე, ანუ ემ სისტემაში ან მათ ქსელში ასახულ ინფორმაციაში) არამართლ-ზომიერი შეღწევა, რასაც შედეგად მოჰყვება ინფორმაციის განადგურება, ბლოკირება, მოდიფიცირება ან გადაღება, ეემ-ის სისტემის ან მათი ქსელის მუშაობის მოშლა.

ამდენად, დანაშაულებრივი ხელყოფის საგანს ინფორმაცია წარმოადგენს, დანაშაულებრივი ქმედება კი გამოიხატება ინფორმაციის ხელყოფაში, რაც განზრახ უნდა იყოს ჩადენილი. დანაშაული შეიძლება განხორციელებული იქნეს სხვადასხვა მიზნითა და მოტივით.

ინტერნეტის დაცვა საზიანო და უკანონო ინფორმაციისაგან ინტერნეტის სამართლებრივი რეგულირების მთავარი პრობლემაა. იგი გულისხმობს:

- ელექტრონული დოკუმენტების დამუშავების საკითხის მოწესრიგებას;
- კიბერნეტიკის საკითხების მოწესრიგებას;
- საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვას;
- ინფორმაციულ უსაფრთხოებას;
- ინტერნეტში სამართალდარღვევების აღმოფხვრას;
- არასრულწლოვანთა ინტერესებისა და სიტყვის თავისუფლების დაცვას;
- პიროვნების შეურაცხყოფელი ინფორმაციის შეზღუდვას;
- ინფორმაციის მისაწვდომობას, სახელმწიფო საიდუმლოების, კომერციული და სხვა სახის საიდუმლოების დაცვას.¹

ინტერნეტის სამართლებრივ რეგულირებაში გარკვეული მნიშვნელობა აქვს ე.წ. „სპამს“. ყველა, ვინც მუშაობს ინტერნეტის ქსელში იღებს სპამს. ეს პირები მონაწილეობენ ინფორმაციულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში, რომლებიც დაკავშირებულია ინტერნეტის ქსელით და ელექტრონული ფოსტით სარგებლობასთან. აღნიშნული ურთიერთობა ხასიათდება განსაზღვრული თავისებურებებით:

1. Мелюхин И. С. Интернет и правовое регулирование
// www.internews.ras.ru/zip/28/melukhin.html.

უპირველეს ყოვლისა, სპამი ("SPAM") არის გამგზავნის ნებით გაკეთებული გზავნილი წინასწარ მოუთხოვნელი ("unsolicited") ელექტრონული ინფორმაციის მიღებაზე. პრაქტიკულად, ხშირ შემთხვევებში ასეთი ინფორმაცია უსარგებლოა. მეორეც, გზავნილი არის მასობრივი (უცხოეთში, იმისათვის, რომ დაახასიათონ ეს თავისებურება ხმარობენ ტერმინს "bulk"). მასობრიობას განაპირობებს მნიშვნელოვანი რაოდენობის ელექტრონული ფოსტის მისამართებით სარგებლობა ერთი გზავნილის შედეგად ან ერთი მიმღების მიერ მრავალგზისი ცნობების მიღება.

სპამით გაგზავნილი ცნობა დამოუკიდებლად გამგზავნის („სპამერის“) მიზნებისა და ამოცანებისა, შეიძლება შეიცავდეს კომერციულ ინფორმაციას ან არ ჰქონდეს შეხება კომერციულ საქმიანობასთან. შესაბამისად, ამ ნიშნით, ცნობის შინაარსს გამოყოფს „კომერციული სპამი“ ან/და „არაკომერციული სპამი“.

ელექტრონული წერილის ტექსტის ორგანიზაციის პოზიციების შესაბამისად, იგი შეიძლება შეიცავდეს თემას, საუბრის საგანს ("subject"), სივრცეში ინფორმაციას იმის შესახებ - რას წარმოადგენს მოცემული ცნობა (მაგალითად, სარეკლამო ინფორმაცია), ხოლო წერილის ტექსტში იყოს მითითება იმის შესახებ, თუ რასთან დაკავშირებით მიიჩნეეს გამგზავნი საჭიროდ მიმართოს მიმღებს წინასწარი თანხმობის გარეშე.

აღნიშნული ნიშნები ადასტურებენ, რომ გამგზავნმა იცის: მის მიერ შეთავაზებული ინფორმაცია მიმღებისათვის თავს მოხვეულია და კეთილსინდისიერად ცდილობს შეამციროს შესაძლო ნეგატიური ზემოქმედება.

ამასთანავე, სპამერს ხშირად არა მარტო არ აქვს სურვილი შეამციროს სპამისგან მიღებული დისკომფორტი, არამედ თავს არიდებს პასუხისმგებლობას თავის მოქმედებაზე გამგზავნის მისამართების ფალსიფიკაციის გზით, მესამე პირის მისამართის გამოყენებით და ცნობის სახელწოდების შეცვლით. ზოგჯერ ამ მიზნით გამოიყენება სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფა. ეს არ ხდება შემთხვევით, არამედ იმისათვის, რომ მაქსიმალურად გაურთულოს

საქმე იმ პირებს, რომლებიც იბრძვიან ინტერნეტის ქსელში სპამის წინააღმდეგ. არ იყოს იმის შესაძლებლობა, რომ დადგინდეს გამგზავნის პიროვნება და მის მიმართ განხორციელდეს შესაბამისი ზომები.

რატომ იბრძვიან სპამის წინააღმდეგ? უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ ელექტრონული ფოსტით მოსარგებლენი იძულებულნი არიან გადაუხადონ პროვაიდერებს დრო (გრაფიკი), რომელიც იხარჯება სპამის მიღებაზე. მეორეც, საფოსტო გზავნილების მასობრიობის გამო გაძნელებულია ინფორმაციული სისტემების და რესურსების მუშაობა. მესამე, ნაწილობრივ სპამი შეიცავს ინფორმაციას, რომელიც აბნევს მიმღებს და გამოიყენება არაკეთილსინდისიერი ან უკანონო მიზნით.

სწორედ ამიტომ, სპამთან ბრძოლაში უფრო დიდი წვლილი ეკუთვნის პროვაიდერებს, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ ამ მიზნით გამოიყენონ საკუთარი სისტემები და რესურსები. კერძოდ, ისეთი საშუალებები, როგორიცაა ფილტრაცია (სელექცია და განადგურება) და დაბლოკვა (მიღებული ცნობების იდენტიფიკაცია და უარყოფა). ამასთანავე, თვითრეგულირების მექანიზმების გამოყენება იძლევა გაერთიანების და ერთობლივი ორგანიზაციულ-ტექნიკური მოქმედებებით სპამერებთან ბრძოლის ეფექტურობის ამაღლების შესაძლებლობას.

გაცნობიერებული აქვთ რა სპამის საშიშროება, მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა მიიღეს კანონები წინასწარ მოუთხოვნელი კომერციული და არაკომერციული შინაარსის გზავნილების შეზღუდვის ან აკრძალვის შესახებ.

გასაკვირი არ არის, რომ ინფორმაციის სფეროში საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირების ლიდერი არის ამერიკის შეერთებული შტატები. ამ სახელმწიფოს ცალკეულ შტატებში 1998 წლიდან მიღებულ იქნა სპეციალური ნორმები, ხოლო ფედერალურ დონეზე მთელი რიგი ფედერალური კანონები.

გზავნილების რეგულირების სფეროში აშშ-ში უფრო მეტი ყურადღება ექცევა UCE-ს (Unsolicited Commercial E-mail – მოუთხოვნელი კომერციული ელექტრონული ფოსტა, იურიდიულ ტერმინოლოგიაში - სპამის უფრო კორექტული სახელწოდება); პროვაიდერებს

ჩვეულებრივად აქვთ იმუნიტეტი თავიანთი მომხმარებლების მოქმედებასთან დაკავშირებით, ხოლო კანონის ნორმების დარღვევის შემთხვევაში, მათ მიმართ შეიძლება დადგეს სამოქალაქო პასუხისმგებლობა.

ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში მიღებული იქნა UCE-სთან დაკავშირებული კანონები. მაგალითად, ნორვეგიაში აკრძალულია ელექტრონული ფოსტით სარგებლობა ინფორმაციის მიმღების წინასწარი თანხმობის გარეშე. ფინეთში 1999 წლიდან მოქმედებს კანონი, რომლის თანახმად ინფორმაციის გავზავნა ნებადართულია მხოლოდ ფიზიკური პირის მიერ მასზე წინასწარი ხელმოწერის შემდეგ. დანიაში 2000 წლიდან დაწესდა, რომ სარეკლამო-საფოსტო გზავნილებისათვის აუცილებელია მიმღების თანხმობა. იტალიაში იმავე ქმედებისათვის 1999 წლის მაისიდან სანქციის სახით დადგენილია ზარალის ანაზღაურება 500 ევროდან 5000 ევრომდე თანხის ფარგლებში. ანალოგიური სიტუაციაა ევროპის სხვა ქვეყნებში.¹

ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი უნდა იქნეს ეფექტური ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობენ არასასურველი ელექტრონული კორესპონდენციების აღკვეთას. განმარტავს რა სპამს როგორც არასასურველ ელექტრონულ გზავნილს, რომელიც ადრესატის სურვილის საწინააღმდეგოდ ხვდება მის საფოსტო ყუთში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებულ რეგლამენტში „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ გათვალისწინებულია, რომ მომსახურების მიწოდებელი ლეზულობს ყველა ზომას მომხმარებლისათვის არასასურველი ელექტრონული კორესპონდენციის მიწოდების აღსაკვეთად და უზრუნველყოფს საკონტაქტო ზაზის არსებობას. ასეთი ზაზი უნდა დაეხმაროს მომხმარებელს არასასურველი ელექტრონული კორესპონდენციის შესახებ ინფორმაციისა და პრევენციული ღონისძიებების მიღებაში. ეს ზოგადი დანაწესი არ ამოწურავს იმ საკითხების რეგლამენტაციას, რაც დაკავშირებულია სპამთან როგორც

1. David BainBridge. Introduction To Computer Law. Fifth Edition. Dorset Press. GB. 2004 p.

ისეთ ინფორმაციასთან, რომელიც გამოიყენება არაკეთილსინდისიერი ან უკანონო მიზნით.

ინტერნეტის ქსელის უნიკალობა ვლინდება სისტემაში, რომელიც დომენით (დომინირებული სახელებით) სარგებლობაში გამოიხატება. ამ სისტემის მეშვეობით მომხმარებლებს აქვთ შესაძლებლობა მიმართონ არსებულ ინფორმაციულ რესურსებს და სისტემის კომპონენტებს – ისარგებლონ შესაბამისი დომინირებული სახელების მისამართებით. თანამედროვე მომენტისათვის, პრაქტიკულად, ყველა სოლიდურ ორგანიზაციას აქვს ან მიისწრაფვის ჰქონდეს ინტერნეტ-ქსელში თავისი საიტი დომენის სახელით. დომენი შეიცავს სხვადასხვა ნაწილებს, რომელთაც ეწოდება დომენები – domain3, domain2, domain1 და რომელთა მნიშვნელობა შედგება ლათინური ალფაბეტის ასოებისაგან, ციფრებისა და სიმბოლოებისაგან „-“ (დეფისი). მთავარ, უფრო პრიორიტეტულ დომენად ითვლება პირველი დონის დომენი. დომენების რაოდენობა (მისი „სიგრძე“) დამოკიდებულია ინფორმაციული რესურსის ან სისტემის მფლობელის ნებასა და ტექნიკურ შესაძლებლობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ადრესაციის სისტემა დომენის სახელების დახმარებით წარმოადგენს მეორეხარისხოვანს ე.წ. ციფრულ IP-მისამართთან შედარებით (a.d.c.d, სადაც a,b,c,d, - რიცხვებია 0-დან 255-მდე), რომელიც ემსახურება ინტერნეტის ქსელის კომპონენტების ფუნქციონირების ინდივიდუალიზაციას. დომენური სახელების სისტემა ორგანიზებულია იმისათვის, რომ მომხმარებლებს ინტერნეტის ქსელში შეეძლოთ ისარგებლონ მისამართებით არა რიცხვების თანმიმდევრობით, არამედ განსაზღვრული აზრობრივი მნიშვნელობის და განსაზღვრული წესით დალაგებული სახელების იერარქიით. დომენური სახელების სისტემა ტექნიკურად გამაგრებულია ე.წ. DNS-სერვერებით (DNS – Domain Name System), რომლებიც მოცემული დომენური სახელების სპეციალური ბაზის საშუალებით ავტომატურად გარდაქმნის დომენურ მისამართებს ციფრობრივ IP-სისტემად, რომელიც თავის მხრივ გამაგრებულია ინფორმაციული რესურსებით.

გარდა ამისა, დომენური სისტემა ორგანიზებულია იმ სახით,

რომ უზრუნველყოს არა მხოლოდ ინფორმაციულ სივრცეში კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირება, არამედ გათვალისწინებულია მსოფლიოს გეოპოლიტიკური დაყოფაც. მის ფარგლებში არსებობს პირველი დონის დომენების ორი სახე: გვარობითი (gTLD, generic Top-Level Domain) და ნაციონალური (ccTLD, country code Top-Level Domain). პირველი მათგანი ამჟამად ათამდეა. პირველი დონის დომენი COM მიეკუთვნება კომერციულ ორგანიზაციებს, დომენი ORG – არაკომერციულ ორგანიზაციებს, ხოლო დომენი NET – ქსელის პროვაიდერებს და მფლობელებს.

პირველი დონის ნაციონალური დომენები არის ორბგერიანი და ეწოდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ISO (International Organization for Standardization), რომლის მიხედვით მსოფლიოს ყველა ქვეყანას მიწერილი აქვს ლათინური ალფაბეტის ორი ასო-ბგერისაგან შემდგარი განსაზღვრული კოდი. მაგალითად, გერმანიას აქვს კოდი – DE, საფრანგეთს – FR, უკრაინას – UA, საქართველოს – GE და ა.შ.

ამრიგად, დომენური სახელების არსებული იერარქიის ფარგლებში ყველა პირს შეუძლია აირჩიოს (დაარეგისტროს) თავისთვის დაუკავებელი დომენური სახელი (გვარონული დომენის იერარქიის ფარგლებში) ან რომელიმე სახელი ნაციონალურ ზონაში.

რეგისტრაციის დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი დომენური სახელის შერჩევას, რომელიც კარგად დაახასიათებს ინფორმაციულ რესურსს ან მისი მფლობელის საქმიანობას. ამასთანავე, სახელის არჩევა არ არის ტრივიალური (გაცვეთილი, უფერული), რამდენადაც ამჟამად ინტერნეტში დარეგისტრირებულია დომენის უზარმაზარი რიცხვი. მაგალითად, NetNames International Ltd.-ს მონაცემებით 2001 წლის თებერვალში რეგისტრირებული იყო 36 149 297 დომენური სახელი, მათ შორის COM ზონაში – 22 263 512, NET ზონაში – 3 857 319, ხოლო ORG ზონაში კი – 2 430 243.¹

უნდა აღინიშნოს, რომ დომენური სახელების სისტემა მუდმივად ვითარდება. იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ანალიზისათვის,

1. <http://domainstats.com>

რომლებიც დაკავშირებულნი არიან დომენურ სახელებთან მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დომენური სახელების არსებულ სისტემას აქვს შემდეგი თავისებურებანი:

- იგი ერთიანია ინტერნეტის მთელი ქსელისათვის და იერარქიულია;
- იგი ფაკულტატურია და პირებს აძლევს შესაძლებლობას დამოუკიდებლად აირჩიოს და დაარეგისტრიროს დომენით დაუკავებელი სახელწოდება;
- დარეგისტრირებული დომენებისათვის უზრუნველყოფილია მათი უნიკალობა ინტერნეტში ყველა სამისამართო სივრცეზე;
- ეკონომიკურად სისტემა აგებულია ანაზღაურების პრინციპზე.

აღნიშნული თავისებურებების და არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ დომენური სახელი არსებითად არის ინდივიდუალიზაციის საშუალება, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მომხმარებელსა და მოსარგებლეს მარტივად და ეფექტურად მოიძიოს მისთვის ცნობილ სამეურნეო ბრუნვაში არსებული სახელწოდებანი.

ამ საზოგადოებრივ ურთიერთობაში მონაწილეობენ დომენის მომავალი მფლობელი და რეგისტრატორი – უფლებამოსილი ორგანიზაცია, რომელსაც უფლება აქვს შეიტანოს ჩანაწერი დომენური სახელების მონაცემთა ბაზაში. ასევე შესაძლებელია რეგისტრაციის პროცესში შეამავლის მონაწილეობა – იმ პირისა, რომელიც არის ინტერნეტის ქსელში მომსახურებაზე სპეციალიზებული. გარდა ამისა, დომენური სახელებით სარგებლობის პროცესში მონაწილეობენ ინტერნეტ-ქსელის პროვაიდერები – ორგანიზაციები, რომლებიც ტექნიკური სახის მომსახურებას გაუწევენ დომენის მფლობელის ინფორმაციულ რესურსებს.

მას შემდეგ, რაც არჩეული იქნება სახელი და მოხდება შესაბამისი მომსახურების ანაზღაურების რეგისტრაცია, რეგისტრატორს შეაქვს ინფორმაცია დომენის მფლობელობის შესახებ და ტექნიკური ცნობები DNS-სერვერ-პროვაიდერზე, რომლის დახმარებითაც ფუნქციონირებს ინფორმაციული რესურსი მოცემული დომენური სახელების ბაზაში.

ამ ბაზაში ახალი ჩანაწერის რეგისტრაციის შემდეგ, საკმაოდ შეზღუდულ დროში (რამდენიმე საათში ან რამდენიმე დღეში) ინფორმაციული რესურსების მისამართით არჩეული დომენური სახელი მისაწვდომი ხდება ქსელის მომხმარებლისათვის. დიდი მნიშვნელობა აქვს რეგისტრატორის როლს, რომელიც მართალია არ ირჩევს შესაბამის სახელს, მაგრამ თავისი განსაკუთრებული სტატუსის ძალით შეუძლია ორგანიზაციულ-ტექნიკური კონტროლი გაუწიოს დომენური სახელების რეგისტრაციასა და გამოყენებას. მხოლოდ რეგისტრატორის მოქმედებაზე არის დამოკიდებული დომენური სახელის და მისი მფლობელის შესახებ როგორი ინფორმაცია გვერცელდება DNS-სერვერით.

დომენური სახელის რეგისტრაციის შემდეგ შესაძლებელია მათი სარგებლობის რამდენიმე ვარიანტი:

- ვინ ითვლება დომენური სახელის მფლობელად?*
 - იურიდიული პირი.
 - ფიზიკური პირი.
- გამოიყენება თუ არა დომენური სახელი?*
 - არა. ეს აღნიშნავს იმას, რომ დომენი რეგისტრირებულია, მაგრამ არ არის დელეგირებული და არ გამოიყენება რომელიმე ინფორმაციული რესურსის მიმართვისათვის.
- როგორ გამოიყენება დომენური სახელი?*
 - გამოიყენება ელექტრონული ფოსტის მომსახურებისათვის;
 - დომენური სახელი წარმოადგენს ღია და მისაწვდომი ინფორმაციული რესურსის მისამართს;
 - დომენური სახელი გამოიყენება იმ გვერდების მიმართვისათვის, რომელიც შეიცავს რაიმე არსებით ინფორმაციას (მაგ; გვერდს წარწერით „Under Construction“);
 - დომენური სახელი წარმოადგენს შეზღუდული ხასიათის ინფორმაციის მისამართს.

- შეიცავს თუ არა რეკლამური ინფორმაციის რესურსს, ემსახურება თუ არა მფლობელის კომერციული საქმიანობისათვის ხელშეწყობას?
 - დიახ. უპირველეს ყოვლისა, ასეთი ინფორმაცია შეიძლება ეხებოდეს დომენის მფლობელის კომერციული საქმიანობის აღწერას, შეიცავდეს ცნობებს შესათავაზებელი საქონლის ან მომსახურების შესახებ.

- აქვს თუ არა მფლობელს დამატებითი საფუძველი დომენური სახელის გამოყენებისათვის?
 - დიახ. შეიძლება მრავალი ასეთი ვარიანტი იყოს.
 - არა.

- დომენური სახელის მფლობელი დათანხმდება თუ არა მის გაყიდვას?
 - დიახ.
 - არა.

დომენი არის ინტერნეტის ქსელის სფერო, რომელიც ადმინისტრირებულია ცენტრალიზებულად ქსელის სტანდარტების შესაბამისად. დომენს მიეკუთვნება დომენური სახელები, რომელიც წარმოადგენს სიტყვიერ აღნიშვნას ლათინური ტრანსკრიფციით.

შესაძლებელია დომენის ჩარჩოებში სხვადასხვა სახის დარღვევებს ჰქონდეს ადგილი. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა:

- დომენი (დომენური სახელი) არის სამართლის განსაკუთრებული ობიექტი, რომლის გამოყენება ტექნიკურად უზრუნველყოფილია DNS-სერვერის სისტემის ჩარჩოებში. იგი ასრულებს ინტერნეტ-ქსელში ინფორმაციული რესურსების ინდივიდუალიზაციას და გამოირჩევა მაღალი ბრუნვის უნარიანობით.
- დომენური სახელების დაცვის პოზიცია სუსტია, იმის გამო, რომ არ არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა. იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლო სისტემა ორგანიზაციულ-ფსიქოლო-

გიურად არ არის მზად გადაჭრას დილემა - „დომენური სახელი ინდივიდუალიზაციის საშუალებაა“, ხშირია და უფრო ხშირი იქნება ამ უფლების დარღვევა, ვიდრე დომენური სახელების მფლობელის უფლებებისა.¹

ამრიგად, ინტერნეტ ქსელში დომენური სახელების სფერო აუცილებლობით მოითხოვს საკანონმდებლო რეგლამენტაციას, რაც უზრუნველყოფს ბევრი ბუნდოვანი საკითხის გარკვევას და სათანადოდ მოწესრიგებას. ამ მიმართებით ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტი² რამდენადმე ავსებს კანონმდებლობის ხარვეზს, მიუთითებს, რომ ინტერნეტ-გვერდის დომენი არ უნდა იყოს დამაბნეველი და არ უნდა ემსახურობდეს სხვა ინტერნეტ-გვერდის გადაფარვას, უნდა შეესაბამებოდეს მის შინაარსს. ინტერნეტ-დომენის გამცემი პერიოდულად ამოწმებს მის მიერ არარეგისტრირებულ ინტერნეტ-გვერდების შინაარსს იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილოს ინტერნეტ-გვერდზე დაუშვებელი პროდუქციის განთავსება. ასეთის შემთხვევაში, დომენის გამცემმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები მათ აღმოსაფხვრელად:

- გააფრთხილოს დომენის მფლობელი და განუსაზღვროს ვადა დაშვებული პროდუქციის ამოღებისათვის;
- გაფრთხილების უგულებელყოფის შემთხვევაში მოახდინოს ინტერნეტ-გვერდის დაბლოკვა.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, „კომპიუტერული ინფორმაციის სამართლებრივი ასპექტების კვლევა სულ უფრო პრობლემური ხდება, რადგან მან ინფორმაციული ურთიერთობების ორგანიზაციის სფეროში ხარისხობრივად ახალი ეტაპი დაიწყო. კომპიუტერული ინფორმაცია ინფორმაციისათვის დამახასიათებელ ყველა ნიშანს შეიცავს, მაგრამ თავისებურებანიც გააჩნია“.³

1. www.russianlaw.net/law/books/book_law_net.htm

2. დამტკიცებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ 2006 წლის 17 მარტს.

3. მ. ცაცანაშვილი, ინფორმაციული საზოგადოება და ინფორმაციის სამართლებრივი რეგულირება, თბ. 1999წ. გვ. 47.

ინტერნეტი არა მარტო კომუნიკაციის საშუალებაა, არამედ საგანმომცემლო და სამაუწყებლო ბაზაცაა, რომელიც უკვე წარმოადგენს კომერციულად მიმზიდველ ალტერნატივას, ვიდრე ბეჭდვისა და მაუწყებლობის სფეროში ტრადიციული ტექნოლოგიები.

ძირითადი პრობლემა, რომელიც დგას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის წინაშე, მდგომარეობს იმაში, როგორ უნდა გაფართოვდეს მასობრივი ინფორმაციის ყველა კომუნიკაციური ტექნოლოგიის მოქმედების სფერო. ამ პრობლემის წარმატებით გადაჭრა შესაძლებელია ინტერნეტის საქმიანობის სფეროს გაფართოებით. ინტერნეტის მისაწვდომობა უზრუნველყოფილია პროვაიდერებთან იაფი და მსუბუქი შეერთებით. ამასთანავე ქსელში პროვაიდერების ჩართვისათვის არსებობს ძალიან დაბალი ეკონომიკური წინააღმდეგობა. პროვაიდერი – თავისი არსით არის მცირე საწარმო. ამიტომ საუკეთესო სტრატეგიის დროს არ არის საჭირო გადახდილი იქნეს სატელეფონო ქსელის გამოყენების საფასური. საჭირო არ არის ინტერნეტთან შეერთების ლიცენზირება, ამავე დროს, უზრუნველყოფილია საერთაშორისო კავშირის დამყარება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე პროვაიდერებთან მიმართებაში.

ინტერნეტის სამართლებრივი რეგულირება, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს ეროვნულ დონეზე, ინფორმაციული კანონმდებლობის ნორმებით. შეიძლება გამოყოფილ იქნეს ამ კანონმდებლობის ძირითადი მიმართულებანი, რომლებსაც უფრო მჭიდრო კავშირი აქვს ინტერნეტის სფეროში წარმოშობილ ურთიერთობებთან და ტრანსფორმირებულ იქნეს ვირტუალურ სივრცეში. ეს მიმართულებებია:

- კანონმდებლობა ინფორმაციის მოძიებისა და მოხმარების უფლების განხორციელების შესახებ (ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება);
- კანონმდებლობა ინფორმაციის შეზღუდული ხელმისაწვდომობის შესახებ;
- კანონმდებლობა ინტელექტუალური საკუთრების შესახებ; (კანონმდებლობა საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, საპატენტო კანონმდებლობა, კანონმდებლობა ნოუ-ჰაუს შესახებ);

- კანონმდებლობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ;
- კანონმდებლობა დოკუმენტური ინფორმაციისა და ინფორმაციული რესურსების შესახებ;
- კანონმდებლობა ინფორმაციული სისტემების, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მათი უზრუნველყოფის საშუალებების შექმნისა და გამოყენების შესახებ;
- კანონმდებლობა ინფორმაციულ სფეროში სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

გარდა ამისა, ინტერნეტის „ინტერნაციონალური“ ბუნება განაპირობებს მისი საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირების აუცილებლობას საერთაშორისო დონეზე. ამჟამად აქტიური მუშაობა მიმდინარეობს საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მომზადებისა და მიღებისათვის, რამდენადაც სწორედ ამ დონეზე უნდა დარეგულირდეს ძირითადი ჯგუფი ურთიერთობებისა ინტერნეტის ვირტუალურ სივრცეში, რომელსაც არ აქვს გეოგრაფიული საზღვრები.

ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების მწვერვალს საერთაშორისო დონეზე წარმოადგენს ოკინავაში მიღებული ქარტია გლობალური ინფორმაციული საზოგადოების შესახებ, რომელშიც დადგენილია საზოგადოების ერთიან ინფრასტრუქტურებში შესვლის ძირითადი პრინციპები, რომლის ბაზასაც წარმოადგენს ინტერნეტი.

ინტერნეტი, თავისი არსით, უფრო დემოკრატიულია, ვიდრე ტექნოლოგიის ძველი ფორმები, რამდენადაც მისი მეშვეობით შესაძლებელია კონტაქტის დამყარება მსოფლიო თანამეგობრობასთან. ამიტომ ინტერნეტი თავისუფალი საზოგადოების აშენების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

თავი 5. რეკლამის სამართლებრივი რეგულირება

რეკლამა მიჩნეულია თავისუფალი სიტყვის ერთ-ერთ ფორმად, მასობრივი ინფორმაციის გავრცელების ეფექტურ საშუალებად. ამიტომ რეკლამა უნდა სარგებლობდეს ისეთივე დაცვით, როგორც ინფორმაცი-

ის სხვა ფორმები და უნდა გააჩნდეს დაცვის ძირითადი გარანტიები. თუმცა მისი სამართლებრივი დაცვის ხარისხი არცთუ ისე დიდია, როგორც თავისუფალი სიტყვის სხვა ფორმებისა. ეს კი განპირობებულია რეკლამის თავისებურებით.

რეკლამა მასმედიისთვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შანსი მხოლოდ იმ გამომცემელსა და მაუწყებელს აქვს, რომელსაც სარეკლამო შემოსავლებით არსებობა შეუძლია. შესაბამისად, რეკლამის სფეროში რაიმე შეზღუდვის არსებობა უშუალოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე აისახება და ზეგავლენას ახდენს სიტყვის თავისუფლებაზე.

როგორც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში რეკლამა და მის საფუძველზე წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობანი ჩვენთანაც რეგულირებულია მოქმედი კანონმდებლობით. საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“ მიღებულია 1998 წლის 18 თებერვალს. იგი არეგულირებს საქართველოს საფინანსო და სასაქონლო ბაზრებზე რეკლამის წარმოების, განთავსებისა და გავრცელების დროს წარმოშობილ ურთიერთობებს. კანონის მიზანია რეკლამის სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, საზოგადოებრივი ინტერესების, რეკლამის სუბიექტებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, არასათანადო რეკლამის თავიდან აცილება და აღკვეთა.

რეკლამად ითვლება საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას. აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას.

კანონი რეკლამის შესახებ კრძალავს არასათანადო რეკლამის გავრცელებას. არასათანადო რეკლამაში იგულისხმება: არაკეთილსინდისიერი, არაეთიკური არასარწმუნო და აშკარად ყალბი რეკლამა. ასევე აკრძალულია ისეთი რეკლამის გავრცელება, რომელიც შეიცავს

კონკურენტი საწარმოს საქონელთან ან მომსახურებასთან არაკორექტულ შედარებას; ახდენს სხვა პირების დისკრედიტაციას, შეცდომაში შეყავს მომხმარებელი ან შეურაცხყოფელი სიტყვების და შედარებების გამოყენებით არღვევს საყოველთაო ზნეობის ნორმებს.

არ შეიძლება ისეთი საქონლის რეკლამირება (მაგ. რეაქტიული ნივთიერებების), რომლის წარმოება და რეალიზაცია აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით ან საჭიროებს სპეციალურ ნებართვას ან ლიცენზიას, მაგრამ ასეთი ნებართვა ან ლიცენზია მიღებული არა აქვს.

აკრძალულია რეკლამაში ფიზიკური პირის გამოსახულების ან სახელის გამოყენება. თავად ამ პირის ნებართვის გარეშე. უაღრესად მნიშვნელოვანია კანონის დანაწესი იმის შესახებ, რომ რეკლამა არ უნდა უბიძგებდეს მოქალაქეებს ძალადობის, აგრესიის ან ქაოსისაკენ, არ უნდა მოუწოდებდეს მათ საშიში ქმედებისაკენ, რომელთაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ ადამიანის ჯანმრთელობას ან დაემუქრონ მათ უსაფრთხოებას.

თუ მედია საშუალებებში ერთდროულად ხდება მომხმარებლის ყურადღების გამახვილება საქონლის ნიშანზე, მის მწარმოებელზე ან გამყიდველზე, მაუწყებელი ვალდებულია, რომ მაყურებელს, (მსმენელს, მკითხველს) აცნობოს რომ საქმე რეკლამასთან აქვს. სარეკლამო ტიხარი არ უნდა განთავსდეს საბავშვო ან რელიგიურ გადაცემებში, პრეზიდენტის გამოსვლის, პარლამენტის პლენარული სხდომების, ოფიციალური და სახელმწიფო ღონისძიებების ტრანსლაციის დროს, აგრეთვე იმ გადაცემებში რომელთა ხანგრძლივობა 15 წუთზე ნაკლებია. მაგალითად, კანონი მოითხოვს, რომ 15-დან 30 წუთამდე გადაცემებში დასაშვებია არაუმეტეს ერთი სარეკლამო ტიხარისა. 30-დან 45 წუთამდე გადაცემებში - არაუმეტეს ორისა, ხოლო 45 წუთიდან ერთ საათამდე გადაცემებში არაუმეტეს სამისა. საგანმანათლებლო გადაცემებში სარეკლამო ტიხარი დასაშვებია არაუმეტეს 15 წუთში ერთხელ და არაუმეტეს 45 წამისა.

კანონი ითვალისწინებს გადაცემის მსვლელობის დროს რეკლამის გაშვების შესაძლებლობას. რეკლამის ამ ფორმათა შორის ყველაზე

გავრცელებულია ე. წ. „მოდრავი სტრიქონი“. ასეთ შემთხვევაში კანონი მოითხოვს, რომ დაფარვის სახის რეკლამირებისას, მათ შორის მოძრავი სტრიქონის გამოყენების დროს, რეკლამის ზომა არ უნდა აღემატებოდეს კადრის ფართის 7%-ს. რადიო და ტელეგადაცემებში ასეთი რეკლამა დღე-ღამის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15%-ს, ხოლო ყოველი ერთი საათი საეთერო დროის განმავლობაში – 20%-ს, გარდა სოციალური რეკლამისა და სპეციალიზებული სარეკლამო რადიო და ტელეგადაცემებისა, რომლებიც რეგისტრირებულია, როგორც სარეკლამო გადაცემა. ამრიგად, კანონით შეზღუდულია რეკლამის გაშვების სიხშირე ერთი გადაცემის განმავლობაში. ეს შეზღუდვა საკმაოდ დაუსაბუთებელია, მაგრამ მინც არსებობს.

საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“ ითვალისწინებს სხვადასხვა სახის რეკლამის განთავსების შესაძლებლობას. კერძოდ, დასაშვებია: სოციალური რეკლამა, ალკოპოლიანი სასმელების და თამბაქოს ნაწარმის რეკლამა, სექსუალური ხასიათის პროდუქციის რეკლამა, სამედიცინო ნაწარმის (მომსახურების) რეკლამა, ჩვილ ბავშვთა ხელოვნური კვების რეკლამა, იარაღის რეკლამა, ფასიანი ქაღალდების რეკლამა, სოციალური რეკლამა.

ზოგიერთი სახის რეკლამა შეიძლება შეიზღუდოს კანონით და მხოლოდ იმ ზომით, რაც აუცილებელია ქვეყნის კონსტიტუციური წყობის, სახელმწიფო თავდაცვისა და უშიშროების, მოქალაქეთა ჯანმრთელობის, კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად. კანონი არ ვრცელდება პოლიტიკურ რეკლამაზე და ფიზიკურ პირთა იმ განცხადებებზე, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული სამეწარმეო საქმიანობასთან.

კანონი ითვალისწინებს რეკლამის სფეროში კონტროლის განხორციელების სამართლებრივ მექანიზმს. კონტროლის დაცვას კისრულობს სახელმწიფო, როგორც მოქალაქეთა უფლებების გარანტი, კერძოდ, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური. ანტიმონოპოლიური სამსახური უფლებამოსილია განახორციელოს გამაფრთხილებელი ღონისძიებანი და აღკვეთოს არასათანადო რეკლამა, გაუგზავნოს

დამრღვევს მიწერილობა კანონის ნორმების დარღვევის შეწყვეტის მოთხოვნით, რეკლამის დამრღვევს დაეკისროს ადმინისტრაციული სახდელი, მოსთხოვოს კონტრ-რეკლამის გავრცელება. სამართალ-დარღვევის შემთხვევაში ანტიმონოპოლიური სამსახური უფლებამოსილია მიმართოს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით.

რეკლამის განთავსების საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობებში მონაწილეობენ: რეკლამის დამკვეთი, ე.ი. ვინც რეკლამას უკვეთავს, რეკლამამწარმოებელი, ე.ი. ვინც რეკლამას აძლევს ფორმას და რეკლამის გამავრცელებელი. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს როგორც სარეკლამო სააგენტო, ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი. თითოეულ მათგანს გააჩნია პასუხისმგებლობის თავისი სფერო.

რეკლამის დამკვეთი პასუხს აგებს რეკლამის შესაქმნელად წარდგენილი ინფორმაციის შინაარსზე, თუ არ დამტკიცდა, რომ ეს დარღვევა რეკლამის მწარმოებლის ან გამავრცელებლის მიზეზით მოხდა.

რეკლამის მწარმოებელი პასუხს აგებს რეკლამის წარმოებაზე, გაფორმებასა და მომზადებაზე.

რეკლამის გამავრცელებელი - მასობრივი ინფორმაციის საშუალება პასუხს აგებს კანონმდებლობის დარღვევაზე იმ ნაწილში, რაც შეეხება რეკლამის გავრცელების დროს, ადგილს და საშუალებას.

რეკლამის დამკვეთი, მწარმოებელი და გამავრცელებელი ვალდებულია შეინახოს სარეკლამო მასალებთან მათი ასლები, აღნიშნულ მასალებში შემდგომში შეტანილი ყველა ცვლილების ჩათვლით. შენახვის ვადა რეკლამის უკანასკნელად გავრცელების დღიდან ათვლელა და ორ თვეს გასტანს. თუ ამ პერიოდის განმავლობაში სარეკლამო მასალა სადაო გახდა, საჭიროა მისი შენახვა დავის გადაწყვეტამდე.

კანონი რეკლამის დამკვეთს, მწარმოებელსა და გამავრცელებელს ავალდებულებს ითანამშრომლოს ამ სფეროს მაკონტროლებელ ორგანოსთან-ანტიმონოპოლიურ სამსახურთან და წარუდგინოს მას ინფორმაცია, რაც კონტროლის განსახორციელებლად აუცილებელი. ამ შემთხვევებზე ვრცელდება სამეწარმეო საქმიანობის შესახებ კანონის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც მეწარმის (მათ შორის მასობრივი

ინფორმაციის საშუალებების) შესამოწმებლად აუცილებელია მოსამართლის ნებართვა-ბრძანება. თუ მაკონტროლებელი ორგანო ამ ბრძანებას არ წარმოადგენს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებას უფლება აქვს უარი განაცხადოს შესაბამისი ინფორმაციის წარდგენაზე.

რეკლამის სუბიექტებს კანონი აძლევს სასარჩელო დაცვის უფლებას. თუ პირი ჩათვლის, რომ გავრცელებული არასათანადო რეკლამით შეილახა მისი პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია მას უფლება აქვს სარჩელით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს გავრცელებული არასათანადო რეკლამის უარყოფა და მიყენებული ზიანის კომპენსაცია.

რეკლამის გამავრცელებელს შეიძლება დაეკისროს ადმინისტრაციული სახდელი კანონის დარღვევისათვის (ფიზიკურ პირს ჯარიმა 250-500 ლარამდე იურიდიულ პირს 500-დან 1500 ლარამდე).

პასუხისმგებლობის დაკისრებასთან ერთად დამრღვევი ვალდებულია აღკვეთოს სამართალდარღვევა. არსებობს პასუხისმგებლობის ისეთი ფორმა როგორცაა კონტრეკლამა. იგი გულისხმობს არასათანადო რეკლამის უარყოფას. თუ რეკლამის დამკვეთი, მწარმოებელი ან გამავრცელებელი აღიარებს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტს, მას შეიძლება გავრცელებული არასათანადო რეკლამის უარყოფა ან კონტრეკლამის გავრცელება დაევალოს. კონტრეკლამა უნდა განთავსდეს ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში და ხარჯები მთლიანად ანაზღაუროს დამრღვევმა. ანტიმონოპოლიურ სამსახურს უფლება აქვს შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება დამრღვევის რეკლამის სრულად ან ნაწილობრივ შეჩერების თაობაზე.

კანონმდებლობა ითვალისწინებს რეკლამის ცენზურას, რამდენადაც მასზე კონტროლი ხორციელდება არა მისი მომზადების მომენტიდან, არამედ მისი გავრცელების შემდეგ.

ნაწილი IV

სამართლებრივი ღაცვის
მექანიზმი
მედიის სფეროში

„მხოლოდ ყველაზე მაღალ იდეალებს, ყველაზე კეთილსინდისიერ ზრახვას – მოიტკეცს სამართლიანად, იმ პრობლემების ყველაზე ზუსტ ცოდნას, რომლის წინაშეც მას მოუწევს დადგომა და პასუხისმგებლობის გაძლიერებულ გრძნობას ძალუძს გადაარჩინოს უურნალისტიკა მდიდარი კლასის მონობისაგან, რომელიც მისდევს ეგოისტურ მიზნებს და ეწინააღმდეგება საზოგადოების კეთილდღეობას.“

გ. პულიცერი

თავი 1. ჟურნალისტიკის სამართლებრივი სტატუსი

ჟურნალისტიკა მასობრივი ინფორმაციის მთავარი სუბიექტია. მისი სამართლებრივი სტატუსი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სტატუსითაა განსაზღვრული. თუ მასმედიის მუშაობაში ძირითადია აუდიტორიისათვის ყველაზე ახალი, ობიექტური და სრული ინფორმაციის მიწოდება, ჟურნალისტიკისათვის აუცილებელია – მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. სწორედ ეს ძირითადი უფლება ფიგურირებს ჟურნალისტიკის სამართლებრივ სტატუსსა და პროფესიულ საქმიანობაში.

ჟურნალისტიკის უფლება-მოვალეობათა სრულყოფილი რეგლამენტაცია დროის მოთხოვნაა, თუმცა როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, მასმედიის შესახებ კანონმდებლობაში განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებშიც არ არის სპეციალური იურიდიული ნორმები, რომლებიც სათანადოდ განამტკიცებენ ჟურნალისტიკის განსაკუთრებულ უფლებებს და სოციალურ როლს.¹

ანალოგიური სურათია ჩვენს ქვეყანაშიც. ძირითადი ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავდა ჟურნალისტიკის სტატუსის სამართლებრივ კონსტრუქციას, იყო საქართველოს 1991 წლის 10 აგვისტოს კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების

1. Федотов М. А. Право массовой информации в Российской Федерации. М. 2002г. ст.45.

შესახებ.“ იგი ძალადაკარგულად ცნო „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონმა.

2003 წლის 14-15 მაისს საქართველოში ევროსაბჭოს ეგიდით მოეწყო სემინარი თემაზე „მედიის თვითრეგულირების მექანიზმის ჩამოყალიბება საქართველოში“. სემინარზე ქართული მასმედიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლის სახელწოდებაა „მედიის პროფესიული სტანდარტი“.¹ ჟურნალისტური ეთიკის პრინციპებზე მუშაობა საქართველოში დიდი ხნის მანძილზე მიმდინარეობდა.

ევროპის საბჭოს ექსპერტი მარიო ო'თქეიმერი მიიჩნევს, რომ მედიის თვითრეგულირების ისეთი მექანიზმების ამოქმედება, როგორცაა პრესის საბჭოები, საგრძნობლად განტვირთავს სასამართლოებს მედიასთან დაკავშირებული დავებისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ თვითრეგულირების მექანიზმები ნებაყოფლობითი ხასიათისაა და ჟურნალისტთა კეთილ ნებას ეფუძნება, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამ გზით ნებისმიერი საკამათო საკითხის, ასევე მკითხველთა საჩივრების განხილვა და რეგულირება გაცილებით ნაკლებ დროსა და მატერიალურ რესურსს საჭიროებს.

„მედიის პროფესიული სტანდარტი“, იგივე მედიის ეთიკური კოდექსი, რა თქმა უნდა არ არის სავალდებულო ძალის დოკუმენტი და იგი რეგულირების გარეშე ტოვებს მთელ რიგ საკითხებს, რაც დაკავშირებულია ჟურნალისტურ საქმიანობასთან. აღნიშნული დოკუმენტი მოცულობით მცირეა და სრულად არ მოიცავს ჟურნალისტური საქმიანობის დახასიათებას. არ განსაზღვრავს ვინ არის ჟურნალისტი, მითითებულია მხოლოდ ჟურნალისტის მოვალეობაზე – საზოგადოებას მიაწოდოს ამომწურავი, მიუკერძოებელი და უტყუარი ინფორმაცია, რომ იგი მოვალეა, საზოგადოების წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას დაიცვას პროფესიული სტანდარტით დადგენილი წესები.

1. მიუკანია, რომ უფრო სწორი იქნებოდა აღნიშნული დოკუმენტის სახელწოდება ყოფილიყო „ჟურნალისტის პროფესიული სტანდარტი“. ვინაიდან პროფესიული სტანდარტი შეიძლება აქონდეს მხოლოდ ჟურნალისტებს, რომლებიც მედიაში მუშაობენ.

ზოგიერთ ცივილიზებულ ქვეყანაში ჟურნალისტთა სტატუსი განსაზღვრულია სწორედ ასეთი სტანდარტებითა და ქცევის კოდექსებით. მსოფლიო ინტელექტუალური თანამეგობრობისათვის ნათელია, რომ ჟურნალისტური საქმიანობის პრინციპები და დეონტოლოგიური ნორმები უნდა გამოძღინარებოდეს მხოლოდ ჟურნალისტებისაგან. პროფესიულად სწორი მეთოდები წარმოადგენს ჟურნალისტური საქმიანობის ეფექტურ გარანტიას. მაგრამ როგორია პროფესიულად სწორი მეთოდები? შეიძლება თუ არა, ეთიკის კოდექსებმა უზრუნველყოს ჟურნალისტური საქმიანობის ესოდენ მნიშვნელოვანი და თავისებური სფეროს რეგულირება? რა თქმა უნდა, მოწინავე დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება მიზანშეწონილი და სასარგებლოა, მაგრამ არამიზანშეწონილად მიგვაჩნია სხვა ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილების შაბლონური გადმონერგვა ჩვენს ქვეყანაში.

გასაგებია, რომ ცივილიზებულ ქვეყნებში, სადაც დემოკრატიული ინსტიტუტები მყარია, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება თითქმის დამთავრებულია და კანონმდებლობა დახვეწილი, საკმარისია ჟურნალისტის პროფესიული სტანდარტები და ქცევის კოდექსები მასმედიასა და საზოგადოებას შორის წარმოშობილი ურთიერთობის რეგულირებისათვის. საქართველოში კი, რომელიც იმყოფება დემოკრატიული გაღრქმების და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების სტადიაზე, ნაჩქარევად მიგვაჩნია ჟურნალისტის სტატუსის ამოგდება სამართლებრივი სივრციდან. პროფესიული სტანდარტები და ეთიკური ნორმები საკმარისი არ არის ჟურნალისტთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრისათვის, აუცილებელია ჟურნალისტის სტატუსის სამართლებრივი რეგლამენტაცია.

საქართველოს პარლამენტმა 2004 წლის 23 დეკემბერს მიიღო საკმაოდ ვრცელი კანონი „მუწყებლობის შესახებ“, 2005 წლის 2 ივნისს კი კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“. თუ აუცილებელია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების, ასევე მუწყებლობის და ელექტრონული კომუნიკაციების სამართლებრივი რეგულირება, აუცილებელია ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსის

განსაზღვრაც, პრესის შესახებ კლასიკური კანონის შემუშავება და მიღება.

ჟურნალისტის სტატუსის საკანონმდებლო რეგლამენტაცია არ ეწინააღმდეგება „პროფესიული სტანდარტისა“ და ეთიკის კოდექსის დებულებებს, პირიქით შეავსებს მათ და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს იმ პრობლემების აღმოფხვრას, რაც არსებობს მასმედიასა და საზოგადოებას შორის.

ჟურნალისტი არის პირი, რომელიც აგროვებს, ქმნის, რედაქციას უკეთებს და ამზადებს მასალებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოსაქვეყნებლად. საამისოდ მას აქვს სათანადო რწმუნება ან არის ჟურნალისტთა რეგისტრირებული კავშირის წევრი და თავის საქმიანობისას ხელმძღვანელობს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ განსაზღვრული პრინციპებით.

2000 წლის 8 მარტს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია სათაურით – „ჟურნალისტების უფლება არ გაამჟღავნონ ინფორმაციის წყაროები“. აღნიშნულ რეკომენდაციას თან ახლავს დანართი, რომლის თანახმად, ჟურნალისტი ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც რეგულარულად ან პროფესიულად ჩართულია საზოგადოებისათვის ინფორმაციის შეგროვებასა და გავრცელებაში მასობრივი საშუალებების მეოხებით.

„მედიის პროფესიულ სტანდარტში“ აღნიშნულია, რომ ჟურნალისტის პროფესია შეუთავსებელია აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობასთან, სარეკლამო თუ საზოგადოებასთან ურთიერთობის და სპეციალურ სამსახურებში თანამშრომლობასთან, აგრეთვე სხვა საქმიანობასთან, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჟურნალისტისა და ჟურნალისტის პროფესიის სანდოობა.

ჟურნალისტის სამართლებრივ სტატუსში შერწყმულია სამი კომპონენტი: ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობის შემოქმედებითი ხასიათი, საჯარო სამსახურის ელემენტები (public service), ჟურნალისტსა და რედაქციას შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკა. გარდა ამისა, ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსის ფარგლებში რეალიზდება ის განსაკუთრებული სოცია-

ლური როლი, რომელიც ჟურნალისტს აკისრია სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე.¹

ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსი მისი უფლება-მოვალეობების კომპლექსია, რომელშიც შეიძლება გამოვყოთ სამი ჯგუფი:

- ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობანი;
- ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობანი;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობასა და გავრცელებასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობანი.

თავისი პროფესიის სპეციფიკა საშუალებას აძლევს ჟურნალისტს, ისარგებლოს ისეთი უფლებებით, რაც მიუწვდომელია სხვა მოქალაქეებისთვის. ჟურნალისტის უფლება-მოვალეობანი, რომლებიც რეალიზდება ინფორმაციის მოძიებასა და შეკრების პროცესში, შემდეგია:

□ უფლება, მოიძიოს, მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია; მოითხოვოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოებისგან, სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანიზაციების, საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და მათი პრესამსახურებისგან ინფორმაციის მიწოდება; თავისი მოვალეობის შესრულებისას ნებისმიერ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში შესვლის, თანამდებობის პირებთან შეხვედრის უფლება; უფლება, ხელი მიუწვდებოდეს დოკუმენტებსა და მასალებზე, გარდა იმ ფრაგმენტებისა, რომლებიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ და კანონით სპეციალურად დაცულ საიდუმლოებას; დოკუმენტებისა და მასალის ასლების გადაღების უფლება, საავტორო უფლებისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლების გათვალისწინებით; ჩაწერის უფლება, მათ შორის აუდიო და ვიდეოტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება, კინო და ფოტო გადაღებები, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როცა ეს აკრძალულია კანონით; უბედური შემთხვევების, ავარიებისა და კატასტროფების, მასობრივი არეულობების, მოქალაქეთა მასობრივი თავშეყრის ადგილებში, სპეციალურად დაცულ ზონებში შესვლის

1. Рассолов М.М. Информационное право М 1999г. ст. 87.

უფლება, აგრეთვე იმ ადგილებში შესვლის უფლება, სადაც გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა, მიტინგებსა და დემონსტრაციებზე დასწრებისა და მათი გაშუქების უფლება; შემოსული მასალების საიმედოობის შემოწმების უფლება; ავტორობის საიდუმლოების შენახვის უფლება;

□ მოვალეობა დააკმაყოფილოს პირთა თხოვნა ინფორმაციის წყაროების დასახელებისა, მიუთითოს ციტირებული გამოთქმების ავტორებზე, თუ ციტატა პირველად ქვეყნდება; მოვალეობა დაიცვას ინფორმაციისა და მისი წყაროების კონფიდენციალობა; მოვალეობა მოქალაქეებისა და თანამდებობის პირებისგან ინფორმაციის მიღების დროს აცნობოს მათ აუდიო-ვიდეო ჩანაწერების, კინო და ფოტოგადაღებების ჩატარების შესახებ; მოვალეობა თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელების პერიოდში პირველი მოთხოვნისთანავე წარადგინოს რედაქციის მოწმობა ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ჟურნალისტიკის პიროვნებასა და უფლებამოსილებას.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება უფლება-მოვალეობანი, რომლებიც რეალიზდება ჟურნალისტიკის მიერ აუდიტორიისთვის ინფორმაციის გადაცემის პროცესში:

□ ინფორმაციის გავრცელების უფლება; უფლება, გამოაქვეყნოს, გადმოსცეს ან სხვა საშუალებებით ასახოს დოკუმენტები და მასალა ისე, რომ არ დაირღვეს ავტორისა და სხვა განსაკუთრებული უფლებები (ინტელექტუალური საკუთრების უფლება); გამოთქვას თავისი პირადი მოსაზრება და შეფასება ცნობებსა და მასალებში, რაც გათვალისწინებულია მასმედიაში გავრცელებისთვის; მოხსნას თავისი ხელმოწერა ცნობისა და მასალის ქვეშ, რომელთა შინაარსი, მისი აზრით, დამახინჯებულია რედაქციული დამუშავების დროს; გაავრცელოს მის მიერ მომზადებული ცნობა ან მასალა თავისი ხელმოწერით, ფსევდონიმით ან ხელმოუწერლად;

□ მოვალეობა, შეამოწმოს მიღებული ინფორმაციის საიმედოობა; მოვალეობა მიიღოს თანხმობა, მასმედიაში გაავრცელოს ცნობები მოქალაქის პირადი ცხოვრების შესახებ, პირადად მისგან ან მისი

კანონიერი წარმომადგენლისგან (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს აუცილებელია საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად); იმ ცნობებისა და მასალების გავრცელების უფლება, რომლებიც მომზადებულია ფარული აუდიო და ვიდეო ჩანაწერების გამოყენებით, კინო და ფოტოგადაღებით.

მესამე ჯგუფს მიეკუთვნება ჟურნალისტის უფლება-მოვალეობანი, რომლებიც რეალიზდება რედაქციის შიგნით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოშვების პროცესში:

□ ჟურნალისტის უფლება, უარი თქვას იმ ცნობებისა და მასალების მომზადებაზე, რომლებიც ეწინააღმდეგება მის მრწამსს;

□ ჟურნალისტის მოვალეობა, დაიცვას იმ რედაქციის წესდება, რომელთანაც ის თანამშრომლობს; საქმის კურსში ჩააყენოს მთავარი რედაქტორი მომზადებული ცნობების ან მასალების გავრცელებასთან დაკავშირებით; უარი თქვას მთავარი რედაქტორის ან რედაქტორის დავალებაზე, თუ მისი შესრულება დაკავშირებულია კანონის დარღვევასთან;

აღნიშნულ უფლება-მოვალეობათა კომპლექსი ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსის ქვაკუთხედიანია. ისინი მთლიანობაში უზრუნველყოფენ ჟურნალისტზე დაკისრებული სოციალური ფუნქციის განხორციელებას, რომელიც უმთავრესად ინფორმაციასთან არის დაკავშირებული. ჟურნალისტს აქვს მნიშვნელოვანი უფლება, შეამოწმოს მისთვის ცნობილი ინფორმაციის საიმედოობა. მეორე მხრივ, იგი მოვალეა ინფორმაციის გავრცელებამდე დარწმუნდეს მის უტყუარობაში. ეს ფაქტიურად ნიშნავს იმას, რომ ჟურნალისტი პასუხს აგებს მის მიერ მომზადებული და გავრცელებული თითოეული სიტყვისთვის, რომელიც მოცემულია სტატიის ან გამოცხადებულია ტელე-რადიომაუწყებლობით.

თუ ჟურნალისტს მივიჩნევთ, როგორც შუამავალ პირს მოქალაქის უფლების რეალიზაციაში – მოიპოვოს ინფორმაცია, ნათლად შეიძლება განისაზღვროს მისი ადგილი შემდეგ ჯაჭვში: „ფაქტი – ინფორმაციის წყარო – ჟურნალისტი – აუდიტორია.“ როცა ჟურნალისტი არის

მოვლენის უშუალო მხილველი, იგი ვალდებულია, „ზუსტად და კეთილსინდისიერად გადასცეს აუდიტორიას ის, რაც ნახა და მოისმინა.“ სწორედ ასე არის ფიქსირებული დეკლარაციაში ჟურნალისტთა ქცევის პრინციპების შესახებ, რომელიც დამტკიცებული იქნა ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ: „ასუქებს რა მოვლენებს, ჟურნალისტი მოვალეა, დაეყრდნოს მხოლოდ ფაქტებს, რომლებიც დადგენილია პირადად მის მიერ.“¹ აქედან გამომდინარეობს ჟურნალისტის მოვალეობა – შეამოწმოს ის ინფორმაცია, რისი მოწმეც უშუალოდ თვითონ არ არის, რადგან ხშირ შემთხვევაში მისთვის აუცილებელ ცნობებს ღებულობს სხვა წყაროებიდან. ინფორმაციის შემოწმება იმ პრინციპს წარმოადგენს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ჟურნალისტს, მოითხოვოს პასუხი დასმულ კითხვაზე, მიმართოს სახელმწიფო ორგანოებსა და ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებს, გაეცნოს დოკუმენტებსა და მასალებს, ჩაიწეროს, მივიდეს სტიქიური კატასტროფის ადგილზე და ა. შ.

ამდენად, გასავრცელებელი ინფორმაციის ყოველმხრივი შემოწმება ჟურნალისტის არა მარტო უფლებაა, არამედ მოვალეობაც, რაც თავის მხრივ საფუძვლად უდევს ჟურნალისტის სოციალურ პასუხისმგებლობას. მოპოვებული ინფორმაციის შემოწმება ჟურნალისტის მოვალეობა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი აუდიტორიას აცნობებს იმ ფაქტისა და მოვლენების შესახებ, რომლის უშუალო მოწმე თვითონ არ არის. ასეთ შემთხვევაში ის თავის თავზე იღებს მხილველის როლს (თუმცა სინამდვილეში არ არის თვითმხილველი) და როგორც მხილველი ვალდებულია, უპასუხოს მისთვის ცნობილი ინფორმაციის საიმედოობაზე. ინფორმაციის საიმედოობის შემოწმება ზოგჯერ გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ჟურნალისტს ყოველთვის არა აქვს შესაძლებლობა, დარწმუნდეს ამა თუ იმ ფაქტის უტყუარობაში. მოკვლევის, გამოძიების, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებისგან განსხვავებით ჟურნალისტს არ შეუძლია ჩაატაროს რაიმე სახის ექსპერტიზა, მოახდინოს დაპირის-

1. Op. cit.: Dennis E., Rivers W. Other Voices. The New Journalism in America. – N.Y., 1994. p.- 187

პირება და სხვა საგამომძიებლო მოქმედება ჭეშმარიტების დასადგენად. მაგრამ ჟურნალისტი ვალდებულია, ნებისმიერ სიტუაციაში განაზორციელოს ყველა ღონისძიება ინფორმაციის საიმედოობის დასადასტურებლად, ვინაიდან დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესი მხოლოდ მაშინ შეიძლება ნორმალურად და გონივრულად განვითარდეს, როცა იგი ნამდვილ ფაქტებსა და ინფორმაციას ეყრდნობა.

ბუნებრივია, ჟურნალისტი პასუხს არ აგებს იმ ცნობების გავრცელებისთვის, რომლის წყარო ცნობილია და იმსახურებს ნდობას, კერძოდ, თუ ცნობებს შეიცავდა ოფიციალური ინფორმაციები, თუ ისინი მიღებულია საინფორმაციო სააგენტოების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების პრესსამსახურებისგან, თუ ისინი სიტყვასიტყვით იმეორებს სხვადასხვა ოფიციალურ თავყრილობაზე პასუხისმგებელ პირთა გამოსვლებს, თუ ასეთი ცნობები იყო გამოსვლებში, რომლებიც ეთერში გავიდა წინასწარი ჩაწერის გარეშე ან ტექსტებში, რომლებიც ექვემდებარება რედაქტირებას.

ინფორმაციის წყაროს დიდი მნიშვნელობა აქვს ჟურნალისტური საქმიანობისთვის. ზოგჯერ წყარო გაცხადებულია და არავისთვის არ არის საიდუმლო, ზოგჯერ კი ფარულია და ამდენად – საიდუმლო. ჟურნალისტი მოვალეა, საიდუმლოდ შეინახოს წყარო, თუ ამას მოითხოვს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესები. ეს ერთ-ერთი პროფესიული პრინციპია, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში: საზოგადოებრივი თავისუფლების მონაპოვრად მიჩნეულია ის, რომ ადამიანებს უმტკივნეულოდ შეიძლება ეცნობოს სოციალურად მნიშვნელოვანი საგნებისა და მოვლენების შესახებ მედიის მეშვეობით, ამასთანავე მედიაში გააშუქონ სათანადო მოვლენები, ჩაებან დისკუსიაში, გამოთქვან საკუთარი აზრი და ა. შ. ამასთანავე, ინფორმაციის დაცვის ინსტიტუტი ავალდებულებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რედაქციებსა და მათ თანამშრომლებს, საიდუმლოდ შეინახონ მოქალაქეებისაგან მიწოდებული ინფორმაცია, არ გამოაქვეყნონ პერსონალური მონაცემები, რომლებიც იძლევა ავტორის პიროვნების იდენტიფიკაციის შესაძლებლობას.

„პროფესიული საიდუმლოების წყარო დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და არავის არა აქვს უფლება მოითხოვოს ამ ინფორმაციის გამხელა“ – მითითებულია საქართველოს კანონში „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“.¹

ჟურნალისტი არ არის უფლებამოსილი, გააცხადოს ინფორმაციის წყაროს შესახებ არც პოლიციის, არც პროკურატურისა და არც უშიშროების სამსახურის მოთხოვნით. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როცა სასამართლოდან არის შესაბამისი მოთხოვნა, მის წარმოებაში მყოფ საქმეებთან დაკავშირებით გაცხადებული იქნეს ინფორმაციის წყაროს შესახებ.

„დაუშვებელია საიდუმლოების გამხელა თვით მისი მფლობელის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე“ – ადგენს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“.²

ინფორმაციის წყაროს დაცვის ინსტიტუტი, უპირველეს ყოვლისა, ვრცელდება კორესპონდენტების გაცვლის თავისუფლებაზე. არავინ არ არის უფლებამოსილი გაეცნოს და გამოაქვეყნოს რედაქციაში შემოსული წერილებისა და ტელეგრამების შინაარსი, მოითხოვოს თანამშრომელთა სატელეფონო საუბრების მოსმენა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ხდება სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

„მედიის პროფესიულ სტანდარტში“ მითითებულია, რომ „პროფესიული სტანდარტი გულისხმობს ფაქტების გადამოწმებას სხვა დამოუკიდებელი წყაროების საფუძველზე. თუ ინფორმაციის გადამოწმება შეუძლებელია, მისი გავრცელებისას უნდა გაკეთდეს შესაბამისი დათქმა. წყაროს დასახელება დამაჯერებლობას მატებს ინფორმაციას, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ინფორმაციის წყაროს დაცვის აუცილებლობას“.

ჟურნალისტის უფლება – არ გახსნას ინფორმაცია, რომელიც ახდენს მისი წყაროს იდენტიფიცირებას, არ უნდა შეიზღუდოს.

1. საქართველოს ხაკანონმდებლო მაცრე. თბ. 2004 წ. № 19 კკ. 15. მკესლი 3. პუნქტი 2.
2. იქვე, მკესლი 11. პუნქტი 1.

ინფორმაციის წყაროს გახსნა მართლზომიერად უნდა იქნეს მიწნეული, თუ დადგინდა, რომ არ არსებობს გახსნის ალტერნატივა ან ალტერნატიული ზომები უკვე ამოწურულია ან ინფორმაციის გახსნის საზოგადოებრივი ინტერესი აჭარბებს კერძო ინტერესს და მისი გახსნის აუცილებლობა გამოდინარეობს საზოგადოებრივი მოთხოვნნილებიდან.

ინფორმაციის წყაროს გახსნა უნდა მოხდეს კანონით რეგლამენტირებული პროცედურის შესაბამისად. კერძოდ, აუცილებელია კომპეტენტური ორგანოების შუამდგომლობა ინფორმაციის წყაროს გახსნის შესახებ. ასეთი გადაწყვეტილება უნდა მიიღონ მხოლოდ თანამდებობის პირებმა ან ხელისუფლების ორგანოებმა, რომელთაც აქვთ ინფორმაციის გახსნის კანონიერი უფლებამოსილება. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს უნდა აცნობონ მათი უფლების შესახებ – არ გახსნას ის ინფორმაცია, რომელიც ახდენს წყაროს იდენტიფიცირებას. იმ შემთხვევაში, როცა ჟურნალისტი დაეთანხმება მოთხოვნას – გახსნას ინფორმაცია, კომპეტენტურმა ორგანომ უნდა მიიღოს ზომები გახსნის მასშტაბის შესაზღუდავად და თავად უნდა დაიცვას გახსნის კონფიდენციალობა.

ინფორმაციის წყაროს დაცვის ინსტიტუტს აქვს სოლიდური საერთაშორისო სამართლებრივი ბაზა. იუნესკოს 1997 წლის სოფიის დეკლარაცია ადგენს: „ჟურნალისტი არ შეიძლება აიძულონ, გაამჟღავნოს ინფორმაციის წყარო.“ ეს პრინციპი განმტკიცებულია ეროვნული კანონმდებლობის დონეზეც. საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ ადგენს „ჟურნალისტის უფლებას, დაიცვას ინფორმაციის წყაროს საიდუმლოება და საკუთარი სინდისის შესაბამისად მიიღოს სარედაქციო გადაწყვეტილებანი.“ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, არ შეიძლება მოწმედ დაიკითხოს ჟურნალისტი, თუ მას ნაკისრი აქვს ვალდებულება, არ გაამჟღავნოს მიღებული ინფორმაციის წყარო, პუბლიკაციის ავტორის სახელი ან გამოუქვეყნებელი მასალის ავტორი და შინაარსი. ამასთანავე, ჟურნალისტს უფლება აქვს, უარი განაცხადოს სასამართლო ორგანოებისათვის ჩვენების მიცემაზე, თუ იგი მის პროფესიულ საქმიანობას შეეხება.

ჟურნალისტიკისათვის სპეციალური უფლებებისა და მოვალეობების მინიჭება გულისხმობს მისი სამართლებრივი მდგომარეობის ნათლად გამოხატულ საზღვრებს. ჟურნალისტიკის სამართლებრივ სტატუსში უპირველესია ინფორმაციის მოთხოვნის მიღებისა და გავრცელების უფლება.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის აუცილებელი პირობაა. დღეს აღარავინ დაობს იმაზე, რომ ინფორმირებულობის ხარისხი განსაზღვრავს ცივილიზებული საზოგადოების წარმატებას. საზოგადოება, რომელიც ინფორმაციის თავისუფლებასა და ხელმისაწვდომობას სოციალურ ღირებულებად მიიჩნევს, ხოლო ხელისუფლება თავისი საქმიანობის ერთ-ერთ პრინციპად აღიარებს, დაცულია პოლიტიკური თუ სოციალური კატაკლიზმებისგან.

„დემოკრატია მოქალაქეთა უფლების გარეშე, იცოდნენ – ფარსია. მოქალაქის უფლება იცოდნენ პროცედურის გარეშე – ბლეფია. პროცედურები მოქალაქეთა გარეშე, რომლებიც ისწრაფიან იცოდნენ – ტრაგედია“ – ასეთი ტევადი პოსტულატი ბევრის მთქმელია.¹

ასეთივე აზრია ჩაქსოვილი აბრამ ლინკოლნის ბრძნულ სიტყვებში – „მიეცით ხალხს შესაძლებლობა, იცოდეს ფაქტები და ქვეყანა უსაფრთხო იქნება.“ ამ სიტყვების ჭეშმარიტება ცხოვრებამ დაადასტურა. ამიტომ არის, რომ ნორმები ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის შესახებ მრავალი საერთაშორისო კონვენციითა და დეკლარაციით არის განმტკიცებული, რომელთა ნებისმიერი სახით ხელყოფას დემოკრატიულ სახელმწიფოთა თანამეგობრობა განიხილავს როგორც მთლიანად ცივილიზებული სამყაროს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას.

ინფორმაციის მისაწვდომობასთან მიმართებაში საქართველოს კანონმდებლობა არ ცნობს არავითარ პრიორიტეტულ უფლებას და ყველა მოქალაქეს ანიჭებს შესაძლებლობას – შეუფერხებლად მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია, მიუხედავად ამისა, რეალურად ინფორმა-

1. Российская журналистика. свобода доступа и информации. М. 1996г. С. 11.

ციის ძირითადი მასა ჟურნალისტებზე მოდის და ჟურნალისტისა და საზოგადოების ურთიერთობის ხასიათს განსაზღვრავს.

მასმედია და ჟურნალისტები წარმოადგენენ შუამავლებს სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სფეროში. ამ მოვალეობის შესასრულებლად კანონმდებლობა ჟურნალისტებს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებას – მოიძიონ, მიიღონ და გაავრცელონ ინფორმაცია. ამ უფლების რეალიზაციის პროცესში ჟურნალისტები ხშირად აწყდებიან პრობლემებს იმის გამო, რომ არ არსებობს ინფორმაციის მიღების სრულყოფილი სამართლებრივი მექანიზმი. ერთი მხრივ, ეს საკვებით გასაგებია, რადგან საქართველოში დღეისათვის არ არსებობს სპეციალური კანონი „ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ“. მეორე მხრივ, ამ ხარვეზს ავსებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომელიც შეიძლება დეტალურად არ არეგულირებს ინფორმაციის მიღების სრულ მექანიზმს, მაგრამ ითვალისწინებს მის ცალკეულ ელემენტებს.

რამდენადაც დემოკრატიულ საზოგადოებაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობა პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს პარამონიული ურთიერთობის მნიშვნელოვანი პირობაა, აუცილებელია არსებობდეს სპეციალური კანონი „ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ“, რომელშიც დეტალურად იქნება განმტკიცებული ინფორმაციის მოძიების, მიღებისა და გავრცელების სამართლებრივი მექანიზმი. ასეთი კანონის არარსებობის გამო მოქალაქენი და მათ შორის ჟურნალისტებიც იძულებულნი არიან ეძებონ ცალკეული დებულებანი სხვადასხვა ნორმატიულ აქტში, რაც არცთუ ისე ადვილია.

ჟურნალისტი უფლებამოსილია ინფორმაციის მფლობელს დაუსაბუთოს ინფორმაციის მიღების აუცილებლობა, თუმცა ეს მისი მოვალეობა არ არის. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, პირი არ არის ვალდებული, განცხადებაში მიუთითოს ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. ეს წესი, უპირველეს ყოვლისა, ეხება ჟურნალისტს, რომლისთვისაც ინფორმაციის მიღება და გავრცელება ყოველდღიური საქმიანობაა.

ჟურნალისტს უფლება აქვს, ინფორმაცია მიიღოს ნებისმიერი

ფორმით, როგორც ზეპირად, ისე წერილობით. ეს იმას ნიშნავს, რომ ჟურნალისტიკის ზეპირი მიმართვა, მაგალითად, მინისტრისადმი – მისცეს ინტერვიუ, სხვა არაფერია, თუ არა ინფორმაციის მოთხოვნა ზეპირი ფორმით. ჟურნალისტიკის შეკითხვაზე პასუხი იმ პირის მიერ, ვისაც მიმართეს ინტერვიუსთვის, უნდა განვიხილოთ როგორც პასუხი ინფორმაციის მოთხოვნაზე. ეს თეზისი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ ჟურნალისტს პასუხისმგებლობა არ ეკისრება იმ ინფორმაციის შინაარსისთვის, რომელიც მიღებულია ინფორმაციის მოთხოვნის პასუხად.

მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ინფორმაციის მოთხოვნაზე რეაგირების ოთხ ვარიანტს: 1) ინფორმაციის მიწოდება; 2) უარი ინფორმაციის მიწოდებაზე; 3) ინფორმაციის მიწოდების გადადება; 4) საქმის ბიუროკრატიული გაჭიანურება.

ჟურნალისტს შეუძლია ინფორმაციის მიწოდებაზე მიღებული უარი გაასაჩივროს ზემდგომ ინსტანციაში ან სასამართლოში. იგულისხმება, რომ ჟურნალისტს აქვს შესაძლებლობა ზემდგომ ინსტანციაში ან სასამართლოში გაასაჩივროს როგორც ინფორმაციის მიღებაზე უარი ან მისი გადაცემის გაჭიანურება, ასევე თანამდებობის პირების მიერ ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით დადგენილი წესების დარღვევა.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობა ჟურნალისტიკის უფლების დარღვევას – მიიღოს მოთხოვნილი ინფორმაცია, აკვალიფიცირებს როგორც სერიოზულ სამართალდარღვევას, რომელიც ხელყოფს ინფორმაციის თავისუფლების ზოგადსაკაცობრიო პრინციპს.¹

ფართო უფლებებთან ერთად ჟურნალისტს აკისრია გარკვეული მოვალეობანიც. კერძოდ, ჟურნალისტი მოვალეა, დაიცვას რედაქციის წესდება და პროგრამა, შეამოწმოს მოპოვებული ინფორმაციის საიმედოობა, უარი თქვას ისეთი დავალების შესრულებაზე, რომელიც არღვევს კანონს, პატივი სცეს მოქალაქეთა და ორგანიზაციათა კონსტიტუციურ უფლებებს, პატივი სცეს საქართველოს პრეზიდენტს, როგორც სახელმწიფოს სიმბოლოს ღირსებას და ა. შ.

1. Прохоров Е.П. Журналистика и демократия М. 2001г. ст. 26.

ჟურნალისტს დიდი სოციალური პასუხისმგებლობა აკისრია სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე. ჟურნალისტის სოციალური პასუხისმგებლობის ინსტიტუტი მოიცავს არა მარტო სამართლებრივ, არამედ პროფესიული ეთიკის ნორმებსაც. მსოფლიო ჟურნალისტურმა პრაქტიკამ შეიმუშავა სოციალური პასუხისმგებლობის საშუალებანი, რომელთა შორის მთავარია მასმედიის შესახებ კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების დაცვა. ბევრ ქვეყანაში მიღებულია ჟურნალისტური ეთიკის კოდექსები, რომელთა დარღვევა იწვევს შრომის კონტრაქტების შეწყვეტას.

ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობას იცავს სხვადასხვა სამართლებრივი ნორმა. ამ საქმიანობის დანაშაულებრივი ხელყოფა საფრთხეს უქმნის დემოკრატიის პრინციპებს, სიტყვის, აზრისა და ინფორმაციის თავისუფლებას. ამით არის განპირობებული, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი დანაშაულად მიიჩნევს ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლას, რაც გამოიხატება მის იძულებაში გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გაავრცელებისაგან. უკანონოდ ხელის შეშლაში იგულისხმება წინააღმდეგობის გაწევა როგორც ჟურნალისტის, ასევე ჟურნალისტური საქმიანობისათვის. დანაშაულის მაკვალიფიცირებელ გარემოებად მიჩნეულია იგივე ქმედება, ჩადენილი ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. აღნიშნული ნორმა ჟურნალისტის უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების სისხლის სამართლებრივი გარანტიაა და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იმ ნორმათა სისტემაში, რომლებიც იცავს ჟურნალისტის უფლებებსა და ჟურნალისტური საქმიანობის თავისუფლებას.

ჟურნალისტის საქმიანობის ძირითადი ამოცანაა, ინფორმირებული გახადოს საზოგადოება, ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას. რა თქმა უნდა, ეს იოლი არ არის, მაგრამ თუ ინფორმაცია ობიექტური და უტყუარია, ხალხის ნდობა უმალვე ჩნდება. პირადად სიმპატიებმა ამა თუ იმ მოვლენის გაშუქებისას სიტუაციის გამწვავება და საზოგადოების გაღიზიანება არ უნდა გამოიწვიოს. ჟურნალისტი მართალი უნდა იყოს არა მარტო საკუთარ თავთან,

არამედ იმ პირთან, ვისზედაც აქვეყნებს ინფორმაციას და უპირველეს ყოვლისა ქვეყანასა და საზოგადოებასთან. საზოგადოების ერთი ნაწილის აგრესია პრესისადმი ზოგჯერ იმ ჟურნალისტების ბრალია, რომლებიც გულგრილად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, ზერელედ ეპყრობიან ადამიანებს და საკუთარ პროფესიას.

ხარვეზები ჟურნალისტურ საქმიანობაში ხშირად გამოწვეულია დაბალი სამართლებრივი კულტურით, მართლშეგნების დაბალი დონით. მასმედიის წარმომადგენლებს – ჟურნალისტებს, ტელეწამყვანებს, მაუწყებლობის ორგანიზატორებს საერთო კულტურასთან ერთად უნდა ჰქონდეთ სამართლებრივი კულტურა და თანამედროვეობის შესატყვისი სამართლებრივი ცნობიერება, უნდა იყვნენ კანონმორჩილნი, თვითნებურად არ უნდა შეიჭრან სამართლებრივ სივრცეში და არ გადალახონ სამართლებრივი ზღვარი.

როგორც აღენიშნეთ, ამჟამად საქართველოში ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსი არც ერთი საკანონმდებლო აქტით არ არის რეგულირებული. აუცილებელია არსებობდეს როგორც პრესის თვითრეგულირების დეტალურად დამუშავებული სისტემა, აგრეთვე ნორმატიული აქტი ჟურნალისტური საქმიანობის შესახებ.

დემოკრატიულ საზოგადოებაში განმტკიცებული უნდა იყოს ჟურნალისტური შემოქმედებითი თავისუფლების გარანტიები და სათანადო სამართლებრივი სივრცე მედიის ეფექტური, ხარისხიანი და საზოგადოების ინტერესების შესაბამისი საქმიანობისათვის.

თავი 2. ინტელექტუალური საკუთრების დაცვა მედიის სფეროში

ტერმინი „ინტელექტუალური საკუთრება“ საკმაოდ პოპულარულია. აღნიშნული ტერმინი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ არსებობს საკუთრების ისეთი სახე, რომელიც განსხვავდება ფიზიკური საკუთრებისაგან და რომლის მარეგულირებელ ნორმათა ერთობლიობა ქმნის ინტელექტუალური საკუთრების სამართალს.

ინტელექტუალური საკუთრების სამართალი მოიცავს საავტორო

სამართალს, საპატენტო სამართალსა და სასაქონლო ნიშნების სამართალს. საავტორო სამართალი არეგულირებს მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისა და გამოყენების შედეგად წარმოქმნილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

ჟურნალისტიკისთვის საავტორო სამართლის მნიშვნელობა მოიცავს ორ ასპექტს: ერთი მხრივ, ჟურნალისტი მუდმივად გამოდის, როგორც ავტორი თავისი ნაწარმოებისა და ამის საფუძველზე აქვს განსაზღვრული უფლებანი. ამასთან ერთად ზოგიერთი უფლება შეიძლება მოიპოვოს მასმედიის რედაქციამაც, სადაც ის მუშაობს. მეორე მხრივ, ჟურნალისტს, როგორც წესი არ შეუძლია ისარგებლოს სხვისი ნაწარმოებით ავტორის ნებართვისა და საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე.

„მედიის პროფესიული სტანდარტი“ ადგენს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა საქმე საავტორო უფლების დაცვას არ ეხება და ჟურნალისტი სარგებლობს უკვე გამოქვეყნებული/გავრცელებული ინფორმაციით, პროფესიული სტანდარტი მოითხოვს ავტორის ვინაობის მითითებას“.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მასობრივი ინფორმაციის სფეროში მუდმივად ფიგურირებს სამოქალაქო სამართლის ორი სახის ობიექტი: ინფორმაცია, როგორც საკუთრების უფლების ობიექტი და ნაწარმოები, როგორც განსაკუთრებული უფლების ობიექტი (ინტელექტუალური საკუთრება). ელექტრონულ პრესაში მათ ემატება აგრეთვე მომიჯნავე უფლების ობიექტები: შესრულება, ფონოგრამა, საეთერო და საკაბელო მაუწყებლობის გადაცემები და სხვა.

სავტორო უფლების ობიექტები, რომლებიც გვხვდება პერიოდულ ბეჭდვით გამოცემებში, შეიძლება სისტემატიზებული იქნეს შემდეგი სახით:

- ლიტერატურული ნაწარმოები, შესრულებული რედაქციის შტატიანი თანამშრომლების მიერ (სამსახურებრივი ნაწარმოები);
- ლიტერატურული ნაწარმოებები, შესრულებული, შტატგარეშე კორესპონდენტების და მუდმივი ავტორების მიერ;
- ფოტოგრაფიული და გამოსახვითი ხელოვნების ნაწარმოებები (სურათები, კარიკატურები);

- გამოცემის დაკაბადონება და გაფორმების სხვა ტიპოგრაფიული ელემენტები.¹

გარდა ამისა, პერიოდულ პრესაში ჩვეულებრივად საკმაოდ ბევრია დღის ახალი ამბების შესახებ მოკლე ცნობები. როგორც წესი, მათი კომპოზიცია და გამოხატვის საშუალებანი არაა ორიგინალური. მასმედიაში გამოქვეყნებული სხვა ტექსტებისაგან განსხვავებით, ისინი არ წარმოადგენენ შემოქმედებით ნაწარმოებებს, რაც დაკავშირებულია ფაქტების აღწერასა და ანალიზთან, არ ასახავენ ავტორის პიროვნებას. ამ ცნობების ძირითადი ამოცანაა – ოპერატიული ინფორმაცია გადასცენ მომხდარ მოვლენებზე.

მართალია, ასეთი ცნობების შეგროვება მნიშვნელოვან შრომას მოითხოვს, ვიდრე, ვთქვათ ანალიტიკური კომენტარების მომზადება, მაგრამ ისინი არ არიან ორიგინალურნი და დაცულნი საავტორო სამართლის მიერ. მათი თავისუფალი გავრცელება განპირობებულია მოქალაქეთა უფლებით – მიიღონ ინფორმაცია. ორიგინალობის კონცეფცია ნიშნავს იმას, რომ კონკრეტული ნაწარმოები წარმოადგენს ახალს, არ არის გადმოღებული სხვა ნაწარმოებიდან, შექმნილია ავტორის უნარის, შრომისა და აზრის საფუძველზე.

ბერნის კონვენციის მე-8 მუხლი მიუთითებს, რომ საავტორო დაცვა „არ ვრცელდება დღის ახალი ამბების ცნობებზე, ან სხვადასხვა მოვლენის ცნობებზე, რომელთაც აქვთ მარტივი პრესინფორმაციის ხასიათი.“ ანალოგიურ ნორმას ითვალისწინებს საქართველოს 1993 წლის 22 ივნისის კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ.“ მასში განმტკიცებულია, რომ საავტორო უფლება არ ვრცელდება „ინფორმაციაზე ფაქტებისა და მოვლენების შესახებ.“²

რამდენადაც ფაქტებისა და მოვლენების შესახებ ინფორმაციებზე საავტორო უფლება არ ვრცელდება, ასეთი ტექსტები მასმედიაში

1. Федотов М. А. Правовые аспекты журналистики. М. 2002. С. 224.
 2. ბერნის კონვენცია ეროვნულ კანონმდებლობას ანდობს იმ თემებზე განსაზღვრას, რომელსაც არ ვრცელდება საავტორო უფლება. საქართველოს კანონმა ასეთ თემებზე მისწია აგრეთვე ოფიციალური დოკუმენტები (კანონები, სასამართლოს გადაწყვეტილებანი, ადმინისტრაციული და ნორმატიული ხასიათის სხვა ტექსტები), სახელმწიფოს ოფიციალური სიმბოლოები (დროშა, გერბი, სიმნი, ჯილდოები).

ქვეყნდება თავისუფლად, იმ შეზღუდვების გარეშე, რაც გათვალისწინებულია საავტორო სამართლით.

რაც შეეხება ახალი ამბების სააგენტოს პროდუქციას, ამერიკის სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ყოველგვარი უნებართვო და არაკეთილსინდისიერი სარგებლობა სხვისი მასალებით წარმოადგენს სამართალდარღვევას, რაც არის სარჩელის აღძერის საფუძველი. მაგალითად, ნაციონალური ან ადგილობრივი ტელევიზიით გადაცემული ახალი ამბები შეიძლება დაცულ იქნეს საავტორო სამართლით ისევე, როგორც საგაზეთო სტატიის ტექსტი. ახალი ამბების პრეცედენტი ამერიკის სასამართლოებში აკონკრეტებს ამ კონცეფციას პრაქტიკულად მიღებული წესებით. სასამართლოები ეყრდნობიან იმ პრინციპს, რომ ერთი სააგენტოს კუთვნილი ახალი ამბებით უნებართვო და არაკეთილსინდისიერი სარგებლობა, თუნდაც ისინი გასული წლის მოვლენებს ეხებოდნენ, არამართლზომიერია და დაცული უნდა იყოს საავტორო სამართლით.¹

საქართველოს პრაქტიკაში ინფორმაციული სააგენტოების პროდუქციის სამართლებრივი რეჟიმი ნათლად განსაზღვრული არ არის და საჭიროებს საკანონმდებლო რეგლამენტაციას.

ჟურნალისტის საქმიანობის მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს ინტერვიუს აღება და ბუნებრივია, ინტერესს იწვევს ინტერვიუს საავტორო-სამართლებრივი სტატუსის საკითხი. არც ბერნის კონვენცია და არც საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ არ ითვალისწინებს ამ საკითხის რეგულირებას.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ინტერვიუს ავტორობის საკითხი არ შეიძლება გადაიჭრას ერთმნიშვნელოვნად და დამოკიდებულია იმაზე, როგორი წვლილი შეიტანა ინტერვიუში ინტერვიუს მიმცემმა (რესპონდენტმა) და ინტერვიუს ამღებმა (კორესპონდენტმა).²

ვ. დოზორცევის აზრით „საავტორო უფლება ინტერვიუზე ეკუთვნის პირს, რომელიც აძლევს ინტერვიუს და პირს, რომელიც იღებს

1. Assafa Endeshaw, "Reconfiguring Intellectual Property for the Information Age – Towards Information Property?" The Journal of World Intellectual Property, Vol 7 No 3, May 2004, GB.

2. Рихтер А. Г. Правовые основы журналистики, М. 2002, С. 175.

ინტერვიუს, როგორც თანაავტორებს, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული მათ შორის შეთანხმებით, რომ ინტერვიუს გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ პირის თანხმობით, რომელიც აძლევს ინტერვიუს.“¹

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ამ მოსაზრებას. ინტერვიუ, როგორც ნაწარმოები, იქმნება ინტერვიუს მიმცემის და ჟურნალისტის ურთიერთთანამშრომლობის შედეგად. თუმცა რეალური თანაავტორობა უნდა განისაზღვროს ინტერვიუს ალების ვარიაციების შესაბამისად. ერთ შემთხვევაში ჟურნალისტი დაწვრილებით გამოჰკითხავს რესპონდენტს თავის მოსაზრებას მთელ რიგ საკითხებზე, რის შედეგადაც დამოუკიდებლად წერს ტექსტს, იყენებს მიღებული პასუხების შინაარსს. ჟურნალისტის თეორიული წვლილი აქ ეჭვს არ იწვევს. იგი წარმართავს საუბარს, ფორმას აძლევს აზრებს და თანამოსაუბრის ინფორმაციას. რაც შეეხება რესპონდენტის შემოქმედებით წვლილს, ის დამოუკიდებელი იქნება პასუხების ხასიათზე, არის თუ არა მათში შემოქმედებითი ელემენტები.

სხვა შემთხვევაში შეიძლება ჟურნალისტის თხოვნით რესპონდენტმა მას გადასცეს თავისი სტატია, რითაც სარგებლობს ჟურნალისტი. ასეთ სიტუაციაში ჟურნალისტი ასრულებს რედაქტორის და არა ავტორის როლს და შესაბამისად, არ შეიძლება ჩაითვალოს თანაავტორად.

ზშირად გვხვდება ინტერვიუს მომზადების ასეთი მეთოდიც: ჟურნალისტი სვამს ბანალურ კითხვებს, ხოლო პასუხებს იწერს დიქტოფონზე. გაშიფრული ტექსტი ეგზავნება ინტერვიუს მიმცემს, რომელიც რედაქციას უკეთებს თავისი პასუხების ტექსტს და უბრუნებს მასალას ჟურნალისტს, რომელიც აქვეყნებს მას. ვფიქრობთ, რომ არც ასეთ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ჟურნალისტი სრულუფლებიან თანაავტორად.

ინტერვიუს განხილვა, როგორც თანაავტორობის შედეგისა, მართებულად მიგვაჩნია მაშინ, თუ ის წარმოადგენს ერთობლივი შრომის შედეგს, განუყოფელ მთლიანობას და მისი სარგებლობის უფლება

1. Проблемы интеллектуальной собственности в Гражданском кодексе России. Труды по интеллектуальной собственности, Том I, М 1995, С. 69.

ერთობლივად ეკუთვნის როგორც ჟურნალისტს, ასევე მის რესპონდენტს.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის თანახმად „საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც ერთობლივი შრომის შედეგად შექმნა ორმა ან მეტმა პირმა (თანავტორობა) ერთობლივად ეკუთვნის თანავტორებს, მიუხედავად იმისა, ეს ნაწარმოები წარმოადგენს ერთ განუყოფელ მთლიანობას, თუ შედგება ნაწილებისგან, რომელთაგან თითოეულს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. თანავტორთა ურთიერთობა შეიძლება განისაზღვროს მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.“

თუ რესპონდენტმა პასუხი გასცა ადრე ფორმირებულ კითხვებზე, მაშინ ის შეიძლება განვიხილოთ როგორც ნაწარმოების ნაწილი, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში დადგენილი უნდა იქნეს განცალკევებული თანავტორობა, რომლის დროს კითხვებზე უფლება ეკუთვნის ჟურნალისტს, ხოლო პასუხებზე – რესპონდენტს. ინტერვიუს გამოყენების განსაკუთრებული უფლება კი – ორივე თანავტორს ერთობლივად, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

თუ ჟურნალისტი ამზადებდა ინტერვიუს რედაქციის დავალებით ან თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების წესით, მაშინ ნაწარმოების სამართლებრივი ბუნება რთულდება. რედაქციისთვის ასეთი ინტერვიუ ხდება სამსახურებრივი. ამასთანავე, რესპონდენტისათვის არაფერი არ იცვლება: იგი რჩება ნაწარმოების თანავტორად და შეუძლია პრეტენზია ჰქონდეს ყველა უფლების დაცვაზე.

ზემოთქმული ეხება მხოლოდ ბეჭდვით მასმედიაში. მათგან განსხვავებულია ინტერვიუ ელექტრონულ პრესაში. ტელევიზიით ან რადიოთი გადაცემულ ინტერვიუს აქვს უფრო რთული და მრავალფეროვანი იურიდიული ბუნება. ერთ შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ სატელევიზიო ინტერვიუზე, როგორც აუდიოვიზუალურ ნაწარმოებზე ან მის ნაწილზე, მეორე შემთხვევაში ნაწარმოების არარსებობაზე.

რამდენადაც განსხვავებული აზრი აქვს ა. რიხტერს. იგი სვავს რიტორიკულ კითხვას – ვის ეკუთვნის საავტორო უფლება ინტერ-

ვიუზე – ცნობილ ჟურნალისტს, რომელმაც აიღო ინტერვიუ, თუ პრემიერ-მინისტრს, რომელმაც მისცა ინტერვიუ? და პასუხობს, რომ ასეთი სტატიის ავტორად ითვლება მხოლოდ ჟურნალისტი, იმიტომ რომ მისი საქმიანობა შემოქმედებითია და ყველა საავტორო უფლება უნდა ეკუთვნოდეს მას. ამასთანავე, რესპონდენტს უფლება არა აქვს რაიმე სახით შეზღუდოს ჟურნალისტის შესაძლებლობა – გაავრცელოს ინტერვიუ მასმედიაში. რესპონდენტს გაცნობიერებული აქვს, რომ ინტერვიუს აძლევს ჟურნალისტს არა მისი პირადი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, არამედ იმისთვის, რომ შემდგომში ეს ინტერვიუ უნდა გამოქვეყნდეს და გავრცელდეს.¹

მეორე აქტუალური პრობლემა დაკავშირებულია ტელეგადაცემის პროგრამების საავტორო უფლებებთან. ამ პრობლემას არა აქვს ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტა, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში: უნდა გადაიხადონ თუ არა საფასური გაზეთებმა ტელეგადაცემების ერთკვირიანი პროგრამების გამოქვეყნებისათვის. თუ უნდა გადაიხადონ, მაშინ ვის უნდა გადაუხადონ და რატომ? წარმოადგენს თუ არა დაბეჭდილი, დაწერილი, შედგენილი ნუსხა გადაცემებისა ნაწარმოებს, რომელიც დაცული უნდა იყოს საავტორო უფლებით? ერთი მხრივ, პასუხი უნდა იყოს დადებითი, რამდენადაც ვილაცამ დაწერა, შეადგინა ეს ნუსხა მაუწყებლობის კონცეფციის საფუძველზე. მეორე მხრივ, ამ ნაწარმოებში არ არის ორიგინალობა, ეს არის რუტინულად შემდგარი ნუსხა და წარმოადგენს სატელევიზიო სეზონის რეკეპტურას ამა თუ იმ არხისათვის.

დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად ტელეგადაცემების პროგრამა არ მიეკუთვნება არც საავტორო უფლების, არც ინტელექტუალური საკუთრების უფლების ობიექტებს, ვინაიდან ისინი შეიცავენ ცნობებს მოვლენებისა და ფაქტების შესახებ, აქვთ ინფორმაციული ხასიათი, მათში არ არის ორიგინალობის ნიშნები.

არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომლის თანახმად ტელეგადაცემების პროგრამები ერთდროულად პასუხობენ ორ კრიტერიუმს, რაც წაყენებათ ნაწარმოებებს: ისინი წარმოადგენენ შემოქმედებითი

1. Пинтер А. Г. указ. соч. С. 177.

შრომის შედეგს. ასეთი შედეგნილი ნაწარმოების ობიექტური ფორმა გამოხატულია სპეციალურად შერჩეულ და თანმიმდევრულად განლაგებულ მასალებში. ეს ფორმა არ არის მატერიალური ფორმა და იგი არ იცვლება. ამიტომ ერთი გამომცემლობის მიერ მეორედან პროგრამის გადაბეჭდვა ნიშნავს მხოლოდ ფორმის გამოყენებას.¹

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის ნორმა პრაქტიკაში განმარტებულია ძალიან ფართოდ: ყოველი ნაწარმოები, რომელსაც აქვს ინფორმაციული ხასიათი, არ ექვემდებარება დაცვას. ამიტომ ტელეკომპანია არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს ანაზღაურება ტელეგადაცემების პროგრამების გამოქვეყნებისათვის, თუნდაც ისინი შრომატევადი სამუშაოს შედეგი იყოს.

რაც შეეხება საზღვარგარეთის ქვეყნებს, მაგალითად აშშ-ს, ეს პრობლემა საერთოდ არ დგას, ვინაიდან ტელეკომპანიები თვლიან, რომ ტელეგადაცემების პროგრამების პუბლიკაცია უფასო რეკლამაა და თავისუფლად გადაეცემა ბეჭდვით მასშედიან.

ევროპული სამართალი მიუთითებს, რომ ყოველკვირეული ანოტირებული პროგრამები ტელეგადაცემებისა დაცულია საავტორო სამართლით, მაგრამ ტელეკომპანიებმა არ უნდა ისარგებლონ ამ ინფორმაციაზე მონოპოლიური მფლობელობით.

დასავლეთ ევროპაში ამ მიმართულებით ყველაზე გახმაურებული იყო ე.წ. „მაგილის საქმე“, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში: გაერთიანებულ სამეფოში ტელეგადაცემების ანოტირებული პროგრამა ქვეყნდება „ყოველკვირეულში“, რომელიც ერთობლივად გადაიცემა ქვეყნის საზოგადოებრივი და კერძო ტელევიზიებით. ფაქტობრივად ამ „ყოველკვირეულს“ ეკუთვნის მონოპოლია ტელეპროგრამებზე. ყველა, ვისაც სურს გაეცნოს ტელეგადაცემების ანოტირებულ პროგრამებს ინგლისის საეთერო სადგურებში, ყიდულობს ამ კრებულს. 1990-იან წლებში მსგავსი გამოცემის შექმნა სცადეს ირლანდიაში, რამდენადაც ამ და მეზობელ ქვეყნებში გადაცემის მიღება შეიძლება

1. Тинювишкая И. Д. Право на информацию и механизм его реализации, М. 2003, С. 36.
Копылов В. А. Информационное право, М. 2003, С. 162.

ინგლისური ტელევიზიით. კომპანია „მაგილი“ შეეცადა ჩაერთო მასში ინგლისური ტელევიზიის ტელეგადაცემების პროგრამა. თავდაპირველად ამ კომპანიამ მიმართა ბრიტანეთის ტელევიდს თხოვნით – დაერთოთ პროგრამების გადაბეჭდვის ნება, რაზედაც კატეგორიული უარი მიიღო. სამაგიეროდ „მაგილს“ შესთავაზეს, გაეგრძელებინა ინგლისური გამოცემა, მაგრამ ირლანდიელებმა დაიწყეს „ფოველკვირულის“ ტელეპროგრამების გადაბეჭდვა. კონფლიქტი გადაიზარდა სასამართლო დავაში. ინგლისის სასამართლომ აკრძალა ასეთი პრაქტიკის გაგრძელება, ხოლო შემდეგ ევროპის კავშირის უმაღლესმა სასამართლომ (ლუქსემბურგში) მრავალწლიანი განხილვის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად აღიარებული იქნა ტელეპროგრამების შემდგენელი ტელეკომპანიების საავტორო უფლება. ამასთანავე, ისინი სარგებლობენ მონოპოლიური უფლებით, რამდენადაც მხოლოდ ტელეარხის მუშაებას შეუძლიათ შეადგინონ ტელეპროგრამები. მაგრამ ვალდებულნი არიან, ყველას გაუყონ თავიანთი შრომის შედეგები, უფლება არა აქვთ, უარი თქვან მაუწყებლობის ტელეპროგრამების გაყიდვაზე. თავიანთი პროდუქტის გაყიდვა ტელეკომპანიებს შეუძლიათ ურთიერთმისაღები საბაზრო ფასებით.¹

კანონმდებლობა ურანლისტს ანიჭებს მთელ რიგ მნიშვნელოვან უფლებებს, რომლებიც ეხებიან მათ მიერ შედგენილი ცნობებისა და მასალების მომზადებასა და გავრცელებას. ურანლისტს შეუძლია გადმოსცეს თავისი პირადი მოსაზრებანი და შეფასებანი ცნობებში და მასალებში, რაც გათვალისწინებულია მისი ხელმოწერით გავრცელებისათვის.

თუ ურანლისტი აღმოაჩენს, რომ მის მიერ მომზადებული მასალა დამახინჯებულია სარედაქციო მომზადების პროცესში, იგი უფლებამოსილია მოხსნას მასზე თავისი ხელმოწერა ან სხვაგვარად მოელაპარაკოს რედაქციას თავისი მასალის გამოყენების პირობებზე. ყოველივე ეს ეწინააღმდეგება „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლს, რომლის თანახმად,

1. Воинов А Е Конц "дела Магилл" //ВМП. 1995 №: 6 С.9 (www.medialaw.ru).
Noam, Eli M., television in Europe (New York: Oxford University Press, 1992).

საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც შექმნილია სამუშაოს მიმცემის უშუალო სამსახურებრივი დავალების შესრულების წესით (სამსახურებრივი ნაწარმოები) ეკუთვნის სამსახურებრივი ნაწარმოების ავტორს. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მასმედიაში საავტორო უფლებებს გააჩნია თავისებურებანი.

ზემოთ აღნიშნული ნორმის შესაბამისად, ჟურნალისტს ან ფოტოგრაფს, რომელიც გაზეთის შტატიანი თანამშრომელია, არა აქვს უფლება მოითხოვოს ანაზღაურება საგაზეთო მასალის მომზადებისთვის, რომელიც შექმნილია სამსახურებრივი დავალების სახით.

იგულისხმება, რომ შემოქმედებითი შრომა ანაზღაურებულია რედაქციის მიერ ხელფასის სახით, ხოლო რედაქცია მოიპოვებს ამ მასალის გამოქვეყნების განსაკუთრებულ უფლებას.

საქართველოს საავტორო კანონმდებლობის თანახმად, საავტორო უფლების სუბიექტი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი და გამონაკლის შემთხვევებში იურიდიული პირი. ეს უკანასკნელი, როგორც საავტორო უფლების სუბიექტი, ავტორობის უფლებას ვერ იძენს.¹

იურიდიულ პირებს, როგორც საავტორო სამართლის სუბიექტებს წარმოადგენენ გაზეთების, ჟურნალების რედაქციები, ინფორმაციული სააგენტოები და ა. შ. კანონი დასაშვებად მიიჩნევს გადავიდეს მათზე საავტორო უფლებანი, უპირველეს ყოვლისა, ქონებრივი. ასეთი გადასვლა ხორციელდება სამსახურებრივი და შედგენილი ნაწარმოების შექმნისას.

საკითხი საავტორო უფლების მფლობელობის შესახებ სამსახურებრივი მოვალეობის ან სამსახურებრივი დავალების სახით შექმნილ ნაწარმოებზე რეგულირდება შემდეგნაირად: პირადი, არაქონებრივი უფლებანი ასეთ ნაწარმოებზე ეკუთვნის ავტორს, ხოლო ქონებრივი უფლებანი – სამუშაოს დამკვეთს, ე. ი. პირს, რომელთანაც ავტორი თანამშრომლობს.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი აფიქსირებს, რომ პერიოდული და ერთმანეთის გამაგრძელებელი კრებულების, გაზეთების, ჟურნალებისა და სხვა

1. დ. ბაქრაშვილი. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბ., 2000, გვ. 32-33.

პერიოდული გამოცემის გამომცემლებს ეკუთვნით ამ გამოცემაში შესულ ნაწარმოებთა გამოყენების განსაკუთრებული უფლება. დაუშვებელია გაზეთში, ჟურნალში ან სხვა პერიოდულ გამოცემაში შესული ნაწარმოების გამოყენება სხვა პირის მიერ ამ გაზეთის, ჟურნალის ან პერიოდული გამოცემის გამომცემლის ან ასეთი ნაწარმოების ავტორის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. პრესაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებული ექსკლუზიური მასალის სხვა საინფორმაციო საშუალებების მიერ გამოყენების შემთხვევაში, აუცილებელია იმ საინფორმაციო საშუალების დამოწმება, რომელშიც ეს მასალა პირველად გამოქვეყნდა.

გამოცემაში შესულ ნაწარმოებთა ავტორები ინარჩუნებენ თავიანთი ნაწარმოებების გამოყენების განსაკუთრებულ უფლებას, თუ საავტორო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ავტორის მიერ სამუშაოს მიმცემისთვის ნაწარმოების გადაცემიდან 5 წლის შემდეგ მისი გამოყენების განსაკუთრებული უფლება გადადის ავტორზე, თუ მას და სამუშაოს მიმცემს შორის სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამ დებულებიდან გამომდინარე, ჟურნალისტი მოიპოვებს განსაკუთრებულ უფლებას მის მიერ შექმნილ სამსახურებრივ ნაწარმოებზე, ნაწარმოების გადაცემიდან 5 წლის შემდეგ. ამასთანავე, საავტორო კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ თუ სამუშაოს მიმცემი ნაწარმოების გადაცემიდან 3 წლის განმავლობაში არ გამოიყენებს ნაწარმოებს, მისი გამოყენების განსაკუთრებული უფლება გადადის ავტორზე. ეს დებულება გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ნაწარმოების გამოყენება საპატიო მიზეზის გარეშე შეწყვეტილია 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

მასობრივი ინფორმაციის ბეჭდვით საშუალებებში ბევრი ნაწარმოები, როგორც წესი, სრულდება შტატისანი ჟურნალისტების მიერ, რომლებიც რედაქციებთან იმყოფებიან შრომით ურთიერთობაში და მათი ნაწარმოებები უნდა ჩაითვალოს სამსახურებრივად.

აღსანიშნავია, რომ ამ სფეროში ჟურნალისტთა საავტორო უფლებები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და დაცული. გაზეთებსა და

ჟურნალებში გამოქვეყნებული ჟურნალისტური მასალები შემდგომში შეიძლება არაერთგზის გამოიყენონ სხვა პირებმა. არცთუ იშვიათად ეს ხდება ავტორის თანხმობისა და მისთვის პონორარის გადახდის გარეშე.

რა თქმა უნდა, თითოეულ ჟურნალისტს ცალკეულად არ შეუძლია თვალ-ყური ადევნოს როგორ გამოიყენებენ მის ნაწარმოებს პირველი გამოქვეყნების შემდეგ.

ჟურნალისტთა საავტორო უფლებების საერთაშორისო ფედერაციის საექსპერტო ჯგუფის თავმჯდომარის ტ. იაკობსენის აზრით, ერთხელ გამოქვეყნებული ჟურნალისტური მასალები სავსებით გამოსადეგია საავტორო უფლებების კოლექტიური მართვისათვის მეორედ გამოყენების შემთხვევაში.

გაერთიანებულ სამეფოში გაზეთის გამომცემლებმა შექმნეს საგაზეთო ლიცენზირების სააგენტო (Newspaper Licensing Agency Ltd), რათა გასცენ ნებართვა საგაზეთო პუბლიკაციების გამოყენებაზე. აშშ-ში მსგავს ამოცანებს წყვეტს ისეთი არაკომერციული ორგანიზაციები, როგორცაა საავტორო რეგისტრი და მწერალთა ნაციონალურ კავშირთან არსებული კლირინგული პალატა.¹

ასეთ საავტორო საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია ინდივიდუალურ წევრობაზე, შეუძლია გაცილებით ეფექტურად დაიცავს ჟურნალისტის პირადი და ქონებრივი უფლებები, ვიდრე თვით მასმედიის ორგანიზაციებს.

იმისთვის, რომ გაადვილდეს კონტროლი ჟურნალისტთა ნამუშევრებზე, საერთაშორისო დონეზე ინტერნეტის ქსელში უკვე მიმდინარეობს მუშაობა საგაზეთო მასალების შემქმნელი ჟურნალისტების იდენტიფიკაციის სისტემის ჩამოყალიბებისათვის.

სავტორო უფლების ობიექტებს წარმოადგენენ პერიოდული ბეჭდვითი გამოცემები, რომელთა დახასიათება მეცნიერებასა და კანონმდებლობაში დღეისათვის სრული არ არის.

1. John R. Bittner. Law and Regulation of Electronic Media Englewood Cliffs: N.J., 1994 p. 128-129.
 Ralph I. Holsinger. Media Law, N.Y., 1991. p 560.
 C. Seymour-Ure, The Political Impact of Mass Media, London, Constable, 1994. pp 157-159.

ინტელექტუალური საკუთრების საფრანგეთის კოდექსი და სასამართლო პრაქტიკა პერიოდულ გამოცემას მიიჩნევს, როგორც კოლექტიურ ნაწარმოებს.¹

რფ-ის კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ გაზეთებსა და ჟურნალებს მიიჩნევს არა როგორც კოლექტიურ, არამედ როგორც შედგენილ ნაწარმოებს, რადგან ისინი შემოქმედებითი შრომის პროდუქტს წარმოადგენენ.

საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, საავტორო უფლებათა ობიექტების ნუსხაში არ მოიხსენიებს პერიოდულ პრესას (გაზეთებს, ჟურნალებს), როგორც საავტორო უფლების ობიექტებს. კანონის მე-6 მუხლის „გ“ პუნქტი შედგენილ ნაწარმოებად მიიჩნევს ნაწარმოებს, რომელიც მასალის შერჩევისა და განლაგების მიხედვით ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს. თუ გამოიყენებთ ანალოგიას, უნდა ჩავთვალოთ, რომ პერიოდული პრესაც შედგენილ ნაწარმოებს წარმოადგენს.

კანონის მე-14 მუხლის თანახმად, პერიოდული და ერთმანეთის გამაგრძელებელი კრებულების, გაზეთების, ჟურნალებისა და სხვა პერიოდული გამოცემის გამომცემლებს ეკუთვნით ამ გამოცემებში შესულ ნაწარმოებთა გამოყენების განსაკუთრებული უფლება. გამომცემელს უფლება აქვს, ასეთი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისას მიუთითოს თავისი სახელი ან მოითხოვოს ასეთი მითითება. დაუშვებელია გაზეთში, ჟურნალში ან სხვა პერიოდულ გამოცემაში შესული ნაწარმოების გამოყენება სხვა პირის მიერ ამ გაზეთის, ჟურნალის ან სხვა პერიოდული გამოცემის გამომცემლის ან ასეთი ნაწარმოების ავტორის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა. პრესაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებული ექსკლუზიური მასალის სხვა საინფორმაციო საშუალების მიერ გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია იმ საინფორმაციო საშუალების დამოწმება, რომელშიც ეს მასალა პირველად გამოქვეყნდა.

1. Todorov, P. La presse française à l'heure de l'Europe (Paris:La documentation française). (1990). Raymond Kuhn, The Media in France, 1995, p.33

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ გამომცემლის (რედაქციის) განსაკუთრებული უფლება არის კვაზი საავტორო უფლება ან მომიჯნავე უფლების სახესხვაობა. გამომცემის უფლება რედაქციას არ გადაეცემა გამოქვეყნებული ნაწარმოების ავტორებისაგან, არამედ წარმოადგენს თავდაპირველ უფლებას. ამიტომ ავტორს, რომლის ნაწარმოები ქვეყნდება გაზეთში ან ჟურნალში, არ შეუძლია მოითხოვოს რედაქციისგან, მასთან დადოს ხელშეკრულება, რომელიც ეხება მთლიანად გაზეთის ან ჟურნალის გამოყენებას, მაგრამ აქვს უფლება, წამოაყენოს განსაკუთრებული პირობები მისი ნაწარმოების გამოყენების ან ანაზღაურების შესახებ.¹

ცხადია, რომ პერიოდული გამომცემის შექმნაში რედაქციის დიდი შემოქმედებითი შრომაა ჩადებული. ამიტომ, მათთვის განსაკუთრებული უფლების მინიჭება საესებით გამართლებულია. იგულისხმება, რომ ეს უფლება საავტორო უფლების ანალოგიურია.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა ხდება ერთი გამომცემიდან მეორეში მთლიანი ან ცალკეული მასალების გამოყენება. აღნიშნული საკითხის რეგულირება ბერნის კონვენციამ ეროვნული კანონმდებლობის პრეროგატივად მიიჩნია. საქართველოს საავტორო კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო კონორარის გადახდის გარეშე ნაწარმოების გამოყენებას, მაგრამ იმ პირობით, რომ მითითებული იყოს ავტორი და დასესხების წყარო.

რამდენადაც ამ შემთხვევაში იზღუდება ავტორის უფლება, მართლზომიერად ითვლება გამოქვეყნებული ნაწარმოებიდან მოკლე ნაწყვეტების გამოყენება ილუსტრირებულ გამომცემებში, რადიო და ტელე გადაცემებში, სასწავლო ხასიათის ფონო და ვიდეო ჩანაწერებში, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც განსაზღვრულია დასახული მიზნით. დასაშვებია გაზეთებიდან და ჟურნალებიდან მოკლე ნაწყვეტების ციტირება ბეჭდვითი მიმოხილვისთვის.

1. Гаврилов Э. П. Право издателя периодического издания и авторское право журналиста. М. 1999. С. 106

თავისუფალი გამოყენების ობიექტს წარმოადგენს მხოლოდ ისეთი ნაწარმოები, რომელიც მიეკუთვნება მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ საკითხებს. პერიოდულ გამოცემებში მართლზომიერად გამოქვეყნებული სტატიების ან ეთერში გადაცემული მსგავსი ნაწარმოების რეპროდუცირება ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით ან საჯარო გადაცემა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა სპეციალურად არ არის აკრძალული ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის მიერ.

ასევე ნებადართულია საჯაროდ წარმოთქმული პოლიტიკური მოხსენების, სიტყვის, ლექციის, მიმართვის, ქადაგებისა და მსგავსი ნაწარმოებების, მათ შორის სასამართლო პროცესებზე წარმოთქმული სიტყვების რეპროდუცირება ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა პერიოდული გამოცემების მეშვეობით ან საჯარო გადაცემა მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია საინფორმაციო მიზნით.

უფრო რთულია სიტუაცია, როცა ნაწარმოების ტექსტი, რომელიც დაცულია საავტორო უფლებით, გამოყენებულია არა მთლიანად, არამედ ციტირების ფორმით. ციტირების მიმართ ბერნის კონვენცია ადგენს შეზღუდვას – *jure conventionis*: „დასაშვებია ციტირება ე. ი. სხვისი ნაწარმოების ფრაგმენტების გამოყენება, თუ დაცული იქნება „კეთილი ჩვევები“ იმ მოცულობით, რაც საკმარისია მიზნის მისაღწევად, მათ შორის ციტირება გაზეთებიდან და ჟურნალებიდან.“

კატეგორია „კეთილი ჩვევები“ არ არის საკმარისად მკაფიო და მხოლოდ სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს რამდენად არიან ისინი დაცულნი, ან პირიქით, დარღვეული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.¹

ამ დებულების კონკრეტიზაციის საფუძველზე, საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ (მუხლი 23) ციტირებას მართლზომიერად მიიჩნევს შემდეგი პირობების დაცვით: 1. აუცილებელია მითითებული იყოს გამოყენებული ნაწარ-

1. Международные конвенции об авторском праве. Комментарий. М. 1992, С. 77.

მოების ავტორი და დასესხების წყარო; 2. ციტირება დასაშვებია მხოლოდ სამეცნიერო, კვლევითი, პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის; 3. ციტირების მოცულობა უნდა ამართლებდეს ციტირების მიზნებს;

საქართველოს საავტორო კანონმდებლობა უფლებას აძლევს საეთერო მუწყებლობის ორგანიზაციას, შემსრულებლის, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მუწყებლობის ორგანიზაციის თანხმობის გარეშე განახორციელოს შესრულების ან გადაცემის ჩაწერა მოკლევადიანი სარგებლობისთვის შემდეგი პირობების დაცვით:

- უნდა არსებობდეს წინასწარი თანხმობა ამ შესრულების ან პროგრამის გადაცემაზე;
- მოკლევადიანი ჩანაწერის დამზადება და რეპროდუცირება უნდა განხორციელდეს საკუთარი მოწყობილობით, საკუთარი გადაცემისთვის;
- მოკლევადიანი ჩანაწერი უნდა განადგურდეს კანონით გათვალისწინებული წესით.

მასმედიის ფუნქციონირება შეუძლებელია სარედაქციო ფოსტის გარეშე. წერილები, რომლებიც აუდიტორიიდან შედის მასმედიაში, წარმოადგენს რედაქციაში ინფორმაციის მოხვედრის ერთ-ერთ ძირითად ფორმას. გამომზავნს უფლება აქვს, მოსთხოვოს რედაქციას საიდუმლოდ შეინახოს მისი სახელი, როგორც ავტორისა, ახდენს რა თავისი უფლების რეალიზაციას – გამოიყენოს ნაწარმოები ფსევდონიმით ან ანონიმურად.

თუ რედაქცია თავის მხრივ იხელმძღვანელებს საავტორო კანონმდებლობით, ვალდებულია, მკაცრად დაიცვას თითოეული წერილის ხელშეუხებლობა. ასეთი მიდგომის საფუძველზე წერილი შეიძლება გამოქვეყნდეს მხოლოდ მთლიანად და ყოველგვარი შესწორების გარეშე, რამდენადაც ავტორთან შეუთანხმებლად ტექსტის ცვლილება შეიძლება ინტერპრეტირებული იქნეს, როგორც ავტორის რეპუტაციის ხელყოფა.

რა თქმა უნდა, ასეთი პრაქტიკა არ შეიძლება რეალურად არსებობდეს მასმედიის რედაქციებში, სადაც ათი ათასობით წერილი შედის.

იგულისხმება, რომ წერილის გამოქვეყნებაზე ავტორის თანხმობა არ არის საჭირო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წერილში არის თხოვნა კონფიდენციალობაზე. ასევე არ არის საჭირო თანხმობა წერილის ტექსტის რედაქტირებაზე. მთავარია, რომ არ დამახინჯდეს წერილის აზრი.

ადგენს რა განსხვავებას საავტორო ნაწარმოებსა და წერილებს შორის, კანონმდებლობა მხოლოდ პირველის მიმართ ავალდებულებს რედაქციას, დაიცვას ავტორის უფლებები. წერილების მიმართ კანონი ირჩევს სხვაგვარ მიდგომას. იგი ნებას რთავს რედაქციას, არ უპასუხოს მოქალაქეთა წერილებს და გადაუგზავნოს ისინი იმ სახელმწიფო ორგანოებს, რომელთა კომპეტენციაში შედის მათი განხილვა. ასეთი საკითხები საკანონმდებლო რეგულირების გარეშეა.

პერიოდული პრესა ძნელი წარმოსადგენია ფოტოგრაფიული ნაწარმოებების გარეშე. ხანგრძლივი დროის მანძილზე ფოტოგრაფიული ნაწარმოების, როგორც საავტორო უფლების დამოუკიდებელი ობიექტის სტატუსის საკითხი დისკუსიის საგანი იყო. ბევრი განიხილავდა ფოტოგრაფიას, როგორც მხოლოდ ტექნიკური ასლის აღებას ფოტოაპარატისა და ქიმიკატების მეშვეობით. სინამდვილეში კი, ფოტოგრაფის წვლილი ფოტოგრაფიის შექმნაში შემოქმედებითი ხასიათისაა: იგი თვითონ არჩევს სიუჟეტს, აყალიბებს კომპოზიციას, აფასებს კადრის ესთეტიკურ გამოსახულებას.

საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საავტორო უფლების ობიექტად მიიჩნევს ფოტოგრაფიულ ნაწარმოებს ან ფოტოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით შექმნილ ნაწარმოებებს და მასზე ავრცელებს ავტორის ყველა უფლებას.

პრობლემა მდგომარეობს იმაში, როგორ უნდა განვასხვავოთ ორიგინალური ფოტოგრაფია, – როგორც საავტორო უფლების ობიექტი, როგორც ხელოვნების ნაწარმოები – ფოტოსურათებისაგან, რომლებსაც ყოველდღიურად იღებენ მექანიკურად და არ წარმოადგენს ორიგინალურს.

საზღვარგარეთ ეს პრობლემა წყდება სხვადასხვა საშუალებით. მაგალითად, ესპანეთის კანონმდებლობა ადგენს, რომ „უბრალო

ფოტოგრაფია“ არ მიეკუთვნება ნაწარმოებს, მაგრამ მისი ავტორები სარგებლობენ განსაკუთრებული უფლებით, ნება დართონ ნაწარმოების რეპროდუქციას, გავრცელებას ან გაყიდვას იმავე პირობით, რაც აქვს „ფოტოგრაფიული ნაწარმოების“ ავტორს.

საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა პირდაპირ პასუხს, როგორ უნდა მოხდეს სიტუაციის რეგულირება, თუ რედაქციამ შესაძლებლად მიიჩნია, გამოაქვეყნოს მკითხველის მიერ გამოგზავნილი ფოტო, ე. ი. მას მიანიჭოს ასეთი ხარისხი და ჩათვალოს საავტორო ნაწარმოებად.

ფოტოგრაფიასთან დაკავშირებით წარმოიშვება აგრეთვე სხვა პრობლემებიც. მაგალითად, იმ სურათის პუბლიკაციამ, რომელიც ეკუთვნის გამოჩენილ მხატვრებს და სკულპტორებს, შეიძლება გამოიწვიოს პრეტენზიები მუზეუმების მხრიდან.

სურათი შეიძლება ეკუთვნოდეს როგორც სახელმწიფოს, ისე იურიდიულ და ფიზიკურ პირებს. საავტორო უფლების დროის გასვლა ყოველ პირს აძლევს იურიდიულ შესაძლებლობას, ისარგებლოს ნაწარმოებით, მაგრამ არ თვლის საკუთრების ფორმას თვით მატერიალურ ობიექტებზე.

ბუნებრივია, რომ როცა ხდება ფოტოგადაღება ან სხვაგვარად განმტკიცდება სამუზეუმო საგნის გამოსახულება, საჭიროა წინასწარი ნებართვის აღება მუზეუმის ადმინისტრაციიდან.

მასობრივი ინფორმაციის სფეროში ინტელექტუალურ საკუთრებაზე საავტორო უფლებას მტკიცედ იცავენ კანონმდებლობა. ამ უფლების ყოველგვარი ხელყოფა იწვევს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. ინტელექტუალური საკუთრების უფლება დაცულია როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობით. ამ მხრივ, მეტად მნიშვნელოვანია ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია, საავტორო უფლების შესახებ მსოფლიო კონვენცია, ჟენევის კონვენცია და ა. შ. რომლებიც ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის მნიშვნელოვან ბერკეტებს წარმოადგენს.

„სხვა რა უფლებაა ადამიანისა იმაზედ უცილობელი, იმაზედ სანატრელი, იმაზედ წმინდა და ძვირფასი, რომ კაცმა კაცისაგან პატივისცემა, ღირსეულად და მართებული მოქცევა ითხოვოს.“

ილია

თავი 3. პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა მედიის სფეროში

მედია სივრცეში დაუდასტურებელი, არასანდო ინფორმაციის გავრცელება მრავალ უარყოფით შედეგს იწვევს. უპირველეს ყოვლისა, იგი ლახავს პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესებს.

თავისუფალი პიროვნება და მისი ღირსება დემოკრატიულ საზოგადოებაში უზენაესი ღირებულებაა, რომელსაც იცავს ქვეყნის ძირითადი კანონი და უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი აქტები.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის თანახმად, ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია; დაუშვებელია ადამიანის წამება, მის მიმართ არაკუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ დასჯის მეთოდების გამოყენება.

პატივი და ღირსება ყველა ადამიანის განუსხვისებელი უფლებაა. დიდი ილია წერდა: „პატივი და ღირსება ადამიანის უძვირფასეს და ხელშეუხებელ კუთვნილებას წარმოადგენს და დაცულია ყველასა და თითოეულის ხელყოფისაგან.“¹

ზოგადფილოსოფიური თვალსაზრისით, პატივსა და ღირსებას საფუძვლად უდევს სოციალურ-მორალური და ზნეობრივი კრიტერიუმები. პატივი პიროვნების საზოგადოებრივი შეფასებაა. მისი შინაარსი გამოიხატება კონკრეტული ადამიანის ინტელექტუალური და მორალურ-პოლიტიკური თვისებების შეფასებაში განსაზღვრულ საზოგადოებრივ წრეში, რომელშიც მიმდინარეობს მისი საქმიანობა.

ღირსება კი ადამიანის მიერ საკუთარი თავის თვითშეფასებაა, რომელიც ემყარება ისეთ თვისებებს, როგორცაა: სინდისიერება,

1. ი. პაუკავაიჩი, თს.ს. სრული კრებული (1951-1961), ტ. 9, გვ. 270.

თანაგრძნობა და პატივისცემა ადამიანებისადმი. ღირსება წარმოადგენს ადამიანის მიერ საკუთარი ინტელექტუალური და ზნეობრივი თვისებების შეფასებას.

პატივსა და ღირსებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საქმიანი რეპუტაცია, რომელშიც იგულისხმება საზოგადოების აზრი ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანი თვისებების შესახებ.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით გათვალისწინებულმა პრინციპმა თავისი ასახვა ჰპოვა საქართველოს კანონმდებლობაში; ადამიანის პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვა განმტკიცებულია სამოქალაქო კოდექსის დებულებებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში დისკუსიას იწვევს საკითხი იმის შესახებ, დგას თუ არა სიტყვის, აზრისა და მასობრივი ინფორმაციის თავისუფლება პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლებაზე მაღლა, თუმცა ასეთი დისკუსიის საფუძველი არ არსებობს. საქართველოს კონსტიტუცია თანაბრად იცავს ორივე მათგანს. ყოვლად დაუშვებელია ამ ორი ფუძემდებლური უფლების დაპირისპირება ან უგულებელყოფა. სიტყვის, აზრისა და მასობრივი ინფორმაციის თავისუფლება დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, რომ ისინი არ უნდა იქნენ გამოყენებული სხვისი უფლების დასარღვევად. ამიტომ ითვალისწინებს კანონმდებლობა ამ ორი უფლების ბალანსს.

სამწუხაროდ, სიტყვის, აზრისა და მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების ფონზე ხშირად ირღვევა ადამიანის უფლებები, ილახება მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებამ, საზოგადოებაში მიმდინარე დემოკრატიულმა პროცესებმა აამაღლა პიროვნებისადმი პატივისცემა, საშუალება მისცა ადამიანს, შეეგნო თავისი მოქალაქეობრივი ღირსება. თანამედროვე მრავალფეროვან საზოგადოებაში, პოლიტიკური და იდეოლოგიური პლურალიზმის, სიტყვისა და მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების, გლობალური საინფორმაციო სივრცის შექმნის პირობებში იზრდება ისეთ კატეგორიათა სამართლებრივი დაცვის მნიშვნელობა, როგორიცაა პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობას საზოგადოებაში მორალური და სამართლებრივი ნორმები არეგულირებს და ადგენს პიროვნების პირად ცხოვრებაში ჩარევის საზღვრებს. კანონმდებლობა ქმნის ეფექტურ მექანიზმს დარღვეული უფლების სამართლიანად აღდგენისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით. ამ მექანიზმში მოიაზრება სამართლის თითქმის ყველა დარგის ნორმები, განსაკუთრებით კი სამოქალაქო სამართლის დებულებები. სიტყვის, აზრისა და მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების რეგულირება გათვალისწინებულია საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონით „სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლების შესახებ“.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. განაცხადებს რა ამ კონსტიტუციურ ნორმას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის „2“ პუნქტი ადგენს: „პირს უფლება აქვს, სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომელიც ღაბღავს მის პატივს, ღირსებას და პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეესაბამება. იგივე წესი გამოიყენება ფაქტობრივი მონაცემების არასრულად გამოქვეყნებისთვის, თუკი ამით ილახება პირის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.“

თანამედროვე სამოქალაქო სამართალში პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის საშუალებას წარმოადგენს გავრცელებული ცნობების უარყოფა ან დაზარალებულისთვის მორალური ზიანის კომპენსაცია.

საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლების შესახებ“ ითვალისწინებს, რომ ცილისწამებასთან დაკავშირებით მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ. დაუშვებლად არის მიჩნეული მოპასუხის იძულება, მოიხადოს ბოდიში. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე კანონით დადგენილ ვადაში განახორციელებს შესწორებას ან უარყოფას, მაგრამ მათი გამოქვეყნება

არ არის საკმარისი ცილისწამებით მოსარჩლისთვის მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისთვის, მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს მოსარჩლისთვის ქონებრივი ან არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება.

მორალური ზიანის ცნებას კანონმდებლობაში, როგორც ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის მომცველ დეფინიციას, მეტად ფართო ასპექტი აქვს. მორალური ზიანი ნიშნავს ადამიანის ფსიქიკის სფეროში ნეგატიური ცვლილებების გამოწვევას. იგი ხშირად უფრო ძნელად ასატანია დაზარალებულისთვის, ვიდრე ქონებრივი ზიანი, ვინაიდან მორალური ზიანის არსი ადამიანის ფიზიკურ და სულიერ ტრამეაში გამოიხატება. მორალური ზიანის შედეგად პირს ეუფლება შიში, დამცირება, უმწეობა, სირცხვილი, დისკომფორტული განცდა, აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების გაგრძელების შეუძლებლობა და სხვა უარყოფითი განცდები.

პატივისა და ღირსების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომელთა მიმართ გავრცელებულია უფლებაშემლახავი ცნობები და რომლებმაც უშუალოდ განიცადეს მორალური ზიანი.

„მორალური ზიანის ანაზღაურების პირობითი ხასიათიდან გამომდინარე, კანონმდებელმა უარი თქვა მისი კონკრეტული მატერიალური ფორმისა და ოდენობის განსაზღვრაზე და ეს საკითხი სასამართლოს თავისუფალ ნებას მიანდო გადასაწყვეტად“ – აღნიშნავს პროფ. შ. ჩიკვაშვილი.¹

ცივილიზებულ სამყაროში პატივისა და ღირსების დაცვასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი ადგენს: „ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინება ხელშეუვალია.“

1 შ. ჩიკვაშვილი. პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის. თბ. 2003, გვ. 30.

„დემოკრატიულ საზოგადოებაში პირადი ცხოვრების პრობლემას, ანუ იგივე პრაივესს, (ინგლ. privacy – საიდუმლო, პირადი ცხოვრება) დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამერიკელი იურისტები პრაივესს განიხილავენ, როგორც განსაკუთრებულ სამართლებრივ კატეგორიას და იზიარებენ აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლის, ბრანდეიზის ცნობილ ფორმულირებას, რომლის თანახმად „ადამიანს აქვს უფლება, თავი დაანებონ მას“.¹

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა მიეკუთვნება უნივერსალურ უფლებათა რიცხვს. კანონმდებლობა ითვალისწინებს ამ უფლების რეალიზაციის მნიშვნელოვან გარანტიებს. მისი დაცვის პრობლემა მასმედიის მხრიდან ხელყოფის შემთხვევაში არსებითია, რამდენადაც ჟურნალისტურ საქმიანობაში მორალისა და ზნეობის თემა ხშირად არის დაკავშირებული პირადი ცხოვრების სფეროსთან.

„მედიის პროფესიულ სტანდარტში“ მითითებულია, რომ მედიამ პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას. ადამიანის პირადი ცხოვრება, ამ პირის თანხმობის გარეშე, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაშუქდეს მედიის საშუალებებში, თუ ეს შეესაბამება საზოგადოებრივ ინტერესებს. ჟურნალისტი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ბავშვების და იმ პირთა პირად ცხოვრებას, რომლებიც ვერ აცნობიერებენ მათი განცხადებების ან ქმედებებით გამოწვეულ შედეგს. ჟურნალისტმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს ადამიანთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მითითებისას. მან ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს დაზარალებულთა და მათი ახლობლების ინტერესები, როცა საქმე ეხება უბედური შემთხვევების ან დანაშაულის გაშუქებას; არ დაასახელოს დაზარალებული პირის ვინაობა, ამ პირთა ოჯახის წევრებისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე.

მოქალაქეთა პატივისა და ღირსების, პირადი ცხოვრებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების გავრცელება უპირატესად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებით ხდება, თუმცა

1. პ. ცნობილადე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბ. 2004, გვ. 311.

ის შუიძლება გამოთქმული იყოს საჯარო გამოსვლებში, თანამდებობის პირებისთვის განკუთვნილ განცხადებაში, სამსახურებრივ დახასიათებაში და ა. შ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „თუ პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებით.“ ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „მოქალაქეს, რომლის შესახებაც მასმედიაში გამოქვეყნდა მისი უფლების ან კანონიერი ინტერესების შემლახავი ცნობები, აქვს მასმედიის იმავე საშუალებებში საკუთარი პასუხის გამოქვეყნების უფლება.“

უფლებაშემლახავია ისეთი ცნობები, რომელთაც კანონების ან თანაცხოვრების წესების თვალსაზრისით შეუძლიათ ჩრდილი მიაყენონ პირის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას საზოგადოების ან ცალკეულ მოქალაქეთა თვალში, ცნობები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს ამა თუ იმ პირის მორალურ შეფასებაზე, ან მიანიშნებს სუბიექტის განსაზღვრულ თვისებებზე, ასევე ცნობები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებს პირის პატივს, ღირსებას ან საქმიან რეპუტაციას.

მართებულად აღნიშნავს პროფ. შ. ჩიკვაშვილი, რომ „პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვისთვის აუცილებელია, რომ გავრცელებული ცნობები უფლებაშემლახავი იყოს კანონის, მორალის ან ზნეობის თვალსაზრისით, და არა დაზარალებულის გადასახედიდან, რომელსაც მათი ინდივიდუალური შეფასება სარჩელის წარდგენისკენ უბიძგებს, მართალია, კანონმდებელს არ დაუდგენია პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების კონკრეტული ჩამონათვალი, მაგრამ სასამართლოების პრაქტიკულ საქმიანობაში ყველაზე ხშირია სარჩელები იმ ინფორმაციის უარყოფის შესახებ, რომელიც პროფესიულ საქმიანობას, თანაცხოვრების წესების დარღვევასა და კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში დადანაშაულებას შეეხება.“¹

1 შ. ჩიკვაშვილი, დახას. ნაშრ. გვ. 148.

კანონმდებლობაში და იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული ცნებები: „უფლებაშემლახავი“, „შემარცხენელი“ პრაქტიკულად რთული შესაფასებელია, თუმცა უფლებაშემლახავი ცნობა შემარცხენელი იქნება და პირიქით. რაც შეეხება „სინამდვილესთან შეუსაბამობას“, იგი გულისხმობს საქციელის, ქმედების, მოვლენის შესახებ გავრცელებული ცნობის შეუსაბამობას რეალურ სინამდვილესთან.

თუ ცნობები უფლებაშემლახავია, ისინი:

- არ უნდა შეესაბამებოდნენ სინამდვილეს და
- შეიცავდნენ მტკიცებას კანონმდებლობის ან მორალური პრინციპების დარღვევის შესახებ.¹

ადრე მოქმედი კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ უფლებას აძლევდა მოქალაქეს ან იურიდიულ პირს, მიემართათ უშუალოდ რედაქციისთვის და მოეთხოვათ სინამდვილესთან შეუსაბამო პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების უარყოფა. ასეთივე უფლება ენიჭებოდათ მოქალაქისა და იურიდიული პირის კანონიერ წარმომადგენლებს. რედაქცია ვალდებული იყო, უარეყო მის მიერ გავრცელებული ფაქტები, თუ მას არ ჰქონდა ამ ცნობათა სინამდვილის დამამტკიცებელი ფაქტები/საბუთები.

ამჟამად მოქმედი კანონი არ ითვალისწინებს ანალოგიურ წესს, იგი ადგენს სასამართლო გარანტიებს დარღვეული უფლების აღდგენის შემთხვევაში. მიგვაჩნია, რომ სასამართლო დავების შემცირების მიზნით მიზანშეწონილია, პირს ჰქონდეს რედაქციისადმი მიმართვის უფლება და სასამართლომ სარჩელი განიხილოს იმ პირობით, თუ რედაქცია სადავო პუბლიკაციის უარყოფაზე უარს იტყვის.

იმ შემთხვევაში, როცა მასმედიაში მოქალაქის ან იურიდიული პირის შესახებ გამოქვეყნებული ცნობები (იმისგან დამოუკიდებლად შეესაბამება თუ არა ისინი სინამდვილეს), არ ლახავს პატივსა და ღირსებას, მაგრამ მაინც ავიწროებს მოქალაქის კანონით დაცულ ინტერესებს და იურიდიული პირის საქმიან რეპუტაციას, აქვთ თუ

1. Защита чести и достоинства Теоретические и практические вопросы / Под ред. Г.В. Вишукорова, А. Г. Рихтера, В.В. Чернышова. М 1997. С. 172.

არა მათ მასშტაბის რედაქციისადმი მიმართვის უფლება? ამ საკითხს მოქმედი კანონმდებლობა არ არეგულირებს.

როცა გავრცელებულია ცნობები, რომელთაც თუმცა არავითარი ზემოქმედების მოხდენა არ შეუძლიათ პიროვნების საზოგადოებრივ შეფასებაზე, მაგრამ შეუძლიათ სულიერი ტანჯვა ან ზოგჯერ ფსიქიკური დარტყმა მიაყენოს ადამიანს (მაგალითად, დაბადების საიდუმლოს გამხელა, ინფორმაციის გავრცელება ადამიანის ავადმყოფობის შესახებ და სხვა), საჭიროა ღიფერენციურული მიდგომა, ვინაიდან ადამიანის ღირსების შემლახავი გარემოებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება შეიძლება განსხვავებული მიზეზებით იყოს განპირობებული. მაგალითად, ცნობების გავრცელება პიროვნების უღირსი საქციელის შესახებ ზშირად საზოგადოებრივი მოთხოვნისგან ან აღმზრდელისგან განსხვავებითაა მოსაზრებებითაა ნაკარნახევი. მაგრამ თუ ასეთი მიზეზები არ არსებობს და სინამდვილესთან შესაბამისი ცნობების გავრცელებამ მნიშვნელოვანი სულიერი და ფსიქიკური დარტყმა მიაყენა ადამიანს, გაურკვეველია იქნება თუ არა მისი უფლებები დაცული.

ჟურნალისტს პასუხისმგებლობა ეკისრება სინამდვილესთან შეუსაბამო პატივისა და ღირსების შემლახავი ინფორმაციის გამო, თუ ეს ინფორმაცია გავრცელებულია პრესის, ტელევიზიის ან რადიოს საშუალებით დამოუკიდებლად იმისა, გავრცელება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოხდა თუ დაფიქსირდა პირთა ფართო წრისათვის განკუთვნილ ოფიციალურ აქტში.

მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს უარყოფის მოთხოვნასთან ერთად ან დამოუკიდებლად. სასამართლო კომპენსაციის ამოსავალ კრიტერიუმად მიიჩნევა შემლახავი ცნობების გავრცელების არეალს. მასშტაბში გავრცელებული უფლებაშემლახავი ცნობები, რა ფორმითაც უნდა იყოს იგი: შეურაცხმყოფელად, უხეშად თუ თავაზიანად, ყველა შემთხვევაში უარყოფილ უნდა იქნეს.

კანონი „სტიქიისა და გამოზატვის თავისუფლების შესახებ“ ითვალისწინებს, რომ ცილისწამების შესახებ სასამართლო დავისას სასამართლო იღებს ზომებს მხარეთა მოსარიგებლად, უფლება აქვს

გადადოს საქმის განხილვა და დანიშნოს შერიგების ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს.

რფ-ის კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ მოქალაქეს, რომლის მიმართაც მასმედიაში გამოქვეყნებულია მისი უფლების შემლახავი ცნობები, უფლება აქვს, თვითონ დაწეროს უარყოფის ტექსტი და ამ შემთხვევაში რედაქცია არ არის უფლებამოსილი მასში შეიტანოს ცვლილებები. ამასთანავე უარყოფის ტექსტის მოცულობამ არ უნდა გადააჭარბოს უფლებაშემლახავი ფრაგმენტის მოცულობას 2-ჯერ მეტად. იგივე წესი გამოიყენება ფაქტობრივი მონაცემების არასრული გამოქვეყნების შემთხვევაში, თუ ამით ილახება პირის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

ამასთანავე რფ-ის კანონში „მასმედიის შესახებ“ დაზუსტებულია, რომ უფლებაშელახულ პირს საპასუხო ცნობების გამოქვეყნება შეუძლია ბეჭდვითი გამოცემის იმავე გვერდზე და სვეტში, სადაც დაბეჭდილი იყო პირველი მასალა, იმავე შრიფტით და დასათაურებული სიტყვით „უარყოფა“, ხოლო რადიოში და ტელევიზიაში უარყოფა უნდა მოხდეს იმავე გადაცემაში და დღის იმავე დროს.¹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს იმ ცნობების უარყოფას, რომლებიც ამცირებს მოქალაქეთა კანონით დაცულ უფლებებსა და ინტერესებს. აქ იგულისხმება კანონით განმტკიცებული ყოველგვარი უფლება და ინტერესი მოქალაქისა და ორგანიზაციისა. ასეთი შეიძლება იყოს ფაქტობრივი შეცდომა, სინამდვილის შესაბამისი, მაგრამ უფლებაშემლახავი ცნობები. კანონმდებლობის საერთო პრინციპებიდან გამომდინარე, მოქალაქეს და ორგანიზაციას უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს, თუმცა სასურველია, კანონმა მოაწესრიგოს ასეთი ცნობების უარყოფის წესი.

პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის განხორციელების პროდუქტია ცნობა ფაქტებისა და მოვლენების შესახებ, რომელიც გამოხატულია აზრში. აზრს (კომენტარი, შედარება და

1. Федотов М. А. Защита чести, достоинства и деловой репутации в сфере массовой информации в кн: Правовые основы журналистики М 2002, С. 246; Кузряев М. А. Способы защиты чести, достоинства, доброго имени и деловой репутации в современном Российском праве // ЗИП. 1998, № 9-10, С. 25-40

ა.შ.) უნდა ჰქონდეს იმუნიტეტი იმ სარჩელებზე, რომლებიც ეხება ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას. შეფასებითი გამონათქვამები, თუ ისინი არ ატარებენ შეურაცხმყოფელ ხასიათს, არ ქმნიან დელიქტის შემადგენლობას.

ფაქტები, რომლებსაც ეყრდნობა ჟურნალისტი, უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს და გადმოცემული იყოს, როგორც საიმედო. ფაქტების შემოწმება ჟურნალისტის მოვალეობაა, მაგრამ ჟურნალისტებს არ გააჩნიათ საგამოძიებო აპარატი და ამდენად არ შეუძლიათ დარწმუნდნენ, რომ ფაქტები 100%-ით შეესაბამება სინამდვილეს. ამდენად, შეუძლებელია იმ ზღვარის განსაზღვრა, რაც არსებობს ფაქტსა და აზრს შორის. როცა საქმე ეხება აზრისა და ფაქტების ურთიერთგამიჯვნას, იყენებენ ასეთ სენტენციას: არ არსებობს „ცრუ იდეა“.¹

ასეთი თვალსაზრისი ემყარება დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის სასამართლო პრაქტიკას. აშშ-ში, სადაც პრესის უფლება თითქმის აბსოლუტურია, პრაქტიკულად შეზღუდულია ჟურნალისტთა შესაძლებლობა – მოახდინონ ფაქტებით მანიპულირება და ბოროტად გამოიყენონ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება.²

საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ ადგენს განსხვავებას აზრსა და ფაქტს შორის. აზრი შეფასებითი მსჯელობაა, თვალსაზრისი ან კომენტარია, ნებისმიერი სახით შეხედულებების გამოხატვაა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს. აზრი ყოველთვის სუბიექტურია და არ შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც მტკიცება. იგი შეიძლება იყოს „სამართლიანი და არასამართლიანი“. ფაქტი კი რეალური სინამდვილის მოვლენაა, რომელიც შეიძლება დადასტურებულ ან უარყოფილი იქნეს.

„მედიის პროფესიულ სტანდარტში“ მითითებულია, რომ „ინფორმაციის მიწოდების ფაქტი, ჟურნალისტის თვალსაზრისი და მესამე პირის კომენტარი ერთმანეთისგან მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს.“

1. Pincus A. F. უკ. პროიზ. С. 283.

2. Manoff, Robert K. 'Independence and Mass Media in Transition', unpublished paper, Conference on Mass Media in Transition, American University, Washington, DC, 1994.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად პირადი, არაქონებრივი უფლების დაცვის პროცესში მოსარჩლეა პირი, რომლის უფლება დარღვეულია, მოპასუხე კი პირი, რომელმაც გაავრცელა უფლებაშემლახავი ცნობები. სწორედ მოპასუხეს ეკისრება გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შესაბამისობის საკითხის მტკიცება. მოსარჩლემ კი უნდა დაარწმუნოს სასამართლო, რომ მის შესახებ უფლებაშემლახავი ცნობები გავრცელებულია მასმედიის მეშვეობით.

საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ იმპერატიულად აწესებს, რომ ცილისწამებისათვის პასუხისმგებელ პირს მედიაში ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებულ ცილისწამებასთან დაკავშირებულ სასამართლო დავისას მოპასუხეა მედიის მესაკუთრე. აღნიშნული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე მასმედიაში გავრცელებული ცილისწამებლური ცნობებისათვის ყველა შემთხვევაში პასუხს აგებს მასმედიის მესაკუთრე და არა ის ჟურნალისტი, რომლის სტატიასთან ან სიუჟეტთან დაკავშირებით წარმოიშვა სასამართლო დავა.

აღნიშნული ნორმა ერთი მხრივ ხელს უწყობს მასმედიაში თვითრეგულირების მექანიზმის განვითარებას, ამაღლებს მასმედიის მესაკუთრის პასუხისმგებლობას, მეორე მხრივ წარმოშობს ზოგიერთ პრობლემას. კერძოდ, გაურკვეველია ვის დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, როცა მასმედიას რამდენიმე მესაკუთრე ჰყავს. იგულისხმება, რომ ისინი პასუხს აგებენ სოლიდარულად, თუნდაც ბრალი არ მიუძღოდეთ ჟურნალისტის უპასუხისმგებლო მოქმედებაში. გარდა ამისა, ქმნის იმის საფუძველს, რომ მასმედიის მესაკუთრემ დაითხოვოს ჟურნალისტი, რომლის გამოც მას დაეკისრა პასუხისმგებლობა და მკაცრი კონტროლი დაუწესოს ყოველ მომდევნო მასალას, რაც ფარული ცენზურის საშიშროებას წარმოადგენს. ცენზურა კი აკრძალულია, როგორც კონსტიტუციით (მუხლი 24), ასევე დასახელებული კანონით (მუხლი 3).

აღნიშნული ნორმა ეწინააღმდეგება კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტს, რომლის მიხედვით, სასამართლო დავისას არასათანადო მოპასუხეა პირი, რომელიც არ არის განცხადების ავტორი ან

რედაქტორი, ან პირი, რომელმაც ტექნიკურად უზრუნველყო განცხადების გავრცელება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის აშკარად და პირდაპირ უჭერს მხარს განცხადებას. აღნიშნული ნორმა საკმაოდ ბუნდოვანი და გაურკვეველია, განსაკუთრებით ფრაზა, როცა ის (ე.ი. მოპასუხე) აშკარად და პირდაპირ უჭერს მხარს განცხადებას.

კანონის მე-6 მუხლის ინტერპრეტაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შესაძლოა არსებობდეს ვიღაც მესამე პირი, რომელიც არ არის არც ავტორი, არც რედაქტორი და არც ტექნიკური გამავრცელებელი და მაინც ითვლებოდეს მოპასუხედ.

კანონი ასევე არ განმარტავს, ვინ უნდა აგოს პასუხი საზოგადოებრივ ტელევიზიაში ან ინტერნეტში გამოქვეყნებული ცილისმწამებლური ცნობებისათვის.

კანონით წინასწარ არის დადგენილი მოპასუხის ვინაობა, რაც საპროცესო კანონმდებლობის უგულებელყოფაა, რადგან მოსარჩლის პრეროგატივაა, სასამართლოში სარჩელის შეტანისას მიუთითოს მოპასუხე, რომლისგანაც მოითხოვს პასუხისმგებლობას.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ თუ სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, შეუძლია მოსარჩლის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე, ხოლო თუ მოსარჩლე არ დაეთანხმება, სასამართლო უარს ეტყვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე. ასეთი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს შეუძლია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტზე დაყრდნობით საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ ითვალისწინებს, რომ სასამართლოს დავის საგანი არ შეიძლება იყოს ისეთი განცხადება, რომელშიც მოსარჩლე არ არის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული, რადგან არაგონივრულია მასმედიას პასუხი მოსთხოვო იმ ინფორმაციის გავრცელებისათვის, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ ჯგუფს.

ყოველგვარი ეჭვი სასამართლოში საქმის განხილვისას უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ.

კანონის თანახმად, ეჭვი შეიძლება წარმოშვას მრავალმა საკითხმა, მათ შორის:

- საზოგადოებრივი ყურადღების ან ცნობისმოყვარეობის სტატუსის მინიჭების საკითხმა;
- აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხმა.

მტკიცების ტვირთი მთლიანად ეკისრება მოსარჩლეს. ის არის ვალდებული ამტკიცოს, რომ მოპასუხის მიერ გავრცელდა სადავო განცხადება, რომელიც ლახავს მის პატივსა და ღირსებას, არ შეესაბამება სინამდვილეს. ამასთანავე, განცხადება არ უნდა იყოს გაკეთებული პოლიტიკური ან სასამართლო სიტყვის თავისუფლების ფარგლებში.

თუ მოსარჩლე საჯარო პირია, მას ეკისრება ვალდებულება დაამტკიცოს, რომ გაცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისთვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება. გაურკვეველია ფრაზა „მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა.“ რა იგულისხმება მასში „ბრალეული დაუდევრობა“, თუ არაბრალეული, მაგრამ „აშკარა და უხეში“, რაც იწვევს არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელებას და ვინ უნდა გაარკვიოს ეს საკითხი?

კანონმდებლობით იკრძალება პროფესიული საიდუმლოების და მისი წყაროს გამჟღავნება. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი კი ადგენს, რომ დაუშვებელია მოპასუხის უარი – გაამხილოს პროფესიული საიდუმლოება ან მისი წყარო, რაც გახდება მოპასუხის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანის ერთადერთი საფუძველი. ამ დანაწესის შესაბამისად, ჟურნალისტი ვალდებულია გაამხილოს პროფესიული საიდუმლო და მისი წყარო და ამით საფუძველი შეუქმნას მოპასუხის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანას. კანონის ეს დანაწესი ეწინააღმდეგება სხვადასხვა სამართლებრივ ნორმას. კერძოდ, მოწმის უფლებას, უარი თქვას ჩვენების მიცემაზე, დუმილის უფლებას, სასულიერო პირის უფლებას არ გაამჟღავნოს აღსარების საიდუმლოება და რაც მთავარია ამავე კანონის 11.1 მუხლს, რომელშიც აღნიშნულია, რომ „პროფესიული

საიდუმლოების წყარო დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და არავის არ აქვს უფლება, მოითხოვოს ამ წყაროს გამხელა“.

ამავე მუხლის მე-2, მე-3, მე-4 პუნქტები დასაშვებად მიიჩნევენ კონფიდენციალური ინფორმაციის გამხელას მფლობელის თანხმობის ან სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ამასთანავე სასამართლოს შეუძლია, განჩინება გამოიტანოს კონფიდენციალური ინფორმაციის მხოლოდ იმ ნაწილის გამხელასთან დაკავშირებით, რომლის გამხელის აუცილებლობაც დამტკიცდება. ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მიზნით, რომლისთვისაც მოხდა მისი გამხელა.

„მედიის პროფესიული სტანდარტი“ ითვალისწინებს, რომ „თუ წყარო ინფორმაციის მიწოდებაზე მხოლოდ იმ პირობით თანხმდება, რომ ჟურნალისტი არ გაამჟღავნებს მის ვინაობას, თავის მხრივ, ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, მაშინაც კი, თუ ასეთი პოზიცია პრობლემებს შეუქმნის მას“.

ასეთი კოლიზიური ნორმების არსებობა არ იძლევა იმის შესაძლებლობას, განისაზღვროს, რა შემთხვევაში ეკისრება ჟურნალისტს პასუხისმგებლობა კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებისათვის.

ამჟამად მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით რეგულირებულია დიფამაციის ინსტიტუტი. „დიფამაცია“¹ ცივილიზებულ ქვეყნებში მიღებული იურიდიული ტერმინია. მასში იგულისხმება სინამდვილესთან შესაბამო ფაქტობრივი ცნობები, რომლებიც ხელყოფენ დაზარალებულის პატივს, ღირსებას და საქმიან რეპუტაციას.

სამოქალაქო-სამართლებრივ მეცნიერებაში დიფამაცია ნიშნავს სინამდვილის შესაბამისი უფლებაშემლახავი ცნობების გავრცელებას, იმ დროს, როცა ცივილისტური დოქტრინა და დასავლეთის ქვეყნების სამართალი ამ ცნებაში მოიაზრებს უფლებაშემლახავ, შეურაცხყოფელი ცნობების გავრცელებას საერთოდ, დამოუკიდებლად იმისა, შეესაბამებიან თუ არა ისინი სინამდვილეს.²

1. ტერმინი დათსიური წარმოსობისა – diffamatio. მისგან წარმოდგება ინგლისური "defame". რაც ნიშნავს „ახსელის გატეხას“.

2. Мухомо Е. А. Возмещение морального вреда при диффамации "Правоседение", М. 1992. №6. С. 63-69.

ღიფამაციური სამართლის ნორმები მოქმედებს როგორც რომანულ-გერმანულ სამართალში, ასევე ანგლო-ამერიკულ სამართალში. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში მოქმედებს 1996 წლის კანონი ღიფამაციის შესახებ (Defamation Act 1996).

როგორც კონტინენტური ევროპის, ისე ბრიტანული თანამეგობრობის და ჩვეულებითი სამართლის სხვა ქვეყნებში, უკანასკნელი წლების ტენდენციების თანახმად აღინიშნება სისხლის სამართლებრივი სასჯელის შეფარდების შეწყვეტა ღიფამაციისათვის. ასეთი დელიქტებისათვის შეეფარდება ძირითადად სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა.¹

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ღიფამაციის საზღვარგარეთული ინსტიტუტი მსგავსია პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტუტისა, მაგრამ ღიფამაციურ სამართალში სამოქალაქო-სამართლებრივი პრაქტიკა ამ არამატერიალური სიკეთის დაცვისა შესაძლებელია მხოლოდ მასობრივი ინფორმაციისა და სიტყვის თავისუფლების დაცვის პირობით. ამიტომ ყოველი ღიფამაციური დავის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადაიჭრას კოლიზია ერთი მხრივ, პატივისა და ღირსების დაცვის უფლებასა და მეორე მხრივ, სიტყვისა და მასობრივი ინფორმაციის თავისუფლებას შორის.

მსოფლიო სამართლებრივ სისტემაში ღიფამაციურ სამართალს ამაჲმად მოკრძალებული ადგილი უჭირავს, მაგრამ თუ მას შეეაფასებთ პრიორიტეტული თვალსაზრისით, გაეითვალისწინებთ, რომ სამართლის დაცულ სიკეთეთა შორის პირველი ადგილი უჭირავს კონკრეტული ინდივიდის თავისუფლებას და კანონიერ ინტერესებს, მაშინ ღიფამაციურ სამართალს საკმარის მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის სამართლის სისტემაში, რამდენადაც მის მიერ რეგულირებული და დაცული ნორმებით ყალიბდება ურთიერთობა პიროვნებასა და მასმედისა შორის.

ღიფამაციური სამართლის პრობლემებისადმი ყურადღება განპირობებულია თეორიული და პრაქტიკული მიზეზებით. ერთი მხრივ, ეს

1. Potapenko S V Диффамация и российская судебная практика в контексте опыта Европейского суда по правам человека. <http://www.medialaw.ru/article10/7/15.htm>

არის უკანასკნელ წლებში დასახული ტენდენცია სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების უნიფიკაციისა, რომლის ფონზე პოზიტიური შეფასება აქვს საზღვარგარეთის ქვეყნებში დიფამაციის ინსტიტუტს, მეორე მხრივ, ტერმინი „დიფამაცია“ სულ უფრო ხშირად გამოიყენება არა მარტო სამეცნიერო პუბლიკაციებში, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში. სტრასბურგის სასამართლო მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს საქმეებს, რომლებიც დაკავშირებულია მასმედიაში დიფამაციასთან, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომლებიც ზღუდავს მასობრივი ინფორმაციის თავისუფლებას (ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი).

დიფამაციის ცნება არ არის განმტკიცებული საქართველოს კანონმდებლობაში. იგი არ არის ნახსენები არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, არც კანონში „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, არც ადრე მოქმედ კანონში „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“.

დიფამაციის ინსტიტუტი გაცილებით ფართო და მრავალმხრივია, ვიდრე პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტუტი. მრავალმხრივია იმიტომ, რომ დასახელებულ არამატერიალურ სიკეთეთა დაცვა დასაშვებია სიტყვისა და მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების კონსტიტუციური პრინციპის საფუძველზე.

დიფამაციის არსის სწორ გააზრებას აქვს არა მარტო შემეცნებითი მნიშვნელობა, არამედ უშუალო პრაქტიკული დანიშნულება, რადგანაც მის საფუძველზე ხდება ზღვარის გაღება მასმედიაში გავრცელებულ სამოქალაქო-სამართლებრივ დიფამაციურ დელიქტსა და იმ მოსაზრებებს შორის, რომლებიც მასმედიაში არის გავრცელებული სიტყვისა და მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის საფუძველზე.

აქედან გამომდინარე, დიფამაცია წარმოადგენს იმ სამართლებრივ ინსტიტუტს, რომლის მეშვეობით სამოქალაქო სამართალში რეალიზდება პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის კონსტი-

ტუციური უფლება, მეორე მხრივ კი სიტყვისა და მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების ასევე მნიშვნელოვანი კონსტიტუციური უფლება.

უფლების შელახვის ნიშანი დიფამაციის განუყოფელი ატრიბუტია. თუ გავრცელებული ცნობები არ არის შემლახავი ხასიათის, თუნდაც ისინი არ შეესაბამებოდნენ სინამდვილეს, მაშინ არ არსებობს დიფამაციური დელიქტის შემადგენლობა. თუ პირის მიმართ გამოყენებულია შეფასებითი მოსაზრება, დიფამაციის სამართლებრივი მექანიზმი არ ამოქმედდება. აზრი, შეხედულება, შეფასება, მათ შორის არათავაზიან ფორმაში, რომელიც შეურაცხყოფს დაზარალებულს, არ მიეკუთვნება დიფამაციას, რამდენადაც დიფამაციად უნდა ჩაითვალოს მასმედიით გავრცელებული შემლახავი ცნობები ფაქტობრივი ხასიათისა, რომლებიც არ შეესაბამება სინამდვილეს.

დიფამაციის ობიექტს წარმოადგენს პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია – პირადი არაქონებრივი უფლებები, რომლებიც განუყოფელია პიროვნებისაგან და არ ექვემდებარება ფულად შეფასებას; ეს სიკეთე ექვემდებარება მხოლოდ სამოქალაქო-სამართლებრივ დაცვას. მასთან დაკავშირებით წარმოიშობა მყარი და სოციალურად ერთგვაროვანი არაქონებრივი, დაცვითი ხასიათის ურთიერთობანი.

განვითარებული და დემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა თავშეკავებულია დიფამაციური გამონათქვამების მიმართ, თუ ისინი ეხება პოლიტიკოსებს, დეპუტატებს, მთავრობას ან სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებს.

საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ ითვალისწინებს, რომ ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას არ იწვევს განცხადება, რომელიც გაკეთებულია:

- პოლიტიკური დებატების ფარგლებში, აგრეთვე პარლამენტის ან საკრებულოს წევრის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;
- წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე, სახალხო დამცველის წინაშე, პარლამენტის ან საკრებულოს, აგრეთვე მათი კომიტეტის სხდომაზე, პირის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში;
- უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნით.

ამიტომ დაუშვებელია, ყურნალისტს მოეთხოვოს ისეთი ცნობების უარყოფა, რომლებიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში, განაჩენებში, წინასწარი გამოძიების ორგანოთა დადგენილებებში და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში.

ერთ-ერთი პრობლემური საკითხი, რომელიც არაერთგვაროვნად არის გაგებული – ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის საკითხია: საქართველოს კანონმა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ გააუქმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა სასჯელს ცილისწამებისათვის დანაშაულის დაბრალებით. კანონი ცილისწამებას განსაზღვრავს როგორც არსებითად მცდარი ფაქტის შემცველ და პირისათვის ზიანის მიმყენებელ, მისი სახელის გამტეხ განცხადებას.

ცილისწამებისათვის მხოლოდ სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. საზოგადოების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ სიტყვით მიყენებული ზიანისათვის ადამიანის ციხეში ჩასმა სწორი არ არის, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება დანაშაული არ არის. ამიტომ კანონმა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ მოახდინა დიფამაციის დეკრიმინალიზაცია და გააუქმა სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლი, თუმცა კანონში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა ცილისწამებისათვის – არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ იცნობდა. იგი დიფამაცია და შესაბამისად დგება პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლი ითვალისწინებდა ცილისწამებას ისეთი მაკვალიფიცირებული გარემოებით, როგორიცაა დანაშაულის დაბრალება და სანქციის სახით ადგენდა ჯარიმას, ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას ან გამასწორებელ სამუშაოებს (და არა თავისუფლების აღკვეთას).

ცილისწამება დანაშაულის დაბრალებით გამოიხატება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული, მართლსაწინააღმდეგო

და ბრალეული მოქმედების ჩადენაში, რომელიც მიმართულია ერთდროულად მოქალაქის "პატივისა და ღირსების შელახვისაკენ და პირის უკანონოდ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისაკენ. აქ სახეზეა დანაშაულის შემადგენლობა და იგი უნდა ისჯებოდეს სისხლის სამართლის წესით. კანონმდებელმა იმიტომ განასხვავა ერთმანეთისაგან ცილისწამება და ცილისწამება დანაშაულის დაბრალებით, რომ პირველი მათგანი სამოქალაქო დელიქტს წარმოადგენს, მეორე კი დანაშაულია.

დანაშაულის დაბრალებით ცილისწამებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაუქმება ხელს შეუწყობს ცილისმწამებლური თავდასხმების გახშირებას. მას ზოგჯერ მეტად მტკივნეული და სავალალო შედეგი მოსდევს. ამიტომ პირი, რომელიც ხელაღებით ხელყოფს ადამიანის კანონით მინიჭებულ უფლებას, ამახინჯებს მის ცხოვრებას, უნდა დაისაჯოს სათანადოდ. მას არ უნდა შეეძლოს სიმბოლური ანაზღაურების ფასად ნებისმიერი საშუალებით ნებისმიერი სიმძიმის ბრალდება წაუყენოს ადამიანს და დაუსჯელი დარჩეს.

მასმედია სერიოზული ბერკეტია ცილისმწამებლის ხელში და ამის არა ერთი და ორი მაგალითი არსებობს როგორც ჩვენი, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკაში. საზოგადოება მასმედიის მიერ შექმნილ „ვირტუოზულ“ სამყაროში ცხოვრობს და თუ ეს სამყარო არასწორი, მონაჭორი და ცილისმწამებლური ინფორმაციით იქნება „გაჯერებული“, შეიქმნება ნეგატიური ფონი საერთო სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის, გაიზრდება უზნეო და უაზრო დაპირისპირებები, ლანძღვა-გინება, ქართული ტრადიციების უგულებელყოფა.

მასმედიამ თავისი გადამჭრელი სიტყვა უნდა თქვას საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების საქმეში, მაგრამ ეს უნდა იყოს პირუთვნელი, მიუკერძოებელი, მართალი და არა ცილისმწამებლური სიტყვა. უპირველეს ყოვლისა, სწორედ ჟურნალისტს მართებს დიდი სიფრთხილე, რომ გზა არ გაეხსნას აგრესიულ, უარყოფითად დამუხტულ, ცილისმწამებლური ინფორმაციის ნაკადს. ეს ჟურნალისტის სოციალური მოვალეობაა, ვინაიდან აზრისა და სიტყვის გამომხატველი ჟურნალისტია. მას არასოდეს უნდა დაავიწყდეს ქართული ანდაზა:

„სანამ ხმალი მოვიდოდა, ენამ თავი მოჭრაო“, რომელშიც ბრძნულად არის გამოხატული თუ რა ძალა აქვს სიტყვას და სიტყვის მთქმელს.

საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ ითვალისწინებს, რომ პირს ცილისწამებისათვის არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ მან არ იცოდა და არც შეიძლება ცოდნოდა, რომ ცილისწამებას ავრცელებდა.

„მედიის პროფესიულ სტანდარტებში“ მითითებულია, რომ ჟურნალისტი კრიტიკულად უნდა მოეკიდოს თავის წყაროს; პროფესიული სტანდარტი გულისხმობს ფაქტების გადამოწმებას სხვა დამოუკიდებელი წყაროების საფუძველზე. ხოლო თუ ინფორმაციის გადამოწმება შეუძლებელია მისი გავრცელებისას უნდა გაკეთდეს შესაბამისი დათქმა. წყაროს დასახელება დამაჯერებლობას მატებს ინფორმაციას, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ინფორმაციის წყაროს დაცვის აუცილებლობას.

ჟურნალისტური საქმიანობის პროცესში სიმართლის დადგენა ყოველთვის არ არის ადვილი, რთულია შეფასებითი კრიტერიუმი, განსაკუთრებით სიმართლის შეფასება. ფაქტები, რომლებზედაც ჟურნალისტი აგებს თავის დასკვნებს, შეიძლება იყოს ისტორია და ხმები ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. ამიტომ თუ ჟურნალისტის ქმედება კეთილსინდისიერია, არ იცის და არც შეიძლება სცოდნოდა, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ცილისწამებლურია, უნდა განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან.

საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ პირს ანიჭებს კვალიფიციურ პრივილეგიას¹ არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადებისათვის, თუ:

- მან მიიღო გონივრული ზომები, ფაქტის სისწორის გადასამოწმებლად, მაგრამ ვერ შეძლო შეცდომის თავიდან აცილება და გაატარა ქმედითი ღონისძიებანი ცილისწამებით დაზიანებული პირის რეპუტაციის აღსადგენად;

1. კვალიფიციური პრივილეგია განსახილველია, როგორც კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის ნაწილობრივ ან პირობით გათავისუფლება. სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით პირმა ბრალდელი ქმედების დადგინებისათვის შეიძლება დაკარგოს პრივილეგია, თუ ეს აუცილებელია ლეგიტიმური მისწის მისაღწევად.

- იგი მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას და დაცული სიკეთე აღმატება მიყენებულ ზიანს;
- მან განცხადება გააკეთა მოსარჩლის თანხმობით;
- მისი განცხადება წარმოადგენდა მოსარჩლის მიერ მის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებაზე თანაზომიერ პასუხს;
- მისი განცხადება წარმოადგენდა სამართლიან და ზუსტ რეპორტაჟს იმ მოვლენასთან დაკავშირებით, რომლისკენაც მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება.

რეპორტაჟი ჟურნალისტიკის ჟანრია და თუ ის სათანადო სიზუსტით იძლევა ცნობებს იმ მოვლენებზე, რომელთა თვითმხილველი და მონაწილეა ჟურნალისტი, რეპორტაჟი სამართლიანი და ზუსტია, რატომ უნდა დაეკისროს ჟურნალისტს პასუხისმგებლობა, თუნდაც ნაწილობრივ?

აღნიშნული კანონის თანახმად, ცილისწამების შესახებ ამკარად უსაფუძვლო სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მოპასუხეს უფლება აქვს, მოითხოვოს მოსარჩლისაგან გონივრულ ფარგლებში ფულადი ანაზღაურების მიღება. ასეთ დანაწესს კანონი ითვალისწინებს იმ მიზნით, რომ დაიცვას სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება უკანონო შეზღუდვისაგან.

უნდა შევნიშნოთ, რომ „ამკარად უსაფუძვლო სარჩელის“ დეფინიცია ქართულ კანონმდებლობაში არ არსებობს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (მუხლი 178) ჩამოყალიბებულია სარჩელის შინაარსი, მითითებულია ის იურიდიული ფაქტები, რომლებიც ქმნის სარჩელის საფუძველს და მისი შეცვლის უფლება სასამართლოს არ აქვს. ეს მხოლოდ მოსარჩლეს შეუძლია. სასამართლო უფლებამოსილია დააკმაყოფილოს ან არ დააკმაყოფილოს სარჩელი. სასამართლო პრაქტიკა იცნობს უსაფუძვლობის გამო სარჩელის დაუკმაყოფილებლობის უამრავ შემთხვევას, მაგრამ მოსარჩლეს არ აკისრებს მოპასუხისათვის ფულადი ანაზღაურების გადახდას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის II ნაწილში მითითებულია, რომ პატივის, ღირსების და სამიანი რეპუტაციის დაცვა ხორციელდება მიუხედავად ხელყოფის ბრალისა, ხოლო თუ

დარღვევა ბრალეული მოქმედებით არის გამოწვეული, უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურებაც, ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

რამდენადაც პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია პირად, არაქონებრივ უფლებებს მიეკუთვნება, სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად, მათზე არ ვრცელდება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ ითვალისწინებს, რომ ცილისწამების შესახებ სარჩელი სასამართლოში წარდგენილ უნდა იქნეს 100 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც პირი გაეცნო ან შეიძლება გასცნობოდა ცილისმწამებლურ განცხადებას.

მასობრივი ინფორმაციის სფეროში პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამართლებრივი ინსტიტუტი საჭიროებს დახვეწას და მთელი რიგი საკითხების რეგლამენტაციას. უნდა აღმოიფხვრას კოლიზია სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმებს შორის, ჩამოყალიბდეს ადამიანის ბუნებრივი და იურიდიული უფლებების სამართლებრივი დაცვის სრულყოფილი მექანიზმი.

დასკვნა

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ორგანიზაციისა და საქმიანობის კვლევა ბევრი მეცნიერის ყურადღების ცენტრშია. პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება მასმედიაში მიმდინარე პროცესებისადმი მეცნიერულ მეთოდოლოგიურ მიდგომას, მსოფლიოში მიმდინარე რთულ მოვლენებში მათი ფუნქციონალური დანიშნულების წარმოჩენას. განსაკუთრებით აქტუალურია ეს ინტერესი თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში, რომელმაც შექმნა ახალი უნიკალური შესაძლებლობანი ეკონომიკის და პოლიტიკის, სახელმწიფოს, საზოგადოებისა და პიროვნების განვითარებისათვის. მკვლევრები ინფორმაციული საზოგადოების შესაძლებლობებს განიხილავენ როგორც XXI საუკუნის მალაღგანვითარებული საზოგადოების ჩამოყალიბების გასაღებს. ნამდვილი სახალხო ხელისუფლებიანობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია დემოკრატიული პრინციპების კომპლექსური განხორციელება, რომელთა შორის არცთუ მცირე მნიშვნელობა აქვს სიტყვის, აზრისა და ინფორმაციის თავისუფლებას. ამ თავისუფლების საზღვრების დადგენა, მასმედიის სამოქალაქო კონტროლი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე იძენს პირველხარისხოვან ინტერესს. მასმედიის საქმიანობა ის სფეროა, რომელშიც ნათლად ირეკლება საზოგადოებაში მიმდინარე გარდაქმნები. პრესა, რადიო, ტელევიზია ამ გარდაქმნების აქტიური მონაწილეა. არსებობს ფართიანი ფრაზა: „მასმედია წარმოადგენს საზოგადოების ინსტიტუტს, მის სმენას, მხედველობას და ხმას“.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიალოგის კონტექსტში ფართოდ გამოიყენება ისეთი პრობლემების გადაწყვეტა საერთაშორისო დონეზე, როგორიცაა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, ინფორმაციის გაცვლის წესი, შინაპოლიტიკური მოვლენები და ბევრი სხვა. ინფორმაციაზე საზოგადოებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილება იმ მოცულობით და ხარისხით, რომლებიც შეესაბამება თანამედროვეობის მოთხოვნებს, რთული და მრავალმხრივი პროცესია.

მეცნიერებისა და ტექნიკის მიზანმიმართულმა განვითარებამ არსებითად აამაღლა პრესის, რადიოს, ტელევიზიის ქმედითობა და

ეფექტურობა, რადიკალურად შეცვალა მასმედიის ბუნება. უდავოა, რომ მასმედიის შემდგომი განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული ინტერნეტთან. სწორედ ინტერნეტის მეშვეობით მოიპოვებს პრესა უნივერსალობას, დროისა და სივრცისაგან დამოუკიდებლობას, მობილურობასა და გლობალურობას. ინფორმაციის გლობალიზაცია განაპირობებს მსოფლიო თანამეგობრობის სტრატეგიის ინტეგრირებას, გლობალური ინფორმაციისა და „რეგიონალური“ (ეროვნული) ინტერესების შერწყმას. \

კომპიუტერული სამართალი – ახალი ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამართალი აფართოებს არსებულ სამართლებრივ სივრცეს, ცვლის ჟურნალისტიკისა და ჟურნალისტის როლს საზოგადოებაში. კომპიუტერული ქსელი სტიმულს აძლევს ახალი მენტალიტეტის გაჩენას და არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას ყველა სფეროში – პოლიტიკიდან დაწყებული ცხოვრების სტილამდე დამთავრებული, უზრუნველყოფს სულ უფრო და უფრო ახალი ინფორმაციის მიღებას.

სწორედ კიბერნეტიკულ სივრცეში იხადება გლობალური ადამიანი, რომელიც ადვილად გადალახავს საზღვრებს, არ დაფიქრდება იმაზე, რომ ერთი სამართლებრივი სინამდვილიდან გადავიდეს მეორეში.

ამჟამად მრავალი ქვეყანა ცდილობს კიბერნეტიკულ სფეროში სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ინტეგრირებას. ასე წარმოიშვა საერთაშორისო Cyberspace Law, რომელიც შეიძლება ითარგმნოს, როგორც „კიბერნეტიკულ სფეროში სამართლებრივი საქმიანობის რეგულირება“. მის საფუძველს შეადგენს კანონმდებლობა მასმედიის შესახებ.¹

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების შინაგანი ლოგიკა ქმნის ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების სულ ახალ და ახალ საშუალებებს. ამას თან სდევს სოციალური შედეგები, რომელთა მნიშვნელობის გაცნობიერება ძნელია. ასეთ პირობებში იზრდება სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი, რომლის

1. Jonathan Rosenoer, CyberLaw. The Law of the Internet, 1997. N.Y.
Richard A. Spinello, CyberEthics. Morality and Law in Cyberspace, 2002. N.Y.

დასაბუთებული, ინოვაციური პოლიტიკით, საკანონმდებლო და სხვა მეთოდებით შესაძლებელია მასობრივი კომუნიკაციების შემდგომი განვითარება და არასასურველი სოციალური შედეგების პროგნოზირება (უზუსტეობა, რაც თან მოჰყვება უახლესი ტექნოლოგიების დანერგვას, „ინფორმაციულ კმაყოფაზე ყოფნა“ და ა. შ.). ამასთანავე საბაზრო ეკონომიკა სულ უფრო და უფრო მეტ გავლენას ახდენს თანამედროვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობაზე. ბევრ ქვეყანაში შეიმჩნევა მჭიდრო კავშირი ჟურნალისტიკასა და ეკონომიკას შორის. სულ უფრო დიდ როლს თამაშობს რეკლამა, როგორც ფინანსური შემოსავლების წყარო. ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო სუბსიდირებს აძლევს მასმედიას, ანიჭებს სხვადასხვა შეღავათებსა და გრანტებს, უკვეთავს სამთავრობო რეკლამას და ა. შ.

მსოფლიოში არსებული განსხვავებული სამართლებრივი სისტემები გარკვეულ სიძნელეებს ქმნის მასმედიის ფუნქციონირებისათვის გლობალური ინფორმაციული სივრცის პირობებში. ცალკეული სახელმწიფოების ზოგადი პრაქტიკა ხელ უწყობს საერთაშორისო სამართლის განვითარებას. სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში მასმედიის ფუნქციონირების თავისებურებანი არ ამცირებს ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის აქტუალობას, მხოლოდ ხაზს უსვამს მის აუცილებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტიკას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში აქვს განვითარების საერთო ტენდენციები, თითოეულ ქვეყანაში არსებობს განსაზღვრული თავისებურებანი.

ჟურნალისტური საქმიანობა შეუძლებელია ან, როგორც მინიმუმი, არაეფექტურია იმ პირობებში, თუ იგნორირებული იქნება მასმედიის ფუნქციონირების სამართლებრივი მექანიზმი. მასმედიის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად გონივრულად და პროფესიულად იქნება გამოყენებული მედიის სამართლებრივი საფუძვლები. თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ჟურნალისტი იძულებულია, მუდმივად იყოს მონაწილე სამართლებრივი ურთიერთობისა, რაც დაკავშირებულია ინფორმაციის მოძრაობასთან, ასევე ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივ დაცვას-

თან. თავისი უფლებების უცოდინარობა ეჭვქვეშ დააყენებს ჟურნალისტის პროფესიულ ბედს. ინფორმაციის გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ინტერნეტ-ჟურნალისტის უფლებრივი სტატუსის სამართლებრივი რეგულირება. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ მასმედიის წარმომადგენლებს ჰქონდეთ ღრმა ცოდნა ჟურნალისტის სამართლებრივ საფუძველზე. ამიტომ არის აუცილებელი, ქვეყანაში მოქმედებდეს დახვეწილი და სრულყოფილი კანონმდებლობა მასმედიის შესახებ.

ჟურნალისტური შემოქმედების მრავალფეროვანი ფორმები და მეთოდები, დამახასიათებელი მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნებისათვის, ამდიდრებს მსოფლიო კულტურას, ხოლო კულტურათა უნიფიკაცია ზოგიერთ ქვეყანაში ხვდება წინააღმდეგობას, რაც გამოიხატება ჟურნალისტების მუშაობის ტრადიციული ჟანრებისა და პროფესიული წესების კონსერვატიზაციაში. ამითაა განპირობებული, რომ მსოფლიოში არსებული კონცეფციების გათვალისწინებით უფრო დეტალურად გაანალიზდეს ამა თუ იმ ქვეყანაში მასმედიის საქმიანობაში მიმდინარე პროცესები. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ მასმედიისა და ჟურნალისტის განვითარება, როგორც თვალსაჩინო დემოკრატიული ინსტიტუტისა, მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყანაში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებთან. მასმედიის ფუნქციონირების ყოველმხრივი ანალიზი შესაძლებლობას იძლევა, გაკეთდეს მისი განვითარების ზუსტი პროგნოზი.

მოსახლეობის კულტურის ამაღლება უაზროა მასმედიის პოლიტიკური კულტურის გარეშე. ეს განაპირობებს მასმედიის განვითარების პრიორიტეტებს მისი შინაარსისა და საზოგადოებაში არსებული მორალურ-ეთიკური ღირებულებების შესაბამისად. ამას ხელს შეუწყობს პრესის, რადიოს და ტელევიზიის შესახებ სხვადასხვა ეთიკური კოდექსების შემუშავება, პრაქტიკაში მასმედიის თვითრეგულირების მოწინავე ფორმების დანერგვა.

მასმედიის ყოველდღიური საქმიანობის პრაქტიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების აქტიური დანერგვა სტიმულს მისცემს ჟურნალისტის შრომის ეფექტურობისა და ხარისხის ამაღლე-

ბას. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მასშედისა და სახელისუფლებო სტრუქტურებს შორის პარამონიული და რაციონალური ურთიერთობის დამკვიდრებას იმ მიმართებით, რომ ხელისუფლებამ არ დათრგუნოს პრესა, მისცეს იმის შესაძლებლობა, რომ ჟურნალისტი გამოდიდეს კონსტრუქციული იდეებით. საჭიროა შემუშავდეს ისეთი მექანიზმი, რომელიც ხელს შეუშლის მასშედისა და ცალკეულ ჟურნალისტებს, მონაწილეობა მიიღონ ანტიისაზოგადოებრივი პოლიტექნოლოგიის განხორციელებაში, რაც უარყოფითად მოქმედებს მასშედისა და სახელისუფლებო სტრუქტურებისადმი მასების ნდობაზე.

ინფორმაციული ნაკადის რეგულირება შესაძლებელია, როგორც თვითრეგულირების დეტალურად დამუშავებულ სისტემაში ჟურნალისტებისათვის ფართო უფლებების, თავისუფლებებისა და შეღავათების მინიჭებით, ასევე სამართლებრივი საშუალებებისა და მეთოდების გამოყენებით.

ჟურნალისტების პროფესიული ინტერესების დაცვაში აქტიურ როლს თამაშობენ საერთაშორისო ჟურნალისტური ორგანიზაციები. ამ ორგანიზაციების მოწინავე გამოცდილებისა და რეგიონული თავისებურებების პარამონიული შერწყმა ხელს შეუწყობს მასშედის საქმიანობაში ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვას, პროგრესული იდეებისა და კონცეფციების საფუძველზე სრულყოფილი საკანონმდებლო აქტების შემუშავებას.

იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში ამჟამად არ არსებობს კლასიკური კანონი მასშედის შესახებ, ბევრი საკითხი გაურკვეველია, ბევრი კი – დასაზუსტებელი. საქართველოში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებისათვის აუცილებელია შეიქმნას მასშედის შესახებ კანონმდებლობის განვითარებული სისტემა და შეივსოს დღეს არსებული საკანონმდებლო ვაკუუმი. ამ მიმართებით შევეცდებით ჩამოვაყალიბოთ ზოგიერთი მოსაზრება:

საკანონმდებლო აქტებში და მეცნიერულ ლიტერატურაში დამკვიდრებულია ტერმინები: „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები“, „მასშედია“, „მედია“, „მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები“. საქართველოს კონსტიტუციაში განმტკიცებულია ტერმინი „მასობრივი

ინფორმაციის საშუალებები“, რომლის აბრევიატურა არის „მასმედია“, უფრო მოკლედ „მედია“. კანონში „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, მითითებულია, რომ „მედია არის მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვითი და ელექტრონული საშუალება, მათ შორის ინტერნეტი“. სამეცნიერო ლიტერატურაში განმტკიცებულია – „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მოიცავს როგორც პრესას, ისე ელექტრონულ მედიას“.¹

ზოგიერთი მეცნიერი ტერმინებს „მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს“ და „მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს“ განიხილავს როგორც სინონიმებს, ზოგი კი „მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს“ მიიჩნევს უფრო ფართო ცნებად, ვიდრე „მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს“.

ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება, საკანონმდებლო წესით დადგინდეს ერთიანი ტერმინი, რომელიც დამკვიდრდება როგორც კანონმდებლობაში, ასევე მეცნიერებაში.

□ ასევე, კანონმდებლობასა და პუბლიცისტიკაში უნდა დამკვიდრდეს ტერმინი „ჟურნალისტური გამოკვლევა“ და გამოიდევნოს ტერმინი „ჟურნალისტური გამოძიება“, რაც ხელს შეუწყობს იურისტიკასა და ჟურნალისტიკის პროფესიული ფუნქციების გამიჯვნას, იურიდიულ გამოძიებასა და ჟურნალისტურ გამოკვლევას შორის ზღვარის დადგენას.

□ მიღებულ უნდა იქნეს ნორმატიული აქტი, რომელშიც რეგულირებული იქნება წინასწარი გამოძიებისა და სამართალწარმოების პროცესში ჟურნალისტიკის მონაწილეობის სპეციფიკა, მისი უფლებები და შესაძლებლობანი, რათა თავიდან იქნეს აცილებული სერიოზული კონფლიქტები, ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვის უამრავი ფაქტი.

□ უნდა შეიქმნას სრულყოფილი სამართლებრივი ბაზა მასმედიასთან სასამართლო ხელისუფლების ურთიერთობის შესახებ.

□ სამართლებრივ რეგულირებას საჭიროებს ჟურნალისტთა აკრედიტაციის ინსტიტუტი, მათ შორის სასამართლო პროცესებზე მასმე-

1. კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბ. 2003, გვ. 250.

დიის წარმომადგენელთა აკრედიტაციის სტიქიურად მიმდინარე პროცედურა.

□ სასურველია მოსამართლეთა კორპუსთან ჟურნალისტების ურთიერთობის ფორმები და მეთოდები ისწავლებოდეს შესაბამისად იურიდიულ და ჟურნალისტიკის ფაკულტეტებზე.

□ სახელმწიფო ორგანოებსა და მასმედიას შორის ურთიერთობაში ბევრი გადაუჭრელი პრობლემაა, რადგან არ არსებობს სათანადო სამართლებრივი ბაზა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ასეთი ურთიერთობის ჰარმონიზაცია. აუცილებელია მიღებულ იქნეს ნორმატიული აქტი – „მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების საქმიანობის გაშუქების წესის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს ჟურნალისტებსა და სახელმწიფო მოხელეთა თანამშრომლობის ოპტიმალურ სამართლებრივ მექანიზმს.

□ რამდენადაც ინფორმაციის ხელმისაწვდომობა პიროვნების, სახელმწიფოსა და საზოგადოების ჰარმონიული ურთიერთობის მნიშვნელოვანი პირობაა, აუცილებელია მიღებულ იქნეს სპეციალური კანონი „ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ“, რომელიც მოაწესრიგებს ინფორმაციის მოძიების, მიღებისა და გავრცელების ესოდენ მნიშვნელოვან პროცესს.

□ აქტუალურია იმ ნორმატიული აქტების შემუშავება, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფო ორგანოების მიერ შექმნილი ინფორმაციული რესურსების, კერძოდ სტატისტიკური ინფორმაციების, ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების ექსპლუატაციის, საუწყებო ინფორმაციული რესურსების ფორმირებისა და შენახვის სამართლებრივ რეჟიმს.

□ ნორმატიული აქტით უნდა განისაზღვროს ინფორმაციული სააგენტოების პროდუქციის სამართლებრივი რეჟიმი, რითაც აღმოიფხვრება პრაქტიკაში არსებული სირთულეები;

□ საკანონმდებლო რეგლამენტაციას მოითხოვს ინტერვიუს აღების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობა. ინტერვიუს განხილვა,

როგორც თანავეტორობის შედეგისა, მართებულად უნდა იქნეს მიჩნეული იმ შემთხვევაში, თუ ის წარმოადგენს ერთობლივი შრომის შედეგს, განუყოფელ მთლიანობას, რომლის სარგებლობის უფლება ეკუთვნის როგორც ჟურნალისტს, ისე რესპონდენტს.

□ იურიდიულ მოწესრიგებას მოითხოვს ტელერადიოგადაცემების ერთკვირიანი პროგრამების გამოქვეყნებისა და მათი სარგებლობის უფლების საკითხი მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში დამკვიდრებული პრაქტიკის გათვალისწინებით.

□ უნდა განისაზღვროს სარედაქციო ფოსტაში შესული წერილების, პრესაში განთავსებული ფოტოგრაფიული ნაწარმოების, როგორც საავტორო უფლების დამოუკიდებელი ობიექტების სამართლებრივი სტატუსი.

□ სათანადო რეგლამენტაციას მოითხოვს საკითხი იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა პერიოდული პრესა შედგენილ ნაწარმოებს და როგორია მისი სამართლებრივი ბუნება.

□ სასურველია, კანონმდებლობით განისაზღვროს მასმედიაში გავრცელებული ისეთი ცნობების უარყოფის წესი, რომლებიც მართალია შეესაბამებიან სინამდვილეს, მაგრამ ამცირებენ მოქალაქეთა კანონით დაცულ ინტერესებს (ფაქტობრივი შეცდომა, სინამდვილის შესაბამისი უფლებაშემლახავი ცნობები).

□ ქართულ კანონმდებლობასა და სამეცნიერო ლიტერატურაში უნდა დამკვიდრდეს დიფამაციის ცნება, როგორც ისეთი ინსტიტუტისა, რომლის ფარგლებში პირის პატივისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა ზორციელდება სიტყვის, გამოხატვისა და მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის საფუძველზე.

□ აუცილებელია, მეცნიერულ ბრუნვაში იქნეს შემოღებული მასმედიის პლურალიზმი, რომელიც წარმოშობილია იდეოლოგიურ და პოლიტიკურ მრავალფეროვნებაში, გარანტირებულია კონსტიტუციით და გულისხმობს დამოუკიდებელი და ავტონომიური მასმედიის არსებობას.

□ დემოკრატიულ საზოგადოებაში უნდა არსებობდეს როგორც პრესის თვითრეგულირების ლეტალურად დამუშავებული სისტემა, ასევე მასმედიის ფუნქციონირების სრულყოფილი სამართლებრივი მექანიზმი. ძლიერი და მყარი უნდა იყოს სამართლებრივი ფუძე, რომელსაც დაეყრდნობა მასმედიისა და ჟურნალისტის საქმიანობა.

საქართველოს მედია კანონმდებლობაში ფართო ხარვეზია, რომლის შევსება თანამედროვეობის მოთხოვნაა. მიღებული უნდა იქნეს ეროვნული საბაზო კანონები მასმედიისა და ჟურნალისტების სამართლებრივი სტატუსის შესახებ. ასეთი კანონების შემუშავებისათვის აუცილებელია კვალიფიციური სამუშაოების ჩატარება, რომლის პროცესში სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს თავისი პრიორიტეტები და ძირითადი მიმართულებანი ინფორმაციული პოლიტიკის სფეროში, შექმნას პირობები მედია ინფრასტრუქტურების განვითარებისათვის. ახალ ნორმატიულ აქტებში საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები შერწყმული უნდა იქნეს ეროვნულ ტრადიციებთან და თავისებურებებთან. ასეთ აქტებს შორის მთავარია კლასიკური კანონი მასმედიის შესახებ.

დიდი ილია ბეჭდურ სიტყვას „წმინდა საქმედ“ მიიჩნევდა. ეს ბრძნული შეგონება არასოდეს უნდა დაივიწყოს ქართულმა მედიამ და ქართველმა ჟურნალისტებმა. მათ სწორედ თავიანთი „წმინდა“ საქმიანობით უნდა შეიტანონ კოლოსალური წვლილი ქართული ცივილიზებული, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაში.

დანართი

ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია (1995 წლის 24 აპრილი)
2. საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოსატვის თავისუფლების შესახებ“ (2004 წლის 24 ივნისი)
3. საქართველოს კანონი „გაუწყებლოების შესახებ“ (2004 წლის 23 დეკემბერი)
4. საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ (2005 წლის 2 ივნისი)
5. საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“ (1998 წლის 18 თებერვალი)
6. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რეგლამენტი „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“

საპარტიველოს კონსტიტუცია

1995 წლის 24 აგვისტო

საპარტიველოს კონსტიტუცია

საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა, ეყრდნობიან რა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს, საქვეყნოდ აცხადებენ ამ კონსტიტუციას.

თავი პირველი ზოგადი დებულებები

მუხლი 1

1. საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.
2. საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.
3. საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებაა „საქართველო“.

მუხლი 2

1. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.
2. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია. სახელმწიფო საზღვრების შეცვლა შეიძლება მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი შეთანხმებით.
3. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება

კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის შიველ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.

4. საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით სახელმწიფო სუვერენიტეტის შეულახავად. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელთა თანამდებობა არჩევითია. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისაზღვრება ორგანული კანონით. (6.02.2004 №3272)

მუხლი 3

1. მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება:

- ა) კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, ემიგრაციისა და იმიგრაციის, ქვეყანაში შემოსვლისა და გასვლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებით ან მუდმივად ყოფნის შესახებ;
- ბ) სახელმწიფო საზღვრების სტატუსი, რეჟიმი და დაცვა; ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შეღწისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სტატუსი, მათი დაცვა;
- გ) სახელმწიფოს თაღდაცვა და უშიშროება, სამხედრო ძალები, სამხედრო მრეწველობა და იარაღით ვაჭრობა;
- დ) ომისა და ზავის საკითხები; საგანგებო და საომარ მდგომარეობათა სამართლებრივი რეჟიმის დადგენა და შემოღება;
- ე) საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობანი;
- ვ) საგარეო ვაჭრობა, საბაჟო და სატარიფო რეჟიმები;
- ზ) სახელმწიფო ფინანსები და სახელმწიფო სესხი; ფულის მოჭრა; საბანკო, საკრედიტო, სადაზღვევო და საგადასახადო კანონმდებლობა;
- თ) სტანდარტები და ეტალონები; გეოდეზია და კარტოგრაფია; ზუსტი დროის დადგენა; სახელმწიფო სტატისტიკა;
- ი) ერთიანი ენერგეტიკული სისტემა და რეჟიმი; კავშირგაბმულობა; სავაჭრო ფლოტი; გემთა აღმები; საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნავსადგურები, აეროპორტები და აეროდრომები; საჰაერო სივრცის, ტრანზიტისა და საჰაერო ტრანსპორტის კონტროლი, საჰაერო ტრანსპორტის რეგისტრაცია; მეტეოროლოგიური სამსახური; გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების სისტემა;
- კ) სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა და საავტომობილო გზები;
- ლ) თევზჭერა ოკეანესა და ღია ზღვაში;
- მ) სასაზღვრო-სანიტარიული კორდონი;
- ნ) ფარმაცევტული პრეპარატების კანონმდებლობა;
- ო) კანონმდებლობა საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციისა და აკადემიური ხარისხების შესახებ; (27.12.2006 №4135)
- პ) ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობა;
- ჟ) სავაჭრო, სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, ადმინისტრაციული და შრომის სამართლის, სასჯელის აღსრულებისა და საპროცესო კანონმდებლობა;
- რ) კრიმინალური პოლიცია და გამოძიება;

- ს) მიწის, წიაღისეულის და ბუნებრივი რესურსების კანონმდებლობა;
2. ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები ცალკე განისაზღვრება.
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ (20.04.2000 №260)
4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ (10.10.2002 №1689)

მუხლი 4

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი.
2. რესპუბლიკის საბჭო შედგება პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან.
3. სენატი შედგება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში (10.10.2002 №1689), აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (20.04.2000 №260) და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან.
4. პალატების შემადგენლობას, უფლებამოსილებასა და არჩევის წესს განსაზღვრავს ორგანული კანონი.

მუხლი 5

1. საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.
2. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.
3. არავის არა აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება.
4. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.

მუხლი 6

1. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.
2. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას (30.03.2001 №526) აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

მუხლი 7

სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.

მუხლი 8

საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში (10.10.2002 №1689) აგრეთვე - აფხაზური.

მუხლი 9

1. სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან ერთად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.

2. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით. კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში. (30.03.2001 №526)

მუხლი 10

საქართველოს დედაქალაქი არის თბილისი.

მუხლი 11

საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები დადგენილია ორგანული კანონით.

თავი მეორე

საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი

მუხლი 12

1. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით და ნატურალიზაციით.

2. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე. გარდა ამ პუნქტით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან. (6.02.2004. №3272)

3. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 13

1. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა.

2. მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია.

3. საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია.

4. საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია.

გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. გადაწყვეტილება მოქალაქის გადაცემის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 14

ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა. ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

მუხლი 15

1. სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი.
2. სიკვდილით დასჯა აკრძალულია. (27.12.2006 №4136)

მუხლი 16

ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.

მუხლი 17

1. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.
2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაკუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შელახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.
3. დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება. (27.12.2006 №4136)

მუხლი 18

1. ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია.
2. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.
3. ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.
4. ამოღებულია (27.12.2006 №4136)
5. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.
6. დანაშაულის ჩადენაში ეჭვიმტანილის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს, ხოლო ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა - 9 თვეს.
7. ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით. უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

მუხლი 19

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.
2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.
3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

მუხლი 20

1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე. კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.
2. არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მათ მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

მუხლი 21

1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.
2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილ წესით.
3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისა და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.

მუხლი 22

1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება.
2. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გაიღოს საქართველოდან. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.
3. ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

მუხლი 23

- ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია.
- შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია.
- შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადლება და გავრცელების აკრძალვა დაუშვებელია, თუ მისი გავრცელება არ ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს.

მუხლი 24

- ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია.
- სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.
- ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიალური მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 25

- ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაოდ. როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ. (23.12.2005 №2494)
- კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის საშუალო ადგილას იმართება.
- ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

მუხლი 26

- ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება.
- საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.
- დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა. ტერი-

ტორიული მოღიანობის დარღვევა. ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.
4. დაუშვებელია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ შეიარაღებული ფორმირების შექმნა.

5. პირი, რომელიც წაირიცხება სამხედრო ძალების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად, წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას. (23.12.2005 №2494)

6. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

მუხლი 27

სახელმწიფო უფლებამოსილია დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა.

მუხლი 28

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება.

2. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში.

მუხლი 29

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 30

1. შრომა თავისუფალია.

2. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მენარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

3. შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ.

4. შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 31

სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად კანონი ადგენს შეღავათებს.

მუხლი 32

სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პირობები და უმუშევრის სტატუსი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 33

გაფიცვის უფლება აღიარებულია. ამ უფლების განხორციელების წესი განისაზღვრება კანონით. კანონი ადგენს აგრეთვე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურების საქმიანობის გარანტიებს.

მუხლი 34

1. სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმოყოფის გამოვლინებას და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას.
2. საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით.

მუხლი 35

1. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.
2. სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის პარამონიზაციას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. (27.12.2006 №4135)
3. სკოლაშდელ აღზრდას სახელმწიფო უზრუნველყოფს კანონით დადგენილი წესით. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება. (27.12.2006 №4135)
4. სახელმწიფო მხარს უჭერს საგანმანათლებლო დაწესებულებებს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 36

1. ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.
2. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას.
3. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.

მუხლი 37

1. ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით, კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება.
2. სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას. სამკურნალო საშუალებათა წარმოებას და ამ საშუალებებით ვაჭრობას.
3. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში.

სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.

4. ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას.

5. ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 38

1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. სერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განაწილდნენ თანაბრად კულტურა, ისარგებლონ ღელაწით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

2. სერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

მუხლი 39

საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.

მუხლი 40

1. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაწინით.

2. არაწინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.

3. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაწინი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

მუხლი 41

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

2. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია

ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კრძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

მუხლი 42

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.
2. ყოველი პირი უნდა განსჯას მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.
3. დაცვის უფლება გარანტირებულია.
4. არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.
5. არაინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.
6. ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვს ბრალდების მოწმეებს.
7. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.
8. არაინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.
9. ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებულ ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან.

მუხლი 43

1. საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც 5 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.
2. სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოაყენოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და პირებს. სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისევეა კანონით.
3. სახალხო დამცველის უფლებამოსილება განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 44

1. საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს.
2. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები.

მუხლი 45

კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.

მუხლი 46

1. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში შეზღუდოს კონსტიტუციის მე-18, მე-20, 21-ე, 22-ე, 24-ე, 25-ე, 30-ე, 33-ე და 41-ე მუხლებში ჩამოთვლილი უფლებანი და თავისუფლებანი. საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია არა უგვიანეს 48 საათისა ეს გადაწყვეტილება შეიტანოს პარლამენტში დასამტკიცებლად.
2. თუ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შემოღებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, სხვა წარმომადგენლობით ორგანოთა არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმების შემდეგ. ქვეყნის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი. (6.02.2004. №3272)

მუხლი 47

1. საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.
2. საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით, საქართველო თავშესაფარს აძლევს უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.
3. დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის. ან იმ ქმედობისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება.

თავი მესამე
საქართველოს პარლამენტი

მუხლი 48

საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საზღვარს და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 49

1. პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, ოთხი წლის ვადით, პროპორციული სისტემით არჩეული 100 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 50 პარლამენტის წევრისაგან. (23.02.2005 №1010)
2. პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან.
3. პარლამენტის მინიჭებული სტრუქტურა და მუშაობის წესი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით.

4. სახელმწიფო ბიუჯეტში პარლამენტისათვის განკუთვნილი მიმდინარე ხარჯების შეცირება წინა წლის საბიუჯეტო სახსრების ოდენობასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ პარლამენტის წინასწარი თანხმობით. პარლამენტი თავად იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო ბიუჯეტში პარლამენტისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების განაწილების თაობაზე. (6.02.2004. №3272)

მუხლი 50

1. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას, რომლის ინიციატივაც დადასტურებულია არანაკლებ 50000 ამომრჩევლის ხელმოწერით, ან რომელსაც ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში არჩევნების დანიშნის დროისათვის, მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში - პირს, რომლის წარდგენის ინიციატივაც დადასტურებულია 1000 ხელმოწერით მაინც, ან რომელიც ბოლო არჩევნებით იყო პარლამენტის წევრი.

2. პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილება მხოლოდ იმ პოლიტიკურ გაერთიანებასა და საარჩევნო ბლოკებს შორის, რომლებიც პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მიიღებენ მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 7 პროცენტს მაინც. (20.07.1999 №2221).

21. პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა. (27.12.2006 4133)

3. თუ არჩევნების ვადა ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან მესამოცე დღეს. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებისთანავე. პარლამენტის ვადაზე დათხოვნის შემთხვევაში პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები ტარდება პარლამენტის ვადაზე დათხოვნის შესახებ ბრძანებულების ამოქმედებიდან მესამოცე დღეს, ხოლო რიგგარეშე არჩევნების თარიღს პრეზიდენტი ნიშნავს პარლამენტის ვადაზე დათხოვნის შესახებ ბრძანებულების ამოქმედებისთანავე. (27.12.2006 №4133)

31. პარლამენტი საქმიანობას წყვეტს პარლამენტის დათხოვნის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებიდან. პარლამენტის დათხოვნის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებიდან ახლადარჩეული პარლამენტის პირველ სხდომამდე დათხოვნილი პარლამენტი იკრება მხოლოდ პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დამტკიცების, ანდა საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაგრძელების საკითხის გადასწყვეტად. თუ პარლამენტი არ შეიკრება 5 დღის განმავლობაში ან არ დაამტკიცა (გააგრძელა) საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების (გაგრძელების) შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულება, მაშინ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა უქმდება. საომარი მდგომარეობა უნდა გაუქმდეს, თუ პარლამენტი შეკრებიდან 48 საათში არ დაამტკიცებს საომარი მდგომარეობის გამოცხადების (გაგრძელების) შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულებას. პარლამენტის შეკრება არ იწვევს პარლამენტის წევრების საპარლამენტო თანამდებობების და ხელფასების აღდგენას. პარლამენტი წყვეტს საქმიანობას ზემოაღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისთანავე. (6.02.2004. №3272)

4. პარლამენტის უფლებამოსილება წყდება ახლადარჩეული პარლამენტის პირველი შეკრებისთანავე.

5. პარლამენტის წევრის არჩევის წესი, აგრეთვე არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის დაუშვებლობა განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.

მუხლი 51

საქართველოს ახლარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა უნდა გაიმართოს არჩევნიდან 20 დღის განმავლობაში. პირველი სხდომის დღეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. პარლამენტი მუშაობას შეუდგება, თუ დადასტურებულია დეპუტატთა არანაკლებ ორი მესამედის უფლებამოსილება.

მუხლი 51¹

პარლამენტი შეიძლება დათხოვნილ იქნეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში, გარდა:

- ა) პარლამენტის არჩევნების ჩატარებიდან ექვსი თვის განმავლობაში;
- ბ) პარლამენტის მიერ კონსტიტუციის 63-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისას;
- გ) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;
- დ) საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო 6 თვის განმავლობაში. (6.02.2004 №3272)

მუხლი 52

1. საქართველოს პარლამენტის წევრი არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი, სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი ვაგწვევა დაუშვებელია.
2. პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, პარლამენტის დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს. (23.04.2004 №6)
3. პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც პარლამენტის წევრს. დაუშვებელია ამ საკითხთან დაკავშირებული წერილობითი მასალის დაყადაღება. ეს უფლება პარლამენტის წევრს უნარჩუნდება მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.
4. პარლამენტის წევრი პასუხისმგებელი არ მიეცემა თავისი მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში თუ მის გარეთ გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისათვის.
5. უზრუნველყოფილია პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა შეუფერხებელი განხორციელების პირობები. პარლამენტის წევრის განცხადების საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ მის პირად უსაფრთხოებას.
6. დეპუტატის უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.

მუხლი 53

1. პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწოდეს სამეწარმეო საქმიანობას. შეუთავსებლობის შემთხვევებს განსაზღვრავს კანონი.
2. წინა პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევისას პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება.

3. პარლამენტის წევრი იღებს კანონით დადგენილ გასამრჯელოს.

მუხლი 54

1. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს პარლამენტი. პარლამენტის ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში.
2. პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ:
 - ა) პირადი განცხადებით უფლებამოსილება მოესნა;
 - ბ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
 - გ) სასამართლომ ცნო ქმედუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;
 - დ) დაიკავა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა, ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას;
 - ე) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;
 - ვ) არასაკმარის მიზეზით ოთხი თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა პარლამენტის მუშაობაში;
 - ზ) გარდაიცვალა.

მუხლი 55

1. საქართველოს პარლამენტი თავისი უფლებამოსილების ვადით, რეგლამენტით დადგენილი წესით, ფარული კენჭისყრით ირჩევს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეებს, მათ შორის თითო მოადგილეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან (10.10.2002 №1689) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან არჩეულ პარლამენტის წევრთაგან მათივე წარდგინებით. (20.01.2000 №260)
2. პარლამენტის თავმჯდომარე უძღვება პარლამენტის მუშაობას, უზრუნველყოფს აზრის თავისუფალ გამოხატვას, ხელს აწერს პარლამენტის მიერ მიღებულ აქტებს, ასრულებს რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
3. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები ასრულებენ თავმჯდომარის მოვალეობას მისივე დავალებით, თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას ან თანამდებობიდან მისი გადაყენებისას.
4. პარლამენტის თავმჯდომარე რეგლამენტით გათვალისწინებული წესით ასორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს პარლამენტის შენობაში.

მუხლი 56

1. საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, პარლამენტის მიერ მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების და მთავრობის საქმიანობის კონტროლის მიზნით პარლამენტში მისი უფლებამოსილების ვადით იქმნება კომიტეტები.
2. კონსტიტუციითა და რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე დეპუტატთა არანაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნით პარლამენტში იქმნება საგამოძიებო ან სხვა დროებითი კომისიები. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლობა დროებით კომისიაში არ უნდა აღემატებოდეს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარს.
3. საგამოძიებო კომისიის მოთხოვნით მის სხდომაზე გამოცხადება, აგრეთვე საკითხის გამოკვლევისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენა სავალდებულოა.

მუხლი 57

1. პარლამენტის მუშაობის ორგანიზაციისათვის იქმნება პარლამენტის ბიურო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, პარლამენტის კომიტეტებისა და საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეები.

2. კონსტიტუციით განსაზღვრულ თანამდებობის პირთა დანიშვნასთან დაკავშირებულ საკითხებს ბიურო შესაბამისი კომიტეტების დასკვნის საფუძველზე განიხილავს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით. დასკვნა წარედგინება პრეზიდენტს და პარლამენტს. ბიურო იღებს გადაწყვეტილებებს პარლამენტის მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებზე.

მუხლი 58

1. პარლამენტის წევრები შეიძლება გაერთიანდნენ საპარლამენტო ფრაქციებში. ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს შეიღზე ნაკლები. (23.02.2005 1010)

2. ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესი, მისი უფლებამოსილება განისაზღვრება კანონითა და რეგლამენტით.

მუხლი 59

1. პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობას, მთავრობის წევრს, ქალაქის მერს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელს, სახელმწიფო დაწესებულებებს და მიიღოს მათგან პასუხი.

2. პარლამენტის წევრთა სულ ცოტა ათაკიან ჯგუფს, საპარლამენტო ფრაქციას უფლება აქვთ შეკითხვით მიმართონ პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობას, მთავრობის ცალკეულ წევრს, რომლებიც ვალდებული არიან უპასუხონ დასმულ შეკითხვას პარლამენტის სხდომაზე. პასუხი შეიძლება გახდეს პარლამენტის განხილვის საგანი.

3. პარლამენტი უფლებამოსილია პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით პრემიერ-მინისტრის წინაშე დასვას მთავრობის ცალკეული წევრის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი. თუ პრემიერ-მინისტრი არ გაათავისუფლებს მთავრობის წევრს, ასეთ შემთხვევაში, იგი ორი კვირის ვადაში პარლამენტს წარუდგენს თავის მოტივირებულ გადაწყვეტილებას. (6.02.2004 №3272)

მუხლი 60

1. პარლამენტის სხდომები საჯაროა. დამსწრეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით პარლამენტს შეუძლია ცალკეული საკითხების განხილვისას სხდომა ან მისი ნაწილი დახურულად გამოაცხადოს.

2. მთავრობის წევრი, პარლამენტის მიერ არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ზოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, დაესწროს პარლამენტის, მისი კომიტეტის და კომისიის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში. ასეთი თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს პარლამენტმა, კომიტეტმა ან კომისიამ. (6.02.2004 №3272)

3. კენჭისყრა ყოველთვის არის ღია ან სახელობითი, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
4. პარლამენტის სსდომის ოქმი, საიდუმლო საკითხების გამოკლებით, ქვეყნდება პარლამენტის ბეჭდვით ორგანოში.

მუხლი 61

1. საქართველოს პარლამენტი თავისი უფლებით იკრიბება მორიგ სესიაზე წელიწადში ორჯერ. სამუდგომო სესია იხსნება სექტემბრის პირველ სამშაბათს და იხურება დეკემბრის მესამე პარასკევს, ხოლო საგაზაფხულო სესია იხსნება თებერვლის პირველ სამშაბათს და იხურება ივნისის ბოლო პარასკევს.
2. საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარის, დეპუტატთა არანაკლებ მეთოხედის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით სესიებს შორის პერიოდში იწვევს პარლამენტის რიგგარეშე სესიას, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას - რიგგარეშე სსდომას. თუ წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში მოწვევის აქტი არ გამოიცა, პარლამენტი თავისი რეგლამენტის თანახმად ვალდებულია მომდევნო 48 საათის განმავლობაში შეუდგეს მუშაობას.
3. პარლამენტის რიგგარეშე სსდომა ჩატარდება მხოლოდ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამოწურვისთანავე.
4. პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებიდან 48 საათის განმავლობაში პარლამენტი იკრიბება. პარლამენტის მუშაობა გრძელდება ამ მდგომარეობის დამთავრებამდე.

მუხლი 62

პარლამენტის გადაწყვეტილება ომისა და ზავის, საგანგებო ან საომარი მდგომარეობისა და კონსტიტუციის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე მიიღება პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 63

1. 75-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში იმპიჩმენტის წესით საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საკითხი დასკვნისათვის გადაეცემა უზენაეს სასამართლოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს.
2. თუ უზენაესმა სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა პრეზიდენტის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა, ან საკონსტიტუციო სასამართლომ - კონსტიტუციის დარღვევა, დასკვნის განხილვის შემდეგ პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას, რომ კენჭისყრაზე დაისვას იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან პრეზიდენტის გადაყენების საკითხი.
3. პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა.
4. თუ 30 დღის ვადაში პარლამენტმა არ მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი მოხსნილად ითვლება და მომდევნო ერთი წლის განმავლობაში დაუშვებელია იმავე ბრალდების წარდგენა.

5. დაუშვებელია პრეზიდენტისთვის წარდგენილი ბრალდების პარლამენტში განხილვა და გადაწყვეტილების მიღება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის ან ომის დროს.

მუხლი 64

1. კონსტიტუციის დარღვევისას, სახელმწიფოს ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენისათვის იმპიჩმენტის წესით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრების, გენერალური პროკურორის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.

2. 63-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით დასკვნის მიღების შემდეგ სრული შემადგენლობის უმრავლესობით პარლამენტი უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი თანამდებობის პირები. ამ შემთხვევებზე ვრცელდება აგრეთვე 63-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედება.

მუხლი 65

1. საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებას, დენონსირებას და გაუქმებას.

2. იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა გარდა, რომლებიც ითვალისწინებენ რატიფიცირებას, სავალდებულოა აგრეთვე ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების რატიფიცირება, რომელიც:

ა) ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოთაშორის კავშირში საქართველოს შესვლას;

ბ) სამხედრო ხასიათისაა;

გ) ეხება სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას ან სახელმწიფო საზღვრების შეცვლას;

დ) დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ სესხის აღებასა და გაცემასთან;

ე) მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შეცვლას, ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი კანონებისა და კანონის ძალის მქონე აქტების მიღებას.

3. პარლამენტს უნდა ეცნობოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა დადების შესახებ.

4. საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების შეტანის შემთხვევაში დაუშვებელია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების თუ შეთანხმების რატიფიცირება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე.

მუხლი 66

1. პარლამენტში კანონპროექტი ან დადგენილება მიღებულად ითვლება, როცა მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული კანონპროექტის ან დადგენილების მიღების სხვა წესი.

11. კონსტიტუციური შთანხმება დამტკიცებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა სამი მეხუთედი. (30.03.2001 №826)
2. ორგანული კანონის პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
3. პარლამენტის თანხმობა მიიღება დადგენილების სახით, თუ კონსტიტუციით სხვა წესი არ არის განსაზღვრული.
4. სხვა სახის გადაწყვეტილებათა მიღების წესი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით.

მუხლი 67

1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. მთავრობას, პარლამენტის წევრს. საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 30000 ამომრჩეველს.
2. საქართველოს პრეზიდენტის ან მთავრობის მიერ წარდგენილ კანონპროექტს მათივე მოთხოვნით პარლამენტი განიხილავს რიგგარეშე.
3. თუ მთავრობა კანონით გათვალისწინებულ ვადაში არ წარმოადგენს შენიშვნებს პარლამენტში განსახილველ კანონპროექტთან დაკავშირებით, კანონპროექტი მთავრობის მიერ მოწონებულად ჩაითვლება. (6.02.2004 №3272)

მუხლი 68

1. პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი 7 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს. (6.02.2004 №3272)
2. პრეზიდენტი 10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს.
3. თუ პრეზიდენტი დააბრუნებს კანონპროექტს, პარლამენტი კენჭს უყრის პრეზიდენტის შენიშვნებს. შენიშვნათა მისაღებად საკმარისია ხმათა ოცივე რაოდენობა, რაც ამ სახით კანონპროექტისათვის დადგენილია კონსტიტუციის 66-ე მუხლით. თუ შენიშვნები მიღებულია. კანონპროექტის საბოლოო რედაქცია გადაეცემა პრეზიდენტს, რომელიც 7 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას.
4. თუ პარლამენტმა არ მიიღო პრეზიდენტის შენიშვნები, კენჭი უყრება კანონპროექტის პირვანდელ რედაქციას. კანონი ან ორგანული კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამმა მეხუთედმა. კონსტიტუციის შესწორება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მეხუთედმა.
5. თუ პრეზიდენტმა დადგინებულ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე.
6. კანონი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მეოთხუთედი დღის. თუ სხვა ვადა არ არის დადგენილი.

თავი მეოთხე
საქართველოს პრეზიდენტი

მუხლი 69

1. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური. (6.02.2004 №3272)
2. საქართველოს პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. იგი უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონსტიტუციის შესაბამისად.
3. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელია საგარეო ურთიერთობებში.

მუხლი 70

1. საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
2. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელს მანც და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში.
3. პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას ან საინიციატივო ჯგუფს. კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს არანაკლებ 50000 ამომრჩევლის ხელმოწერით.
4. არჩეულად ჩათვლება კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნების მონაწილეთა ნახევარზე მეტმა. (6.02.2004 №3272)
5. თუ არჩევნების პირველ ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, პირველი ტურის შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან ორი კვირის თავზე იმართება არჩევნების მეორე ტური. (27.12.2006 №4133)
6. არჩევნების მეორე ტურში კენჭი ყვრება პირველ ტურში უკეთესი შედეგის მქონე ორ კანდიდატს. არჩეულად ჩათვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს. (6.02.2004 №3272)
7. თუ არჩევნების პირველ ტურში მხოლოდ ერთი კანდიდატი მონაწილეობდა და მან ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო, ან თუ მეორე ტურში არ აირჩა პრეზიდენტი, არჩევნების დღიდან ორი თვის ვადაში იმართება ხელახალი არჩევნები. (27.12.2006 №4133)
8. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს არჩევნები არ ტარდება.
9. პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა. (27.12.2006 №4133)
10. პრეზიდენტის არჩევნების წესი და პირობები აგრეთვე არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის დაუშვებლობა განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით. (20.07.1999 №2224).

მუხლი 71

1. თანამდებობის დაკავების წინ საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტი წარმოთქვამს საპროგრამო სიტყვას და ღებს ფიცს:

„მე. საქართველოს პრეზიდენტი, ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და განუყოფლობას, კეთილსინდისიერად აღვასრულებ პრეზიდენტის მოვალეობას, ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, ჩემი ხალხისა და მამულის აღორძინებისა და ძლევამოსილებისათვის“.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცერემონიალი იმართება პრეზიდენტის არჩევის დღიდან მესამე კვირა დღეს.

მუხლი 72

საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა. გარდა პარტიულისა. ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობისათვის. (6.02.2004 №3272)

მუხლი 73

1. საქართველოს პრეზიდენტი:

ა) ღებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, აწარმოებს მოლაპარაკებას უცხოეთის სახელმწიფოებთან; პარლამენტის თანხმობით ნიშნავს საქართველოს ელჩებსა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს; იღებს უცხოეთის სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას; (27.12.2006 №4133)

ა1) საქართველოს სახელმწიფოს სახელით ღებს კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან; (30.03.2001 №826)

ბ) ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, თანხმობას აძლევს პრემიერ-მინისტრს მთავრობის წევრის – მინისტრის დანიშვნაზე; (6.02.2004 №3272)

გ) უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან კონსტიტუციით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში გადააყენოს მთავრობა, თანამდებობიდან გაათავისუფლოს საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრები; (23.12.2005 №2494)

დ) იღებს მთავრობის, მთავრობის წევრისა და კანონით განსაზღვრულ სხვა თანამდებობის პირთა გადადგომას, უფლებამოსილია მთავრობას, მთავრობის წევრს დააკისროს მოვალეობათა შესრულება მთავრობის ახალი შემადგენლობის ან მთავრობის ახალი წევრის დანიშვნამდე; (6.02.2004 №3272)

ე) თანხმობას აძლევს მთავრობას პარლამენტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წარდგენაზე; (6.02.2004 №3272)

ე) პარლამენტს წარუდგენს, ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობის პირებს კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით;

ზ) საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას ღებს ზავს და არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს ეს გადაწყვეტილებები პარლამენტში დასამტკიცებლად;

თ) ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა და შეიარაღებული ამოხების, ეკოლოგიური კატასტროფების და ეპიდემიების დროს, ან სხვა შემთხვევებში, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და ეს გადაწყვეტილება

არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს პარლამენტში დასამტკიცებლად. საგანგებო მდგომარეობის დროს გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებიც მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე, ახორციელებს საგანგებო ღონისძიებებს. დეკრეტები წარედგინება პარლამენტს, როცა იგი შეიკრიბება. საგანგებო უფლებამოსილებანი ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც ამ პუნქტში აღნიშნულ მიზეზთა გამო გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა;

ი) პარლამენტის თანხმობით უფლებამოსილია შეაჩეროს თვითმმართველობის ან ტერიტორიული ერთეულების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობა, ან დაითხოვოს ისინი, თუ მათი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას;

კ) კონსტიტუციისა და კანონის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებულებებს და განკარგულებებს;

ლ) ხელს აწერს და აქვეყნებს კანონებს კონსტიტუციით განსაზღვრული წესით;

მ) წყვეტს მოქალაქეობის, თავშესაფრის მიცემის საკითხებს;

ნ) ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებს, უმაღლეს სამხედრო, სპეციალურ და საპატიო წოდებებს, უმაღლეს დიპლომატიურ რანგებს;

ო) შეიწყალებს მსჯავრდებულთ.

პ) დაითხოვს პარლამენტს კონსტიტუციით დადგენილ შემთხვევებში და წესით; (6.02.2004 №3272)

ჟ) ამოღებულია (27.12.2006 №4133 ამოქმედდეს ორგანული კანონით შესაბამისი საკითხების მოწესრიგების შემდეგ).

რ) პარლამენტის დათხოვნიდან ახლადარჩეული პარლამენტის პირველ შეკრებამდე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, უფლებამოსილია საგადასახადო და საბიუჯეტო საკითხებზე გამოსცეს კანონის ძალის მქონე აქტი – დეკრეტი, რომელიც ძალას კარგავს, თუ ახლადარჩეული პარლამენტი პირველი შეკრებიდან ერთი თვის განმავლობაში არ დაამტკიცებს მას; (6.02.2004 №3272)

ს) 51¹ მუხლის „ა“ – „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას პარლამენტის მიერ კონსტიტუციით დადგენილ ვადაში მთავრობის შემადგენლობისათვის ნდობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში უფლებამოსილია დანიშნოს პრემიერ-მინისტრი და თანხმობა მისცეს მას მინისტრების დანიშვნაზე. ზემოაღნიშნული გარემოებების ამოწურვიდან ერთი თვის განმავლობაში პრეზიდენტი ხელახლა წარუდგენს პარლამენტს მთავრობის შემადგენლობას ნდობის მისაღებად. (6.02.2004 №3272)

2. პრეზიდენტი ნიშნავს პარლამენტისა და წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებს კანონით დადგენილი წესით.

3. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა აქტები, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, კანონებსა და პრეზიდენტის ნორმატიულ აქტებს. (6.02.2004 №3272)

4. პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. იგი ნიშნავს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან გადააყენებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსს, სხვა მხედართმთავრებს. (27.12.2006 №4136)

5. პრეზიდენტი უფლებამოსილია მიმართოს ხალხს და პარლამენტს. წელიწადში ერთხელ იგი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

6. პრეზიდენტი ახორციელებს კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 74

1. საქართველოს პარლამენტის, არანაკლებ 20000 ამომრჩევლის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით საქართველოს პრეზიდენტი კონსტიტუციითა და ორგანული კანონით განსაზღვრულ საკითხებზე ნიშნავს რეფერენდუმს მისი ჩატარების მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

2. არ შეიძლება რეფერენდუმის მოწეობა კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად. ამისტიისა და შეწყალების გამო, საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შუთანხმებათა რატიფიცირებისა და დენონსირების შესახებ, აგრეთვე ისეთ საკითხებზე, რომლებიც ზღუდავენ ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

3. რეფერენდუმის დანიშვნასა და ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 75

1. საქართველოს პრეზიდენტი ხელშეუვალია. თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.

2. პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის, სახელმწიფო ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პარლამენტს კონსტიტუციის 63-ე მუხლითა და ორგანული კანონით დადგენილი წესით შეუძლია თანამდებობიდან გადააყენოს პრეზიდენტი. თუ:

ა) კონსტიტუციის დარღვევა დადასტურებულია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით;

ბ) სახელმწიფოს ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები დადასტურებულია უზენაესი სასამართლოს დასკვნით.

მუხლი 76

1. საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე. ზოლო პარლამენტის თავმჯდომარის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, აგრეთვე თუ პარლამენტი დათხოვნილია, საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პრემიერ-მინისტრი. პარლამენტის თავმჯდომარის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების პერიოდში პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობას, პარლამენტის თავმჯდომარის დავალებით, ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე. პრემიერ-მინისტრის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების პერიოდში პრემიერ-მინისტრის მოვალეობას ასრულებს ვიცე-პრემიერის უფლებამოსილების მქონე მთავრობის წევრი.

2. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი უფლებამოსილი არ არის გამოიყენოს 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ი“ ქვეპუნქტებით და 74-ე მუხლის

პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებები. ასევე დაითხოვოს პარლამენტი.
(6.02.2004 №3272)

3. პრეზიდენტის არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის დროიდან 45 დღის განმავლობაში და მის ჩატარებას უზრუნველყოფს პარლამენტი.

მუხლი 76¹

საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტს დასანიშნად წარუდგენს საქართველოს გენერალური პროკურორის კანდიდატურას. საქართველოს პროკურატურის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.
(6.02.2004 №3272)

მუხლი 77

საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებათა განხორციელების ხელშეწყობის მიზნით იქმნება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს, ადმინისტრაციის სტრუქტურასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი. (6.02.2004 №3272)

თავი მეთხუთსი¹

საპარტიველოს მთავრობა (6.02.2004 №3272)

მუხლი 78

1. მთავრობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას. მთავრობა პასუხისმგებელია საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე.

2. მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრის და მინისტრებისაგან. მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს სახელმწიფო მინისტრი (სახელმწიფო მინისტრები). პრემიერ-მინისტრი მთავრობის ერთ-ერთ წევრს აკისრებს ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულებას. მთავრობა და მთავრობის წევრები უფლებამოსილებას იხსნიან საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.

3. მთავრობა კონსტიტუციის, კანონების და პრეზიდენტის ნორმატიული აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად იღებს დადგენილებასა და განკარგულებას, რომლებსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი.

4. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია გამსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებით მოიწვიოს და თავმჯდომარეობდეს მთავრობის სხდომას. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება პრეზიდენტის აქტით.

5. მთავრობის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციით და კანონით, რომლის პროექტსაც პარლამენტს წარუდგენს მთავრობა პრეზიდენტთან შეთანხმებით.

6. მთავრობა უფლებამოსილია გადადგეს საკუთარი გადაწყვეტილებით.

7. მთავრობის უფლებამოსილება იწყება კონსტიტუციით დადგენილი წესითა და შემთხვევებში მთავრობის წევრების დანიშნვისთანავე. (6.02.2004 №3272)

მუხლი 79

1. მთავრობის თავმჯდომარეა პრემიერ-მინისტრი.
2. პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის მიმართულებებს, ორგანიზაციას უწევს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს კოორდინაციას და კონტროლს მთავრობის წევრების საქმიანობაზე, მოახსენებს საქართველოს პრეზიდენტს მთავრობის საქმიანობის შესახებ და პასუხისმგებელია მთავრობის საქმიანობისათვის საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე.
3. პრემიერ-მინისტრი პარლამენტის მოთხოვნით წარუდგენს მას სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშს.
4. პრემიერ-მინისტრი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს – ბრძანებას, აგრეთვე, ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს მთავრობის შენობაში.
5. პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტის თანხმობით ნიშნავს მთავრობის სხვა წევრებს, უფლებამოსილია თანამდებობიდან გაათავისუფლოს მთავრობის წევრები.
6. პრემიერ-მინისტრი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სხვა თანამდებობის პირებს.
7. პრემიერ-მინისტრის გადადგომა ან მისი უფლებამოსილების შეწყვეტა იწვევს მთავრობის სხვა წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას. მთავრობის სხვა წევრის გადადგომის ან თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით ორი კვირის ვადაში ნიშნავს მთავრობის ახალ წევრს. (6.02.2004 №3272)

მუხლი 80

1. საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის მიღების შემდეგ მთავრობა იხსნის უფლებამოსილებას საქართველოს პრეზიდენტის წინაშე. პრეზიდენტი იღებს მთავრობის უფლებამოსილების მოხსნას და მასვე შეუძლია დააკისროს მოვალეობათა შესრულება მთავრობის ახალი შემადგენლობის დანიშვნამდე.
2. საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის გადადგომის, გადაყენების ან უფლებამოსილების მოხსნიდან 7 დღის განმავლობაში საპარლამენტო ფრაქციებთან კონსულტაციების შემდეგ შეარჩევს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას, ხოლო პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით 10 დღის ვადაში – მთავრობის წევრების კანდიდატურებს. ამ პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებული პროცედურის დასრულებიდან 3 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტს წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას ნდობის მისაღებად.
3. პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის მიერ მთავრობის შემადგენლობის წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს. პარლამენტის ნდობის მისაღებად საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა. მთავრობის წევრები უნდა დაინიშნონ ნდობის გამოცხადებდან სამი დღის ვადაში. პარლამენტი უფლებამოსილია ნდობა არ გამოუცხადოს მთავრობის შემადგენლობას და იმავე გადაწყვეტილებაში დასვას მთავრობის ცალკეული წევრის აცილების საკითხი. პრეზიდენტის მიერ აცილების შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების გაზიარების შემთხვევაში დაუშვებელია აცილებული

პირის მთავრობის იმავე შემადგენლობაში დანიშნენ მთავრობის გათავისუფლებული ან გადამდგარი წევრის ნაცვლად.

4. თუ მთავრობის შემადგენლობამ და მისმა სამთავრობო პროგრამამ ვერ მიიღო პარლამენტის ნდობა, საქართველოს პრეზიდენტი ერთი კვირის ვადაში წარუდგენს პარლამენტს მთავრობის იმავე ან ახალ შემადგენლობას. პარლამენტი ახორციელებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პროცედურას.

5. თუ მთავრობის შემადგენლობამ და სამთავრობო პროგრამამ ზედოხედ სამჯერ ვერ მიიღო პარლამენტის ნდობა, საქართველოს პრეზიდენტი 5 დღის ვადაში წამოაყენებს პრემიერ-მინისტრის ახალ კანდიდატურას ან პარლამენტის თანხმობის გარეშე ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი, ასევე 5 დღის ვადაში, დანიშნავს მინისტრებს საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით. ამ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურების მიმდინარეობისას დაუშვებელია საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრა. (6.02.2004 №3272)

მუხლი 81

1. პარლამენტი უფლებამოსილია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას სრული შემადგენლობის უმრავლესობით. უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას ან არ იზიარებს პარლამენტის გადაწყვეტილებას. თუ პარლამენტი არა უადრეს 90 და არა უგვიანეს 100 დღისა კვლავ გამოუცხადებს მთავრობას უნდობლობას, საქართველოს პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას ან დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს. 51¹ მუხლის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას უნდობლობის გამოცხადების შესახებ განმეორებითი კენჭისყრა უნდა გაიმართოს ამ გარემოებების ამოწურვიდან 15 დღეში.

2. პარლამენტი უფლებამოსილია დადგენილებით აღძვრას მთავრობისთვის უპირობო უნდობლობის გამოცხადების საკითხი. თუ დადგენილების მიღებიდან არა უადრეს 15 და არა უგვიანეს 20 დღისა პარლამენტი სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობით გამოუცხადებს მთავრობას უნდობლობას, პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას. თუ პარლამენტი მთავრობას უნდობლობას ვერ გამოუცხადებს, მთავრობის უნდობლობის საკითხის დასმა შემდგომი 6 თვის განმავლობაში დაუშვებელია.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით მთავრობის გადაყენების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილი არ არის მთავრობის მომდევნო შემადგენლობაში დანიშნოს იგივე პირი პრემიერ-მინისტრად ან წარადგინოს პრემიერ-მინისტრობის იგივე კანდიდატურა.

4. პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია დასევას მთავრობის ნდობის საკითხი პარლამენტში განსახილველ სახელმწიფო ბიუჯეტის, საგადასახდო კოდექსის და მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონპროექტებზე. პარლამენტი მთავრობას ნდობას უცხადებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით. თუ პარლამენტი მთავრობას ნდობას არ გამოუცხადებს, საქართველოს

პრეზიდენტი ერთი კვირის განმავლობაში გადააყენებს მთავრობას ან დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.

5. ნდობის გამოცხადებასთან დაკავშირებით ექსპიცირა უნდა გაიმართოს საკითხის დასმიდან 15 დღის განმავლობაში. ამ ვადაში ექსპიცირის ჩაუტარებლობა ნიშნავს ნდობის გამოცხადებას.

6. პარლამენტის მიერ მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებისას შესაბამისი კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურების მიმდინარეობისას დაუშვებელია საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრა. (6.02.2004 №3272)

მუხლი 81¹

1. პარლამენტის მიერ მთავრობისა და მისი სამთავრობო პროგრამისათვის ნდობის გამოცხადების შემდეგ მთავრობის თავდაპირველი შემადგენლობის ერთი მესამედით, მაგრამ არანაკლებ მთავრობის 5 წევრით განახლების შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტი ერთი კვირის ვადაში წარუდგენს პარლამენტს ნდობის მისაღებად მთავრობის შემადგენლობას.

2. პარლამენტის მიერ მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადება ხდება კონსტიტუციის მე-80 მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 81²

1. სამინისტროები იქმნება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო მმართველობის და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

2. სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელიც დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე. მინისტრი კანონის, პრეზიდენტის ნორმატიული აქტის ან მთავრობის დადგენილების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებას.

3. სახელმწიფო მინისტრი ინიშნება კონსტიტუციით დადგენილი წესით განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი ამოცანების შესასრულებლად.

4. მთავრობის წევრს უფლება არ აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა, დაფუძნოს საწარმო, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს რაიმე სხვა საქმიანობიდან, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური, შემოქმედებითი საქმიანობისა.

5. მთავრობის წევრი უფლებამოსილია გადადგეს თანამდებობიდან. (6.02.2004. 3272)

თავი მესამე

სასამართლო ხელისუფლება

მუხლი 82

1. სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულების და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით.

2. სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

3. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები.

4. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით.
5. საერთო სასამართლოებში საქმეები ნაფიცი მსაჯულების მიერ განიხილება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით. (6.02.2004 №3272)

მუხლი 83

1. საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. მისი უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციით და ორგანული კანონით.
2. მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები. მათი სისტემა დადგენილია ორგანული კანონით. (27.12.2006 №4133)
3. სამხედრო სასამართლოს შემოღება შეიძლება საომარ პირობებში და მხოლოდ საერთო სასამართლოს სისტემაში.
4. საგანგებო ან სპეციალური სასამართლოების შექმნა დაუშვებელია.

მუხლი 84

1. მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე, ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით, აკრძალულია და ისჯება კანონით.
2. მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან, თანამდებობიდან მისი ვადამდე განთავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დაიშვება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.
3. არაეის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.
4. ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას.
5. სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შერევა შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით.

მუხლი 85

1. სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ.
2. სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის. მიუჩინება თარჯიმანი. იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობა არ ფლობს სახელმწიფო ენას, უზრუნველყოფილია სახელმწიფო ენის შესწავლისა და სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.
3. სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეუცვლადობის საფუძველზე.

მუხლი 86

1. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 28 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება. (27.12.2005 №2496)
2. მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება ხდება არანაკლებ 10 წლის ვადით. მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნის, თანამდებობიდან განთავისუფლების წესი განისაზღვრება კანონით.

3. მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობისა. მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში. (27.12.2005 №2496)

მუხლი 86¹

(27.12.2006 №4133 ამოქმედდეს ორგანული კანონით შესაბამისი საკითხების მოწესრიგების შემდეგ)

1. მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშნვის, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.
2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტს შეადგენენ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული წევრები. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.
3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება და შექმნის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 87

1. მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი ვაჩხრეკა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.
2. სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსამართლის და მისი ოჯახის უსაფრთხოებას.

მუხლი 88

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით.
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისაგან - საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისაგან. სასამართლოს სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამ წევრს ირჩევს პარლამენტი სითით შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედით, სამ წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადაა 10 წელი. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს. თავმჯდომარედ ერთი და იმავე პირის ხელმძღვრედ არჩევა დაუშვებელია.
3. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.
4. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი ოურიდიული განათლება. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების შერჩევის, დანიშვნისა და არჩევის, მათი უფლებამოსილების

შეწყვეტის. აგრეთვე საკონსტიტუციო სამართალწარმოების და სასამართლოს საქმიანობის სხვა საკითხები განისაზღვრება კანონით. (27.12.2005 №2496)

5. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, საკონსტიტუციო სასამართლოს დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

მუხლი 89

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის, სასამართლოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების, სახალხო დამცველის და მოქალაქის სარჩელისა თუ წარდგინების საფუძველზე ორგანული კანონით დადგენილი წესით: (6.02.2004 №3272)

ა) იღებს გადაწყვეტილებებს კონსტიტუციასთან, კონსტიტუციური შეთანხმების, კანონის, პრეზიდენტის, მთავრობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხებზე; (6.02.2004 №3272)

ბ) იხილავს დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ;

გ) იხილავს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხებს;

დ) იხილავს რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას; (27.12.2005 №2496)

ე) იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხს;

ვ) პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით; (27.12.2005 №2496)

ვ1) იხილავს დავას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე; (01.07.2004 №306)

ზ) ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით და ორგანული კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

მუხლი 90

1. საქართველოს უზენაესი სასამართლო არის უმაღლესი საკასაციო სასამართლო. (27.12.2005 №2496)

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი არანაკლებ 10 წლის ვადით.
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილება, ორგანიზაცია, საქმიანობისა და უზენაესი სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წესი განისაზღვრება კანონით.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები ხელშეუხებელი არიან. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და წევრების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მათი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

მუხლი 91

ამოღებულია (6.02.2004. №3272)

თავი მეექვსე

სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი

მუხლი 92

1. საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ყოველწლიურად იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი.
2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და მიღების წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 93

1. მხოლოდ საქართველოს მთავრობა უფლებამოსილი პარლამენტის კომიტეტებთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით პარლამენტს წარუდგინოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი.
2. მთავრობა მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს პარლამენტს წარუდგენს არა უგვიანეს სამი თვისა საბიუჯეტო წლის დამთავრებამდე. ბიუჯეტის პროექტთან ერთად მთავრობა წარადგენს მოხსენებას მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს მთავრობა პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 3 თვისა. თუ პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებლობის შემთხვევაში არ დაამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს, საქართველოს პრეზიდენტი განიხილავს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს და პარლამენტს ერთი თვის განმავლობაში აცნობებს თავისი დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე.
3. კონსტიტუციის 51¹ მუხლის „ა“-„დ“ ქვეუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში პარლამენტის მიერ კონსტიტუციით დადგენილ ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტის დაუმტკიცებლობისას სახელმწიფო ბიუჯეტს ლეკრუტით ამტკიცებს პრეზიდენტი.

4. მთავრობის თანხმობის გარეშე დაუშვებელია ბიუჯეტის პროექტში ცვლილების შეტანა. მთავრობას მხოლოდ იმ პირობით შეუძლია მოსთხოვოს პარლამენტს დამატებითი სახელმწიფო ხარჯის გაღება, თუ მიუთითებს მისი დაფარვის წყაროს.
5. პარლამენტი უფლებამოსილია გააკონტროლოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერება და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შეჩერების მოთხოვნით. საბიუჯეტო სახსრების არაკანონიერი ხარჯვის დადასტურების შემთხვევაში პრეზიდენტი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.
6. თუ პარლამენტმა ვერ მოახერხა ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის დაცვით წარდგენილი ბიუჯეტის მიღება სამი თვის განმავლობაში, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია გადააყენოს მთავრობა ან დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები.
7. სახელმწიფო ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში პარლამენტის დათხოვნისას, პრეზიდენტი ღებულობს დაამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს და ახლადარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან ერთ თვეში წარუდგენს მას დასამტკიცებლად.
8. კანონპროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, პარლამენტმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთავრობის თანხმობის შემდეგ, ხოლო მომავალ საფინანსო წელთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული კანონპროექტები – მთავრობის მიერ პარლამენტთან შეთანხმებული სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების ფარგლებში. (6.02.2004. №3272)

მუხლი 94

1. საგადასახადებელია გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით.
2. გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურას, შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი.
3. გადასახადებისაგან განთავისუფლება, აგრეთვე სახელმწიფო ხაზინიდან ხარჯის გაღება დასაშვებია მხოლოდ კანონით.

მუხლი 95

1. საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული ბანკი.
2. საქართველოს ეროვნული ბანკი შეიმუშავებს და ახორციელებს ფულად-საკრედიტო და საგადასახადო პოლიტიკას პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად.
3. ეროვნული ბანკი არის ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი.
4. ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. ეროვნული ბანკის უფლება-მოვალეობა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით.
5. ფულის სახელწოდება და ერთეული განისაზღვრება კანონით. ფულის ემისიის უფლება აქვს მხოლოდ ეროვნულ ბანკს.

მუხლი 96

1. საქართველოს ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო, რომლის წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით 7 წლის ვადით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების გადაყენება შეიძლება მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით 64-ე მუხლის შესაბამისად.
2. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით ბანკის საბჭოს წევრთაგან ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.
3. ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე და ყოველწლიურად წარუდგენს მას თავისი საქმიანობის ანგარიშს.

მუხლი 97

1. სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს საქართველოს კონტროლის პალატა. იგი უფლებამოსილია აგრეთვე შეამოწმოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა, წარუდგინოს პარლამენტს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები.
2. კონტროლის პალატა დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. კონტროლის პალატის თავმჯდომარეს 5 წლის ვადით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. მისი თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები და წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და კანონით. (6.02.2004 №3272)
3. წელიწადში ორჯერ, ბიუჯეტის შესრულების წინასწარი და სრული ანგარიშის წარდგენის დროს, კონტროლის პალატა პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით, ხოლო წელიწადში ერთხელ - თავისი საქმიანობის ანგარიშს.
4. კონტროლის პალატის უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი, დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება კანონით.
5. სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოები იქმნება კანონის შესაბამისად.

თავი მეთხუთედი

სახელმწიფოს თავდაცვა

მუხლი 98

1. თავდაცვითი ომი საქართველოს სუვერენული უფლებაა.
2. ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, აგრეთვე საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად საქართველოს ჰყავს სამხედრო ძალები.
3. სამხედრო ძალების სახეობები და შემადგენლობა განისაზღვრება კანონით. სამხედრო ძალების სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი, რაოდენობას კი ეროვნული უშიშროების საბჭოს წარდგინებით - პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 99

1. სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციისათვის იქმნება ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტი.
2. ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 100

1. სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი და 48 საათის განმავლობაში შეაქვს იგი პარლამენტში დასამტკიცებლად. ამასთან, საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად სამხედრო ძალთა გამოყენება დაუშვებელია საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე.
2. სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით განსაკუთრებულ და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალის შემოყვანის, გამოყენებისა და გადაადგილების გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად და ძალაში შედის პარლამენტის თანხმობის შემდეგ. (6.02.2004 №3272)

მუხლი 101

1. საქართველოს დაცვა საქართველოს ყოველი მოქალაქის მოვალეობაა.
2. ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის ვალაია. სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმას ადგენს კანონი.

თავი მერვე
კონსტიტუციის გადასინჯვა

მუხლი 102

1. კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის კანონპროექტის შეტანის უფლება აქვთ:
 - ა) პრეზიდენტს;
 - ბ) პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს;
 - გ) არანაკლებ 200000 ამომრჩეველს.
2. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი წარედგინება საქართველოს პარლამენტს, რომელიც აქვეყნებს მას საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. პარლამენტში კანონპროექტის განხილვა იწყება მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.
3. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი.
4. კონსტიტუციის 68-ე მუხლით გათვალისწინებული წესით კონსტიტუციის გადასინჯვის კანონს ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 103

საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება გამოიწვევს კონსტიტუციის გადასინჯვის შეჩერებას საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებამდე.

თავი მცხრა

გარდამავალი დებულებები

მუხლი 104

1. საქართველოს კონსტიტუცია ძალაში შედის საქართველოს ახლარჩეული პრეზიდენტისა და პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის დღიდან.
2. კონსტიტუციის 49-ე, 50-ე და 70-ე მუხლები ძალაში შედის კონსტიტუციის გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 104¹ *(23.02.2005 №1010)*

1. კონსტიტუციის 49-ე მუხლის პირველი პუნქტი და 58-ე მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანისთანავე.
2. 2004 წელს არჩეული საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების შეწყვეტამდე მისი შემადგენლობა, აგრეთვე ფრაქციის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი პარლამენტის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება ამ პარლამენტის არჩევნების დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. 2004 წელს არჩეული საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები ჩატარდეს 2008 წლის 1 ოქტომბრიდან 2008 წლის 31 დეკემბრამდე არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. *(27.12.2006 №4133)*

მუხლი 105

1. 1995 წლის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას, რომლის ინიციატივა დადასტურებულია 50000 ხელმოწერით მაინც, ან რომელსაც ჰყავდა წარმომადგენელი პარლამენტში კონსტიტუციის მიღების დღისათვის.
2. პროპორციული სისტემით არჩევნები ტარდება ერთიანი პარტიული სიით.
3. პოლიტიკურ გაერთიანებას, საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარადგინოს დეპუტატობის ის კანდიდატიც, რომელიც იმავდროულად მის პარტიულ სიამა.
4. მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს, მაგრამ ენჭვისყრის მონაწილეთა არანაკლებ ერთი მესამედისა.
5. პირველ ტურში თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ჩატარდება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს უკეთესი შედეგის მქონე ორი კანდიდატი. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს.
6. ეს მუხლი ძალაში შედის კონსტიტუციის გამოქვეყნებისთანავე და მოქმედებს ახლარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობამდე.

მუხლი 106

1. კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ მოქმედებს მხოლოდ ის სამართლებრივი აქტი ან აქტის ნაწილი, რომელიც კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება.
2. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში საქართველოს

პრეზიდენტი და საქართველოს პარლამენტი უზრუნველყოფენ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მიღებული ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეგისტრაციას, კონსტიტუციასთან და კანონებთან მათ შესაბამისობას.

3. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ორგანული კანონები, ან დაადასტუროს ამ სფეროში არსებული ნორმატიული აქტების მართლზომიერება.

მუხლი 107

1. კონსტიტუციის შესაბამისად სასამართლო წყობილების ორგანული კანონების მიღებამდე ძალაში რჩება სასამართლო წყობილების მოქმედი კანონმდებლობა.

2. კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ძალაში შევა შესაბამისი სისხლის სამართლის საპროცესო საკანონმდებლო აქტების მიღების შემდეგ.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონი მიღებულ უნდა იქნეს 1996 წლის 1 თებერვლამდე.

მუხლი 108

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის სრულ აღდგენასთან დაკავშირებით კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტში სათანადო ცვლილებებისა თუ დამატებების შეტანა გამონაკლისის წესით დასაშვებია კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნების გარეშე.

მუხლი 109

1. შესაბამისი წესით მიღებულ კონსტიტუციას ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.

2. საქართველოს პარლამენტისა და საკონსტიტუციო კომისიის წევრები ხელს აწერენ კონსტიტუციის ტექსტს. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან სულ ცოტა ერთი წლის განმავლობაში ტექსტი ღიად უნდა ინახებოდეს საქართველოს ყველა ადგილობრივი ორგანოს შენობაში, რათა მოსახლეობა გაეცნოს მის შინაარსს.

*საქართველოს სახელმწიფოს
მეთაური*

ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს კანონი

სიტყვისა და გამოსატვის თავისუფლების შესახებ

2004 წლის 24 ივნისი

თავი I.

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) *განცხადება* – ინფორმაცია, რომელიც განმცხადებელმა საჯაროდ გაავრცელა ან შესამე პირს გააცნო;
- ბ) *აზრი* – შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს;
- გ) *გამოხატვის საგანი* – თემა ან საკითხი, რომლის შესახებაც მიმდინარეობს მსჯელობა და ამა თუ იმ თვალსაზრისის გამოხატვა;
- დ) *მოწოდება* – განცხადება, რომლის ავტორიც მიზნად ისახავს ან აშკარად უშვებს გარკვეული ქმედების გამოწვევას;
- ე) *ცილისწამება* – არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება;
- ვ) *უხამსობა* – განცხადება, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს;
- ზ) *საზოგადოებრივი ყურადღება* – საზოგადოების ინტერესი (და არა ცალკეულ პირთა უბრალო ცნობისმოყვარეობა) იმ მოვლენისადმი, რომელიც დაკავშირებულია დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელებასთან;
- თ) *ადმინისტრაციული ორგანო* – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ორგანო, დაწესებულება ან პირი, გარდა საზოგადოებრივი მათემატიკისა;
- ი) *საჯარო პირი* – „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული

თანამდებობის პირი; პირი, რომლის გადაწყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; პირი, რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება;

კ) *კერძო პირი* – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ არის საჯარო პირი ან ადმინისტრაციული ორგანო;

ლ) *სახელმწიფო საიდუმლოება* – ინფორმაცია, რომელიც „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად და ექვემდებარება სახელმწიფოს მიერ დაცვას;

მ) *კომერციული საიდუმლოება* – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 272 მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია. ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ინფორმაცია არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას;

ნ) *პირადი საიდუმლოება* – პირადი ფასეულობის მქონე ინფორმაცია, რომლის საიდუმლოების დაცვასაც მოითხოვს კანონი, აგრეთვე ყველა ის ინფორმაცია და გარემოება, რომელთან დაკავშირებითაც ადამიანს აქვს კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის გონივრული მოლოდინი. ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ინფორმაცია არ წარმოადგენს პირად საიდუმლოებას;

ო) *პროფესიული საიდუმლოება* – აღსარების საიდუმლოება, პარლამენტის წევრის, ექიმის, ჟურნალისტის, უფლებადამცველის, დამცველის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით მათთვის განდობილი ინფორმაცია, აგრეთვე პროფესიული ფასეულობის მქონე ინფორმაცია, რომელიც პირისათვის ცნობილი გახდა კონფიდენციალობის დაცვის პირობით, მის მიერ პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით და რომლის გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს პირის პროფესიულ რეპუტაციას. ინფორმაცია, რომელიც არ არის სახელმწიფო საიდუმლოება ან სხვა პირის პირადი ან კომერციული საიდუმლოება, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ინფორმაცია არ წარმოადგენს პროფესიულ საიდუმლოებას;

პ) *ნათელი და განჭვრეტადი კანონი* – ჯეროვანი სიზუსტით ფორმულირებული ნორმა, რომელიც არ შეიცავს ზოგად, ორაზროვან და ბუნდოვან დებულებებს და პირს აძლევს საშუალებას, დაარეგულიროს საკუთარი ქმედება, აგრეთვე წინასწარ, ცხადად განსაზღვროს მისი სამართლებრივი შედეგები;

ჟ) *ეიწროვ მიზანმიმართული კანონი* – ნორმა, რომელიც აწესებს შეზღუდვის პირდაპირ მოთხოვნას, კონკრეტულ კრიტერიუმებსა და ამომწურავ ჩამონათვალს და შეიცავს ამ ნორმის არამიზნობრივად გამოყენების საწინააღმდეგო გარანტიებს;

რ) *ლევტიმური მიზანი* – საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტითა და 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით დაცული სიკეთეები;

ს) *არადისკრიმინაციულობა* – გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღების აკრძალვა და თანაბარი მოპყრობის ვალდებულება;

ტ) *დემოკრატიული საზოგადოებისათვის კრიტიკულად აუცილებელი შეზღუდვა* – ლევტიმური მიზნიდან გამომდინარე შეზღუდვა, რომელიც ემსახურება დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის შეუცვლელი და სასიცოცხლო მნიშვნელობის სიკეთის დაცვას და რომელიც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როცა ამოიწურება ლევტიმური მიზნის მიღწევის ყველა სხვა გონივრული და ქმედითი შესაძლებლობა;

უ) შეზღუდვის პროპორციულობა – ლეგიტიმური მიზნისა და კრიტიკული აუცილებლობის შესაბამისი შეზღუდვა, რომელიც ამ მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტიანი და ყველაზე ნაკლებად შემზღუდავი საშუალებაა. უფრო მაკარი ზომების გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა სხვაგვარად შეუძლებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა და კრიტიკული აუცილებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილება;

ფ) აბსოლუტური პრივილეგია – კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრული და უპირობო განთავისუფლება;

ქ) კვალიფიციური პრივილეგია – კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის ნაწილობრივ ან პირობით განთავისუფლება. სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით პირმა ბრალეული ქმედების ჩადენისათვის შეიძლება დაკარგოს პრივილეგია, თუ ეს აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად;

ღ) მელა – მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვითი ან ელექტრონული საშუალება, მათ შორის, ინტერნეტი.

მუხლი 2. კანონის ინტერპრეტირება

ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად.

მუხლი 3. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება

1. სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.

2. ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს:

ა) აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას;

ბ) პოლიტიკური სიტყვისა და დებატების თავისუფლებას;

გ) ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლებას;

დ) ცენზურის დაუშვებლობას, მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობასა და პლურალიზმს, ჟურნალისტიკის უფლებას. დაიცავს ინფორმაციის წყაროს საიდუმლოება და საკუთარი სინდისის შესაბამისად მიიღოს სარედაქციო გადაწყვეტილებები;

ე) სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიურ თავისუფლებას;

ვ) ხელისუფლების, შემოქმედებისა და გამოგონების თავისუფლებას;

ზ) ნებისმიერ ენაზე მეტყველების, ნებისმიერი დამწერლობის გამოყენების უფლებას;

თ) ქველმოქმედების უფლებას;

ი) მხილების თავისუფლებას და მამხილებელთა დაცვას;

კ) თავისუფლებას იძულებისაგან, გამოთქვას თავისი შეხედულება რწმენის, აღმსარებლობის, სინდისისა და მსოფლმხედველობის, ეთნიკური, კულტურული და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი

მდგომარეობის. აგრეთვე ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება გახდეს მისი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის საფუძველი.

3. ეს კანონი არ უარყოფს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ, საქართველოს კონსტიტუციით დაცულ და სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამოძინარებას ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების პრინციპებიდან.

მუხლი 4. აზრისა და მოწოდების თავისუფლება

1. აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით.

2. მოწოდება დაცულია კვალიფიციური პრივილეგიით. მოწოდება იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას მხოლოდ მაშინ, როცა პირი წაიღენს განზრახ ქმედებას, რომელიც ქმნის კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.

მუხლი 5. პოლიტიკური და სასამართლო სიტყვის თავისუფლება

1. ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას არ იწვევს განცხადება, რომელიც გაკეთებულია:

ა) პოლიტიკური დებატების ფარგლებში, აგრეთვე პარლამენტის ან საკრებულოს წევრის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

ბ) წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე, სახალხო დამცველის წინაშე, პარლამენტის ან საკრებულოს, აგრეთვე მათი კომიტეტის სხდომაზე, პირის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში;

გ) უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნით.

2. ცილისწამების შესახებ სარჩელის შეტანის შემთხვევაში სასამართლო მოსამზადებელ სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით ამოწმებს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ გარემოებებს. ასეთი გარემოებების დადასტურებისას სასამართლოს გამოაქვს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 209-ე და 273-ე მუხლებით გათვალისწინებული განჩინება, რაც არ იწვევს ამ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს.

მუხლი 6. სასამართლო გარანტიები

1. პირს უფლება აქვს სარჩელით მიმართოს სასამართლოს ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ხელყოფის თავიდან აცილების ან აღკვეთის, აგრეთვე უკანონო ზემოქმედებისა და ჩარევის შედეგად დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით.

2. მედიამი ჟურნალისტიკის მიერ გამოქვეყნებულ ცილისწამებასთან დაკავშირებული სასამართლო დავისას მოპასუხება მედიის მესაკუთრე.

3. ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავის საგანი არ შეიძლება იყოს ისეთი განცხადება, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ ჯგუფს ან/და რომელშიც მოსარჩელე არ არის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული.

4. ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავა არ შეიძლება ეხებოდეს გარდაცვლილი პირის, სახელმწიფო ან ადმინისტრაციული ორგანოს პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას.

5. ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავისას არასათანადო მოპასუხეა პირი, რომელიც არ არის განცხადების ავტორი ან რედაქტორი, ან პირი, რომელმაც

ტექნიკურად უზრუნველყო განცხადების გავრცელება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის აშკარად და პირდაპირ უჭერს მხარს განცხადებას.

6. ცილისწამების შესახებ სასამართლო დავისას სასამართლო იღებს ზომებს მხარეთა მოსარიგებლად. მას უფლება აქვს გადადოს საქმის განხილვა და მორიგებისათვის დანიშნოს ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს.

მუხლი 7. მტკიცებულების სტანდარტი და ტვირთი

1. ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს.

2. ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების შეზღუდვისას ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ამ უფლებების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ.

3. კერძო ან საჯარო პირის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს პირისათვის საჯარო პირის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.

4. საზოგადოებრივი ყურადღების ან ცნობისმოყვარეობის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს მოვლენისათვის საზოგადოებრივი ყურადღების სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.

5. აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.

6. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ.

7. დაუშვებელია, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საქმეზე მოპასუხის უარი – გაამხილოს პროფესიული საიდუმლოება ან მისი წყარო – გახდეს მოპასუხის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანის ერთადერთი საფუძველი.

თავი II.

შეზღუდვის საფუძველი და წესი

მუხლი 8. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველები

1. ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია ნათელი და განჭვრეტადი, ვიწროდ მიზანმიმართული კანონით და შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს.

2. ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების შემზღუდველი კანონი უნდა იყოს:

ა) პირდაპირ მიმართული ლეგიტიმური მიზნების განხორციელებისაკენ;

ბ) კრიტიკულად აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის;

გ) არადისკრიმინაციული;

დ) პროპორციულად შემზღუდველი.

მუხლი 9. შინაარსობრივი რეგულირება

1. კანონით შეიძლება დაწესდეს სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირება, თუ ეს ეხება:

- ა) ცილისწამებას;
- ბ) უხამსობას;
- გ) პირისპირ შეურაცყოფას;
- დ) დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზებას;
- ე) მუქარას;
- ვ) სახელმწიფო, კომერციულ, პირად ან პროფესიულ საიდუმლოებას;
- ზ) რეკლამას, ტელეშოპინგს ან სპონსორობას;
- თ) სამხედრო მოსამსახურის, ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის, წევრის ან თანამშრომლის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას;
- ი) თავისუფლებააღკვეთილი ან თავისუფლებაშეზღუდული პირის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას;
- კ) ქმედუნარო ან შეზღუდული ქმედობაუნარიანობის მქონე პირის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას.

2. შინაარსობრივი რეგულირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ თვალსაზრისობრივად ნეიტრალური, არადისკრიმინაციული შეზღუდვის სახით.

მუხლი 10. შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულირება

- 1. შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულირებისას დაუშვებელია გამოხატვის საგნის შეზღუდვა.
- 2. შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულირება შეიძლება ითვალისწინებდეს მხოლოდ გამოხატვის ადგილის, დროისა და ფორმის მიხედვით ისეთ არადისკრიმინაციულ შეზღუდვას, რომელიც გაკლებას არ ახდენს ინფორმაციის ან იდეების შინაარსზე ან გამოხატველობით ეფექტზე ან ტოვებს მათი სხვა გზებით გამოხატვის ეფექტიან შესაძლებლობას.

თავი III.

საიდუმლოების დაცვა

მუხლი 11. პროფესიული საიდუმლოებისა და მისი წყაროს დაცვა

- 1. პროფესიული საიდუმლოების წყარო დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და არაის არ აქვს უფლება, მოითხოვოს ამ წყაროს გამხელა. სიტყვის თავისუფლები შეზღუდვის შესახებ სასამართლო დაეისას მოპასუხეს არ შეიძლება დაეკისროს კონფიდენციალური ინფორმაციის წყაროს გამხელის ვალდებულება.
- 2. დაუშვებელია კონფიდენციალური ინფორმაციის გამხელა თვით მისი მფლობელის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე.
- 3. სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს მტკიცებულების უზრუნველყოფის შესახებ განჩინება კონფიდენციალური ინფორმაციის მხოლოდ იმ ნაწილის გამხელასთან დაკავშირებით, რომლის გამხელის აუცილებლობაც დამტკიცდა.
- 4. გამხელაში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მიზნით, რომლისთვისაც მოხდა მისი გამხელა.

მუხლი 12. პასუხისმგებლობა საიდუმლოების გამხელისათვის

1. პირი პასუხს აგებს მხოლოდ იმ საიდუმლოების გამხელისათვის, რომლის დაცვაც მას ევალება სამსახურებრივად ან სამოქალაქო გარიგებით და რომლის გამხელა აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს უქმნის კანონით დაცულ სიკეთებს.
2. პირი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ საიდუმლოების გამხელა მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს.
3. კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პირადი საიდუმლოების დაცვის მოტივით არ შეიძლება შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება იმ მოვლენასთან დაკავშირებით, რომლის ცოდნაც აუცილებელია ადამიანისათვის დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განსახორციელებლად.
4. პირს შეუძლია მოითხოვოს ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დაცული უფლებების ხელყოფით მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება.

თავი IV.**ცილისწამება****მუხლი 13. კერძო პირის ცილისწამება**

პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა.

მუხლი 14. საჯარო პირის ცილისწამება

პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხემში დაუდევრობა. რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.

მუხლი 15. კვალიფიციური პრივილეგია ცილისწამებისათვის

პირს ენიჭება კვალიფიციური პრივილეგია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადებისათვის, თუ:

- ა) მან მიიღო გონივრული ზომები ფაქტის სისწორის გადასამოწმებლად. მაგრამ ვერ შეძლო შეცდომის თავიდან აცილება და გაატარა ქმედითი ღონისძიებები ცილისწამებით დაზიანებული პირის რეპუტაციის აღსადგენად;
- ბ) იგი მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს;
- გ) მან განცხადება გააკეთა მოსარჩელის თანხმობით;
- დ) მისი განცხადება წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ მის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებაზე თანაზომიერ პასუხს;

ე) მისი განცხადება წარმოადგენდა სამართლიან და ზუსტ რეპორტაჟს იმ მოვლენასთან დაკავშირებით, რომლისკენაც მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება.

მუხლი 16. ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის ფარგლები

პირს ცილისწამებისათვის არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ცილისწამებას ავრცელებდა.

მუხლი 17. ცილისწამებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

1. ცილისწამებასთან დაკავშირებით მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ.

2. დაუშვებელია მოპასუხის იძულება, მოიხადოს ბოდიში.

3. თუ მოპასუხე კანონით დადგენილ ვადაში განახორციელებს შესწორებას ან უარყოფას, მაგრამ შესწორების ან უარყოფის გამოქვეყნება არ არის საკმარისი ცილისწამებით მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისათვის, მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს მოსარჩელისათვის მიყენებული ქონებრივი ან/და არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 18. ცილისწამების შესახებ უსაფუძვლო სარჩელი

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უკანონო შეზღუდვის მიზნით ცილისწამების შესახებ ამკარად უსაფუძვლო სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მოპასუხეს უფლება აქვს მოითხოვოს მოსარჩელისაგან გონივრულ ფარგლებში ფულადი ანაზღაურების მიღება.

მუხლი 19. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა

ცილისწამების შესახებ სარჩელი სასამართლოში წარდგენილი უნდა იქნეს 100 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც პირი გაეცნო ან შეეძლო, რომ გასცნობოდა განცხადებას.

თავი V.

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 20. ძალადაკარგული აქტი

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“.

მუხლი 21. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,

2004 წლის 24 ივნისი.

საპარტვილოს კანონი მაუწყებლობის შესახებ

2004 წლის 23 დეკემბერი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზანი და რეგულირების სფერო

1. ეს კანონი სიტყვისა და აზრის თავისუფლებისა და თავისუფალი მეწარმეობის პრინციპების შესაბამისად განსაზღვრავს მაუწყებლობის განხორციელების წესს, მაუწყებლობის სფეროში დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს შექმნის წესსა და ფუნქციებს, ამ სფეროში საქმიანობის რეგულირების პირობებს, ლიცენზირების წესსა და პროცედურებს.

2. ამ კანონის მიზანია სახელმწიფო ჩარევისაგან დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მაუწყებლობის ფორმირება; მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის რეგულირება გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების შესაბამისად, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მეშვეობით; სიტყვისა და აზრის თავისუფლების, მაუწყებელთა შორის კონკურენტული გარემოს სტიმულირების, ლიცენზიის მფლობელთა თანასწორობისა და დამოუკიდებლობის, სიხშირეების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ადგილობრივი მაუწყებლობა** – ამ კანონით დადგენილი წესით განხორციელებული მაუწყებლობა, რომელიც ხელმისაწვდომია ლიცენზიით განსაზღვრული მომსახურების ზონის მოსახლეობის არანაკლებ 90%-ისათვის;

ბ) **ადმინისტრაციული ორგანო** – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ორგანო;

გ) **აზრი** – შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი. აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების,

მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს;

დ) *გამოქვეყნება* – ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5ნ-ე მუხლით დადგენილი წესით;

ე) *დაინტერესებული პირი* – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ლიცენზიის მფლობელის საქმიანობა;

ვ) *დამოუკიდებელი პროგრამა* – პროგრამა, რომლის საავტორო უფლებების მფლობელსა და ლიცენზიის მფლობელს შორის არ არსებობს ურთიერთდამოკიდებულება;

ზ) *ვერობული წარმოების პროდუქცია* – პროდუქცია, რომელიც წარმოებულია ვეროპის იმ ქვეყანაში, რომელშიც ძალაშია „ტრანსსასაზღვრო ტელევიზიის შესახებ“ ვეროპის კონვენცია, ან საქართველოში, ან რომლის საავტორო უფლებების მფლობელია ამ ქვეყნის ან საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირი;

თ) *ეროვნული მაუწყებლობა* – ამ კანონით დადგენილი წესით განხორციელებული მაუწყებლობა, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს მოსახლეობის არანაკლებ 90%-ისათვის;

ი) *თანამგზავრული მაუწყებლობა* – ტელე- ან რადიოსამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მიწისზედა სადგურების გამოყენებით მაუწყებლობა;

კ) *თანამდებობის პირი* – პირი, რომელიც მუდმივად ან დროებით, სასყიდლით ან უსასყიდლოდ, დანიშნენ ან არჩევენ და ცალკეული დავალებების შესაბამისად კომისიაში ან საზოგადოებრივ მაუწყებლობაში ასრულებს განმკარგულებელ-ორგანიზაციულ-სამეურნეო, ადმინისტრაციულ ან სხვა ამგვარ ფუნქციებს;

ლ) *კერძო მაუწყებლობა* – ამ კანონით დადგენილი წესით, კერძო სამართლის კომერციული ან არაკომერციული პირის მიერ განხორციელებული მაუწყებლობა, რომელიც არ არის არც საზოგადოებრივი და არც სათემო მაუწყებლობა;

მ) *კვლითი-იური საარჩევნო სუბიექტი* – საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განსაზღვრული საარჩევნო სუბიექტი;

ნ) *კომერციული რეკლამა* – რეკლამა საფასურის ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სანაცვლოდ, რომელიც ემსახურება მეწარმის, საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, კომერციული იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, კომერციული იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას;

ო) *კომისია* – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;

პ) *კომისიის რეგულირების სფერო* – კავშირგაბმულობის, მაუწყებლობისა და ფოსტის სფერო, რომელშიც მომსახურების გაწევა ან საქმიანობა „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ კანონის თანახმად ექვემდებარება ლიცენზირებას ან ამ კანონის მიხედვით საჭიროებს ნებართვას და ამ მომსახურების გაწევაზე ან საქმიანობაზე გაცემულია შესაბამისი ლიცენზია ან ნებართვა და რომელშიც კომისია ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სპეციალურ უფლებამოსილებებს;

- ვ) კომისიის წევრი – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრი;
- რ) ლიცენზია – ამ კანონითა და „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლიცენზიის მფლობელის უფლება, განსაზღვრული პირობების დაცვით განახორციელოს მუწყებლობა;
- ს) ლიცენზიის მოდიფიცირება – საქართველოს კანონმდებლობაში ან მუწყებლობის სფეროს პრიორიტეტებში შეტანილი ცვლილებების ან/და დამატებების შესაბამისად ან/და კომისიის ან ლიცენზიის მფლობელის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე ლიცენზიაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა;
- ტ) მუწყებელი – ლიცენზიის მფლობელი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ტელე- ან რადიოპროგრამების გავრცელებას სახმელეთო გადაცემებით, საკაბელო ქსელის ან თანამგზავრის მეშვეობით, სადენით ან ჰერით, კოდირებული ან არაკოდირებული ფორმით;
- უ) მუწყებლობის ტრანზიტი – პირის მიერ მუწყებლისგან კანონიერ საფუძველზე მიღებული ტელე- ან რადიოარხის უცვლელი სახით გადაცემა. უცვლელი სახით გადაცემაში იგულისხმება ის შემთხვევაც, როცა სამუწყებლო ბაღში ცვლილებების მიუხედავად კომისია მიიჩნევს, რომ არსებითად ხორციელდება სხვა მუწყებლის ტელე- ან რადიოარხის ტრანზიტი; (28.12.2005 №2565)
- ფ) ამოღებულია (28.12.2005 №2565)
- ქ) მეურვე – საზოგადოებრივი მუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრი;
- ღ) მთავარი მოვლენა – საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე კომისიის მიერ განსაზღვრული მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესის მქონე მოვლენა, მიმდინარე საქართველოში და მსოფლიოში, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, კულტურულ, რელიგიურ თუ სხვა სფეროში;
- ყ) ოჯახის წევრი – „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირი;
- შ) პირი – ფიზიკური ან იურიდიული პირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად;
- ჩ) პრაქტიკული საქმიანობის დაწყება – მუწყებლობის სფეროში ლიცენზიით ნებადართული მომსახურების ან საქმიანობის დაწყება;
- ც) პროგრამა – პირდაპირ ან ჩანაწერის მეშვეობით ეთერში გადაცემული ტელერადიოპროდუქცია;
- ძ) რეგულირება – ამ კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში კომისიის მიერ სამართლებრივი აქტების მიღება (გამოცემა). მონიტორინგის, ზედამხედველობის, კონტროლისა და კოორდინაციის განხორციელება;
- წ) რეკლამა – კომერციული, სოციალური ან წინასაარჩევნო რეკლამა, გარდა მუწყებლის მიერ საკუთარ ან დამოუკიდებელ პროგრამასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებისა, რომელიც არის ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე. საქონელზე, მომსახურებაზე, სამუშაოზე. იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია

პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური ან იურიდიული პირის, საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას;

ვ) საარჩევნო კამპანია – საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განსაზღვრული საარჩევნო კამპანიის ჩატარების პროცედურა;

ხ) საეთრო მუწყებლობა – სიხშირის გამოყენებით მუწყებლობა;

ჯ) საერთო მუწყებლობა – არანაკლებ 2 თემატიკის, მათ შორის, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის, პროგრამებით მუწყებლობა;

კ) საზოგადოებრივი მუწყებლობა – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ქონების საფუძველზე ტელერადიომუწყებლობისათვის შექმნილი, საჯარო დაფინანსებით მოქმედი, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას (შემდგომში – საზოგადოებრივი მუწყებელი), მიერ განხორციელებული მუწყებლობა, რომლის მიზანია პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების მიწოდება საზოგადოებისათვის;

კ¹) სათემო მუწყებლობა – ამ კანონით დადგენილი წესით, კერძო სამართლის არაკომერციული ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ განხორციელებული მუწყებლობა, რომელიც უზრუნველყოფს მუწყებლობის პროცესში საზოგადოების იმ ნაწილის მონაწილეობას, რომელსაც ის ემსახურება, და რომელიც მიზნად არ ისახავს მოგების მიღებას;

კ²) საკაბელო მუწყებლობა – საკაბელო ქსელის გამოყენებით მუწყებლობა;

კ³) სამუწყებლო ბაღე – მუწყებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს პროგრამების დასახელებას, მოკლე ანოტაციას და მუწყებლობის დროს;

კ⁴) სამუწყებლო კონცეფცია – ლიცენზიის მადიებლის ან ლიცენზიის მფლობელის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელიც ასახავს მუწყებლობის სავარაუდო ბოდეუს, შეიცავს პროგრამების დასახელებას და მოკლე ანოტაციას;

კ⁵) საუკეთესო დრო – დრო 19.00 სთ-დან 24.00 სთ-მდე, როდესაც შესაძლებელია ლიცენზიის მფლობელის პროგრამებს უყუროს ან უსმინოს მისი მომსახურების ზონის აუდიტორიის პიკურმა ოდენობამ;

კ⁶) საჯარო დაწესებულება – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლით გათვალისწინებული დაწესებულება;

კ⁷) სოციალური რეკლამა – საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობისა და საკვლამოქმედო მიზნების მიღწევისაკენ მიმართული რეკლამა, რომელიც არ არის არც კომერციული და არც წინასაარჩევნო რეკლამა და არ შეიცავს კერძო სამართლის იურიდიული პირის ან სამთავრობო დაწესებულების, აგრეთვე მათ მიერ გაწეული მომსახურების რეკლამას;

კ⁸) სპეციალიზებული მუწყებლობა – 1 თემატიკის, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის გარდა, პროგრამებით მუწყებლობა;

კ⁹) სპონსორობა – პროგრამის მომზადების ან ეთერში გადაცემის პირდაპირი ან

ირიბი დაფინანსებე ან თანადაფინანსებე პირის მიერ, მისი სახელის, სევეტორი ნიშნის, იმიჯის, საქმიანობის განვითარების რეკლამირების მიზნით;

3¹⁰) ტელეშოპინგი – პროგრამე, რომელიც შეიცავს საფასურის სანაცვლოდ რაიმე უფლების, ვალდებულების, საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს მიყიდვის პირდაპირ შეთავაზებებს;

3¹¹) ურთიერთდამოკიდებულება – ურთიერთობე, რომელიც არსებობს, თუ ერთი პირი პირდაპირ ან ირიბად ფლობს მეორე პირის აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს, არის მისი თანამდებობის პირი, ან მისთვის ან მისი აქციონერის, პარტნიორის ან თანამდებობის პირისთვის ასრულებს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს; აგრეთვე თუ ერთი მუწყებელი ახორციელებს მუწყებლობას მეორე მუწყებლის მეშვეობით;

3¹²) უხამსობე – ქმედებე, რომელიც ეწინააღმდეგებე საზოგადოებეში დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს დე არე აქვს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან მეცნიერული ღირებულებე;

3¹³) ქვევის კოდექსი – ამ კანონის საფუძველზე კომისიის მიერ მიღებული ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავს ლიცენზიის მფლობელთე მიერ მომსახურების განვების წესებს;

3¹⁴) წინასაარჩევნო რეკლამე – რეკლამე, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, გამგებლის დე მერის არჩევის ხელშეწყობას.

მუხლი 3. კანონმდებლობე მუწყებლობის სფეროში

1. მუწყებლობის სფეროში კანონმდებლობას შეადგენს საქართველოს კონსტიტუციე, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებე, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, ეს კანონი, „დამოუკიდებელი ეროვნული მარგულორებელი ორგანოების შესახებ“, „კავშირგაბმულობის დე ფოსტის შესახებ“ დე „საავტორო დე მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონები, სხვე საკანონმდებლო დე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

2. მუწყებლობის სფეროში კანონმდებლობის ინტერპრეტაციე უნდა მოხდეს „ადამიანის უფლებათე დე ძირითად თავისუფლებათე დაცვის შესახებ“ ევროპის კონვენციის, ადამიანის უფლებათე ევროპის სასამართლოს პრაქტიკის დე საქართველოსთვის იურიდიული ძალის მქონე სხვე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად.

3. უცხო ქვეყნის მოქალაქე დე იურიდიული პირი, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი სარგებლობენ საქართველოს მოქალაქისათვის ან მეწარმე სუბიექტისათვის ამ კანონით განსაზღვრული უფლებე-მოვალეობებით, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვე რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 4. სამუწყებლო სიხშირეთე გეგმე დე პრიორიტეტები მუწყებლობის სფეროში

კომისიე „რადიოკავშირის საერთაშორისო რეკლამენტის“ შესაბამისად, 2 წელიწადში ერთხელ განსაზღვრავს დე აქვეყნებს სამუწყებლო სიხშირეთე გეგმას

ლიცენზიის მძიებლებისათვის, ხოლო საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე – ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტებს.

თავი II.

მუხებლის სფეროში საქმიანობის რეგულირება

მუხლი 5. კომისია

1. მუწყებლობის სფეროში საქმიანობას არეგულირებს კომისია.
2. კომისია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას. კომისია არ არის სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (დაწესებულება) ან საჯარო სამართლის კორპორაცია. კომისიის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება „კემირგაბპულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ კანონით.
3. მუწყებლობის სფეროში კომისიის ფუნქციებია:
 - ა) მუწყებლობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ წინადადებების შემუშავება საზოგადოებრივი აზრისა და სამუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებით და მათ განხორციელებაზე ზედამხედველობა და კონტროლი;
 - ბ) სალიცენზიო პირობების დადგენა, აგრეთვე ლიცენზიების გაცემა, მოდიფიცირება, ლიცენზიების მოქმედების შეჩერება და განახლება, ლიცენზიების გაუქმება;
 - გ) სიხშირული სპექტრის დადგენა და განაწილება კანონით განსაზღვრული წესით;
 - დ) სიხშირეების მინიჭება;
 - ე) ლიცენზიის მფლობელის მიერ ამ კანონის მოთხოვნებისა და სალიცენზიო პირობების შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი; ამ კანონის მოთხოვნებისა და სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელისთვის შესაბამისი სანქციების დაკისრება;
 - ვ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში კონკურენტული გარემოს შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა, აგრეთვე „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი;
 - ზ) სალიცენზიო გადასახდელისა და რეგულირების საფასურის ოდენობისა და გადახდის წესის განსაზღვრა;
 - თ) საავტორო და მოძიჯნავე უფლებების, მათზე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ და რეკლამის შესახებ საკანონმდებლო აქტების შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი;
 - ი) ლიცენზიის მფლობელთა შორის, აგრეთვე მათსა და მომხმარებლებს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების გადაწყვეტა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში;
 - კ) სამართლებრივი აქტების, მათ შორის, ქცევის კოდექსის მიღება;
 - ლ) კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

მუხლი 6. დამოუკიდებლობა და ხელშეუხებლობა

1. კომისია, კომისიის წევრი და კომისიის აპარატის თანამშრომელი საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისას დამოუკიდებელნი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს. მათ საქმიანობაზე უკანონო ზემოქმედება და ამ საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია, ხოლო ამგვარი ზემოქმედებისა და ჩარევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება – ბათილი.
2. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს უკანონო ზემოქმედებისა და ჩარევის თავიდან აცილების ან აღკვეთის, აგრეთვე ამგვარი ზემოქმედებისა და ჩარევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით.
3. მხოლოდ კომისია უფლებამოსილი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეარჩიოს, დანიშნოს და გაათავისუფლოს კომისიის აპარატის თანამშრომლები.
4. კომისიის აპარატის თანამშრომლის ქმედება შეიძლება გასაჩივრდეს კომისიაში 30 დღის განმავლობაში ან სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, ხოლო კომისიის გადაწყვეტილება – მხოლოდ სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.
5. კომისიის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულის ადგილზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული კომისიის წევრი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს. პარლამენტი გადაწყვეტილებას იღებს რეგლამენტით დადგენილი წესით.

მუხლი 7. კომისიის სხდომა. ინფორმაციის კონფიდენციალობა

1. კომისიის სხდომა საჯაროა. კომისიის ყველა დადგენილება, გადაწყვეტილება, ბრძანება, ჩანაწერი და სხვა დოკუმენტი ხელმისაწვდომია საჯარო განხილვისათვის, გარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა.
2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად კომისია უზრუნველყოფს გამჭვირვალებასა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
3. ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის მიზნით კომისია უფლებამოსილია გამართოს დახურული სხდომა. კომისიის მიერ დახურულ სხდომაზე მიღებული დადგენილება და გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის ამოღების შემდეგ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.
4. კომისიის სხდომა ტარდება არანაკლებ თვეში ორჯერ. რიგგარეშე სხდომას იწვევს კომისიის თავმჯდომარე ან კომისიის არანაკლებ 2 წევრი.
5. კომისია ვალდებულია 3 სამუშაო დღით ადრე გამოაქვეყნოს ინფორმაცია მომავალი სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის

თაობაზე. ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას – აგრეთვე სხდომის დახურვის შესახებ.

6. გადაუდებელი აუცილებლობისას კომისია უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაუცველად. ამ შემთხვევაში კომისია ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს ინფორმაცია სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას – აგრეთვე სხდომის დახურვის შესახებ.

7. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. კომისია გადაწყვეტილებას იღებს წევრთა ხმების უმრავლესობით.

8. გადაწყვეტილების მიღებისას თითოეულ კომისიის წევრს აქვს 1 ხმა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გამამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 8. კომისიის სამართლებრივი აქტები

1. კომისია კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, იღებს (გამოსცემს) სამართლებრივ აქტებს. კომისიის სამართლებრივ აქტებს განეკუთვნება კომისიის დადგენილება, კომისიის გადაწყვეტილება და კომისიის თავმჯდომარის ბრძანება.

2. კომისიის დადგენილება არის ნორმატიული სამართლებრივი აქტი, რომელიც მიიღება ამ კანონის, „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“, „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

3. კომისიის გადაწყვეტილება არის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც მიიღება კანონმდებლობით კომისიისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

4. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ისეთ საკითხზე, რომელიც თავისი შინაარსით არანორმატიული ხასიათისაა, კომისიისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განსაზოცილებლად. აგრეთვე კომისიისა და კომისიის აპარატის შიდაორგანიზაციულ საკითხებზე, რომლებიც შეიცავს ქცევის ზოგად წესს პირთა განსაზღვრული წრისთვის.

5. კომისიის თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებებს კონკრეტულ შემთხვევებში კომისიისა და კომისიის აპარატის შიდაორგანიზაციულ საკითხებზე, რომლებიც არ შეიცავს ქცევის ზოგად წესს.

6. კომისიის სამართლებრივი აქტები მიიღება (გამოიცემა) კომისიის სხდომაზე.

7. კომისიის სამართლებრივი აქტები შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. კომისიის შემადგენლობა

1. კომისია შედგება 5 წევრისაგან.

2. კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადაა 6 წელი.

3. პირი არ შეიძლება დანიშნოს კომისიის წევრად ზედიზედ 2 ვადაზე მეტი ხნით.
4. კომისიის წევრის კანდიდატურა შეირჩევა ღია კონკურსით.
5. კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 100 დღით ადრე ან მისი უფლებამოსილების შეწყვეტიდან 10 დღის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს განკარგულებას კონკურსის ჩატარების შესახებ.
6. კომისიის წევრობის კანდიდატი უნდა იყოს საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი და უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება.
7. ყველას აქვს კომისიის წევრის კანდიდატურის დასახელების უფლება კონკურსის გამოცხადებიდან 30 დღის განმავლობაში.
8. თუ კანონით განსაზღვრულ ვადაში არ დასახელდება 1 ვაკანტურ თანამდებობაზე არანაკლებ 3 კანდიდატურა, ცხადდება ახალი კონკურსი, რომელიც ტარდება ამ მუხლით დადგენილი წესით.
9. კანდიდატურების დასახელების ვადის ამოწურვიდან 10 დღის განმავლობაში კანდიდატთა სია ქვეყნდება.
10. კანდიდატთა სიის გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი ამ კანონით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატურათა შერჩევის შესახებ და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს 1 ვაკანტურ თანამდებობაზე არანაკლებ 3 კანდიდატურას.
11. საქართველოს პრეზიდენტის მიერ კანდიდატურების წარდგენიდან 30 დღის ვადაში, ზოლო საპარლამენტო არდადეგების შემთხვევაში – სესიის განახლებიდან 15 დღის ვადაში, საქართველოს პარლამენტი ფარული კენჭისყრით აძლევს თანხმობას პრეზიდენტს კომისიის წევრის დანიშვნაზე.
12. კომისიის წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატის დანიშვნაზე თანხმობა მიცემულად ჩაითვლება, თუ იგი მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ საქართველოს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევრისა. ამ მაჩვენებლის თანაბრობის შემთხვევაში ტარდება ხელახალი კენჭისყრა.
13. თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს საქართველოს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტის ხმებს, საქართველოს პრეზიდენტი 50 დღის ვადაში წარუდგენს პარლამენტს ახალ კანდიდატურებს, რომლებიც შეირჩევიან ამ მუხლით დადგენილი წესით. კომისიის წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატის დანიშვნაზე თანხმობა მიცემულად ჩაითვლება, თუ კანდიდატი მიიღებს პლენარულ სხდომაზე დამსწრე პარლამენტის წევრთა ხმების უმრავლესობას, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.
14. საქართველოს პარლამენტის მიერ თანხმობის მიცემის შემდეგ კანდიდატებს თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.
15. საქართველოს პრეზიდენტი კომისიის ერთ-ერთ წევრს ნიშნავს კომისიის თავმჯდომარედ. კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს გადადგეს თანამდებობიდან, მაგრამ უფლებამოსილების ვადის გასვლამდე დარჩეს კომისიის წევრად.
16. კომისიის თავმჯდომარე წარმართავს კომისიის სხდომებს, მასუხს აგებს კომისიის მიერ დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების მიღებისას საპროცე-

დურო წესების დაცვაზე და მიღებული დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების გამოქვეყნებაზე. აგრეთვე კომისიის აპარატის მართვაზე.

მუხლი 10. კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლება

1. საქართველოს პრეზიდენტი დაუყოვნებლივ ათავისუფლებს კომისიის წევრს დაკავებული თანამდებობიდან და იწყებს ახალი კანდიდატურების შერჩევის პროცედურას, თუ მის მიმართ კანონიერ ძალაში შევა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების შეზღუდვას, ტუსალობას ან თავისუფლების ვადიან ან უვადო აღკვეთას, ან თუ სასამართლო მას ქმედუნაროდ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებს, აგრეთვე მისი გადადგომის ან გარდაცვალების შემთხვევაში.
2. პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს შეუძლია აღძრას კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურა:
 - ა) ინტერესთა კონფლიქტის ამ კანონით დადგენილი ნორმების დარღვევის შემთხვევაში;
 - ბ) ზედიზედ 2 თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით კომისიის წევრის უფლებამოსილების შეუსრულებლობის შემთხვევაში.
3. პროცედურის ინიციატორმა პარლამენტის წევრებმა დოკუმენტური მტკიცებულებებით უნდა დაასაბუთონ კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების კონკრეტული საფუძველი.
4. ხელმოწერების შეგროვებიდან 30 დღის ვადაში პარლამენტს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით პლენარული სხდომის დღის წესრიგში შეაქვს კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი.
5. დღის წესრიგში შეტანიდან 30 დღის განმავლობაში პარლამენტი კენჭს უყრის კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხს. კომისიის წევრის თანამდებობიდან გასათავისუფლებლად საჭიროა პარლამენტის სიითი შემადგენლობის სამ მეხუთედზე მეტის თანხმობა.
6. თუ ხმების რაოდენობა საკმარისზე ნაკლებია ან პარლამენტი არ ჩაატარებს კენჭისყრას ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურა წყდება.
7. ერთი ფაქტის საფუძველზე კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხის ორჯერ დაყენება დაუშვებელია.
8. კომისიის წევრის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.
9. კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებისას სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს განკარგულებას კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე.

მუხლი 11. კომისიის წევრისა და მისი აპარატის თანამშრომლის ინტერესთა კონფლიქტი

1. კომისიის წევრს ინტერესთა კონფლიქტი აქვს, თუ იმავედროულად:

- ა) არის სხვა ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი;
 - ბ) არის პოლიტიკური პარტიის წევრი;
 - გ) ასრულებს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს იმ პირისათვის, რომლის საქმიანობაც განეკუთვნება კომისიის რეგულირების სფეროს;
 - დ) ფლობს იმ საწარმოს აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს, რომლის საქმიანობაც განეკუთვნება კომისიის რეგულირების სფეროს;
 - ე) არის თანამდებობის პირი, წარმომადგენელი, რწმუნებული ან კონსულტანტი იმ პირისა, რომლის საქმიანობაც განეკუთვნება კომისიის რეგულირების სფეროს;
 - ვ) აქვს სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ეკონომიკური ინტერესი იმ პირის მიმართ, რომლის საქმიანობაც განეკუთვნება კომისიის რეგულირების სფეროს.
2. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი.
 3. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომლის ოჯახის წევრსაც აქვს ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი.
 4. კომისიის აპარატის თანამშრომელი, გარდა დამხმარე მოსამსახურისა, არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს ამ მუხლით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი.
 5. კომისიის აპარატის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი არ შეიძლება იყოს პირი, რომლის ოჯახის წევრსაც აქვს ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი.
 6. კომისიის წევრი, ასევე ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული თანამდებობის პირი ვალდებულია წერილობითი ფორმით განაცხადოს ბოლო 5 წლის განმავლობაში მისი ან მისი ოჯახის წევრის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

მუხლი 12. კომისიის ბიუჯეტი. სალიცენზიო გადასახდელი. ყოველწლიური რეგულირების საფასური

1. კომისია ვალდებულია ყოველი წლის 1 დეკემბრისათვის მოამზადოს მომავალი წლის ბიუჯეტი, რომელშიც ასახული უნდა იყოს კომისიის ყველა ხარჯი და შემოსავალი. კომისია ვალდებულია გამოაქვეყნოს თავისი ბიუჯეტი.
2. კომისიის ბიუჯეტს ქმნის რეგულირების საფასური, ამ კანონით, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებული დაფინანსების სხვა წყაროები. (28.12.2005 №256.5)
3. სალიცენზიო გადასახდელი არის სიხშირული სპექტრის დროებითი გამოყენებისათვის სამაუწყებლო ლიცენზიის მძიებლის მიერ გადახდილი თანხა, რომლის ოდენობასა და გადახდის წესს განსაზღვრავს კომისია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სალიცენზიო გადასახდელი სრულად ირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში. (28.12.2005 №256.5)
4. რეგულირების საფასური არის კომისიის ბიუჯეტის შექმნის ერთ-ერთი ძირითადი

წყარო. დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობით კომისიისათვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებასთან და არ წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავალს. რეგულირების საფასურიდან იფარება კომისიის ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯები. (28.12.2005 №2565)

5. რეგულირების საფასურის გადამხდელები არიან ლიცენზიის მფლობელები. რეგულირების საფასურის ოდენობაა ლიცენზიის მფლობელის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ის გარეშე) 1 პროცენტი. რეგულირების საფასური გამოიანგარიშება კალენდარული წლის განმავლობაში ლიცენზიის მფლობელის შემოსავლიდან ნაზარდი ჯამით წლის დასაწყისიდან ყოველთვიურად ფაქტობრივად მიღებული შემოსავლიდან გამოზღინარე ლიცენზიის მფლობელები ვალდებული არიან, ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა, ჩარიცხონ კომისიის ანგარიშზე რეგულირების საფასური და წარუდგინონ კომისიას ინფორმაცია კომისიის მიერ განსაზღვრული ფორმით. (28.12.2005 №2565)

5. რეგულირების საფასურის გადამხდელები არიან ლიცენზიის მფლობელები. რეგულირების საფასურის ოდენობაა ლიცენზიის მფლობელის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ის გარეშე) 0,5 პროცენტი. რეგულირების საფასური გამოიანგარიშება კალენდარული წლის განმავლობაში ლიცენზიის მფლობელის შემოსავლიდან ნაზარდი ჯამით წლის დასაწყისიდან ყოველთვიურად ფაქტობრივად მიღებული შემოსავლიდან გამოზღინარე ლიცენზიის მფლობელები ვალდებული არიან ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა, ჩარიცხონ კომისიის ანგარიშზე რეგულირების საფასური და წარუდგინონ კომისიას ინფორმაცია კომისიის მიერ განსაზღვრული ფორმით. (5.06.2007 №4866 ძალაშია 2008 წლის 1 იანვრიდან).

6. რეგულირების ყოველწლიური საფასურის შესახებ კომისია იღებს ნორმატიულ აქტს.

მუხლი 13. კომისიის ანგარიში (02.06.2005 №1516)

1. კომისია ყოველწლიურად ამზადებს თავისი საქმიანობის ანგარიშს და ატარებს თავისი ხარჯებისა და საბუღალტრო ანგარიშების ფინანსურ აუდიტს მოქმედი წესების შესაბამისად. საქართველოს პარლამენტს უფლება აქვს გადაწყვიტოს კომისიის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულების აუდიტის ჩატარება არა უმეტეს წელიწადში ერთხელ. ასეთ შემთხვევაში საქართველოს პარლამენტი ტენდერის საფუძველზე შეარჩევს საერთაშორისოდ აღიარებულ აუდიტორს. სატენდერო კომისიის შემადგენლობას საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. ამ მუხლით გათვალისწინებული ფინანსური საქმიანობის შესასწავლად შერჩეული აუდიტორის საკომპენსაციო სახსრებს გაიღებს კომისია.

2. კომისიის ანგარიშის ის ნაწილი, რომელიც შეეხება მანუწეებლობის სფეროს, უნდა შეიცავდეს ინფორმაციას:

- ა) მაუწყებლობის სფეროში პრიორიტეტების განხორციელების მიმდინარეობის შესახებ;
- ბ) სამაუწყებლო ბაზრის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ;
- გ) სიზშირეთა გეგმისა და თავისუფალი სიზშირეების შესახებ;
- დ) გაცემული ლიცენზიების რაოდენობის შესახებ;
- ე) განხილული საჩივრების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ;
- ვ) გამოყენებული სანქციების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ;
- ზ) საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგების შესახებ;
- თ) კომისიის მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ;
- ი) კომისიის ბიუჯეტის შესრულების შესახებ;
- კ) აუდიტის დასკვნას.

3. კომისია უზრუნველყოფს გასული წლის საქმიანობის ანგარიშის საჯარო განხილვას. ანგარიშის ძირითადი დასკვნები და საჯარო განხილვის შედეგები უნდა აისახოს მაუწყებლობის სფეროს პრიორიტეტებში.

მუხლი 14. საჩივრები

1. მაუწყებელი ვალდებულია ქვეყნის კოდექსის საფუძველზე შექმნას თვითრეგულირების უფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრების განხილვასა და მათზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას. (29.12.2006 №4319)
2. ლიცენზიის მფლობელის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა, გარდა ამ კანონის 52-ე, 54-ე, 56-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმებისა, აგრეთვე სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმართოს კომისიას ან სასამართლოს. (29.12.2006 №4319)
3. საჩივრის მიღებიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში კომისია იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას საჩივრის განსახილველად მიღების ან საჩივარზე უარის თქმის შესახებ და დაუყოვნებლივ ატყობინებს ამის თაობაზე მომჩივანს.
4. მომხმარებელთა განცხადებებსა და საჩივრებს კომისია განიხილავს ზეპირი მოსმენით, ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების წესით, გარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი გამონაკლისებისა და იმ შემთხვევებისა, როდესაც სადავო საკითხების გადაწყვეტა არ მოითხოვს ორგანიზებული პროცედურების განხორციელებას. მომხმარებელთა იმ განცხადებებსა და საჩივრებს, რომლებიც შეეხება პირთა ფართო წრის ინტერესებს, კომისია განიხილავს მხოლოდ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.
5. თუ დადასტურდება დარღვევის ფაქტი, კომისია იღებს გადაწყვეტილებას დეკლარაციის შესახებ. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია 5 დღის ვადაში საკუთარ ეთერში საუკეთესო დროს გადასცეს დეკლარაცია თავის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა ან სალიცენზიო პირობების დარღვევის თაობაზე. (29.12.2006 №4319)
6. დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, კომისია უფლებამოსილია განიხილოს ლიცენზიის მფლობელის მიმართ შესაბამისი სანქციის გამოყენების საკითხი.

თავი III.

საზოგადოებრივი მაუწყებლობა

მუხლი 15. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამართლებრივი სტატუსი

პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების საზოგადოებისათვის მიწოდების მიზნით ეს კანონი აფუძნებს ერთ საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომელიც არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ქონების საფუძველზე ტელერადიომაუწყებლობისათვის შექმნილი, საჯარო დაფინანსებით მოქმედი, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას.

მუხლი 16. შინაარსობრივი ვალდებულებები

საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია:

- ა) უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა; სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება;
- ბ) უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის;
- გ) უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;
- დ) საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები, ზოლო საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას – აგრეთვე წინასაარჩევნო დებატები;
- ე) პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი;
- ვ) ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი;
- ზ) ეთერის არანაკლებ 25% დაუთმოს დამოუკიდებელ პროგრამებს;
- თ) პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება;
- ი) ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები;
- კ) გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესები;
- ლ) ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;
- მ) სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები.

მუხლი 17. საზოგადოებრივი მაუწყებლის სიზშირეები

1. საზოგადოებრივ მაუწყებელს განცხადების საფუძველზე კომისია ანიჭებს ამ

კანონის ამოქმედების მომენტიდან მის მიერ გამოყენებულ სიხშირებს, რომელთა გამოყენების წესი და პირობები განისაზღვრება კომისიის გადაწყვეტილებით.

2. საზოგადოებრივი მაუწყებლობა სიხშირების გამოყენებით ხორციელდება 2 სატელევიზიო და 3 რადიოარხზე.

მუხლი 18. დამოუკიდებლობა და ხელშეუხებლობა

1. საზოგადოებრივი მაუწყებელი, მისი თანამდებობის პირი და თანამშრომელი საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისას დამოუკიდებელი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს. მათ საქმიანობაზე უკანონო ზემოქმედება და ამ საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია, ხოლო ამგვარი ზემოქმედებისა და ჩარევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება – ბათილი.

2. იკრძალება საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო, მმართველობითი და ფინანსური დამოუკიდებლობის ხელყოფა ან მასზე ზეწოლის სხვაგვარად განხორციელება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ.

3. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს უკანონო ზემოქმედებისა და ჩარევის თავიდან აცილების ან აღკვეთის, აგრეთვე ამგვარი ზემოქმედებისა და ჩარევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

4. საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამდებობის პირის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სამეურვეო საბჭოში 30 დღის განმავლობაში ან სასამართლოში 6 თვის ვადაში. სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კომისიაში 30 დღის განმავლობაში ან სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

მუხლი 19. ისტორიული ღირებულების პროგრამების არქივი

საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია შექმნას არქივი და შეინახოს ისტორიული ღირებულების მქონე თავისი პროგრამები.

მუხლი 20. პროგრამული პრიორიტეტები

1. სამეურვეო საბჭო განსაზღვრავს საზოგადოებრივი მაუწყებლობის პროგრამულ პრიორიტეტებს საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების, მაუწყებლობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით.

2. სამეურვეო საბჭო საზოგადოებრივი მაუწყებლობის პროგრამული პრიორიტეტების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

3. საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამები დაცულია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით და მათზე არ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავი.

მუხლი 21. საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის საჯაროობა

საზოგადოებრივი მაუწყებელი უზრუნველყოფს საკუთარი საქმიანობის საჯაროობას, აწყობს რეგულარულ შეხვედრებს საზოგადოებასთან და ითვალისწინებს მოქალაქეთა წინადადებებს საზოგადოებრივი ინტერესების უკეთ გამოხატვის მიზნით.

მუხლი 22. საზოგადოებრივი მაუწყებლის სტრუქტურა

1. საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელი ორგანოები არიან:

- ა) სამეურვეო საბჭო;
- ბ) გენერალური დირექტორი.

2. საზოგადოებრივი მაუწყებლის სტრუქტურა განისაზღვრება ამ კანონის საფუძველზე დამტკიცებული საზოგადოებრივი მაუწყებლის დებულებით.

მუხლი 23. მეურვის, გენერალური დირექტორისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლის ინტერესთა კონფლიქტი

1. მეურვეს ინტერესთა კონფლიქტი აქვს, თუ იმავდროულად:

- ა) არის სხვა ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი;
- ბ) არის პოლიტიკური პარტიის წევრი;
- გ) ასრულებს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელისათვის;
- დ) ფლობს იმ საწარმოს აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს, რომელიც ფლობს მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიას ან ახორციელებს ტელერადიო-პროდუქციის წარმოებას ან/და მიწოდებას;
- ე) არის თანამდებობის პირი, წარმომადგენელი, რწმუნებული ან კონსულტანტი იმ პირისა, რომელიც ფლობს მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიას ან ახორციელებს ტელერადიოპროდუქციის წარმოებას ან/და მიწოდებას;
- ვ) აქვს სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ეკონომიკური ინტერესი იმ პირის მიმართ, რომელიც ფლობს მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიას ან ახორციელებს ტელერადიოპროდუქციის წარმოებას ან/და მიწოდებას.

2. მეურვე არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი.

3. მეურვე არ შეიძლება იყოს პირი, რომლის ოჯახის წევრსაც აქვს ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი.

4. გენერალური დირექტორი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს ამ მუხლით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი.

5. გენერალური დირექტორი არ შეიძლება იყოს პირი, რომლის ოჯახის წევრსაც აქვს ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი.

6. საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელს არა აქვს უფლება, ეკავოს თანამდებობა ან ასრულებდეს ანაზღაურებად სამუშაოს სხვა მაუწყებელთან.

7. მეურვე, გენერალური დირექტორი ვალდებულია წერილობითი ფორმით განაცხადოს ბოლო 5 წლის განმავლობაში მისი ან მისი ოჯახის წევრის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

მუხლი 24. სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა

1. სამეურვეო საბჭო შედგება 9 მეურვისაგან.

2. მეურვის უფლებამოსილების ვადა 6 წელი.
3. სამეურვეო საბჭოს შემადგენლობის ერთი მესამედი იცვლება 2 წელიწადში ერთხელ, როტაციის წესით.
4. პირი არ შეიძლება დაინიშნოს მეურვედ ზედიზედ 2 ვადაზე მეტი ხნით.
5. მეურვეს სამეურვეო საქმიანობის განხორციელებისათვის ეძლევა პონორარი და აუნაზღაურდება ამ კანონით განსაზღვრული ფუნქციების შესრულების ხარჯები.

მუხლი 25. მეურვის კანდიდატურის შერჩევა

1. მეურვის კანდიდატურა შეირჩევა ღია კონკურსით.
2. მეურვის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 100 დღით ადრე ან მისი უფლებამოსილების შეწყვეტიდან 10 დღის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს განკარგულებას კონკურსის ჩატარების შესახებ.
3. მეურვეობის კანდიდატი უნდა იყოს საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი, უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება და არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილება.
4. ყველას აქვს მეურვის კანდიდატურის დასახელების უფლება კონკურსის გამოცხადებიდან 30 დღის განმავლობაში.
5. თუ კანონით განსაზღვრულ ვადაში არ დასახელდება 1 ვაკანტურ თანამდებობაზე არანაკლებ 3 კანდიდატურა, ცხადდება ახალი კონკურსი, რომელიც ტარდება ამ მუხლით დადგენილი წესით.
6. კანდიდატურების დასახელების ვადის ამოწურვიდან 10 დღის განმავლობაში კანდიდატთა სია ქვეყნდება.
7. კანდიდატთა სიის გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი ამ კანონით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატურათა შერჩევის შესახებ და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს 1 ვაკანტურ თანამდებობაზე არანაკლებ 3 კანდიდატურას.

მუხლი 26. მეურვის დანიშვნა

1. საქართველოს პრეზიდენტის მიერ კანდიდატურების წარდგენიდან 30 დღის ვადაში, ხოლო საპარლამენტო არდადეგების შემთხვევაში – სესიის განახლებიდან 15 დღის ვადაში, საქართველოს პარლამენტი ფარული კენჭისყრით აძლევს თანხმობას პრეზიდენტს მეურვის დანიშვნაზე.
2. მეურვის ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატის დანიშვნაზე თანხმობა მიცემულად ჩაითვლება, თუ იგი მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. მაგრამ არანაკლებ საქართველოს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევრისა. ამ მაჩვენებლის თანაბრობის შემთხვევაში ტარდება ხელახალი კენჭისყრა.
3. თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს საქართველოს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტის ხმებს, საქართველოს პრეზიდენტი 50 დღის ვადაში წარუდგენს პარლამენტს ახალ კანდიდატურებს, რომლებიც შეირჩევიან ამ კანონის 25-ე მუხლით დადგენილი წესით. მეურვის ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატის დანიშვნაზე თანხმობა მიცემულად ჩაითვლება, თუ

კანდიდატი მიიღებს პლენარულ სხდომაზე დამსწრე პარლამენტის წევრთა ხმების უმრავლესობას, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.

4. საქართველოს პარლამენტის მიერ თანხმობის მიცემის შემდეგ კანდიდატებს თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 27. მეურვის თანამდებობიდან გათავისუფლება

1. საქართველოს პრეზიდენტი დაუყოვნებლივ ათავისუფლებს მეურვეს დაკავებული თანამდებობიდან და იწყებს ახალი კანდიდატურების შერჩევის პროცედურას, თუ მის მიმართ კანონიერ ძალაში შევა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც სასჯელის სახით თვალისწინებს თავისუფლების შეზღუდვას, ტუსაობას ან თავისუფლების ვადიან ან უვადო აღკვეთას, ან თუ სასამართლო მას ქმედუნაროდ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებს, აგრეთვე მისი გადადგომის ან გარდაცვალების შემთხვევაში.

2. პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს შეუძლია აღძრას მეურვის თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურა:

- ა) ინტერესთა კონფლიქტის ამ კანონით დადგენილი ნორმების დარღვევის შემთხვევაში;
- ბ) ზედიზედ 2 თვის განმავლობაში არასაკმატო მიზეზით მეურვის უფლებამოსილების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

3. პროცედურის ინიციატორმა პარლამენტის წევრებმა დოკუმენტური მტკიცებულებებით უნდა დაასაბუთონ მეურვის თანამდებობიდან გათავისუფლების კონკრეტული საფუძველი.

4. ხელმოწერების შეგროვებიდან 30 დღის ვადაში პარლამენტს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით პლენარული სხდომის დღის წესრიგში შეაქვს მეურვის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი.

5. დღის წესრიგში შეტანიდან 30 დღის განმავლობაში პარლამენტი კენჭს უყრის მეურვის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხს. მეურვის თანამდებობიდან გასათავისუფლებლად საჭიროა პარლამენტის სიითი შემადგენლობის სამ მეხუთედზე მეტის თანხმობა.

6. თუ ხმების რაოდენობა საკმარისზე ნაკლებია ან პარლამენტი არ ჩაატარებს კენჭისყრას ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, მეურვის თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურა წყდება.

7. ერთი ფაქტის საფუძველზე მეურვის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხის ორჯერ დაყენება დაუშვებელია.

8. მეურვის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

9. მეურვის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებისას სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს განკარგულებას მეურვის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე.

მუხლი 28. სამეურვეო საბჭოს სხდომა

1. სამეურვეო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე. საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.
2. სამეურვეო საბჭოს სხდომა ტარდება არანაკლებ თვეში ერთხელ. რიგგარეშე სხდომას იწვევს საბჭოს თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით ან წევრთა ერთი მესამედის, გენერალური დირექტორის ან საზოგადოებრივი მაუწყებლის აუდიტორის მოთხოვნით.
3. მომავალი სხდომისა და მისი დღის წესრიგის შესახებ მეურვეს უნდა ეცნობოს სხდომაზე 3 სამუშაო დღით ადრე.
4. გადაწყვეტილების მიღებისას თითოეულ მეურვეს აქვს 1 ხმა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის ხმა.
5. გენერალურ დირექტორს, საზოგადოებრივი მაუწყებლის აუდიტორს და დამოუკიდებელ აუდიტორს უფლება აქვთ დაესწრონ სამეურვეო საბჭოს სხდომას. საბჭოს თავმჯდომარის თანხმობით ან/და გენერალური დირექტორის ინიციატივით სხდომას შეიძლება დაესწროს საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამდებობის პირი ან სხვა თანამშრომელი.

მუხლი 29. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე

1. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევენ მეურვეები პირველივე სხდომაზე. სამეურვეო საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
2. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – თავმჯდომარის მოადგილე, იწვევს და წარმართავს საბჭოს სხდომებს, ხელს აწერს საბჭოს გადაწყვეტილებებს, წარმოადგენს საბჭოს გენერალურ დირექტორთან ურთიერთობაში.
3. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის გასვლაზე არა უგვიანეს 30 დღისა მეურვეები საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევენ ახალ თავმჯდომარეს.
4. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა 3 წლის ვადით. პირი არ შეიძლება აირჩეს თავმჯდომარედ ზედიზედ 2 ვადაზე მეტი ხნით.
5. ახალარჩეული თავმჯდომარის უფლებამოსილება იწყება წინა თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან.

მუხლი 30. სამეურვეო საბჭოს ფუნქციები

სამეურვეო საბჭო:

- ა) განსაზღვრავს საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამულ პრიორიტეტებს;
- ბ) გენერალური დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს საზოგადოებრივი მაუწყებლის დებულებას;
- გ) გენერალური დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტს და მისი შესრულების ანგარიშს;

- დ) მოისპენს საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის ყოველკვარტალურ ანგარიშს;
- ე) თანხმობას აძლევს გენერალურ დირექტორს ისეთი გარიგების დადებაზე, რომლის ღირებულება აღემატება საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის 1%-ს;
- ვ) განსაზღვრავს გენერალური დირექტორის შრომის ანაზღაურების პირობებსა და ოდენობას.

მუხლი 31. საზოგადოებრივი საბჭოები

1. საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში საზოგადოებრივი ინტერესებისა და მოთხოვნილებების წარმოდგენის, აგრეთვე ამ კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული შინაარსობრივი ვალდებულებების განხორციელების უზრუნველსაყოფად იქმნება საზოგადოებრივი საბჭოები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან საზოგადოების უშუალო მონაწილეობით შემუშავდნ რეკომენდაციები საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის.
2. საზოგადოებრივი საბჭოების რაოდენობა, ფორმირებისა და საქმიანობის წესი და ფუნქციები განისაზღვრება საზოგადოებრივი მაუწყებლის დებულებით.

მუხლი 32. გენერალური დირექტორი

1. გენერალურ დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს სამეურვეო საბჭო ღია კონკურსის წესით, 6 წლის ვადით. გენერალური დირექტორის მეორე ვადით დანიშვნა შესაძლებელია ღია კონკურსის გარეშე. (20.05.2005 №475)
2. გენერალური დირექტორის თანამდებობაზე ღია კონკურსის ჩატარება და გენერალური დირექტორის დანიშვნა უნდა განხორციელდეს ვაკანსიის წარმოშობიდან 1 თვის ვადაში. (20.05.2005 №1475)
3. სამეურვეო საბჭო გენერალურ დირექტორთან აფორმებს ხელშეკრულებას. (20.05.2005 №1475)
4. გენერალური დირექტორი ამ კანონით დადგენილი წესით ხელმძღვანელობს და წარმართავს საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობას, წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 32.1. გენერალური დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების წესი და პირობები (20.05.2005 №1475)

1. გენერალური დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველია:
 - ა) ვადის ამოწურვა;
 - ბ) სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილება გენერალური დირექტორისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ;
 - გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი;
 - დ) პირადი განცხადება;
 - ე) გარდაცვალება.
2. სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია იმსჯელოს გენერალური დირექტორისათვის უნდობლობის გამოცხადებისა და ამ საფუძველით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე, თუ აღნიშნული საკითხის განხილვას წერილობით მოითხოვს საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ერთი მესამედი მაინც.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით გენერალური დირექტორის ვადამდე გათავისუფლების შესახებ სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ორი მესამედი.

4. თუ სამეურვეო საბჭოს წევრთა ინიციატივას გენერალური დირექტორისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ მხარს არ დაუჭერს ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული საბჭოს წევრთა რაოდენობა. გენერალური დირექტორის მიმართ უნდობლობის საკითხის განხილვა მომდევნო 6 თვის განმავლობაში დაუშვებელია.

მუხლი 33. საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტი. საზოგადოებრივი მაუწყებლობის გადასახდელი

1. საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო.
2. საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტს ქმნის საზოგადოებრივი მაუწყებლობის გადასახდელი და კანონმდებლობით განსაზღვრული ან/და ნებადართული სხვა შემოსავლები.
3. საზოგადოებრივი მაუწყებლობის გადასახდელის გადამხდელია ყველა ფიზიკური პირი, რომელსაც საქართველოში აქვს საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი
4. საზოგადოებრივი მაუწყებლის გადასახდელი ყოველთვიურად ირიცხება საზოგადოებრივი მაუწყებლის ანგარიშზე.

მუხლი 34. აუდიტი

1. სამეურვეო საბჭოს მიერ კონკურსის წესით დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი არანაკლებ წელიწადში ერთხელ ატარებს საზოგადოებრივი მაუწყებლის გარე აუდიტს.
2. გენერალური დირექტორის მიერ დანიშნული საზოგადოებრივი მაუწყებლის აუდიტორი რეგულარულად ატარებს საზოგადოებრივი მაუწყებლის შიდა აუდიტს.
3. სამეურვეო საბჭოს თაემგდომარეს. გენერალურ დირექტორს. სამეურვეო საბჭოს სიითი შემადგენლობის ერთ მესამედს უფლება აქვთ დაავალონ საზოგადოებრივი მაუწყებლის აუდიტორს დამატებითი აუდიტის ჩატარება.

მუხლი 35. სამეურვეო საბჭოს ანგარიში

1. სამეურვეო საბჭო არა უგვიანეს ყოველი წლის 1 მაისისა საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტსა და კომისიას წარუდგენს და აქვეყნებს საზოგადოებრივი მაუწყებლის გასული წლის საქმიანობის ანგარიშს.
2. ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას:
 - ა) საზოგადოებრივი მაუწყებლის სამაუწყებლო პოლიტიკის შესახებ;
 - ბ) მიმდინარე და სამომავლო პროგრამული პრიორიტეტების შესახებ;
 - გ) მიმდინარე და სამომავლო პროგრამათა განრიგის შესახებ;
 - დ) დამოუკიდებელი პროგრამებისა და მათი მწარმოებლების შესახებ;

- ე) საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგების შესახებ;
 - ვ) განხილული საჩივრების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ;
 - ზ) საჯარო განხილვების შინაარსისა და მოქალაქეთა წინადადებების შესახებ;
 - თ) საზოგადოებრივ მაუწყებლოთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე საწარმოების შესახებ;
 - ი) საზოგადოებრივი მაუწყებლობის მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ;
 - კ) საზოგადოებრივი მაუწყებლობის ბიუჯეტის შესრულების შესახებ;
 - ლ) შიდა და გარე აუდიტების დასკვნებს.
3. საქართველოს პარლამენტი უზრუნველყოფს ანგარიშის საჯარო განხილვას. საჯარო განხილვის შედეგები შეძლებისდაგვარად აისახება საზოგადოებრივი მაუწყებლობის პროგრამულ პრიორიტეტებში.
4. პარლამენტის წევრს უფლება აქვს გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის შესახებ.

თავი IV.

მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის ლიცენზირება

მუხლი 36. ლიცენზირების ორგანიზება

1. მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის გამცემი ორგანოა კომისია, რომელიც საჯაროობის პრინციპის დაცვით:
- ა) ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობაზე გასცემს ლიცენზიებს და აწარმოებს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრს;
 - ბ) აკონტროლებს სალიცენზიო პირობების დაცვას;
 - გ) ამ კანონით დადგენილი წესით ახდენს ლიცენზიის მოდიფიცირებას, აჩერებს და ანახლებს ლიცენზიის მოქმედებას, აუქმებს ლიცენზიას;
 - დ) ახორციელებს ლიცენზირების სფეროში კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
2. მაუწყებლობის სფეროში საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია აუცილებელ ტექნიკურ რეგულაციასთან და შეზღუდული რესურსების გამოყენებასთან, ხორციელდება მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე, გარდა საზოგადოებრივი მაუწყებლისა და ამ კანონის 75-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის გარეშე საქმიანობა ისჯება კანონით.

მუხლი 37. მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი

1. მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი შეიძლება იყოს საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირი.
2. მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი არ შეიძლება იყოს:
- ა) ადმინისტრაციული ორგანო, ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი ან თანამშრომელი;
 - ბ) ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე იურიდიული პირი;
 - გ) პოლიტიკური პარტია, პოლიტიკური პარტიის თანამდებობის პირი.

მუხლი 38. მუხრანის რაიონის სფეროში ლიცენზიის სახეები

1. კომისია გასცემს სათემო და კერძო მუხრანის რაიონის ლიცენზიებს.
2. კერძო მუხრანის რაიონის ლიცენზიები გაიცემა საერთო და სპეციალიზებული მუხრანის რაიონისათვის.
3. საერთო და სპეციალიზებული მუხრანის რაიონის ლიცენზიების ხორციელება ტელე- ან რადიოსამუხრანის რაიონის თანამგზავნი სისტემების მიწისზედა და ორბიტალური სადგურების, საკაბელო ქსელის ან სამუხრანის რაიონის რადიოგადამცემების მეშვეობით სიხშირული სპექტრის გამოყენებით. იკრძალება სიხშირული სპექტრის გამოყენებით მუხრანის რაიონის ტრანზიტი, გარდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული მუხრანის რაიონის კანონიერ საფუძველზე მიღებული ტელე- ან რადიოარხის უცვლელი სახით გადაცემისა. (28.12.2005 №2565)
4. სიხშირული სპექტრის გამოყენებით მუხრანის რაიონის ლიცენზიის გაიცემა, მოდიფიცირება, მისი მოქმედების შეჩერება და გაუქმება, აგრეთვე ტელე- ან რადიოსამუხრანის რაიონის თანამგზავნი სისტემების მიწისზედა სადგურების ან საკაბელო ქსელის გამოყენებით მუხრანის რაიონის ლიცენზიის მოქმედების შეჩერება და გაუქმება ხორციელდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.
5. ტელე- ან რადიოსამუხრანის რაიონის თანამგზავნი სისტემების მიწისზედა სადგურების ან საკაბელო ქსელის გამოყენებით მუხრანის რაიონის ლიცენზიის გაიცემა და მოდიფიცირება ხორციელდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.

მუხლი 39. მუხრანის რაიონის სფეროში ლიცენზიის ვადა

მუხრანის რაიონის სფეროში ლიცენზია გაიცემა 10 წლის ვადით. ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ ლიცენზიის მოქმედება ერთხელ, იმავე ვადით გრძელდება ავტომატურად, თუ ლიცენზიის მფლობელის მიმართ ამ პერიოდში არ ყოფილა გამოყენებული ამ კანონის 72-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სანქციები. ამ შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი იხდის სალიცენზიო მოსაკრებელს და კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში ლიცენზიის მოქმედების გაგრძელების მომენტიდან დადგენილი სალიცენზიო გადასახდელის საწყის ოდენობას. სხვა შემთხვევაში ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვამდე 6 თვით ადრე ლიცენზიის მფლობელი მიმართავს კომისიას კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებით. კომისია კონკურსს ატარებს ამ ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

მუხლი 40. საეთერო მუხრანის რაიონის მომსახურების ზონა

1. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს ტერიტორია იყოფა საეთერო მუხრანის რაიონის მომსახურების ზონებად.
2. საეთერო მუხრანის რაიონის ლიცენზიის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს ტელე- ან რადიოსიგნალების ხარისხიანი მიღების ხელმისაწვდომობა მისი მომსახურების ზონის მოსახლეობის არანაკლებ 90%-ისათვის.
3. ამ კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიები ეროვნული და ადგილობრივი მუხრანის რაიონისათვის გაიცემა ცალ-ცალკე კონკურსის საფუძველზე.

მუხლი 41. მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის გაცემის წესი

1. კომისია გადაწყვეტილებას ტელე- ან რადიოსამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მიწისზედა სადგურების ან საკაბელო ქსელის გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემის შესახებ იღებს კომისიისთვის განცხადების წარდგენიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. სიზშირული სექტრის გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზია გაიცემა კონკურსის საფუძველზე. (02.06.2005 №1516)

2. მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი კომისიას მიმართავს განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) ფიზიკური პირისათვის – სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, რეგისტრაციის მონაცემები, მისამართი, მოქალაქეობა;

ბ) იურიდიული პირისათვის – საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი), სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, მონაცემები პარტნიორთა შესახებ, აგრეთვე იმ აქციონერთა შესახებ, რომლებიც ფლობენ აქციების 5%-ს ან მეტს;

გ) მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის სახე, რომლის მიღებასაც მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;

დ) მაუწყებლობის გაერცელების სავარაუდო გეოგრაფიული ზონა;

ე) მაუწყებლობის სავარაუდო ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში.

3. განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) ამოღებულია (28.12.2005 №2565)

ბ) სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები; ფიზიკური პირისათვის – აგრეთვე პირადობის მოწმობის ასლი;

გ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

4. საუთერო მაუწყებლობის ლიცენზიის მაძიებელმა ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებთან ერთად განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსების გეგმა; (28.12.2005 №2565)

ბ) დოკუმენტაცია პროგრამების გაერცელებისათვის გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებების თაობაზე;

გ) განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია;

დ) სალიცენზიო გადასახდელის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე. ლიცენზიის მიუღებლობის შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს კომისიისთვის წერილობითი განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში უბრუნდება აღნიშნული თანხა, საბანკო მომსახურების ხარჯების გამოკლებით. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი დარჩენილ თანხას გადაიხდის კომისიის მიერ დადგენილი წესით.

5. მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიებსა და ნებართვებს გასცემს მხოლოდ კომისია. სხვა ლიცენზიებისა და ნებართვების დაწესება და მოთხოვნა აკრძალულია (ერთი გაჩერების პრინციპი).

6. ამოღებულია (02.06.2005 №1516)

მუხლი 42. განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი

კომისია წარმოებაში არ მიიღებს:

- ა) სალიცენზიო განცხადებას, თუ არასრულყოფილადაა წარდგენილი ამ კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაცია;
- ბ) სალიცენზიო განცხადებას, თუ იგი წარადგინა ამ კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულმა პირმა;
- გ) ახალ სალიცენზიო ან სანებართვო განცხადებას, თუ იგი წარადგინა ლიცენზიის მფლობელმა ამ კანონით გათვალისწინებული დარღვევისათვის მის მიმართ კომისიის მიერ სანქციის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 1 წლის განმავლობაში.

მუხლი 43. საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემის წესი

1. კონკურსის გამოცხადების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს:

- ა) გასაცემი ლიცენზიის ზუსტი დასახელება;
 - ბ) მაუწყებლობის სახე, სახეობა, მინიმალური ხანგრძლივობა და გავრცელების გეოგრაფიული ზონა;
 - გ) პროგრამირების მინიმალური მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ლიცენზიის მძიებლის მიერ წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფცია;
- (28.12.2005 №2565)*

დ) ტექნიკური პარამეტრები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ლიცენზიის მძიებლის მიერ წარმოდგენილი პროექტი;

ე) სალიცენზიო გადასახდელის ოდენობა და გადახდის წესი;

ვ) მოსამზადებელი სხდომისა და კონკურსის ჩატარების თარიღები.

2. კონკურსის ჩატარების თარიღამდე არა უგვიანეს 2 თვისა კომისია უზრუნველყოფს ინფორმაციის გამოქვეყნებას. *(28.12.2005 №2565)*

3. კონკურსის ჩატარების თარიღამდე არა უგვიანეს 20 დღისა კომისია ატარებს მოსამზადებელ სხდომას, რომელზედაც ხდება კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადებების განხილვა და თანდართული დოკუმენტაციის ლიცენზიის მძიებელთა თანდასწრებით გახსნა. აღნიშნული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჯარო გაცნობისათვის. *(28.12.2005 №2565)*

4. დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში კომისიამ უნდა გააფრთხილოს ლიცენზიის მძიებელი და მისცეს მას დამატებით არანაკლებ 5 და არა უმეტეს 15 სამუშაო დღე დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. იკრძალება კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადებისა და დოკუმენტაციის საფოსტო გზაწინების სახით მიწოდება კომისიისთვის.

5. დოკუმენტაციის არასრულყოფილების, აგრეთვე პროგრამირებისა და საინვესტიციო ვალდებულების მინიმალური მოთხოვნების დაუკეულობის შემთხვევაში კომისია იღებს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვებისა და ლიცენზიის მძიებლისათვის კონკურსში მონაწილეობაზე უარის თქმის შესახებ.

6. კომისია კონკურსს ატარებს საჯარო სხდომაზე.

7. კომისია დოკუმენტაციას აფასებს პროგრამირების ასპექტის მიხედვით.
8. პროგრამირების ასპექტის მიხედვით კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენისას მხედველობაში მიიღება:
- ა) შემოთავაზებული პროგრამების მრავალფეროვნება და აუდიტორიის ინტერესებთან შესაბამისობა;
 - ბ) მომსახურების ზონის აუდიტორიისათვის ხელმისაწვდომი სხვა მაუწყებელთა პროგრამების არსებობა.
9. პროგრამირების ასპექტის მიხედვით კონკურსში მონაწილე ლიცენზიის მძიებელთა თანაბარი შეფასების შემთხვევაში გამარჯვებულად ცხადდება კონკურსში მონაწილე ის ლიცენზიის მძიებელი, რომელიც ადრე გაცემული ლიცენზიის საფუძველზე ახორციელებდა მაუწყებლობას საკონკურსოდ გამოტანილი სიხშირეების გამოყენებით.
10. კომისია იღებს და აქვეყნებს დეტალურად დასაბუთებულ გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ.
11. თუ კონკურსში მონაწილეობს 1 ლიცენზიის მძიებელი, იგი გამარჯვებულად ცხადდება მის მიერ სალიცენზიო გადასახდელის გადახდის დადასტურების შემთხვევაში.
- 11¹. თუ კონკურსში გამარჯვებული პირის მიერ მაუწყებლობის განხორციელებისას რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობისათვის საჭიროა სხვა უწყებათა ნებართვა, მისი ერთი გაჩერების პრინციპის შესაბამისად მიღების მიზნით კონკურსში გამარჯვებული უფლებამოსილია წარუდგინოს კომისიას ამ ნებართვისათვის საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილი სათანადო დოკუმენტაცია, ხოლო კომისია უზრუნველყოფს შესაბამისი უწყებებიდან სათანადო ნებართვის მიღებას. ამ შემთხვევაში კომისია სათანადო დოკუმენტაციის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მიმართავს შესაბამის უწყებებს და უგზავნის კონკურსში გამარჯვებული პირის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. თუ შემდგომი 20 სამუშაო დღის ვადაში შესაბამისი უწყებიდან მიღებულია ნებართვის გაცემაზე უარი, მასში დასაბუთებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამობა და მითითებული უნდა იყოს ამგვარი შეუსაბამობის გამოსწორების გზები. კონკურსში გამარჯვებულს ეძლევა დამატებითი ვადა აღნიშნული შეუსაბამობის გამოსასწორებლად. (02.06.2005 №1516)
12. კონკურსში გამარჯვებულის მიერ სალიცენზიო გადასახდელის 20%-ის კომისიის გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში კომისია იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. ამ შემთხვევაში ლიცენზიის მძიებელს 2 წლით ეზღუდება კონკურსში მონაწილეობის უფლება.

მუხლი 44. ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი

1. კომისია უარს ეტყვის ლიცენზიის მძიებელს ლიცენზიის გაცემაზე, თუ ლიცენზიის მძიებელმა კონკურსში ვერ გაიმარჯვა. ლიცენზიის გაცემაზე უარი ფორმდება კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ.
2. ლიცენზიის გაცემაზე კომისიის უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 45. ლიცენზიის მოდიფიცირება

1. ლიცენზიის მოდიფიცირების საფუძველი შეიძლება იყოს:

- ა) საქართველოს კანონმდებლობაში ან მაუწყებლობის სფეროს პრიორიტეტებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა;
 - ბ) კომისიის ან ლიცენზიის მფლობელის დასაბუთებული მოთხოვნა ლიცენზიაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე.
2. კომისია ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ამ კანონით დადგენილი წესით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადებში.
3. იკრძალება საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიის იმგვარად მოდიფიცირება, რაც გამოიწვევს ლიცენზიის სახის არსებით შეცვლას ან ლიცენზიის სამოქმედო ზონის სიდიდის ცვლილებას. ამ შემთხვევაში უნდა გაიცეს ახალი ლიცენზია კანონით დადგენილი წესით.

თავი V.**სათემო მაუწყებლობა****მუხლი 46. სათემო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი**

1. სათემო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი უნდა:

- ა) ემსახუროდეს თემის ინტერესებს;
 - ბ) უზრუნველყოფდეს მაუწყებლობის პროცესში იმ საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობას, რომელსაც იგი ემსახურება;
 - გ) უზრუნველყოფდეს მისი მომსახურების ზონაში მცხოვრები უმცირესობების აზრების გაშუქებას.
2. სათემო მაუწყებლობისათვის სიხშირულ სპექტრს ანაწილებს კომისია.

მუხლი 47. სათემო მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემის წესი

1. სათემო მაუწყებლობის ლიცენზიის გასაცემად ტარდება კონკურსი ამ კანონის 43-ე მუხლის შესაბამისად.
2. სათემო მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემისას კომისია მხედველობაში იღებს:
 - ა) რამდენად შეესაბამება შემოთავაზებული მომსახურება თემის მიმდინარე და სამომავლო ინტერესებს და ლიცენზიის მაძიებლის შესაძლებლობებს;
 - ბ) თემის სახეს და მრავალფეროვნებას;
 - გ) ლიცენზიის მაძიებლისათვის ლიცენზიის სამოქმედო ზონაში სხვა მაუწყებელთა მიერ გაწეული მომსახურების სახეობებს.

თავი VI.**სალიცენზიო პირობები და შინაარსობრივი მოთხოვნები****მუხლი 48. სალიცენზიო პირობები და ლიცენზიის გადაცემის დაუშვებლობა**

1. სალიცენზიო პირობები განისაზღვრება კანონმდებლობითა და კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადებაში ნაკისრი ვალდებულებებით.

2. ლიცენზიის გასხვისება ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმით სხვა პირისათვის გადაცემა, დაგირავება, ლიცენზიით მინიჭებული უფლებების საწარმოს საწესდებო კაპიტალში შეტანა ან მემკვიდრეობით გადაცემა იკრძალება.

მუხლი 49. არქივი

საერთო და სპეციალიზებული მაუწყებლობის ლიცენზიების მფლობელები, აგრეთვე საზოგადოებრივი და სათემო მაუწყებლები ვალდებული არიან შექმნან არქივი და არანაკლებ 1 თვის განმავლობაში შეინახონ პროგრამები. დავის შემთხვევაში მასთან დაკავშირებული პროგრამები ინახება დავის დასრულებამდე.

მუხლი 50. ქცევის კოდექსი

კომისია ლიცენზიის მფლობელებთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან კონსულტაციების საფუძველზე, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით იღებს ქცევის კოდექსს.

მუხლი 51. პროგრამული უზრუნველყოფა

საერთო და სპეციალიზებული მაუწყებლობის ლიცენზიების მფლობელები, აგრეთვე საზოგადოებრივი და სათემო მაუწყებლები ვალდებული არიან, სადაც ეს შესაძლებელია, უზრუნველყონ სატელევიზიო დროის (ახალი ამბების პროგრამების, სპორტული მოვლენებისა და თამაშების, რეკლამის, ტელეტექსტისა და ტელემოპინგისათვის გამოყოფილი დროის გამოკლებით) ნაწილის ევროპული წარმოების პროდუქციისათვის გამოყოფა. ევროპული პროდუქციისათვის დათმობილი დროის ეს ნაწილი გამოიყენება პროგრესულად, შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე, მაყურებელთა და მსმენელთა წინაშე ლიცენზიის მფლობელის საინფორმაციო, საგანმანათლებლო, გასართობი და კულტურული ვალდებულებების გათვალისწინებით.

მუხლი 52. ჯეროვანი სიზუსტე, შესწორება და უარყოფა

1. საერთო და სპეციალიზებული მაუწყებლობის ლიცენზიების მფლობელები, აგრეთვე საზოგადოებრივი და სათემო მაუწყებლები ვალდებული არიან მიიღონ ყველა ზომა პროგრამებში მოყვანილი ფაქტების ჯეროვანი სიზუსტის უზრუნველსაყოფად და დროულად შეასწორონ შეცდომები.

2. დაინტერესებულ პირს საწყისი განცხადების გაკეთებიდან, მათ შორის, ფაქტის მოყვანიდან, 10 დღის ვადაში უფლება აქვს მოსთხოვოს შესაბამის მაუწყებელს საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით იმ დროს, როდესაც გაკეთდა საწყისი განცხადება.

3. შესწორების ან უარყოფის მოთხოვნის უფლება არ არსებობს, თუ:

ა) შესწორების ან უარყოფის მოთხოვნა არ წარდგენილა საწყისი განცხადების გაკეთებიდან 10 დღის ვადაში;

- ბ) საწყისი განცხადება ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს ან მომჩივანი არ არის განცხადებაში ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული პირი;
- გ) შესწორებას ან უარყოფას პირდაპირი კავშირი არ აქვს საწყის განცხადებასთან ან მისი ზომა, ფორმა და შინაარსი სცდება იმ ფარგლებს, რომლებიც აუცილებელია საწყის განცხადებაში მოყვანილი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორებისთვის ან უარყოფისთვის, ან თუ ხდება საწყის განცხადებაში გამოთქმული აზრის და არა ფაქტის შესწორება ან უარყოფა;
- დ) შესწორება ან უარყოფა შეიცავს ცილისწამებას ან საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით ან 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით აკრძალულ მოწოდებას;
- ე) შესწორება ან უარყოფა უსაფუძვლოდ ეხება მესამე პირს;
- ვ) მომჩივანი ვერ ასაბუთებს თავის კანონიერ ინტერესს.
4. საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორებაზე ან უარყოფაზე მაუწყებლის უარი შეიძლება გასაჩივრდეს კომისიაში ან სასამართლოში.

მუხლი 53. განრიგი და კლასიფიკაცია

1. საერთო და სპეციალიზებული მაუწყებლობის ლიცენზიების მფლობელები, აგრეთვე საზოგადოებრივი და სათემო მაუწყებლები ვალდებული არიან ყოველკვირეულად გამოაქვეყნონ მომდევნო კვირის პროგრამების განრიგი პროგრამის დასახელებისა და მოკლე ანოტაციის მითითებით, მოახდინონ პროგრამების, მათ შორის, ფილმების კლასიფიკაცია მათთვის კატეგორიისა და შესაბამისი აღმნიშვნელი ნიშნის მინიჭებით.
2. არასრულწლოვნებზე მკენე ზეგავლენის მომხდენი ფილმების კატეგორიათა მისანიჭებელი კრიტერიუმები განისაზღვრება ქვეყის კოდექსით.

მუხლი 54. სამართლიანობა და მიუკერძოებლობა

1. საერთო და სპეციალიზებული მაუწყებლობის ლიცენზიების მფლობელები, აგრეთვე საზოგადოებრივი და სათემო მაუწყებლები ვალდებული არიან უზრუნველყონ ფაქტების ზუსტი და სამართლიანი გაშუქება, ფაქტისა და აზრის მკაფიო გამოჯენა და აზრის ავტორის იდენტიფიცირება.
2. საერთო და სპეციალიზებული მაუწყებლობის ლიცენზიების მფლობელები, აგრეთვე საზოგადოებრივი მაუწყებლები ვალდებული არიან ახალი ამბების პროგრამებში უზრუნველყონ ფაქტებთან და მოვლენებთან დაკავშირებული ყველა საგულისხმო განსხვავებული აზრის სათანადოდ წარმოჩენა რომელიმე ჯგუფისა თუ აზრის დისკრიმინაციის გარეშე.

მუხლი 55. წინასაარჩევნო დებატები

1. საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელმა უნდა გადასცეს წინასაარჩევნო დებატები თავისი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს.
2. საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელმა თავისი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს, აგრეთვე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა

არადისკრიმინაციულად უნდა უზრუნველყონ ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის თანაბარი მონაწილეობა წინასაარჩევნო დებატებში.

მუხლი 56. პროგრამული შეზღუდვები

1. იკრძალება ომის ნებისმიერი სახით პროპაგანდა.
2. იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხეს ქმნის.
3. იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისა, დისკრიმინაციისა ან ამ თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს არსებული შუღლის ილუსტრირებას.
4. იკრძალება პორნოგრაფიის, აგრეთვე ადამიანისა და მოქალაქის ღირსებისა და ძირითად უფლებათა შემლახავი ისეთი პროგრამის ან რეკლამის განთავსება, რომელიც შეიცავს უხამსობას.
5. იკრძალება ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე მავნე ზეგავლენის მომხდენი პროგრამების იმ დროს განთავსება, როცა მათ მიერ ამ პროგრამების ნახვის ან მოსმენის დიდი ალბათობა არსებობს.
6. საკაბელო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელს უფლება აქვს ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული პროგრამა ან რეკლამა განთავსოს ნებისმიერ დროს, კოდირებული ფორმით, მომხმარებელთან ინდივიდუალურად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 57. ქვეცნობიერზე ზემოქმედების დაუშვებლობა

საერთო და სპეციალიზებული მაუწყებლობის ლიცენზიების მფლობელებს, აგრეთვე საზოგადოებრივ და სათემო მაუწყებლებს ეკრძალებათ ისეთი პროგრამის გადაცემა, რომელსაც შეუძლია ტექნიკური აუდიო- ან ვიზუალური მონტაჟის საშუალებით დროის უმცირეს მონაკვეთში ან სხვაგვარად გადასცეს ინფორმაცია ან მსმენლის ან მაყურებლის ქვეცნობიერზე ზემოქმედებით გავლენა მოახდინოს მათ აზრებზე ისე, რომ მათ ნაწილობრივ ან სრულად არ ჰქონდეთ გაცნობიერებული ეს გავლენა.

მუხლი 58. მთავარი მოვლენა

1. კომისია საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით განსაზღვრავს და 5 წელიწადში ერთხელ აქვეყნებს მთავარი მოვლენების ნუსხას.
2. დაუშვებელია მთავარი მოვლენების ექსკლუზიური მაუწყებლობა, თუ იგი ხელმისაწვდომი არ არის საქართველოს მოსახლეობის არანაკლებ 90%-ისათვის.

მუხლი 59. ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები საერთო საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი, აგრეთვე საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებული არიან საუკეთესო დროს განათავსონ ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები და უზრუნველყონ აუდიტორიის დროული ინფორმირება მათი მომსახურების ზონაში, საქართველოში და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

მუხლი 59¹. დარღვევაზე რეაგირება (29.12.2006 №4319)

1. ამ კანონის 52-ე, 54-ე, 56-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმების, აგრეთვე ქცევის კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების დარღვევებზე რეაგირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში.

2. დაუშვებელია ამ კანონის 52-ე, 54-ე, 56-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმების, აგრეთვე ქცევის კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული საკითხების, ასევე ამ კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების სასამართლოში, კომისიაში ან რომელიმე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრება.

თავი VII.

მანუაზალოზის საკუთრება

მუხლი 60. მაუწყებლის საკუთრების კონცენტრაციის აკრძალვა

პირს უფლება აქვს დამოუკიდებლად ან მასთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე პირთან ერთად ფლობდეს არა უმეტეს 1 საერთო საეთერო სატელევიზიო და 1 საერთო საეთერო რადიომაუწყებლობის ლიცენზიას თითო მომსახურების ზონაში.

მუხლი 61. მაუწყებლის საკუთრების გამჭვირვალობა

1. მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ყოველწლიურად გამოაქვეყნოს და კომისიას მიაწოდოს ინფორმაცია:

ა) საწარმოს პარტნიორების, აქციათა არანაკლებ 5%-ის მფლობელებისა და დირექტორების თაობაზე, თუ მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელია კერძო სამართლის კომერციული იურიდიული პირი;

ბ) იურიდიული პირის დამფუძნებლების, სხვა წევრების, შემომწირველებისა და გამგეობის შემადგენლობის თაობაზე, თუ მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელია კერძო სამართლის არაკომერციული იურიდიული პირი;

გ) მაუწყებლობის სფეროში სხვა ლიცენზიის ფლობის შესახებ;

დ) მაუწყებლობის სფეროში სხვა ლიცენზიის მფლობელის საწესდებო კაპიტალში წილის ან აქციების ფლობის შესახებ;

- ე) პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის ფლობის შესახებ;
 - ვ) პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის საწესდებო კაპიტალში წილის ან აქციების ფლობის შესახებ;
 - ზ) საინფორმაციო სააგენტოს ფლობის შესახებ;
 - თ) საინფორმაციო სააგენტოს საწესდებო კაპიტალში წილის ან აქციების ფლობის შესახებ;
 - ი) სხვა საწარმოს ან სხვა საწარმოში წილის ან აქციების 5%-ის ან მეტი ფლობის შესახებ.
2. მუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია გამოაქვეყნოს და კომისიას მიაწოდოს ინფორმაცია, თუ მისი კაპიტალის წილის ან აქციების მფლობელი, დამფუძნებელი, სხვა წევრი, ხელმძღვანელი, შემომწირველი ან მათი ოჯახის წევრი იმავდროულად ფლობს:
- ა) მუწყებლობის სფეროში სხვა ლიცენზიის მფლობელის წილს ან აქციებს;
 - ბ) პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის წილს ან აქციებს;
 - გ) საინფორმაციო სააგენტოს წილს ან აქციებს.

მუხლი 62. მუწყებლის საკუთრების ცვლილებები

1. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წერილობით აცნობოს კომისიას ლიცენზიის მფლობელი იურიდიული პირის პარტნიორის, აქციონერის, წევრის, დირექტორის ან გამგეობის წევრის ცვლილების შესახებ, ცვლილების განხორციელებიდან არა უგვიანეს 10 დღისა.
2. კომისია იღებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მოსაზრებათა პლურალიზმის სტიმულირების ღონისძიებათა შესახებ საქართველოსთვის იურიდიული ძალის მქონე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს ცვლილების შედეგად მუწყებლის საკუთრების აკრძალული კონცენტრაციის წარმოშობის თავიდან ასაცილებლად.

თავი VIII.

რეკლამა, ტელეშოპინგი, სპონსორობა

მუხლი 63. ზოგადი დებულებანი

1. რეკლამასთან დაკავშირებით გამოიყენება „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესები, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
2. იკრძალება არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო, არაეთიკური და აშკარად ყალბი რეკლამის ან ტელეშოპინგის განთავსება.
3. ლიცენზიის მფლობელი პასუხს არ აგებს წინასაარჩევნო და სოციალური რეკლამის შინაარსზე. წინასაარჩევნო და სოციალური რეკლამის შინაარსზე პასუხისმგებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკისრება რეკლამის დამკვეთს.
4. რეკლამა და ტელეშოპინგი იდენტიფიცირებული და პროგრამისაგან მკაფიოდ გამოჯნული უნდა იყოს.

5. იკრძალება ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და წინასაარჩევნო დებატების პროგრამის წამყვანის ან ჟურნალისტის ნებისმიერი სახით მონაწილეობა რეკლამაში ან ტელეშოპინგში.

6. რეკლამაში, რომელიც გამოიხსნება ბავშვებისათვის ან რომელშიც ბავშვები მონაწილეობენ, არ უნდა შეიღებოს მათი ინტერესები.

7. ტელეშოპინგი არ შეიძლება გამოიხსნას იყოს არასრულწლოვანთათვის.

მუხლი 64. კომერციული რეკლამა და ტელეშოპინგი

1. საზოგადოებრივი მაუწყებლობის არხზე კომერციული რეკლამა ან ტელეშოპინგი არ შეიძლება განთავსდეს დასვენებისა და უქმე დღეებში, აგრეთვე საუკეთესო დროს – სხვა დღეებში, გარდა სპორტული პროგრამების, საერთაშორისო ფესტივალებისა და კონკურსების ფარგლებში, საკონკურსო პროგრამების დაწყების, ბუნებრივი ინტერვალისა და დასრულების დროსა. (203.2007.ს.416)

2. საზოგადოებრივი მაუწყებლობის არხზე ტელეშოპინგს დღე-ღამის განმავლობაში ეთმობა არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო კომერციულ რეკლამას – არა უმეტეს 30 წუთისა. რეკლამისა და ტელეშოპინგის საერთო მოცულობა 1 საათში არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს (6 წუთს). საზოგადოებრივი მაუწყებლობის არხზე სპორტულ პროგრამაში რეკლამა განთავსდება მხოლოდ პროგრამის დაწყების, ბუნებრივი ინტერვალისა და დასრულების დროს.

3. კერძო ან სათემო მაუწყებლობის არხზე რეკლამა ან ტელეშოპინგი შეიძლება განთავსდეს პროგრამებს შორის. ამ კანონით დადგენილი წესით რეკლამა ან ტელეშოპინგი შეიძლება განთავსდეს პროგრამაშიც, მაგრამ ისე, რომ შენარჩუნდეს პროგრამის ფასეულობა.

4. იკრძალება ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების ტრანსლაციისა და პროგრამების რეკლამით ან ტელეშოპინგით შეწყვეტა:

ა) საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა, საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა, ოფიციალური სახელმწიფო ღონისძიება, უმაღლესი სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის ოფიციალური გამოსვლა;

ბ) რელიგიური ცერემონია;

გ) პროგრამა, რომლის ხანგრძლივობა 15 წუთზე ნაკლებია;

დ) ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, რელიგიური, წინასაარჩევნო დებატების პროგრამა ან დოკუმენტური ფილმი, რომლის ხანგრძლივობა 30 წუთზე ნაკლებია;

ე) მხატვრული ფილმი ან ტელეფილმი ან ფილმის სერია (გარდა სერიალისა და დოკუმენტური ფილმისა), რომლის ხანგრძლივობა 45 წუთზე ნაკლებია.

5. პროგრამა, რომლის ხანგრძლივობა 45 წუთზე მეტია, რეკლამით ან ტელეშოპინგით შეიძლება შეწყდეს არა უმეტეს 3-ჯერ.

6. რეკლამისათვის ან ტელეშოპინგისათვის განკუთვნილ წვეტებს შორის ინტერვალი არ უნდა იყოს 15 წუთზე ნაკლები, გარდა ავტონომიური ნაწილებისაგან შემდგარი პროგრამისა, აგრეთვე ბუნებრივი ინტერვალისაგან შემდგარი სპორტული ან

მხატვრული წარმოდგენისა და ანალოგიურად ჩატარებული ღონისძიებისადმი მიძღვნილი პროგრამისა.

7. ავტონომიური ნაწილებისაგან შემდგარ პროგრამაში, აგრეთვე ბუნებრივი ინტერვალებისაგან შემდგარ სპორტულ ან მხატვრულ წარმოდგენაში და ანალოგიურად ჩატარებული ღონისძიებისადმი მიძღვნილ პროგრამაში რეკლამა ან ტელემოპინგი შეიძლება განთავსდეს მხოლოდ ბუნებრივი ინტერვალის დროს.

8. საგანმანათლებლო-შემეცნებითი, საბავშვო ან რელიგიური პროგრამა რეკლამით ან ტელემოპინგით შეიძლება შეწყდეს არა უმეტეს 15 წუთში ერთხელ და არა უმეტეს 45 წამით.

9. ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ან წინასაარჩევნო დებატების პროგრამა რეკლამით ან ტელემოპინგით შეიძლება შეწყდეს არა უმეტეს 15 წუთში ერთხელ და არა უმეტეს 120 წამით.

10. მხატვრული ფილმი ან ტელეფილმი ან ფილმის სერია (გარდა სერიალისა და დოკუმენტური ფილმისა), რომლის ხანგრძლივობა 45 წუთზე მეტია, რეკლამით ან ტელემოპინგით შეიძლება შეწყდეს არა უმეტეს 45 წუთში ერთხელ.

11. ტელე- ან რადიოარხზე, გარდა სპეციალიზებული სარეკლამო ან ტელე-შოპინგის არხისა, რეკლამის ან ტელემოპინგის მოცულობა დღე-ღამის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს მაუწყებლობის საერთო ხანგრძლივობის 15%-ს. ტელემოპინგს, გარდა სპეციალიზებული ტელემოპინგის არხისა, ეთმობა არა უმეტეს 15 წუთისა. ტელემოპინგის საერთო ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 3 საათს.

12. დაფარვის სახით (მათ შორის, „მოდრავი სტრიქონის“ გამოყენებით) რეკლამირებისას ამ მუხლით განსაზღვრული, დროსთან დაკავშირებული შეზღუდვები არ ვრცელდება. დაფარვის ზომა არ უნდა აღემატებოდეს კადრის ფართობის 7%-ს.

მუხლი 65. სოციალური რეკლამა

1. მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ეთერში განთავსების მიზნით წარმოდგენილ სოციალურ რეკლამას უსასყიდლოდ და არადისკრიმინაციულად დაუთმოს 3 საათში არანაკლებ 90 წამისა.

2. საზოგადოებრივი მაუწყებელი, აგრეთვე სათემო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი ვალდებული არიან ეთერში განთავსების მიზნით წარმოდგენილ სოციალურ რეკლამას უსასყიდლოდ და არადისკრიმინაციულად დაუთმონ 1 საათში არანაკლებ 60 წამისა და მათი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს სოციალური რეკლამის სახით მიაწოდონ საზოგადოებას ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტებისა და მნიშვნელოვანი საარჩევნო პროცედურების შესახებ. ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი და შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- ა) საარჩევნო უბნების მისამართები;
- ბ) არჩევნების თარიღი;
- გ) საარჩევნო საპროცედურო უფლებები და მოვალეობები.

მუხლი 66. წინასაარჩევნო რეკლამა

1. საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი, აგრეთვე მაუწყებლობის სფეროში

სხვა ლიცენზიის მფლობელი, რომლებიც საკუთარ ეთერში განათავსებენ წინასაარჩევნო რეკლამას, ვალდებული არიან მათი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს უსასყიდლოდ და არადისკრიმინაციულად, მაგრამ 3 საათში არა უმეტეს 90 წამისა განათავსონ ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მიერ წარმოდგენილი წინასაარჩევნო რეკლამა.

2. საზოგადოებრივი მაუწყებელი, აგრეთვე სათემო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი, რომლებიც საკუთარ ეთერში განათავსებენ წინასაარჩევნო რეკლამას, ვალდებული არიან მათი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს უსასყიდლოდ და არადისკრიმინაციულად, მაგრამ 1 საათში არა უმეტეს 60 წამისა განათავსონ ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მიერ წარმოდგენილი წინასაარჩევნო რეკლამა.

მუხლი 67. სპონსორობის დაუშვებლობა

1. ადმინისტრაციული ორგანო, ადმინისტრაციული ორგანოს წევრი ან მოხელე, პოლიტიკური პარტია, პოლიტიკური პარტიის ლიდერი ან თანამდებობის პირი, პოლიტიკურ პარტიათა კოალიცია ან ბლოკი, სხვა საარჩევნო სუბიექტი არ შეიძლება იყოს პროგრამის სპონსორი.

2. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის ძირითადი საქმიანობაა ისეთი საქონლის წარმოება ან მომსახურების მიწოდება, რომლის რეკლამირებაც აკრძალულია „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონით, არ შეიძლება იყოს პროგრამის სპონსორი.

მუხლი 68. სპონსორის მიერ დაფინანსებული პროგრამის იდენტიფიცირება
სპონსორის მიერ ნაწილობრივ ან მთლიანად დაფინანსებულ პროგრამაში სპონსორზე ნათლად მიეთითება პროგრამის დასაწყისში ან/და დასასრულს.

მუხლი 69. პროგრამის შინაარსსა და ხანგრძლივობაზე სპონსორისა და რეკლამის მიმწოდებლის ზეგავლენის აკრძალვა

1. სპონსორს ან რეკლამის მიმწოდებელს ეკრძალება გავლენა მოახდინოს მის მიერ დაფინანსებული პროგრამის შინაარსსა და ხანგრძლივობაზე, ან ჩაერიოს მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელის სარედაქციო დამოუკიდებლობაში.

2. იკრძალება შემდეგი სახის პროგრამების სპონსორობა:

ა) ახალი ამბების პროგრამები (გარდა სპორტული მიმოხილვისა და ამინდის პროგნოზისა, თუ ისინი ცალკე პროგრამის სახით გადაიცემა);

ბ) რეპორტაჟები სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე;

გ) პროგრამები მომხმარებელთა უფლებების შესახებ, საარჩევნო ან საარჩევნო კამპანიასთან პირდაპირ დაკავშირებული პროგრამები.

თავი IX.

ანგარიშვალდებულება და სანქციები

მუხლი 70. ანგარიშვალდებულება

1. მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს მის მიერ გადაცემული პროგრამების, რეკლამისა და სპონსორების შესახებ ინფორმაციის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან და სალიცენზიო პირობებთან. (29.12.2006 №4319)
2. ლიცენზიის მფლობელის და საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ზედამხედველობასა და კონტროლს ახორციელებს მხოლოდ კომისია, გარდა სავადასახადო და სამართალდამცავი ორგანოების მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ზედამხედველობისა და კონტროლისა.
3. ლიცენზიის მფლობელი არა უგვიანეს ყოველი წლის 1 მაისისა კომისიას წარუდგენს გასული წლის საქმიანობის ანგარიშს საქართველოს კანონმდებლობის, სალიცენზიო პირობებისა და ქვეყის კოდექსის მოთხოვნათა შესრულების, მიმდინარე წლის საქმიანობის გეგმისა და დაფინანსების წყაროების შესახებ. ანგარიშს უნდა დაერთოს აუდიტის დასკვნა.
4. კომისია ადგენს ანგარიშგების ფორმებს.
5. კომისიას უფლება აქვს ლიცენზიის მფლობელისაგან გამოითხოვოს ინფორმაცია მის მიერ საქართველოს კანონმდებლობის, სალიცენზიო პირობებისა და ქვეყის კოდექსის მოთხოვნათა შესრულების შესახებ. კომისია უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა და სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანქციები. (29.12.2006 №4319)
6. კომისიას უფლება აქვს საზოგადოებრივი მაუწყებლისაგან გამოითხოვოს ინფორმაცია მის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და ქვეყის კოდექსის მოთხოვნათა შესრულების შესახებ, რომელთა დარღვევის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია მის მიმართ გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანქციები.
7. ლიცენზიის მფლობელმა და საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მოთხოვნილი ინფორმაცია კომისიას უნდა წარუდგინონ მოთხოვნიდან 15 დღის ვადაში.

მუხლი 71. სანქციები

1. ლიცენზიის მფლობელის ან/და საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ან კომისიის გადაწყვეტილების შეუსრულებლობის, აგრეთვე ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია ლიცენზიის მფლობელი ან/და საზოგადოებრივი მაუწყებელი წერილობით გააფრთხილოს. (29.12.2006 №4319)
2. კომისია უფლებამოსილია ლიცენზიის მფლობელს ან/და საზოგადოებრივ მაუწყებელს დააკისროს ჯარიმა მის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში აღმოუჩხვრელობისათვის. ან ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული

დარღვევისათვის გაფრთხილების გამოყენებიდან 1 წლის განმავლობაში მის მიერ ახალი დარღვევის ჩადენის შემთხვევაში. (28.12.2005 №2565)

3. მხოლოდ კომისიას აქვს ლიცენზიის მოქმედების შეჩერების ან ლიცენზიის გაუქმების უფლება. ლიცენზიის მოქმედების შეჩერების ან ლიცენზიის გაუქმების შესახებ კომისია იღებს გადაწყვეტილებას.

მუხლი 72. ჯარიმის ოდენობა და გადახდის წესი

1. ამ კანონის 71-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია ლიცენზიის მფლობელს ან/და საზოგადოებრივ მაუწყებელს დააკისროს ჯარიმა მისი წლიური შემოსავლის 0,5%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 2500 ლარისა.

2. ლიცენზიის მფლობელის ან/და საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ დაჯარიმებიდან 1 წლის განმავლობაში ახალი დარღვევის ჩადენის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია მას დააკისროს ჯარიმა მისი წლიური შემოსავლის 3%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 5000 ლარისა, ან დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ლიცენზიის მოქმედების შეჩერების მიზნით.

3. დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილება მოტივებისა და საფუძვლების მითითებით, გადაწყვეტილების მიღებიდან 7 დღის ვადაში წერილობით ეცნობება ლიცენზიის მფლობელს ან/და საზოგადოებრივ მაუწყებელს.

4. ჯარიმა გადახდილი უნდა იქნეს დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების ლიცენზიის მფლობელისათვის ან/და საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში.

5. ლიცენზიის მფლობელის ან/და საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების შესრულებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულებას უზრუნველყოფს საქართველოს ოუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტი. ჯარიმის თანხა ჩაირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

მუხლი 73. ლიცენზიის მოქმედების შეჩერება

1. ლიცენზიის მოქმედების შეჩერება ნიშნავს ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის აკრძალვას ლიცენზიის მოქმედების განახლებამდე.

2. კომისია განიხილავს ლიცენზიის მოქმედების შეჩერების საკითხს, თუ ლიცენზიის მფლობელი არღვევს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს ან სალიცენზიო პირობებს და მის მიმართ ამ დარღვევისათვის სანქციის სახით უკვე გამოყენებულა წერილობითი გაფრთხილება და ჯარიმა. (29.12.2006 №4319)

3. ლიცენზიის მოქმედების შეჩერება ხდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის აღმოფხვრამდე, მაგრამ ლიცენზიის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან არა უმეტეს 3 თვისა.

4. ლიცენზიის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება მოტივებისა და საფუძვლების მითითებით, გადაწყვეტილების მიღებიდან 7 დღის ვადაში წერილობით ეცნობება ლიცენზიის მფლობელს.

5. იმ დარღვევის აღმოფხვრის შემდეგ, რომლისთვისაც მოხდა ლიცენზიის მოქმედების

შეჩერება, ლიცენზიის მოქმედება განახლდება კომისიის გადაწყვეტილებით, ლიცენზიის მფლობელის განცხადების საფუძველზე.

მუხლი 74. ლიცენზიის გაუქმება

1. ლიცენზიის გაუქმების საფუძველია:

- ა) ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნა;
 - ბ) ლიცენზიის მფლობელის გარდაცვალება (ლიკვიდაცია);
 - გ) ლიცენზიის მფლობელის მიერ ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობის შეწყვეტა წელიწადში ზედიზედ 3 თვეზე მეტი ვადით ან ერთი წლის 120 დღის განმავლობაში;
 - დ) ლიცენზიის მოქმედების შეჩერების ვადის გასვლა, თუ ლიცენზიის მფლობელი ამ ვადაში არ აღმოუხერხის კომისიის მიერ მითითებულ დარღვევას;
 - ე) ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობის დაუწყებლობა კომისიის გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში.
2. მხოლოდ კომისიას აქვს ლიცენზიის გაუქმების უფლება.
3. ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვის შემთხვევაში ლიცენზია გაუქმებულია ითვლება.
4. ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება ლიცენზიის მფლობელს წერილობით ეცნობება 7 სამუშაო დღის ვადაში.

თავი X.

რადიოსიხშირეებით სარგებლობა (28.12.2005 №2565)

მუხლი 75. რადიოსიხშირეებით სარგებლობა

- 1. სათეთრო მაუწყებლობის განმახორციელებელ კერძო ან/და სათემო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელს სამაუწყებლო სიხშირეები (არხები) განესაზღვრება კერძო ან/და სათემო მაუწყებლობის ლიცენზიით.
- 2. კომისია საზოგადოებრივ მაუწყებელს, აგრეთვე სათეთრო მაუწყებლობის განმახორციელებელ კერძო ან/და სათემო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელს ანიჭებს რადიოსიხშირეებს და მხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით გამოყენებისათვის, სალიცენზიო პირობების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. ლიცენზიის მოქმედების შეჩერებისა და განახლების დროს შესაბამისად უნდა შეჩერდეს და განახლდეს კომისიის მიერ ლიცენზიის მოქმედების ვადით მინიჭებული რადიოსიხშირეების გამოყენებაც.
- 3. კერძო ან/და სათემო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელები, რომლებიც მაუწყებლობენ საკაბელო ქსელით, და მხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით გამოყენებისათვის რადიოსიხშირეებით სარგებლობის უფლებას საჭიროების შემთხვევაში მოიპოვებენ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული აუქციონის წესით, ლიცენზიის საფუძველზე.
- 4. ულიცენზიოდ ან მინიჭების გარეშე რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობა აკრძალულია და ისჯება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად.

თავი XI.

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 76. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

1. ამ კანონის ამოქმედების დროისათვის დანიშნული კომისიის წევრები ინარჩუნებენ უფლებამოსილებას იმ ვადით, რომლითაც ისინი არიან დანიშნულნი. კომისიის დანარჩენი წევრები ინიშნებიან ამ კანონით დადგენილი წესით, ამ კანონის ამოქმედებისთანავე.
2. კომისიამ 2007 წლის 1 ივლისამდე მიიღოს ქვეყნის კოდექსი. (11.04.2007 N-4611)
3. ამოღებულია (29.12.2006 N-4319)
4. კომისიამ ამ კანონის ამოქმედებიდან 2 წლის განმავლობაში უზრუნველყოს საკუთარი ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.
5. ამ კანონის ამოქმედებიდან საზოგადოებრივი მუწყების სამეურვეო საბჭოს წევრების დანიშნამდე მოხდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს ტელევიზია და რადიომუწყებლობა“ რეორგანიზაცია საზოგადოებრივ მუწყებად. საქართველოს მთავრობამ ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის განმავლობაში უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს ტელევიზია და რადიომუწყებლობა“ სარგებლობაში არსებული სახელმწიფო ქონების საზოგადოებრივი მუწყებისათვის საკუთრებაში გადაცემა.
6. საქართველოს მთავრობამ ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის განმავლობაში უზრუნველყოს შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ ბალანსზე არსებული იმ ტექნიკური საშუალებების საზოგადოებრივი მუწყებისათვის საკუთრებაში გადაცემა, რომლებიც უზრუნველყოფს მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს ტელევიზია და რადიომუწყებლობა“ სატელევიზიო და რადიოპროგრამების გავრცელებას.
7. შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრმა“ უზრუნველყოს საზოგადოებრივი მუწყებისა და მუწყებლობის სფეროში ლიცენზიის ყველა მფლობელის არადისკრიმინაციული, თანაბარი, პირდაპირი დაშვება მის ხელთ არსებული ტექნიკური საშუალებისა და მომსახურების თითოეულ თავისუფალ ელემენტზე, ხარვეზე ორიენტირებული, არადისკრიმინაციული ტარიფით. მოცემული პირობების შეუსრულებლობის გამო წარმოქმნილ დავებს განიხილავს კომისია.
8. სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატების თავდაპირველი შერჩევა მოხდეს ამ კანონის პროცედურების დაცვით. ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის განმავლობაში ცხადდება კონკურსი საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე.
9. 2005 წელს საქართველოს პრეზიდენტი ამ კანონის მე-9 მუხლის მე-10 პუნქტისა და 25-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად საქართველოს პარლამენტს წარუდგენს შესაბამისად კომისიის წევრობის არანაკლებ 2 და სამეურვეო საბჭოს წევრობის არანაკლებ 2 კანდიდატურას თითო ვაკანტურ თანამდებობაზე.
- 9¹. ამ კანონის მე-9 მუხლის მე-13 პუნქტისა და 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები არ ვრცელდება 2005 წელს კომისიის წევრობისა და სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატების შერჩევის პროცედურებზე. თუ ამ კანონის მე-9.

25-ე და 26-ე მუხლებისა და 76-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად ვერ მოხერხდა კომისიის წევრებისა და სამეურვეო საბჭოს წევრების ყველა ვაკანტური თანამდებობის შევსება. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია 50 დღის ვადაში წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს კანდიდატურები იმ კანდიდატთა სიიდან, რომლებიც დასახელდნენ და შემოტანილი ქონდათ განაცხადი ამ მუხლის პირველი და მე-8 პუნქტების შესაბამისად გამოცხადებულ კონკურსზე. ამასთანავე, შეიძლება წარდგენილი იქნეს ნებისმიერი კანდიდატი, გარდა იმ პირისა, რომელსაც პირველად წარდგენის დროს პარლამენტში კენჭისყრისას უფრო მეტი მოწინააღმდეგე ჰყავდა. ვიდრე მომხრე. ამ პუნქტის შესაბამისად წარდგენის შემთხვევაში კანდიდატის დანიშვნაზე თანხმობა მიცემულად ჩაითვლება, თუ იგი მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. (20.05.2005 №175)

10. ამ კანონის ამოქმედების შემდეგ დანიშნულ სამეურვეო საბჭოს წევრთა შორის ტარდება წილისყრა. რომლის შედეგადაც განისაზღვრება სამეურვეო საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადა ისე, რომ სამეურვეო საბჭოს შემადგენლობის ერთი მესამედის უფლებამოსილების ვადა იყოს 2 წელი, ერთი მესამედის – 4 წელი და ერთი მესამედისა – 6 წელი.

11. კომისიამ 2006 წლის 1 ივლისამდე მიიღოს დადგენილება ადგილობრივი მუწყებლობის ზონალური დაყოფის შესახებ. (28.12.2005 №2565)

12. კომისიამ ამ კანონის ამოქმედებიდან 1 წლის განმავლობაში განახორციელოს გაკემული ლიცენზიების მოდიფიცირება კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, მათ შორის, მუწყებლების ვალდებულებებთან დაკავშირებით.

13. კომისიამ ამ კანონის ამოქმედებიდან 2 წლის განმავლობაში განახორციელოს იმ ლიცენზიების მოდიფიცირება, რომელთა სამოქმედო ზონა უფრო მცირეა, ვიდრე ადგილობრივი მუწყებლობის ზონალური დაყოფის შესახებ კომისიის დადგენილებით განსაზღვრული სამოქმედო ზონები.

14. ამ კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვა ლიცენზიის ისეთი მოდიფიცირების შესახებ, რომელიც იწვევს სამოქმედო ზონის სიდიდის ცვლილებას, ძალაში შევიდეს ამ კანონის 76-ე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შემდეგ.

15. ამ კანონის 64-ე მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით, მე-8, მე-9 და მე-10 პუნქტებით, 65-ე მუხლის პირველი პუნქტითა და 66-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული რეკლამისა და ტელეშოპინგის განთავსებისა და ხანგრძლივობის ვალდებულებები კერძო მუწყებლობისა და სათემო მუწყებლობის ლიცენზიის მფლობელთა მიმართ ძალაში შევიდეს ამ კანონის ამოქმედებიდან 5 წლის შემდეგ. ამ კანონსა და „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონს შორის წინააღმდეგობის წარმოშობის შემთხვევაში საზოგადოებრივი მუწყებლის მიმართ გამოიყენება ამ კანონის დებულებანი.

16. ამ კანონის ამოქმედებიდან 1 წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტმა უზრუნველყოს „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის ამ კანონთან შესაბამისობა.

17. 2007 წლის 31 დეკემბრამდე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელდეს მუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მქონე, სახელმწიფო წილის მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირების სახელმწიფო წილის პრივატიზებე ან დაიწყოს შესაბამისი იურიდიული პირების ლიკვიდაციის პროცედურები. (29.12.2006 №4319)

18. ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის განმავლობაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოხდეს ტელერადიომუწყებლობის განმხორციელებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების (გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირისა „საქართველოს ტელევიზიბა და რადიომუწყებლობა“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ტელევიზიისა) რეორგანიზაცია კერძო სამართლის იურიდიულ პირებად. ზოლო შემდგომი 6 თვის განმავლობაში – საწესდებო კაპიტალში სახელმწიფო წილის პრივატიზებე.

19. საქართველოს მთავრობამ 2007 წლის 31 დეკემბრამდე მოაშხადოს წინადადებები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ტელევიზიის რეორგანიზაციის თაობაზე. (29.12.2006 №4319)

20. ამ კანონის ამოქმედებიდან 2006 წლის I იანვრამდე საზოგადოებრივი მუწყებლობის დაფინანსებე ზორციელდებე „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

21. 2006 წლის I იანვრიდან ამ კანონის 33-ე მუხლის მე-2 – მე-4 პუნქტების ამოქმედებამდე საზოგადოებრივი მუწყებლობის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი. დაფინანსების ოდენობე განისაზღვრებე მთლიანი შიდა პროდუქტის ლირებულების არანაკლებ 0,15%-ის ოდენობით.

22. ამ კანონის ამოქმედებიდან 5 წლის განმავლობაში ამ კანონის მე-2 მუხლის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტებით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტითა და 58-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მოსახლეობის არანაკლებ 90%-იანი შეზღუდვის ნაცკლად მოქმედებს მოსახლეობის არანაკლებ 70%-იანი შეზღუდვე.

23. ამოღებულია (29.12.2006 №4319)

24. თუ ამ კანონით დადგენილია მუწყებლობის სფეროში ლიცენზიების გაცემისა და სალიცენზიო პირობების შესრულების შემოწმების განხორციელების „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონისაგან განსხვავებული წესი, აგრეთვე პასუხისმგებლობის განსხვავებული ფორმე ან/და ოდენობე, გამოიყენებეს ეს კანონი. (28.12.2005 №2565)

25. კერძო ან/და სათემო მუწყებლობის ლიცენზიის მფლობელები, რომლებიც მუწყებლობენ საკაბელო ქსელით და შიდატექნოლოგიური დანიშნულებით გამოყენებისათვის მინიჭებული აქვთ რადიოსიხშირეები, ინარჩუნებენ ამ რადიოსიხშირეებს შესაბამისი ვადის განმავლობაში. ამ ვადის ამოწურვამდე, შესაბამისი პირის მიერ კომისიისათვის განცხადებით მიმართვის საფუძველზე, კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებე ამ რადიოსიხშირეებით სარგებლობის ლიცენზიის 10 წლის ვადით, აუქციონის გამართვის გარეშე გაცემის შესახებ. ამ შემთხვევაში პირი იხდის სალიცენზიო მოსაკრებელს. (28.12.2005 №2565)

26. კომისიის მიერ ლიცენზიის საფუძველზე გაცემული ან/და კომისიის გადაწყვეტილებით მინიჭებული რადიოსიხშირის შეცვლა ლიცენზიის მოქმედების ან/და კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში შეიძლება ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმებით. იმ შემთხვევაში, თუ რადიოსიხშირის შეცვლით პირს მიადგა ზიანი, მიყენებული ზიანის კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნის საფუძველზე. ხოლო გადახდის პირობები და ფორმა – ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. კომისიის მიერ. (28.12.2005 №2565)

27. ამ კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება მაუწყებლებმა უზრუნველყონ 2007 წლის 1 ივლისამდე (29.12.2006 №4319)

მუხლი 77. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა 33-ე მუხლის მე-2 – მე-4 პუნქტებისა და 71-ე მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ კანონის 33-ე მუხლის მე-2 – მე-4 პუნქტები ამოქმედდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის გადასახდელის განაკვეთისა და მისი გადახდის წესის განმსაზღვრელი საკანონმდებლო აქტის ძალაში შესვლისთანავე.
3. ამ კანონის 71-ე მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,

2004 წლის 23 დეკემბერი.

780 - რს

საქართველოს კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ

2005 წლის 2 ივნისი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის გამოყენების სფერო

ეს კანონი ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით საქმიანობის სამართლებრივ და ეკონომიკურ საფუძვლებს, ამ სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებისა და რეგულირების პრინციპებს, დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის) ფუნქციებს. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და საშუალებების ფლობის, მათი გამოყენებისა და მომსახურების მიწოდების დროს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებსა და მოვალეობებს.

მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) *აბონენტი* – ბოლო მომხმარებელი, რომელსაც ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელთან წინასწარ გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე მიეწოდება საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება;

ბ) *აბონენტის ინდივიდუალური დაშვების სისტემა* – ტექნოლოგიური სისტემა, ტექნიკური საშუალებები და მათთან დაკავშირებული საოპერაციო მართვის პროგრამული უზრუნველყოფის რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს აბონენტის მიერ ინდივიდუალური, კოდირებული ციფრული მაუწყებლობის მომსახურების მიღებას;

გ) *ადგილობრივი დაშვების ქსელი* – ადგილობრივი მომსახურების ზონაში ოპერატორის სადენიანი (ელექტროსადენიანი ან ოპტიკურ-ბოჭკოვანი) საკაბელო-სასაზო მეურნეობა ან უსადენო (ფიქსირებული რადიოსიხშირული ან ღია ოპტიკური) დაშვების ტექნიკური საშუალებები ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების მიზნით, ბოლო მომხმარებლის ფიქსირებულ ტერმინალურ მოწყობილობასა

და საკომუნიკაციო ან გადამცემ სადგურს შორის გამოძახებების ან საინფორმაციო სიგნალების გასატარებლად, ციფრული მაუწყებლობის სიგნალების გადასაცემად; დ) ადგილობრივი მომსახურების ზონა – მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული (ტერიტორიული) სეგმენტი, სადაც ავტორიზებული პირი ახორციელებს ბოლო მომხმარებლისთვის საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას;

ე) ავტორიზაცია – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფის ან/და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების განმახორციელებელი ფიზიკური ან იურიდიული პირის საქმიანობის რეგისტრაცია ამ კანონით დადგენილი ერთიანი წესით;

ვ) ავტორიზებული პირი – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ რეგისტრირებული ნებისმიერი სამეწარმეო პირი, აგრეთვე ნებისმიერი არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით უზრუნველყოფას (ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი) ან/და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას (ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი);

ზ) ავტორიზებული პირების ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება – მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ორი ან მეტი ავტორიზებული პირის ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება, ანუ ისეთი მდგომარეობა, როცა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ჩატარებული ანალიზი ადასტურებს, რომ ბაზრის ამ სეგმენტზე ჩამოყალიბებული კონკურენტურა და კონკურენტის მახასიათებლები მათი შეთანხმებულად მოქმედებისა და ბაზარზე არაკონკურენტული უპირატესობის ერთობლივად მოპოვების შესაძლებლობას იძლევა, მაშინაც კი, თუ მათ შორის არ არსებობს სტრუქტურული ან სხვა სახის, მათ შორის, სახელმეკრულებო ურთიერთობები;

თ) ამონურჯადი რესურსი – რადიოსიხშირული სპექტრი ან/და ნუმერაციის რესურსი;

ი) ამონურჯადი რესურსით სარგებლობის საფასური – რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობისათვის ლიცენზიის მადიხლის მიერ გადასახდელი თანხა, რომლის ოდენობა განისაზღვრება აუქციონის საფუძველზე და რომელიც სრულად ირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში; (28.12.2005 №2564)

კ) არაპარდაპირი დაშვება – ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მიერ საკუთარი ქსელის ელემენტებთან, მათ ფუნქციონალურ რესურსებთან და თავისუფალ სიმძლავრეებთან, ან მათი გამოყენებით განხორციელებულ (ან განხორციელებად) ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეებთან მსურველი ავტორიზებული პირის დაშვება სხვა ტრანზიტული კავშირის (მომსახურების) ოპერატორის ქსელების გავლით;

ლ) აუქციონი – კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოპოვების ფორმა, რომლის დროსაც ლიცენზია მიენჭება აუქციონში გამარჯვებულ მადიხელს;

მ) მომსახურების ბაზრის კონკურენტურა – მომსახურების ბაზრის სტრუქტურული და დინამიკური ფაქტორებისა და მომსახურების კონკრეტულ სახეზე მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედებით ბაზარზე ჩამოყალიბებული მდგომარეობა;

ბ) ბილინგვის ინფორმაცია – მომხმარებლისთვის მიწოდებული მომსახურების ან ოპერატორის ქსელის შესაბამისი ელემენტების დატვირთვის (ტრაფიკის) და მათი საოპერაციო რესურსების გარკვეულ პერიოდში გამოყენებული მოცულობის შესახებ მონაცემები, რომელთაც ოპერატორები აწვდიან ერთმანეთს ან ბოლო მომხმარებელს ანგარიშსწორების ჩატარების მიზნით;

ო) ბოლო მომხმარებელი – მომხმარებელი, რომელიც საკუთარი მომხმარებლისთვის იყენებს ან განზრახული აქვს გამოიყენოს საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით განხორციელებული მომსახურება და მიზნად არ ისახავს მის შემდგომ მიყვანას სხვა მომხმარებლისათვის;

პ) გადაკრება – ლიცენზიის მფლობელის მიერ მის მფლობელობაში არსებული რადიოიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიიდან გამომდინარე უფლებებისა და ვალდებულებების ამ კანონით გათვალისწინებული წესით ნაწილობრივი ან სრული დათმობა სხვა პირის სასარგებლოდ; (28.12.2005 №2564)

ჟ) გამოყენებითი პროგრამული ინტერფეისი – ციფრული მაუწყებლობის ან ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების მომსახურების სახეების სამომხმარებლო რესურსებისა და ციფრული მაუწყებლობის ტექნიკური საშუალებების ფუნქციონალური რესურსების დამაკავშირებელი პროგრამული ინტერფეისი;

რ) დაშვება – ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მიერ განსაზღვრული პირობებით (მათ შორის, ტარიფებით) საკუთარი ქსელის შესაბამისი ელემენტებით, ტექნიკური საშუალებებით, მათი თავისუფალი ფუნქციონალური რესურსებითა და სიმძლავრეებით, ან მათი გამოყენებით განხორციელებული (ან განხორციელებადი) ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეებით სარგებლობის უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს უზრუნველყოფას: ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ქსელის ფიზიკური ინფრასტრუქტურის შესაბამისი ელემენტებითა და ტექნიკური საშუალებებით; ადგილობრივი დაშვების ქსელის ელემენტებით და მათი თავისუფალი რესურსებით, მათ შორის, საკანალიზაციო არხებით და ჭებით, საბონეტო წყვილებით, ანძებით და ბოძებით; თანალოკაციის ფართობით; ფიქსირებული და მობილური საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორების ქსელის შესაბამისი ელემენტებით, მათი თავისუფალი საოპერაციო რესურსებითა და სიმძლავრეებით (მათ შორის, როუმინგის მიწოდებასთან დაკავშირებული რესურსებით); აბონენტის ინდივიდუალური დაშვების სისტემისა და პროგრამების (მომსახურების) ელექტრონული სარჩვევს (მეგზურის) რესურსებით; ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების საოპერაციო პროგრამული მართვისა და მომხმარებელთა საინფორმაციო ბაზების, ნომრების პორტაბელურობასთან (ტრანსლირებასთან) დაკავშირებული რესურსებით, ასევე ვირტუალური ქსელების მომსახურების სახეებით სარგებლობის უზრუნველყოფას;

ს) დაშვების ან/და ურთიერთჩართვის მსურველი – ატორიზებული პირი, რომელიც ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორისაგან მოითხოვს ქსელის შესაბამის ელემენტთან, მათ ფუნქციონალურ რესურსებთან და თავისუფალ სიმძლავრეებთან დაშვებას და/ან ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას;

ტ) დაშვების ან/და ურთიერთჩართვის მიმწოდებელი – ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი, რომელსაც მოეთხოვება მის ქსელთან, სისტემასთან, ქსელის ელემენტებთან, ტექნიკურ საშუალებებთან, მათ თავისუფალ ფუნქ-

ციონალურ რესურსებთან და სიმძლავრეებთან, ან ამ ქსელებითა და საშუალებებით განხორციელებულ (ან განხორციელებად) ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეებთან მსურველი ოპერატორის დაშვება ან/და ურთიერთჩართვის მიწოდება;

უ) *ურთიერთჩართვის წერტილი* – თანალოკაციის ფართობზე განთავსებული წერტილი, სადაც მთავრდება ერთი ოპერატორის და იწყება მეორე ოპერატორის დაშვებასთან ან/და ურთიერთჩართვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა, მათ შორის, ბილინგის ინფორმაციის უზრუნველყოფა;

ფ) *დაშვების ტარიფი* – ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ქსელის ელემენტებთან, მათ რესურსებთან და სიმძლავრეებთან დაშვების საფასური;

ქ) *ეკონომიკური საქმიანობა* – საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული საქმიანობა;

ღ) *ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება* – საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით განხორციელებული მომსახურება, რომელსაც მომსახურების მიმწოდებელი ავტორიზებული პირი განსაზღვრული საფასურის სანაცვლოდ სთავაზობს მსურველ ოპერატორს ან მომხმარებელს;

ყ) *ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელები (ელექტრო-კავშირგაბმულობის ქსელები)* – გამოძახებებისა და სხვადასხვა საინფორმაციო სიგნალების ელექტრონული დაბუშაგების, დამისამართების (კომუტაციის), გატარების და გადაცემის ტექნოლოგიური სისტემა, რომელიც მოიცავს სადენიან (მათ შორის, ოპტიკურ-ბოჭკოვან), თანამგზავრულ, რადიოსიხშირულ ან ოპტიკურ აღჭურვილობას, სხვა ტექნოლოგიურ საშუალებებს და საოპერაციო ტექნიკურ რესურსებს, მათ შორის, ფიქსირებული (არხული და პაკეტური კომუტაციის, მათ შორის, ინტერნეტის) და მობილური კომუნიკაციების, ციფრული მუწყებლობის, საეთერო და საკაბელო ქსელებს. სახელმწიფო თავდაცვის, უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის ორგანოების ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით უზრუნველყოფა ითვალისწინებს ელექტრონული საკომუნიკაციო სპეციალური ქსელების არსებობასაც;

შ) *ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით უზრუნველყოფა* – ქსელების, ტექნიკური საშუალებების ან ქსელის შესაბამისი ელემენტების მონტაჟი, საოპერაციო მართვა, ექსპლუატაცია და მათი გამოყენებით ეკონომიკური საქმიანობა, აგრეთვე ქსელის ამ ელემენტებთან, მათ რესურსებთან და სიმძლავრეებთან მსურველი ავტორიზებული პირების დაშვება;

ჩ) *ელექტრონული საკომუნიკაციო უწყებრივი ქსელი* – ქსელი, რომელიც შექმნილია არაკომერციული მიზნით, ფუნქციონირებს შიდასაწარმოო საჭიროებისათვის და ჩართულია საერთო სარგებლობის ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელში;

ც) *ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი* – ავტორიზებული პირი, რომელსაც განზრახული აქვს ან ახორციელებს საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით ან ქსელის შესაბამისი ელემენტებით უზრუნველყოფას და განსაზღვრული საფასურის სანაცვლოდ მსურველი ავტორიზებული პირის ამ ელემენტებთან, მათ რესურსებთან და სიმძლავრეებთან დაშვებას, ასევე მათი გამოყენებით მომხმარებლებისათვის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას;

ძ) ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებელი – ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი ან მისი ქსელის შესაბამის ელემენტებთან ან რესურსებთან დაშვებული ავტორიზებული პირი, რომელსაც განზრახული აქვს ან ახორციელებს ქსელის ამ ელემენტებით ან რესურსებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას;

წ) ერთობლივი დაშვება – ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის კონკრეტული ელემენტის განცალკევებად ფუნქციონალურ რესურსებთან ან სიმძლავრეებთან ორი ან მეტი მსურველი ავტორიზებული პირის დაშვება;

ჭ) ვერტიკალურად ინტეგრირებული ოპერატორი – ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი, რომელიც მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე თავისი საქმიანობისას ფლობს და იყენებს ქსელის შესაბამისი ელემენტების ან მათი ფუნქციონალური რესურსების სრულ სპექტრს, მნიშვნელოვნად აკონტროლებს კონკრეტული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების მთლიან პროცესს;

ხ) ზღვრული ტარიფი – ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტებთან დაშვების ტარიფის კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით დადგენილი ზედა ზღვარი;

ჯ) თანალოკაცია – ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ან/და ურთიერთჩართვის მიწოდების მიზნით ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მიერ გამოყოფილ სათანადო სიდიდის თანალოკაციის ფართობზე მსურველი ავტორიზებული პირის დაშვება და მისი ტექნიკური საშუალებების განთავსებისა და საოპერაციო მომსახურების განხორციელების უზრუნველყოფა;

კ) ინტერფეისი – ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტების, ტექნიკური საშუალებების, საოპერაციო პროგრამული რესურსებისა და სისტემების ურთიერთმოქმედების ფიზიკური ან ლოგიკური ფორმატი, რომელიც განსაზღვრულია საერთო ფუნქციონალური, ელექტრული, ოპტიკური, კონსტრუქციული და სხვა თავსებადობის მახასიათებლებით, პროტოკოლის მიმართ ერთგვაროვანი მოთხოვნებით;

კ¹) კომისია – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;

კ²) კონკურენციის წინასწარი რეგულირება – კომისიის მიერ ავტორიზებული პირის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ განსაზღვრა და მისთვის ამ კანონით წინასწარ დადგენილი სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრება;

კ³) ლიცენზია – სპეციალური ნებართვა, რომელიც პირს განსაზღვრული ვადით ანიჭებს ამოწურვადი რესურსით სარგებლობის უფლებას; (28.12.2005 №2564)

კ⁴) მიწოდების მხარის ჩანაცვლება – მომსახურების ბაზარზე დამკვიდრებული კონკურენციის პირობებში ავტორიზებული პირების მიერ მომხმარებლისათვის ურთიერთშენაცვლებადი მომსახურების სახეების მიწოდების შესაძლებლობა;

კ⁵) მნიშვნელოვანი წილის შექმნა – ავტორიზებული პირის მიერ სხვა ავტორიზებული პირის საწესდებო კაპიტალში იმ ოდენობის წილის შექმნა, რომელიც განაპირობებს ამ პირის საქმიანობის მნიშვნელოვან კონტროლს (საკონტროლო წილი);

კ⁶) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება – მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებული პირის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება, ანუ ისეთი მდგომარეობა, როცა კომისიის მიერ ჩატარებული ანალიზი ადასტურებს, რომ ავტორიზებულ პირს არ ჰყავს კონკურენტები, დაუკლია მნიშვნელოვანი

კონკურენციისაგან ან მისი კონკურენტული პოზიცია საშუალებას აძლევს მას, ცალმხრივად არსებითი გავლენა მოახდინოს ბაზრის ამ სეგმენტზე და შეზღუდოს კონკურენცია;

3⁷) მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტები – მომსახურების ბაზარზე ჩამოყალიბებული ტარიფების, კონოქტურის, კონკურენციის, მოთხოვნისა და მიწოდების მხარეების ჩანაცვლების ფაქტორების გათვალისწინებით გამოყოფილი მომსახურების სახეები, ურთიერთშენაცვლებადი მომსახურების სახეების ჩათვლით;

3⁸) მომსახურების ბაზრის შესაბამისი გეოგრაფიული საზღვრები – კონკურენციის ერთგვაროვანი პირობებით გამოყოფილი მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული (ტერიტორიული) სეგმენტი;

3⁹) მომხმარებელი – იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც იყენებს ან განზრახული აქვს გამოიყენოს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება;

3¹⁰) მომხმარებლის ტერმინალური მოწყობილობა – აბონენტის ან ბოლო მომხმარებლის მიერ ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მისაღებად განკუთვნილი, მობილური ან ფიქსირებულ მისამართზე განთავსებული ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც არ არის ოპერატორის ქსელის ნაწილი, თუმცა დაკავშირებულია მასთან;

3¹¹) მოთხოვნის მხარის ჩანაცვლება – მომხმარებლის მიერ ურთიერთშენაცვლებადი მომსახურების სახის არჩევის შესაძლებლობა, რომელიც მეტ-ნაკლებად იმავე საფასურით, ხარისხითა და მოცულობით აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს;

3¹²) მომსახურების ბაზრის მჭიდროდ დაკავშირებული სეგმენტები – მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტები, სადაც ერთ ან რამდენიმე ავტორიზებულ პირს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობების ან მათი ქსელების სტრუქტურული კავშირის გამო ბაზრის ერთ სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება შესაძლებელია მათ ცალ-ცალკე ან ურთიერთშეთანხმებულად გამოიყენონ სხვა სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მოსაპოვებლად ან გასაძლიერებლად;

3¹³) ნუმერაციის სისტემა – სიმბოლოების განსაზღვრული კომბინაცია, რომელიც გამოიყენება ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების პროცესში ელექტრონული საკომუნიკაციო ოპერატორის ქსელის ან მომხმარებლის ტერმინალური მოწყობილობის იდენტიფიცირებისათვის;

3¹⁴) ნუმერაციის რესურსი – ნუმერაციის სისტემის საფუძველზე არსებული სიმბოლოების სისტემა, რომელიც გამოიყენება ნუმერაციის მინიჭებისას;

3¹⁵) პირდაპირი დაშვება – ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მიერ საკუთარი ქსელის ელემენტებთან, მათ ფუნქციონალურ რესურსებთან და თავისუფალ სიმძლავრეებთან მსურველი ავტორიზებული პირის უშუალოდ დაშვება;

3¹⁶) რეგულირების საფასური – ამ კანონისა და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დადგენილი საფასური;

3¹⁷) სააბონენტო ნუმერაცია – ნუმერაციის სისტემის საფუძველზე არსებული ციფრული სისტემა აბონენტის ტერმინალური მოწყობილობის იდენტიფიცირებისათვის;

3¹⁸) საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელი – ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ერთიანი სისტემა, რომელიც განკუთვნილია მომხმარებლებისთვის საზოგადოებისათვის შეუზღუდავად ხელმისაწვდომი, საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მისაწოდებლად;

3¹⁹) *საზიანო ხელშეშლა* – ხელშეშლა, რომელიც საზიანო გავლენას ახდენს რადიოდანადგარზე ან/და მომხმარებლის ტერმინალურ მოწყობილობაზე;

3²⁰) *სერტიფიკატი* – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ საჭირო სახით იდენტიფიცირებული მოწყობილობა ან მომსახურება შეესაბამება დადგენილ მითხოვნებს;

3²¹) *სიმძლავრე* – ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტის ფუნქციონალური რესურსის რაოდენობრივი მახასიათებელი;

3²²) *ელექტრონული საკომუნიკაციო სექციალური ქსელები* – საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელისგან ფიზიკურად განცალკევებული ქსელები, რომლებიც შექმნილია არაკომერციული მიზნით, სახელმწიფო თავდაცვის, უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის ღონისძიებათა ჩასატარებლად;

3²³) *სექციური ვალდებულება* – მომსახურების ბაზრის შესაბამის სემენტზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირისათვის კომისიის მიერ დაკისრებული ვალდებულება;

3²⁴) *სტრუქტურული ქვადანაყოფი* – ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის შიდაორგანიზაციული სტრუქტურის ფუნქციური ქვადანაყოფი, რომელიც ავტორიზებული პირის საქმიანობიდან გამომდინარე ასრულებს კონკრეტულ სამუშაოს და ახორციელებს განსაზღვრული სახის ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებას;

3²⁵) *ტექნიკური საშუალებები* – ელექტრონული საკომუნიკაციო გამოძახებებისა და საინფორმაციო სიგნალების ფორმირების, დამუშავების, გატარების, გადაცემის ან მიღების მიზნით გამოყენებული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის აღჭურვილობა და საშუალებები;

3²⁶) *ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპი* – პრინციპი, რომლის მიხედვითაც მარეგულირებელი გადაწყვეტილებების მიღებისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ბოლო მომხმარებლისთვის მიწოდებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეს და არა ამ მომსახურების მისაწოდებლად გამოყენებულ ტექნოლოგიებს;

3²⁷) *ტრანზიტული კავშირის (მომსახურების) ოპერატორი* – პირი, რომელიც ფლობს და საქმიანობს ტრანზიტული გატარების ან გადაცემის ქსელის ელემენტებით და მათი გამოყენებით აერთებს ერთ ან რამდენიმე ადგილობრივი მომსახურების ზონაში მოქმედი სხვადასხვა ოპერატორების ქსელებს, ან ახორციელებს სხვადასხვა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ან ციფრული მაუწყებლობის საინფორმაციო სიგნალების გატარებას ან/და გადაცემას;

3²⁸) *ტრაფიკი* – ოპერატორის ქსელის ელემენტებისა და ტექნიკური საშუალებების ჯამური დატვირთვა დროის ინტერვალში;

3²⁹) *ურთიერთნართვა* – ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ფიზიკური და ლოგიკური კავშირი, რომელსაც იყენებს ერთი ან რამდენიმე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი, რათა ერთი ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მომხმარებელს შესაძლებლობა მიეცეს, დაუკავშირდეს იმავე ან სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მომხმარებელს, ან/და ისარგებლოს სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მომსახურებით, და რომელიც ხორციელდება ოპერატორების მიერ საკუთარი ქსელების შესაბამის ელემენტებთან შეუზღუდავი, სავალდებულო და არადისკრიმინაციული ურთიერთდაშვებით;

კ³⁰) ამოღებულია (28.12.2005 №2564)

კ³¹) ამოღებულია (28.12.2005 №2564)

კ³²) ამოღებულია (28.12.2005 №2564)

კ³³) ურთიერთდამოკიდებულება – ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირებს შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობა, რომელსაც შეუძლია უშუალო გავლენა მოახდინოს მათ შორის გარიგებების პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე. ასეთ განსაკუთრებულ ურთიერთობებს განეკუთვნება, კერძოდ, ურთიერთობები, რომელთა დროსაც: პირები არიან ერთი საწარმოს დამფუძნებლები (მონაწილეები), თუ მათი ჯამური წილი არანაკლებ 20 პროცენტია; ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირის საწარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი არანაკლებ 20 პროცენტია; ერთი პირი თანამდებობრივი მდგომარეობით ექვემდებარება მეორე პირს ან ერთ პირს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მეორე პირი; პირები არიან ფილიალი საწარმოები ან პირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მესამე პირი; პირები ერთად, პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ მესამე პირს; პირები ნათესავეები არიან (ამ კანონის მიზნებისთვის ნათესავეებად ითვლებიან: ოჯახის წევრები, პირდაპირი აღმავალი და დამავალი შტოს ნათესავეები, გერი, და და ძმა, აგრეთვე მშობლის და შვილის გერები);

კ³⁴) ურთიერთშენაცვლებადი მომსახურების სახეები – სახის, ხარისხის, საფასურის და სხვა მახასიათებლების მიხედვით ერთგვაროვანი მომსახურების სახეები, რომლებიც ერთობლიობაში იმდენად მსგავსია, რომ მომხმარებელი ცვლის ან მზადაა შეცვალოს ერთი მომსახურება მეორეთი;

კ³⁵) ურთიერთოპერაბელურობა – ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და სისტემების ინტეგრაციის, აგრეთვე ტექნიკური, საოპერაციო და ფუნქციონალური მახასიათებლების ურთიერთთავსებადობა და ურთიერთმართვადობა;

კ³⁶) ფართოფორმატიანი ციფრული სატელემაუწყებლო მომსახურება – ტელემაუწყებლობა, რომლის პროგრამების წარმოება, რედაქტირება და მომხმარებლისთვის მიწოდება უზრუნველყოფილია ფართოეკრანიან (16/9) ფორმატში;

კ³⁷) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტები – ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შემადგენელი, ფუნქციონალურად განცალკევებული ტექნიკური ან ტექნოლოგიური საშუალებები, მათი საოპერაციო რესურსები და სიმძლავრეები, რომლებიც თავიანთი მახასიათებლებით უზრუნველყოფს გამომსახურებისა და საინფორმაციო სივრცის გატარებას, გადაცემას, დამისამართებას (კომუტაციას); ბილინგის ინფორმაციის შეგროვებას; ბოლო მომხმარებლისათვის მიწოდებული მომსახურების პირობების მართვას და ურთიერთოპერაბელურობას; სააბონენტო ნომრების პორტაბელურობას; ოპერატორის საოპერაციო, საცნობარო, დამხმარე და საგანგებო მომსახურებას; ქსელების სინქრონიზაციასა და სივრცულიზაციას; გამოძახებებთან დაკავშირებულ მონაცემთა ბაზებში შეღწევას; მულტიმედიას; ციფრული მაუწყებლობის მომსახურების მიწოდებას; კონვერსიას, კოდირებას, უსაფრთხოების დაცვას; პეიჯინგს; ციფრული მონაცემების ტელედამუშავებას და ინტერნეტის ან სხვა პროტოკოლის გამოყენებით გადაცემას და სხვა;

კ³⁸) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტები – ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით უზრუნველყოფასთან ან ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებასთან უშუალოდ დაკავშირებული ქსელის ელემენტები ან ტექნიკური საშუალებები და მათი ფუნქციონალური რესურსები,

მათ შორის, ციფრული მაუწყებლობის მიწოდებასთან დაკავშირებული აბონენტის ინდივიდუალური დაშვების სისტემის რესურსები;

კ³⁹) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის თავისუფალი ელემენტი – ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტი, მისი ფუნქციონალური რესურსი ან სიმძლავრე, რომელიც არ არის დატვირთული და რომლის გამოყენებაც ტექნიკური და საოპერაციო მოთხოვნების დაცვით შესაძლებელია ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მისაწოდებლად;

კ⁴⁰) შერწყმა – „შეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ორი ავტორიზებული პირის გაერთიანება ერთ სამეწარმეო პირად, რომელიც თავდაპირველი ავტორიზებული პირების სამართალმემკვიდრეა;

კ⁴¹) ციფრული ტელემაუწყებლობის აღჭურვილობა – ბოლო მომხმარებლის ტერმინალური მოწყობილობა, რომელიც მიერთებულია სატელევიზიო მიმღებთან ან ინტეგრირებულია მასში და განკუთვნილია ციფრული, ინტერაქტიული ტელემაუწყებლობის მომსახურების მისაღებად.

კ⁴²) ლიცენზიის გაუქმება – ლიცენზიის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად ძალადაკარგულად გამოცხადება; (28.12.2005 №2564)

კ⁴³) პირი – ნებისმიერი სამეწარმეო პირი, აგრეთვე ნებისმიერი არასამეწარმეო იურიდიული პირი. (28.12.2005 №2564)

კ⁴⁴) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობები – ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების საკაბელო, საჰაერო, რადიოსარეგო, თანამგზავრული ხაზების ფიზიკური წრეები და სახაზო ტრაქტები ან/და მათი ტექნოლოგიური სისტემის შემადგენელი დანადგარების, მოწყობილობებისა და ნაგებობების ერთიანი კომპლექსები, რომლებიც გამოიყენება ელექტრონული საკომუნიკაციო გამოძახებისა და საინფორმაციო სიგნალების გატარებისათვის ან/და გადაცემისათვის. (8.12.2006 №3921)

მუხლი 3. საქართველოს კანონმდებლობა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში

1. საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ორგანიზებისა და ურთიერთობების რეგულირების საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები.

2. უცხო ქვეყნის მოქალაქე და იურიდიული პირი, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი სარგებლობენ საქართველოს სამეწარმეო პირისათვის ამ კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობებით, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 4. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის მიზნები და პრინციპები

1. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის მიზანია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურებაზე ფიზიკური და იურიდიული პირების მოთხოვნილებათა უზრუნველყოფა და საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

2. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობა ხორციელდება ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შედგენი ძირითადი პრინციპების შესაბამისად:

- ა) საქმიანობისას და მიღებული შედეგების გამოყენებისას იურიდიულ და ფიზიკურ პირთა თანასწორუფლებიანობა;
- ბ) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით საქმიანობაში მონოპოლიური მდგომარეობის დაუშვებლობა და მომსახურების ბაზრის ლიბერალიზაცია;
- გ) თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარება;
- დ) ავტორიზებული პირებისათვის ექსკლუზიური უფლებამოსილებების მინიჭებისას და ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით საქმიანობისას მათ შორის ექსკლუზიური ხელშეკრულებების დადების დაუშვებლობა;
- ე) თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მართვის გამოცდილების დანერგვის, ფინანსური და მატერიალური რესურსების მოზიდვისა და ეფექტიანად გამოყენების ხელშეწყობა;
- ვ) მომსახურების სახეების გაფართოებისა და ტექნიკური ნორმების შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფა;
- ზ) მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დაცვა;
- თ) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების საერთაშორისო ინტეგრაცია;
- ი) აქტიური საერთაშორისო თანამშრომლობა;
- კ) კომისიის მარეგულირებელი გადაწყვეტილების მიღებისას მაქსიმალური საჯაროობა, არადისკრიმინაციულობა, გამჭვირვალებობა და ტექნოლოგიური ნეიტრალურობა.

მუხლი 5. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ორგანო

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობას არეგულირებს კომისია.

მუხლი 6. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა და წარმართვა

1. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წინადადებათა გათვალისწინებით შეიმუშავებს საქართველოს მთავრობა და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.

2. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს წარმართავს საქართველოს პრეზიდენტი. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცებული სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობა საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონითა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში.

3. კომისია თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას ხელმძღვანელობს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებით.

მუხლი 7. ელექტრონული საკომუნიკაციო სპეციალური ქსელების მართვა და ფლობა

ელექტრონული საკომუნიკაციო სპეციალური ქსელების მართვისა და ფლობის უფლება აქვთ საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ორგანოებს. მათი სტრუქტურა და ორგანიზაციული საქმიანობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 8. ინფორმაციის საიდუმლოების დაცვა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში

1. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით გადაცემული ინფორმაცია ამ მომხმარებლის საიდუმლოა და მისი დაცვა გარანტირებულია საქართველოს კანონმდებლობით. აღნიშნული უფლების შეზღუდვა შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში.
2. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში დასაქმებული ყველა სუბიექტი ვალდებულია დაიცავს გადაცემული ინფორმაციის საიდუმლოება. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროს მუშაკები და სხვა პირები, რომლებიც დაარღვევენ ინფორმაციის საიდუმლოებას, პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. საერთაშორისო თანამშრომლობა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში

1. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, საქართველოს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე.
2. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებში და უცხო ქვეყნების ელექტრონული კომუნიკაციების ადმინისტრაციებთან ურთიერთობისას საქართველოს წარმოადგენს საქართველოს მთავრობა, აგრეთვე კომისია საქართველოს მთავრობის მიერ დელეგირებული კომპეტენციის ფარგლებში.
3. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედ დამოუკიდებელ ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოთა საერთაშორისო გაერთიანებებში საქართველოს წარმოადგენს კომისია. საქართველოს წარმოადგენის უფლებამოსილება კომისიას უნარჩუნდება ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედ იმ საერთაშორისო ორგანიზაციებშიც, რომლებშიც იგი უკვე გაწევრიანებულია.
4. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში უცხო ქვეყნების ელექტრონული კომუნიკაციების ადმინისტრაციებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობისას საქართველოს მთავრობა და კომისია იცავენ საქართველოს ინტერესებს.

თავი II.

კომისია

მუხლი 10. კომისიის სტატუსი, მისი ფორმირებისა და საქმიანობის წესი (S.12.2006 №3921)

1. კომისიის სტატუსი, მისი ფორმირებისა და საქმიანობის წესი, კომისიის თავმჯდომარის უფლებები და მოვალეობები, კომისიის წევრების უფლებამოსილების

კადა. დამოუკიდებლობა და ხელშეუხებლობა. უფლებამოსილების შეწყვეტისა და თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები. კომისიის სამართლებრივი აქტები, აგრეთვე კომისიის წევრებისა და აპარატის თანამშრომლების ინტერესთა კონფლიქტის გარემოებები განისაზღვრება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და კომისიის დებულებით.

2. კომისიის დებულება მტკიცდება კომისიის დადგენილებით.

მუხლი 11. კომისიის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში

1. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კომისია დამოუკიდებლად ახორციელებს ავტორიზებული პირების საქმიანობისა და ლიცენზიის მფლობელების მიერ რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის რეგულირებას, მათ შორის, ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მიღებას, მათი შესრულების მონიტორინგსა და კონტროლს, გამოვლენილი დარღვევებისათვის ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში. ამავე კანონითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი სანქციების დაკისრებას. (28.12.2005 №2564)

2. კომისიის ძირითადი ამოცანებია:

- ა) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფისა და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება, შენარჩუნება და განვითარება;
- ბ) ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებელი ავტორიზებული პირების მიერ ბოლო მომხმარებლისათვის (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის) ხარისხიანი მომსახურების მიწოდების, მათთვის მომსახურების ფართო არჩევანისა და სატარიფო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- გ) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და საშუალებების მფლობელი ავტორიზებული პირების მიერ ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვაში ეფექტიანი ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა.

3. კომისიის ძირითადი ფუნქციებია:

- ა) ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ავტორიზაცია;
- ბ) ამონურავადი რესურსის მართვა და ეფექტიანად გამოყენების უზრუნველყოფა. რადიოსიხშირული სპექტრის ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოპოვების გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული პირობებისა და წესების დადგენა, შესაბამისი ლიცენზიების გაცემა და გაუქმება;
- გ) მომსახურების ბაზრის შესაბამისი სექტორების კვლევისა და ანალიზის ჩატარება, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების განსაზღვრა, კონკურენტის უზრუნველყოფის მიზნით ამ კანონით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრება და მათ შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი;
- დ) ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების სერტიფიცირების, სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიური მომსახურების უზრუნველყოფა რადიოდანადგარებისა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალური მოწყობილობების სერტიფიცირების რეგლამენტის შესაბამისად;
- ე) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტებთან დაშვების ან/და ურთიერთმართვის ტექნიკურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება;

- ვ) ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის განმახორციელებელ ავტორიზებულ პირთა შორის, აგრეთვე მათსა და მომხმარებლებს შორის წარმოშობილი დავების გადაწყვეტა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში;
- ზ) ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ავტორიზებისა და რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის პირობების დაცვაზე ზედამხედველობა და მათი დარღვევისას კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება;
- თ) საზოგადოებასთან ღია, საჯარო და გამჭვირვალე ურთიერთობა;
- ი) რადიოელექტრონული საშუალებების ელექტრომაგნიტური თავსებადობისა და მისი საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის ღონისძიებათა კოორდინაცია;
- კ) ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წარმოდგენა და მისი ინტერესების დაცვა საკუთარი უფლებამოსილებისა და საქართველოს მთავრობის მიერ დელეგირებული კომპეტენციის ფარგლებში;
- ლ) სამოყვარულო რადიოკავშირის დამყარებისა და სამოყვარულო რადიოსადგურების გამოყენების წესების განსაზღვრა;
- მ) სხვა ფუნქციები, რომლებიც გამომდინარეობს ამ კანონიდან და კომისიის ამოცანებიდან.
- ნ) რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელთა შორის წარმოშობილი დავების გადაწყვეტა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში. ამ კანონის VI თავით დადგენილი წესებით. (28.12.2005 №2564)

მუხლი 12. კომისიის ბიუჯეტი

1. კომისია ყოველი წლის I დეკემბრისათვის აზღავრებს და აქვეყნებს მოძველებული წლის ბიუჯეტს, რომელშიც ასახულია კომისიის ყველა ხარჯი, მათ შორის, კომისიისა და მისი აპარატის სახელფასო უზრუნველყოფის ხარჯები, აგრეთვე შემოსავალი. 1¹. კომისია უფლებამოსილია კომისიის ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯების დაფარვის შემდეგ დარჩენილი საბიუჯეტო სახსრები, არსებობის შემთხვევაში, მიმართოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში. (28.12.2005 №2564)
2. კომისიის ბიუჯეტს ქმნის რეგულირების საფასური, ამ კანონით, „მაუწყებლობის შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებული დაფინანსების სხვა წყაროები.
3. რეგულირების საფასური არის კომისიის ბიუჯეტის შექმნის ერთ-ერთი ძირითადი წყარო, დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობით კომისიისათვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებასთან და არ წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავალს. რეგულირების ყოველწლიური საფასურიდან იფარება კომისიის ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯები. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში რეგულირების საფასურის გადახდულები არიან ავტორიზებული პირები, ხოლო მაუწყებლობის სფეროში – „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირები.
4. რეგულირების საფასურის ოდენობა ავტორიზებული პირის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიან ღირებულებასა (დღგ-ის გარეშე) და იმავე საანგარიშო თვეში სხვა ავტორიზებული პირების მიერ გაწეულ დაშვების

ან/და ურთიერთმართვის მომსახურებაზე აღიარებულ გადასახდელებს შორის სხვაობის 1 პროცენტი. ავტორიზებული პირები ვალდებული არიან, ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა, კომისიის მიერ განსაზღვრული ფორმით წარუდგინონ კომისიას ინფორმაცია გაანგარიშებული რეგულირების საფასურის თაობაზე და ჩარიცხონ კომისიის ანგარიშზე რეგულირების საფასური. (28.12.2005 №2564)

(4. რეგულირების საფასურის ოდენობა ავტორიზებული პირის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიან ღირებულებასა (დღგ-ის გარეშე) და იმავე საანგარიშო თვეში სხვა ავტორიზებული პირების მიერ გაწეულ დაშვების ან/და ურთიერთმართვის მომსახურებაზე აღიარებულ გადასახდელებს შორის სხვაობის 0,5 პროცენტი. ავტორიზებული პირები ვალდებული არიან ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა, კომისიის მიერ განსაზღვრული ფორმით წარუდგინონ კომისიას ინფორმაცია გაანგარიშებული რეგულირების საფასურის თაობაზე და ჩარიცხონ კომისიის ანგარიშზე რეგულირების საფასური. (5.06.2007 №4867 ძალაშია 2008 წლის 1 იანვრიდან).

მუხლი 13. კომისიის ანგარიში

1. კომისია ყოველწლიურად ამზადებს თავისი საქმიანობის ანგარიშს და ატარებს თავისი ხარჯებისა და საბუღალტრო ანგარიშების ფინანსურ აუდიტს მოქმედი წესების შესაბამისად. საქართველოს პარლამენტს უფლება აქვს გადაწყვიტოს კომისიის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულების აუდიტის ჩატარება არა უშუაღეს წელიწადში ერთხელ. ასეთ შემთხვევაში საქართველოს პარლამენტი ტენდერის საფუძველზე შეარჩევს საერთაშორისოდ აღიარებულ აუდიტორს. სატენდერო კომისიის შემადგენლობას საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. ამ მუხლით გათვალისწინებული ფინანსური საქმიანობის შესასწავლად შერჩეული აუდიტორის საკომპენსაციო სახსრებს გაიღებს კომისია.
2. კომისია არა უგვიანეს ყოველი წლის 1 ივნისისა საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს და აქვეყნებს გასული წლის საქმიანობის ანგარიშს და ფინანსური აუდიტის შედეგებს.
3. საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრს, საქართველოს მთავრობას უფლება აქვთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოითხოვონ და მიიღონ ნებისმიერი ინფორმაცია კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

თავი III.

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ავტორიზაცია, ავტორიზებულ პირთა ზომადი უფლებები და ვალდებულებები

მუხლი 14. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის საფუძველები

1. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობა ხორციელდება ამ საქმიანობის ავტორიზაციის საფუძველზე.

2. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ავტორიზაცია ხდებოდა ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპის შესაბამისად.

3. საქმიანობის ავტორიზაცია არ არის საჭირო, თუ ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელები და საშუალებები გამოიყენება:

- ა) ელექტრონული საკომუნიკაციო სპეციალური ქსელების ორგანიზებისათვის;
- ბ) საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ელექტრონული საკომუნიკაციო უწყებრივი ქსელის ორგანიზებისათვის, რომელიც იქმნება არაკომერციული მიზნით საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის შიდასაკომუნიკაციო კავშირი უზრუნველსაყოფად.

მუხლი 15. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ავტორიზაციის განმახორციელებელი ორგანო

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ავტორიზაციას ახორციელებს კომისია, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით:

- ა) ახდენს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის განმახორციელებელ პირთა ავტორიზაციას და აწარმოებს ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრს;
- ბ) აკონტროლებს ავტორიზებული პირების მიერ ელექტრონული კომუნიკაციები სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების, შესრულებას.

მუხლი 16. ავტორიზაციის დეკლარაცია

1. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფის ან/და ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების მიწოდების ავტორიზაციის მსურველი პირი მიმართავს კომისიას დეკლარაციით, რომლის ფორმას ამტკიცებს კომისია.

2. დეკლარაციაში მითითებული უნდა იყოს:

- ა) ინდივიდუალური მეწარმისათვის – სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, საშუალო და საცხოვრებელი ადგილების მისამართები;
 - ბ) იურიდიული პირისათვის – საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი), სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი;
 - გ) საქმიანობის ან/და მომსახურების სახეები. რომლის ავტორიზაციასაც მოითხოვს ინდივიდუალური მეწარმე ან იურიდიული პირი;
 - დ) ქსელის ან/და მომსახურების მოკლე აღწერილობა.
3. დეკლარაციას უნდა დაერთოს ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, აგრეთვე იურიდიული პირის წესდებისა და ფიზიკური პირის საიდენტიფიკაციო შესაბამისი დოკუმენტის ასლი. (28.12.2005 №256-1)

მუხლი 17. ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრი

1. კომისია აწარმოებს ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრს, რომელშიც შეიტანება დეკლარაციის მონაცემები.

2. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, გაეცნოს ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში არსებულ მონაცემებს.

მუხლი 18. ერთიანი ავტორიზაციის წესი

1. კომისია ახორციელებს:

ა) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფის ავტორიზაციას;

ბ) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების მიწოდების ავტორიზაციას.

2. დეკლარაციის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში კომისია ახორციელებს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფის ან/და ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების მიწოდების ავტორიზაციას ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში რეგისტრაციით.

3. თუ დეკლარაციის თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია არასრულყოფილად, კომისია ავტორიზაციის მსურველ პირს გადაწყვეტილებით განუსაზღვრავს დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის 5-დღიან ვადას. ამ ვადაში დოკუმენტაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში ავტორიზაცია არ განხორციელდება. ავტორიზაციის განუხორციელებლობა არ ართმევს პირს უფლებას, განმეორებით მიმართოს კომისიას ავტორიზაციისათვის. თუკი დეკლარაციის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში კომისია ავტორიზაციის მსურველ პირს არ განუსაზღვრავს დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის ვადას, პირი ჩაითვლება ავტორიზებულად. (28.12.2005 №2564)

4. ავტორიზაციიდან 7 სამუშაო დღის ვადაში კომისია გასცემს ავტორიზაციის მოწმობას.

5. თუ ავტორიზებული პირი წყვეტს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფას ან/და ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების მიწოდებას, ან განზრახული აქვს საქმიანობის მოდიფიცირება, იგი ვალდებულია 7 სამუშაო დღის ვადაში შეატყობინოს კომისიას ამის თაობაზე. ავტორიზაციის შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე ავტორიზებული საქმიანობის მოდიფიცირების შესახებ მონაცემები შეიტანება ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში.

6. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ავტორიზაცია ხორციელდება განუსაზღვრელი ვადით.

7. პირს უფლება აქვს დაიწყოს საქმიანობა ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში შეტანის დღიდან.

მუხლი 19. ავტორიზებულ პირთა ზოგადი უფლებები და ვალდებულებები

1. ავტორიზებული პირი უფლებამოსილია:

ა) საერთო ხარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორს მოსთხოვოს მისი ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ან/და ურთიერთ-ჩართვის მიწოდება;

ბ) თავისი საქმიანობისას, ამ კანონით დადგენილი წესით ისარგებლოს ამონურავადი რესურსით და დაადგინოს საკუთარი ქსელის ელემენტებთან დაშვების და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ტარიფები;

გ) ამ კანონით დადგენილი წესით, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვ პირებს რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიიდან გამოზიდნარე უფლება-მოვალეობები;

დ) ამოღებულია (28.12.2005 №2564)

ე) კომისიის სამართლებრივი აქტი გაასაჩივროს სასამართლოში.

2. ავტორიზებული პირი ვალდებულია:

ა) სრულად მიაწოდოს კომისიას ამ კანონითა და კომისიის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით მოთხოვნილი ინფორმაცია საკუთარი საქმიანობის თაობაზე, მათ შორის, ფინანსურ-ეკონომიკური დოკუმენტაცია, მისი კონფიდენციალობის მიუხედავად. კომისია უნდა დაიცავს კონფიდენციალობა მიწოდებული ინფორმაციისა, რომელიც ითვლება კომერციულ ან პირად საიდუმლოებად საქართველოს ზოგადი აღმინისტრაციული კოდექსის თანახმად. განზოგადებული ინფორმაცია მომსახურების ბაზრის შესახებ, ასევე მონაცემები აბონენტთა რაოდენობის, ტრაფიკის, მიღებული შემოსავლების და გაწეული ხარჯების შესახებ არ შეიძლება იყოს კონფიდენციალური. ავტორიზებული პირის მიერ არასწორი ან არასრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება ითვლება ინფორმაციის მიწოდებლობად;

ბ) შეასრულოს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის, კომისიის დადგენილებები და გადაწყვეტილებები;

გ) თავისი საქმიანობის ან/და მომსახურების მოდიფიცირების, აგრეთვე მის მიერ წარმოდგენილ დეკლარაციაში სხვა სახის ცვლილებების თაობაზე 7 სამუშაო დღის ვადაში შეატყობინოს კომისიას, რომელიც აღნიშნულ ცვლილებებს ამ კანონით დადგენილ ვადაში და განსაზღვრული წესით ატარებს რეგისტრაციაში ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში;

დ) მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს საკუთარი ქსელის შესაბამის თავისუფალ ელემენტებთან და სიმძლავრეებთან მსურველი ავტორიზებული პირის შეუზღუდავი დაშვება;

ე) შეინარჩუნოს ქსელის ინტეგრაცია და დაცულობა;

ვ) არ დაუშვას ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით არასანქცირებული სარგებლობა;

ზ) უზრუნველყოს მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების დაცვა;

თ) უზრუნველყოს გამოყოფილი ნუმერაციის რესურსის შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა ყველა ბოლო მომხმარებლისათვის, ამ კანონით დადგენილი პირობების დაცვით;

ი) უზრუნველყოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით სარგებლობისას მომხმარებლის უსაფრთხოების წესების დაცვა;

კ) უზრუნველყოს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობისას ელექტრომაგნიტური თავსებადობა და ხელშეშლებისა და მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა;

ლ) გადაიხადოს რეგულირების საფასური, ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასური და სალიცენზიო მოსაკრებელი;

მ) ამ კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემების შეცვლის შემთხვევაში კომისიას წერილობით აცნობოს ამის შესახებ და ცვლილებების რეგისტრაციიდან 7 სამუშაო დღის ვადაში წარუდგინოს სათანადო დოკუმენტები.

3. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორმა, რომელიც ადგილობრივი მომსახურების ზონაში საბონენტო ნუმერაციის რესურსის გამოყენებით ახორციელებს ბოლო მომხმარებლების მომსახურებას, უნდა უზრუნველყოს საკუთარი ქსელის შესაბამის ელემენტებთან შეუზღუდავი და არადისკრიმინაციული დაშვებით სხვა მსურველი ოპერატორებისათვის და ელექტრონული საკომუნიკაციო უწყებრივი ქსელის მფლობელი პირებისათვის ურთიერთჩართვის პირდაპირი ან არაპირდაპირი მიწოდება. დაუშვებელია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორებს შორის მოქმედი ურთიერთჩართვის შეწყვეტა. ურთიერთჩართული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მიერ მოქმედი ურთიერთჩართვის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების მეორე მხარე უფლებამოსილია ამ პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად შეაჩეროს მოქმედი ურთიერთჩართვა მხოლოდ კომისიის თანხმობით და მის მიერ განსაზღვრული ვადითა და პირობებით. (8.12.2006 №3921)

თავი IV.

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კონსერვანტუნარიანი ბარემოს ჩამოყალიბება

მუხლი 20. კონკურენციის რეგულირების მიზნები და კომისიის ამოცანები

1. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კონკურენციის რეგულირების მიზნებია:

- ა) ავტორიზებული პირების საქმიანობისას თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა და ეფექტიანი კონკურენციის წახალისება;
- ბ) ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებსა და საშუალებებში ინვესტიციების წახალისება და ტექნოლოგიური ინოვაციების ხელშეწყობა;
- გ) რამდენიმე ავტორიზებული პირის ხელში საბაზრო ძალაუფლების ზედმეტად კონცენტრაციის თავიდან აცილება;
- დ) ავტორიზებული პირების საქმიანობის მარეგულირებელ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული რისკების მართვის გამჭვირვალე სტრუქტურის უზრუნველყოფა;
- ე) მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების საქმიანობის, შერწყმისა და წილის შეძენის დროს გამჭვირვალე, ობიექტური და ეფექტიანი მარეგულირებელი რეჟიმის არსებობა.

2. კომისიის ამოცანებია:

- ა) ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ეფექტიანი კონკურენციის ხელშეწყობი პირობების ჩამოყალიბება;
- ბ) ავტორიზებული პირების დისკრიმინაციის დაუშვებლობა და მათი თანასწორუფლებიანობა; მსურველი ავტორიზებული პირების მოთხოვნით ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მიერ საკუთარი ქსელის შესაბამის ელემენტებთან, მათ თავისუფალ ფუნქციონალურ რესურსებთან და სიმძლავრებთან არადისკრიმინაციული დაშვება ან/და ურთიერთჩართვა;
- გ) ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებისას ბოლო მომხმარებლების დისკრიმინაციის დაუშვებლობა, მათი უფლებების დაცვა, მიწოდებული მომსახურების სასწრაფო სუბსიდირების დაუშვებლობა საერთო სარგებლობის ელექტ-

რონულ საკომუნიკაციო ქსელებთან და ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებასთან თანაბარი ხელმისაწვდომობა;

დ) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირთა მიერ იმ სპეციფიკური ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი და კონტროლი, რომლებიც მათ შეიძლება დაეკისროს ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველსაყოფად;

ე) ამოწურვადი რესურსით სარგებლობისას გამჭვირვალე, თანასწორუფლებიანი და კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბების უზრუნველყოფა.

მუხლი 21. კონკურენციის რეგულირება, მომსახურების ბაზრის კვლევისა და ანალიზის პრინციპები

1. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კონკურენციის რეგულირება ხორციელდება კომისიის მიერ განსაზღვრული მომსახურების ბაზრის შესაბამისი და მჭიდროდ დაკავშირებული სეგმენტების, ბაზრის შესაბამისი გეოგრაფიული საზღვრების მიხედვით.

2. მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტებს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეების და გეოგრაფიული საზღვრების კრიტერიუმების მიხედვით კომისია განსაზღვრავს წინასწარი რეგულირების მიზნით.

3. მომსახურების ბაზრის კვლევას და ანალიზს, რომელიც ხორციელდება ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების განსაზღვრის მიზნით, კომისია ატარებს ბაზრის კონკურენტუნარიანობისა და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების განსაზღვრის მეთოდოლოგიის და პროცედურების საფუძველზე, რომლებიც მტკიცდება კომისიის დადგენილებით.

4. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის რეგულირების უზრუნველყოფა, მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტებისა და ამ სეგმენტებზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირთა განსაზღვრის კრიტერიუმების შესაბამისად, ხორციელდება ობიექტურობის, ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპის, ფუნქციონალური ეკვივალენტურობის (ფუნქციონალური კრიტერიუმების ერთგვაროვანი გამოყენების), მინიმალური საჭირო რეგულირების, პროპორციულად თანაზომადი სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების, ეფექტიანი კონკურენციის წახალისების, გამჭვირვალების და არადისკრიმინაციულობის პრინციპების გათვალისწინებით.

5. მომსახურების ბაზრის კვლევისა და ანალიზის ჩატარების, ავტორიზებული პირების მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ განსაზღვრის, ასევე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირებისათვის სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღებისას კომისია ითვალისწინებს საქართველოს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების პირობებს, მათ შორის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალური შეთანხმებისა „მომსახურებისა და ვაჭრობის შესახებ“.

მუხლი 22. მომსახურების ბაზრის კვლევისა და ანალიზის ეტაპები, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის განსაზღვრის ზოგადი დებულებები

1. მომსახურების ბაზრის კვლევა და ანალიზი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) მომსახურების ბაზრის შესაბამისი და მჭიდროდ დაკავშირებული სეგმენტების, ბაზრის შესაბამისი გეოგრაფიული საზღვრების განსაზღვრა;

ბ) მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების კონკურენტუნარიანობის ანალიზის ჩატარება;

გ) მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების განსაზღვრა.

2. მომსახურების ბაზრის ანალიზის პროცედურები, ასევე ამ თავში აღწერილი სხვა პროცედურები მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

3. მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისას კომისია ითვალისწინებს იმ ობიექტურ კრიტერიუმებს, რომლებიც ერთგვაროვნად განსაზღვრავს მომსახურების ბაზრის შესაბამის და მჭიდროდ დაკავშირებულ სეგმენტებს.

4. მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების კონკურენტუნარიანობის ანალიზის ჩატარებისას კომისია ითვალისწინებს შემდეგ ანალიზურ ფაქტორებს:

ა) მომსახურების ბაზრის შესაბამის და მჭიდროდ დაკავშირებულ სეგმენტებზე ჩამოყალიბებულ კონუნქტურას, კონცენტრაციის დონეს და ავტორიზებული პირების მიერ დაკავებულ ფარდობით საბაზრო წილებს;

ბ) მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მომსახურების სახეებზე მოთხოვნისა და მიწოდების მახასიათებლებს (ელასტიურობა, მოთხოვნის ზრდა და სხვ.), აგრეთვე მოთხოვნისა და მიწოდების მხარეების ჩანაცვლების პირობებს;

გ) პოტენციურად არაკონკურენტული მომსახურების და ურთიერთშენაცვლებადი მომსახურების სახეებზე ჩამოყალიბებული ტარიფების დონეებს და მათ ისტორიულ ცვალებადობას;

დ) მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებული პირების ფინანსურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს, მათი ურთიერთდამოკიდებულების ზარისხს და ავტორიზაციის მსურველი პირების მიერ ამ სეგმენტზე საქმიანობის დაწყების შესაძლებლობებს, ბაზარზე შესვლის დამაბრკოლებელ ინფრასტრუქტურულ და დინამიკურ ფაქტორებს, შესაბამის საინვესტიციო რისკებს;

ე) მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მოქმედი ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორების ვერტიკალურად ინტეგრირებულობის ზარისხს და ხასიათს;

ვ) ამოღებულია (28.12.2005 №2564)

ზ) სხვა დაკავშირებულ მახასიათებლებს, რომლებიც განისაზღვრება კომისიის დადგენილებით.

5. მომსახურების ბაზრის კვლევისა და ანალიზის დაწყების თაობაზე კომისია იღებს გადაწყვეტილებას:

ა) ავტორიზებული პირის მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც ასაბუთებს მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის არაკონკურენტულობას, მისი კვლევისა და ანალიზის დაწყების საჭიროებას, და ამ დასაბუთებას ეთანხმება კომისია;

ბ) სახელმწიფო ორგანოების მოთხოვნით, რომლებიც ასაბუთებენ მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კვლევისა და ანალიზის დაწყების საჭიროებას, და ამ დასაბუთებას ეთანხმება კომისია;

გ) საკუთარი ინიციატივით.

6. კომისია უფლებამოსილია დისკრეტულად მიიღოს გადაწყვეტილება როგორც მომსახურების მთლიანი ბაზრის, ისე მისი ცალკეული სეგმენტების კვლევისა და ანალიზის ჩატარების თაობაზე.

7. კონკურენცია მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ეფექტიანია, თუ ამ სეგმენტზე არ საქმიანობს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი. კონკურენცია ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არ არის ეფექტიანი, თუ ამ სეგმენტზე მოქმედ ერთ ან რამდენიმე ავტორიზებულ პირს აქვს ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება. თუ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებულ პირს აქვს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება, მას მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება აქვს ასევე ბაზრის მჭიდროდ დაკავშირებულ სეგმენტზე.

8. მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კონკურენტუნარიანობის კვლევისა და ანალიზის ჩატარებისას მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმები არის ავტორიზებული პირის მიერ ბაზრის ამ სეგმენტზე დაკავებული ფარდობითი საბაზრო წილი. ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებული პირის მიერ დაკავებული ფარდობითი საბაზრო წილი განისაზღვრება მის მიერ მიღებული შემოსავლების, ბოლო მომხმარებელთა ან აბონენტთა რაოდენობის ან გარკვეულ პერიოდში მიწოდებული მომსახურების ჯამური მოცულობის (ტრაფიკის) წილობრივი მაჩვენებლების, აგრეთვე მის საკუთრებაში არსებული ქსელის შესაბამისი ელემენტების დატვირთული და თავისუფალი სიმძლავრეების ან ფუნქციონალური რესურსების რეზერვების გათვალისწინებით. ბაზრის შესაბამისი სეგმენტის მასსიათულების გათვალისწინებით კომისია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ობიექტურობის პრინციპიდან გამომდინარე, იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზებული პირის მიერ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე დაკავებული წილის გაზომვისა და სათანადო ძირითადი კრიტერიუმის გამოყენების შესახებ.

9. თუ მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კვლევისა და ანალიზის ჩატარების შედეგად კომისია დაადგენს, რომ ერთ ან რამდენიმე ავტორიზებულ პირს აქვს ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება, იგი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ხასიათიდან გამომდინარე, განსაზღვრავს აღნიშნული პირებისათვის დაკისრებულ სპეციფიკურ ვალდებულებებს ამ კანონის V თავის შესაბამისად.

10. მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების დადგენის ძირითადი კრიტერიუმის შესაბამისად ავტორიზებული პირი განისაზღვრება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ, თუ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე უკავია საბაზრო წილის არანაკლებ 40 პროცენტისა.

11. რამდენიმე ავტორიზებული პირი განიხილება ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ, თუ მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე:

ა) ორი ავტორიზებული პირის ჯამური საბაზრო წილი აღწევს სულ მცირე 60 პროცენტს, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი უნდა იყოს არანაკლებ 25 პროცენტისა;

ბ) სამი ავტორიზებული პირის ჯამური საბაზრო წილი აღწევს სულ მცირე 80 პროცენტს, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი უნდა იყოს არანაკლებ 15 პროცენტისა.

12. მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის დადგენისას და მისთვის სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრებისას ძირითადი კრიტერიუმის გარდა გამოიყენება მეორეული კრიტერიუმები, რომლებიც ობიექტურად განსაზღვრავს ძირითადი კრიტერიუმების შესაბამისად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტო-

რიზებული პირების მიერ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის შეზღუდვისა და არაკონკურენტული ქმედების განხორციელების შესაძლებლობებს. მეორეულ კრიტერიუმებს ანალიზური ფაქტორების გათვალისწინებით განსაზღვრავს კომისია.

მუხლი 23. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება

1. მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულმა პირმა ბოროტად არ უნდა გამოიყენოს თავისი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება.

2. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება ნიშნავს ავტორიზებული პირის მიერ ამ კანონის V თავით განსაზღვრული და კომისიის გადაწყვეტილებით მისთვის დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებების შეუსრულებლობას.

მუხლი 24. მომსახურების ბაზრის ანალიზთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნება

კომისიის გადაწყვეტილებები, რომლებიც მიიღება ამ თავით განსაზღვრული კონკურენციის უზრუნველყოფისა და მომსახურების ბაზრის ანალიზის საფუძველზე, გარდა სახელმწიფო, კომერციული ან პირადი საიდუმლოების შემცველი ნაწილებისა, ქვეყნდება ინტერნეტში – კომისიის ვებ-გვერდზე. ასევე საჯაროდ ქვეყნდება შემდეგი ინფორმაცია:

- ა) მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების ჩამონათვალი გეოგრაფიული საზღვრების განმსაზღვრელი კრიტერიუმებისა და ეკონომიკური მაჩვენებლების მითითებით;
- ბ) ავტორიზებული პირების სია, რომელთაც მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე აქვთ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება;
- გ) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირისათვის დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებები;
- დ) იმ ძირითადი ან მეორეული კრიტერიუმების აღწერილობა, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრა ავტორიზებული პირი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ.

მუხლი 25. შერწყმისა და წილის შეძენის რეგულირება

ამ კანონის 26-ე და 27-ე მუხლებით განსაზღვრული შერწყმისა და წილის შეძენის მარეგულირებელი ნორმები გამოიყენება:

- ა) ავტორიზებული პირების მიმართ;
- ბ) თუ შერწყმას აპირებს ორი ან მეტი პირი, რომელთაგან ერთ-ერთი ავტორიზებული პირია.

მუხლი 26. შეტყობინების ვალდებულება და ინფორმაციის გამოთხოვა

1. კომისიას შერწყმის ან წილის შეძენის განზრახვის შესახებ უნდა ეცნობოს შერწყმის ან წილის შეძენის განხორციელებამდე.

2. შეტყობინების ვალდებულება ეკისრება ავტორიზებულ პირს, რომელიც მონაწილეობს შერწყმაში ან რომლის წილის შეძენაც ხდება.

3. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს შერწყმის ან წილის შეძენის ფორმა. შეტყობინება აგრეთვე უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას ყოველი მონაწილე ავტორიზებული პირის შესახებ:

- ა) საფირმო სახელწოდება, საქმიანობის სახე და სარეგისტრაციო მონაცემები;
- ბ) შემოსავლები საქართველოში და უცხო ქვეყნის ოპერატორებისთვის გაწეულ მომსახურებაზე;
- გ) მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე დაკავებული ფარდობითი წილები, მათი გაანგარიშების ან შეფასების საფუძვლები, თუ შერწყმაში ან წილის შექმნაში მონაწილე ყველა ავტორიზებული პირის ჯამური წილი კომისიის მიერ განსაზღვრულ ბაზრის რომელიმე შესაბამის სეგმენტზე 25 პროცენტზე მეტია;
- დ) სხვა ავტორიზებული პირის წილის შექმნის შემთხვევაში, მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე შექმნილი წილის და საკუთრებაში არსებული მთლიანი წილის მოცულობა;
- ე) ინფორმაცია შერწყმაში ან წილის შექმნაში მონაწილე და მათთან ურთიერთ-დამოკიდებული (აფილირებული) პირების შესახებ. კომისიას უნდა ეცნობოს ავტორიზებულ პირსა და აფილირებულ პირს შორის ურთიერთობის შესახებ, რაც უნდა მოიცავდეს მათ შორის კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას და წილობრივ მონაწილეობას. შეტყობინება არ უნდა შეიცავდეს არასწორ ან არასრულ ინფორმაციას.
4. ავტორიზებული პირების შერწყმისას ან მათ მიერ წილის შექმნისას კონკურენციის შესაძლო შეზღუდვის შესაფასებლად კომისია უფლებამოსილია ავტორიზებული პირებისაგან დამატებით გამოითხოვოს ინფორმაცია მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე ავტორიზებული პირების მიერ განხორციელებული საქმიანობისა და მათი სამომავლო გეგმების შესახებ.
5. კომისია უფლებამოსილია მოსთხოვოს მხარეებს შერწყმის ან წილის შექმნის პირობების კორექტირება, თუ მიიჩნევს, რომ შერწყმა ან წილის შექმნა გამოიწვევს ან შესაძლოა გამოიწვიოს მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის მნიშვნელოვანი დარღვევა.
6. კომისია უფლებამოსილია მოსთხოვოს შერწყმის შედეგად ჩამოყალიბებულ ან წილის შემქმნ ავტორიზებულ პირს შემდგომ საქმიანობაში ისეთი ქმედებების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფს მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის შენარჩუნებას.
7. შერწყმის ან წილის შექმნის შედეგად მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის მნიშვნელოვანი დარღვევის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია მოსთხოვოს ახალჩამოყალიბებულ ავტორიზებულ პირს საოპერაციო აქტივების ან შესაბამისი წილების გაყიდვა. (28.12.2005 №2564)
8. შერწყმაში ან წილის შექმნაში მონაწილე მხარეები უფლებამოსილი არიან შერწყმის ან წილის შექმნის ნებისმიერ ეტაპზე შესთავაზონ კომისიას საკუთარი წინადადებები მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის მნიშვნელოვანი დარღვევის თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 27. შერწყმის ან წილის შექმნის გამოკვლევა

1. კომისია ამოწმებს შერწყმის ან წილის შექმნის შესახებ ავტორიზებული პირის შეტყობინებაში მითითებულ, ამ კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ მონაცემებს. თუ ავტორიზებული პირის შეტყობინება არ შეიცავს ამ კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტში მოთხოვნილ დოკუმენტს ან ინფორმაციას, კომისია

ლოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოსადგენად განსაზღვრავს დამატებით ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 15 სამუშაო დღეს.

2. კომისია უფლებამოსილია შერწყმის ან წილის შექმნის თაობაზე ავტორიზებული პირის სრულყოფილი შეტყობინების მიღებიდან 1 თვის ვადაში განახორციელოს ამ კანონის 26-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილებები.

3. შერწყმის ან წილის შექმნის გამოკვლევის კონფიდენციალობა დაცულია.

მუხლი 28. კომისიის მიერ კონკურენციის უზრუნველყოფის უფლებამოსილებები

1. თუ კომისია დაადგენს ავტორიზებული პირის საქმიანობის შეუსაბამობას ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კონკურენციის უზრუნველყოფი პირობებთან, რომლებიც განსაზღვრულია ამ კანონით, ან მისთვის, როგორც მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირისთვის, დაკისრებული ერთი ან მეტი ვალდებულების შეუსრულებლობას, ან შერწყმის ან წილის შექმნის განხორციელებისას მისთვის დაკისრებული ერთი ან მეტი ვალდებულების შეუსრულებლობას, კომისია უფლებამოსილია გამოიყენოს ამ კანონის VII თავით დადგენილი სანქციები.

2. კომისია უფლებამოსილია დააკისროს ან აუკრძალოს გარკვეული მოქმედების შესრულება იმ ავტორიზებულ პირს, რომელიც ბოროტად იყენებს მნიშვნელოვან საბაზრო ძალაუფლებას, ხოლო კომისიის შესაბამის გადაწყვეტილებათა შესრულებლობის შემთხვევაში გამოიყენოს ამ კანონის VII თავით დადგენილი სანქციები.

3. თუ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი არ ასრულებს მისთვის დაკისრებულ ვალდებულებებს, რაც პირდაპირ საშიშროებას უქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებას და ადამიანთა ჯანმრთელობას ან რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეკონომიკური ან საოპერაციო პრობლემები შეუქმნას სხვა მიმწოდებლებს ან ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მომხმარებლებს, კომისია უფლებამოსილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად უზრუნველყოს აღსრულება უშუალო იძულების გამოყენებით.

4. იმ გარემოებების მტკიცების ტვირთი, რომლებიც ობიექტურად განაპირობებს ავტორიზებული პირისთვის დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებების შეუსრულებლობის ხასიათს და მიზეზებს, ეკისრება ავტორიზებულ პირს. ობიექტურად დასაბუთებული მტკიცებულებების წარმოდგენის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია ავტორიზებული პირისთვის დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებების შესრულებლობის ხასიათის გათვალისწინებით ცვლილებები შეიტანოს ამ ვალდებულებების პირობებში.

5. კომისიის მიერ დაკისრებულ სპეციფიკურ ვალდებულებებში ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ცვლილებების შეტანა არ ათავისუფლებს ავტორიზებულ პირს სპეციფიკური ვალდებულებების შესრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან.

6. კომისიამ შეიძლება შეარჩიოს მხოლოდ ის ობიექტური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს გამოვლენილი დარღვევის უსწრაფეს და ნაკლებდანსარჯიან აღმოფხვრას და არ მიაყენებს ზიანს მომხმარებლებს და შესაბამის ავტორიზებულ პირს.

თავი V.

მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის სპეციფიკური ვალდებულებები

მუხლი 29. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის სპეციფიკური ვალდებულებები

1. კომისია უფლებამოსილია მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს გადაწყვეტილებით დააკისროს ერთი ან რამდენიმე, ქვემოთ ჩამოთვლილი სპეციფიკური ვალდებულება:
 - ა) ინფორმაციის გამჭვირვალების უზრუნველყოფის ვალდებულება;
 - ბ) დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება;
 - გ) დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება კომისიის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიური წესების შესაბამისად;
 - დ) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება;
 - ე) სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებების შესრულება არ გამორიცხავს ავტორიზებული პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულებას.

მუხლი 30. სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრება

1. სპეციფიკური ვალდებულებები ეკისრება მხოლოდ მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს.
2. სპეციფიკური ვალდებულებების ძალაში შესვლის თარიღი განისაზღვრება კომისიის გადაწყვეტილებით; თუ კომისიამ არ განსაზღვრა ეს თარიღი, ავტორიზებულმა პირმა კომისიის გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულება უნდა დაიწყოს გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.
3. კომისია უფლებამოსილია დააკონკრეტოს ამ კანონით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებები და მათი შესრულების პირობები, აგრეთვე მომსახურების ბაზრის კვლევისა და ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით ცვლილებები და დამატებები შეიტანოს სპეციფიკური ვალდებულებების პირობებში.
4. კომისიის მიერ ავტორიზებული პირისათვის დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებები უნდა შეესაბამებოდეს მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებული პირის საბაზრო ძალაუფლებისა და მისი ბოროტად გამოყენების ხასიათს. უნდა იყოს პროპორციულად თანაზომადი და ობიექტურად დასაბუთებული.
5. თუ მომსახურების ბაზრის კვლევისა და ანალიზის ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არ არსებობს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი, სპეციფიკური ვალდებულებები უქმდება და ბაზრის შესაბამისი სეგმენტი კონკურენტულად ითვლება.

მუხლი 31. ინფორმაციის გამჭვირვალების უზრუნველყოფის ვალდებულება

1. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვებისა და

ურთიერთჩართვის მიწოდებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჭვირვალობა და საჯაროდ გამოაქვეყნოს:

- ა) მისი საქმიანობის ამსახველი ფინანსური საანგარიშგებო დოკუმენტაცია;
- ბ) ქსელის შესაბამისი ელემენტების, ტექნიკური საშუალებების, ფუნქციონალური რესურსებისა და ინტერფეისების აღწერილობა, აგრეთვე ინფორმაცია თავისუფალი სიმძლავრეების შესახებ;
- გ) ქსელის ტექნიკური მახასიათებლები, მათ შორის, გამოყენებული ინტერფეისების აღწერილობა, თანალოკაციის ფართობები და ურთიერთჩართვის წერტილები;
- დ) ქსელის შესაბამის ელემენტებთან, მათ ფუნქციონალურ რესურსებთან და თავისუფალ სიმძლავრეებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მიწოდების პირობები, მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მსურველი ავტორიზებული პირების მოთხოვნების გათვალისწინებით;
- ე) დაშვებისა და ურთიერთჩართვის ტარიფები, ანგარიშსწორების პირობები.

2. ავტორიზებული პირი ვალდებულია გამოაქვეყნოს საკუთარი ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის შეთავაზების წინადადება (მოწვევის ოფერტა), რომელიც უნდა შეიცავდეს დეტალურ ინფორმაციას: ოპერატორის ქსელის ელემენტების, მათი ფუნქციონალური რესურსებისა და თავისუფალი სიმძლავრეების, აგრეთვე დაშვებისა და ურთიერთჩართვის ტარიფების შესახებ, რათა მსურველ ავტორიზებულ პირს არ მოეთხოვოს ქსელის იმ ელემენტებისათვის, ტექნიკური საშუალებებისათვის ან ფუნქციონალური რესურსებისათვის დამატებითი საფასურის გადახდა, რომლებიც მას არ მოეთხოვია.

3. კომისია უფლებამოსილია ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით დაადგინოს, თუ რა არსებით მონაცემებს უნდა შეიცავდეს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ინფორმაცია და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის დაშვებისა და ურთიერთჩართვის შეთავაზების წინადადება (მოწვევის ოფერტა), აგრეთვე დადგენილ პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვოს ოპერატორის საჯაროდ გამოაქვეყნებულ მოწვევის ოფერტაში ცვლილებების ან დამატებების შეტანა.

4. კომისიის მიერ ავტორიზებული პირისათვის ადგილობრივი დაშვების ქსელთან შეუზღუდავი დაშვების ვალდებულების დაკისრების შემთხვევაში ადგილობრივი მომსახურების ოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს დაშვებისა და ურთიერთჩართვის შეთავაზების წინადადების (მოწვევის ოფერტის) გამოქვეყნება, რომელიც უნდა მოიცავდეს ადგილობრივი დაშვების ქსელთან დაშვების, მათ შორის, ერთობლივი დაშვებისა და კომისიის მიერ დადგენილ სხვა არსებით პირობებს.

5. ინფორმაცია, რომელიც არსებითად დაკავშირებულია მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებასთან, დაშვების მსურველის არადისკრიმინაციული, თავისუფალი არჩევანის უზრუნველყოფასთან და ხელს უწყობს მის მიერ, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების პირობების შერჩევის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღებას, არ არის დაშვების მიწოდებული ოპერატორის კომერციული საიდუმლოება.

მუხლი 32. დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება

1. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი ქსელის შესაბამის ელემენტებთან, ტექნიკურ საშუალებებთან,

თავისუფალ ფუნქციონალურ რესურსებთან და სიმძლავრეებთან დაშვების შეთავაზებისას, არსებითად მსგავსი გარემოებებისა და ციფრული მითხოვნების პირობებში, ვალდებული უზრუნველყოს მითხოვნილი ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებისა და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის მსურველი ავტორიზებული პირისათვის არადისკრიმინაციულად (შეუზღუდავად), ერთსა და იმავე ვადებში და ერთნაირი პირობებით მიწოდება.

2. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მიერ არადისკრიმინაციული პირობების დადგენა მოიცავს მომსახურების ერთგვაროვანი პირობების, მათ შორის: მომსახურების ხელმისაწვდომობის, ხარისხის, ტარიფების, მიწოდების ვადების, მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული სხვა არსებითი ინფორმაციის გამჭვირვალების, აგრეთვე ურთიერთოპერაბელურობის უზრუნველყოფას.

3. მსურველი ავტორიზებული პირი უფლებამოსილია მოითხოვოს ქსელის შესაბამის ელემენტებთან არადისკრიმინაციული დაშვება იმგვარი პირობებით, რომლებიც არანაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე არსებითად მსგავსი ურთიერთობების შემთხვევებში, დაშვების მიწოდებელი ოპერატორის სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის, აფილირებული და სხვა ავტორიზებული პირებისათვის.

4. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი უფლებამოსილია შესთავაზოს მსურველ ავტორიზებულ პირს დაშვებისა და ურთიერთმართვის მიწოდება უკეთესი პირობებით, ვიდრე ეს მოცემულია მის დაშვებისა და ურთიერთმართვის შეთავაზების წინადადებაში (მოწვევის ოფერტაში). უკეთესი პირობების შეთავაზებისას, დისკრიმინაციის დაუშვებლობის მიზნით, ოპერატორი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღის ვადაში შეიტანოს ცვლილება თავისი მოწვევის ოფერტის შესაბამის პირობებში.

5. მსურველი ავტორიზებული პირის დაშვებისა და ურთიერთმართვის შეთავაზების წინადადებისაგან (მოწვევის ოფერტისაგან) განსხვავებული პირობებით დაშვების წარმატებულად განხორციელების შემთხვევაში ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი ვალდებულია თავის მოწვევის ოფერტაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები ან დამატებები, გამოაქვეყნოს ქსელის შესაბამის ელემენტებთან, მათ თავისუფალ ფუნქციონალურ რესურსებთან და სიმძლავრეებთან დაშვების აღნიშნული პირობები.

6. ამოღებულია (28.12.2005 №2564)

მუხლი 33. დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება

1. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი ვალდებულია არ დაუშვას კონკურენციის შემზღუდავი ქმედებები, მათ შორის, მოხმარებელთა რომელიმე ჯგუფის სატარიფო შეღავათების სუბსიდირება სხვა ავტორიზებულ პირთა ან მოხმარებელთა ჯგუფების ხარჯზე.

2. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი ვალდებულია კომისიის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიური წესების შესაბამისად აწარმოოს ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ან/და ურთიერთმართვის მიწოდებასთან დაკავშირებული დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად, ობიექტურად და გამჭვირვალედ აღრიცხვა და განაწილება ქსელის ელემენტების, საოპერაციო საქმიანობისა და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეების მიხედვით.

3. დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვისა და განაწილების, ინფორმაციის გამჭვირვალების უზრუნველყოფისა და დისკრიმინაციის აკრძალვის სპეციფიკური ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით კომისია უფლებამოსილია მოსთხოვოს ავტორიზებულ პირს სააღრიცხვო, ფინანსური ინფორმაციის, მათ შორის, დანახარჯების განაწილებისა და სხვა ავტორიზებული პირებისგან მიღებული შემოსავლების თაობაზე ინფორმაციის, წარმოდგენა. კომისია უფლებამოსილია ამ კანონის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და კომერციული ან პირადი ინფორმაციის საიდუმლოების დაცვის თაობაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, თავისი გადაწყვეტილებით საჯარო გახადოს ავტორიზებული პირის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია სრულად ან იმ ნაწილში, რომელიც ევექტიანად უზრუნველყოფს მომსახურების ბაზრის შესაბამის სექტორზე კონკურენციის წახალისებას.

4. ვერტიკალურად ინტეგრირებული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი, ან ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორები მსურველი ავტორიზებული პირებისათვის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებისას დისკრიმინაციის აკრძალვის მიზნით ვალდებული არიან უზრუნველყონ ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის თავისუფალ ელემენტებთან დაშვების, აგრეთვე მომსახურების ბაზარზე შეთავაზებული საბითუმო და შიდასაწარმოო სტრუქტურულ დანაყოფებს შორის ტრანსფერული ტარიფების გამჭვირვალება.

მუხლი 34. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება

1. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი, რომელიც ფლობს ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელს, ვალდებულია უზრუნველყოს მისი ქსელის შესაბამის ელემენტებთან, ტექნიკურ საშუალებებთან, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეობებთან სხვა ავტორიზებული პირის შეუზღუდავი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული დაშვება.

2. ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულების ჯეროვნად შესრულების მიზნით მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი ქსელის შესაბამისი ელემენტების ფუნქციონალური და ტექნიკური მახასიათებლები კანონმდებლობით დადგენილი ტექნიკური სტანდარტების დონეზე.

3. ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მიწოდების ვალდებულების ჯეროვნად შესრულების მიზნით მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი, რომელიც ადგილობრივი მომსახურების ზონაში სააბონენტო ნუმერაციის რესურსის გამოყენებით ახორციელებს ბოლო მომხმარებლების მომსახურებას, ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ქსელის შესაბამისი ელემენტების ფუნქციონალური და ტექნიკური მახასიათებლები, საკმარისი თანალოკაციის ფართობების და ამ ფართობებზე განთავსებულ ურთიერთჩართვის წერტილებში საოპერაციო სიმძლავრეების მიწოდება.

4. ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების მსურველმა ავტორიზებულმა პირმა თავის განაცხადში ცხადად უნდა ასახოს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის დაშვებისა და ურთიერთჩართვის შეთავაზების წინადადებით (მოწვევის ოფერტი) განსაზღვრული პირობების უპირობო აქცეპტი და მის მიერ

ურთიერთნართვის მოთხოვნის შემთხვევაში საკუთარი ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთნართვის მიწოდების არსებითი პირობები.

5. მსარეებმა უნდა მიიღონ ყველა სამართლიანი და გონივრული ზომა, შეთანხმდნენ და გააფორმონ ქსელების შესაბამის ელემენტებთან დაშვების ან/და ურთიერთნართვის შესახებ ხელშეკრულება და მისი ასლი უნდა წარუდგინონ კომისიას ორმხრივი ხელმოწერიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

6. თუ ხელშეკრულება არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, ან დაშვებისა და ურთიერთნართვის მიმწოდებელი ოპერატორის შთავაზუნის წინადადების (მოწვევის ოფერტის) არსებით პირობებს, ანდა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეიცვალა კანონმდებლობა, კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა, შესწორება ან გაუქმება.

7. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების შემდგომი განვითარების, აგრეთვე მომხმარებლებისათვის მიწოდებული მომსახურების სახეების გაფართოების და ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით კომისია უფლებამოსილია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორს შესაბამისი გადაწყვეტილებით მოსთხოვოს მსურველი ავტორიზებული პირის მიერ მოთხოვნილი პირობების გათვალისწინებით ქსელის შესაბამის ელემენტებთან და მათ თავისუფალ ფუნქციონალურ რესურსებთან და სიმძლავრეებთან დაშვება. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს:

- ა) მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის განვითარების დონეს;
- ბ) დაშვების მიმწოდებელი ოპერატორის ტექნიკურ და ეკონომიკურ შესაძლებლობებს;
- გ) დაშვების მიმწოდებელი ოპერატორის ქსელის ელემენტების თავისუფალი ფუნქციონალური რესურსებისა და მოთხოვნილი სიმძლავრეების არსებობას;
- დ) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მიერ გასაწევი ინვესტიციების მოცულობას და შესაბამის საინვესტიციო რისკებს;
- ე) მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე გრძელვადიანი კონკურენციის უზრუნველყოფის აუცილებლობას;
- ვ) ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის უზრუნველყოფას.

8. კომისიის გადაწყვეტილებით ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ქსელის შესაბამისი ელემენტების ფუნქციონალური რესურსების განცალკევება, რომელთა გამოყენებასაც დასაბუთებულად ითხოვს მსურველი ავტორიზებული პირი იმ შემთხვევაშიც, როდესაც ასეთი განცალკევება მას ადრე არ განუხორციელებია.

9. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ქსელის შესაბამისი ელემენტების ფუნქციონალური რესურსების განცალკევებაზე, თუ მისი განხორციელება:

- ა) ტექნიკურად ან ტექნოლოგიურად შეუძლებელია ან დაარღვევს ოპერატორის ქსელის მთლიანობას (ინტეგრირებულობას);
- ბ) ქსელის ელემენტის მოთხოვნილი სიმძლავრის არასაკმარისობის პირობებში შეზღუდავს სხვა ოპერატორებისათვის მოქმედი ხელშეკრულებების შესაბამისად დაშვების ან/და ურთიერთნართვის ან ბოლო მომხმარებლებისათვის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას;
- გ) არსებითად არ არის დაკავშირებული მოთხოვნილი დაშვების ან/და ურთიერთნართვის მიწოდებასთან.

მუხლი 35. სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება

1. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორმა საკუთარი ქსელის შესაბამის ელემენტებთან, მათ ფუნქციონალურ რესურსებთან და თავისუფალ სიმძლავრეებთან მსურველი ავტორიზებული პირების დაშვების ან/და ურთიერთმართვის ან ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეების მიწოდება უნდა განახორციელოს დანახარჯებზე ორიენტირებული და არადისკრიმინაციული ტარიფით.

2. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მიერ დაწესებული ტარიფი უნდა ითვალისწინებდეს მომსახურებისათვის გამოყენებულ ქსელის შესაბამის ელემენტებზე, რესურსების და სიმძლავრეების უზრუნველყოფაზე გაწეული დანახარჯების ანაზღაურებას, ოპერატორის უფლებას, მიიღოს გაწეულ ინვესტიციებზე გონივრული უკუგება, და ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელების შემდგომი განვითარებისა და გაფართოების გრძელვადიან ტენდენციას.

3. სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულების დაკისრებისას კომისია უფლებამოსილია თავისი გადაწყვეტილებით დაადგინოს:

ა) ავტორიზებული პირის მიერ დაწესებული ტარიფის დანახარჯებზე ორიენტირებულობის და კომისიის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიური წესების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასაბუთება;

ბ) ავტორიზებული პირის მიერ დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებული მონაცემების კომისიისთვის წარდგენა;

გ) ავტორიზებული პირების მიერ დადგენილი, კონკურენციის შემზღვეველი ტარიფების ცვლილება;

დ) ქსელის შესაბამის ელემენტებთან, მათ ფუნქციონალურ რესურსებთან და თავისუფალ სიმძლავრეებთან დაშვებისა და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების ზღვრული ტარიფები.

4. დაშვებისა და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების მიერ დაწესებულმა ტარიფმა, ან კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში კომისიის მიერ დადგენილმა ზღვრულმა ტარიფმა უნდა უზრუნველყოს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში გრძელვადიანი და ქმედუნარიანი კონკურენცია, ბოლო მომხმარებლების ეკონომიკურად ზღომისაწევლოში და ხარისხიანი მომსახურება, არ უნდა დაუშვას ოპერატორების მიერ მომსახურების ბაზრის შესაბამის სემენტებზე არაგონივრულად მაღალი ტარიფების დაწესება ან სატარიფო ზეწოლა.

5. კომისია უფლებამოსილია დაადგინოს ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესები, რომელთა დაცვა სავალდებულოა ავტორიზებული პირების მიერ სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის.

6. სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულების დაკისრების შემთხვევაში ავტორიზებული პირი კომისიის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად ქნის დანახარჯების აღრიცხვის სისტემას, აქვეყნებს მის აღწერას, წარუდგენს კომისიას და ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს ამ სისტემის შესაბამისად.

თავი VI.

ავტორიზებულ პირთა შორის წარმომოგილი დავების
განხილვისა და გადაწყვეტის წესები

მუხლი 36. დავის განხილვის დაწყება

1. კომისია ავტორიზებულ პირებს შორის წარმომოგილი დავებს წევრებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ხოლო ამ კანონის ამოქმედებამდე წარმომოგილი დავების გადასაწყვეტად იყენებს ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულ ნორმატიულ აქტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მხარეებს სურთ ურთიერთობა ამ კანონით მოაწესრიგონ.
2. ავტორიზებულ პირს უფლება აქვს მიმართოს კომისიას დავის განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით.
3. მხარეები კომისიაში საქმის წარმოებას იწყებენ კომისიისთვის სათანადო განცხადების წარდგენით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
 - ა) განმცხადებლის გვარი, სახელი, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში), ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – სამეწარმეო რეესტრის ან დაფუძნების აქტის მონაცემები, ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში);
 - ბ) წარმომადგენლის გვარი, სახელი და საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში), თუ განცხადება შეაქვს წარმომადგენელს;
 - გ) იმ პირის დასახელება, რომლის წინააღმდეგაც შეტანილია განცხადება;
 - დ) განმცხადებლის მოთხოვნა;
 - ე) ფაქტობრივი გარემოებები, რომლებზედაც ამყარებს განმცხადებელი თავის მოთხოვნას;
 - ვ) მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს ამ გარემოებებს.
4. განცხადებას უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი.
5. განცხადება მიიღება, თუ მისი მოთხოვნა არ სცილდება კომისიის უფლებამოსილებების ფარგლებს.

მუხლი 37. დავის განხილვის პრინციპები

1. დავა განიხილება შეეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე. კომისიის სხდომაზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტობრივი გარემოებები უნდა დაეღოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ისინი.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შეეჯიბრებითობის პრინციპი არ ზღუდავს კომისიას, საქმის გარემოებათა გასარკვევად საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და გამოითხოვოს მტკიცებულებები.
3. კომისია დავას განიხილავს ღია სხდომაზე. გარდა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. დავის განხილვა მიმდინარეობს საქართველოს სახელმწიფო ენაზე.

მუხლი 38. მოსამზადებელი სხდომა

1. განცხადების რეგისტრაციიდან 10 სამუშაო დღის ვადაში კომისია ნიშნავს მოსამზადებელ სხდომას. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დავის განხილვის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე, თუ დაადგენს, რომ დავის საგანი არ უკავშირდება მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული მარეგულირებელი ფუნქციების განხორციელებას, ან განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე, თუ განმცხადებელი განსაზღვრულ ვადაში არ წარმოადგენს დამატებით ინფორმაციას ან დოკუმენტს.
2. კომისია მხარეებს აცნობებს მოსამზადებელი სხდომის დანიშვნას, მისი ჩატარების დღეს, დროსა და ადგილს.
3. მხარეებმა დავასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები და მტკიცებულებები კომისიას უნდა წარუდგინონ მოსამზადებელ სხდომამდე ან უშუალოდ სხდომაზე.
4. მხარე უფლებამოსილია მოსამზადებელ სხდომამდე ან უშუალოდ სხდომაზე კომისიას წარუდგინოს შეგებებული განცხადება (საპასუხო მოთხოვნა) ძირითად განცხადებასთან ერთად განსახილველად. შეგებებული განცხადების წარდგენა შესაძლებელია ამ მუხლით დადგენილი წესით.
5. განმცხადებელი უფლებამოსილია გაეცნოს შეგებებულ განცხადებას.
6. მოსამზადებელ სხდომაზე კომისია იღებს გადაწყვეტილებას დავის განხილვის დღის დანიშვნის შესახებ.

მუხლი 39. შეტყობინება და მოწვევა

1. მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს ეცნობებათ დავის განხილვის დღე, დრო და ადგილი.
2. კომისია, საჭიროების შემთხვევაში, დავის განხილვაზე იწვევს მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებსა და თარჯიმნებს.
3. შეტყობინება იგზავნება ფოსტით ან დამტარებლის მეშვეობით, აგრეთვე შესაძლებელია ჩაბარდეს მხარეებს მოსამზადებელი სხდომის დასრულებისთანავე. შეტყობინება უნდა შეიცავდეს:
 - ა) კომისიის მისამართს;
 - ბ) კომისიის სხდომის დღის, დროისა და ადგილის მითითებას;
 - გ) საქმის დასახელებას, რომლის გამოც იწვევენ ამა თუ იმ პირს;
 - დ) კომისიაში მოსაწვევი პირის ვინაობას, აგრეთვე იმას, თუ რა სტატუსით არის იგი დაბარებული;
 - ე) მხარეების მიმართ წინადადებას, წარმოადგინონ მათ ხელთ არსებული ყველა მტკიცებულება;
 - ვ) მითითებას იმის თაობაზე, რომ ადრესატის არყოფნისას უწყების მიმღები პირი ვალდებულია პირველი შესაძლებლობისთანავე ჩააბაროს უწყება ადრესატს.
4. შეტყობინებასთან ერთად კომისია მხარეებს უგზავნის ან ჩააბარებს დავის თაობაზე განცხადებისა და თანდართული საბუთების ასლებს. კომისია დავის თაობაზე განცხადების შემტან მხარეს უგზავნის ან ჩააბარებს მეორე მხარის შეგებებული განცხადების ასლს, თუ ის შემოვიდა კომისიაში შეტყობინების გაგზავნის დროისთვის. კომისიაში შემოსული ყველა წერილობითი დოკუმენტის

ასლი შეიძლება გაეგზავნოს მხარეებს მას შემდეგაც, როცა შეტყობინება უკვე გაგზავნილი ან ჩაბარებულია.

5. აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია მხარეები მოწვეულ იქნენ კომისიის სხდომაზე ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის მეშვეობით.

მუხლი 40. მტკიცებულებათა შეგროვება და შეფასება

1. მხარეებმა უნდა დაამტკიცონ ფაქტობრივი გარემოებები, რომლებზედაც ამყარებენ საკუთარ მოთხოვნებს.
2. გარემოებათა დამტკიცება შესაძლებელია მხარეთა ახსნა-განმარტებით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – მოწმეთა ჩვენებით, ექსპერტთა და სპეციალისტთა დასკვნებით, რომლებიც წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით.
3. წერილობითი მტკიცებულებებია დოკუმენტები, რომლებიც შეიცავს ცნობებს საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ. წერილობითი მტკიცებულების წარდგენა, როგორც წესი, ხდება დედნის სახით.
4. მოწმედ იკითხება პირი, რომლისთვისაც ცნობილია რაიმე გარემოება საქმის შესახებ.
5. კონკრეტულ საკითხზე განმარტების ან დასკვნის მისაცემად შეიძლება ექსპერტის მოწვევა.
6. კომისია აფასებს მტკიცებულებებს, რაც ეყარება მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას.

მუხლი 41. დავის განხილვა

1. დავის განხილვა მხარის (მხარეების) გამოუცხადებლობის შემთხვევაში გადაი-დება კომისიის შემდეგი სხდომისთვის. არასაპატიო მიზეზით განმეორებითი გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს კომისიის მიერ დავის განხილვას.
2. კომისიის სხდომაზე საკითხის განხილვა იწყება საქმის გარემოებების მოხსენებით, მხარეთა დასახელებით. დავის საგნისა და საფუძელის მითითებით.
3. საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენის პროცესი იწყება მხარეთაგან ახსნა-განმარტებების მიღებით.
4. სხდომაზე გამოცხადებული მხარის უარი ახსნა-განმარტების მიცემაზე არ აბრკოლებს მეორე მხარისგან ახსნა-განმარტების მიღებას.
5. სხდომის თავმჯდომარე, კომისიის წევრები მხარეებს უსვამენ შეკითხვებს, რომლებიც ხელს უწყობს საქმისთვის მნიშვნელოვან გარემოებათა სრულად და ზუსტად განსაზღვრას. მხარეები უფლებამოსილი არიან ერთმანეთს დაუსვან შეკითხვები.
6. კომისიის სხდომის შესახებ დგება ოქმი. ოქმი უნდა ასახავდეს საქმის განხილვის ყველა არსებით მომენტს, კერძოდ, კომისიის სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს: სხდომის ჩატარების წელი, თვე, რიცხვი და ადგილი; სხდომის დაწყებისა და დამთავრების დრო; სხდომის შემადგენლობა და სხდომის მდივანი; საქმის დასახელება; ცნობები წარმომადგენელთა, მოწმეთა, ექსპერტთა და თარჯიმანთა გამოცხადების შესახებ; მხარეთა და მათ წარმომადგენელთა ახსნა-განმარტებანი; მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტების მიერ თავიანთი დასკვნების განმარტებები; ცნობები გადაწყვეტილების შინაარსის შესახებ.

მუხლი 42. დავის გადაწყვეტა

1. დავა არსებითად წყდება კომისიის გადაწყვეტილებით.

2. მხარეები უფლებამოსილი არიან დავის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მოითხოვონ საქმის მორიგებით დამთავრება.
3. კომისია უფლებამოსილია გადაწყვეტილებით დაამტკიცოს მორიგება.
4. კომისია უფლებამოსილია არ დაეთანხმოს მორიგებას და მიიღოს სხვა გადაწყვეტილება, თუ მხარეთა მორიგება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
5. განმცხადებელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს განცხადებაზე, ხოლო მეორე მხარე უფლებამოსილია ცნოს განმცხადებლის მოთხოვნა. ამ შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დავის საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე.
6. ურთიერთწართვასთან დაკავშირებული დავის განხილვის ვადაა 1 თვე. თუ ურთიერთწართვასთან დაკავშირებული დავის განხილვისას მხარეები ვერ მიაღწევენ მორიგებას, კომისია უფლებამოსილია თვითონ დაადგინოს ურთიერთწართვის პირობები.
7. კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. (28.12.2005 №2564)

თავი VII.

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის კონტროლი და პასუხისმგებლობა

მუხლი 43. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის კონტროლი (8.12.2006 №3921)

1. კომისია აკონტროლებს ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში განხორციელებულ საქმიანობას, ასევე მათ მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებას.
2. კომისია აკონტროლებს ელექტრონული საკომუნიკაციო უწყებრივი და სპეციალური ქსელებით საქმიანობის განმახორციელებელი პირების მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებას, რომელთა შეუსრულებლობისათვის ფიზიკური და იურიდიული პირები პასუხს აგებენ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად.
3. კომისია აკონტროლებს რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელთა მიერ სალიცენზიო პირობების შესრულებას. ლიცენზიის მფლობელთა მიერ სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში, კომისია მათ მიმართ გამოიყენებს ამ კანონის 45-ე მუხლით დადგენილ სანქციებს.
4. ულიცენზიოდ ან მინიჭების გარეშე რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ულიცენზიოდ ნუმერაციის რესურსით სარგებლობა აკრძალულია და ისჯება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად.
5. საჭიროების შემთხვევაში, კომისიას შეუძლია გამოიყენოს ის ადმინისტრაციული უფლებამოსილება, რომელიც მას მინიჭებული აქვს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით, მაგრამ არ არის გათვალისწინებული ამ კანონით.

მუხლი 4.4. მონიტორინგი და შემოწმება

1. ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს კომისია ახორციელებს მუდმივად და სისტემატურად. (28.12.2005 № 2564)
2. ლიცენზიის მფლობელთა მიერ სალიცენზიო პირობების შესრულების შემოწმებას კომისია ახორციელებს სალიცენზიო პირობების შერჩევით შემოწმებით ან/და ლიცენზიის მფლობელის მიერ რეგულარული ანგარიშგებით. გარდა ამისა, კომისია უფლებამოსილია ჩაატაროს შემოწმება კომისიაში შესული საჩივრის, ექს-პარტე შეტყობინების, საგაზეთო ან სხვაგვარი ინფორმაციის საფუძველზე. (28.12.2005 № 2564)
3. კომისიას ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგისა და სალიცენზიო პირობების შესრულების შემოწმების დროს უფლება არა აქვს შეამოწმოს ან მოითხოვოს ისეთი ფაქტობრივი გარემოებების წარდგენა, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული ლიცენზიის მფლობელის მიერ ამ პუნქტით გათვალისწინებული კანონმდებლობის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების, აგრეთვე სალიცენზიო პირობების შესრულებასთან. (28.12.2005 № 2564)
4. შემოწმების ჩატარების შესახებ კომისია იღებს გადაწყვეტილებას, რომელშიც უნდა მიეთითოს შემოწმებაზე უფლებამოსილი პირის ვინაობა. (28.12.2005 № 2564)
5. შემოწმების ჩატარებამდე შემოწმებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია შესამოწმებელი პირის უფლებამოსილ წარმომადგენელს წარუდგინოს პირადობის მოწმობა და თავისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. იგი უფლებამოსილია შეამოწმოს ავტორიზებული პირის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები მათი განთავსების ადგილზე. გადაიღოს დოკუმენტების ასლები, სპეციფიკური საშუალებებით შეამოწმოს ტექნიკური მოწყობილობები, მოსთხოვოს თანამდებობის პირებსა და სხვა მუშაკებს ინფორმაცია, ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებები შესამოწმებელ საკითხთან დაკავშირებით. (28.12.2005 № 2564)
6. შემოწმებაზე უფლებამოსილი პირი კომისიის მიერ დამტკიცებული ფორმით ადგენს შემოწმების აქტს, რომელიც შეიტანება სპეციალურად ამისთვის წარმოებულ რეესტრში. შემოწმების აქტში უნდა მიეთითოს: შემოწმების ჩატარების დღე, დრო და ადგილი; შემოწმების ჩატარების საფუძველი; შესამოწმებელი პირის მხრიდან შემოწმებაზე დამსწრე პირის ვინაობა; შემოწმებული დოკუმენტების ჩამონათვალი, თუ ისინი ადგილზე შემოწმდა (ასლის გადაღების შემთხვევაში ასლი უნდა დაერთოს აქტს); შემოწმებული მოწყობილობების ჩამონათვალი და მათი ტექნიკური პარამეტრები; მიღებული ზეპირი ახსნა-განმარტებების მიმოხილვა (მათი წერილობით მიწოდების შემთხვევაში წერილობითი მასალა უნდა დაერთოს აქტს); შემოწმებაზე უფლებამოსილი პირის კომენტარები (მათი არსებობის შემთხვევაში); შესამოწმებელი პირის (მისი წარმომადგენლის) სხვა ახსნა-განმარტებანი (მათი არსებობის შემთხვევაში); შემოწმებაზე უფლებამოსილი პირისა და შესამოწმებელი პირის (მისი წარმომადგენლის), ხოლო მის მიერ ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში – სულ ცოტა 2 დამსწრე მოწმის ხელმოწერა. (28.12.2005 № 2564)

7. თუ შემოწმების აქტის გარეშეც საქმარისი მტკიცებულებები არსებობს დარღვევის შესახებ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე იწყება ადმინისტრაციული წარმოება დამრღვევი პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით, რაც ეცნობება დამრღვევს.

8. თუ შემოწმებაზე უფლებამოსილი პირი შემოწმების შედეგად დაადგენს, რომ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დამრღვევი პირის ქმედება შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრული დანაშაულის ნიშნებს, იგი შემოწმების მასალებს დაუყოვნებლივ წარუდგენს კომისიას შესაბამისი რეაგირებისთვის.

მუხლი 45. პასუხისმგებლობა

1. ავტორიზებული პირის მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია დამრღვევი წერილობით გააფრთხილოს, ზოლო დენადი ხასიათის დარღვევის კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში აღმოუფხვრელობის ან ერთი წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში – დააკისროს ჯარიმა, რომლის ოდენობაა ავტორიზებული პირის ბოლო 12 კალენდარული თვის შემოსავლის (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ერთობლივი შემოსავალი დღე-ის გარეშე) 0,5 პროცენტი, მაგრამ არანაკლებ 10000 ლარისა.

2. ავტორიზებული პირის დაჯარიმების შემდეგ მის მიერ დენადი ხასიათის დარღვევის გაგრძელების ან/და დაჯარიმებიდან ერთი წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია დამრღვევს დააკისროს ჯარიმა ავტორიზებული პირის ბოლო 12 კალენდარული თვის შემოსავლის 1 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 20000 ლარისა.

3. ავტორიზებული პირის მეორედ დაჯარიმების შემდეგ მის მიერ დენადი ხასიათის დარღვევის გაგრძელების ან/და პირველი დაჯარიმებიდან ერთი წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია დამრღვევს დააკისროს ჯარიმა ავტორიზებული პირის ბოლო 12 კალენდარული თვის შემოსავლის 3 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 25000 ლარისა.

4. ამოღებულია (28.12.2005 №2564)

5. ამოღებულია (28.12.2005 №2564)

6. ამოღებულია (28.12.2005 №2564)

7. ამოღებულია (28.12.2005 №2564)

8. ამოღებულია (28.12.2005 №2564)

9. ამოღებულია (28.12.2005 №2564)

მუხლი 46. სანქციებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება

1. გაფრთხილებისა და დაჯარიმების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებები მიიღება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. გადაწყვეტილების მიღების თაობაზე წერილობით ეცნობება პირს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 7 დღის ვადაში. (28.12.2005 №2564)

2. ჯარიმის გადახდა უნდა მოხდეს ჯარიმის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების დამრღვევისათვის ჩაბარებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. ჯარიმა ჩაირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.
3. დამრღვევის მიერ ჯარიმის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულებას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტი კომისიის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.
4. თუ არ არსებობს გაფრთხილების ან ჯარიმის საფუძველი, ადმინისტრაციული წარმოება დაუყოვნებლივ წყდება.

თავი VIII.

ამონაწილი რესურსით სარგებლობის რეგულირება

მუხლი 47. რადიოსიხშირული სპექტრი (28.12.2005 №2564)

1. გეოსტაციონარულ ორბიტაზე საქართველოსათვის გამოყოფილი პოზიცია საქართველოს საკუთრებაა. გეოსტაციონარულ ორბიტაზე საქართველოსათვის გამოყოფილი პოზიცია, აგრეთვე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით საქმიანობის სფეროში გამოყენებული რადიოსიხშირული სპექტრი არ ექვემდებარება კერძო საკუთრებასა და მუდმივ სარგებლობაში გადაცემას და პრივატიზებას. რადიოსიხშირულ სპექტრს და გეოსტაციონარულ ორბიტაზე საქართველოს კუთვნილი საკომუნიკაციო თანამგზავრის პოზიციას იცავს სახელმწიფო.
2. საერთაშორისო წესებისა და მოთხოვნების შესაბამისად გეოსტაციონარულ ორბიტაზე საქართველოს პოზიციის გამოყენებას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობა. საქართველოს მთავრობა კომისიასთან შეთანხმებით განსაზღვრავს რადიოსიხშირებს, რომლებიც გამოიყენება სახელმწიფოს საჯარო ფუნქციების უზრუნველსაყოფად – სახელმწიფო თვდაცვის, უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის ღონისძიებათა ჩასატარებლად.
3. საპაერო მოძრაი და საპაერო რადიონავიგაციის სამსახურისათვის რადიოსიხშირული ზოლები გამოყოფილია ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის რადიორეგლამენტისა და სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების შესაბამისად.
4. რადიოსიხშირულ სპექტრს ანაწილებს. აგრეთვე რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობას არეგულირებს კომისია.
5. რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნულ გეგმას ადგენს კომისია ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის რადიორეგლამენტის შესაბამისად. საქართველოს მთავრობის მიერ კომისიასთან შეთანხმებით სახელმწიფოს საჯარო ფუნქციების უზრუნველსაყოფად განსაზღვრული რადიოსიხშირების გათვალისწინებით.
6. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლება მოიპოვება ლიცენზიის საფუძველზე, აუქციონის წესით.

მუხლი 47¹. რადიოსახმობისა და ამოცნობის ნიშნების მინიჭება (28.12.2005 №2564)

1. რადიოსამოყვარულო სამსახურისათვის რადიოსიხშირული ზოლები გამოყოფილია

ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის რადიორეგულაციების შესაბამისად. კომისია ახორციელებს რადიოზღვრის რადიოსაზღვრის მინიჭებას ამ რადიოსიხშირულ ზოლებში რადიოსამოყვარულო კავშირის განსაზღვრის მიზნით. 2. საზღვაო მოძრაობის და საზღვაო რადიონავიგაციის სამსახურისათვის რადიოსიხშირული ზოლები გამოყოფილია ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის რადიორეგულაციების შესაბამისად. კომისია ახორციელებს საზღვაო ზომადების რადიოსაზღვრის და ამოცნობის ნიშნების მინიჭებას.

მუხლი 48. ნუმერაციის რესურსი

1. ნუმერაციის ეროვნულ სისტემას ადგენს საქართველოს მთავრობა კომისიასთან შეთანხმებით.
2. ნუმერაციის რესურსით სარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს კომისია. კომისია ახორციელებს ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის აუქციონის წესით გაცემას. (28.12.2005 №2564)

მუხლი 49. ლიცენზია, ლიცენზიის მოქმედების ვადა

1. კომისია გასცემს რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიას.
2. რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზია გაიცემა აუქციონის საფუძველზე. რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიას კომისია გასცემს ამ კანონის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და კომისიის დადგენილებით დამტკიცებული „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების“ შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად გასამართი აუქციონის ტიპებს, მათი გამართვის პროცედურებს და ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობის გაანგარიშების წესებს. (28.12.2005 №2564)
3. ლიცენზია გაიცემა 10 წლის ვადით.
4. ლიცენზიის მფლობელს უფლება აქვს ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვამდე 1 თვით ადრე მიმართოს კომისიას განცხადებით ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ. თუ პირის მიერ რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობა ხორციელდება ამ კანონით დადგენილი წესების შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელს, კომისიის გადაწყვეტილებით, ლიცენზიის მოქმედების ვადა უგრძელდება 10 წლით. (8.12.2006 №3921)
5. ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში: (8.12.2006 №3921)
 - ა) ლიცენზიის მფლობელი იხდის მისი გაგრძელების მომენტისათვის „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმით“ დანაწილებული იმავე რადიოსიხშირული სპექტრის შესაბამისი ზოლით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ბოლო 2 წლის განმავლობაში გამართულ აუქციონებზე დაფიქსირებულ საფასურთან საშუალო არითმეტიკულს;
 - ბ) თუ ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადის (2 წელი) განმავლობაში იმავე რადიოსიხშირული სპექტრის შესაბამისი ზოლით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად არ გამართულა 2-ზე მეტი აუქციონი,

ლიცენზიის მფლობელი იხდის იმავე რადიოსიხშირული სპექტრის შესაბამის ზოლით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ბოლო 3 წლის განმავლობაში გამართულ აუქციონებზე დაფიქსირებულ საფასურთა საშუალო არითმეტიკულს;

გ) თუ „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად დანაწილებული რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ბოლო 3 წლის განმავლობაში არ გამართულა 2-ზე მეტი აუქციონი, ლიცენზიის მფლობელი იხდის შესაბამისად რადიოსიხშირული სპექტრით ან ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად გამართულ ბოლო 3 (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, ბოლო 2) აუქციონზე დაფიქსირებულ საფასურთა საშუალო არითმეტიკულს;

დ) თუ „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად დანაწილებული რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად გამართულია მხოლოდ ერთი აუქციონი, ლიცენზიის მფლობელი იხდის ამ აუქციონზე დაფიქსირებულ საფასურს;

ე) თუ „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად დანაწილებული რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონი არ გამართულა, ლიცენზიის მფლობელი ლიცენზიის მოქმედების ვადის გასაგრძელებლად იხდის შესაბამისად რადიოსიხშირული სპექტრით ან ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის საწყისი საფასურის ოდენობას, რომელიც განისაზღვრება „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულებით“;

ვ) ლიცენზიის მფლობელი იხდის ასევე სალიცენზიო მოსაკრებელს.

მუხლი 50. ლიცენზიის მიღების საფუძველი (28.12.2005 №2564)

1. რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მიღების საფუძველია თავისუფალი რესურსის არსებობა, პირის განცხადება და აუქციონში მისი გამარჯვება.

2. აუქციონის გამართვის შესახებ კომისია იღებს გადაწყვეტილებას, თუ არსებობს:

ა) რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმით გათვალისწინებული თავისუფალი რადიოსიხშირული სპექტრი ან/და ნუმერაციის ეროვნული სისტემით განსაზღვრული ნუმერაციის თავისუფალი რესურსი და პირის მოთხოვნა რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის თაობაზე. აუქციონის გამართვის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებაში განისაზღვრება აუქციონზე გასატანი ამონური ვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების“ შესაბამისად;

ბ) რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის

ლიცენზიის მფლობელის განაცხადი, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მის სარგებლობაში არსებული რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლება ნებისმიერ პირს. ამ შემთხვევაში კომისია აუქციონს მართავს ამ კანონით დადგენილი საერთო წესის საფუძველზე.

3. კომისიის გადაწყვეტილებით რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლება შეიძლება შეეზღუდოს იმ პირს, რომელიც აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში ან/და პირდაპირი გადაპირების წესით, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მასთან ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირებთან ერთად ზღვება რადიოსიხშირული სპექტრიდან კომისიის მიერ დანაწილებული კონკრეტული ზოლის 50 პროცენტის ან მეტის მფლობელი.

მუხლი 51. რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების სხვა პირებისთვის გადაცემა (28.12.2005 №2564)

1. რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლება გადასცეს ნებისმიერ პირს, მთლიანად ან ნაწილობრივ, პირდაპირი გადაპირების წესით, აუქციონის გამართვის გარეშე, რისთვისაც პირდაპირი გადაპირების თაობაზე დებს ხელშეკრულებას. კომისია ხელშეკრულების წარმოდგენიდან 7 დღის ვადაში ამოწმებს ხელშეკრულების ამ კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტთან შესაბამისობას, რის შემდეგაც 3 დღის ვადაში შეაქვს სათანადო ცვლილებები უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში და გასცემს სალიცენზიო მოწმობას ან მოქმედებს ამ კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად. (8.12.2006 №3921)

2. ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია დაიწყოს ლიცენზიით გათვალისწინებული რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობა ლიცენზიით განსაზღვრული პირობების და ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, მხოლოდ მას შემდეგ, რაც კომისიას წარუდგენს ლიცენზიის პირდაპირი გადაპირების თაობაზე სათანადო ინფორმაციას და ამ კანონით განსაზღვრული წესით გაივლის ავტორიზაციას. (28.12.2005 №2564)

3. აუქციონის წესით მოპოვებული რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მქონე ავტორიზებული პირი უფლებამოსილია მიმართოს კომისიას აუქციონის გამართვის მოთხოვნით, რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების ნებისმიერი ავტორიზებული პირისათვის მთლიანად ან ნაწილობრივ გადაცემის მიზნით.

მუხლი 52. ლიცენზიის აუქციონის საფუძველზე გაცემა

1. რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის გასაცემად აუქციონის გამართვის შესახებ კომისია იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც სულ ცოტა 1 თვით ადრე ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და განთავსდება ინტერნეტის ქსელში კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. (14.07.2006 №3453)

2. აუქციონის გამართვის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს:

ა) მომსახურების ბაზრის შესაბამისი გეოგრაფიული საზღვრები;

ბ) ამოწურვადი რესურსით სარგებლობისას მისი გამოყენების ტექნიკური და საოპერაციო პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს საზიანო ხელშეშლებისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზეგავლენის თავიდან აცილებას;

გ) საწყისი ან შეთავაზებული საფასური;

დ) განცხადებათა მიღების დაწყებისა და დამთავრების, აუქციონის გამართვის ვადები.

ე) „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული სხვა მონაცემები. (28.12.2005 №2564)

3. ამოღებულია (28.12.2005 №2564)

4. აუქციონის გამართვის დროს კომისია ხელმძღვანელობს ობიექტურობის, გამჭვირვალებობის, საჯაროობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპებით.

5. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომისია. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის მაქსიმალური ოდენობის შეთავაზება, რომლის 30 პროცენტის გადახდა ხორციელდება აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილება ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ან ინტერნეტის ქსელით.

6. ლიცენზია გაიცემა კონკურსში გამარჯვებულის მიერ ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის 30 პროცენტის გადახდიდან 7 სამუშაო დღის ვადაში. ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის დარჩენილი ნაწილის გადახდა ხორციელდება ლიცენზიის მიღებიდან 1 წლის განმავლობაში, კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

7. თუ აუქციონში გამარჯვებული პირის მიზანია ავტორიზებული საქმიანობის დაწყება (მომსახურების გაწვევის დაწყება) და შესაბამისად მის მიერ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობისათვის საჭიროა სხვა უწყებათა ნებართვა, მისი ერთი გაჩერების პრინციპის თანახმად მიღების მიზნით აუქციონში გამარჯვებული პირი უფლებამოსილია წარუდგინოს კომისიას ამ ნებართვისათვის საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილი სათანადო დოკუმენტაცია, ხოლო კომისია უზრუნველყოფს შესაბამისი უწყებებიდან სათანადო ნებართვის მიღებას. ამ შემთხვევაში კომისია სათანადო დოკუმენტაციის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მიმართავს შესაბამის უწყებებს და უგზავნის აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. თუ შემდგომი 20 სამუშაო დღის ვადაში შესაბამისი უწყებიდან მიღებული იქნება ნებართვის გაცემაზე უარი, მასში დასაბუთებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამობა და მითითებული უნდა იყოს ამგვარი შეუსაბამობის გამოსწორების გზები. აუქციონში გამარჯვებულ პირს ეძლევა დამატებითი ვადა აღნიშნული შეუსაბამობის გამოსასწორებლად. (28.12.2005 №2564)

მუხლი 53. ლიცენზიის მოდიფიცირება

1. ლიცენზიის მოდიფიცირების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ცვლილება;

ბ) კომისიის ან ლიცენზიის მფლობელის დასაბუთებული მოთხოვნა.

2. ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომისია.

მუხლი 54. ლიცენზიის გაუქმება (8.12.2006 №3921)

ლიცენზიის გაუქმების საფუძველია ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნა ან სალიცენზიო პირობების დარღვევა, როცა ლიცენზიის მფლობელის მიმართ უკვე გამოყენებულია ამ დარღვევისათვის ამ კანონის 45-ე მუხლით გათვალისწინებული გაფრთხილებისა და სულ ცოტა ერთხელ დაჯარიმების სანქციები.

მუხლი 55. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტერიტორიით სარგებლობა, მიწათსარგებლობა, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების დაცვა

1. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების დაცვის უზრუნველსაყოფად საქართველოს მთავრობა ადგენს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების დაცვის წესს და მათი დაცვის ზონებს. სახაზო ნაგებობების დაცვის ზონაში ნებისმიერი მიწის სამუშაოების ჩატარება შეიძლება მხოლოდ სახაზო ნაგებობების მფლობელთან შეთანხმებით. (8.12.2006 №3921)

2. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები კომისიასთან კოორდინირებულად შეიმუშავენ მათ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე და მიწის ნაკვეთებზე ავტორიზებული პირებისათვის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის სისტემების, ელემენტების, ტექნიკური საშუალებების, აღჭურვილობებისა და დამატებითი რესურსების განთავსებისათვის უფლების მინიჭების გამჭვირვალე და არადისკრიმინაციულ პროცედურებს.

3. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორებს უფლება აქვთ მიწისა და ობიექტების მფლობელებთან (მესაკუთრებებთან) შეთანხმების საფუძველზე ელექტრონული კომუნიკაციები გაიყვანონ მიწის ნებისმიერ მონაკვეთზე, ხიდებზე, გვირაბებში, ქუჩებში, საინჟინრო ნაგებობებში, კოლექტორებსა და დაცულ ზონებში.

4. ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ სოციალური ინფრასტრუქტურის დაპროექტებას, მშენებლობასა და რეკონსტრუქციას, ვალდებული არიან კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში გაითვალისწინონ და აწარმოონ საინჟინრო ნაგებობების დაპროექტება, მშენებლობა ან რეკონსტრუქცია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და საშუალებების განთავსების მიზნით.

5. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და საშუალებების დაპროექტების, მშენებლობისა და მონტაჟის სამუშაოები სრულდება მშენებლობის დამკვეთის ხარჯზე, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და საშუალებების მშენებლობისათვის დადგენილი ტექნიკური სტანდარტების დაცვით.

თავი IX.

ციფრული მასშტაბობა და ინდივიდუალური დაშვების სისტემაში

მუხლი 56. ფართოფორმატიანი ციფრული სატელემაუწყებლო მომსახურება

1. სერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორები, რომლებიც საქმიანობენ ადგილობრივი დაშვების ქსელის საშუალებებით ბოლო

მომხმარებლებისთვის ციფრული მაუწყებლობის მიწოდების სფეროში, ვალდებული არიან იმგეარად უზრუნველყონ თავიანთი ქსელებისა და ტექნიკური საშუალებების ტექნიკური მახასიათებლები, რომ შეძლონ ფართოფორმატიანი ციფრული სატელე-მაუწყებლო სიგნალების გადაცემა და პროგრამების განაწილება (დისტრიბუცია).

2. ციფრული მაუწყებლობის მიწოდებელი ტრანზიტული კავშირის (მომსახურების) ოპერატორი, რომელიც ახორციელებს ფართოფორმატიანი ციფრული სატელემაუწყებლო სიგნალების ბოლო მომხმარებლისთვის ტრანზიტულად განაწილებას (დისტრიბუციას), ვალდებულია სათანადოდ უზრუნველყოს თავისი ქსელის ტექნიკური საშუალებების მახასიათებლები და ფართოფორმატიანი სატელევიზიო პროგრამების ბოლო მომხმარებლისთვის მიწოდება ფორმატის შენარჩუნებით.

მუხლი 57. ციფრული ინტერაქტიული ტელემაუწყებლობის მომსახურების ურთიერთოპერაბელურობა და მისი უზრუნველყოფა

1. ციფრული ინტერაქტიული ტელემაუწყებლობის მომსახურების მიწოდებელი ოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს ღია გამოყენებითი პროგრამული ინტერფეისის გამოყენება. ციფრული ინტერაქტიული ტელემაუწყებლობის ქსელის შესაბამის ელემენტებთან, მათ შორის, აბონენტის ინდივიდუალური დაშვების სისტემისა და პროგრამების (მომსახურების) ელექტრონული სარჩევის (მეგზურის) რესურსებთან, მსურველი ავტორიზებული პირების შეუზღუდავი დაშვება.
2. ციფრული ტელემაუწყებლობის ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ავტორიზებულმა ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს ურთიერთოპერაბელურობა და ღია გამოყენებითი პროგრამული ინტერფეისების შესაბამისობა დადგენილ ტექნიკურ სტანდარტებთან, ასევე უნდა მიაწოდოს კომისიას ინფორმაცია არჩეული გამოყენებითი პროგრამული ინტერფეისის მახასიათებლების შესახებ.
3. ციფრული ტელემაუწყებლობის ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ავტორიზებულმა ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს ციფრული ინტერაქტიული ტელემაუწყებლობის მომსახურების მიწოდებულებისათვის სამართლიანი, გონივრული და არადისკრიმინაციული პირობებით ყველა იმ არსებითი მნიშვნელობის ინფორმაციის მიწოდება, რომელიც უზრუნველყოფს მსურველი ავტორიზებული პირების შეუზღუდავ დაშვებას მათ ტექნიკურ საშუალებებთან, ფუნქციონალურ რესურსებთან და საოპერაციო სიმძლავრეებთან.
4. ციფრული ინტერაქტიული ტელემაუწყებლობის მომსახურების და ციფრული მაუწყებლობის სააბონენტო აღჭურვილობის მიწოდებულმა ოპერატორებმა უნდა უზრუნველყონ საკუთარი ტექნიკური საშუალებებისა და სისტემების ურთიერთოპერაბელურობა, აგრეთვე არადისკრიმინაციული და გამჭვირვალე პირობებით ყველა იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც უზრუნველყოფს ციფრული ტელემაუწყებლობის მომსახურების შეუფერხებლად და ხარისხიანად მიწოდებას.
5. ციფრული მაუწყებლობის სააბონენტო აღჭურვილობამ, რომელიც განკუთვნილია ციფრული ინტერაქტიული ტელემაუწყებლობის სიგნალების მისაღებად, უნდა უზრუნველყოს:

- ა) ამ კანონით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად დადგენილი კოდირების ალგორითმით მიღებული კოდირებული სიგნალების გაშიფვრა;
- ბ) ციფრული ტელემაუწყებლობის გადაცემული სიგნალების გარკვევით და ხარისხიანად გამოსახვა სატელევიზიო ეკრანზე;

გ) ციფრული ინტერაქტიული მაუწყებლობის მომსახურების სახეების ბოლო მომხმარებლისთვის შეუფერხებლად მიწოდება;

დ) ტექნიკური საშუალებებისა და მომსახურების სახეების ურთიერთოპერაბელურობა.

თავი X.

სტანდარტიზაცია, სერტიფიკაცია და მეტროლოგიური ნორმების დაცვა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში

მუხლი 58. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი სტანდარტები

1. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი ევროპული ჰარმონიზებული სტანდარტების ჩამონათვალს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.
2. რადიოდანადგარები და სატელეკომუნიკაციო ტერმინალური დანადგარები შეესაბამება რადიოდანადგარებისა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალური დანადგარების სერტიფიცირების რეგლამენტით განსაზღვრულ ძირითად მოთხოვნებს.

მუხლი 59. რადიოდანადგარებისა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალური დანადგარების სერტიფიცირება

1. რადიოდანადგარებისა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალური დანადგარების სერტიფიცირება ხორციელდება კომისიის მიერ დამტკიცებული რადიოდანადგარებისა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალური დანადგარების სერტიფიცირების რეგლამენტის შესაბამისად.
2. რადიოდანადგარებისა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალური დანადგარების სერტიფიცირებას ახორციელებენ სერტიფიცირების საგამოცდო ცენტრები და ლაბორატორიები, რომლებიც კომისიის წარდგინებით აკრედიტებული არიან საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის ეროვნულ სააგენტოში. აკრედიტებული საგამოცდო ცენტრის (ლაბორატორიის) მიერ შესაბამისი ნორმატიული აქტების დარღვევისას კომისიის წარდგინების საფუძველზე აკრედიტაცია უქმდება.
3. რადიოდანადგარებისა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალური დანადგარების სერტიფიცირება ხორციელდება შესაბამისი ტექნიკური ნორმების დაცვით.

მუხლი 60. ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებების მეტროლოგიური ნორმების დაცვა

1. ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებების მეტროლოგიური ნორმებს იცავენ სერტიფიცირების საგამოცდო ცენტრები და ლაბორატორიები.
2. კომისია დადგენილი წესით, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში არეგულირებს და აკონტროლებს ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებების მეტროლოგიური ნორმების დაცვას.

თავი XI.

მომსახურების ხარისხი და მომხმარებელთა უფლებების დაცვა (28.12.2005 №2564)

მუხლი 61. ამოღებულია (28.12.2005 №2564)

მუხლი 62. მომხმარებელთა უფლებების დაცვა და მომსახურების ზოგადი წესები

1. მომხმარებელს აქვს საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების სახეობის თავისუფლად არჩევის უფლება.

2. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომხმარებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას ზედამხედველობს კომისია.

3. მომხმარებელს აქვს უფლება, მიიღოს ინფორმაცია, მათ შორის, გაწეული ან არჩეული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ტარიფების, მომსახურების მიწოდებისა და ანგარიშსწორების პირობების, საანგარიშო პერიოდის დეტალური ბილინგის ინფორმაციის შესახებ.

4. ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებელი ვალდებულია საკუთარ აბონენტს დადგენილი სტანდარტების შესაბამისად მაწოდოს მომსახურება სათანადოდ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც უნდა მოიცავდეს:

ა) ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების დასახელებასა და მისამართს;

ბ) პირობებს მიწოდებული მომსახურების სახის, ხარისხისა და პირველადი ჩართვის ვადის შესახებ;

გ) მომსახურების მიწოდების შეზღუდვისა და შეწყვეტის პირობებს;

დ) დაზიანების აღმოფხვრის პირობებს;

ე) დეტალურ ინფორმაციას მომსახურების ტარიფების, აგრეთვე ცვლილების შემთხვევაში განახლებული ინფორმაციის მიღების შესახებ;

ვ) ხელშეკრულების მოქმედების ვადის, მოქმედების შეწყვეტისა და მოქმედების ვადის გაგრძელების პირობებს;

ზ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ხარისხის დაცვის უზრუნველყოფისა და აღნიშნული ხარისხობრივი მაჩვენებლების დაუცველობის შემთხვევაში გათვალისწინებულ საკომუნიკაციო მექანიზმებს;

თ) მომსახურებასთან დაკავშირებული საჩივრების წარდგენისა და დავის გადაწყვეტის პროცედურას.

5. კომისია ადგენს მომსახურების გაწევის ხარისხს და ზედამხედველობს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებლების მიერ ამ ხარისხის დაცვას.

6. ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი აბონენტი უფასო საცნობარო მომსახურებით, მათ შორის, ბილინგის ინფორმაციისა და დავალიანების შესახებ უფასო საინფორმაციო მომსახურებით და შესაბამისი ანგარიშით.

7. ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებელი ვალდებულია

საკუთარი აბონენტისათვის უფასოდ ხელმისაწვდომი გახადოს საგანგებო მომსახურების სატელეფონო ნომრები.

8. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებს და მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტს განსაზღვრავს კომისია ნორმატიული აქტით.

მუხლი 63. ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებულსა და ბოლო მომხმარებელს შორის დავის განხილვის წესი

1. ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებულსა და ბოლო მომხმარებელს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში ურთიერთობა რეგულირდება ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

2. ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებელი ვალდებულია შექმნას საჩივრების განხილვისა და მათზე რეაგირების ეფექტიანი შიდა მექანიზმი. ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებულის მიერ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმართოს თავად ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებულს ან/და კომისიას ან პირდაპირ სასამართლოს.

3. ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებელი ვალდებულია საჩივარი განიხილოს 15 დღის ვადაში.

4. ამოღებულია (28.12.2005 №2564)

5. მომხმარებელთა განცხადებებსა და საჩივრებს კომისია განიხილავს ზეპირი მოსმენით, ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების წესით, გარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი გამონაკლისებისა და იმ შემთხვევებისა, როდესაც დავის გადაწყვეტა არ მოითხოვს ორგანიზებული პროცედურების განხორციელებას. მომხმარებელთა იმ განცხადებებსა და საჩივრებს, რომლებიც შეეხება პირთა ფართო წრის ინტერესებს, აგრეთვე დაკავშირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებთან, კომისია განიხილავს მხოლოდ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

6. ზეპირი მოსმენის სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს საქმისთვის მნიშვნელოვან გარემოებათა გამოკვლევა, საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გამოთხოვა და დამსწრე პირთა მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლების განხორციელება.

7. ბოლო მომხმარებელსა და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებულს შორის დავის განხილვისას კომისია ხელმძღვანელობს ამ კანონის V თავით დადგენილი წესით, თუ ამ თავით არ არის დადგენილი განსხვავებული წესი.

8. ზეპირი მოსმენის შესახებ დგება ოქმი. ოქმში უნდა მითითდეს: ადმინისტრაციული წარმოების დასახელება, რომლის თაობაზედაც ეწყობა მოსმენა; ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება; განხილვის წელი, თვე და რიცხვი, დრო და ადგილი; სხდომის თავმჯდომარის, ზეპირ მოსმენაში მონაწილე დაინტერესებული მხარის, ექსპერტის, მოწმის ვინაობა; ზეპირი მოსმენის საგანი, წარდგენილი განცხადების მოკლე მიმოხილვა; მოწმეთა და ექსპერტთა ჩვენებების

მოკლე აღწერა; შემთხვევის ადგილის (არსებობის შემთხვევაში) დათვალიერების შედეგის აღწერა.

9. ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. დანტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაეცნოს ოქმს და გაცნობიდან 3 საუბარო დღის ვადაში წარადგინოს შენიშვნები ოქმის თაობაზე, მიუთითოს მასში არასწორი ან არასრული ინფორმაციის არსებობა. თუ კომისია ეთანხმება შენიშვნას, ადასტურებს მის სისწორეს, ხოლო თუ არ ეთანხმება, გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტს შენიშვნის უარყოფის შესახებ.

10. ზეპირი მოსმენის ძირითადი მიზანია დავის მხარეთა მორიგებით გადაწყვეტა.

11. ზეპირი მოსმენიდან 10 საუბარო დღის ვადაში კომისია საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც მხარეებისთვის სავალდებულოა შესასრულებლად. გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით გამართულ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება აქვს კომისიის მხოლოდ იმ წევრს, რომელიც მონაწილეობდა ზეპირ მოსმენაში.

12. თუ დადასტურდება დარღვევის ფაქტი, კომისია იღებს გადაწყვეტილებას დამრღვევი პირის მიმართ სანქციების გამოყენებისა და დარღვეული უფლების აღდგენის თაობაზე.

თავი XII.

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 64. გარდამავალი დებულებანი

1. ამ კანონის ამოქმედებიდან 1 წლის ვადაში კომისია ახდენს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი ყველა ლიცენზირებული პირის ავტომატურ ავტორიზაციას ამ კანონის შესაბამისად და გასცემს სათანადო მოწმობებს, აგრეთვე ახდენს იმ პირების კუთვნილი ლიცენზიების ამ კანონის შესაბამისად მოდიფიცირებას, რომლებიც სარგებლობენ ამოწურვადი რესურსით.

2. ყველა პირი, რომელიც ამოწურვად რესურსს იყენებს შიდასწარმოო და ტექნოლოგიური დანიშნულებით, არაკომერციული მიზნით, ვალდებულია ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყოს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

3. ნუმერაციის ახალ ეროვნულ სისტემაზე გადასვლა განხორციელდეს ამ კანონის ამოქმედებიდან 2 წლის ვადაში. საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული წესით. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი ვალდებული არიან საკუთარი ხარჯებით, კომისიის მიერ დადგენილ ვადაში უზრუნველყონ ქსელის ნუმერაციის სისტემათა შესაბამისობა ნუმერაციის ახალ ეროვნულ სისტემასთან.

4. ამოღებულია (28.12.2005 №2564)

5. საქართველოს პარლამენტმა ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში მიიღოს საქართველოს კანონი:

ა) „ფოსტის შესახებ“;

ბ) „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“.

6. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონი. (28.12.2005 №2564)

7. კომისიამ ამ კანონის ამოქმედებიდან 1 წლის ვადაში მიიღოს შემდეგი ნორმატიული აქტები:

ა) „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში უნივერსალური მომსახურების შესახებ“;

ბ) „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის“ დამტკიცების შესახებ;

გ) „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტის“ დამტკიცების თაობაზე;

დ) „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების“ დამტკიცების თაობაზე;

ე) „მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესების“ დამტკიცების თაობაზე;

ვ) „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების“ დამტკიცების თაობაზე.

8. ავტორიზაციის სისტემაზე სრულყოფილად გადასვლამდე, „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განმახორციელებელი ყველა ლიცენზიის მფლობელმა, რომელიც თავის საქმიანობაში იყენებს რადიოსიხშირულ სპექტრს (გარდა სამუწყებლო ლიცენზიის მფლობელებისა და იმ ლიცენზიის მფლობელებისა, რომლებსაც რადიოსიხშირეები მიენიჭათ შიდასაწარმოო და ტექნოლოგიური დანიშნულებით, არაკომერციული მიზნით, ან სახელმწიფო თავდაცვის, უშიშროების, მარინტეხნიკის და ცივის და ეკოლოგიური მონიტორინგის ღონისძიებათა ჩასატარებლად საკომუნიკაციო სპეციალური ქსელების ორგანიზებისათვის), „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის“ დამტკიცების შესახებ“ კომისიის ნორმატიული აქტის მიღებამდე, ეს რადიოსიხშირეები გამოიყენოს მხოლოდ მის ლიცენზიაში განსაზღვრული საქმიანობისათვის.

9. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი და ამ კანონის ამოქმედებამდე საქართველოში აღიარებული ევროპული ჰარმონიზებული სტანდარტები განსაზღვრულია „რადიოდანადგარებისა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალური დანადგარების სერტიფიცირების რეგლამენტით“.

10. ავტორიზებული პირები, რომლებსაც შიდატექნოლოგიური ან/და დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით გამოყენებისათვის მინიჭებული აქვთ რადიოსიხშირეები, აგრეთვე თუ კომისიის ნებართვით მათზე გაცემულია ნუმერაციის რესურსი, ინარჩუნებენ ამ რადიოსიხშირეებს ან ნუმერაციის რესურსს შესაბამისი ვადის განმავლობაში. ამ ვადის ამოწურვამდე, შესაბამისი პირის მიერ კომისიისათვის გაცხადებით მიმართვის საფუძველზე, კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის 10 წლის ვადით, აუქციონის გამართვის გარეშე გაცემის შესახებ. ამ შემთხვევაში პირი იხდის სალიცენზიო მოსაკრებელს. (28.12.2005 №2564)

11. არავტორიზებდად პირებს, რომელთა საქმიანობა არ არის დაკავშირებული საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფასთან, ან/და ამ ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების

მიწოდებასთან, მაგრამ საქმიანობის საჭიროებებ რადიოსიხშირების ან/და ნუმერაციის დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით გამოყენებას, კომისია ანიჭებს რადიოსიხშირებს ან/და ნუმერაციას დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით დროებით, 1 წლის ვადით გამოყენებისათვის. (8.12.2006 №3921)

12. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ძალადაკარგულად ცნოს „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში უნივერსალური მომსახურების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 10 დადგენილება.

(28.12.2005 №2564)

13. კომისიის მიერ ლიცენზიის საფუძველზე გაცემული ან/და კომისიის გადაწყვეტილებით მინიჭებული რადიოსიხშირის შეცვლა ლიცენზიის მოქმედების ან/და კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში შეიძლება ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმებით. იმ შემთხვევაში, თუ რადიოსიხშირის შეცვლით პირს მიადგა ზიანი, მიყენებული ზიანის კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნის საფუძველზე, ხოლო გადახდის პირობები და ფორმა – ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, კომისიის მიერ. (28.12.2005 № 2564)

14. უნივერსალური მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით გახსნილ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სპეციალურ ანგარიშზე არსებული თანხა მიიმართოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში. (28.12.2005 №2564)

15. ავტორიზებულ პირებს, რომლებსაც ავტორიზებული საქმიანობის განხორციელების უზრუნველსაყოფად, არაკომერციული მიზნითა და შიდატექნოლოგიური დანიშნულებით ესაჭიროებათ რადიოსარელო ქსელი ან რადიოსარელო ხაზის ერთი ან რამდენიმე მონაკვეთი, მათ მიერ კომისიაში შეტანილი განაცხადის შესაბამისად, რომელიც უნდა შეიცავდეს ქსელისა და სადგურების ძირითად ტექნიკურ მახასიათებლებს, კომისია უფლებამოსილია ასეთ პირებს 10 წლის ვადით მიანიჭოს რადიოსიხშირები აუქციონის გამართვის გარეშე. ამ შემთხვევაში პირი იხდის ამ რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის საწყისი საფასურის ოდენობას, რომელიც განისაზღვრება „რადიოსიხშირული სექტორით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულებით“. „რადიოსიხშირული სექტორის განაწილების ეროვნულ გეგმაში“ ცვლილების შეტანისას, კომისია უფლებამოსილია ავტორიზებული პირისათვის მინიჭებული რადიოსიხშირე შეცვალოს ამ გეგმით გათვალისწინებული სხვა რადიოსიხშირით. ამ შემთხვევაში პირი არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს კომპენსაცია. (8.12.2006 №3921)

მუხლი 64¹. კანონის მოქმედება (28.12.2005 №2564)

თუ ამ კანონით დადგენილია ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ლიცენზიების გაცემისა და სალიცენზიო პირობების შესრულების შემოწმების განხორციელების „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონისგან განსხვავებული წესი, აგრეთვე პასუხისმგებლობის განსხვავებული ფორმა ან/და ოდენობა, გამოყენება ეს კანონი.

მუხლი 65. ძალადაკარგული ნორმატიული აქტები

1. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს კომისიის:

ა) 2000 წლის 1 სექტემბრის დადგენილება „კავშირგაბმულობის სფეროში საქმიანობის ლიცენზიის მფლობელთა ხელახალი რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე;

ბ) 2001 წლის 10 ივლისის დადგენილება „კავშირგაბმულობის ქსელების ურთიერთჩართვის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე;

გ) 2002 წლის 20 დეკემბრის დადგენილება „კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე და სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის განსაზღვრისა და სალიცენზიო გადასახდელის გადახდის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე.

2. ამ კანონის შესაბამისად კომისიის მიერ ნორმატიული აქტის მიღებისთანავე ძალადაკარგულად ჩითვალოს ყველა სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტი, რომელიც აწესრიგებს კომისიის მიერ მიღებული ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ ურთიერთობებს.

მუხლი 66. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა 45-ე მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის 45-ე მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,

2005 წლის 2 ივნისი.

1514 - 1ს

საქართველოს კანონი

რეკლამის შესახებ

1998 წლის 18 თებერვალი

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს კანონმდებლობა რეკლამის შესახებ

საქართველოს კანონმდებლობა რეკლამის შესახებ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებისაგან.

მუხლი 2. კანონის მიზანი და გამოყენების სფერო

1. ეს კანონი არეგულირებს საქართველოს სასაქონლო (სამუშაოთა, მომსახურების) და საფინანსო ბაზრებზე (ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩათვლით) რეკლამის წარმოების, განთავსებისა და გავრცელების დროს წარმოქმნილ სამართლებრივ ურთიერთობებს.

2. კანონის მიზანია რეკლამის სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, საზოგადოებრივი ინტერესების, რეკლამის სუბიექტებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, არასათანადო რეკლამის თავიდან აცილება და აღკვეთა.

3. კანონი ვრცელდება საქართველოსა და უცხო ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრაციის საფუძველზე აწარმოებენ, განათავსებენ და ავრცელებენ რეკლამას საქართველოში.

4. კანონი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქართველოს ფარგლებს გარეთ საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქმედება რეკლამის სფეროში იწვევს (შეიძლება გამოიწვიოს) შესაბამის უარყოფით შედეგებს (კონკურენციის შეზღუდვა, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შეკლამაში შეყვანა) საქართველოს ტერიტორიაზე.

5. კანონი არ ვრცელდება პოლიტიკურ რეკლამაზე.

6. კანონი არ ვრცელდება ფიზიკურ პირთა იმ განცხადებებზე, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული სამეწარმეო საქმიანობასთან.

7. კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი და მე-8 მუხლის მე-8 პუნქტი არ ვრცელდება სასაქონლო ნიშნით გაფორმებულ მოხმარების იმ საგნებსა და ვაჭრობის ხელშეწყობ მოწყობილობებზე, რომელთა ჩამონათვალი განისაზღვრება შესაბამისი ნორმატიული აქტით. (30.06.2000 №62 საკანონმდებლო მაცნე)

8. სამაუწყებლო რეკლამისა და სპონსორობის საკითხები რეგულირდება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ხოლო რეკლამისადმი ზოგადი მოთხოვნები, აღკოპოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის, სექსუალური ხასიათის პროდუქციის, სამედიცინო ნაწარმის (მომსახურების), ჩვილ ბავშვთა ხელოვნური კვების, იარაღის, ფასიანი ქაღალდების რეკლამის, აგრეთვე რეკლამის წარმოების, განთავსებისა და გავრცელების დროს არასრულწლოვანთა დაცვის საკითხები რეგულირდება ამ კანონის შესაბამისად. (9.06.2006 №3245)

მუხლი 3. კანონში გამოყენებული ტერმინები

1. რეკლამა - საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე (შემდგომში-საქონელზე), ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას.

2. არასათანადო რეკლამა - არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო, არაეთიკური, აშკარად ყალბი ან სხვა რეკლამა, რომელშიც დარღვეულია მისი შინაარსის, დროის, ადგილის ან გავრცელების წესის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

3. არაკეთილსინდისიერი რეკლამა - რეკლამა, რომელიც შეიცავს რეკლამირებადი საქონლის არაკორექტულ შედარებებს სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საქონელთან, კონკურენტის ან მესამე პირის სახელის, ღირსებისა და რეპუტაციის შემლახვე გამოთქმებს, ახდენს იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა დისკრედიტირებას, რომლებიც არ სარგებლობენ რეკლამირებადი საქონლით, აგრეთვე რომელსაც ფიზიკურ პირთა ნდობის ანდა მათი ცოდნისა და გამოცდილების უკმარისობის ბოროტად გამოყენებით შეცდომაში შეჰყავს მოხმარებელი რეკლამირებადი საქონლის თვისებების შესახებ.

4. არასარწმუნო რეკლამა - რეკლამა, რომელიც შეიცავს სინამდვილესთან შეუსაბამო მონაცემებს რეკლამის დამკვეთის, საქონლის თვისებების, შემადგენლობის, დამზადების ადგილის, წესის, თარიღის, დანიშნულების, სამომხმარებლო თვისებების, გამოყენების პირობების, სერტიფიკატის ნიშნების, სახელმწიფო სტანდარტებთან შესაბამისობის, რაოდენობის, ბაზარზე საქონლის არსებობის, მისი აღნიშნული რაოდენობით მითითებულ ადგილზე და ვადაში შექმნის შესაძლებლობის, რეკლამის გავრცელებისას საქონლის ღირებულების (ფასის), ანაზღაურების დამატებითი პირობების, საქონლის მიტანის, დაბრუნების, შეკეთების, საგარანტიო ვალდებულებების, ვარგისიანობის ვადის, სახელმწიფო სიმბოლიკის (დროშა, გერბი, ჰიმნი) გამოყენების უფლების, ოფიციალური აღიარების (მაღლობის, პრიზების, დიპლომებისა და სხვა ჯილდოების

მიღება), გამოკვლევისა და გამოცდის შედეგების, საქონელზე მოთხოვნის ფაქტობრივ მოცულობის შესახებ.

5. არაეთიკური რეკლამა - რეკლამა, რომელიც ფიზიკურ პირთა ეროვნების, რასის პროფესიის, სოციალური კუთვნილების, ასაკის, სქესის, ენის, რელიგიის პოლიტიკური და ფილოსოფიური მრწამსის მიმართ შეურაცხყოფელი სიტყვების და შედარებების გამოყენებით არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ ჰუმანურ და ზნეობრივ ნორმებს, ხელყოფს ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ საგანძურზე შემავალ ხელოვნების ობიექტებს, ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს ბღალავს სახელმწიფო სიმბოლიკას (დროშა, გერბი, ჰიმნი), საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტას, რელიგიურ სიმბოლოებს, ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, მათ საქმიანობას, პროფესიას ან საქონელს.
6. ამჟამად ყალბი რეკლამა - რეკლამა, რომლის მეშვეობითაც რეკლამის დამკვეთს (რეკლამის მწარმოებელს, რეკლამის გამავრცელებელს) განზრახ შეჰყავს შეცდამაში რეკლამის მომხმარებელი.
61. შედარებითი რეკლამა - რეკლამა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად მიუთითებს კონკურენტზე ან ისეთ საქონელზე ან/და მომსახურებაზე, რომელიც შეთავაზებულია კონკურენტის მიერ. (25.11.2005 №2165)
7. კონტრრეკლამა - არასათანადო რეკლამის უარყოფის გავრცელება.
8. რეკლამის დამკვეთი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც წარმოადგენს სარეკლამო ინფორმაციის წყაროს მისი შემდგომი წარმოების, განთავსებისა და გავრცელებისათვის.
9. რეკლამის მწარმოებელი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სარეკლამო ინფორმაციას მზა სახეს აძლევს განთავსებისა და გავრცელებისათვის.
10. რეკლამის გამავრცელებელი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც განათავსებს და/ან ავრცელებს რეკლამას ქონების (მათ შორის, რადიო- და ტელემაუწყებლობის ტექნიკური საშუალებების, კამპიუტერული არხების, საეთერო დროის და სხვა საშუალებების) გამოყენებით.
11. რეკლამის მომხმარებელი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის საყურადღებოდ და/ან რომელზე შესაძამისი ზეგავლენის მოსახდენადაც ვრცელდება სარეკლამო ინფორმაცია.
12. თამბაქოს ნაწარმის რეკლამა - რეკლამა, რომელიც შეიცავს თამბაქოს ნაწარმის ან თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელი ფირმის სასაქონლო ნიშანს, ლოგოტიპს. თამბაქოს ნაწარმის, მისი კოლოფის, ყუთის, მოხმარების პროცესის ან მასთან დაკავშირებული ქმედების დემონსტრირებას.
13. ალკოჰოლიანი სასმელის რეკლამა - რეკლამა, რომელიც შეიცავს ალკოჰოლიანი სასმელის ან ალკოჰოლიანი სასმელის მწარმოებელი ფირმის სასაქონლო ნიშანს, ლოგოტიპს, ალკოჰოლიანი სასმელის, მისი ტარის, მოხმარების პროცესის ან მასთან დაკავშირებული ქმედების დემონსტრირებას.
14. მაგარი სპირტიანი სასმელის რეკლამა - ალკოჰოლიანი სასმელის რეკლამა, რომლის შემადგენლობაში სპირტის შემცველობა აღემატება 14 პროცენტს.
15. სექსუალური ხასიათის პროდუქციის რეკლამა - რეკლამა, რომელიც შეიცავს

იმ პროდუქციის დემონსტრირებას, რომელიც ემსახურება სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, მათ შორის, სექსუალური დარღვევების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის განკუთვნილი სამედიცინო ნაწარმისა. (20.06.2003 №2442)

15. სამაუწყებლო რეკლამა – მაუწყებლის მიერ გავრცელებული (გადაცემული) კომერციული, სოციალური ან წინასაარჩევნო რეკლამა, გარდა მაუწყებლის მიერ საკუთარ ან დამოუკიდებელ პროგრამასთან დაკავშირებით გაცემული განცხადებისა, რომელიც არის ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე, საქონელზე, მომსახურებაზე, სამუშაოზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური ან იურიდიული პირის, საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას. (9.06.2006 №3245)

თავი II

ზოგადი და სპეციალური მოთხოვნები რეკლამისადმი

მუხლი 4. ზოგადი მოთხოვნები რეკლამისადმი

1. რეკლამა მისი წარდგენის მომენტშივე გასაგები უნდა იყოს სპეციალური ცოდნისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებლად, როგორც უშუალოდ რეკლამა.
2. რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე. ეს მოთხოვნა არ ეხება იმ გადაცემებსა და გამოცემებს, რომლებიც ვრცელდება სხვა ენაზე, აგრეთვე არ ეხება წარწერას საქონლის გამოსახულებაზე, გარდა სასაქონლო ნიშნისა, ხოლო საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე.
3. უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით (გარდა ტელეპროდუქციისა) არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას. (30.06.2000 №462 საკანონმდებლო მაცნე)
4. ორენოვანი მანათობელი წარწერის გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ობიექტზე გაცემული ყველა წარწერა (ქართულიც და უცხოურიც) იყოს ერთნაირად განათებული და კითხვადი. (22.06.99 №2135 საკანონმდებლო მაცნე №27(34))
5. რეკლამაში ენობრივი ნორმების დაცვის საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
6. დაუშვებელია იმ საქონლის რეკლამირება, რომლის წარმოება და რეალიზაციაც აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით ან საჭიროებს სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას), მაგრამ ასეთი ნებართვა არ არის მიღებული; აგრეთვე იმ ეკონომიკური აგენტის რეკლამირება, რომლის საქმიანობაც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას), მაგრამ ასეთი ნებართვა არ არის მიღებული.

7. იმ საქონლის რეკლამას, რომლის სერტიფიცირებაც აუცილებელია, უნდა ახლდეს აღნიშვნა "სერტიფიცირებულია".
8. აკრძალულია არასათანადო რეკლამის განთავსება და გავრცელება. იგი ჩადენილი ქმედების, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხისა და ხასიათის შესაბამისად იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
9. აკრძალულია რეკლამაში ფიზიკური პირის გამოსახულების ან სახელის გამოყენება მისი ნებართვის გარეშე.
10. რეკლამაში განსაკუთრებული უფლებების ობიექტების (ინტელექტუალური საკუთრების) გამოყენება შეიძლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
11. რეკლამა არ უნდა უბიძგებდეს მოქალაქეებს ძალადობის, აგრესიისა და ქაოსისაკენ, არ უნდა მოუწოდებდეს მათ სამიში ქმედებისაკენ, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას ან დაემუქროს მის უსაფრთხოებას.
12. აკრძალულია რეკლამის გადასახდელის დიფერენცირება რეკლამირებადი საქონლის სახეების მიხედვით.
13. უცხო ქვეყნიდან საქართველოში გავრცელებული (ტრანსლირებული) რეკლამა, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას რეკლამის შესახებ, უნდა აღიკვეთოს საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.
14. აკრძალულია სექსუალური ხასიათის პროდუქციის რეკლამირებისას არასრულწლოვანთა გამოსახულების ან ხმის ნებისმიერი ფორმით გამოყენება. (20.06.2003 №2442)

მუხლი 5. არაგარერეკლამა (9.06.2006 №3245)

1. არასარეკლამო ვიდეო-, აუდიო- და კინოპროდუქციაში, აგრეთვე ბეჭდვით გამოცემებში აკრძალულია რეკლამის მომხმარებელთა ყურადღების ერთდროული აქცენტირება საქონლის კონკრეტულ მარკაზე (მოდელზე, არტიკულზე), დამამზადებელზე, შემსრულებელზე ან გამყიდველზე. იმ წინასწარი მითითების გარეშე, რომ ეს არის რეკლამა. (9.06.2006 №3245)
2. ამოღებულია (9.06.2006 №3245)
3. ამოღებულია (9.06.2006 №3245)
4. ამოღებულია (9.06.2006 №3245)
5. ამოღებულია (9.06.2006 №3245)
6. აკრძალულია კინო- და ვიდეომომსახურებაში ფილმის დემონსტრირების შეწყვეტა რეკლამით, გარდა სერიებს (ნაწილებს) შორის შესვენებებისა.
7. უფასო საცნობარო სატელეფონო მომსახურებისას რეკლამა აბონენტს შეიძლება მიეწოდოს მხოლოდ მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის შეტყობინების შემდეგ.
8. სატელეფონო, საკომპიუტერო და სხვა ფასიანი საცნობარო მომსახურებისას რეკლამა აბონენტს შეიძლება მიეწოდოს მხოლოდ მისი თანხმობით. ასეთი რეკლამის ღირებულება არ უნდა შევიდეს აბონენტის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის ღირებულებაში.

9. აკრძალულია ტელექსით ან ფაქსით რეკლამის გავრცელება აბონენტის წინასწარი თანხმობის გარეშე.

მუხლი 6. გარე რეკლამა

1. რეკლამის გავრცელება საქართველოს ქალაქებში, სოფლებში და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე შეიძლება პლაკატების, სტენდების, შუქფირნიშების, სტაბილური ტერიტორიული განთავსების სხვა ტექნიკური საშუალებების (გარე რეკლამა) გამოყენების იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია ამ მუხლის მე-2-8 პუნქტებით.

2. გარე რეკლამა არ უნდა ჰგავდეს საგზაო ნიშნებსა და მაჩვენებლებს; მან არ უნდა გააუარესოს ამ ნიშნების, მაჩვენებლებისა და გზის ხილვადობა, საფრთხე არ უნდა შეუქმნას ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას. შენობა-ნაგებობებზე გავრცელებული რეკლამა არ უნდა აუარესებდეს მათ არქიტექტურულ იერსახეს და კონსტრუქციულად მდგრადი უნდა იყოს. ნებისმიერი სახით გავრცელებული გარე რეკლამა არ უნდა ამახინჯებდეს ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ საგანძურში შემავალ ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს.

3. გარე რეკლამის განთავსებასა და გავრცელებაზე ნებართვას გასცემენ ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოები წერილობითი ფორმით.

(03.06.2005 №1551)

4. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს უნდა ჰქონდეთ გარე რეკლამის გავრცელების გეგმა (რეკლამის ზომის, ფორმისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით), რომელიც წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული:

ა) საავტომობილო გზათა მმართველობის სათანადო ორგანოსთან და საგზაო პოლიციის ტერიტორიულ ქვედანაყოფთან – რეკლამის გავრცელების ტერიტორიის საავტომობილო გზების კუთვნილ ან მის მომიჯნავე ზოლში მდებარეობისას (დასახლებული პუნქტების საზღვრებს გარეთ);

ბ) საგზაო პოლიციის ტერიტორიულ ქვედანაყოფთან - საქალაქო და სასოფლო დასახლებების ტერიტორიებზე;

გ) რკინიგზის მმართველობის სათანადო ორგანოსთან - რეკლამის გავრცელების ტერიტორიის რკინიგზის ტერიტორიის კუთვნილ ზოლში მდებარეობისას;

დ) საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო - საწარმოო სამმართველოსთან ან მისდამი დაქვემდებარებულ სტრუქტურებთან რეგიონებში - ბუნების, ისტორიისა და კულტურის დაცვით ზონებში, ნაკრძალებსა და ეროვნულ პარკებში.

5. გარე რეკლამის გავრცელებაზე ნებართვის მისაღებად მოსაკრებლის შემოღების წესი და ოდენობა განისაზღვრება საქართველოს კანონით.

6. გარე რეკლამის გავრცელება ტერიტორიაზე (მათ შორის, კულტურის ძეგლების, სარიტუალო ობიექტების, დაცულ ტერიტორიაზე), შენობა-ნაგებობებზე (ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე) და სხვა ობიექტებზე, აგრეთვე ამ რეკლამის გავრცელებისათვის გადასახდელის ოდენობა და გადახდის წესი დგინდება შესაკუთრესთან (ან პირთან, რომელსაც აქვს ქონების ფლობის უფლება) დადებული ხელშეკრულების

საფუძველზე, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამასთან, აუცილებელია ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ნებართვის არსებობა.

7. გარე რეკლამაზე მითითებული უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს მიერ რეკლამის გამავრცელებელზე გაცემული ნებართვის ნომერი.

8. ეკონომიკური აგენტის (მეწარმე სუბიექტის) ოფისზე ნებისმიერი ფორმით (აბრა, სტენდი და ა.შ.) განთავსებული ნებისმიერი ზომის წარწერა, რომელიც აღნიშნავს, რომ ამ ოფისში არის განთავსებული ესა თუ ის ობიექტი, საეჭვო ფირმა, რესტორანი და ა.შ. არ შეიძლება ჩაითვალოს რეკლამად, თუ ის არ არის დაშორებული ამ კონკრეტული ობიექტიდან 1.5 მეტრით მაინც. (03.06.2005 №1551)

მუხლი 7. რეკლამა სატრანსპორტო საშუალებებზე

1. სატრანსპორტო საშუალებებზე რეკლამის გავრცელება ხდება შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრესთან (ან პირთან, რომელსაც აქვს სატრანსპორტო საშუალების ფლობის უფლება) დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. მოძრაობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით სატრანსპორტო საშუალებებზე რეკლამის გავრცელების შეზღუდვისა და აკრძალვის შემთხვევებს განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანო.

მუხლი 8. ალკოპოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამა

1. ალკოპოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამა, გავრცელების წესის მიუხედავად, არ უნდა ქმნიდეს შთაბეჭდილებას, რომ ალკოპოლის ან თამბაქოს გამოყენება ხელს უწყობს ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, საზოგადოებრივ თუ სპორტულ სარბილზე წარმატების მიღწევას.

2. რეკლამა არ უნდა ახდენდეს ალკოპოლის ან თამბაქოს გამოყენებისაგან თავის შეკავების დისკრედიტირებას. ამასთან, იგი არ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მათი დადებითი სამკურნალო თვისებების შესახებ.

3. აკრძალულია მაგარი სპირტიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამის ნებისმიერი სახით გავრცელება ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების გამზირებზე, ხილებზე, მოედნებზე (და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე 20 მეტრის ფარგლებში) და სატრანსპორტო საშუალებებზე.

4. აკრძალულია ალკოპოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამის მიმართვა უშუალოდ არასრულწლოვნებისადმი, აგრეთვე ასეთი რეკლამის ნებისმიერი სახით გავრცელება არასრულწლოვანთათვის გათვალისწინებულ კინო- და ეიდუომომსახურებაში, რადიო- და ტელევიდეკებში, ბეჭდვით გამოცემებში.

5. აკრძალულია ალკოპოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამის გავრცელება საბავშვო, სასწავლო და სამედიცინო დაწესებულებებში, კულტურისა და სპორტის ორგანიზაციებში, აგრეთვე მათგან 100 მეტრის რადიუსში, გარდა ამ მუხლის 51 და 52 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. (9.06.2006 №243)

5¹. სპორტის ორგანიზაციებში ალკოპოლიანი სასმელის რეკლამის გავრცელება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სპორტის ორგანიზაცია (სტადიონი, სპორტული დარბაზი) მასპინძლობს ადგილობრივი (ეროვნული/ლოკალური) ან საერთაშორისო მნიშვნელობის სპორტულ ღონისძიებას (გარდა საბავშვო სპორტული შეჯიბრებისა). (9.06.2006 №3243)

5². ამ მუხლის 5¹ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ალკოპოლიანი სასმელის რეკლამის მიზნით დაიშვება ალკოპოლიანი სასმელის ან ამ პროდუქციის მწარმოებელი ფირმის სასაქონლო ნიშნის, ლოგოტიპის გამოყენება და სპორტულ ეკიპირებასა და სხვა ატრიბუტიკაზე გამოსახვა. (9.06.2006 №3243)

6. თამბაქოს ნაწარმის რეკლამა არ უნდა შეიცავდეს ამ ნაწარმის კოლოფისა და ყუთის გახსნილ მდგომარეობაში და მისი მოხმარების პროცესის დემონსტრირებას, მოწოდებებს მისი გამოყენების შესახებ. ამასთანავე, იგი არ უნდა არღვევდეს საყოველთაოდ აღიარებულ ჰუმანურ, ეთიკურ და ეთნოფსიქოლოგიაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ნორმებს. (9.06.2006 №3243)

6¹. ალკოპოლიანი სასმელის რეკლამას, რომელიც შეიცავს ასეთი სასმელის ტარის გახსნილ მდგომარეობაში ან მისი მოხმარების პროცესის დემონსტრირებას, მოწოდებებს მისი გამოყენების შესახებ, უნდა ახლდეს გაფრთხილება: „ალკოპოლის დიდი ოდენობით მიღება ენებს ჯანმრთელობას“. ამასთანავე, იგი არ უნდა არღვევდეს საყოველთაოდ აღიარებულ ჰუმანურ, ეთიკურ და ეთნოფსიქოლოგიაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ნორმებს. (9.06.2006 №3243)

7. აკრძალულია მაგარი სპირტიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამის გავრცელება რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით, გაზეთების კაბადონებზე, ჟურნალების გარეკანზე.

8. თამბაქოს ნაწარმის რეკლამის გავრცელებას (გარდა რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით) უნდა ახლდეს გაფრთხილება თამბაქოს მოწვევის მავნელობის შესახებ. თამბაქოს ნაწარმის რეკლამა, კერძოდ, უნდა შეიცავდეს დიდი შავი ასოებით თეთრ ფონზე გარკვევით დაწერილ ტექსტს: "ჯანდაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ: მოწვევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის". ამ რეკლამაში აგრეთვე უნდა ფიგურირებდეს ერთ-ერთი შემდეგი განცხადებათაგანი: "მოწვევა იწვევს კიბოს", "მოწვევა იწვევს გულის დაავადებებს", "მოწვევა იწვევს ნაადრევ სიკვდილს", "მოწვევა ორსულობის დროს საფრთხეს უქმნის ნაყოფის ჯანმრთელობას", "პასიური მოწვევა საშიშია ჯანმრთელობისათვის". ამგვარი ინფორმაცია უნდა ავსებდეს რეკლამის მთელი მოცულობის არანაკლებ 10 პროცენტს.

9. რადიო და ტელევიზიის საშუალებებით თამბაქოს ნაწარმის რეკლამირებისას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინფორმაცია თამბაქოს მოწვევის მავნეობის შესახებ უნდა იყოს გახმოვანებული. (21.12. 2001 №1220)

მუხლი 81. სექსუალური ხასიათის პროდუქციის რეკლამა

1. აკრძალულია სექსუალური ხასიათის პროდუქციის რეკლამის გავრცელება რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით, გაზეთების კაბადონებსა და ჟურნალების გარეკანზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვა არ ვრცელდება სექსუალური ხასიათის სამკურნალო-პროფილაქტიკურ საშუალებებსა და სამედიცინო ნაწარმზე, თუ ეს აუცილებელია ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ასეთ შემთხვევაში აღნიშნული პროდუქციის რეკლამის განთავსება და გავრცელება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. (20.06.2003 №2442)

მუხლი 9. სამედიცინო ნაწარმის (მომსახურების) რეკლამა

1. აკრძალულია სამკურნალო საშუალებების, სამედიცინო დანიშნულების ნაკეთობათა და სამედიცინო ტექნიკის რეკლამის გავრცელება, თუ მათ წარმოებაზე და/ან რეალიზაციაზე არ არის გაცემული ნებართვა; აგრეთვე მკურნალობის, პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და რეაბილიტაციის მეთოდების რეკლამის გავრცელება, თუ ასეთ მომსახურებაზე არ არის საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მიერ გაცემული სპეციალური ნებართვა, აღნიშნულ სფეროში გამოგონებაზე პატენტის მიღების შემთხვევაშიც კი.

2. აკრძალულია წამლის შესახებ ისეთი რეკლამის გავრცელება, რომელიც არწმუნებს მომხმარებელს, რომ მისი გამოყენებისათვის საჭირო არ არის ექიმის კონსულტაცია, არა აქვს თანმხლები მოვლენები. მისი გამოყენება საგრძნობლად გააუძეობესებს ჯანმრთელობას. ხოლო გამოუყენებლობა გააუარესებს მას, რომ წამლები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც კვების პროდუქტები, კოსმეტიკური საშუალებები ან მოხმარების სხვა საგანი.

3. აკრძალულია საქართველოში არარეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების, აგრეთვე იმ სამკურნალო წამლო საშუალებების რეკლამის გავრცელება, რომლებიც გაიცემა მხოლოდ ექიმის რეკეტით და/ან შეიცავს ნარკოტიკულ, ფსიქოტროპულ, მსამშემცველ ან რადიოაქტიურ ნივთიერებებს.

4. სამედიცინო დანიშნულების ნაკეთობათა და სამედიცინო ტექნიკის რეკლამის გავრცელება, რომელთა გამოყენება მოითხოვს სპეციალურ მომზადებას. შეიძლება იმ ბეჭდვით გამოცემებში, რომლებიც განკუთვნილია სამედიცინო და ფარმაცევტული დარგის მუშაკებისათვის (ამ მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით).

5. აკრძალულია სეაფრო ობიექტების აბრებზე დიაბეტისა და სხვა დაავადებების ხსენება.

მუხლი 9¹. ჩვილ ბავშვთა ხელოვნური კვების რეკლამა

აკრძალულია ჩვილ ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტების (გარდა დამატებითი საკვებისა), საწოვრიანი ბოთლებისა და სატყუარების ნებისმიერი სახის რეკლამა. (09.09.99 №2378 საკანონმდებლო მაცნე №43(50))

მუხლი 10. იარაღის რეკლამა

აკრძალულია საბრძოლო იარაღის რეკლამის გავრცელება. ყველა სხვა სახის, მათ შორის, სანადირო, სპორტული იარაღის რეკლამის გავრცელება შეიძლება სპეციალური ნებართვის საფუძველზე, რომელსაც გასცემს საქართველოს შინაგან საქმეთა შესაბამისი ორგანო.

მუხლი 11. ფასიანი ქაღალდების რეკლამა

1. ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და განთავსების შესახებ რეკლამის გავრცელების მიზანია ინფორმატიულობა. ფასიანი ქაღალდების შეთავაზება და მიწოდება ხდება მხოლოდ მათი ემისიის პროსპექტის მეშვეობით.
2. ფასიანი ქაღალდების შესახებ რეკლამაში მითითებული უნდა იყოს:
 - ა) ემიტენტის დასახელება;
 - ბ) ანდერრაიტერის დასახელება და მისამართი;
 - გ) განთავსებისათვის მასუხისმგებელი პირების ვინაობა და მისამართი;
 - დ) სად და ვისთან შეუძლია პოტენციურ ინვესტორს შეიძინოს ემისიის პროსპექტი ან გაეცნოს მას;
 - ე) ლიცენზიის ნომერი და იმ ორგანოს დასახელება, რომელმაც გასცა ლიცენზია.
3. ფასიანი ქაღალდების შესახებ რეკლამის გავრცელებისას დაუშვებელია:
 - ა) ფასიანი ქაღალდების რეკლამის გავრცელება მათი ემისიის პროსპექტის სახელმწიფო რეგისტრაციამდე;
 - ბ) ემისიის პროსპექტში აღნიშნულის გარდა რაიმე სხვა ინფორმაციის გავრცელება;
 - გ) საქმიანობის მომავალი ეფექტიანობის (მომგებიანობის) შესახებ ნებისმიერი გარანტიის, დაპირების ან ვარაუდის განცხადება, მათ შორის, ფასიანი ქაღალდების საკურსო ღირებულების გაზრდის თაობაზე;
 - დ) ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდების გარანტირებული სიდიდის ჩვენება;
 - ე) ემიტენტის მიერ საკუთარი ფასიანი ქაღალდების თვითკოტირების ნებისმიერი ცდა და გამოვლინება.

მუხლი 12. სოციალური რეკლამა

1. სოციალური რეკლამა – საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობისა და საკუთარ მოქმედო მიზნების მიღწევისაკენ მიმართული რეკლამა, რომელიც არ არის არც კომერციული და არც წინასაარჩევნო რეკლამა და არ შეიცავს კერძო სამართლის იურიდიული პირის ან სამთავრობო დაწესებულების, აგრეთვე მათ მიერ გაწეული მომსახურების რეკლამას. (9.06.2006 №3245)
2. სოციალურ რეკლამაში არ უნდა იყოს მოხსენიებული კომერციული ორგანიზაციები და ინდივიდუალური მეწარმეები, მათი საქონლის კონკრეტული მარკები (მოდელები, არტიკლები), აგრეთვე იმ საქონლის კონკრეტული მარკები (მოდელები, არტიკლები), რომელიც წარმოადგენს არაკომერციული ორგანიზაციების დამხმარე სამეწარმეო საქმიანობის შედეგს.
3. ფიზიკური და იურიდიული პირების სოციალური რეკლამის წარმოებისა და გავრცელებისათვის უსასყიდლო საქმიანობა, აგრეთვე ამ პირთა მიერ საკუთარი ქონების, მათ შორის, ფულადი სახსრების, სხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ამ მიზნით გადაცემა ითვლება საკუთარ მოქმედო საქმიანობად, რომლისთვისაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია შეღავათები.
4. ამოღებულია (9.06.2006 №3245)

მუხლი 12¹. შედარებითი რეკლამა (25.11.2005 №2165)

შედარებითი რეკლამა დაიშვება შემდეგ შემთხვევებში:

- ა) თუ ის ერთმანეთს აღარებს ისეთ საქონელს ან/და მომსახურებას, რომლებიც გამოიყენება ერთი და იმავე საჭიროებისათვის ან მიზნისათვის;
- ბ) თუ ის ობიექტურად აღარებს ერთმანეთს საქონლის ან/და მომსახურების ერთ ან მეტ საგნობრივ, არსებით, შემოწმებად და ტიპურ თვისებებს, რომლებსაც შეიძლება შეიცავდეს ღირებულება;
- გ) თუ ის ბაზარზე არ იწვევს აღრევას რეკლამის დამკვეთსა და კონკურენტს ან რეკლამის დამკვეთისა და კონკურენტის სავაჭრო ნიშნებს, სავაჭრო დასახელებებს, სხვა განმასხვავებელ ნიშნებს, საქონელსა და მომსახურებას შორის;
- დ) თუ ის არ ახდენს კონკურენტის მდგომარეობის, სავაჭრო ნიშნების, სავაჭრო დასახელებების, სხვა განმასხვავებელი ნიშნების, საქონლის, მომსახურების ან საქმიანობის დისკრედიტაციას;
- ე) თუ ის წარმოშობის მითითებით გამოშვებული პროდუქციის რეკლამირებისას, თითოეულ შემთხვევაში, მიუთითებს იმავე დასახელების პროდუქციას;
- ვ) თუ ის არ სარგებლობს კონკურენტის სავაჭრო ნიშნის, სავაჭრო დასახელების და სხვა განმასხვავებელი ნიშნის რეპუტაციით ან კონკურენტ-პროდუქტის წარმოშობის აღნიშვნით;
- ზ) თუ ის არ წარმოადგენს საქონლის ან/და მომსახურების რეპროდუქციას, რომელთა სავაჭრო ნიშანი და სავაჭრო დასახელება დაცულია.

მუხლი 13. სპონსორობა

ამ კანონის მიხედვით, სპონსორობა არის ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ სხვა ფიზიკური და იურიდიული პირის საქმიანობაში წვლილის შეტანა (ფულადი სახსრების, ქონების, ინტელექტუალური მოღვაწეობის შედეგების, მომსახურების გაწევის და გაწეული მომსახურების, სამუშაოს შესრულების სახით) სპონსორის მიერ წარმოებული საქონლის რეკლამის გავრცელების პირობით. სპონსორული შენატანი განიხილება რეკლამის ღირებულებად. ხოლო სპონსორი და დასპონსორებული, შესაბამისად, რეკლამის დამკვეთად და რეკლამის გამავრცელებლად. სპონსორს უფლება არა აქვს ჩაერიოს რეკლამის მწარმოებლისა და გამავრცელებლის საქმიანობაში. სპონსორობის უფლება არა აქვთ იმ პირებს, რომელთა ნაწარმის ან საქმიანობის გავრცელებაც აკრძალულია ამ კანონით. (30.06.2000 №162 საქანონმდებლო მაცნე)

მუხლი 14. არასრულწლოვანთა დაცვა რეკლამის წარმოების, განთავსებისა და გავრცელების დროს

რეკლამის წარმოების, განთავსებისა და გავრცელების დროს არასრულწლოვანთა გულუბრყვილობისა და გამოუცდელობის ბოროტად გამოყენებისაგან მათი დაცვის მიზნით აკრძალულია:

- ა) არასრულწლოვანთათვის შთაგონება - დაარწმუნონ მშობლები ან სხვა პირები რეკლამირებადი საქონლის შეძენაში;
- ბ) არასრულწლოვანთა ყურადღების მიპყრობა იმაზე, რომ რეკლამირებადი საქონლის ფლობა უპირატესობას ანიჭებს მათ სხვა არასრულწლოვანთა მიმართ, ხოლო მისი უქონლობა იწვევს საწინააღმდეგო ეფექტს;

გ) რეკლამაში ისეთი ტექსტის, აუდიო- და ვიდეოინფორმაციის მოთავსება, რომლებიც აჩვენებს არასრულწლოვნებს საშიშ ადგილას და ვითარებაში;

დ) არასრულწლოვანთათვის საქონლის გამოსაყენებლად საჭირო ჩვევების აუცილებელი დონის გაუთვალისწინებლობა. ამასთან, თუ საქონლის გამოყენების შედეგები ნაჩვენებია ან აღწერილია, რეკლამა უნდა იძლეოდეს ინფორმაციას იმის შესახებ, რისი მიღწევაც რეალურად შესაძლებელია იმ ასაკობრივი ჯგუფის არასრულწლოვანთათვის. რომლისთვისაც განკუთვნილია ეს საქონელი;

ე) არასრულწლოვანთათვის საქონლის ღირებულებაზე (ფასზე) არარეალური (დამახინჯებული) წარმოდგენის შექმნა, კერძოდ, სიტყვების "შხოლოდ", "სულ რაღაც" და მათ მსგავსთა გამოყენებით, აგრეთვე პირდაპირი ან ირიბი მითითებით იმაზე, რომ რეკლამირებადი საქონელი ხელმისაწვდომია ყველა ოჯახის ბიუჯეტისათვის.

თავი III

რეკლამის დამკვეთის, მწარმოებლისა და გამავრცელებლის უფლება-მოვალეობანი

მუხლი 15. სარეკლამო მასალის შენახვის ვადები

რეკლამის დამკვეთი, მწარმოებელი და გამავრცელებელი ვალდებული არიან შეინახონ სარეკლამო მასალები ან მათი ასლები, მათში შემდგომში შეტანილი ყველა ცვლილების ჩათვლით, რეკლამის უკანასკნელად გავრცელების დღიდან 2 თვის განმავლობაში, ხოლო თუ სარეკლამო მასალა სადავო გახდა - შესაბამისი ორგანოების მიერ ამ დავის გადაწყვეტამდე.

მუხლი 16. ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოებისთვის ინფორმაციის წარდგენა (03.06.2005 №1551)

რეკლამის დამკვეთი, მწარმოებელი და გამავრცელებელი ვალდებულია ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოებს, რომელთაც ევალებათ რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესრულების კონტროლი, ამ უკანასკნელთა მოთხოვნით, დადგენილ ვადაში წარუდგინონ უტყუარი საბუთები, წერილობითი ახსნა-განმარტებები და ინფორმაცია, რომლებიც აუცილებელია ამ კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის.

თავი IV

სახელმწიფო კონტროლი რეკლამის სფეროში

მუხლი 17. ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს უფლებამოსილებანი რეკლამის სფეროში (03.06.2005 №1551)

ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

- ა.ა) ახორციელებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში რეკლამის კანონმდებლობის შესრულების სახელმწიფო კონტროლს;
- ა.ბ) იღებს გადაწყვეტილებას არასათანადო რეკლამის სრულად ან ნაწილობრივ შეჩერებასა და კონტრერეკლამის განხორციელებაზე;
- ა.გ) უფლება აქვს რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დამრღვევს კანონით დადგენილი წესით დააკისროს ადმინისტრაციული სახდელი;
- ა.დ) უფლებამოსილია მიმართოს შესაბამის ორგანოებს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე;
- ბ) რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების ეკონომიკური აგენტების მიერ შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს შესაბამისი მოთხოვნით.

მუხლი 17¹. კონტროლი სამაუწყებლო რეკლამის სფეროში
(9.06.2006 №3245)

სამაუწყებლო რეკლამის სფეროში რეკლამის გავრცელების დროის, განთავსების ფორმისა (ადგილისა) და გამოყენებული საშუალებების, აგრეთვე სამაუწყებლო რეკლამის გამავრცელებლის მიერ „მაუწყებლობის შესახებ“ და „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონებით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი შეზღუდვების დაცვის კონტროლს ახორციელებს მხოლოდ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

- ა) იღებს გადაწყვეტილებას არასათანადო რეკლამის სრულად ან ნაწილობრივ შეჩერებაზე ან კონტრერეკლამის განხორციელებაზე;
- ბ) უფლებამოსილია „მაუწყებლობის შესახებ“ და „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონების, სხვა საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა დამრღვევს კანონით დადგენილი წესით დააკისროს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სანქცია;
- გ) უფლებამოსილია მიმართოს შესაბამის ორგანოებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე.

მუხლი 18. ინფორმაციის მიღების უფლება (03.06.2005 №1551)

1. ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოებს მაკონტროლებელი ფუნქციების განსახორციელებლად უფლება აქვთ რეკლამის მწარმოებელთა და გამავრცელებელთაგან შეუფერხებლად მიიღონ ნებისმიერი ინფორმაცია.
2. აკრძალულია იმ მონაცემების გახმაურება, რომლებიც კომერციულ საიდუმლოებას შეიცავს და მიღებულია ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირების მიერ.
3. კომერციული საიდუმლოების შემცველი მონაცემების გახმაურებისას ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოებს ევალებათ მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

თავი V

კონტრრაქტაზე და პასუხისმგებლობა არასათანადო რეკლამისათვის

მუხლი 19. კონტრრაქტაზე (03.06.2005 №1551)

1. ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება არასათანადო რეკლამის სრულად ან ნაწილობრივ შეჩერებისა და კონტრრაქტამის განხორციელების თაობაზე.
2. დამრღვევი ვალდებულია ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს გადაწყვეტილების გაცნობიდან დაუყოვნებლივ შეაჩეროს არასათანადო რეკლამა და 10 დღეში გაავრცელოს კონტრრაქტაზე.
3. რეკლამის კანონმდებლობის დამრღვევის მიერ გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს არასათანადო რეკლამის შეჩერებისა და დამრღვევისათვის კონტრრაქტამის გავრცელების დაკისრების მოთხოვნით.
4. კონტრრაქტაზე უნდა გავრცელდეს იმავე საშუალებით და მათი თანამიმდევრობის, სივრცისა და ადგილის იმავე მახასიათებლების გამოყენებით, როგორც არასათანადო რეკლამა. კონტრრაქტამის შინაარსი უნდა შეუთანხმდეს ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს. მისი გადაწყვეტილებით შეიძლება კონტრრაქტამის გავრცელების საშუალებათა თანამიმდევრობის, სივრცისა და ადგილის მახასიათებლების შეცვლა.

მუხლი 20. რეკლამის დამკვეთის, მწარმოებლისა და გამავრცელებლის პასუხისმგებლობა

1. რეკლამის დამკვეთი პასუხს აგებს რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის რეკლამის შესაქმნელად წარდგენილი ინფორმაციის შინაარსზე, თუ არ დამტკიცდა, რომ ეს დარღვევა მოხდა რეკლამის მწარმოებლის ან გამავრცელებლის მიზეზით.
2. რეკლამის მწარმოებელი პასუხს აგებს რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის იმ ნაწილში, რომელიც ეხება რეკლამის გაფორმებას, წარმოებას ან მოზადებას.
3. რეკლამის გამავრცელებელი პასუხს აგებს რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის იმ ნაწილში, რომელიც ეხება რეკლამის გავრცელების დროს, ადგილს ან საშუალებებს.

მუხლი 21. პასუხისმგებლობა რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის

1. რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს (რეკლამის დამკვეთებს, მწარმოებლებსა და გამავრცელებლებს) ეკისრებათ პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
2. ამ კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაზე

პასუხისმგებელი არიან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები.

2¹. სამაუწყებლო რეკლამის მარეგულირებელი ნორმების შეუსრულებლობისთვის პასუხისმგებლობას აკისრებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. (9.06.2006 №3245)

3. პირებს, რომელთა უფლებები და ინტერესები დარღვეულია არასათანადო რეკლამის შედეგად, უფლება აქვთ დადგინდონ წესით, სარჩელით მიმართონ სასამართლოს ჯანმრთელობისა და ქონებისათვის, სახელის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის თაობაზე და მოითხოვონ არასათანადო რეკლამის საჯაროდ უარყოფა.

4. პასუხისმგებლობის დაკისრება რეკლამის დამკვეთს, მწარმოებელსა და გამაერცელებელს არ ათავისუფლებს რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთისაგან და კონტრარეკლამის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების შესრულებისაგან.

5. რეკლამის დამკვეთს, მწარმოებელსა და გამაერცელებელს უფლება აქვთ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სასამართლოს მიმართონ განცხადებით ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს გადაწყვეტილების სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ. (03.06.2005 №1551)

6. აღნიშნული განცხადების სასამართლოში შეტანა არ ანერებს ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს გადაწყვეტილების შესრულებას, თუ სასამართლომ არ გამოიტანა გადაწყვეტილება მისი შეჩერების შესახებ. (03.06.2005 №1551)

თავი VI

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 22. გარდამავალი დებულებანი

1. ამოღებულია (9.06.2006 №3245)

2. ამ კანონის მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის სიტყვები "(გარდა რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით)" მოქმედებს 2001 წლის 31 დეკემბრამდე.

3. ამ კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი ამოქმედდეს საქართველოს სავადასახლო კოდექსში შესაბამისი ცვლილების ძალაში შესვლის დღიდან.

4. დაევალოთ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს, გაატარონ ღონისძიებანი კანონის ამოქმედებიდან ორი თვის ვადაში ამ კანონის მოთხოვნებთან გარე რეკლამის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

5. ამოღებულია (9.06.2006 №3245)

6. ამოღებულია (9.06.2006 №3245)

მუხლი 23. კანონის ამოქმედება და გასაუქმებელი ნორმატიული აქტები

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტი ამოქმედდეს 2003 წლის 1 აპრილიდან.
(2112.2001 №1220)

3. ამ კანონის ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

- ა) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 10 მარტის 60 ბრძანებულება "არაკეთილსინდისიერი რეკლამისაგან მომხმარებელთა დაცვის შესახებ" ;
- ბ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 27 მარტის 160 დადგენილება "არაკეთილსინდისიერი რეკლამისაგან მომხმარებელთა დაცვის გადაუღებელ ღონისძიებათა შესახებ".

საქართველოს პრეზიდენტი

ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი,

1998 წლის 18 თებერვალი.

1228 - 11ს

**საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია**

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

**ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში
მომსახურების მიწოდების წესებისა და
მომხმარებელთა უფლებების
დაცვის შესახებ**

დადგენილება №3

2006 წლის 17 მარტი

ქ.თბილისი

**ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში
მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა
უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის
დამტკიცების თაობაზე**

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისია ა დ გ ე ნ ს :

1. დამტკიცდეს „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ თანდართული რეგლამენტი.
2. დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივ საკითხთა სამსახურს (კ. ყურა-შვილი) აღნიშნული დადგენილების საქართველოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში გატარება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ თანდართული რეგლამენტის 24-ე მუხლი ამოქმედდეს ამ დადგენილების გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

კომისიის თავმჯდომარე

დ. ქიტოშვილი

რეგლამენტი

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ

თავი I.

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგლამენტის ნორმატიული საფუძვლები

„ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტი (შემდგომში – „რეგლამენტი“) შემუშავებულია „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, „ადამიკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონების, აგრეთვე „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულებისა“ და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ შესაბამისად.

მუხლი 2. რეგლამენტის მიზნები და რეგულირების სფერო (9.11.2007 №7)

1. წინამდებარე რეგლამენტი ადგენს მომხმარებლისათვის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების, მათ შორის, ადგილობრივი საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო, მობილური სატელეფონო და ინტერნეტით მომსახურების მიწოდების წესებსა და პირობებს, განსაზღვრავს მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებლის უფლებებსა და ვალდებულებებს და მისი მიზანია უზრუნველყოს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების მიერ „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი მომსახურების მიწოდება და მომხმარებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა.

2. ეს რეგლამენტი ვრცელდება ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების იმ სახეებზეც, რომელიც საქართველოს მომხმარებლებისათვის ხელმისაწვდომი გახდება ელექტრონული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროგრესის პარალელურად.

3. წინამდებარე რეგლამენტი სავალდებულოა შესასრულებლად ნებისმიერი ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებლისათვის.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

1. ამ რეგლამენტში გამოყენებულ ტერმინებს ამ რეგლამენტის მიზნებისათვის აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ადგილობრივი დაშვების ქსელი – ადგილობრივი მომსახურების ზონაში

- ოპერატორის სადენიანი (ელექტროსადენიანი ან ოპტიკურ-ბოჭკოვანი) საკაბელო-სასაზო მეურნეობა ან უსადენო (ფიქსირებული რადიოსიხშირული ან ღია ოპტიკური) დაშვების ტექნიკური საშუალებები ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების მიზნით, ბოლო მომხმარებლის ფიქსირებულ ტერმინალურ მიწოდებულასა და საკომუტაციო ან გადაცემვად სადგურს შორის გამომავლების ან საინფორმაციო სიგნალების გასატარებლად, ციფრული მაუწყებლობის სიგნალების გადასაცემად;
- ბ) *ადგილობრივი საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურება* - ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომხმარებლის სასარგებლოდ გაწეული ადგილობრივი ელექტრონული საკომუნიკაციო (სატელეფონო) კავშირით მომსახურება;
- გ) *ანგარიში* - მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომხმარებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმით მიწოდებული ანგარიში გასულ საანგარიშო თვეს მის და/ან სხვა მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების სახის (მათ შორის საბონენტო გადასახდელი, წუთობრივი მომსახურების საფასური ან/და სხვა გაწეული მომსახურების) საფასურის, მისი გადახდის ვადისა და საბანკო ანგარიშის (ანგარიშების) მითითებით.
- დ) *განკადება* - წერილობითი შეთანხმება მომსახურების მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის მიმდინარე მომსახურების ანგარიშის გადახდის გადაკადებისა და შეთანხმებული გრაფიკით გადახდის შესახებ;
- ე) *გაფართოებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება* - მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომხმარებლისათვის ძირითადი მომსახურების გარდა შეთავაზებული სხვა მომსახურება;
- ვ) *დეპოზიტი* - მომხმარებლის მიერ მომსახურების მიმწოდებლის ანგარიშზე წინასწარ ჩარიცხული განსაზღვრული თანხა;
- ზ) *ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება* - ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომხმარებლისათვის ადგილობრივი, საერთაშორისო, საქალაქთაშორისო, მობილური საკომუნიკაციო კავშირითა და ინტერნეტით მომსახურება, ასევე გაფართოებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება;
- თ) *მომსახურების მიმწოდებელი* - ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი ან მისი ქსელის შესაბამის ელემენტებთან ან რესურსებთან დაშვებული ავტორიზებული პირი, რომელსაც განზრახული აქვს ან ახორციელებს ქსელის ამ ელემენტებით ან რესურსებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას;
- ი) *მომსახურების შეზღუდვა* - მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომხმარებლისათვის მომსახურების შეზღუდული პირობებით მიწოდება (საერთაშორისო და საქალაქთაშორისო კავშირთან დაშვების შეზღუდვა, შემომაკალი ზარის შეზღუდვა, გამავალი ზარის შეზღუდვა და სხვ.). რა დროსაც დაუშვებელია საგანგებო ნომრებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა;
- კ) *მომსახურების შეწყვეტა* - მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომხმარებელთან დადებული მომსახურების ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა, ამ რეკლამენტის შესაბამისად, რა დროსაც მომხმარებელს ერთმევა საშუალება ისარგებლოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ნომრით;

ლ) მომხმარებელი - ბოლო მომხმარებელი, რომელიც საკუთარი მოხმარებისათვის იყენებს ან განზრახული აქვს გამოიყენოს საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით განხორციელებული მომსახურება და მიზნად არ ისახავს მის შემდგომ მიყიდვას სხვა მომხმარებელზე;

მ) პერსონალური ინფორმაცია - ინფორმაცია მომხმარებლის ვინაობის, ტექნიკური საშუალების განთავსების მისამართის, ტელეფონის ნომრის, მიღებული მომსახურებისა და გადახდის შესახებ, ასევე მომხმარებლის სხვა მონაცემები, რომელიც ახდენს მომხმარებლის იდენტიფიცირებას. (9.11.2007 №7)

ნ) საბონენტო გადასახდელი - მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომხმარებლის სატელეფონო (საბონენტო) ხაზით უზრუნველყოფის ყოველთვიური ერთჯერადი გადასახდელი;

ო) სეგანგებო ნომრები - სახანძრო დახმარების, პოლიციის, სასწრაფო დახმარების, გაზის საყარო დახმარების სატელეფონო ნომრები;

პ) სადავო ანგარიში - ანგარიში, რომლის გადახდაზეც უარს აცხადებს მომხმარებელი და სადავოს ხდის მას;

ჟ) სადემარკაციო წერტილი - წერტილი, სადაც ხდება მომსახურების მიმწოდებლისა და მომხმარებლის ვალდებულებების გამიჯვნა;

რ) საჩივარი - მომხმარებლის ან ნებისმიერი დანტერესებული მხარის მიერ მომსახურების მიმწოდებლისათვის, კომისიასთან მოქმედი მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველისათვის წარდგენილი წერილობითი განცხადება მომსახურების გაწვევისას დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით;

ს) სატარიფო გეგმა - მომსახურების მიმწოდებლის მიერ დამტკიცებული ტარიფების ნუსხა;

ტ) ტარიფი - მომსახურების მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული მომსახურების სახეზე დადგენილი საფასური;

უ) უნებართვო ჩართვა - შესამე პირის მიერ მომხმარებლისათვის გამოყოფილი საბონენტო ხაზით მისი ნებართვის გარეშე სარგებლობა;

ფ) შეტყობინება - მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომხმარებლისათვის წერილობითი, სატელეფონო (ტელეფონოგრამა) ან საჯაროდ მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია;

ქ) შეღავათი - საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ან მომსახურების მიმწოდებლის მიერ მოსახლეობის გარკვეული კატეგორიისათვის დადგენილი შეღავათები მომსახურების მიწოდების ან საფასურის გადახდასთან დაკავშირებით;

ღ) ზარისხიანი მომსახურება - მომხმარებლისათვის გაწეული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება, რომელიც შეესაბამება მოქმედ ტექნიკურ ნორმებს, ხელშეკრულების პირობებს, აგრეთვე ინფორმაციას (რეკლამას) მომსახურების შესახებ;

ყ) ხელშეკრულება ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების გაწვევის შესახებ (შუბდგომში „ხელშეკრულება მომსახურების შესახებ“) - შეთანხმება (ადგილობრივი საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების თაობაზე - ყოველთვის წერილობითი ფორმის შეთანხმება) მომსახურების მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების გაწვევის თაობაზე, მის ხარისხზე, მომსახურების ტარიფზე და სხვა პირობებზე;

შ) წუთობრივი მომსახურების საფასური - მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომხმარებელზე მიწოდებული წუთობრივი მომსახურების საფასური.

- ბ) ასს – ავტომატური სატელეფონო სადგური; (9.11.2007 №7)
- ც) *ადმინისტრატორი* – პირი, რომელიც ახდენს ფორუმის თემების ადმინისტრირებას ფორუმისთვის დადგენილი წესების შესაბამისად; (9.11.2007 №7)
- ძ) *არასასურველი ელექტრონული გზავნილი* (SPAM) – ელექტრონული გზავნილი, რომელიც ადრესატის სურვილის საწინააღმდეგოდ ხვდება მის საფოსტო ყუთში; (9.11.2007 7)
- წ) *არასრულწლოვანებისთვის განკუთვნილი მომსახურება* – არასრულწლოვანებისთვის განსაზღვრული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება; (9.11.2007 №7)
- ჭ) *ბმული* – მიმანიშნებელი ნიშანი, რომელზე დაწკაპებისას მომხმარებელი გადადის ინტერნეტგვერდის სხვა ნაწილზე, სხვა ინტერნეტ-გვერდზე ან სხვა სერვერზე; (9.11.2007 7)
- ხ) *გადაძისამართება* – მიღებული მასალის ან ელექტრონული გზავნილის გადაგზავნა სხვა ადრესატის ან ადრესატთა ჯგუფისადმი; (9.11.2007 №7)
- ჯ) *გაფრთხილება* – სიმბოლო, სიმბოლოები ან თანდართული გამაფრთხილებელი ტექსტი სპეციფიკური ხასიათის მასალების შესახებ; (9.11.2007 №7)
- კ) *გუნდური კავშირი* – მობილური ტელეფონისა და ტრანკული სისტემის, ე.წ. „რაციის“ გაერთიანება, რომელიც მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს მობილური ტელეფონის შესაბამის ღირებულებას დაჭირვების სიზოვანი შეტყობინების საშუალებით დაუკავშირდეს მობილური ტელეფონის მუხსიერებაში წინასწარ შეყვანილ აბონენტს ან აბონენტთა ჯგუფს; (9.11.2007 №7)
- კ¹) *დამატებითი მომსახურება* – მომსახურება, რომლის მიღებისთვის დაწესებულია დამატებითი გადასახადი; (9.11.2007 №7)
- კ²) *დაშვებული პროდუქცია* – ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით გადაცემული პროდუქცია, სიძულვილისა და ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმების ამსახველი, პირადი ცხოვრების შეზღუდვით, ცილისმწამებლური, შეურაცხყოფილი, უდანამულოდობის პრეზუმციის დამრღვევი, უზუსტო, საავტორო უფლებებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემული სხვა პროდუქცია; (9.11.2007 №7)
- კ³) *ეროტიკული ხასიათის გახართობი მომსახურება* – ეროტიკული შინაარსის შემცველი პროდუქციის მიწოდება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ხუმრობებს, ანეკდოტებს, სურათებს, ნახატებს, ანიმაციებს და ა.შ.; (9.11.2007 №7)
- კ⁴) *ვირუსების ბლოკირების პროგრამა/სისტემა* – პროგრამა/სისტემა, რომელიც იცავს კომპიუტერს ვირუსული პროგრამით დაინფიცირებისაგან; (9.11.2007 №7)
- კ⁵) *თაღლითური პროგრამა* – პროგრამა, როდესაც შეთავაზებული მომსახურება არაადეკვატურია მიღებულთან, რასაც შეცდომაში შეყვანს მომხმარებელი და ხშირ შემთხვევაში მას მატერიალურ ზიანს აყენებს; (9.11.2007 №7)
- კ⁶) *ინტერნეტი* – გლობალური კომპიუტერული ქსელი; (9.11.2007 №7)
- კ⁷) *ინტერნეტ-გვერდი* – საერთო კომპიუტერული ქსელის ჰიპერტექსტური რესურსი დაწერილი HTML/XHTML ენაზე ან სხვა ვებრესურსების ორგანიზების მეთოდით, რომელიც შედგება თემატურად დაკავშირებული ინტერნეტ-გვერდებისა და გამოსახულებებისაგან; (9.11.2007 №7)
- კ⁸) *ინტერნეტ-გვერდის მფლობელი* – პირი, რომლის სახელზეცაა რეგისტრირებული ინტერნეტ-გვერდი; (9.11.2007 №7)

3⁹) *ინტერნეტ-დომენი* – ინტერნეტ-სახელი, რომელიც ეკუთვნის ერთადერთ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს და ახდენს მის იდენტიფიცირებას და განსხვავებას სხვათაგან; (9.11.2007 №7)

3¹⁰) *ინტერნეტ-დომენის გამკეში* – ორგანიზაცია, რომელიც უფლებამოსილია გასცეს და დაარეგისტრიროს ინტერნეტ-დომენი; (9.11.2007 №7)

3¹¹) *ინტერნეტ-მომსახურება* – ფართოზოლოვანი მომსახურება, ვებ-პოსტინგი, ელექტრონული ფოსტა, დარეკვის მეშვეობით ინტერნეტ დაკავშირება (დაალუპ), გამოყოფილი ხაზი და სხვა; (9.11.2007 №7)

3¹²) *ინტერნეტ-ფორუმი* – ინტერნეტ-გვერდზე განთავსებული უზრუნველყოფის სპეციალური პროგრამა, რომელიც გამიზნულია აზრთა გამოხატვის, ურთიერთგაცვლისა და დისკუსიისათვის; (9.11.2007 №7)

3¹³) *ინფიცირებული კომპიუტერი* – ვირუსული პროგრამით დაზიანებული ან დაზიანების პროცესში მყოფი კომპიუტერი; (9.11.2007 №7)

3¹⁴) *ინფორმაციის შეგროვება* – ნებისმიერი ქმედება, რომელიც მოიცავს ინფორმაციის შეგროვებას ან მიღებას ნებისმიერი წყაროსაგან, მათ შორის შესაძებირებისაგან; (9.11.2007 №7)

3¹⁵) *კომპიუტერული ვირუსი* – კომპიუტერის მთლიან, ასევე ცალკეული პროგრამების დაზიანებაზე გათვლილი პროგრამები, რომლებიც ვრცელდებიან სხვა პროგრამების აღმასრულებელ კოდში ან სპეციალური ფორმატის დოკუმენტებში; (9.11.2007 №7)

3¹⁶) *კონკურსები და თამაშები* – ლატარეა, შეჯიბრი, გათამაშება და სხვა თამაშები; (9.11.2007 №7)

3¹⁷) *მესამე პირი* – პირი, რომელიც არაა მომსახურების მიმწოდებელი კომპანია ან მომხმარებელი; (9.11.2007 №7)

3¹⁸) *მობილური სატელეფონო მომსახურება* – მობილური ტელეფონის საშუალებით განხორციელებული საუბარი, მოკლე ტექსტური შეტყობინება, ხმოვანი შეტყობინება, მუსიკალური შეტყობინება, მულტიმედია შეტყობინება, გუნდური კავშირი, მობილური ჩათი, მობილური ინტერნეტი, GPRS ინტერნეტი, მობილური ლექსიკონი, აუდიომატე, ნომრის დაფარვა (CLIR), დაფარული ნომრის ამოცნობა (CLIR-OVR), ზარის გადატანა, ზარის ლოდინი, საკონფერენციო კავშირი, ზარის შეზღუდვა, ფაქსისა და მონაცემთა გადაცემა (FAX/DATA), ორნომრიანი SIM-ბარათი, თანხის გადარიცხვა, პოლიფონიური მელოდები, ნახატები, ანიმაციები, ლოგოები, თამაშები, სატელეფონო ცნობარი, საინფორმაციო მომსახურება, როუმინგი და სხვა მობილური საკომუნიკაციო მომსახურება; (9.11.2007 №7)

3¹⁹) *მობილური ინტერნეტი* (WAP) – მომსახურება, რომლის საშუალებით მომხმარებელი მოდემისა და კომპიუტერის გარეშე სარგებლობს ინტერნეტით მობილური ტელეფონიდან; (9.11.2007 №7)

3²⁰) *მობილური ინტერნეტი* GPRS – მობილური ტელეფონით მონაცემთა მაღალი სიჩქარით (85 კბიტ/წმ-მდე) უსადენო, პაკეტური გადაცემის ტექნოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელს მობილური ტელეფონის საშუალებითა და მომსახურების მიმწოდებლის ქსელის გამოყენებით ინტერნეტში მუშაობით; (9.11.2007 №7)

3²¹) *მულტიმედია შეტყობინება* – მომსახურება, რომლის საშუალებით მომხმარებელი აგზავნის და ღებულობს ფოტოსურათებს და ფერად ნახატებს,

ქმნის შეტყობინებას ვიდეო ან გრაფიკული გამოსახულებისაგან ან/და ურთავს მუსიკალურ ფონს; (9.11.2007 №7)

კ²²) მუსიკალური შეტყობინება – მელოდია, რომელსაც მომხმარებელი ირჩევს, ღებულობს და ინახავს მობილური ტელეფონის მეხსიერებაში ზარის სახით; (9.11.2007 №7)

კ²³) პირადი ცხოვრება – მომხმარებლის პირადი ურთიერთობების ამსახველი მასალა, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, სატელეფონო საუბარი და სხვა; (9.11.2007 №7)

კ²⁴) სათუთი ინფორმაცია – ინფორმაცია ან მოსაზრება პირის რასის, ეთნიკური წარმომავლობის, პოლიტიკური მოსაზრების, რწმენის ან რელიგიური კუთვნილების, ფილოსოფიური მსოფლმხედველობის, პროფესიულ ან სავაჭრო კავშირში წევრობის, სექსუალური ორიენტაციისა და ცხოვრების, ნასამართლობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე; (9.11.2007 №7)

კ²⁵) საიდენტიფიკაციო ინფორმაცია – ინფორმაცია მომსახურების მიმწოდებლის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, დასახელებისა და მისამართის შესახებ; (9.11.2007 №7)

კ²⁶) საკონტაქტო ინფორმაცია – სრული საფოსტო მისამართი და საინფორმაციო სამსახურის ტელეფონის ნომერი; (9.11.2007 №7)

კ²⁷) საკომუნიკაციო კავშირი – ერთდროული საუბარი ორზე მეტ მომხმარებელს შორის მობილური ტელეფონის საშუალებით; (9.11.2007 №7)

კ²⁸) საფილტრო პროგრამა – არასასურველი კორესპოდენციის ბლოკირების სისტემა; (9.11.2007 №7)

კ²⁹) სპეციფიკური მომსახურება – მომსახურება, რომელზეც მისი შინაარსიდან გამომდინარე დაწესებულია შეზღუდული დაშვება და მიეწოდება მომხმარებელთა მხოლოდ განსაზღვრულ კატეგორიებს; (9.11.2007 №7)

კ³⁰) ჩათ მომსახურება – ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებით ორზე მეტი პირის მიერ ერთდროული მიმოწერა, მათ შორის, წინასწარ შეუთანხმებლად ან მათსა და იმ პირს შორის წინასწარ შეუთანხმებლად, რომელიც უზრუნველყოფს ამ სახის მომსახურებას; (9.11.2007 №7)

კ³¹) შეზღუდული დაშვება – წესი, რომლითაც იზღუდება სპეციფიკურ მომსახურებაზე თავისუფალი დაშვება წინასწარ შეუშავებული მექანიზმის მეშვეობით. (9.11.2007 №7)

თავი II.

ინფორმაცია

მუხლი 4. საინფორმაციო და საანგარიშსწორებო უზრუნველყოფა (9.11.2007 №7)

1. მომხმარებელს უფლება აქვს მომსახურების მიმწოდებლისაგან შეუფერხებლად და უფასოდ მიიღოს ინფორმაცია, მათ შორის:

ა) მომსახურების სახეობის, ინტერნეტით მომსახურებისას სიჩქარისა და ღირებულების თაობაზე;

ბ) მომსახურების მიწოდებისა და მოხმარების წესების, გადახდის ფორმებისა და საშუალო სისტემის შესახებ;

გ) საანგარიშო პერიოდის შესაბამისი მომსახურების სახის, ტარიფის, თარიღის, მომსახურების გაწევის დროის, დროის ხანგრძლივობის, გამავალი ზარების ნომრების შესახებ, ხოლო მომსახურების მიწოდების მიერ დადგენილი საფასურის, რომელიც უნდა იყოს ზარგებზე ორიენტირებული გადახდის შემთხვევაში – შემომავალი ზარებისა და არასასანგარიშო პერიოდის დეტალური ანგარიში;

დ) მომსახურების მიწოდების შეზღუდვისა და შეწყვეტის მიზეზებისა და ხაზრძლივობის თაობაზე;

ე) მომსახურების შეფერხების დროული აღმოფხვრის, მიწოდებული და უხარისხო მომსახურებისათვის გათვალისწინებულ საკომპენსაციო პირობების თაობაზე;

ვ) იმის თაობაზე, თუ რამ შეიძლება რაიმე სახის ზეგავლენა მოახდინოს მომსახურების ხარისხსა ან/და მის პირობებზე;

ზ) მომხმარებელთა უფლებებისა და ვალდებულებების თაობაზე;

თ) იმ ღონისძიებების თაობაზე, რომლებსაც მომსახურების მიწოდებული მიმართავს მომხმარებლის მიერ მოხმარების წესების დარღვევის შემთხვევაში;

ი) იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების მიწოდებული სთავაზობს მომსახურებას, რომლის საფასურიც არ არის გათვალისწინებული სამომხმარებლო პაკეტში, მომსახურების მიწოდებული ვალდებულია მაწოდოს ინფორმაცია მომხმარებელს დამატებით საფასურის თაობაზე ან შეზღუდვის შესახებ მომსახურების თავისუფალი მიღება.

2. მომსახურების მიწოდებული მომხმარებელთა ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის:

ა) მომხმარებელს მაწოდოს საინფორმაციო კატალოგებს საჩივრისა და საპრეტენზიო განცხადების შეტყობინების უფასო ნომრების მითითებით და უზრუნველყოფს მუდმივმოქმედი 24-საათიანი ცხელი ხაზის მუშაობას;

ბ) უზრუნველყოფს მომხმარებელს მასთან დაკავშირების მიზნით თავისი საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო ინფორმაციით.

3. მომხმარებლისათვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი, უტყუარი, ამომწურავი და გასაგები, რომელსაც არ ექნება დამაბნეველი ან მაცდური ხასიათი.

4. მომსახურების მიწოდებული მომსახურების წესისა და პირობების ნებისმიერი ცვლილებების თაობაზე ატყობინებს მომხმარებელს არა უგვიანეს 10 სამუშაო დღით ადრე.

მუხლი 5. მომხმარებლის შესახებ მომსახურების მიწოდებულთან დაცული ინფორმაცია

1. მომსახურების მიწოდებულთან დაცული უნდა იყოს ინფორმაცია, რომელიც შეიცავს მომხმარებლის შესახებ სულ ცოტა შემდეგ მონაცემებს:

ა) მომხმარებლის სახელსა და გვარს;

ბ) მომსახურების მიწოდების ადგილმდებარეობას და მომსახურების სახეობას;

გ) გაწეული მომსახურების ოდენობასა და საფასურს, თარიღსა და საერთო თანხის ოდენობას დღ-ს ჩათვლით;

დ) გადახდის ვადას ან თარიღს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფორმაცია დაცულია მომსახურების შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტიდან 1

წლის განმავლობაში, ხოლო გ) და დ) ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფორმაცია დაცულია მომსახურების გაწევიდან 3 წლის განმავლობაში.

მუხლი 6. მომსახურების მიმწოდებლის მიერ კომისიის საინფორმაციო უზრუნველყოფის ვალდებულება (9.11.2007 №7)

მომსახურების მიმწოდებელი კომისიას წარუდგენს:

- ა) ინფორმაციას შეთავაზებული და მიწოდებული მომსახურების შესახებ;
- ბ) მომსახურების მოთხოვნის შესახებ განაცხადის ფორმას;
- გ) მომსახურების მიწოდების შესახებ ხელშეკრულების ფორმას;
- დ) ანგარიშის ფორმას;
- ე) მომსახურების შეზღუდვის სახეებსა და შეტყობინების ფორმას;
- ვ) მომსახურების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ფორმას;
- ზ) თანხის განვადებით გადახდის შესახებ ხელშეკრულების ფორმას;
- თ) მომხმარებელთა საჩივრების განმხილველი სამსახურის დებულებას.

2. მომსახურების მიმწოდებელი კომისიას ან კომისიასთან მოქმედი მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველს მათივე მოთხოვნით წარუდგენს მომხმარებლის საჩივართან დაკავშირებულ სრულ ინფორმაციას.

მუხლი 7. სატელეფონო ცნობარი

სატელეფონო ცნობარი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) მომხმარებლის წინასწარი თანხმობით მომხმარებლის სახელსა და გვარს, ტექნიკური საშუალების განთავსების მისამართსა და ტელეფონის ნომერს;
- ბ) საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ნომრებს.

მუხლი 8. პერსონალური ინფორმაცია

მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია არ გასცეს მოხმარებლის პერსონალური ინფორმაცია თითო ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში - სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

მუხლი 8¹. სათუთი ინფორმაცია (9.11.2007 №7)

მომსახურების მიმწოდებელს ეკრძალება სათუთი ინფორმაციის შევროება და გავრცელება რომელიმე პირზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირმა, რომელსაც შეეხება ეს ინფორმაცია, არასრულწლოვანის მშობელმა ან სხვა კანონიერმა წარმომადგენელმა განაცხადა თანხმობა ამის თაობაზე.

თავი III.

ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება

მუხლი 9. ძირითადი და გაფართოებული საკომუნიკაციო მომსახურების სახეები

1. ძირითადი საკომუნიკაციო მომსახურების სახეებია: ადგილობრივი, საქალაქთაშორისო, საერთაშორისო, მობილური კავშირითა და ინტერნეტით მომსახურება.

2. გაფართოებული საკომუნიკაციო მომსახურების სახეები განისაზღვრება მომსახურების მიწოდებლის მიერ და შეიტანება მომსახურების სახეთა ნუსხაში.

მუხლი 10. ადგილობრივი საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების გაწევის წესი და პირობები

1. ადგილობრივი საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურება წარმოებს მომხმარებელსა და მომსახურების მიწოდებელს შორის წერილობით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე;
2. ადგილობრივი საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების მიღების თაობაზე მომხმარებელი განცხადებით მიმართავს მომსახურების მიწოდებელს.
3. ამოღებულია (21.08.2006 №8)
4. მომსახურების მიწოდებელი განცხადებას ადგილობრივი საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების შესახებ აკმაყოფილებს 15 სამუშაო დღის ვადაში რეგითობის წესით, თანაბარი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე, იმ უპირატესობების და შეღავათების გათვალისწინებით, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.
5. განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, განცხადების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მომსახურების მიწოდებელი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება განმცხადებელს.
6. თუ მომსახურების მიწოდებელს არ გააჩნია ტელეფონის დადგმისათვის საჭირო თაიისუფალი სახაზო-საკაბელო წყვილი ან ტელეფონის დადგმა ტექნიკურად შეუძლებელია, მომსახურების მიწოდებელი ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია გამოაქვეყნოს სათაო ოფისში და საგადასახადო პუნქტებში, ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.
7. მომსახურების მიწოდებელი ვალდებულია საკუთარი აბონენტისათვის უფასოდ ხელმისაწვდომი გახადოს საგანგებო მომსახურების სატელეფონო ნომრები.

მუხლი 10¹. ინტერნეტით მომსახურება (9.11.2007 №7)

1. ინტერნეტით მომსახურება წარმოებს მომხმარებელსა და მომსახურების მიწოდებელს შორის წერილობითი ხელშეკრულების ან ზეპირი გარიგების საფუძველზე.
2. ინტერნეტით მომსახურების მიღების თაობაზე მომხმარებელი განცხადებით მიმართავს მომსახურების მიწოდებელს.
3. მომხმარებელი ვალდებულია მომსახურების მიწოდების წინა მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების მიზნით მის კუთვნილ ტერიტორიაზე დაუშვას მომსახურების მიწოდებლის წარმომადგენელი.
4. მომსახურების მიწოდებელი შეიმუშავებს ისეთ მექანიზმებს, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს გააუქმოს ან განაკეშიროს მომხმარებელი, თუ გამოვლინდა ან ცნობილი გახდა, რომ ის აწარმოებს არასასურველი ელექტრონული გზავნილების, დაუშვებელი პროდუქციის, კომპიუტერული ვირუსების, თაღლითური ან/და სხვა მანვე პროგრამების გავრცელებას/გადამისამართებას.
5. პირად სახელზე რეგისტრირებული ელექტრონული ფოსტა და სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა, რომელიც ექვემდებარება ადმინისტრირებას ხელშეუხებელია.

მისი შემოწმება დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. მომსახურების მიწოდებელი, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ელ-ფოსტის მომსახურებას, ვალდებულია უზრუნველყოს მისი დაცულობა მესამე პირთა შეღწევისაგან.

6. მომსახურების მიწოდებელი ვალდებულია ეყვლება ზომას მომხმარებლისათვის არასასურველი ელექტრონული კორესპონდენციის მიწოდების აღსაკვეთად და უზრუნველყოფს საკონტაქტო ხაზის არსებობას, რომელიც დაეხმარება მომხმარებელს არასასურველი ელექტრონული კორესპონდენციის შესახებ ინფორმაციისა და პრევენციული ღონისძიებების მიღებაში.

7. ჩათ-მომსახურების მიწოდებამდე მომსახურების მიწოდებელი ახდენს მომხმარებლის პერსონალური მონაცემების რეგისტრაციას.

8. ინტერნეტ-თამაშები უნდა შეესაბამებოდეს ამ წესებით, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებს. მომსახურების მიწოდებელი ვალდებულია შეზღუდოს თავისუფალი დამუშავება ინტერნეტ-თამაშებზე, რომლებიც მომხმარებლის მატერიალური შემოსავლის მიღებაზე ან გასარეკავზე ორიენტირებული. მომსახურების მიწოდებელი ვალდებულია იკავებდეს ინტერნეტ-გვერდზე, სადაც განთავსებულია თამაშის ბმული განათავსოს ინფორმაცია აღნიშნული თამაშის წესების, მისი შინაარსისა და შემცველობის თაობაზე.

მუხლი 10². ინტერნეტ-გვერდის მფლობელი (9.11.2007 №7)

ინტერნეტ-გვერდის მფლობელი:

ა) საკუთარ ინტერნეტ-გვერდზე ან ბმულის სახით განათავსებს ინფორმაციას მომხმარებლის სხვადასხვა კომპიუტერული ვირუსებისაგან, თაღლითური პროგრამების ან სხვა მავნე პროდუქციისაგან დაცვის მიზნით;

ბ) მომხმარებელს მიაწვდის ინფორმაციას იმ მეთოდების, ვირუსების ბლოკირების პროგრამების ან/და სხვა საშუალებების თაობაზე, რომელთა მეშვეობითაც მომხმარებელი თავიდან აიცილებს კომპიუტერის დაზიანება/დაინფიცირებას ან მის მახსოვრობაში უკანონო შეჭრას;

გ) ინტერნეტ-გვერდზე განთავსებულ ბმულს ამოწმებს იმ მიზნით, რომ ბმულის სახით მითითებული გვერდი არ შეიცავდეს შეურაცხყოფელ ან სხვა დაუშვებელ პროდუქციას. ასეთის არსებობის შემთხვევაში იღებს შესაბამის ზომებს მათ აღმოსაფხვრელად;

დ) ინტერნეტ-გვერდზე, სადაც განთავსებულია თამაშის ბმული განათავსოს ინფორმაცია აღნიშნული თამაშის წესების, მისი შინაარსისა და შემცველობის თაობაზე.“

მუხლი 10³. ინტერნეტ-დომენი (9.11.2007 №7)

1. ინტერნეტ-გვერდის დომენი არ უნდა იყოს დამაბნეველი, არ უნდა ემსახურებოდეს სხვა ინტერნეტ-გვერდის გადაფარვას და უნდა შეესაბამებოდეს მის შინაარსს.

2. ინტერნეტ-დომენის გამცემი პერიოდულად ამოწმებს მის მიერ რეგისტრირებულ ინტერნეტ-გვერდების შინაარსს იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილოს ინტერნეტ-გვერდზე დაუშვებელი პროდუქციის განთავსება. ასეთის შემთხვევაში, დომენის გამცემმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები მათ აღმოსაფხვრელად:

- ა) გაფრთხილოს ღომენის მფლობელი და განუსაზღვროს ვადა დაუშვებელი პროდუქციის ამოღებისათვის;
- ბ) გაფრთხილების უკუღკვებულოფის შემთხვევაში მოახდინოს ინტერნეტ-გვერდის დაბლოკვა.“

მუხლი 10⁴. საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო მომსახურება (9.11.2007 №7)

- 1. საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო მომსახურება წარმოებს მომხმარებელსა და მომსახურების მიმწოდებელს შორის წერილობით დადებული ან ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე.
- 2. განხორციელებული საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ზარების ღირებულება განისაზღვრება სატელეფონო საუბრის ხანგრძლივობისა და სატარიფო პირობების მიხედვით.“

მუხლი 10⁵. მობილური სატელეფონო მომსახურება (9.11.2007 №7)

- 1. ძირითადი მობილური სატელეფონო მომსახურება წარმოებს მომხმარებელსა და მომსახურების მიმწოდებელს შორის წერილობით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ხოლო დამატებითი მომსახურების მიწოდების პირობები შეიძლება განისაზღვროს სხვა (ელექტრონული ან სხვა ტიპის ოფერტა) ფორმითაც.

2. მომსახურების მიმწოდებელი:

ა) მომხმარებელს ჩართავს მობილურ სატელეფონო ქსელში და უზრუნველყოფს მობილური ქსელით სარგებლობას ქსელის დაფარვის ზონის მოქმედების ტერიტორიაზე;

ბ) თითოეულ მომსახურებაში გარკვევით ასახავს მის შესაბამის ღირებულებას წამობრივი დამრგვალების წესით;

გ) მომსახურებაზე დადგენილი ტარიფების შემცველის შემთხვევაში უზრუნველყოფს მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან სხვა საშუალებით მომხმარებლისათვის ამ ინფორმაციის დროულ მიწოდებას მომსახურების დაწყებამდე;

დ) როუმინგული მომსახურების გათიშვის დღიდან 30 დღის განმავლობაში დაუბრუნოს მას როუმინგული მომსახურების დეპოზიტი.

3. მობილური ტელეფონით განხორციელებული ინტერნეტით მომსახურებისას მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას წინამდებარე რეკლამენტით ინტერნეტით მომსახურებისათვის დადგენილი წესები.“

მ) დამატოს შემდეგი შინაარსის 10⁶ მუხლი:

მუხლი 10⁶. ეროტიკული ხასიათის გასართობი მომსახურება (9.11.2007 №7)

1. ეროტიკული ხასიათის გასართობი მომსახურება ან/და რეკლამა არ უნდა შეიცავდეს არასრულწლოვანებისათვის შეთავაზებას ან რაიმე მინიშნებას არასრულწლოვნების მიერ ამ სახის მომსახურებით სარგებლობის თაობაზე.

2. ეროტიკული ხასიათის გასართობი მომსახურება და რეკლამა შესაბამისობაში უნდა იყოს ამ წესებთან და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

3. მომხმარებელთან გასაუბრებისას, თუ მომსახურების მიმწოდებელს ექნება საფუძელადი ეჭვი იმისა, რომ იგი არასრულწლოვანია, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია შეწყვიტოს მასთან კავშირი.“

მუხლი 10⁷. არასრულწლოვანებზე გათვლილი პროდუქცია (9.11.2007 №7)

1. არასრულწლოვანებისთვის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდება წარმოებს წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე.
2. დაუშვებელია არასრულწლოვანებისთვის ისეთი პროდუქციის, რეკლამის და მომსახურების მიწოდება, რომელიც ზიანს აყენებს ან შეიძლება მიაყენოს არასრულწლოვანების ფსიქიკურ ან/და ფიზიკურ ჯანმრთელობას, მათ მორალურ და სოციალურ განვითარებას ან ქმნის ასეთის საფრთხეს ან/და ბოროტად იყენებს მათ ნდობას, გამოცდილების არქონას და ლოიალურობას.
3. მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია:
 - ა) უზრუნველყოს, რომ სრულწლოვანებზე გათვლილ მასალას ჰქონდეს შესაბამისი გაფრთხილება, რაც მომხმარებელს თავიდან აცნობს აღნიშნული პროდუქციის შინაარსისა და შემცველობის თაობაზე;
 - ბ) მიიღოს შესაბამისი ზომები, რომ მომხმარებელმა შეძლოს არასრულწლოვანთა ეფექტური გაკონტროლება ან დააწესოს შეზღუდული დაშვება იმ ინტერნეტ-გვერდებზე, რომლებიც შეიცავენ სრულწლოვან მომხმარებელზე გათვლილ პროდუქციას;
 - გ) ინტერნეტ-ფორუმის შექმნისას მიუთითოს, იმართება თუ არა ეს ფორუმი ადმინისტრატორის მიერ.
4. მომსახურების მიმწოდებელი არ უშვებს არასრულწლოვანებისთვის ისეთი დამატებითი მომსახურების მიწოდებას, რომლის ღირებულება აშკარად აღემატება არასრულწლოვანების მობილური ტელეფონის ანგარიშზე რიცხულ თანხას და რომლითაც სარგებლობა იწვევს მათი სატელეფონო ბალანსის სრულ ამოწურვას.
5. არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია არასრულწლოვანების ანგარიშის, შემოსულის და გასული ზარების, ანგარიშზე არსებული ბალანსის და არასრულწლოვანებისთვის მობილური ტელეფონის საშუალებით ხელმისაწვდომი მომსახურებების თაობაზე.

მუხლი 10⁸. ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით მიწოდებული რეკლამა (9.11.2007 №7)

1. ფასიანი საცნობარო მომსახურების მიწოდებისას მომხმარებელს რეკლამა შეიძლება მიეწოდოს მხოლოდ მისი თანხმობით. ასეთი რეკლამის ღირებულება არ უნდა შევიდეს აბონენტის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის ღირებულებაში.
2. რეკლამა მისი წარდგენისთანავე გასაგები უნდა იყოს სპეციალური ცოდნისა და ტექნიკის საშუალების გამოუყენებლად.

მუხლი 11. მომსახურების ხარისხი

მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია მაწარდოს მომხმარებელს საქართველოს კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მომსახურება.

მუხლი 12. ხელშეკრულება ადგილობრივი საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების შესახებ

1. ხელშეკრულება მომსახურების გაწვევის შესახებ უნდა შეიცავდეს:

- ა) მომსახურების მიმწოდებლის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, დასახელებასა და მისამართს;
 - ბ) მომხმარებლის ვინაობასა და მისამართს;
 - გ) პირობებს მიწოდებული მომსახურების სახის, ხარისხისა და პირველადი ჩართვის ვადის შესახებ;
 - დ) მომხმარებლისათვის მისაწოდებელი მომსახურების პაკეტი;
 - ე) მომსახურების მიწოდებლის მიერ გაწეული ძირითადი და გაფართოებული საკომუნიკაციო მომსახურების სახეებსა და ტარიფებს დანართის სახით;
 - ვ) მომსახურების მიწოდების შეზღუდვისა და შეწყვეტის პირობებს;
 - ზ) დაზიანების აღმოფხვრის პირობებსა და ვადებს;
 - თ) ინფორმაციულ უზრუნველყოფის პირობებს, მათ შორის დეტალურ ინფორმაციას მომსახურების ტარიფების, აგრეთვე ცვლილებების შემთხვევაში განახლებული ინფორმაციის მიღების შესახებ;
 - ი) გადახდის ფორმებსა და შეღავათებს;
 - კ) ხელშეკრულების მოქმედების ვადის, ვადის შეწყვეტისა და გაგრძელების პირობებს;
 - ლ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ხარისხის დაცვის უზრუნველყოფისა და აღნიშნული ხარისხობრივი მაჩვენებლების დაუცველობის შემთხვევაში გათვალისწინებულ საკომპენსაციო მექანიზმებს;
 - მ) მომსახურებასთან დაკავშირებული საჩივრების და პრეტენზიების წარდგენის და დაეის გადაწყვეტის პროცედურას;
2. ახალი ან გაფართოებული მომსახურების გაწევის შესახებ მომხმარებელსა და მომსახურების მიმწოდებელს შორის იდება დამატებითი ხელშეკრულება.
 3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სახის ცვლილებებთან დაკავშირებით შეტყობინება ხდება მხოლოდ წერილობითი ფორმით.
 4. მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებების ფორმების დადგენისას ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების და პირობების გარდა, მათში შეიძლება შეტანილ იქნას დამატებითი მოთხოვნები და პირობები, რომლებიც არ არღვევენ მომხმარებლის უფლებებს.

მუხლი 13. მომსახურების შეზღუდვის წესები და პირობები

1. მომსახურების შეზღუდვა ხორციელდება ადგილობრივი საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით, მომსახურების მიმწოდებელი პირის მიერ უშუალოდ ან ამ უკანასკნელის მიერ მომსახურების სხვა მიმწოდებლებთან დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული წესით;
2. მომსახურების შეზღუდვის ფორმები დგინდება მომსახურების მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის დადებული ხელშეკრულებით და შეიძლება ითვალისწინებდეს:
 - ა) საერთაშორისო, საქალაქთაშორისო და მობილური კავშირის შეზღუდვას;
 - ბ) შემოძვავალი ხარის შეზღუდვას;
 - გ) გამავალი ხარის შეზღუდვას
 - დ) შეზღუდვის სხვა ფორმებს;

3. მომსახურების მიმწოდებელმა უნდა გამოიყენოს მომსახურების შეზღუდვის ერთ-ერთი ისეთი ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ერთი მხრივ დარღვევის აღმოფხვრას, ხოლო მეორე მხრივ უსაფუძვლოდ არ შეზღუდავს მომხმარებლის ინტერესს ისარგებლოს მომსახურების სხვა სახეებით.

4. მომსახურების შეზღუდვის საფუძველი შეიძლება იყოს:

- ა) მომხმარებლის მიერ სავალდებულო დეპოზიტის გადაუხდელობა;
- ბ) წუთობრივი მომსახურების საფასურის გადაუხდელობა;
- გ) სააბონენტო გადასახდელის გადაუხდელობა;
- დ) მომსახურების მიმწოდებლის მოწყობილობის დაზიანება;
- ე) მომხმარებლის მიერ ტექნიკური მოწყობილობის დემარკაციის წერტილთან მომსახურების მიმწოდებლის წარმომადგენლის დაუშვებლობა.

5. მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომსახურების შეზღუდვა დაიშვება მომხმარებლის წინასწარი შეტყობინებიდან არა უადრეს 3 დღისა, სამუშაო დღის წინა სამუშაო დღეს.

6. მომსახურების მიმწოდებელს შეუძლია მომხმარებელს შეზღუდოს მომსახურება წინასწარი გაფრთხილების გარეშე. თუ მომხმარებელი არ ასრულებს განვადების შესახებ ხელშეკრულების პირობებს, რაც უნდა აისახოს განვადების ხელშეკრულებაში.

7. მომსახურების მიმწოდებლის მიერ შეზღუდული მომსახურების აღდგენა ხდება შეზღუდვის მიზეზების აღმოფხვრიდან არა უკვიანეს მეორე დღის დასრულებამდე.

მუხლი 14. მომსახურების შეწყვეტა (21.08.2006 №8)

ადგილობრივი ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების მიმწოდებლის ინიციატივით მომსახურების შეწყვეტა დაიშვება მომხმარებლის მიერ მომსახურების შეზღუდვის საფუძვლის 90 დღეში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში.

მუხლი 15. დაზიანება და სხვა ფორსმაჟორული გარემოებები

მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გააფრთხილოს მომხმარებელი აუარიის. აგრეთვე სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებების შესახებ, რაც შეუძლებელს ხდის მომსახურების მიწოდებას. იგი ვალდებულია აგრეთვე შეატყობინოს შეწყვეტის მიზეზისა და ხანგრძლივობის თაობაზე.

მუხლი 16. შეტყობინება მომსახურების შეზღუდვისა შესახებ

1. მომსახურების შეზღუდვის შესახებ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს:

ა) მომსახურების მოსალოდნელი შეზღუდვისა და მომსახურების შეზღუდვის მიზეზების დადგენილ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში მომსახურების მიმწოდებლის მიერ მიღებული ზომების თაობაზე;

ბ) სატელეფონო საცნობარო-საინფორმაციო ნომერი, რომელზეც მომხმარებელს შეუძლია უფასოდ გაიგოს დეტალური ინფორმაცია მოსალოდნელი შეზღუდვის ფორმის, შეზღუდვას დაქვემდებარებული მომსახურების სახეების, ვადის, აგრეთვე შეზღუდვის მიზეზებისა (დავალანებისა) და პრეტენზიების წარდგენის პროცედურების თაობაზე;

2. ამ მუხლით განსაზღვრული შეტყობინების სატელეფონო გადაცემა, მომსახურების მიმწოდებლის მიერ უნდა განხორციელდეს, ისე, რომ აისახოს საანგარიშო

პერიოდში მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების დეტალურ ანგარიშში შემოამავალი ზარისა და შეტყობინების გადაცემის ხანგრძლივობის (წუთობრივად) მითითებით..

მუხლი 17. მომსახურების შეჩერება

ადგილობრივი საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების მიმწოდებლისა და მომხმარებლის წერილობითი ურთიერთშეთანხმებით, შესაძლებელია ადგილობრივი საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების დროებით შეჩერება სააბონენტო ნომრის შენარჩუნებით შემდეგი პირობებით:

- ა) სააბონენტო გადასახდელის წინასწარი გადახდით;
- ბ) სააბონენტო გადასახდელის გადახდის გარეშე, რა დროსაც მომსახურების მიმწოდებელი უფლებამოსილია სატელეფონო ნომერი დროებითი სარგებლობისათვის გადასცეს სხვა მომხმარებელს.

მუხლი 18. დაზიანების აღმოფხვრა (9.11.2007 №7)

1. მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას დაზიანებები ამ რეგლამენტით განსაზღვრული პირობებით.

2. იმ შემთხვევაში, თუ:

- ა) დაზიანება სადემარკაციო წერტილებიდან მომსახურების მიმწოდებლის მხარეზეა, ეს უკანასკნელი ვალდებულია დაზიანება აღმოფხვრას უფასოდ;
- ბ) დაზიანება სადემარკაციო წერტილიდან მომხმარებლის მხარეზეა, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს ბოლო მომხმარებელს ამის შესახებ და შესთავაზოს მას დაზიანების აღმოფხვრა თანხის გადახდით მომსახურების მიმწოდებლის მიერ დადგენილი ტარიფის შესაბამისად.

3. მომსახურების მიმწოდებლის დაზიანების ბიუროში აღირიცხება მომხმარებლისაგან ან სხვა მოკლაქისაგან შემოსული ნებისმიერი წერილობითი ან ზეპირი განცხადება. განაცხადებად არ ჩაითვლება მომხმარებლის (აბონენტის) განცხადება, თუ მომსახურება შეზღუდულია მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის გამო, ან მომსახურება არ მიეწოდება გვერდური პროფილაქტიკური, ან სარემონტო სამუშაოების ჩატარების გამო.

4. დაზიანებად ითვლება ნორმალური სატელეფონო კავშირის დარღვევის ყოველი ფაქტი, რომელიც დადასტურებულია გამზომ-გამსინჯავი მოწყობილობის საშუალებით და მომხმარებლის (აბონენტის) გამოკითხვით.

5. დაზიანებები კლასიფიცირდება შემდეგ სახეობად:

- ა) სახაზო-სააბონენტო;
- ბ) საკაბელო;
- გ) სასადგურო სააბონენტო;
- დ) სააპარატო.

6. სააპარატო დაზიანებას მიეკუთვნება აბონენტის კუთვნილ ტერიტორიაზე გაყვანილობის ან/და ტერმინალური მოწყობილობის დაზიანება.

7. სახაზო-სააბონენტო დაზიანებებს მიეკუთვნება:

- ა) საპაერო ხაზების დაზიანება საკაბელო ყუთიდან შემყვან დგარამდე (კაუჭამდე);
- ბ) სააბონენტო გაყვანილობის დაზიანება გამანაწილებელი კოლოფიდან, შემყვანი

კაუჭებიდან ან შემყვანი დგარებიდან ძირითადი და დამატებითი მოწყობილობის როზეტამდე;

გ) გადასასვლელი მოწყობილობების (გამანაწილებელი კარადებისა და საკაბელო ყუთების ზონარები, პლატები), საკაბელო ყუთების და სააბონენტო მოწყობილობების დამცველების დაზიანება.

8. საკაბელო დაზიანებას მიეკუთვნება:

ა) მიწისქვეშა, საჰაერო, კედლის, დაკიდებული და წყალქვეშა კაბელის დაზიანებები;

ბ) დაზიანებები დამაბოლოებელ საკაბელო მოწყობილობებში: ბოქსებში, საკაბელო ყუთებში, გამანაწილებელ კოლოფებში.

9. სასადგურო-სააბონენტო დაზიანებებია: დაზიანებები აღმოჩენილი მომხმარებლის (აბონენტის) განაცხადის საფუძველზე. ავტომატური სატელეფონო სადგურის, სადგურთაშორისო კავშირების და გადართვების მთავარი ფარის (კროსის) მოწყობილობებში.

10. დაზიანებებში არ ჩაითვლება სატელეფონო კავშირის შეწყვეტა შემდეგი მიზეზებით:

ა) სასადგურო და სახაზო მეურნეობის მოწყობილობების გვერდითი შეკეთება და სარეგონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება;

ბ) ტელეფონის გადართვა ერთი კაბელიდან მეორეზე;

გ) ტელეფონის გადათიშვა ასს-ის ერთი ინდექსიდან მეორე ინდექსზე;

დ) სატელეფონო ქსელის გვერდითი გაზომვების გამო შეფერხება, რაც არ უნდა აღემატებოდეს 3 საათს;

ე) სატელეფონო მომსახურების შეზღუდვა მომსახურების საფასურის გადაუხდელობის გამო;

ვ) ასს-ის გაჩერება ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტის გამო;

ზ) ასს-ის პროგრამულ უზრუნველყოფაში დროებითი შეფერხების გამო.

11. ფორსმაჟორული სიტუაციების გამო მომხდარი დაზიანებები ცალკე აღირიცხება და ის სატელეფონო ქსელის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესებად არ ითვლება.

12. დაზიანებათა შესახებ განაცხადების აღირიცხვა წარმოებს შემდეგი წესითა და პირობებით:

ა) განაცხადების მიღება წარმოებს ყოველდღე უქმე დღეებისა და კვირის გარდა სამუშაო საათებში;

ბ) დაზიანების აღმოფხვრა წარმოებს 9.000 სთ-დან 18.00 სთ-მდე;

გ) განაცხადების მიღების დროს შესაბამისი სამსახურის მუშაკი ვალდებულია მომხმარებელს გასცეს ამომწურავი პასუხი ტელეფონის დაზიანების სახეობისა და დაზიანების აღმოფხვრის ვადების შესახებ;

დ) ადგილობრივი სატელეფონო ქსელების ხელმძღვანელებთან და სხვა თანამშრომლებთან შემოსული განაცხადები გადაეცემა და აღირიცხება დაზიანების ბიუროში.

13. დაზიანების ხანგრძლივობად ითვლება დრო მომხმარებლის მიერ სატელეფონო კავშირის დაზიანებაზე განაცხადის შეტანის მომენტიდან მის აღმოფხვრის მომენტამდე (უქმე დღეებისა და კვირა დღის გამოკლებით).

მუხლი 18¹. დაზიანებათა აღმოფხვრის ვადები (9.11.2007 №7)

1. სატელეფონო კავშირის ყველა სახის დაზიანება უნდა აღმოიფხვრას შემდეგ ვადებში:

ა) სასადგურო-სააბონენტო დაზიანებები განაცხადის შემოსვლიდან 3 სთ-ის განმავლობაში;

ბ) სატელეფონო ქსელებში სახაზო-სააბონენტო დაზიანებები:

ბ.ა) საპაერო შემყვანით დადგმული ტელეფონების აღდგენა, თუ ხაზის სიგრძე არ აღემატება 120 მეტრს და ხაზი არ მოითხოვს შეცვლას იმავე დღეს, თუ განაცხადი შემოვიდა 15 სთ-მდე;

ბ.ბ) თუ საპაერო ხაზის სიგრძე აღემატება 120მ. და ხაზის დაზიანებული ნაწილი მოითხოვს შეცვლას განაცხადის შემოსვლიდან 24 სთ-ის განმავლობაში;

ბ.გ) ტრანზიტულად დადგმული ტელეფონების აღდგენა, რომლებიც გადიან რამდენიმე ასს-ის ზონაში განაცხადის შემოტანიდან 12 სთ-ის განმავლობაში;

გ) სატელეფონო ქსელში საკაბელო დაზიანებები დამაბოლოებელ მოწყობილობებში: (გამანაწილებელი ყუთები, ბოქსები, საკაბელო ყუთები, დამცავი ზოლი და სხვა). მაგისტრალურ და გამანაწილებელ კაბელებში დაზიანებული წყვილების შეცვლა განაცხადის შემოტანიდან იმავე დღეს, თუ განაცხადი შემოვიდა 15 სთ-მდე, ხოლო დამაბოლოებელი მოწყობილობის შეცვლის აუცილებლობის შემთხვევაში 48 საათის განმავლობაში;

დ) დაზიანებები სადგურთაშორისო, მაგისტრალურ და გამანაწილებელ კაბელებში, თუ გაზომვების შედეგად დადგენილია, რომ კაბელი მთლიანად არ არის დაზიანებული და მის აღსადგენად საჭიროა ქუროს გახსნა:

200X2 წყვილამდე - 36 საათის განმავლობაში;

400X2 წყვილამდე - 48 საათის განმავლობაში;

600X2 წყვილამდე - 60 საათის განმავლობაში;

800X2 წყვილამდე - 72 საათის განმავლობაში;

1200X2 წყვილამდე - 80 საათის განმავლობაში;

ოპტიკური კაბელი - 3 საათის განმავლობაში;

ე) თუ კაბელის დაზიანების აღსადგენად შესაცვლელია კაბელის დაზიანებული მონაკვეთი ან აუცილებელია კაბელის ნაჭერის ჩამონტაჟება:

200X2 წყვილამდე - 72 საათის განმავლობაში;

400X2 წყვილამდე - 96 საათის განმავლობაში;

600X2 წყვილამდე - 120 საათის განმავლობაში;

800X2 წყვილამდე - 144 საათის განმავლობაში;

1200X2 წყვილამდე - 160 საათის განმავლობაში;

ოპტიკური კაბელი - 5 საათის განმავლობაში.

ვ) სადგურთაშორისო კავშირის აღდგენა შემოვლითი ხაზების გამოყენებით განაცხადის შეტანიდან 24 საათის განმავლობაში;

ზ) დაზიანებების იმ კატეგორიისათვის, რომლის გამომწვევი მიზეზია სხვა პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, დაზიანების აღდგენის დადგენილი ვადები არ მოქმედებს. მსგავსი დაზიანებები აღდგენილი უნდა იქნას არა უგვიანეს ფაქტის გამოვლენიდან 96 საათის განმავლობაში.

2. კაბელის ცალკეული წყვილების ან მთლიანად დაზიანებებზე ცნობების მიღების

შემთხვევაში გაიყემა დავალეზა კაბელის გასაზომად, გადაირჩევა დაზიანებული ტელეფონის სააბონენტო ბარათები, ნომრები კი დაფიქსირდება საკონტროლო ფურცელში. გაზომვის შედეგები ზომების მისაღებად გადაეცემა შესაბამის სამსახურს.

მუხლი 19. შეღავათები

1. მომხმარებელს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება გაეწევათ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეღავათების გათვალისწინებით.
2. მომსახურების მიწოდებელი უფლებამოსილია დაადგინოს დამატებითი შეღავათები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

თავი IV.

მომსახურების საფასურის გადახდის წესები

მუხლი 20. ანგარიშის დეტალური ამონაბეჭდის მიღების წესი

1. მომსახურების მიწოდებელი ვალდებულია მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში მიწოდებულ ანგარიშს თან დაურთოს ინფორმაცია საანგარიშო პერიოდის შესაბამისი მომსახურების სახის, ტარიფის, თარიღის, მომსახურების გაწევის დროის, დროის ხანგრძლივობის (წუთობრივად), შემომავალი და გამავალი ზარების ნომრების შესახებ.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული ინფორმაცია საანგარიშო პერიოდის თაობაზე უფასოა, გარდა შემომავალი ზარების ნომრების შესახებ ინფორმაციისა, რაზეც მომსახურების მიწოდებელი უფლებამოსილია დაადგინოს შესაბამისი ტარიფი. (20.10.2006 №9)

მუხლი 21. ანგარიშსწორება

1. მომსახურების მიწოდებელთან მომხმარებლის ანგარიშსწორება ხორციელდება წარდგენილი მომსახურების ანგარიშის საფუძველზე. მომსახურების მიწოდებელსა და მომხმარებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი წესით, ამ რეგლამენტით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით.
2. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით დაზიანებული სატელეფონო ხაზი აღდგენილი არ იქნება მომსახურების მიწოდებლის მიერ მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცვით, მომხმარებელი ამ პერიოდში სააბონენტო გადასახადს არ იხდის.
3. ტელეფონის სააბონენტო გადასახადის დარიცხვა წარმოებს მომსახურების აღდგენის დღიდან.
4. მომხმარებლის განცხადების საფუძველზე შეიძლება მოხდეს ტელეფონის დადგენისა და დამატებითი სამუშაოებისათვის გადახდილი თანხის დაბრუნება თუ მომხმარებელი უარს განაცხადებს გაფორმებული შეკვეთის მიღებაზე სამუშაოების დაწყებამდე, ხოლო სამუშაოს დაწყების შემდეგ მომხმარებელს უბრუნდება თანხა გაწეული სამუშაოებისათვის დახარჯული თანხის გამოკლებით.
5. მომსახურების მიწოდებელი უფლებამოსილია დაადგინოს მომსახურების საფასურის გადახდის ალტერნატიული ფორმა (განკლება).

6. განვადებით მომსახურების საფასურის გადახდის შემთხვევაში მომსახურების მიწოდებულსა და მომხმარებელს შორის იდება განვადების გადახდის ხელშეკრულება.

მუხლი 22. ზედმეტად გადახდილი თანხის რეგულირების წესი

1. ზედმეტად გადახდილი თანხა აღირიცხება მომხმარებლის დეპოზიტურ ანგარიშზე, თუ მომხმარებელი არ ითხოვს ამ თანხის უკან დაბრუნებას.
2. ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება მომსახურების მიწოდებლის მიერ უნდა განხორციელდეს მომხმარებლის განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს 10 დღეში.

მუხლი 23. ანგარიშში ტექნიკური შეცდომის რეგულირების წესი

საანგარიშსწორებო პერიოდის ანგარიშში ტექნიკური შეცდომის მიზეზით მომსახურების მიწოდებლის მიერ მომხმარებლისათვის ნაკლები თანხის დაკისრების შემთხვევაში მომსახურების მიწოდებელი ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში, მომხმარებელს გაუფორმოს გასწორებული თანხის (დავალიანების) განვადებით გადახდის შესახებ ხელშეკრულება.

მუხლი 24. ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისა და დარიცხვის წესი

1. მომსახურების მიწოდებელი უფლებამოსილია გაფრთხილებით განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ დააჯარიმოს მომხმარებელი სააბონენტო გადასახდელის ან/და წუთობრივი მომსახურების საფასურის გადაუხდელობისათვის ან/და განვადების ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის.
2. ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება მომსახურების მიწოდებულსა და მომხმარებელს შორის დადებული ხელშეკრულებით დადგენილი წესით, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს გადასახდელი საფასურის ოდენობის 20%-ს.

თავი V.

მომხმარებელთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვა

მუხლი 25. მომხმარებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა (9.11.2007 №7)

1. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომხმარებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაზე ზედამხედველობას ახორციელებს კომისია, რომელთანაც მოქმედებს მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური.
2. კომისია ადგენს მომსახურების გაწვეის ხარისხს და უზრუნველყოფს მომსახურების მიწოდებლის მიერ ამ ხარისხის დაცვაზე ზედამხედველობას.
3. მომსახურების მიწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მომხმარებელთა მიერ გადაცემული ინფორმაციის საიდუმლოება და მისი დაცვა. სატელეფონო საუბრების მოსმენა, მათ შესახებ ცნობების გაცემა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია:

- ა) უზრუნველყოს მომსახურების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან;
- ბ) უზრუნველყოს მომხმარებლისათვის ხარისხიანი მომსახურების უწყვეტი, შეუფერხებელი მიწოდება;
- გ) უზრუნველყოს შეთავაზებული მომსახურების ადეკვატურობა მიღებულთან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი ზომები შეუსაბამობის დროული, ჯეროვანი, სრული აღკვეთის მიზნით;
- დ) მიიღოს შესაბამისი ზომები მომსახურების მრავალფეროვნებისა და ხარისხის გაზრდისათვის;
- ე) უზრუნველყოს მომხმარებელთა საჩივრების განხილვის გამჭვირვალე და ეფექტური მექანიზმი საჩივრის დროული და კანონიერი გადაწყვეტის მიზნით;
- ვ) უზრუნველყოს შეზღუდული დაშვების მექანიზმები სრულწლოვანისათვის განკუთვნილ მომსახურებაზე;
- ზ) მოახდინოს რეაგირება დაუშვებელი პროდუქციის განთავსების თაობაზე მიღებულ ინფორმაციაზე და მიიღოს შესაბამისი ზომები მისი აღმოფხვრის მიზნით;
- თ) დაიცვას ქსელის ინტეგრაცია და შეუვალობა, არ დაუშვას ქსელებითა და საშუალებებით არასანქცირებული სარგებლობა;
- ი) მიიღოს ზომები მომხმარებელთა დასაცავად მომსახურებით გამოწვეული ნებისმიერი შესაძლო რისკისაგან. მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს მომხმარებელი საფილტრო პროგრამით;
- კ) თუ ტექნიკური მიზეზებით მომსახურების მიმწოდებელი ვერ ახერხებს თავის საკუთრებაში არსებული ქსელის დაცვას, ის ვალდებულია წინასწარ მიაწოდოს მომხმარებელს ინფორმაცია მესამე პირთა მიერ უნებართვო ჩართვის რისკის არსებობის თაობაზე და ტექნიკური შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში შესთავაზოს მას მომსახურება უნებართვო ჩართვისაგან თავის დასაცავად;
- ლ) იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე ხდება მომხმარებლებთან საუბრის ჩაწერა, მომსახურების დაწყებამდე გააფრთხილოს მომხმარებელი ამის თაობაზე;

მ) დააკმაყოფილოს განცხადება მომსახურების მიწოდების თაობაზე რევიზიის წესით, თანაბარი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე. იმ უპირატესობების და შეღავათების გათვალისწინებით, რომლებიც განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით.

5. მომსახურების მიმწოდებელი მომხმარებლის მიერ შეტყობინების საფუძველზე ახდენს რეაგირებას და იღებს მის ხელთ არსებულ ყველა შესაძლო ზომას, რომ არ მოხდეს მისი ქსელის მეშვეობით:

- ა) უნებართვო ჩართვა;
- ბ) დაუშვებელი პროდუქციის შემცველი შეტყობინების გადაცემა;
- გ) მომხმარებლის დაშინება, შეურაცხყოფა და სხვა ღირსებების შეზღავანედი ქმედებების განხორციელება.

6. მომსახურების მიმწოდებელი მომხმარებლის კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, უფლებამოსილია თავად განსაზღვროს მომსახურების კონკრეტული სახეობით მომხმარებლის წესები, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოქმედ კანონმდებლობას და რომელიც, შეიძლება მოიცავდეს დამატებით უფლებებსა თუ ვალდებულებებს.

მუხლი 26. მომხმარებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა

1. მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს მომსახურების გაწევისას, ან მომსახურების გაწევით დარღვეული უფლების აღდგენა და მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.
2. მომსახურებისას მომხმარებლის დარღვეული თუ სადაოდ ქცეული უფლებისა და კანონით გათვალისწინებული ინტერესების აღდგენის საფუძველს წარმოადგენს საჩივარი.
3. ამოღებულია (9.11.2007 №7)
4. მომხმარებელს უფლება აქვს საჩივარი წარადგინოს უშუალოდ მომსახურების მიმწოდებლის მომხმარებელთა საჩივრების განმხილველ სამსახურში, კომისიის მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში ან სასამართლოში.
5. დაუშვებელია საჩივრის განხილვის მთელ პერიოდში მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომსახურების შეზღუდვა ან შეწყვეტა.

მუხლი 27. საჩივრის შინაარსი

საჩივარში აღნიშნული უნდა იყოს:

- ა) სამსახურის დასახელება, რომელშიც შეიტანება საჩივარი;
- ბ) საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა და მისამართი;
- გ) მომსახურების მიმწოდებლის დასახელება და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების ნომერი;
- დ) მოთხოვნა;
- ე) გარემოებანი, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა;

მუხლი 28. მომსახურების მიმწოდებლის მომხმარებელთა საჩივრების განმხილველი სამსახური (9.11.2007 №7)

1. მომხმარებელთა საჩივრების მიღების, განხილვისა და დროულად გადაწყვეტის მიზნით მომსახურების მიმწოდებელი უზრუნველყოფს მომხმარებელთა საჩივრების განმხილველი სამსახურის (შემდგომში – სამსახური) შექმნას.
2. სამსახურის უფლებამოსილება და სტრუქტურა განისაზღვრება მომსახურების მიმწოდებლის მიერ დამტკიცებული სამსახურის დებულებით.
3. სამსახური ვალდებულია:
 - ა) აწარმოოს შემოსული საჩივრების აღრიცხვა სარეგისტრაციო ჟურნალში (რეგისტრაცია, კატეგორიებად დაყოფა) და შეინახოს სამი წლის მანძილზე;
 - ბ) განახორციელოს საჩივრების განხილვის შიდა მექანიზმების საქმიანობის მონიტორინგი და გამოიკლიოს, თუ რამდენად ეფექტურად წყდება მომხმარებელთა საჩივრები;
 - გ) კომისიას, აგრეთვე კომისიასთან მოქმედი მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს, ყოველი კვარტლის ბოლოს წარუდგინოს საჩივრების განხილვის შედეგების შესახებ დეტალური ანგარიში, ასევე, ამ საკითხებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია.

4. საჩივრების განხილვის წესები უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორცაა საჩივრის შეტანის პროცედურა, ვადები, რომლის განმავლობაში უნდა გადაწყდეს მომხმარებლის საჩივარი, ასევე, მითითებები იმის თაობაზე, თუ რა ზომებს შეიძლება მიმართოს მომხმარებელმა მომსახურების მიწოდებლის მიერ მისი საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში.

მუხლი 29. საჩივრის განხილვა და გადაწყვეტა მომსახურების მიწოდებლის მიერ

1. მომსახურების მიწოდებელი ვალდებულია საჩივარი განიხილოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს საჩივრის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს მე-15 დღისა.
2. მომსახურების მიწოდებლის გადაწყვეტილება უნდა იყოს ყოველმხრივ სრული, ობიექტური და დასაბუთებული. იგი სავალდებულო წესით უნდა შეიცავდეს იმ მეთოდოლოგიასა და პროცედურების აღწერილობას, რომლის გამოყენებითაც მოხდა პრეტენზიისა და მოთხოვნის შესწავლა და მითითებული გარემოებების გამოკვლევა.

მუხლი 30. მომსახურების მიწოდებლის გადაწყვეტილების გასაჩივრება დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს მომსახურების მიწოდებლის გადაწყვეტილება გაასაჩივროს კომისიაში ან სასამართლოში.

მუხლი 31. სამართლებრივი დახმარების გაწევის მოვალეობა.

კომისიის მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური ვალდებულია საჩივრის წარმდგენს განუმარტოს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს საჩივრის განხილვის წესი და ვადა, აგრეთვე ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს საჩივარი, მიუთითოს საჩივარში დაშვებული შეცდომების შესახებ.

მუხლი 32. მომსახურების მიწოდებელსა და მომხმარებელს შორის დავის განხილვის წესი

1. მომსახურების მიწოდებელს და მომხმარებელს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში ურთიერთობა რეგულირდება "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ რეგლამენტით.

2. მომხმარებელთა განცხადებებისა და საჩივრების, ასევე მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის განცხადების საფუძველზე მომსახურების მიწოდებელსა და მომხმარებელს შორის დაეა განიხილება კომისიის მიერ ზეპირი მოსმენით, ფორმალური ადმინისტრაციულ წარმოების წესით. გარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი გამონაკლისებისა და იმ შემთხვევებისა, როდესაც სადავო საკითხების გადაწყვეტა არ მოითხოვს ორგანიზებული პროცედურების განხორციელებას. მომხმარებელთა ის განცხადებები და საჩივრები, რომლებიც ეხება პირთა ფართო წრის ინტერესებს, აგრეთვე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში – კომისიის მიერ განიხილება მხოლოდ საჯარო ადმინისტრაციული წესით.

3. ზეპირი მოსმენის სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა, საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გამოთხოვა და დამსწრე პირთა მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლების განხორციელება.

4. მომხმარებელსა და მომსახურების მიმწოდებელს შორის დავის განხილვისას კომისია ხელმძღვანელობს "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების შესაბამისად.

5. კომისია ვალდებულია დავის განხილვის შედეგების შესახებ წერილობით აცნობოს დაინტერესებულ მხარეებს.

6. მომხმარებელსა და მომსახურების მიმწოდებელს შორის დავის განხილვისას კომისიასთან მოქმედი მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი წარმოადგენს მომხმარებლის ინტერესებს.

მუხლი 33. გარდამავალი დებულებები

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ამ რეგლამენტის ამოქმედებიდან ერთი წლის განმავლობაში მოამზადოს შემდეგი შინაარსის დამატებები ამ რეგლამენტში:

- ა) „ინტერნეტით მომსახურების მიწოდების წესები“;
- ბ) „მობილური სატელეფონო მომსახურების მიწოდების წესები“;
- გ) „სამაუწყებლო მომსახურების მიწოდების წესები“.
- დ) „საერთაშორისო და საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურების წესები“.

2. მომსახურების მომწოდებლებმა 2006 წლის 1 ოქტომბრამდე შესაბამისობაში მოიყვანონ მომხმარებლებთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებები ამ რეგლამენტის მოთხოვნებთან. (21.08.2006 №8)

კომენტარი

საქართველოს კანონზე

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“

2004 წლის 24 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. კანონმა მნიშვნელოვანი კორექტირება შეიტანა არსებულ სამართლებრივ სივრცეში.

პირველი ძირეული ცვლილება, რაც ახალმა კანონმა შემოიტანა არის დიფამაციის დეკრიმინალიზაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში (აშშ, უკრაინა, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ზორვატია) ცილისწამება სისხლის სამართლის დანაშაული არ არის და შესაბამისად, სისხლის სამართლის წესით არ ისჯება. ცილისწამება დანაშაულის დაბრალებით ისჯებოდა ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან გამასწორებელი სამუშაოებით.

უნდა აღინიშნოს, რომ დიფამაციის დეკრიმინალიზაციას ჰყავს როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგენი. მომხრეთა არგუმენტები ასეთია: არ არის საჭირო სისხლის სამართლებრივი დევნა სიტყვის თავისუფლების გამო, და რომ არსებობს საფრთხე მთავრობამ ეს ბერკეტი გამოიყენოს კრიტიკული აზრის ჩასახშობად, ამიტომ დიფამაციის დეკრიმინალიზაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სიტყვის თავისუფლების გარანტიების განმტკიცებისათვის.

მოწინააღმდეგეთა მოსაზრება ემყარება შემდეგ არგუმენტებს: საქართველოში სისხლის სამართლის წესით ისჯებოდა არა ცილისწამება, არამედ ცილისწამება დანაშაულის დაბრალებით – ე. ი. მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედება, რაც ხშირად მძიმე შედეგით მთავრდება. ამიტომ პირი, რომელიც განზრახ ხელყოფს ადამიანის კანონით მინიჭებულ უფლებას, ამახინჯებს მის ცხოვრებას, უნდა დაისჯოს სათანადოდ. მას არ უნდა შეეძლოს სიმბოლური ანაზღაურების ფასად. ნებისმიერი საშუალებით, ნებისმიერი ბრალდება წაუყენოს ადამიანს და დაუსჯელი დარჩეს. დიფამაციის დეკრიმინალიზაცია ხელს შეუწყობს ცილისმწამებლური თავდასხმების გახშირებას, აგრესიული, უარყოფითად დამუხტული ინფორმაციის ნაკადს.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის ბევრ ქვეყანაში (მაგალითად, საფრანგეთსა და გაერთიანებულ სამეფოში) ცილისწამების სისხლის სამართლის წესით დასჯა დღესაც აპრობირებული ფორმაა. მაგალითად, ინგლისში მონარქის შეურაცსყოფა დანაშაულადაა მიჩნეული.

გამოხატვის თავისუფლება

რას ნიშნავს გამოხატვის თავისუფლება? კანონი გამოხატვის თავისუფლებას განმარტავს, როგორც:

- ა) აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას;
- ბ) პოლიტიკური სიტყვისა და დებატების თავისუფლებას;
- გ) ნებისმიერი ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლებას;
- დ) ცენზურის დაუსველობას. მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობასა და პლურალიზმს. ჟურნალისტის უფლებას, დაიცვას ინფორმაციის წყაროს საიდუმლოება და საკუთარი სინდისის შესაბამისად მიიღოს სარედაქციო გადაწყვეტილება.
- ე) სწავლის, სწავლების და გამოგონების თავისუფლებას;
- ვ) ნებისმიერ ენაზე მეტყველების, ნებისმიერი დამწერლობის გამოყენების უფლებას;
- ზ) ქველმოქმედების უფლებას;
- თ) მხილების თავისუფლებას და მამხილებელთა დაცვას;
- ი) თავისუფლებას იძულებისგან, გამოთქვას თავისი შეხედულება რწმენის, აღმსარებლობის, სინდისისა და მსოფლმხედველობის, ეთნიკური, კულტურული და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, აგრეთვე ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება გახდეს მისი უფლებებისა და თავისუფლების შელახვის საფუძველი.

აღნიშნული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, რამდენადაც, შეუძლებელია თანამედროვე საზოგადოების განვითარების გათვალისწინებით სრულად მოიცვა სიტყვისა და აზრის გამოხატვის ყველა შესაძლო გამოვლინება. ამიტომაც, რომ კანონი ცნობს საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა აქტებით დაცულ და საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აღნიშნულ კანონში არ არის მოხსენიებული.

ფაქტებისა და მოსაზრებების გამოჯვანა

ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ის, რომ კანონმა გაითვალისწინა ფაქტებისა და შეფასებითი მსჯელობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა, რითაც მიუახლოვდა ამერიკულ სტანდარტებს.

აშშ-ის კონსტიტუციის I შესწორებით დადგინდა, რომ მოსაზრება დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ამერიკის უზენაესი სასამართლოს დადგენილებით კი შეიზღუდა შეფასებითი მსჯელობის ფორმალურად ფართო გაგება და ცილისწამების საქმეში ფაქტობრივი მონაცემების სიზუსტე აღიარებულ იქნა დაცვის საფუძვლად. აღნიშნული სტანდარტების საფუძველზე, სასამართლოები ვალდებული არიან შეამოწმონ, რამდენად ეფუძნება შეფასებითი მსჯელობა ფაქტებს. „შეფასებითი მსჯელობა“ არ არის დაცული, თუ ფაქტი, რომელსაც ის ეფუძნება, მკლარი ან შეურაცხყოფელი აღმოჩნდება.

კანონმა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ ერთმანეთისაგან გამოიყენა რა ფაქტები და მოსაზრებანი, აღიარა, რომ აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ქართულ კანონმდებლობაში, აბსოლუტური პრივილეგია განმარტებულია, როგორც კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრული და უპირობო განთავისუფლება. შესაბამისად, სასამართლოს არ შეუძლია მოპასუხეს დააკისროს პასუხისმგებლობა მის მიერ გავრცელებული მოსაზრების გამო.

აბსოლუტურ პრივილეგიასთან ერთად კანონი განმარტავს კვალიფიციურ პრივილეგიასაც. კვალიფიციური პრივილეგია ნიშნავს „კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის ნაწილობრივ ან პირობით განთავისუფლებას, სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით. პირმა შეიძლება დაკარგოს პრივილეგია, თუ ეს აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად“.

კანონში აზრი განმარტებულია, როგორც შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს.

პოლიტიკური დებატების გარანტიები

ასევე მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს კანონის მიერ იმის აღიარება, რომ ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას არ იწვევს განცხადება, რომელიც გაკეთებულია:

- ა) პოლიტიკური დებატების ფარგლებში, აგრეთვე პარლამენტის ან საკრებულოს წევრის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;
- ბ) წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე. სახალხო დამცველის წინაშე, პარლამენტის ან საკრებულოს, აგრეთვე მათი კომიტეტის სხდომაზე. პირის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში;
- გ) უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნით.

პოლიტიკური დებატების გარანტია მნიშვნელოვანი ბერკეტია დემოკრატიული სახელმწიფოსათვის, რომელიც დაინტერესებულია პოლიტიკური პლურალიზმის შენარჩუნებით, რაც სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა.

კანონი არ აკონკრეტებს, თუ როგორი პრივილეგიით სარგებლობს პირი ამგვარი გარემოებების არსებობისას – აბსოლუტურით თუ კვალიფიციურით. ჟურნალისტმა, რომლის საქმიანობაც დაცულია კვალიფიციური პრივილეგიით შეიძლება დაკარგოს იგი ცალკეულ შემთხვევებში სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, თუ მის მიერ გავრცელებული ცნობები შეიცავს დანაშაულის ნიშნებს (მაგალითად, მოწოდებას ეთნიკური შუღლის გაღვივებისაკენ).

ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, პრაქტიკულად გამოირიცხულია პირის გამტყუნება მის მიერ პოლიტიკური და სასამართლო სიტყვის თავისუფლების კონტექსტში გაკეთებული განცხადების გამო. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა საქმე „ლინგესი ავსტრიის წინააღმდეგ“, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს: ჟურნალისტმა ლინგესმა 1975 წლის ოქტომბერში, ავსტრიის მთავარი არჩევნების შემდეგ გამოაქვეყნა ორი სტატია, სადაც აკრიტიკებდა კანცლერ ბრუნო კრაისკის კანცლერის ქცევა შეფასებული იყო, როგორც „ამორალური“ და „უღირსი“. კანცლერის კერძო საჩივრის საფუძველზე, ავსტრიის სასამართლოებმა ლინგესის სტატიები შეურაცხყოფლად მიიჩნიეს და დააჯარიმეს 15 ათასი შილინგით. ჟურნალისტმა ლინგესმა მიმართა ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს, სასამართლომ კი დაადგინა, რომ დაირღვა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი, რადგან ლინგესის მოსაზრების (შეფასებითი მსჯელობის) ფაქტებით დამტკიცება შეუძლებელია და არ შეიძლება მას ამ მოსაზრების სისწორის დამტკიცება დაევალოს. ევროსასამართლომ მიუთითა, რომ პრესის თავისუფლება გულისხმობს პოლიტიკური დებატების თავისუფლებას, რომ მისტერ ლინგესის სიტყვის თავისუფლებაში ჩარევა არ იყო მართლზომიერი და მის სასარგებლოდ ავსტრიის სახელმწიფოს დააკისრა 284.538.60 შილინგის გადახდა.

კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ ითვალისწინებს, რომ ცილისწამების შესახებ ამკარად უსაფუძვლო სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მოპასუხეს აქვს უფლება, მოსარჩლისაგან მოითხოვოს ფულადი ანაზღაურების მიღება გონივრულ ფარგლებში.

სათანადო მოპასუხე

კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ განმარტავს, რომ ჟურნალისტის სტატიათა თუ სიუჟეტთან დაკავშირებით წარმოქმნილ სასამართლო დავებისას, მოპასუხედ გამოდის მედიის შესაკუთრე, ე. ი.

სათანადო მოპასუხება მედიის შესაკუთრე და არა თვით ჟურნალისტი. აღნიშნული პრინციპი აღიარებული და დამკვიდრებულია უმეტეს ევროპულ სახელმწიფოში, რაც ხელს უწყობს მედია ორგანიზაციებში თვითრეგულირების მექანიზმის განვითარებას.

რაც შეეხება არასათანადო მოპასუხეს, ასეთად მიიჩნევა პირი, რომელიც არ არის ავტორი ან რედაქტორი, ან პირი, რომელმაც ტექნიკურად უზრუნველყო განცხადების გავრცელება. გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის ამკარად და პირდაპირ უჭერს მხარს განცხადებას. მაგალითად, თუ ეთერში გადის ინტერვიუ, რომლის დროსაც ადამიანი ეთნიკური შუღლის გაღვივებისკენ მოუწოდებს საზოგადოებას, ჟურნალისტი ან საინფორმაციო საშუალება ვერ იჩნება პასუხისმგებელი რესპოდენტის სიტყვების გამო. პირდაპირი ეთერის სპეციფიკის გათვალისწინებით (პროგრამა წინასწარი ჩაწერის გარეშე მიმდინარეობს) საინფორმაციო საშუალება ვერ შეძლებს თავიდან აიცილოს ამ ტიპის გადაცემების ეთერში გასვლა.

სასამართლო პრაქტიკიდან შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: დანიაში ტელევიზიის ჟურნალისტი ჯერსილდი გაასამართლეს რასისტული გამონათქვამების გავრცელებისათვის ხელშეწყობის ბრალდებით. მან საკუთარ თავზე აიღო იმ პროგრამების მომზადება, სადაც მოიწვიეს რასისტული იდეების მატარებელი სამი ახალგაზრდა. ჟურნალისტმა იცოდა, რომ ინტერვიუს დროს შეიძლება გაკეთებულიყო რასისტული განცხადებები, რაც ასეც მოხდა. ძირითადი ბრალდება ჯერსილდის მიმართ იყო ის, რომ ჟურნალისტმა გადაცემის დასკვნით ნაწილში არ გააკრიტიკა ინტერვიუს დროს გამოთქმული რასისტული ფრაზები. დანიის სასამართლოს განაჩენი ჟურნალისტმა გაასაჩივრა ევროპულ სასამართლოში, მისი სიტყვის თავისუფლების დარღვევის მოტივით.

ევროსასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა ევროკონვენციის მე-10 მუხლი. რომ ჟურნალისტის მიმართ გამოტანილი განაჩენი არ იყო „აუცილებელი“ ზომა „დემოკრატიულ საზოგადოებაში“. ინტერვიუში სხვა პირების მიერ გაკეთებული განცხადებების გამო, ჟურნალისტის დასჯა „სერიოზულად შეუშლის ხელს პრესას“ საჯარო ინტერესების მქონე მოვლენების გატანაში საზოგადოებრივ დისკუსიაზე; ჟურნალისტის დასჯა არ შეიძლება მანამ, ვიდრე ამისთვის არ არსებობს ძალზე სერიოზული მიზეზები“. ამრიგად, ევროსასამართლომ დააკმაყოფილა ჟურნალისტ ჯერსილდის სარჩელი.

საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლების შესახებ“ ადგენს, რომ „სასამართლო დაცვის საგანი არ შეიძლება იყოს ისეთი განცხადება, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ ჯგუფს ან რომელშიც მონაწილე ერთმნიშვნელოვნად არ არის იდენტიფიცირებული. საკითხისადმი ასეთი მიდგომა ეხმიანება ასევე ევროპის ადამიანის უფლებების

სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; სასამართლომ განმარტა, რომ არაგონივრულია პასუხი მოსთხოვო პრესას საზოგადოებრივი ინტერესების შემცველი იმ ინფორმაციის გავრცელებისათვის, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ ჯგუფს. სასამართლო პრაქტიკაში გამოკვეთილია ტორგისონის საქმე, რომლის არსი შემდეგშია: ჟურნალისტმა ტორგისონმა პრესაში გააკეთა განცხადება, რომელიც ისლანდიაში გავრცელებულ პოლიციურ სიმხვეკს ეხებოდა. სტატიაში პოლიციის ქცევა დახასიათებული იყო, როგორც „დაშინებითი. გაყალბებული, უკანონო, ცრუმორწმუნეობრივი, დაუღვეარი და უნიჭო“.

პოლიციის ასოციაციის თხოვნით, სახალხო ბრალმძებელმა ტორგისონის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ეროვნულ დონეზე ტორგისონი დაძაბავედ სცნეს და ჯარიმის გადახდა დააკისრეს. ტორგისონმა მიმართა ევროპის სასამართლოს, რომელმაც ისლანდიის სასამართლოს განაჩენი დაახასიათა, როგორც „საჯარო ინტერესების საკითხებზე დისკუსიის გამართვის შემზღუდავი“, რომ ასეთი განაჩენი არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. ევროსასამართლომ გაამართლა ტორგისონი, რადგან მისი სტატია არ იყო ორიენტირებული კონკრეტული პირის შეურაცხყოფაზე და ეხებოდა პირთა განუსაზღვრელ ჯგუფს. ისეთი ღირებულებების დაცვას, როგორცაა „სახელმწიფო ღირსება“, „ერის ღირსება“, „სახელმწიფო ორგანოების ავტორიტეტი“ არ ცნობს ევროპული სასამართლო. შეურაცხყოფად არ შეიძლება ჩაითვალოს პირის კრიტიკული დამოკიდებულების გამოხატვა ზოგიერთი პოლიტიკური გადაწყვეტილების ან ზოგიერთ სფეროში არსებული საჯარო პოლიტიკის მიმართ. ამგვარი კრიტიკის ან პროტესტის გამოხატვა არ შეიძლება შეზღუდოს, რადგან ეს არის საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების შესახებ საჯარო დისკუსიის დაწყების ერთ-ერთი საშუალება.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული პრაქტიკა ნაწილობრივ განსხვავდება აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს იურისდიქციისაგან, რომლის მიხედვით, შესაძლოა პირმა სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი ერთმნიშვნელოვნად არ ყოფილა იდენტიფიცირებული სტატიაში, მაგრამ ამავდროულად დამატკიცებს, რომ აშშ-ის საშუალო დონის მოქალაქე სტატიის წაკითხვისას მას ამოიცინობდა. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საქმე „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სალივანის წინააღმდეგ.

ალაბამას შტატის საში არჩეული კომისრიდან ერთ-ერთმა, სალივანმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა მოპასუხის წინააღმდეგ, რომელმაც გამოაქვეყნა სარეკლამო განცხადება. ეს განცხადება მოსარჩლემ ცილისმწამებლურად მიიჩნია. სალივანი დაობდა, რომ სარეკლამო განცხადებაში მოყვანილი ფაქტები, კერძოდ ის რომ პოლიცია არამართლზომიერად

მოექცა სტუდენტებს მათ მიერ გამართულ დემონსტრაციაზე, სინამდვილეში მას ეხებოდა, რადგან პოლიციის დეპარტამენტის ზედამხედველობა მისი მოვალეობა იყო, თუმცა განცხადებაში სალივანი მოხსენიებული არ იყო.

პირველი ინსტანციის სასამართლოში ნაფიცმა მსაჯულებმა საქმე სალივანის სასარგებლოდ გადაწყვიტეს და „ნიუ-იორკ ტაიმსს“ 500 000 დოლარის გადახდა დააკისრეს. შტატის უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. მოპასუხემ შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოს მიმართა. გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე წინა ინსტანციაში დაბრუნდა ხელახლა განსახილველად. სასამართლოს მოსაზრება წარმოადგინა მოსამართლე ბრენანმა, რომელმაც დაასაბუთა შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიერ გავრცელებულ არც ერთ განცხადებაში არ არის მოხსენიებული მოსარჩლის გვარი, იგი დაობს, რომ სიტყვა პოლიცია ეხება მას, როგორც ოლქის პოლიციის კომისარს და სწორედ მას ადანაშაულებენ უნივერსიტეტისათვის „აღიის შემორტყმაში“. ალაბამის შტატის კანონმდებლობის თანახმად, საჯარო მოხელეს არ აქვს უფლება, მოითხოვოს სადამსჯელო ზიანის ანაზღაურება. კონსტიტუციური გარანტიების მიხედვით საჯარო მოხელეებს ეკრძალებათ ცილისწამების საქმეებში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, თუ ისინი არ დაამტკიცებენ, რომ განცხადება გაკეთდა „ბოროტი განზრახვით“. ამდენად, ტაიმსი არ არის ვალდებული გადაიხადოს ჯარიმა სალივანის სასარგებლოდ.

საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ ადგენს, რომ „სასამართლო დაეაზრება არ შეიძლება ეხებოდეს გარდაცვლილი პირის, სახელმწიფო ან ადმინისტრაციული ორგანოს პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას“.

ბუნებრივია, სახელწიფოსა და ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია და შესაბამისად, იგი ვერ იდავებს მათი შელახვის გამო. რაც შეეხება ნორმის იმ ნაწილს, რომელიც გამორიცხავს გარდაცვლილი პირის რეპუტაციის დაცვის შესაძლებლობას, იგი კოლიზიაშია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლთან, რომლის თანახმად პირს, რომელიც თუმცა თვითონ არ არის სახელის ან პირადი ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ აქვს საამისოდ დაცვის ღირსი ინტერესი, შეუძლია სახელის და ღირსების ისეთი დაცვის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და გრძელდება სიკვდილის შემდეგაც. კანონის ნორმა კრძალავს გარდაცვლილი პირის მაგივრად სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას, სამოქალაქო კოდექსის ნორმა კი პირდაპირ უშეებს გარდაცვლილი პირის ნაცვლად სარჩელის შეტანას იმ პირის მიერ, ვისაც საამისოდ დაცვის ღირსი

ინტერესი გააჩნია (გარდაცვლილის შთამომავლებს და მემკვიდრეებს). არსებული წესის თანახმად, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე აქტებს შორის კოლიზიის შემთხვევაში, უპირატესი იურიდიული ძალა აქვს უფრო გვიან მიღებულ აქტს, ამ შემთხვევაში კანონს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“.

მტკიცებულება სტანდარტი და ტვირთი

მნიშვნელოვან სიახლედ უნდა ჩაითვალოს კანონის დებულება სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების შესახებ. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არსებობს სასამართლოში საქმის განხილვისას, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ. ეჭვი შეიძლება ეხებოდეს მრავალ საკითხს, მათ შორის:

- ა) კერძო ან საჯარო პირის სტატუსის მინიჭებას;
- ბ) საზოგადოებრივი ყურადღების ან ცნობისმოყვარეობის სტატუსის მინიჭებას;
- გ) აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭებას.

სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად, მტკიცების ტვირთი ნაწილდებოდა შემდეგნაირად: მოსარჩლე ვალდებული იყო, დაემტკიცებინა მისი პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების გავრცელების ფაქტი და ასევე ის, რომ გავრცელებული ცნობებით შეილახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, ხოლო მოპასუხე ვალდებული იყო, დაედასტურებინა მის მიერ გავრცელებული ცნობების ნამდვილობა. კანონმა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ მტკიცების ტვირთი მთლიანად მოსარჩლის მხარეს დააკისრა, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში სარჩელის წარდგენისას მოსარჩლეა ვალდებული (და არა მოპასუხე) ამტკიცოს რომ:

- 1. მოპასუხის მიერ გავრცელდა სადაო განცხადება;
- 2. სადაო განცხადება ლახავს მის პატივსა და ღირსებას;
- 3. სადაო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს;
- 4. განცხადება არ გაკეთებულა პოლიტიკური ან სასამართლო სიტყვის თავისუფლების ფარგლებში.

კანონის მიხედვით, არსებობს ორი სახის სტანდარტი, რომელსაც დიფამაციის საქმეებში იყენებენ. მოქალაქის მიერ სარჩელის წარდგენისას, იგი ვალდებულია დაამტკიცოს მხოლოდ ორი გარემოება:

- 1. რომ მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა მცდარი ფაქტების შემცველი განცხადება;
- 2. აღნიშნული განცხადებები ზიანს აყენებენ მის პატივს, ღირსებას ან საქმიან რეპუტაციას.

დიფამაციის საქმეებში საჯარო პირს ეკისრება გაცილებით მაღალი

სტანდარტის მქონე მტკიცების ტვირთი, ვიდრე რიგით მოქალაქეს. იგი ვალდებულია, დაადასტუროს არა მხოლოდ ის, რომ ჟურნალისტმა გააერცელა ცილისმწამებლური ფაქტები, არამედ ისიც, რომ ფაქტების სინამდვილესთან შეუსაბამობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტების შემცველი განცხადებების გაერცელება. საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ ამ საკითხშიც დაუახლოვდა ევროსტანდარტებს. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დალბანის საქმეში დააფიქსირა თავისი პოზიცია. ბ-ნი დალბანის საქმის არსი შემდეგში მდგომარეობს: ბატონმა დალბანმა, რომელიც რუმინეთში ყოველკვირეულ გაზეთს გამოსცემდა, გამოაქვეყნა სტატია, სადაც ნათქვამი იყო, რომ სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი ბ-ნი ჯ.ს. ჩართული იყო ფინანსურ მაქინაციებში, რის შედეგად კომპანიამ დაკარგა სოლიდური თანხა. ბ-ნი დალბანი დაძნელებულად სცნეს ცილისწამებისათვის და დააკისრეს სასამართლო პროცესის ხარჯების ანაზღაურება. სააპელაციო უზენაესმა სასამართლომ დალბანი გაამართლა, რადგან დაადგინა, რომ იგი კეთილ-სინდისიერად მოქმედებდა. საქმე დაიხურა დალბანის სიკვდილის გამო. დალბანის ქერიმა ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს მიმართა, სადაც დაობდა ევროპის კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის გამო და კომპენსაციას ითხოვდა.

ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ ბ-ნი დალბანის მიმართ დაირღვა ევროკონვენციის მე-10 მუხლი, ვინაიდან თუკი ჟურნალისტს ან პუბლიკაციას გააჩნია კანონიერი მიზანი, იგი წარმოადგენს საჯარო ინტერესის საგანს და ფაქტების დასამტკიცებლად მიმართავენ გონივრულ მცდელობას. პრესა არ ჩაითვლება ბრალეულად იმ შემთხვევაშიც კი, თუ დამტკიცდება ფაქტების არასწორი შინაარსი (უზუსტობა).

მამხილეჯალი

დასავლეთში ამ ტერმინით აღინიშნება ამა თუ იმ ორგანიზაციაში მომუშავე ადამიანი, რომელმაც გარკვეულ მომენტში შესაძლოა საჭიროდ ჩათვალოს საზოგადოების ინფორმირება ორგანიზაციაში დაცული იმ საიდუმლო ინფორმაციის შესახებ, რომელიც გამოააშკარავებს უკანონო ქმედებებს. მამხილებელის საქმიანობა დაცულია ევროსასამართლოს იურისდიქციით. ევროსასამართლომ ჟურნალისტური საქმიანობის უხეშ შეზღუდვად შეაფასა ინგლისის სასამართლოების მიერ ჟურნალისტის პასუხისმგებებაში მიცემა იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა მამხილებლის სახელი არ გაამხილა. ამის მაგალითია საქმე „გუდვინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს: ჟურნა-

ლისტმა გუდვინმა კომერციული ორგანიზაცია Teiza Ltd.-ს შესახებ ინფორმაცია მიიღო „წყაროსაგან“ ტელეფონის მეშვეობით. ინფორმაცია ეხებოდა კომპანიის ფინანსურ პრობლემებს. სტატიის მომზადებისას, ჟურნალისტმა კომპანიას სთხოვა გაეკეთებინა კომენტარი, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია იკითხებოდა „მკაცრად კონფიდენციალურის“ გრიფით. კომპანიამ სასამართლოს მიმართა თხოვნით, რომ ჟურნალისტს გაეშხილა „წყაროს“ ვინაობა. რათა გამოველინა და დაესაჯა უსინდისო თანამშრომელი. მისტერ გუდვინმა კატეგორიული უარი განაცხადა, გაეშხილა წყაროს ვინაობა. სასამართლომ ჟურნალისტი დააჯარიმა „მართლმსაჯულებისათვის“ ხელის შეშლის საფუძველზე. მისტერ გუდვინმა მიმართა ევროსასამართლოს, რომელმაც ჟურნალისტური თავისუფლების უხემ შეზღუდვად შეაფასა ინგლისის სასამართლოს მიერ ჟურნალისტის პასუხისმგებაში მიცემა იმის გამო, რომ ჟურნალისტმა მამხილებლის სახელი არ გაამხილა. ევროსასამართლოს განცხადებით, მსგავსი ტიპის საქმიანობას (მამხილებლის გაუმჟღავნებლობას) ძალუქს, საზოგადოებას თავიდან ააცილოს უფრო დიდი ზარალი, ვიდრე კონკრეტული (თუნდაც კომერციული საიდუმლოების შემცველი) ინფორმაციის დაუცველობამ.

ჟურნალისტური წყაროს კონფიდენციალურობა

საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ ადგენს: „პროფესიული საიდუმლოების წყარო დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და არაეის აქვს უფლება, მოითხოვოს ამ წყაროს გამხელა. სიტყვის თავისუფლების შესახებ სასამართლო დაეისას, არ შეიძლება მოპასუხეს დაეკისროს კონფიდენციალური წყაროს გამხელის ვალდებულება“.

კანონი ასევე დაუშვებლად მიიჩნევს კონფიდენციალური ინფორმაციის გამხელას თვით მისი მფლობელის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე. მედია ორგანიზაციების მუშაობა შეუძლებელია კონფიდენციალური წყაროების გამოყენების გარეშე. თუკი კონფიდენციალურ წყაროებს არ ექნებათ იმის გარანტია, რომ არ მოხდება მათი ვინაობის გამჟღავნება, ისინი თავს შეიკავებენ საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამჟღავნებისაგან. ეს დებულება, როგორც სიტყვის თავისუფლების მნიშვნელოვანი გარანტი, დაცულია როგორც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ასევე აშშ-ის უზენაესი სასამართლოს იურისდიქციით.

ცნობაჰის უარყოფის დავალდეზულეჰის აპრძალვა

საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ ადგენს: პირს არ შეუძლია სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს, რომ

მოპასუხემ უარყოს ცნობები. მოსარჩლეს შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ ჯარიმის დაკისრება ან სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნება. ადრე მოქმედი კანონმდებლობით, მოპასუხე ვალდებული იყო უარყო მის მიერ გავრცელებული ცნობები, თუკი ის მათ სინამდვილეს ვერ დაამტკიცებდა. საკითხისადმი მსგავსი მიდგომა არსებობს დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანასა და აშშ-ის კანონმდებლობაში. გამონაკლისს წარმოადგენს ე. წ. retaliation, რაც გარკვეულწილად გულისხმობს არასწორი ფაქტობრივი მონაცემების შემცველი ცნობების უარყოფასაც. ასეთი ნორმა არსებობს საფრანგეთსა და გერმანიაში. აქვე უნდა მივეუთითოთ, რომ იმ ქვეყნებშიც კი, სადაც აღნიშნული ნორმა მოქმედებს, იგი არ გამოიყენება შეფასებითი მსჯელობის უარყოფისათვის.

მედია ორგანიზაციების რედაქციების (NEWSROOM) ჩხრეკის შეზღუდვა

ჟურნალისტური დამოუკიდებლობისა და დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს მედია საშუალებების დაცვა რედაქციების (newsroom) უკანონო და დაუსაბუთებელი ჩხრეკისაგან. კანონმა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ არ გაითვალისწინა ეს დამცავი ზომა, თუმცა საქართველოს სინამდვილეში იგი აუცილებელია. ასეთი საკანონმდებლო გარანტიის საჭიროებას განაპირობებს ისეთი სამწუხარო გამოცდილება, რომელიც 2001 წელს „რუსთავი-2“-ის ოფისში უშიშროების თანამშრომლების შესვლას, ხოლო 2004 წელს „ხალხის გაზეთში“ პოლიციის თანამშრომლების არასანქცირებულ ჩხრეკას უკავშირდება. ასევე აღსანიშნავია, 2007 წლის 7 ნოემბერს დამოუკიდებელი ტელეკომპანია „იმედი“-ის დარბევა.

სასარჩლო ხანდაზმულობა

კანონმა მნიშვნელოვნად შეზღუდა სასარჩლო ხანდაზმულობის ვადა ცილისწამების შესახებ სასამართლოში სარჩლის წარდგენისათვის და იგი 100 დღით შემოიფარგლა. იმის გათვალისწინებით, რომ დიფამაციის შემთხვევაში დავის ობიექტია პირის რეპუტაცია, რაც თავის ბუნებიდან გამოდინარე დაუყოვნებლივ რეაგირებას (ზიანის მიყენების ფაქტის დადასტურება) მოითხოვს, საჭიროა გასაჩივრება გონიერულ ვადებში მოხდეს. უნდა აღინიშნოს, რომ დიფამაციის საქმეებში ხანდაზმულობის ვადები უმრავლეს ევროპულ ქვეყანაში განსხვავდება ჩვეულებრივი სასარჩლო ხანდაზმულობის ვადებისაგან და საშუალოდ ერთ წელიწადს შეადგენს. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული სასამართლოებში ცილისწამების შესახებ უსაფუძვლო სარჩელების წარდგენა, პირველად ქართულ საპროცესო კანონმდებლობაში 2004 წლის კანონმა დააწესა ნორმა,

რომლის მიხედვით „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უკანონო შეზღუდვის მიზნით ცილისწამების შესახებ აშკარად უსაფუძვლო სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, მოპასუხეს უფლება აქვს მოითხოვოს მოსარჩლისგან გონივრულ ფარგლებში ფულადი ანაზღაურების მიღება“. აღსანიშნავია, რომ უსაფუძვლო სარჩელების წარდგენისაგან დაცვის ანალოგიური ნორმა მოქმედებს აშშ-ის სამართლებრივ სივრცეში.

**გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა
შინაარსობრივი რეგულირება (CONTENT REGULATION)**

საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ უშვებს შინაარსობრივ რეგულირებას. შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულირება შეიძლება ითვალისწინებდეს ისეთ არადისკრიმინაციულ შეზღუდვას გამოხატვის ადგილის, დროისა და ფორმის მიხედვით, რომელიც გავლენას არ ახდენს ინფორმაციისა ან იდეების შინაარსზე ან გამოხატველობით ეფექტზე ან ტოვებს მათი სხვა გზებით გამოხატვის ეფექტურ შესაძლებლობას. მაგალითად, დროის მიხედვით შეიძლება შეზღუდვას დაექვემდებაროს საღამოს 11 საათამდე ეთერში გარკვეული კატეგორიის რეკლამის ან ფილმის გაშვება, ხოლო ფორმის მიხედვით შეზღუდვა შეიძლება გამოიყენონ მაგალითად ალკოჰოლური სასმელის რეკლამისას უშუალოდ სითხის სმის ჩვენების აკრძალვის მხრივ.

კანონი შინაარსობრივად არეგულირებს ისეთი ტიპის გამოხატვებს, როგორცაა მოწოდება, ცილისწამება, უხამსობა, პირისპირ შეურაცხყოფა, დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზება, მუქარა, სახელმწიფო, კომერციული, პირადი, ან პროფესიული საიდუმლოება, რეკლამა, ტელეშოპინგი და სპონსორობა.

მოწოდება – განცხადება, რომლის ავტორიც მიზნად ისახავს ან აშკარად უშვებს გარკვეული ქმედების გამოწვევას.

კანონის თანახმად, მოწოდება დაცულია კვალიფიციური პრივილეგიით, მაგრამ დაცვის მექანიზმით არ სარგებლობს მოწოდება, რომელიც ქმნის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.

დიფამაცია

კანონის თანახმად, დიფამაციად მიიჩნევა არსებითად მცდარი ფაქტების შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადების გავრცელება.

უხამსოვა

უხამსობას წარმოადგენს განცხადება, რომელსაც არ აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ

ეთიკურ ნორმებს. კანონისმიერი დეფინიციის მიხედვით. ამა თუ იმ გამოხატვის უხამსობად მიჩნევის საკითხს განსაზღვრავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებული ეთიკური ნორმები. საზოგადოება არასოდეს არ არის უცვლელი. შესაბამისად, საუბარი მორალისა და უხამსობის ერთიანი ცნების არსებობაზე. აზრს მოკლებულია. შესაძლებელია გარკვეული გამოხატვა ერთ საზოგადოებაში უხამსობად მიჩნინონ, მეორეში კი არა. სასამართლოს პრეროგატივაა განსაზღვროს ამა თუ იმ განცხადების უხამსობად მიჩნევის საკითხი.

პირისპირ შეურაცხყოფა

მსგავსი ტიპის გამოხატვა გულისხმობს პირისათვის პირისპირ შეურაცხყოფის მიყენებას. მაგალითად, ლანძღვა, გინება, როგორც საჯაროდ, ისე კერძო ვითარებაში. პირისპირ შეურაცხყოფის შესახებ სარჩელის განხილვის დროსაც სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებანი.

პროფესიული საიდუმლოება

ამ ტიპის საიდუმლოებას ფლობს და შესაბამისად მისი დაცვის პოზიტიური ვალდებულება ეკისრება პირთა განსაზღვრულ წრეს (მაგალითად; პარლამენტის წევრს, ექიმს, ჟურნალისტს, სასულიერო პირს).

პროფესიულ საიდუმლოებას განეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც განდობილ იქნა მათთვის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით, აგრეთვე პროფესიული ფასეულობის მქონე ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა კონფიდენციალობის დაცვის პირობით. მის მიერ პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით და რომლის გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს პირის პროფესიულ რეპუტაციას. კანონის თანახმად, სახელმწიფო უფლებამოსილია დააწესოს შეზღუდვები იმგვარი შინაარსის გამოხატვაზე, რომელიც დაკავშირებულია პროფესიულ საიდუმლოებასთან. მაგალითად, ნოტარიუსი ვალდებულია დაიცვას უფლებამოსილების განხორციელების პროცესში მისთვის განდობილი ინფორმაცია.

პასუხისმგებლობა სახელმწიფო საიდუმლოების გამხელისთვის

სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს ინფორმაცია, რომელიც „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად და ექვემდებარება სახელმწიფოს მიერ დაცვას.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო საიდუმლოების გამხელისათვის პასუხს აგებს მხოლოდ ის პირი, ვისაც მისი დაცვა ევალებოდა სამსახურებრივად ან სამოქალაქო გარიგებით და რომლის

გამხელა აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს უქმნის კანონით დაცულ სიკეთეებს.

მაგალითად, თუ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი უშიშროების სამინისტროს პოლკოვნიკი ჟურნალისტს გაანდობს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას, რომელსაც ეს უკანასკნელი მეორე დღესვე გაზეთში დაბეჭდავს. აღნიშნულის გამო, პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ უშიშროების თანამშრომელს და არა ჟურნალისტს.

პასუხისმგებლობა კომერციული საიდუმლოს გააქვლავნებისთვის
კომერციული საიდუმლოების დაცვა პირს შეიძლება დაეკისროს ორ შემთხვევაში:

- 1) როდესაც მას კანონით ვეალება, არ გააქვლავნოს ეს ინფორმაცია და
- 2) როდესაც იგი ხელშეკრულებით კისრულობს ვალდებულებას, დაიცვას აღნიშნული ინფორმაცია. მაგალითად, ბანკის თანამშრომელი და ზოგადად ბანკი ვალდებულია არ გააქვლავნოს მისი კლიენტის შესახებ დაცული ინფორმაცია. ასევე, ნებისმიერი ორგანიზაცია ვალდებულია დაიცვას მისი კლიენტის კომერციული საიდუმლოება. თუ ბანკის თანამშრომლის მეშვეობით მედია საშუალებაში გაჟონავს ბანკის კომერციული საიდუმლოება, პასუხს აგებს მხოლოდ ბანკის თანამშრომელი, რომელსაც სამსახურებრივად ვეალებოდა მისი დაცვა.

საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ იცნობს კომერციული გამოხატვის ისეთ საშუალებებს, როგორიცაა რეკლამა, ტელეშოპინგი ან სპონსორობა.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა (PRIVACY)

ინგლისური ცნება (privacy) თვისობრივ სიახლეს წარმოადგენს ქართული სამართლებრივი სიერცისათვის. პირად საიდუმლოებად კანონი მიიჩნევს „პირადი ფასეულობის მქონე ინფორმაციას, რომლის საიდუმლოების დაცვასაც მოითხოვს კანონი, აგრეთვე ყველა იმ ინფორმაციას და გარემოებას, რომელთა დაკავშირებითაც ადამიანს აქვს კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის გონივრული მოლოდინი“. ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ინფორმაცია არ შეიძლება წარმოადგენდეს პირად საიდუმლოებას. საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის თანახმად, „ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა მეტად მწირია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკითხის რეგულირების მხრივ. ასევე ითქმის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონზეც, რომელიც შეიცავს მხოლოდ ზოგად დანაწესს, თუ რა შემთხვევაში არ შეიძლება შეიზღუდოს ეს უფლება. სახელდობრ: „კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პირადი საიდუმლოების დაცვის მოტივით არ შეიძლება შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება იმ მოვლენასთან დაკავშირებით, რომლის ცოდნაც აუცილებელია ადამიანისთვის ღემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განსახორციელებლად“.

პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის შესახებ სასამართლო საქმე წარმოებს კერძო წესით და გამიზნულია ინდივიდის იმ გრძობების დასაცავად, რომელსაც სასამართლოები ხშირად უწოდებენ „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გონივრულ მოლოდინს“. იურიდიულ პირებს, როგორც წესი არ გააჩნიათ აღნიშნული უფლება და შესაბამისად, არ შეუძლიათ სარჩელის შეტანა მესამე პირთა გამო ამ უფლების დასაცავად. მაგალითად, თუ სკოლის მასწავლებელი გაათავისუფლეს სამსახურიდან საჯარო თანამდებობაზე მყოფი იმ პირის პერსონალური მონაცემების გამხელისათვის, რომელიც თავის დროზე სწავლობდა ამ სკოლაში.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება შესაძლოა დაირღვეს კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის ზეპირადაც.

საჯარო ფიგურებს შეზღუდულად გააჩნიათ პირადი ცხოვრების უფლება. ყოფილი და ახლანდელი მთავრობის წევრები, პარლამენტარები, პოლიტიკოსები, შოუბიზნესის წარმომადგენლები და სპორტსმენები ზოგადად მიჩნეულნი არიან საჯარო ფიგურებად, რაზეც თვით განაცხადეს თანხმობა. ჟურნალისტი ვალდებულია თავი შეიკავოს იმგვარი ინფორმაციის გამოქვეყნებისაგან, რომელიც უკავშირდება საჯარო პირის პირად ცხოვრებას. მაგალითად, ჟურნალისტი ვალდებულია არ გამჟღავნოს შეილად აყვანის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია. საჯარო პირის მეუღლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. ეს პირადი საიდუმლოა, მაგრამ თუ ეს გავლენას ახდენს საჯარო პირის მიერ მიღებულ არასაოჯახო, სამსახურებრივ გადაწყვეტილებებზე, მაშინ საზოგადოებას უფლება აქვს ფლობდეს ინფორმაციას ამ საკითხის შესახებ.

კანონი მიუთითებს იმ შემთხვევებზე, როცა საზოგადოებას აქვს ლეგიტიმური ინტერესი იცოდეს საჯარო პირის პირად ცხოვრებას მიკუთვნებული ინფორმაცია. ლეგიტიმური ინტერესი განმარტებულია, როგორც კონსტიტუციით დაცული სიკეთეები: სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნ-

ველყოფა. დანაშაულის თავიდან აცილება, სხვათა უფლებებისა და ღირსების დაცვა. ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვა, ომისა და ძალადობის, შუღლის გაღვივების პროპაგანდის აღკვეთა.

უზრუნავისტის ვალდებულება დანიცვას სხვა პირთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

ქართულ კანონმდებლობაში არ არსებობს დეტალური მითითება, თუ რა ითვლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევად და რა არა. არც ამ უფლების დაცვის ტრადიცია არსებობს.

აშშ-ში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ კონცეფცია პირველად 1890 წელს პარვარდის სამართლის მიმოხილვის ჟურნალში ჩამოყალიბდა. თითქმის 15 წელზე მეტი დასჭირდათ სასამართლოებს, რათა გაეცნობიერებინათ ეს უფლება. ჯორჯიის უზენაესი სასამართლო იყო პირველი, ვინც ეს უფლება აღიარა საქმეში, რომელიც შეეხებოდა საგაზეთო რეკლამაში ინდივიდუალური ფოტოების გამოქვეყნებას პირის თანხმობის გარეშე.

საკანონმდებლო ვაკუუმის არსებობის პირობებში მხედველობაშია მისაღები ის გამოცდილება, რომელიც სხვა ქვეყნებშია ამ სფეროში. მაგალითად, აშშ-ში მოქმედი ორგანიზაცია „პრესის თავისუფლების ჟურნალისტთა კომიტეტის“ მიერ მომზადებული კითხვარის თანახმად, პირადი ცხოვრების საიდუმლოს შემცველი ინფორმაციის გამოქვეყნებამდე ჟურნალისტმა უნდა გაითვალისწინოს:

- ობიექტის თანხმობა – სრულწლოვანია თუ არა ობიექტი? არსებობს თუ არა მშობლის, მეურვის, ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა? ხომ არ მომხდარა თანხმობის გადათქმა? კერძო ფიგურას წარმოადგენს ობიექტი თუ საჯარო?
- ინფორმაციის მოპოვების მეთოდი – განხორციელდა თუ არა გადაღება საჯარო ადგილზე? აქვს თუ არა ჟურნალისტს კერძო ადგილზე შესვლის და გადაღების უფლება? მოპოვებულია თუ არა სადავო ინფორმაცია საჯარო დოკუმენტებიდან?
- შინაარსი – მოახდენს თუ არა ინფორმაციის გამოქვეყნება საზოგადოებაში დამკვიდრებული ეთიკის ნორმების დარღვევას? მოხდა თუ არა სადავო ფაქტების გაზვიადება? ხომ არა არის ინფორმაცია მოძველებული ან კითხვის ნიშნის ქვეშ ხომ არ არის დაყენებული მისი უტყუარობა? რამდენად არსებითია ინფორმაცია ძირითადი ამბის გადმოსაცემად.

კონფიდენციალური წყაროს გამჟღავნება

პროფესიული საიდუმლოების წყარო დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და არაეის არ აქვს უფლება მოითხოვოს მისი გამხელა. მაგრამ ამ

ზოგადი წესიდანაც არის გამონაკლისი. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს იურისპრუდენცია ღა აშშ-ში მოქმედი წესი, ასევე საქართველოს კანონი „სიტყვისა ღა გამოზატვის თაჲისუფლების შესახებ“ შესაძლებლად მიიჩნევს სასამართლოს მიერ მტკიცებულების უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გამოტანას კონფიდენციალური ინფორმაციის მხოლოდ იმ ნაწილის გამხელასთან დაკავშირებით, რომლის გამხელის აუცილებლობაც დამტკიცდა. მაგალითად, თუ სასამართლოში მიმდინარეობს დავა, სადაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება გარკვეული პროფესიული საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას, სასამართლო უფლებამოსილია (თუ მხარე მიმართავს შუამდგომლობით) გამოიტანოს განჩინება. რომლითაც დაავალდებულებს მხარეს, გაამხილოს კანონით დაცული, მაგრამ ამავე დროს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე საიდუმლოების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც აუცილებელია მხოლოდ მითითებული მიზნის უზრუნველსაყოფად. ამავე დროს, გამხელით მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ მიზნით, რომლისთვისაც მოხდა მისი გამხელა.

ჟურნალისტური წყაროს გადამონწევა

ჟურნალისტი არ თაჲისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ ის გონივრულ ფარგლებში არ გადაამოწმებს მის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის წყაროებს. გონივრულობა გულისხმობს წყაროს გადამონწევის მცდელობის იმ დონეს, რაც საშუალო პროფესიული თვისებების მქონე ჟურნალისტს რეპორტაჲის მომზადებისას მოეთხოვება.

თუ ჟურნალისტმა კეთილსინდისიერად ღა ზუსტად გადმოსცა საჯარო ინტერესების შემცველი ინფორმაცია, არ შეიძლება მან პასუხი მესამე პირთა მიერ გაკეთებული ცილისმწამებლური განცხადების გამო აგოს, როცა ჟურნალისტი იჩენს ამკარა დაუდევრობას ღა უცხო პირისაგან მიწოდებულ ინფორმაციას ისე ავრცელებს, რომ არ გადაამოწმებს, პროფესიული ნორმის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს არასწორი ცნობების გავრცელება ღა გახდეს სამართლებრივი პასუხისმგებლობის საგანი.

გავრცელებული ცნობების სიმცდარე

იმისათვის, რომ ცნობა ჩაითვალოს უტყუარად ზოგადი სტანდარტების მიხედვით, განცხადება მხოლოდ არსებითად უნდა იყოს ნამდვილი.

საერთო სამართლის ქვეყნებში მოპასუხე მედია საშუალება არის ვალდებული. ამტკიცოს. რომ მოსარჩლის მიერ სადავოდ გამხდარი განცხადებები შეესაბამება სინამდვილეს. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული სტანდარტი შეცვალა იმ საქმეებთან მიმართებაში, სადაც მოსარჩლეებს თანამდებობის პირები წარმოადგენდნენ (იხ. „ნიუ-იორკ

თაიში სალივანის წინააღმდეგ“). აღნიშნული კატეგორიის მოპასუხეები ვალდებულნი არიან თავად დაამტკიცონ, რომ სადავო განცხადებები არ შეეფერება სინამდვილეს. ასევე, კერძო მოსარჩლე პირებიც ვალდებულნი არიან თავად დაადასტურონ განცხადებების ნამდვილობა, თუ საკითხი საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა.

აგაზს თუ არა პირი პასუხს ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი დამტკიცდება რომ მან გააპრცთლა სინამდვილესთან შეუსაბამო ფაქტები, რამაც აშკარად მიაჩინა ზიანი კონკრეტულ პირს?

კანონის მე-15 მუხლის მიხედვით, პირს ენიჭება კვალიფიციური პრივილეგია არსებითად მცდარი ფაქტების შემცველი განცხადებებისათვის, თუ:

- მან მიიღო გონიერული ზომები ფაქტის სისწორის გადასამოწმებლად, მაგრამ ვერ შეძლო შეცდომის თავიდან აცილება და გაატარა ქმედითი ღონისძიებანი ცილისწამებით დაზიანებული პირის რეპუტაციის აღსადგენად;
- იგი მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს;
- მან განცხადება გააკეთა მოსარჩლის თანხმობით. თუ პირი იძლევა თანხმობას ინფორმაციის გამოქვეყნებაზე, მას არ შეუძლია მომავალში სარჩელი შეიტანოს დიფამაციის გამო. ამასთანავე, უარი პასუხის გაცემაზე ან დუმილი არ შეიძლება ჩაითვალოს თანხმობად;
- განცხადება წარმოადგენდა მოსარჩლის მიერ მის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებაზე თანაზომიერ პასუხს;
- მისი განცხადება წარმოადგენდა სამართლიან და ობიექტურ რეპორტაჟს იმ მოვლენასთან დაკავშირებით, რომელიც საზოგადოებრივი ყურადღების ობიექტი იყო.

აქვე უნდა მივუთითოთ, რომ კანონის მე-16 მუხლის მიხედვით, პირს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ცილისწამებისათვის იმ შემთხვევაში, თუ მან არ იცოდა და არ შეიძლება ცოდნოდა, რომ ცილისწამებას ავრცელებდა. აღნიშნული ნორმა წინააღმდეგობაშია კანონის მე-14 მუხლთან. ამ უკანასკნელის მიხედვით, ცნობების გამავრცელებლის მხრიდან წინასწარ იმის ცოდნა, რომ ცნობები, რომლის გავრცელებასაც ის აპირებს ცილისმწამებლურია, ეხება მხოლოდ საჯარო პირის შესახებ გავრცელებულ ფაქტებს. კანონის მე-16 მუხლი კი ცნობების გამავრცელებლის პასუხისმგებლობას ცილისწამების საქმეში უკავშირებს ცნობების გამავრცელებლის მხრიდან განზრახ მოქმედებას (მათ შორის, კერძო პირის ცილისწამების საქმეებშიც).

პირს შეუძლია მოითხოვოს ორი სახის ქმედების განხორციელება მოპასუხის

მხრიდან, თუ დამტკიცდება, რომ მან გაავრცელა ცილისმწამებლური ფაქტები, კერძოდ:

- სასამართლოს მეშვეობით დაავალდებულოს მოპასუხე, რომ ამ უკანასკნელმა დადგენილი ფორმით გამოაქვეყნოს სასამართლოს გადაწყვეტილება მის მიერ ცილისმწამებლური განცხადების გავრცელების ფაქტის აღნიშვნით.
- იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე, კანონით დადგენილ ვადაში, გამოაქვეყნებს შესწორებას ან უარყოფას. მაგრამ მოსარჩლისათვის არ არის საკმარისი ცილისწამებით მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისათვის, მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს მოსარჩლისათვის მიყენებული ქონებრივი ან არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება.

კანონში „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ მკაფიოდ არის აღნიშნული, რომ დაუსმებელია მოპასუხის იძულება, მოიხადოს ბოდიში.

პასუხის უფლება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს პასუხის უფლებას, თუმცა თუ სასამართლო პრაქტიკას გაეითვალისწინებთ, იგი ფაქტობრივად მკვდარი ნორმა იყო, რადგან სასამართლოები მას იშვიათად იყენებდნენ. აღსანიშნავია, რომ პასუხის უფლების მოდიფიცირებული ვარიანტი გათვალისწინებულია კანონში „მაუწყებლობის შესახებ“, რომლის 52-ე მუხლის მიხედვით, პასუხის უფლება დაკანონებულია მხოლოდ ელექტრონულ მედიაში. ღიად არის დატოვებული ბეჭდვითი მედია, რითაც კანონმა უპირატესობა მიანიჭა საკითხისადმი ამერიკულ მიდგომას. ამერიკულ სამართალში პასუხის უფლებას მიიჩნევენ მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობაში უხეშ ჩარევად.

ამერიკული სამართლისაგან სრულიად განსხვავებული მიდგომაა ევროპულ სამართალში. პასუხის უფლება არსებობს უმეტეს ევროპულ სახელმწიფოში. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა. 2004 წლის 15 დეკემბერს. მიიღო სპეციალური რეკომენდაცია ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში ახალ მედია გარემოში პასუხის უფლების დაწესების შესახებ. ამ დოკუმენტს სავალდებულო ძალა არ აქვს, იგი მხოლოდ რეკომენდაციას აძლევს წევრ სახელმწიფოებს დიფამაციის შესახებ ნაციონალურ კანონმდებლობაში გაითვალისწინონ აღნიშნული უფლება. ევროსაბჭოს მიერ პასუხის უფლება მიჩნეულია ინფორმაციის გავრცელების გარანტიად. პასუხი უნდა გამოქვეყნდეს უფასოდ. იმავე ადგილას და იმავე დროს, რა ვითარებაშიც მოხდა ფაქტობრივი უზუსტობის შემცველი თავდაპირველი ინფორმაციის გაშვება.

შპრიმა

კანონის ერთ-ერთ უარყოფით მხარეს წარმოადგენს ის, რომ თუ პირი გაავრცელებს ცილისმწამებლურ ფაქტებს მოსარჩლის შესახებ, სასამართლოს არ გააჩნია არავითარი სახელმძღვანელო პრინციპი, თუ რა ზომითა და მოცულობით უნდა დაეკისროს მოპასუხეს ფულადი თანხა.

ამ პრობლემას გარკვეულწილად აგვარებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი, სადაც მითითებულია, რომ სასამართლო არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს გონიერული და სამართლიანი ანაზღაურების წესით.

აღსანიშნავია, რომ დასაველეთის ბევრ ქვეყანაში, კანონი სწორედ მსგავსი ზოგადი დებულებებით შემოიფარგლება. მაგალითად, ინგლისში საქმეზე „ლორდ ედლინქთონი ტოლსტოი მილოსლავსკის წინააღმდეგ“ ნაფიცმა მსაჯულებმა მოპასუხეს დააკისრეს მილიონ ხუთასი ათასი (1 500 000) ფუნტის გადახდა. ამ უკანასკნელის მიერ გავრცელებული ცნობების გამო. ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ ინგლისში მოქმედი კანონით, არ არის დაწესებული არავითარი სახელმძღვანელო პრინციპები და არ არის მითითებული თანხა, რომლის ზევითაც არ შეიძლება ჯარიმის დაკისრება, რაც ევროკონვენციის მე-10 მუხლის დარღვევაა.

აღსანიშნავია, რომ ჯარიმის დაკისრებისას, სასამართლოსთვის გარკვეული სახელმძღვანელო პრინციპების არარსებობა სახიფათოა, რადგან არაგონიერულად მაღალმა სანქციამ შესაძლოა გამოიწვიოს მედია საშუალების გაკოტრება, მეორე მხრივ კი არაგონიერულად დაბალი სანქციის დაწესებით არ მიიღწევა ის ეფექტი, რაც ჯარიმას გააჩნია.

РЕЗЮМЕ

Процесс демократического развития общества включает все сферы общественной жизни, в особенности политическую систему. В политической системе общества, наряду с другими социальными институтами, весьма значительную роль играют СМИ. Многочисленные теории и концепции, в основе которых лежат различные философские доктрины, создают мозаичную картину общих признаков и национальных особенностей СМИ. Среди многочисленных теорий относительно СМИ с правовой точки зрения заслуживает внимания теория «четвертой власти», положения которой мы не разделяем.

Роль СМИ в формировании органов государства, касается участия СМИ в формировании представительных и других органов. Роль СМИ в избирательной кампании зависит от целого ряда факторов, среди которых нужно учитывать национальные традиции, путь исторического развития, структурный уровень гражданского общества и др. Однако решающее значение имеет законодательная база, на которую опираются проводящиеся в стране выборы. СМИ, как институт гражданского контроля над ведением избирательной кампании, имеют право активно освещать все нюансы избирательной кампании, но не переступать грань, отделяющую информацию от агитации. Реальная роль СМИ в формировании органов власти в значительной степени зависит от того, насколько дополняют друг друга законодательные акты о выборах и СМИ, насколько минимальна коллизия между ними и насколько заполнены пробелы в правовом регулировании.

Власть и СМИ объединяют демократические ценности. В то же время, СМИ должны противостоять манипуляции информацией со стороны правительства, и, сбалансировав критическими сведениями, обеспечить объективный и свободный информационный поток. Критически настроенная пресса соответствует интересам общества.

Правовая база, которая должна обеспечить гармонизацию взаимоотношений между государственными органами и СМИ, в Грузии пока еще не существует. Необходимо принять специальный акт, четко определяющий права и обязанности как государственных органов, так и журналистов СМИ.

Судебная власть является специфической сферой, где несколько видоизменено общее правило поиска, получения и распространения информации журналистом. Допуск представителей СМИ к деловой судебной информации, освещение журналистом судебного процесса является специфическим в том смысле, что не должны быть нарушены такие конституционные принципы, как независимость судебной власти, верховность суда и равенство всех перед законом, презумпция невиновности, защита прав и свобод человека. Решение существующих в этой сфере противоречивых вопросов, в значительной мере, замедляет то, что не существует специальный нормативный акт, детально регулирующий права и обязанности представителей СМИ, и этот пробел правового регулирования заполняется, в основном, практикой. Журналист должен сохранять разумный баланс между профессиональным интересом и интересами правосудия.

В демократическом обществе, где власть создана на основе свободного волеизъявления граждан, главным принципом прессы, радио, телевидения счи-

тается принцип свободы массовой информации. Свобода массовой информации, в первую очередь, является правовой категорией. Она юридически закреплена как международными правовыми актами, так и национальным законодательством.

В современном информационном обществе деятельность СМИ ограничена правовыми и этическими рамками. Правовое регулирование в сфере СМИ должно быть ориентировано на такие социальные ценности, как свобода выражения слова и мысли, политический и идеологический плюрализм, защита чести и достоинства личности, свобода критики, доступность информации и т.д. С этой точки зрения особую роль играют нормы и принципы, закрепленные в конституциях и законах о СМИ. Информация и ее передача – явления глобального характера. Следовательно, их правовое регулирование не может быть ограничено только национальным законодательством. Глобализация мировых процессов обусловила принятие уникальных международных актов. Имеется много неразрешенных проблем в сфере деятельности современных СМИ. Подобная картина наблюдается и в Грузии. Необходимо принять много нормативных актов для заполнения законодательного вакуума.

Соответственно формам собственности, СМИ могут быть государственными, частными (коммерческими), общественными, благотворительными и смешанного типа.

Особое влияние на общественные взаимоотношения приобрело такое средство как интернет. Он представляет собой новое пространство общественного бытия, которое содержит многочисленные базы и данные.

Интернет не имеет свойства периодичности, что характеризует все традиционные СМИ. Сложно утверждать, что посредством интернет-страниц (сайтов) происходит распространение массовой информации. Сайт не может быть признан средством массовой информации.

«Интернациональная» природа интернета обуславливает законодательное регулирование его деятельности на международном уровне, однако нужно создать и национальное законодательство, которое урегулирует взаимоотношения, возникшие в сфере интернета.

Основным нормативным актом, определявшим правовую конструкцию статуса журналиста был закон Грузии от 10 августа 1991 года «О прессе и других средствах массовой информации», который на сегодняшний день аннулирован. 14-15 мая 2003 года представители грузинских СМИ подписали документ необязательной силы под названием «Профессиональный стандарт СМИ». Это документ необязательной силы, оставляющий без регулирования целый ряд вопросов, связанных с деятельностью журналиста. Мною высказано мнение, что для Грузии, находящейся в процессе демократических преобразований, является поспешным изъятие статуса журналиста из правового пространства. Профессиональные стандарты и этические нормы не достаточны для определения прав и обязанностей журналиста. Необходима правовая регламентация статуса журналиста, разработка и принятие классических законов о прессе.

Подчеркивается, что в сфере СМИ постоянно фигурируют два объекта гражданского права: информация, как объект права собственности, и произведение, как объект особого права (интеллектуальная собственность). В электронной прессе к ним добавляются объекты согражданского права. Согласно действующему законодательству, право собственности не распространяется на

информацию о фактах и явлениях, официальные документы и официальные государственные символы.

Вопрос авторства интервью не может быть разрешен однозначно и зависит от того, какую лепту внес в интервью респондент и интервьюер. Согласно укоренившейся практике, программа телепередач не относится ни к объектам авторского права, ни к объектам права интеллектуальной собственности; журналист, являющийся штатным сотрудником газеты, не имеет права потребовать оплаты за подготовку газетного материала, если он создан в виде служебного задания.

Согласно Бернской конвенции использование фрагментов чужого произведения допустимо, если будет соблюдена «добрая воля» в том объеме, который достаточен для достижения цели, в том числе цитирование из газет и журналов. В сфере массовой информации авторские права на интеллектуальную собственность твердо защищает как международное, так и национальное законодательство.

Указывается, что в сфере массовой информации распространение необъективной, необоснованной информации ущемляет честь, достоинство и деловую репутацию личности. Согласно Конституции Грузии, честь и достоинство человека неприкосновенны. Этот конституционный принцип нашел выражение в положениях Гражданского кодекса Грузии. Свобода слова, мысли и массовой информации допустима только при условии, что они не будут использованы для нарушения прав других. Распространение сведений, ущемляющих честь и достоинство, личную жизнь и деловую репутацию, происходит, в основном, их опубликованием в СМИ, поэтому журналисты должны быть особенно осторожны, чтобы не нарушить законные интересы личности.

Законодательство Грузии разделяет понятия клевета и клевета с обвинением в преступлении. Последнее понятие было предусмотрено как преступление в Уголовном кодексе Грузии.

Клевета – заявление, содержащее существенно ошибочный факт, наносящее ущерб личности и портящее его репутацию – это диффамация. Однако клевета с обвинением в преступлении содержит состав преступного действия и она должна наказываться правилом Уголовного права.

В этой книге подведены итоги научного исследования и сформулированы конкретные предложения для дальнейшего совершенствования законодательства о СМИ.

Значение средств массовой информации – прессы, радио, телевидения в современном мире практически не возможно переоценить. Эти сильно воздействующие институты подчинили своему влиянию беспрецедентное в истории количество людей. С каждым днем растет эффективность СМИ, их роль в жизни общества, воздействие на каждого человека и на социум в целом.

Пресса, радио и телевидение представляют собой «триумvirат» СМИ, их своеобразия проявляются в степени и средствах фиксации информации и способах донесения ее до аудитории. К этому «триумvirату» на протяжении последних десятилетий присоединился и активно развивающийся четвертый вид информационных каналов – всемирная компьютерная сеть – институт, значение которого еще недостаточно осознано.

СМИ предназначены для широкой аудитории, их распространение является неотъемлемой частью духовного общения людей. Поэтому в широком спектре развития человечества информация является одним из важных и необходимых

элементов потребностей человека. Мир, каким его видят СМИ, стал реальнее, чем сама жизнь.

Как печатные, так и электронные СМИ, являются важными источниками национальной и культурной социализации. Как указывает Р. Харрис, СМИ – это не только «магическое окно», посредством которого мы видим мир, но и «двери», через которые идеи проникают в наше мышление.

Регулирование существующего в мире огромного потока информации, его переработка и распространение осуществляются средствами массовой информации.

В современном глобальном пространстве функционирование СМИ невозможно без правового регулирования. В информационном обществе отчетливо растет роль права как главного механизма общественных отношений. В то же время, информационное общество развивается такими темпами, что законодательство существенно отстает от их потребностей. Поэтому многие общественные отношения, на сегодняшний день существующие в информационной сфере, остаются вне регулирования. Законодательство должно коснуться всех общественных отношений в сфере СМИ, но не с точки зрения их непосредственного регулирования, а с целью их ориентации на такие социальные ценности, какими являются право на свободу выражения мысли, политическое и идеологическое разнообразие, уважение к личности, свобода критики и т.д. Не является целесообразным детальное регулирование всех общественных отношений в сфере СМИ. Напротив, это не менее вредно, чем недостатки законодательства. Демократический принцип: «Разрешено все, что не запрещено законом» дает возможность создать «неправовую» зону в системе организации и деятельности СМИ. Однако, нужно подчеркнуть, что совершенствование правового регулирования в сфере СМИ является объективно обусловленным процессом и, в этом плане, в нашем государстве многое нужно сделать. Законодательство в сфере СМИ, если оно отвечает требованиям времени, механизм оценки, осмысление тенденций, прав и обязанностей в значительной степени облегчает деятельность, препятствует правонарушениям, наносящим ущерб как деятельности журналистов, так и интересам миллионов читателей и зрителей.

Потребность информационного общества вызвала появление новой комплексной отрасли – информационного права, которая в Грузии пока на начальном этапе развития. Законодательная база, которая должна стать основой информационного права, находится в процессе формирования. Грузия является членом Европейского Союза. Поэтому ее законодательство должно соответствовать требованиям международных нормативных актов. Большой опыт, имеющийся в демократических, цивилизованных странах в сфере правового регулирования деятельности СМИ, нужно перенести на национальную почву и обогатить национальными своеобразиями и традициями.

Актуальность, этой работы, определило то обстоятельство, что формирование современного демократического, гражданского общества, установление народного правительства, самореализация личности, защита его прав и свобод невозможны без СМИ. Эта деятельность должна осуществляться в определенных правовых рамках.

SUMMARY

Importance of mass media – press, radio, TV is almost invaluable in the modern world. These powerful institutes have subordinated to their influence the unprecedented number of people in whole history of humanity. The efficiency of mass media is increasing every day, its role becomes greater and greater in the life of society and its influence is more and more perceptible for every single man and society in whole.

Press, radio and TV make a "triumvirate" of mass media. Their specialties are revealed in their character and means of fixation of information as well as its delivery to audience. In recent decades this "triumvirate" has been joined by actively developing fourth kind of informational channel – world computer network – internet, the importance of which is not yet fully realized.

Mass media is intended to a big audience, the dissemination of information is an integral part of spiritual relations between different people. That's why in a wide spectrum of development of humanity the information is one of the most important and necessary elements of requirements of mankind. The world seen by mass media became more real than the life itself for many people.

Both printed and electronic mass media is an important source for national and cultural socialization. As per R. Harris, mass media is not just "a magic window" through which we look at the world, but it's also "a door" through which the ideas get into our mind.

Mass media ensures regulation, processing and dissemination of a big informational stream worldwide.

In the modern global space mass media can not operate without law and legal regulation. Role of law as a principal mechanism of social relations is extremely increased in the informational society. Besides, the informational society is developing with such a high speed that the law can not follow its requirements. Therefore, many social relations currently existing in the informational field are not regulated. The law should concern all social relations in the field of mass media, but not by means of their direct regulation. It must be oriented at such social values like right to free expression, political and ideological diversity, respect and dignity of a person, freedom of criticism and etc. It's not reasonable to regulate in details all social relations in the field of mass media. In contrary, such approach is not less damageable than the gap in legislation. Democratic principle: "everything is allowed if not prohibited by law", makes it possible to create "non-legal" zone in the system of organization and activity of mass media. Though, it's to be underlined that perfection of legal regulation in the field of mass information is objectively conditioned process and there is a lot to be done in this regard in our country. Legislation in the field of mass media, if it duly corresponds to current requirements, its mechanism of evaluation and realization of tendencies, rights and obligations considerably facilitates activity of mass media key-players. It prevents law violations and infringements that make obstacles for activity of journalist and the interests of millions of readers and spectators.

Requirements and needs of informational society gave birth to a new complex field – informational law, which is only at its initial stage of development in Georgia.

The legislation which must be the basis for informational law is still under development. Georgia is a member-state of European Council. Therefore, its legislation should correspond to requirements of international normative acts. The huge experience available in democratic, civilized countries in the field of legal regulation of mass media must be transmitted and adapted to the national ground and enriched with the national originalities and traditions.

The actuality of the present book is conditioned by the circumstance that formation of the modern, democratic, civil society, establishment of people's government, self-realization of a person, protection of human rights and freedoms is impossible without mass media. Though, this activity should be carried out in certain legal framework.

Scientific research of legal problematic of activity of mass media has both theoretical and practical importance.

On the background of democratic changes ongoing in Georgia a big importance is given to mass media's activity in the legal framework, because the constitutional principle of freedom of speech, expression and information is realized mostly through mass media.

Globalization of information has required modernization of strategy of the world community. The merging of global information and national interests makes mass media more efficient and active from the point of view of formation of society's approach.

The internal logic of development of society requires new facilities of collection, processing and dissemination of information. For elaboration and development of the mentioned facilities a big importance is given to the state policy full of initiatives and legal regulation.

The book demonstrates priorities of mass media in accordance with its own content and moral-ethic values existing in society.

Considerations provided in the book Media Law will enhance establishment of harmonic relations between mass media and society, mass media and state bodies. They will ensure independence of mass media and raise of its authority as well as introduction of new forms and methods of activity of mass media. Finally, they will support elaboration of proper legislative acts basing on progressive ideas and concepts.

სარეკომენდაციო ლიტერატურის ნუსხა:

1. ზ. აღიშვლილი მედია და კანონი, თავისუფლების ინსტიტუტი, თბ. 2004
2. გამობატვის თავისუფლება, I და II. თავისუფლების ინსტიტუტი, თბ. 2005;
3. სიტყვის თავისუფლება. საია, თბ. 2002
4. ა. კაცმანი კომპიუტერული დანაშაული იმ კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორუფერატი, თბ. 2004
5. კლოდ-ჟან ბერტრანი, მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულების სისტემები. თავისუფლების ინსტიტუტი, თბ. 2004
6. კ. კულაშვილი ძირითადი უფლებები, თბ. 2003
7. კ. კორკელია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბ. 2003
8. კ. კორკელია, ი. ქერდაძე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბ. 2003
9. კ. კურაშვილი საინფორმაციო პოლიტიკა პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესში. პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორუფერატი, თბ. 2003
10. ო. მელქაძე ინფორმაცია, კონტროლი, სტატისტიკა და ტაქტიკა, თბ. 1981
11. მ. ცაცანაშვილი ინფორმაციული სამართალი, თბ. 2004
12. დ. ძაბუაშვილი ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბ. 2000
13. ზ. ლუკაშვილი სიტყვის თავისუფლების ზნეობრივი და იურიდიული საფუძვლები, თბ. 2003
14. გ. ჩოგვაძე ინფორმაცია, თბ. 2003
15. Абрашмова Е. Транспарентность правосудия, М. 2001
16. Агапов А. Основы государственного управления в сфере информатизации в РФ, М. 1997
17. Актуальные проблемы информационного права. Труды по интеллектуальной собственности, т. 2. М. 2000
18. Актуальные проблемы права СМИ. Материалы Первой российско-американской конференции / Под ред. Г. Вишукорова, А. Рихтера, В. Чернышова. М. 1997
19. Актуальные проблемы правового регулирования телекоммуникации / Под ред. Г. Вишукорова, А. Рихтера, В. Чернышова. М. 1999
20. Александров Д. Интернет-праву быть //
21. Алексеев А. О составе защищаемой информации. М. 1999
22. Анализ законодательства в РФ в контексте права человека на информацию, М. 1999
23. Аляшко А. Объекты гражданских прав в электронном пространстве//
24. Андрунас Е. Информационная элита: корпорации и рынок новостей. М. 1997
25. Анисимов А. Л. Честь, достоинство, деловой репутации в суде. Ярославль, 1999
26. Афанасьев В. Социальная информация и управление обществом. М. 1985
27. Бадакян Б. Монополия средств массовой информации. М. 1997
28. Багершам Э. Словода прессы в демократическом обществе. Тарту. 1992
29. Батурич Ю. Проблемы компьютерного права. М. 1991
30. Батурич Ю. Телекоммуникации и право-вопросы стратегии. Центр «Право и средства массовой информации». Серия «Журналистика и право», Вып. 26
31. Бачило П. Важный шаг в признании легитимности информационного права. // Информационное общество, 2000 № 6 //
32. Бачило П. Информационное право. Вопросы практической информатики. М. 2001
33. Бачило П. Правовое регулирование процессов информации. М. 1994
34. Бачило П., Каньолов В. Есть ли основания для создания отрасли «информационное право» / Информационное общество 1996 № 6

35. Бачило Н., Донати В., Федотов М. Информационное право, СПб – 2001
36. Беглай М. Дорога к свободе. М.1994
37. Беглов С. Монополии слова. М. 1982
38. Варшанова Е. Информационное общество в стратегии Европейского Союза. М. 2003
39. Вачнадзе Г. Всемирное телевидение. Новые средства массовой информации – их аудитория, техника, бизнес, политика. Тб. 1989
40. Вачнеров А. Право и информация в условиях автоматизации управления. М. 1988
41. Век информации. Тезисы международного постоянно действующего научно-практического семинара. 20 Декабря 2000г. СПб. 2000
42. Велчицкая Е, Терещенко Л. Интернет и гласность. М. 1999
43. Венгеров А. Право и информация в условиях автоматизации управления. М. 1988
44. Вехов А. Компьютерные преступления. М. 1996
45. Виннер П. Кибернетика или управление и связь в животном и машинах. М. 1968
46. Власов Ю. Средства массовой информации и современное буржуазное государство. М.1995
47. Воинов А.Е. Конец "дела Магилл" //ЗиП, 1995 № 6 (www.medialaw.ru)
48. Волчицкая Е. Информационные технологии и права. М. 2000
49. Габрилов Э. Авторское право, смежные права и деятельность СМИ в России. М. 2003
50. Габрилов Э. Право издателя периодического издания и авторское право журналиста. М. 1999
51. Габрилов Э. Правовая охрана программ теленедерач. М. 2000
52. Габрилов Э. Смежные права и деятельность электронных СМИ, М. 1999
53. Гавра Д. Эффективность коммуникационных источников. СПб. 2001
54. Гаврилов О. Курс правовой информатики. М. 2000
55. Глисков А. Реакция власти на критику в прессе: право или обязанность // Законодательство и практика СМИ. 1999 № 4
56. Гляйбсберг Г. О конценции печати и манипулировании общественным мнением. М. 1974
57. Гобашиан. Право на телепрограмм: свежий взгляд, М. 1998
58. Готт В., Семенюк Э., Уреул А. Социальная роль информатики. М. 1987
59. Гуревич П. Буржуазная пропаганда в поисках теоретического обоснования. М. 1978
60. Гуревич С. Экономика средств массовой информации. М. 1999
61. Давтян С.Л. Редакционные уставы. Правовые особенности организации и функционирования редакции СМИ. М. 2004
62. Девтян С. Особенности создания и создания и функционирования редакции периодического издания: организационные и правовые аспекты, М. 2001
63. Делицын Л. СМИ в Интернете // обзор чаров зг. 237
64. Демьянова К. Интернет – средство массовой информации. // ЗиП, 2001 № 10
65. Денин Э, Мерилл Д. Беседы о масс-медия. М. 1999
66. Доторнев В. Информация как объект исключительного права, М. 1996
67. Жан-Поль Коста. Свобода выражения мнения. Обращение в Европейский суд по правам человека. М. 2004
68. Журналист в поисках информации. Сб. материалов для работников СМИ / Под ред. А. Симонова, М. 2001
69. Законы об оскорблении высших должностных лиц государства – оскорбление свободы прессы. Под ред. Дж. Оттавей и А. Марке. М. 2002
70. Защита чести и достоинства (Теоретические и практические вопросы),
71. Земкова С. Проблемы разграничения информационного и рекламного материалов в СМИ // Mass Media Monitor, 2001, № 6
72. Казятин В. Проблемы установления юрисдикции в Интернет // ЗиП, 2001, № 5
73. Карелина М. Есть ли у Интернета правовые проблемы? М. 2002
74. Карелина М. Проблемы информационного законодательства Науч.-технич. инф. №9. 1997

75. Кашилев Ю. Массовая информация и международные отношения. М. 1991
76. Кин Дж. Средства массовой информации и демократия. М. 1994
77. Кизза Дж. Миф о четвертой власти. «Литературная газета». 2003, № 17
78. Кобалец Е., Шевчук В. Защита чести, достоинства и деловой репутации в суде. Практические рекомендации. Ярославль. 1995
79. Комментарий Центра «Право и СМИ» / Под ред. Н.В.Суркова. М: Центр «Право и СМИ», 1999
80. Комментарий Центра «Право и СМИ» / Под ред. П. Суркова/ М. 1999
81. Копылов В. Информационное право. М. 2003
82. Копылов В. Информация как объект правового регулирования. СПб. НТИ. сер. 1, 1996
83. Копылов В. О модели гражданского оборота информации. (Журнал Российского права. 1999, № 9)
84. Кравченко Ф. Презумпция невиновности и журналистика. М. 1997
85. Кривошеев М. Федунин В. Интерактивное телевидение. М. 2000
86. Крылов В. Информационные компьютерные преступления. М. 1997
87. Кудрявцев М. Информационные права личности // ЗИП. 1997
88. Кудрявцев М. Способы защиты чести, достоинства, доброго имени и деловой репутации в современном российском праве. М. 2000
89. Куршинов А. Интернет и право // ЗИП. М. 1998
90. Курушин В. Минов В. Компьютерные преступления и информационная безопасность. М. 1998
91. Лазутина Г. Основы творческой деятельности журналиста. М. 2000
92. Лазутина Г. Профессиональная этика журналиста. М. 1999
93. Лопатин В. Информационная безопасность России: человек, общество, государство. СПб, 2000
94. Лопатин В. Информационная безопасность России: Человек. Общество. Государство. СПб. 2000
95. Лукинский С. Россия и печать: век антиСМИзма. М. 1998
96. Международные конвенции об авторском праве. Комментарий. М. 1992
97. Мелюхин П. Интернет и правовое регулирование. М. 1998
98. Мелюхин П. Информационное общество и государство. М. 2000
99. Михайлов С. А. Современная зарубежная журналистика. М. 2002
100. Моиро Прайс. Интер Круг. Благоприятная среда для свободных и независимых средств массовой информации (Подготовлено Программой сравнительного права и политики в области средств массовой информации Центра социально-правовых исследований Вульфсон-колледжа Оксфордского университета)
101. Наумов В. Право и Интернет: очерки теории и практики. М. 2003
102. Напарин П. Информационная война и власть. М. 2001
103. Петровский С. Правовая охрана сайта как базы данных // www.pravo/net.ru
104. Поляков Ю. Европейский процесс и средства информации. М. 2001
105. Правовая информатика (информационные системы) Под ред. В. Копылова и В. Элькина. М. 2001
106. Прайс М. Телевидение, телекоммуникации и переходный период: право, общество и национальная идентичность — М.: Изд-во Моск. ун-та, 2000
107. Прайс Моиро, Современное право Средств Массовой Информации в США. М. 1998
108. Профессиональная этика журналистов. В 2-х т. М. 1999
109. Прохоров Е. Журналистика и демократия. М. 2001
110. Прохоров Е. Правовое регулирование концентрации и прозрачности СМИ. М. 2000
111. Пулю А. Политический плюрализм. Автореферат дис. СПб. 1999
112. Рассолов М. Информационное право. М. 1999
113. Рассолов М. Право и Интернет. М. 2003
114. Рихтер А. Решение Европейского Суда по правам человека и статья 10. М. 2000
115. Рихтер А.Г. Правовые основы журналистики: Хрестоматия. — М.: Институт проблем информационного права, 2004

116. Рихтер Л. Правовые основы журналистики. М. 2002
117. Робеспьер М. Речь о свободе печати. М. 1906
118. Серго А. Интернет и право. М. 2003
119. Сиберт Ф. Шрам У. Питерсон Т. Четыре теории прессы. М. 1998
120. Склярлова Я. Процедура лицензирования в США: Выбор метода. М. 2000
121. Современное право средств массовой информации в США (Под ред. А. Рихтера). М.1997
122. Терешенко Л. К. Интернет и проблемы в праве. М., 1999, С. 19
123. Типовская П. Право на информацию и механизм его реализации. М. 2003
124. Ткачев А. Правовой статус компьютерных документов. М. 2000
125. Ушаков К. Интернет-мошеничество: о формах и масштабах явления, средствах и методах борьбы.
126. Федотов М, Лучкин Д. Судьи о журналистах. Социологическое исследование. М. 1988
127. Федотов М. Право массовой информации. М. 2002
128. Федотов М. Правовые основы журналистики. М. 2002
129. Федякин П. Общественное сознание и массовая коммуникация в буржуазном обществе. М.1978
130. Финько О. Правовое обеспечение Государственной информационной политики. СПб.1999
131. Харрис Р. Психология массовых коммуникаций. М. 2002
132. Честь, достоинство и репутация: журналистика и юриспруденция в конфликте. М. 1998
133. Шевардиев С. Система федеральных органов исполнительной власти, регулирующих отношения в области массовой информации. М. 1999
134. Шер Д. Интернет для юриста: перспективы развития (Российская юстиция)1998 №12
135. Шинкин Д. Права и обязанности журналистов. М. 1999
136. Якушев М. Интернет и право / ЗИП. 1999. № 1
137. A. STONE. The Birth of Judicial Politics in France, Oxford, Oxford University Press, 1992
138. ALTES, WILLEM F. KORTHALS. 'European Law: A Case Study of Changes in National Broadcasting', *Cardozo Arts and Entertainment Law Journal* 11 (1993), 313.
139. ASSAFA ENDESHAW, "Reconfiguring Intellectual Property for the Information Age – Towards Information Property?" *The Journal of World Intellectual Property*, Vol.7 No.3, May 2004, GB
140. B. RIGBY AND N. HEWITT, *France and the Mass Media*, 1991 (Basingstoke: Macmillan);
141. BAKER, C. EDWIN, *Human Liberty and Freedom of Speech* (New York: Oxford University Press, 1989).
142. BALL-ROKEACH, S.J. Media system dependency theory. In M.L.DeFleur & S.J. Ball-Rokeach (Eds.), *Theories of mass communication*. New York: Longman, 1988
143. BARENDT, ERIC, *Broadcasting Law: A Comparative Study* (New York: Oxford University Press, 1993).
144. BERLAND, JODY, 'Placing Television', *New Formations* 4 (spring 1988), 145.
145. BOLLINGER, LEE C., *Images of a Free Press* (Chicago: University of Chicago Press, 1991).
146. BOWLES, J., *The future Internet: faster, smarter, mobile, scarier*. Newsweek, 1998, 16 November
147. BRAND S. *The Media Lab inventing the future at MIT.* – N.Y.: Penguin, 1988
148. BRANSCOMB A. *Law and Culture Information Society*. 1986, N. Y.
149. BRASCH, WALTER M., and ULLOTH, DANA R., *The Press and the State* (Lanham, Md.: University Press of America, 1986).
150. BRIGGS, ASA, *The BBC: The First Fifty Years* (Oxford: Oxford University Press, 1985).
151. BRIGGS, ASA, *The Birth of Broadcasting* (New York: Oxford University Press, 1961).

152. British Journal of Guidance and Counseling, 2000
153. C. SEYMOUR-URE, *The Political Impact of Mass Media*, London, Constable, 1994
154. CASSESE, ANTONIO, and CLAPHAM, ANDREW (eds.), *Transfrontier Television in Europe: The Human Rights Dimension* (Baden-Baden: Nomos Verlagsgesellschaft, 1990).
155. CHOMSKY, NOAM, and HERMAN, EDWARD S., *Manufacturing Consent: The Political Economy of the Mass Media* (New York: Pantheon Books, 1988).
156. COASE, RONALD H., *British Broadcasting: A Study in Monopoly* (London: Longmans, Green & Co., 1950).
157. COLLINS, RICHARD, *Culture, Communication, and National Identity: The Case Study of Canadian Television* (Toronto: University of Toronto Press, 1990).
158. COMMISSION ON FREEDOM OF THE PRESS, *Free and Responsible Press: A General Report on Mass Communication* (Chicago: University of Chicago Press, 1947).
159. COUNCIL OF EUROPE, *Digest of Strasbourg Case Law relating to the European Convention of Human Rights*
160. COUNCIL OF EUROPE, *Human right today: European legal texts* (Strasbourg: Council of Europe Publishing, 1999) <http://www.minbzk.nl>, Conference on Fundamental Rights in a Pluralistic Society, The Hague, 20-21 November, 2003
161. DAVID BAINBRIDGE, *Introduction To Computer Law*, Fifth Edition, Dorset Press, GB, 2004;
162. ERIC BARENDT & LESLEY HITCHENS, *MEDIA LAW (Cases and Materials)*, Longman, 2000;
163. ENTMAN, ROBERT M., *Democracy without Citizens: Media and the Decay of American Politics* (New York: Oxford University Press, 1989).
164. *Essentials of Intellectual Property* by ALEXANDER I. POLTORAK and PAUL J. LERNER, GPC, USA, 2004
165. *Europe and the global information society. Recommendations to the European Council*, May 1994
166. FEJES, FRED, *Imperialism, Media and the Good Neighbor: New Deal Foreign Policy and United States Shortwave Broadcasting to Latin America* (Norwood, NJ: Ablex Publishing Corp., 1986).
167. FERGUSON, MARJORIE, 'The Mythology about Globalization', *European Journal of Communications* 7 (1992), 69.
168. FOSTER, FRANCES H., 'Izvestiia as a Mirror of Russian Legal Reform: Press, Law, and Crisis in the Post-Soviet Era', *Vanderbilt Journal of Transnational Law* 26 (1993), 675.
169. FOWLER, MARK S., and BRENNER, DANIEL L., 'A Marketplace Approach to Broadcast Regulation', *Texas Law Review* 60 (1982), 207.
170. *Fundamentals of Media Effects* by JENNINGS BRYANT and SUSAN THOMPSON, N.Y., 2004
171. G. MARSHALL, 'Press Freedom and Free Speech Theory', N.Y., 1992
172. GARDBAUM, STEPHEN A., 'Broadcasting, Democracy, and the Market', *Georgetown Law Journal* 82 (1993), 373.
173. GARNHAM, NICHOLAS, 'The Media and the Public Sphere', in Peter Golding, Graham Murdock, and Philip Schlesinger (eds.), *Communicating Politics: Mass Communications and the Political Process* (New York: Holmes & Meier, 1986).
174. GERALD R. FERRERA, et al. *Cyber Law: your rights in Cyberspace*, South-Western Pub, 1st edition Internet Law Books at Amazon, com, July 24, 2001
175. GOLDSTEIN NORM, *The Associated Press Style Book and Briefing on Mass Law* - New York, 2002
176. GRIMM, HON. DIETER, 'Freedom of the Mass Media', Paper delivered at 'Rights of Access to the Media' Conference, Central European University, Budapest, Hungary, 19-21 June 1993.

177. GROSSMAN, LAWRENCE, *The Electronic Republic: The Transformation of American Democracy* (New York: Viking, в печати).
178. HEIDT, ERHARD U., *Mass Media, Cultural Tradition and National Identity* (Fort Lauderdale, Flor.: Breitenbach, 1987).
179. HENTOFF, NAT, *Free Speech for Me—But Not for Thee: How the American Left and Right Relentlessly Censor Each Other* (New York: HarperCollins, 1992).
180. INFORMATION COMMISSION FOR THE STUDY OF COMMUNICATION PROBLEMS (McBride Commission), *Many Voices, One World: Towards a New More Just and More Efficient World Information and Communication Order* (London: Kogan Page, 1980).
181. J. KEANE, *The Media and Democracy*, Oxford, Polity Press, 1991
182. JOHN R. BITTNER, *Law and Regulation of Electronic Media* Englewood Cliffs: N.J., 1994
183. JOHNSON, ANDREA L., 'Redefining Diversity in Telecommunications: Uniform Regulatory Framework for Mass Communications', *University of California at Davis Law Review* 26 (1992), 87.
184. JONATHAN ROSENBERG, *Cyber Law: The Law of the Internet*, 1997, N.Y.
185. JONES R.W. *Journalism in the United States – New York., 1991*
186. KAPLAN, LAURENCE G. C., 'The European Community's "Television Without Frontiers" Directive: Stimulating Europe to Regulate Culture', *Emory International Law Review* 8 (1994), 255
187. KEANE, JOHN, *The Media and Democracy* (Cambridge, Mass.: Polity Press, 1991)
188. LEVY, LEONARD WILLIAMS, *Emergence of a Free Press* (New York: Oxford University Press, 1985).
189. LIPPMAN W. *Public Opinion – N.Y., 1965*
190. MANDER, JERRY, *Four Arguments for the Elimination of Television* (New York: William Morrow & Co., 1978).
191. MANOFF, ROBERT K, 'Independence and Mass Media in Transition', unpublished paper, Conference on Mass Media in Transition, American University, Washington, DC, 1994.
192. MANOFF, ROBERT K, 'Independence and Mass Media in Transition', unpublished paper, Conference on Mass Media in Transition, American University, Washington, DC, 1994
193. McQUAIL, DENIS, *Mass Communication Theory* (London: Sage Publications, 2nd edn., 1987).
194. MERME J. *The Process and Effects of Mass Communication.* – Chicago, 1974
195. MEYROWITZ, JOSIUA, *No Sense of Place: The Impact of the Electronic Media on Social Behavior* (New York: Oxford University Press, 1985).
196. *Modern Constitutional Theory: A Reader/Ed. by J.H. GARVEY, MINN, 1994*
197. NEGRINE, RALPH, and PAPANASSOPOULOS, STYLIANOS, *The Internationalization of Television* (New York: Pinter Publishers, 1990).
198. *New York Times Co. v. Sullivan*, 376 US 254, 270 (1964).
199. NIE, N. H. & BERING, L. *Internet and society: A preliminary report*, Stanford, CA: Institute for the Quantitative Study of Society, 2000
200. NIEUWENHUIS, AERNOUT J., 'Media Policy in the Netherlands: Beyond the Market?' *European Journal of Communication* 7 (1992), 147.
201. NOAM, ELI M., *television in Europe* (New York: Oxford University Press, 1992)
202. NOAM, ELI M., *Television in Europe* (New York: Oxford University Press, 1992).
203. NORDENSTRENG K. *Evolution actuelle de la theorie de la communication en Europe // Diogenes*, 1975, № 92
204. O'BOYLE, MICHAEL, 'Right to Speak and Associate under Strasbourg Case-Law with Reference to Eastern and Central Europe', *Connecticut Journal of International Law* 8 (1993), 263.
205. *Op. cit.: DENNIS E., RIVERS W. Other Voices. The New Journalism in America.* – N.Y.1994

206. ORAVEC, J. A. Internet and computer technology hazards: Perspectives for family counseling.
207. OWEN, BRUCE M., Economics and Freedom of Expression: Media Structure and the First Amendment (Cambridge, Mass.: Ballinger Publishing Company, 1975).
208. PALETZ, DAVID L., and ENTMAN, ROBERT M., Media Power Politics (New York: Free Press, 1981).
209. PANICI, D.A. New Media and the introductory mass communication course. *Journalism & Mass Communication Educator*, 53, 1998 (Spring):
210. PAUL MARETT, *Information Law in Practice*, second edition. Aldershot, Ashgate: 2002 // www.recom.ru/win/Internet/Computer Law/State.htm
211. PELLE, JOKE J. A., and AKKERMANS, PIET W. C., 'The Dutch Broadcasting System: A Basic Right Caught between Dutch Constitutional Law and European Community Law', *RED/ERPL* 2/1(1990), 39.
212. POSNER, RICHARD A., 'Free Speech in an Economic Perspective', *Suffolk University Law Review* 20 (1986), 1.
213. PRICE, MONROE E., 'Requiem for the Wired Nation: Cable Rulemaking at the FCC', *Virginia Law Review* 61(1975), 541.
214. RALPH L. HOLSINGER, *Media Law*, N.Y., 1991
215. RAYMOND KUHN, *The Media in France*, 1995
216. RHONDA BAKER, *Media Law*, London, UK, 1995
217. RICHARD A. SPINELLO, *Cyber Ethics: Morality and Law in Cyberspace*, 2002, N.Y.
218. ROGERS, E. M. *Communication technology: The new media in society*. New York: Free Press, 1986;
219. ROMANIAN LAW ON RADIO AND TELEVISION BROADCASTING, *Cardozo Arts and Entertainment Law Journal* 11 app. (1993), 609.
220. RUTH, STEVEN, 'Comment: The Regulation of Spillover Transmissions from Direct Broadcast Satellites in Europe', *Federal Communications Law Journal* 42 (1989), 107.
221. SMITH, ANTHONY D., *National Identity* (New York: Penguin Books, 1991).
222. The NTIA Infrastructure Report: Telecommunications in the Age of Information (Washington, DC: US Department of Commerce, 1991).
223. TODOROV, P. *La presse française à l'heure de l'Europe* (Paris: La documentation française), (1990)
224. TUNSTALL, JEREMY, *The Media are American* (New York: Columbia University Press, 1977).
225. YACHINADZE, G. N., *Secrets of Journalism in Russia: Mass Media under Gorbachev and Yeltsin* (New York: Nova Science Publishers, 1992).
226. VIRIEU F.-H. (de), *La médiocratie*. – Paris, 1990
227. WEINBERG, JONATHAN, 'Broadcasting and Speech', *California Law Review* 81 (1993), 1103.
228. WILDHABER L., Speech delivered at Ministerial Conference on Human Rights to Commemorate the Fiftieth Anniversary of the Convention, in: *The European Convention on Human Rights at 50, Human Rights Information Bulletin* (special issue), №50, 2000
229. YUDOF, MARK G., 'When Governments Speak: Politics, Law, and Government Expression in America (Berkeley and Los Angeles)' : University of California Press, 1983)
230. <http://www.gyla.ge/>
231. <http://www.liberty.ge/>
232. <http://www.medialaw.ru/>
233. <http://www.russianlaw.ru/>
234. <http://www.medialaw.ge/>

ბარეკანის დიზაინი *გიორგი დუნდუა*
www.dundua.de

დაკაბადონება *თამარ გვიანიშვილი*

შპს „პოლიგრაფ თბილისი“

თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 15

შეკვეთა №11

ფასი შეთანხმებით